ჯემალ ქირია

ბელეტრისტიკა

ტომი 3

მთვარე დღე წვიმდა

(მოთხრობები, პიესები)

თბილისი 2006
გამომცემლობა „საარი“

ამ ტომში თავმოყრილი მოთხრობები გამოქვეყნებულია სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში, აგრეთვე კრებულებში „პირველი ზეკარი“ (1983) და „კუნძული“ (1988). აქვეა შეტანილი რადიოპიესა და ფარსი.

© ჯემალ ქარია - მთელი დღე წვიმდა
საავტორო უფლებები დაცულია

ტექნიკური რედაქტორი: ირინა მარკოზაშვილი

გამომცემლობა „საარი“
ISBN 99940-60-04-X

ჩრდილი

პირველად ვატმანმა შეამჩნია — უზარმაზარი ჩრდილი ზედ ტრამვაის ხაზზე გაწოლილიყო. ვატმანმა ვაგონი სწრაფად დაამუხრუჭა. ცოტაც და ჩრდილს გასრესდა. შუბლზე სიმწრის ოფლმა დაასხა. ჩრდილი იყო რაღაც არაჩვეულებრივი, მის მნახველს გაურკვეველი მღელვარება ეუფლებოდა.

— სიკვდილი მოუნდა მაგ უბედურს, — წაილუღლუღა ვატმანმა და მგზავრთა სალონისაკენ მოიხედა.

ტრამვაი რომ დამუხრუჭდა, მგზავრები ერთმანეთს მიაწყდნენ, ზოგი მათგანი სავარძლიდან გადმოვარდა. პატივცემული ქალაქის თავი აგეკაცი შუა სალონში გაგორდა, ამ დროს ხორთუმი სავარძლის ფეხს მტკივნეულად მიარტყა და ახლა ხვნეშა-ხვნეშით ცდილობდა წამოდგომას. ტრამვაი პირველი ნომერი გახლდათ და მით მხოლოდ ქალაქის თავი და მისი ამალა მგზავრობდა. ამიტომაც გამოირჩეოდა სხვა ტრამვაებისაგან, რბილი რესორები და ძლიერი მუხრუჭები ეყენა, გარედანაც მთლად ბრჭყვიალი გაუდიოდა. დანარჩენი ტრამვაები, ზოგი ქალაქისა და ზოგიც პერსონალური, რასაკვირველია, პირველ ნომერს ვერ შეედრებოდნენ. ისინი ერთი რახარუხითა და ჟღრიალით მოსდევდნენ პირველს.

— რა მოხდა? — მკაცრად იკითხა აგეკაცმა, როცა დიდი ვაივაგლახით წამოდგა, რაშიც მას ენერგიულად ეხმარებოდა ქალაქის თავის თანაშემწე მიეთმოეთების დარგში აქეთმამე.

აგეკაცმა დაინახა უჩვეულო და უზარმაზარი ჩრდილი, არხეინად რომ ისვენებდა რელსებზე.

„პროვოკატორია!“ — შიშით გაიფიქრა. დაჟეჟილი ხორთუმი ეწვოდა და ბრაზი ვერ შეიკავა.

— რას აკეთებს პოლიცია! — თვალი დაუბრიალა ქალაქის მთავარ მედილეგეს ადლაჭკუას.

— მზად ვარ გემსახუროთ! — სირცხვილნაჭამ ადლაჭკუას ჯაგარი აეშალა, ბასრი კბილები გამოაჩინა, თვითონაც თვალი დაუბრიალა უგერგილო თანაშემწეებს, ჩვეულებრივ პირველ

ნომერ ტრამვაის საპატიო ესკორტად რომ მოჰყვებოდნენ, ახლა კი ხელები უმწეოდ ჩამოეყარათ.

ამასობაში სხვა ტრამვაებიც პირველი ნომრის უკან ჩამომწკრივდნენ. ტროტუარები სეირის მოყვარული ხალხით გაიჭედა. ცნობისმოყვარე ქალაქელები მეზობელი ქუჩებიდან და სხვადასხვა დაწესებულებიდან აქეთკენ გამორბოდნენ. ხმა გავარდა, ქალაქის თავს ვიღაცა გზაზე გადაუდგაო, და აივნები და ფანჯრები უმალვე მაყურებლებით აივსო. ზოგიერთი ჭკუაცეტი მთლად სახურავზე აძვრა. ხეები კი ბავშვებით დაიხუნძლა.

— აირია მონასტერი! — ჩაიკნავლა აქეთმამემ, თათი რბილ ბეწვზე გადაისვა.

ბრბო წუთით წუთზე იზრდებოდა. მალე ქუჩაში ტევა არ იყო. ბინის მფლობელნი ფანჯარას შაურად აქირავებდნენ და თვალის დახამხამებაში კაიძალი ფული გააკეთეს. ხალხი უფრო და უფრო თამამდებოდა, იმატა ყაყანმა და ჟივილ-ხივილმა. ერთნი ჩრდილს ლანძღავდნენ, შუა გზაზე გაწოლილა და ქალაქის თავს არ უშვებსო, მეორენი — პოლიციელებს, შუა გზაზე გაწოლის უფლებას რატომ ხელყოფენო.

ადლაჭკუა ტრამვაიდან ჩამოხტა, თანაშემწეებს შეუყეფა. პოლიციელები წკავწკავით დაეჯაჯგურნენ ჩრდილს, მაგრამ გზიდან ვერ გადაიყვანეს, რადგან ძნელი იყო ხელის ჩავლება.

აგეკაცს მღელვარებისაგან ხორთუმი უთრთოდა. მიხვდა, ეს ამბავი ასე უბრალოდ არ დამთავრდებოდა. მართლაც, სადღაც მაღაზიის ვიტრინა ჩაამსხვრიეს. ერთგან სახურავიდან კაცი გადმოვარდა და მაყურებლებს თავზე დაეცა. იქ კიდევ ვიღაცას ისტერიკამ მოუარა, წივილ-კივილით იგინებოდა. ორმა სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულმა პოლიციელმა ის კაცი გაათრია და კუთხეში მიაჩუმათა.

მოულოდნელად ვითარება განიმუხტა. ზანტად, მძიმე ბოლივით წამოიმართა დიადი ჩრდილი, სახლებს დინჯად გადაალაჯა და ქალაქის პარკის ხეთა ვარჯებში გაუჩინარდა.

აგეკაცმა შვებით ამოისუნთქა, პირველი ნომერი ტრამვაი დაიძრა და ქალაქის თავი ჩვეული მარშრუტით წაიყვანა. აგეკაცის რეზიდენციის წინ ტრამვაის გაკრიალებულ ფანჯარას ლაყე კვერცხი მიეტყეპა. დიახ! დღეიდან ქალაქის მშვიდი ცხოვრება დამთავრდა.

მთავარ მოედანზეც ხალხი ირეოდა. აქედანაც კარგად ჩანდა, რომ ქალაქის თავის უზარმაზარ მონუმენტს, რომლის აგებაზე უამრავი რკინა-ბეტონი დაიხარჯა, ახლა კვერცხებს უშენდნენ.

აგეკაცმა ნებისყოფას მოუხმო. გზა ტრამვაის გაჩერებიდან რეზიდენციის კიბემდე პირქუში სიდინჯით გადაკვეთა. ბრბო ორად გაიყო. მდუმარე მოქალაქეებს ზურგს უკან მუშტები შეეკრათ, მაგრამ თვალები ქვაფენილისათვის მიებჯინათ და ქალაქის თავს სახეში ვერ უყურებდნენ. აგეკაცი გრძნობდა, მის ნაკვალევზე კედელი კვლავ იკვრებოდა, ათასი მზერა უბურღავდა სქელ კისერს. ზედ კართან თავშეკავებამ უღალატა, კისრისტეხით აქოშინდა ბოლო საფეხურებზე, ძუნძულით გაირბინა გრძელი დერეფანი და დაჯავშნულ კაბინეტში შევარდა...

* * *

ოდესღაც ქალაქი არჩანდა არაფრით განსხვავდებოდა სხვა ჩვეულებრივი ქალაქებისაგან. ჰქონდა ჩვეულებრივი სახლები, ჩვეულებრივი ქუჩები, ცენტრი და გარეუბანი, კინო და აბანო, ბაზარი და ხუთასამდე სავაჭრო წერტი, ჰყავდა ერთი ქალაქის თავი, ერთი პოლიციელი, ერთი ბუხჰალტერი, ერთი მექისე და ერთიც პოეტი... მერე ამ ქვეყანაზე გაჩნდა აგეკაცი. მისი დაბადება სწორედ რომ სასწაულად შეიძლება ჩაითვალოს. ბავშვს ცხვირის ადგილას ხორთუმი ეზრდებოდა. მართალია, ერთი ციცქნა, მაგრამ ხორთუმი მაინც ხორთუმია. წონითაც ალბათ ათ ბავშვს აჯობებდა. ხუთი თვისამ ფეხი აიდგა, ქუჩაში გამობაჯბაჯდა. ვინც დაინახა, ერთხმად აღმოხდათ: „აგე, კაცი!“ იმ წუთიდან ბავშვის ნამდვილი სახელი არავის გახსენებია... ქუჩაში ისე ვერ ჩაივლიდა, ბავშვების ლაშქარი არ დადევნებოდა: აგეკაცი, აგეკაციო!.. არჩანდის ამ საოცრების სანახავად სხვა ქალაქებიდანაც ჩამოდიოდნენ ცნობისმოყვარენი. მოკლედ, ყველას პირზე მისი მეტსახელი ეკერა, მაგრამ თვითონ აგეკაცს აინუნშიაც არ ჩაუგდია ქალაქელთა მასხრობა და დაცინვა, იზრდებოდა და იზრდებოდა თავისთვის. ყველაფერ სიკეთესთან

ერთად, კირკიტა ვინმე იყო, დღეში იმდენი იდეა ებადებოდა, დათვლას ვერ აუდიოდა. საბედნიეროდ, უმრავლესობას იქვე ივიწყებდა, მაგრამ თუ რაიმეს აიჩემებდა, მტრისას, შუბლით გაჰქონდა. ჩვიდმეტისაც არ იყო, ფეხსაცმლის წმენდას მოჰკიდა ხელი და ფეხსაცმლის წმენდის ნაკადური მეთოდი დანერგა. ჩაამწკრივებდა ას კაცს და უზარმაზარი ჯაგრისით ხან აღმა აუვლიდა, ხან დაღმა ჩამოუვლიდა. მთელი არჩანდა გაპრიალებული ჩექმებით დადიოდა. მადლიერმა მოქალაქეებმა, ასეთი ჭკუის კოლოფი ჩექმებზე როგორ გავაცდინოთო და ცხვირმოუხოცავი ღლაპი ქალაქის თავად აირჩიეს. ამის შემდეგ არჩანდაში ჩექმების საწმენდად ვერავინ მოიცალა, რადგან მთელი ქალაქი ცხელ-ცხელი იდეებით იკვებებოდა. ქალაქის თავმა თავისი მმართველობის პირველსავე დღეებში აკრძალა გზის შესამოკლებლად ტელეგრაფის მავთულებზე სიარული, ჭადრის კენწეროზე ყირის გაჭიმვა, თანამოქალაქისათვის შუბლში ბლის კურკის მორტყმა, წისქვილში სიმინდის მაგიერ ოქროს თუმნიანების დაფქვა, უკანალით გუბეზე გადახტომა, თავზე ცოცხალი ფარშევანგის ტარება, ზაფხულში თოვლით გუნდაობა და ზამთრობით ქვაფენილზე მარწყვის კრეფა...

დრო გადიოდა, ქალაქი არჩანდაც იზრდებოდა და ქალაქის თავიც. ქოხმახებისა და ჯარგვლების ეპოქა ბეტონის ეპოქამ შეცვალა. აგეკაცმაც არ დააყოვნა. უპირველეს ყოვლისა, ქალაქის ცენტრში აიშენა უზარმაზარი რეზიდენცია, რომლის ორი წყება სვეტები გაპრიალებული ჩექმებივით ჩამწკრივდა ქალაქის მთავარ მოედანზე. შენობამ სახელი გაუთქვა არჩანდას და მადლიერმა მოქალაქეებმა აღმშენებელს ამავე მოედანზე ბეტონის ქანდაკება დაუდგეს. ამ ძეგლმა არჩანდას სახელი მთლად ცხრა მთას იქით გაიტანა. უზომოდ გაამაყებულმა მოქალაქეებმა აგეკაცს ტრიუმფი მოუწყვეს. თავზე დაფნის გვირგვინი დაადგეს და ცენტრალურ პროსპექტზე ჩამოატარეს. მთელი ქალაქი ტროტუარებზე გამოეფინა, თავის ბელადს „ვაშას!“ ძახილით მიაცილებდნენ. აგეკაცს აქამდე სიტყვა „ტრიუმფი“ განაგონიც არ ჰქონდა, მაგრამ ახლა ისე მოეწონა, თვალთაგან ბედნიერების ცრემლი გადმოსცვივდა და საქვეყნოდ

აღთქმა დადო: „დადგება დღე და ისეთ წარმატებებს მივაღწევთ, ყოველ მოქალაქეს თავზე თითო გვირგვინს მაინც დავადგამთ!“ აღფრთოვანებულმა ბრბომ ტაშის გრიალით უპასუხა. ამ დღიდან აგეკაცს ტრიუმფი ისე შეუყვარდა, ყოველ დილას ჩამოივლიდა ცენტრალურ პროსპექტზე და საგანგებოდ დაქირავებული მოქალაქეები „ვაშას“ ძახილით ესალმებოდნენ. თავდაპირველად ტრიუმფატორი ფეხით სიარულს სჯერდებოდა. მერე ქალაქის მეურნეობა მომძლავრდა, სახედარი უყიდეს და მაშინ აგეკაცმა განაცხადა: „დადგება დღე და ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ ყოველ მოქალაქეს თითო სახედარი ეყოლება!“ სახედარი ჩარდახიანი ურმით შეიცვალა, ურემი კონკით, დაბოლოს, ცენტრალურ პროსპექტზე ტრამვაის ხაზი გაიყვანეს და პირველი ნომერი ტრამვაი ქალაქის თავს ტრიუმფალური სვლებისათვის გაუმწესეს. მაშინ აგეკაცმა განაცხადა: „დადგება დღე და ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ ყოველ მოქალაქეს პერსონალური ტრამვაი ექნება!“ ალბათ ასეც მოხდებოდა, მაგრამ აგეკაცი ეშმაკუნა ამურებმა ჩაითრიეს თავის ბადეში. ქალებს ადრეც უპაჭუნებდა თვალს, ოღონდ სპილოს აღნაგობით და ციცქნა ხორთუმით ლამაზმანებს ვერ მოხიბლავდა. ამიტომაც თავდაპირველად სასიყვარულო აზრებს არ იკარებდა. მოგვიანებით, ტრიუმფებით გაამაყებულს, ვიღაცამ პირფერულად წასჩურჩულა, მამაკაცი მაიმუნზე ოდნავ ლამაზი თუ არის, ესეც საკმარისიაო. აგეკაცს ნათქვამი ჭკუაში დაუჯდა და იმ დროიდან აიწყვიტა. ზედიზედ რვა ცოლი გამოიცვალა და პირტიტველა ბიჭის ენერგიულობით მეცხრეს ძებნას შეუდგა. მთელ ქალაქში დღედაღამ დაეძებდნენ ქალიშვილს, აგეკაცისთვის თავს რომ გაიმეტებდა. შემთხვევით არჩანდაში სპილოების მწვრთნელი შემოეხეტა ინდოეთის ქალაქ ჩანდაგაიხარედან. აგეკაცის წვრთნა სპილოების წვრთნაზე იოლი აღმოჩნდა. ბრძენმა ინდომ მეგობრობის პირველსავე წუთებში ქალაქის თავს შეასაღა მშვენიერი ბრიგიტა, ვისაც თავით სიარული და დაშნების ყლაპვა ეხერხებოდა. აგეკაცმა მოსიყვარულე ცოლის ფასი მაშინღა გაიგო, როცა მშვენიერ ბრიგიტას დაშნა მართლაც გადასცდა და მოულოდნელად მიიცვალა, თან დამწუხრებულ მეუღლეს ორი თვის

გოგონა შუქია შეატოვა. აგეკაცმა ცოლი დიდი ზარით დამარხა, ზედაც მარმარილოს ქათქათა ფილა დაადო. ამიერიდან ვნებადამცხრალი აგეკაცი ქალებისაკენ არ იხედებოდა და ცოლი მაშინღა გაახსენდებოდა, როცა მარტოდ დარჩენილი, სარკის წინ, უკანა ტანს ისინჯავდა, მათრახის კვალი მაჩნევია თუ არაო. ქვრივობას მაინცდამაინც არ დაუღონებია, დრო კი თავისი გზით მიდიოდა. ქალაქი არჩანდა გაიზარდა, გალამაზდა, გამდიდრდა და ყოველი მოქალაქე თუ არა, თვით აგეკაცი ბედნიერი გახლდათ... აგეკაცს თმაში ჭაღარა შეერთო, მერე მთლად გამელოტდა, ხორთუმი უფრო წამოეზარდა, ყურები ჩამოეყარა. ისე მოსუქდა, ავ თვალს არ დაენახვებოდა. მართლაც ყურპარტყუნა სპილოს დაემსგავსა, მაგრამ კირკიტა გონება არ დასუსტებია და ერთიერთმანეთზე უცნაური იდეები მაინც არ ელეოდა. დღე არ გავიდოდა, ბრძანება, დეკრეტი, განცხადება არ გამოეკრა: ასე და ასე, ქალაქის თავმა ბრძანა, ჩაიში მარილს ნუ იყრითო, ფეხის ფრჩხილები ტყავ-გალანტერიის საამქროში ჩააბარეთო, ვაშლის მატლის ფერმა გავაშენოთო, კრემიანი ნამცხვრისაგან ეკლესიას ნუ ააგებთ, თორემ თავზე ჩამოგენგრევათო, ლურსმნებზე ნუ სხდებითო, თორემ ლურსმანი გაიღუნებაო და სხვა და სხვა... ამასობაში პაწია შუქიაც იზრდებოდა და შუქი ემატებოდა. რასაკვირველია, თავის ერთადერთს აგეკაცი მზის სხივსაც არ აკარებდა. ის კი არა, ოთახში სანთელიც არ იყო საჭირო, რადგან შუქია იმდენ სინათლეს ასხივებდა, ალბათ ერთი სახლის გასანათებლად კმაროდა.

სწორედ ამ დროს დაებადა აგეკაცს ახალი იდეა, რომელმაც ქალაქი არჩანდა უჩვეულო ქალაქთა სიაში ჩაწერა. ერთ მშვენიერ დღეს აგეკაცს თითი პირში ჰქონდა გაჩრილი და რაღაცაზე ღრმად ჩაფიქრებულიყო. მისმა უახლოესმა თანაშემწეებმა აქეთმამემ და ადლაჭკუამაც თითები პირში გაირჭვეს, იმიტომ კი არა, ჩვენც ახალი იდეა გვებადებაო, მაგდენს ხომ ვერც გაბედავდნენ, უფრო იმიტომ, ნუ გეშინია, უფროსო, ჩვენც მხარში გიდგევართო. ვინ იცის, რამდენი ხანი იჯდა აგეკაცი პირში ასე თითგარჭობილი. მერე, ეტყობა, დაიღალა. სკამიდან წამოდგა და ტახტზე გაგორდა, მზერა ჭერს მიაპყრო, თითი კი

პირიდან არ გამოუღია. „არ შემოეჭამოს!“ — შეშფოთდა აქეთმამე, მაგრამ შეხმიანება ვერ გაბედა. „სადილობის დრო რომ დადგება, მაშინ ხომ გამოიღებს პირიდან?“ — გამჭრიახობამ არ უღალატა ადლაჭკუას. მართლაც, კედლის საათმა დარეკა, — ქალაქის თავი კი ზუსტად სამ საათზე სადილობდა, — აგეკაცმა თითი პირიდან გამოიღო და დაასკვნა: „ოჰო!“ აქეთმამე და ადლაჭკუა მიხვდნენ, რომ პატრონს თავში მორიგი უჩვეულო იდეა მოუვიდა. აგეკაცს მეტი არაფერი უთქვამს. სადილობა და სამხრობაც ისე გავიდა, შემწვარ გოჭსაც ვერ ჩაატანა გემო. ნავახშმევს, პრასის მწნილს რომ შინდის მურაბიანი ჩაი დააყოლა, აქეთმამე და ადლაჭკუა თითით მოიხმო.

— ხომ მივაღწიეთ უდიდეს წარმატებებს? — ეჭვით შეეკითხა.

— თქვენი მმართველობის ეპოქაში ქალაქი არჩანდა მზესავით გასხივოსნდა! — მოახსენეს თანაშემწეებმა.

— მეც იქ არა ვარ, მაგრამ ვინ დაგიფასებს?

— მტერი ხომ არ გამოგვიჩნდა? — ელდა ეცა აქეთმამეს.

— წინ ნურავინ დაგვიდგება, თორემ... — გულმაგრად შეჰყეფა ადლაჭკუამ.

— ჩვენი ცხოვრება იმდენად ნათელია, ქალაქიდან უნდა განიდევნოს ყოველნაირი ჩრდილი! — მოჭრა აგეკაცმა.

მეორე დღესვე ქალაქის ყველა გზაჯვარედინზე გაიკრა უზარმაზარი განცხადება, რომელიც იუწყებოდა: „ვინაიდან და რადგანაც სინათლე კარგია, სიბნელე — ცუდი, მთელი არ ჩანდა კი სინათლის განსახიერებაა, ქალაქის თავის განკარგულებით, ქალაქიდან უნდა განიდევნოს ჩრდილი... სახლებს, ხეებს, ბორცვებს, თხრილებს, ყოველივე მოძრავსა და უძრავს უნდა მოეხსნას ჩრდილი და ქალაქიდან შორს, ღრმა ხევში გადაიყაროს... ყოველი მოქალაქე ვალდებულია, ზედ ჩექმის ჭვინტთან შეიჭრას ჩრდილი და საგანგებოდ დანიშნულ აგენტებს ხელწერილით ჩააბაროს... გაუმარჯოს ნათელ ცხოვრებას!“

ის დღე, ალბათ, სამუდამოდ შევა ქალაქ არჩანდას ისტორიაში. მთელი ქალაქი მაკრატლებით, დანებით, ბარებით, ფიწლებით შეიარაღდა. პირდაპირ ნადირობა გაიმართა. ხელისდადება ჩრდილიც ვერსად მიიმალა. ხეთა მსუბუქ ჩრდილს ბავშ-

ვიც წააცუნცულებდა, მაგრამ ქალაქის თავის რეზიდენციის ჩრდილი ასმა კაცმა ძლივს დაკეცა. ჩაბნელებულ კუთხეებში ხერხი მოუმარჯვეს და ძლივს მოაცილეს. აგეკაცის ბეტონის ქანდაკების ჩრდილს ტრაქტორი შეაბეს და კვარცხლბეკს ასე მოჰგლიჯეს. კვარცხლბეკი მოირყა და ქანდაკება გადაიხარა. გასწორებით კი ვერაფრით გაასწორეს. არც ქალაქელთა ჩრდილის მოჭრა აღმოჩნდა იოლი. იმ დღეს მრავალი არჩანდელი აიყარა და სხვა ქალაქებში გადასახლდა. და აი, მომდევნო დილა რომ დადგა, ქალაქი არჩანდა თვალის მომჭრელად აქათქათდა. ამის შემდეგ არჩანდელები მხოლოდ ქალაქის მუზეუმში ნახულობდნენ ჭიანჭველის ჩრდილს, რომელიც წინდახედულად მიკროსკოპის ქვეშ დაედოთ და გაბარჯღული გიგანტის დანახვისას არჩანდელ ბავშვებს გული უსკდებოდათ...

* * *

ინციდენტი დილის ამბით არ ამოწურულა. ცენტრალურ პროსპექტზე ბრბო ვერ იქნა, ვერ დაშალეს. მთელი პროსპექტი თავიდან ბოლომდე გაიჭედა. ხალხის ეს ტალღა წინ და უკან ეხლებოდა. ყაყანისა და გნიასისაგან ყურთასმენა არ იყო. არავინ იცოდა, ვინ რას ქადაგებდა და ვინ რას. პროსპექტის ბოლოს კვლავ ვიტრინა ჩაიმსხვრა, საიუველირო მაღაზიისა, მთელ ქალაქში ცნობილმა ქურდმა მაიტამაიტამ ბღუჯა ოქროს დასტაცა ხელი და ბრბოს შეერია. ერთგან სააფიშო ტუმბოზე სათვალიანი კაცი შემომჯდარიყო და ქადაგებდა, ამ მოულოდნელი საფრთხის ჟამს აგეკაცის ირგვლივ უნდა დავირაზმოთ, თორემ ქალაქი არჩანდა დაიღუპებაო. ქალაქის ოფიციალური ლოთი გიჟვანიჩკა ბნელი სოროდან ამოძვრა და ახლა ბღაოდა, გაუმარჯოს ჩრდილს, აგეკაცი გადავაყენოთო, მაგრამ წესრიგის დამცველები მოცვივდნენ და მეამბოხე კინაღამ ხეზე ჩამოჰკიდეს. ლოთები თავიანთ ბელადს გამოესარჩლენ. ატყდა ერთი დაკა-დაკა.

აგეკაცმა თანაშემწეები მოიხმო. ნერვების დასამშვიდებლად ყავის მოწრუპვას ცდილობდა, მაგრამ ხელი უკანკალებდა და ყავა პერანგზე ეღვრებოდა. აქეთმამემ ჯიბიდან ლურჯყდიანი წიგნაკი დააძრო და სხაპასხუპით ჩაარაკრაკა:

— ზუსტად ცხრა საათზე და ათ წუთზე, თქვენმა ქალიშვილმა შუქიამ გაიარა კაფე „ყავადანთან“, ვიტრინაში ჩაიხედა. ამ დროს ვიღაც მუტრუკმა თვალი ჩაუპაჭუნა. შუქიამ ეშმაკურად ჩაიღიმილა... ცხრა საათზე და თორმეტ წუთზე უნივერმაღის ვიტრინაში ჩაიხედა. იმ მუტრუკმა თვალი კვლავ ჩაუპაჭუნა, რის გამოც მეორე მუტრუკმა პირველს მუშტი დაანახვა... შუქიამ ისევ ჩაიღიმილა...

— ვერ დავიჭერთ? — გააწყვეტინა აგეკაცმა.

— ვისა, მუტრუკსა? კონფუზი იქნება... რამე რომ მოეპარა, მაშინ სხვა საქმეა...

— ვინ მუტრუკი გდია, მე იმ ჩრდილზე ვლაპარაკობ! — აგეკაცი ფანჯარასთან მივიდა, ფარდას ამოფარებულმა მოედნისაკენ გაიხედა. ხალხი ჯერაც არ დაშლილიყო. ბეტონის მონუმენტთან სახანძრო მანქანები იდგა. მეხანძრეები ლაყე კვერცხებით მოთხვრილ ქანდაკებას რეცხავდნენ.

— რამეს მოვისაზრებ, — თითი პირში ჩაიდო აგეკაცმა.

აქეთმამე და ადლაჭკუა გაისუსნენ, აქაოდა პატრონს ხელი არ შევუშალოთო.

ამასობაში ჩრდილი ყველასაგან მიტოვებულ კარუსელზე ერთობოდა. მერე ალბათ მობეზრდა და ქუჩაში დაიწყო ხეტიალი. ხან სად გაჩნდებოდა და ხან სად. თავისი უჩვეულობითა და სიდიადით შიშის ზარს სცემდა ყველას... ნაშუადღევს ბაზრის მოედანზე შემოეხეტა. მომიჯნავე სახლის სახურავს გადმოეყუდა და ვაჭრობაში გართულ ხალხს დააცქერდა. ბაზარი პანიკამ მოიცვა. ბრბომ ვიწრო გასასვლელისაკენ იხუვლა. ერთმანეთს არ აცლიდნენ და დიდძალი ხალხი დაშავდა. ათიოდე წამში მოედანზე უპატრონო საქონელი და რამდენიმე გულშემოყრილი კაცი დარჩა. ქურდმა მაიტამაიტამ იფიქრა, ნადავლი ნადავლს მიემატებაო და უპატრონო ბუდრუგანში შეცოცდა. მისდა გასაოცრად, ვიღაცამ ქეჩოში ცივი ხელი ჩაავლო და სახელოსნოდან შუა მოედანზე მოისროლა. შიშისაგან ზაფრანაჭამი მაიტამაიტა არც წამოწეულა, თავი მოიმკვდარუნა და მთელი საათი იქ ეგდო. შემდეგ კი ნელ-ნელა გაცოცდა და კედლებს ამოფარებულმა ბაზრიდან გააღწია.

ერთადერთი კაცი, ვინც აუმღვრევლად უცქეროდა ამ ამბავს, კომბოსტოს ცარიელ კასრში მცხოვრები ფილოსოფოსი იპოლიტე იყო. „მერედა რა, — მშვიდად განაცხადა ფილოსოფოსმა იპოლიტემ, — მზესაც კი აქვს ლაქები!“ ეს მისი ერთადერთი კრედო იყო, რადგან სხვა ფილოსოფიისა არა სწამდა რა. თქვა და გულარხეინად გვერდი შეინაცვლა, მზეს ახლა სხვა მხრიდან მივეფიცხებიო. უეცრად გრილი სუნთქვა იგრძნო. აიხედა, ჩრდილი ორაზროვნად დასცქეროდა. ფილოსოფოს იპოლიტეს იოტისოდენადაც არ შეშინებია. თავისი დიდი წინამორბედი გაახსენდა და ჩრდილს ალერსიანად მიმართა: „ცოტა მიიწი, ძამიკო, მზეს ნუ მეფარები!“

დაღამებამდე ცოტაღა აკლდა. ხალხი მაინც არ იშლებოდა. გიჟვანიჩკას პროგრამა ბრბოს თანდათან ჭკუაში დაუჯდა. სააფიშო ტუმბიდან სათვალიანი ქადაგი ჩამოათრიეს და ქალაქიდან გააპანღურეს. გიჟვანიჩკა მის ადგილს შემოსვეს, თან ერთი ბოთლი არაყი მოურბენინეს, ხმის ჩასაწმენდად დასჭირდებაო. მოსვამდა ყლუპს და იბღავლებდა: „ძირს აგეკაცი, გაუმარჯოს ჩრდილს!“ აღელვებული მომხრეები ერთხმად პასუხობდნენ: „ვაშა და ვაშა, გაუმარჯოს ჩრდილს!“

ამ დროს ჩრდილი უკვე ქალაქის იპოდრომზე აღმოჩნდა. ერთხანს მწვანე მდელოზე გორაობდა. დამფრთხალმა ცხენებმა აიწყვიტეს, სარბენ ბილიკზე გაჭენდნენ. ჩრდილი წამოეწია, ერთბაშად მთელ რემას შემოაჯდა ზურგზე და ქალაქის ცენტრისაკენ გააქროლა.

გადარეული ცხენები ხალხით გაჭედილ პროსპექტზე შემოთქარუნდნენ. ატყდა წივილ-კივილი, ღრიანცელი. ბრბომ მომიჯნავე ქუჩებს მიაშურა. ქვაფენილზე ფლოქვებით გათელილი რამდენიმე კაცი დარჩა. მარტო გიჟვანიჩკა იჯდა ტუმბოს თავზე. ბოთლში ასორმოცდაათ გრამამდე არაყი კიდევ ესხა და იმის გადასაყურწავად ემზადებოდა. ცხენთა რემამ რომ ჩამოიქროლა, ჩრდილის მოსასხამის კალთა გიჟვანიჩკას გამოედო. გიჟვანიჩკა ტუმბოდან გადმოვარდა, ძირს დაებერტყა და ბოთლი ქვაფენილს დაალეწა.

ქუჩები ერთბაშად დაცარიელდა...

* * *

შუქია ჰგავდა სინათლეს... ისეთი თვალისმომჭრელი ქალიშვილი დადგა, ერთ ბეწო ხინჯს ვერავინ უპოვიდა. ჯინსებში გამოკვანჭული შუქია ქუჩაში რომ ჩამოივლიდა, მთელ ქალაქს ერთი კაცივით ოხვრა აღმოხდებოდა და მეზობელი ქალაქის ეკლესიებში სანთლები ქრებოდა. ფარული ამოოხვრა რა არის, თაყვანისმცემლები ფარვანებივით ეხვივნენ. არჩანდაში ბევრი გული დამწვარა მისი ელვარებით, შუქიას გულის საიდუმლო კი არავინ იცოდა. ქალწული ყველას თანაბრად ურიგებდა სევდანარევ ღიმილს. ოღონდ ეს იყო, ქუჩაში შუქიას ხშირად ვერ ხედავდნენ. აგეკაცის იზოლირებულ აპარტამენტებში გაზრდილს მზეზე იშვიათად უშვებდნენ. მიეჩვია მარტოობას. სადმე კუნჭულში განმარტოვდებოდა ხოლმე თავის ზღაპრებთან, ოცნებებთან, ტკბილ ზმანებებთან, ფერად ფიქრებთან. ამ ფიქრებს იგი ამაღლებულ და წმინდა შუქეთში გადაჰყავდა, სადაც გვირილებით მოფენილ მინდორზე მშვენიერ უფლისწულს უნდა შეხვედროდა. წელზე ხელს შემოხვევდა მშვენიერი უფლისწული და ყვავილების სარეცლისაკენ წაიყვანდა... წმინდა ფიქრი ბინდს თითქოსდა ფანტავდა, შუქიას არსებაში სხივი სახლდებოდა. თანდათან მატულობდა ეს სხივი. თვრამეტისა რომ შესრულდა, სრულყოფილებას მიაღწია და მთლად სინათლეს დაემსგავსა.

ქალაქში არეულობის მეორე დღეს შუქია თავის ოთახში განმარტოვდა. იჯდა ფანჯარასთან და გულგრილად ათვალიერებდა არჩანდელი საქმროების სიას, რომელიც მამამისს შემოეგზავნა. ქაღალდის კუთხეში აგეკაცს გაკრული ხელით რეზოლუცია დაედო: „არჩევანის ვადა 10 დღე!“ სიაში მარტო რჩეული ახალგაზრდები შეეტანათ. ყოველი მათგანი სტანდარტული არჩანდელი იყო. იმ დროს უკვე არავის ახსოვდა შუქ-ჩრდილის არსებობა და იმიტომ ვერ აეხსნათ, თუ რატომ ჰგავდა თაობა თაობას. სტანდარტული არჩანდელი კი სიმაღლით 180 სმ იყო, ქერა, ლურჯთვალება, ლოყებღაჟღაჟა, კუნთებდაბერილი... არც შუქიამ იცოდა შუქ-ჩრდილის არსებობის ამბავი,

მზით გასხივოსნებული თვალსაწიერის მუდმივი კაშკაშისაგან თვალი სტკიოდა. ამიტომ ასე უინტერესოდ ჩაიკითხა მომავალი საქმროების გვარები. აუღელვებლად ჩაათვალიერა კანდიდატთა ფოტოები, ცალკე კონვერტში რომ ეწყო, და მაგიდაზე გულგრილად დააგდო.

სწორედ ამ დროს გაიხედა ფანჯარაში. აქედან ნახევარი ქალაქი მაინც ჩანდა. თვალი უკვე შეეჩვია სახურავთა ერთფეროვან სიკაშკაშეს, მაგრამ ახლა რაღაც უცნაურობა მოხდა. მზეს უჩვეულო რამ აეფარა. ქალაქის თავზე უზარმაზარი ჩრდილი მოაბიჯებდა. შუქიამ თვალი დახუჭა. შეშინდა, ის უზარმაზარი რაღაცა ჩემკენ ხომ არ მოდისო, მერე ფრთხილად გაახილა. ჩრდილი კინოთეატრ „ჩიტო-გვრიტოს“ სახურავზე ჩამომჯდარიყო და აქეთკენ იყურებოდა. უცბად ხელი გამოიწოდა. ფანჯარას თითქოს ღამე აეკრა. შუქიამ უკან დაიხია, მღელვარებისაგან გული საგულეში ვერ ჩაეტია. უნდოდა ვინმესთვის მოეხმო, მაგრამ ხმა ვერ დაძრა.

ეს იყო და ეს. ჩრდილი წამოიმართა, ორ-სამ შენობას გადააბიჯა და თვალსაწიერს გაშორდა.

შუქია კარგა ხანს იდგა ფანჯარასთან. მერე თითქოს რაღაცამ უბიძგაო, ადგილზე შეტრიალდა და ოთახიდან გავარდა. გზად მამის კაბინეტთან გაიარა. აგეკაცმა გამოიხედა, „სადილზე არ შეგაგვიანდეს!“ — მიაძახა, მაგრამ ქალიშვილს მისი ხმა არც გაუგონია.

ქუჩაში გასვლაც ვერ მოასწრო, აქეთმამე და ადლაჭკუა კვალზე აედევნენ. აქეთმამემ თავისი ლურჯყდიანი უბის წიგნაკი ამოიღო და კალამიც მოიმარჯვა. შიგ აღნუსხავდა ქალიშვილის ყოველ ნაბიჯს.

შუქიამ ვიტრინაში ჩაიხედა, შუბლზე ჩამოყრილი თმა შეისწორა.

ქუჩაში ხალხი ირეოდა. ერთხელ გარღვეული ჯებირი ვერ აკავებდა მოწოლილ ნიაღვარს.

შუქია სააფიშო დაფასთან შეჩერდა. დაფაზე ვრცელი განცხადება გაეკრათ: „ვინაიდან და რადგანაც მსგავსი არეულობანი და საზწესდარღვევანი ქალაქ არჩანდაში დასაბამიდან არ მომხდარა, ყოველივეში დამნაშავედ უნდა ჩაითვალოს ვიღაცა

თუ რაღაცა, რომლის ცოცხლად დამჭერს მიეცემა ფულადი ჯილდო ამდენი და ამდენი, აგრეთვე პერსონალური ტრამვაი“.

ხმა დაირხა, აგეკაცი საპრემიოდ პირველ ნომერ ტრამვაის იმეტებსო და ამან ხალხი მთლად გადარია. მთელი ქალაქი საბრძოლო ბანაკს დაემსგავსა. თოკებით, კავებით, ბარ-ნიჩბებით შეიარაღებული ქალაქელები დილიდანვე ჯგუფ-ჯგუფად დაძრწოდნენ და ცდილობდნენ ჩრდილის ადგილსამყოფლის პოვნას. ზოგიერთს ხომ ჩრდილი არასოდეს ენახა, წარმოდგენა არ ჰქონდათ, ვინ უნდა გაეთოკათ და დილის ნისლის გამოჭერას ცდილობდნენ, მაგრამ ციხეში ნისლის წაყვანა შეუძლებელი აღმოჩნდა.

შუქია ვერაფერს ხვდებოდა, მაგრამ ცდილობდა ბრბოში მიმალვას, რათა აქეთმამე და ადლაჭკუა ჩამოეშორებინა, ეს კი არც ისე ადვილი იყო.

ამ დროს პროსპექტზე სამგლოვიარო პროცესია გამოჩნდა. წინ გიჟვანიჩკა მოუძღოდა. მას შემდეგ, რაც ჩრდილმა მოსასხამის კალთა გამოსდო და არყის ბოთლი ხელიდან გააგდებინა, გიჟვანიჩკას პოლიტიკური შეხედულებები ას ოთხმოცი გრადუსით შეიცვალა და იგი ჩრდილისტების ბანაკიდან აგეკაცისტების ბანაკში გადაბარგდა, რითაც რენეგატისა და ოპორტუნისტის საპატიო სახელები დაიმსახურა. გიჟვანიჩკას მოჰყვებოდა ოთხი ლოთი, რომელნიც მომცრო კუბოს მოასვენებდნენ. ამათ კიდევ ყანწებით, აზარფეშებით, ჭინჭილებით, კათხებით, ლამპის შუშებით, ვაზებით და სხვა სასმისებით შეიარაღებული ლოთების ჯარი გამობმოდა. შუქია პროცესიას შორიახლო აედევნა.

ქალაქის თავის ქანდაკებასთან, მოედანზე პროცესია შეჩერდა.

— განვდევნოთ ჩრდილი ქალაქიდან, მან თავისი უდიერებით შეინირა ჩვენი საყვარელი... — გიჟვანიჩკამ მწუხარებისაგან სიტყვა ვერ დაამთავრა.

ლოთებმა სასმისები დააჟღრიალეს.

მოედანზე ხალხი თანდათან მატულობდა. ქალაქის სხვადასხვა კუთხიდან აგეკაცისტები იყრიდნენ თავს. ქალაქიდან გუშინ გაპანღურებული ქადაგი კვლავ გამოცხადდა, ისევ სა-

აფიშო ტუმბოზე აძვრა და ჩრდილის გაქიაქებას შეუდგა.

ამასობაში მოედნის მეორე კუთხეში ჩრდილისტების ჯგუფი შეიყარა. თანდათან გაივსო, გაიბერა და ნახევარი მოედანი ჩაიგდო ხელთ. ატყდა ყურთასმენის წამღები ყაყანი. ერთ მხარეს ღრიალებდნენ: „გაუმარჯოს აგეკაცს, ძირს ჩრდილი!“ მეორეში პასუხობდნენ: „გაუმარჯოს ჩრდილს, ძირს აგეკაცი!“ შუა მოედანზე მუშტიკრივი გაიმართა. ლოთებმა ჩრდილისტებს სასმისები თავზე გადაამსხვრიეს, მაგრამ ჯანი ღვინოში წასვლოდათ და ვერა დააკლეს.

ბრბოს ამ ღელვაში ადლაჭკუა და აქეთმამე სხვადასხვა ტალღამ გაიტაცა. შუქიაც მდინარებამ წაიღო. თვალი შეასწრო, ლოთებმა კუბოც რომ მოიქნიეს, და იქიდან ცხედრის ნაცვლად ბოთლის ნამსხვრევები გადმოცვივდა... ადლაჭკუა ვიღაცას მუშტებს ურახუნებდა, თითქოს ის მოქალაქე დოლი ყოფილიყოს. აქეთმამე კი ტალღამ შუქიას გვერდით ჩაატარა. ქალაქის თავის თანაშემწე უბის წიგნაკს თავზევით აფრიალებდა და კალამს ქაღალდზე ვერ ახვედრებდა. მომდევნო ტალღამ ქალიშვილი ხელოვნური წამწამების მაღაზიის ვიტრინას მიაჭეჭყა. შუქიამ თავი ფრთხილად დაიძვრინა და ქალაქის ბაღში შევიდა.

ბაღში სიწყნარე სუფევდა. მთელი ქალაქი მოედანზე იბრძოდა და აქ გამეფებულმა უჩვეულო მყუდროებამ შუქია დააფრთხო. შორიდან ღრიანცელი და ყიჟინა მოისმოდა, აქ კი ტოტზე შაშვი ჩამომჯდარიყო და თავისთვის ჭახჭახებდა.

მეზობელ ბილიკზე ქოლგიანი ბერიკაცი გამოჩნდა. ფილოსოფოს იპოლიტეს ზედმეტად დასცხა და ახლა ბაღში დასეირნობდა, თანაც თავის ერთადერთ კრედოს უკირკიტებდა.

შუქიას გული მოეცა.

ფეხის ხმა გაიგონა. აქეთმამე და ადლაჭკუა მორბოდნენ.

— ოჰ, ოჰ... — ქოშინებდა აქეთმამე. წეწვა-გლეჯაში სათაყვანებელი უბის წიგნაკი დაზიანებოდა.

— ოჰ, მეტი არ შემიძლია! — იღრინებოდა ადლაჭკუა.

— შენი ბრალია ყველაფერი! — კნაოდა აქეთმამე.

— მომეშვი! — ღოჯები გამოაჩინა ადლაჭკუამ.

ალბათ, ერთმანეთს ყანყრატოში ეცემოდნენ, მაგრამ ამ დროს ბაღის შორეულ კუთხეში წამოიმართა რაღაც დიადი და

არაჩვეულებრივი.

მოჩხუბრებმა ენა ჩაიგდეს. შუქიას სახეზე შიშნარევი სიხარული აღებეჭდა. იდგა ზვიადი ჩრდილი, ხელებით ჭადრის კენწეროებს ეყრდნობოდა.

— აქ ვარ, აქ! — წამოიძახა უცებ შუქიამ, ადგილს მოსწყდა და ჩრდილისაკენ გაიქცა.

უზარმაზარმა ჩრდილმა მკლავები გაშალა.

აქეთმამეს და ადლაჭკუას წუთის წინანდელი ჩხუბი დაავიწყდათ, უხმოდ გაეკიდნენ ქალიშვილს.

ორივემ ერთად სტაცა ხელი, უკან გამოათრიეს.

— გამიშვით, რა თქვენი საქმეა, გამიშვით! — ცრემლი წასკდა შუქიას, მაგრამ კაცები თავქუდმოგლეჯილნი გამორბოდნენ და არც მას უშვებდნენ ხელს.

ჩრდილი კვლავ წამოიმართა, ნაბიჯი გადმოდგა.

მოულოდნელად ფილოსოფოსი იპოლიტე გადაუდგა გზაზე, დაკეცილი ქოლგა მოუღერა.

— ძამიკო, გეიწი იქით, არაფერი ავნო ბაღანას!

დიადი ჩრდილი ერთ ადგილას აქანავდა, თითქოს გაკვირვებული ჩანდა ციცქნა ბერიკაცის სიმამაცით. მერე უკან დაიხია და ბაღის სიღრმეში მიიმალა.

* * *

მზე ჩასული არც იყო, როდესაც ქალაქის ბაღისაკენ დაიძრნენ. ოპერაციას ადლაჭკუა ხელმძღვანელობდა. ქალაქის მთელი ჟანდარმერია და პოლიცია აქ იყო. მოხალისეებს კი კაცი ვერ დაითვლიდა.

ბაღს ალყა შემოარტყეს და ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდებოდნენ იმ ადგილს, სადაც დაზვერვის მონაცემების თანახმად ისვენებდა დიადი რაღაცა.

ადლაჭკუას გული თავის ადგილას არ ჰქონდა. მუხლებში ძაბუნი ედგა. რამდენჯერმე ჩუმად აღებინა, მაგრამ ხელქვეითებს, საბედნიეროდ, ეს არ შეუმჩნევიათ. მხოლოდ აქეთმამე მიუხვდა ყველაფერს და თვალს არ აშორებდა. მისი ლურჯყდიანი წიგნაკი საკმაოზე მეტ შიშს გვრიდა ადლაჭკუას.

ალყა თანდათან შემჭიდროვდა.

ადლაჭკუამ ეკლიან ძეძვში შერგო ცხვირი. ხმელმა ფიჩხმა გაიტკაცუნა.

— სსუ! — თვალი დაუბრიალა აქეთმამეს, თუმცა ფიჩხს ფეხი თვითონ დაადგა.

უცბად იგრძნო, რომ ვიღაცა საყელოში ჩააფრინდა. ადლაჭკუას შეაცივა. თავი მოიმკვდარუნა. ის ვიღაცა კი ხელს არ უშვებდა. ადლაჭკუამ ხეს ამოფარებულ აქეთმამეს შესაბრალისად გახედა. აქეთმამე გაფაციცებით იწერდა რაღაცას. ადლაჭკუამ თავი ასწია, ეკლიანი ტოტი აღმოჩნდა.

სამარცხვინო მარცხით გაცოფებულმა წინ გულმაგრად გასწია.

ხელქვეითნი უჩუმრად მოძვრებოდნენ ყოველი მხრიდან.

მზის სხივები ბაღში ირიბად გაწვა. ნისლი მსუბუქ ფარდებად ეფინებოდა.

კიდევ ცოტა და ბუჩქებს მიღმა უნდა გამოჩენილიყო დიადი ჩრდილი, ვინაც მთელი ქალაქი დააფრთხო.

ადლაჭკუას გულს ბაგაბუგი გაუდიოდა, საფეთქლებზე სისხლი უკაკუნებდა.

ბუჩქიდან თავი ფრთხილად გამოყო, თავდაპირველად ვერაფერი გაარჩია და პირდაღებული დააცქერდა იმ ადგილს, სადაც მტერი ეგულებოდა.

მწვანე მდელოზე წარმოსადეგი, შავგვრემანი ჭაბუკი ისვენებდა, არაფრით ჰგავდა არჩანდელ სტანდარტულ ჭაბუკებს.

„ეს ვინღაა?“ — გაუკვირდა ადლაჭკუას და სამალავიდან გამოძვრა. სხვებიც ფეხზე წამოცვივდნენ. მთელი ბაღი ყაყანმა და ხორხოცმა აავსო.

ჭაბუკი, ალბათ, არ მოელოდა ადამიანთა გამოჩენას. წამით კრთომა დაეტყო. წამოიწია, ოქრონაქსოვი მოსასხამი ხელს ააყოლა.

აქეთმამემ ეჭვით ახედა უცნობს და ადლაჭკუას ჩასჩურჩულა:

— არ გაუშვა!

ადლაჭკუა თვითონაც ასე ფიქრობდა, მაგრამ აქეთმამეს ჩარევა არ ეპიტნავა, და ცივად მოიშორა:

— მე მიბრძანეს, ჩრდილი დაიჭირეო!

სიტყვის მომთავრებაც ვერ მოასწრო, იმ ადგილას, სადაც ჭაბუკი იდგა, უცბად ბოლივით რაღაც დატრიალდა. ზე აიზიდა, ხეთა სიმაღლეზე წამოიმართა დიადი ჩრდილი. მოალყეებმა თავპირისმტვრევით მოუსვეს. ჩრდილმა ჭიანჭველებივით არეულ ხალხს გადაალაჯა და გაუჩინარდა.

აქეთმამე პირველი გამოიქცა. ყველასათვის უნდა დაესწრო და აგეკაცისათვის ამბავი მოეტანა.

ქალაქის თავმა სიმწრისაგან კინაღამ ხორთუმი მოიწიწკნა. გაავებული ეხლებოდა კაბინეტის დაჯავშნულ კედლებს.

— უფროსო, ვინც სარმას გიკეთებს, იმას უნდა ამასცხო. — წასჩურჩულა აქეთმამემ.

აგეკაცმა გაფითრებულ ადლაჭკუას ცხვირწინ მუშტი დაუტრიალა:

— ერთ ღამეს გაძლევ, იცოდე, დილისათვის ქალაქში წესრიგი უნდა აღსდგეს!

ადლაჭკუა წკმუტუნ-წკმუტუნით გავარდა კარში და იქ თავის ხელქვეითებს აუტეხა ღრენა და ყეფა.

ერთი საათიც არ გასულა, ქალაქში განცხადება გაიკრა: „ვინაიდან და რადგანაც ქალაქში მომრავლდა ჩრდილის მიმდევრები, გადაწყვეტილია ყველა ჩრდილისტის დაპატიმრება. ჩრდილისტებო, მაინც ვერსად წაუხვალთ ადლაჭკუას მამაც მაძებრებს, ამიტომ გირჩევნიათ თვითონ გამოცხადდეთ ციხეებში. ვინც ადრე მოვა, კეთილმოწყობილ საკანს მიიღებს!“

ამ განცხადებას პასუხად ის მოჰყვა, რომ ციხის კართან კეთილმოწყობილი საკნების მსურველთა რიგი დადგა. ცხადია, ყველა ერთნაირად შეგნებული არ იქნებოდა, ზოგი ძალით გახდა მოსაყვანი. ამათთვის საკანს ვინ გაიმეტებდა და ჰიპოდრომის თავლაში დაამწყვდიეს. შუაღამემდე გრძელდებოდა ნადირობა. შუაღამეზე კი ადლაჭკუა და აქეთმამე კინოთეატრ „ჩიტო-გვრიტოსთან“ შეიყარნენ. აქეთმამე ლურჯყდიან წიგნაკში ჩასამწყვდევთა სიას აზუსტებდა. ადლაჭკუა კი დაგდებული პაპიროსის ნამწვს სუნავდა, „ჩრდილისტის“ მოწეული ხომ არ არისო.

ეჭვით შეათვალიერეს ერთმანეთი. უცბად შეთანხმებულე-

ბივით მოწყდნენ ადგილს, გასწრებაზე გამოიქცნენ ქალაქის თავის რეზიდენციისაკენ. კიბეზე ხან ერთი ასწრებდა, ხან მეორე. დერეფანში გვერდიგვერდ მორბოდნენ. კაბინეტის კარში კი გაიჭედნენ.

აგეკაცი მოუთმენლად იცდიდა.

ბოლოს ორივე მივარდა ქალაქის თავის ყურებს, ერთი მარჯვენა ყურს დაეპატრონა, მეორე მარცხენას.

— უფროსო, ეს აქეთმამე დიდი გაიძვერა ვინმეა, ვფიქრობ, აქეთმამისტები გვიპირებენ რაცხა-რაცხას...

— უფროსო, ადლაჭკუას საქციელი მეეჭვება. აბა, რატომ გაუშვა ჩრდილი? ჩვენი მომხრეების ნახევარი ადლაჭკუისტებია და ვაითუ სარმა გაგვიკეთონ...

აგეკაცმა იქედნურად ჩაიხითხითა და ჯერ ადლაჭკუას ჩასჩურჩულა:

— იმასუქენით!

მერე აქეთმამესაც:

— იმასუქენით!

მთელი დღე და მეორე ღამეც გრძელდებოდა ადლაჭკუისტებისა და აქეთმამისტების დაპატიმრება. უკვე არავინ იცოდა, ვინ ვის იჭერდა და რისთვის. ბოლოს და ბოლოს ადლაჭკუამ და აქეთმამემ ერთმანეთი დააპატიმრეს და ერთ ყველაზე კეთილმოწყობილ საკანში ჩასხდნენ.

ქალაქის თავს უძილობისაგან თვალები ჩაუცვივდა. ძილი ეძალებოდა და ზარი დარეკა, ყავა შემომიტანეთო. არავინ გამოეპასუხა. „მდივანიც დაუჭერიათ?“ — გულგრილად გაიფიქრა.

კაბინეტიდან გამოვიდა, დერეფანი ჩაისეირნა. კარებს აღებდა და ოთახებში იხედებოდა. არსად არავინ ჩანდა.

ერთგან ფანჯარასთან შუქია იდგა და, ეს რატომ არ დაიჭირესო, ანგარიშმიუცემლად გაიფიქრა.

არ გამოლაპარაკებია. შენობიდან გამოვიდა. პროსპექტს გახედა. ძეხორციელი არ ჭაჭანებდა.

უჩვეულო შიშმა შეიპყრო. ქალაქი მთლად დამშვიდებულიყო.

საკუთარი მონუმენტის წინ შეჩერდა. კვარცხლბეკს ხელისდადება ჩრდილი წამოზრდოდა. აქამდე ეს ცვლილება არ შეუმჩნევია. დააკვირდა. სახლებსაც და ხეებსაც ციცქნა ჩრდილები

ეზრდებოდა. საკუთარი ფეხსაცმლის ჭვინტთანაც შეამჩნია შავი ლაქა.

ტანში გაბურძგლა. ქუჩის კუთხიდან დიადი ჩრდილი გამოვიდა, — ყოველივეს მიზეზთა მიზეზი, — და მთავარ პროსპექტზე დინჯად ჩაისეირნა.

აგეკაცი გაიქცა. კისრისტეხით აძუნძულდა კაბინეტში და ფანჯრებზე გისოსები ჩამოუშვა.

ბაზრის მოედანზე კომბოსტოს კასრში მცხოვრებმა ფილოსოფოსმა იპოლიტემ ტკბილი ძილიდან გამოიღვიძა და თავისი სათაყვანებელი კრედო წაიჩურჩულა: „მერედა რა, მზესაც კი აქვს ლაქები!“ კასრიდან გამოსვლა მოინდომა, მაგრამ თურმე სახურავზე ვიღაცას უზარმაზარი ბოქლომი დაედო...

საკმაოდ დიდი დრო გავიდა, აგეკაცს შიშმა გაუარა. კაბინეტის კარს არავინ ამტვრევდა და, როცა შიმშილმა თავი შეახსენა, თანაშემწეები მოისაკლისა. ტელეფონის ყურმილი აიღო. ავტომატური სადგური ჯერ კიდევ ჩართული იყო. ათ ადგილას მაინც დარეკა, ყურმილი არსად არ აიღეს. ბოლოს იფიქრა, ციხეში მაინც ხომ იქნებიანო და იქ დარეკა. გაუხარდა, ადამიანის ხმა რომ შეეპასუხა, ადლაჭკუა და აქეთმამე აქ სხედანო. სასწრაფოდ დაიბარა. სანამ ისინი გამოცხადდებოდნენ, კვლავ დაიბოღმა. კაბინეტში შემოსულებს საყვედურებით ეცა.

— ბრიყვებო! — სიბრაზისაგან ხორთუმი უთამთამებდა ქალაქის თავს. — ის კი არ მითქვამს, ქალაქი დამიცარიელეთ-მეთქი. ყველანი თუ დაიჭირეთ, მაშინ მე ვინ უნდა ვმართო?

— შევცდით, უფროსო! — შიშის წკმუტუნი აღმოხდა ადლაჭკუას.

— უფროსო, ამნისტია გამოვუცხადოთ და კიდეც დაგვიმადლებენ! — აქეთმამემ რბილი თათები მოიფშვნიტა.

ქალაქის თავს სხვათა იდეებს საკუთარი იდეები ერჩივნა, მაგრამ მშიერი იყო და უკეთესი გამოსავალიც ვერაფერი მოიგონა.

— მიდით ახლა და ყველას გამოუცხადეთ, ქალაქის თავმა მამაშვილურად ყველაფერი გაპატიათ-თქო, იცოდეთ, აწი არ გამაბრაზოთ-თქო... სხვაზე ადრე კი მზარეული მომგვარეთ, შიმშილით ხომ არ მოვიკლავ თავს!

— სანამ მზარეული მოვა, ეს მიირთვი უფროსო! — აქეთ-მამემ ჯიბიდან ბალიშა კამფეტი ამოაძვრინა და გაუწოდა.

აგეკაცმა კამფეტი პირში ჩაიდო, მერე თითიც გაირჭო. თან წუწნიდა, თან ფიქრობდა, რა ვქნა, ჩრდილს ბოლომდე ვეომო თუ შევურიგდეო.

ქალაქის მდუმარებაში თანდათან სუსტი ხმები შემოიჭრა. ჯერ თითო-ოროლა გადალაპარაკება მოისმა, მერე იმატა ჩოჩქოლმა, რუზრუზმა, ყაყანმა, სადღაც გაიწკრიალა ტრამვაიმ და მალე არჩანდა ჩვეული ხმებით აივსო.

„ჰმ, რა სწრაფად იმოქმედა ამნისტიამ!“ — გაიფიქრა აგეკაცმა.

თეთრჩაჩიანი მზარეული შემოცუნცულდა, შემწვარ-მოხრაკულის სუნი შემოიტანა.

აგეკაცმა პირიდან თითი გამოიღო.

— ჩემს გოგოს უთხარი, სადილი მზად არის-თქო! — უბრძანა.

მზარეული შუქიას დასაძახებლად გაიქცა და უმალვე გამობრუნდა, თაგუნასავით წვრილი თვალები შიშით ააპარპალა.

— გაპარულა!

— რაო?

დიახ, შუქია გაიპარა!

შუქიამ რომ გამოიღვიძა, ქალაქში უჩვეულო მდუმარება დასადგურებულიყო. ჯერ იფიქრა, ალბათ შუაღამეაო, მაგრამ ფანჯარაში მზე იყურებოდა. წამოდგა, დერეფანში გასვლა მოინდომა. კარი ვიღაცას გარედან ჩაეკეტა. აბა, საიდან ეცოდინებოდა, რა მოხდა იმ ღამეს ქალაქში. დიდად არ შეწუხებულა, მარტოობას ხომ მაინც მიჩვეული იყო. დადგა ფანჯარასთან და დაელოდა. იქნებ თვითონაც არ უწყოდა, ვის ან რას. ფანჯრიდან ქალაქის ჩვეული ხედი იშლებოდა. სახურავები წინანდელივით კაშკაშებდა. ეგ იყო, აქა-იქ შავი ლაქა მომრავლებულიყო. შუქიამ არ იცოდა, რა იყო ეს ლაქები, მაგრამ სიჭრელე ქალაქს უხდებოდა.

ასე გაგრძელდა საკმაოდ დიდხანს. მზემ მაღლა აიწია, შიმშილი არც მოჰგონებია, მამაზე კი იფიქრა, ალბათ, დღესაც „ტრიუმფით“ ერთობა და წასულიაო.

ამ დროს სახლებს შორის გამოჩნდა ჩრდილი. შუქიას შიშისაგან გული გადაუქანდა, მაგრამ თავს ძალა დაატანა და ადგილიდან ფეხი არ დაძრა.

დიადმა ჩრდილმა სახლებზე გადმოაბიჯა, ხელი გამოაწვდინა და ფანჯარას შეეხო.

შუქია წამით შეყოყმანდა. მერე მივარდა ფანჯარას, გახსნა, გისოსები ჩამოსწია. ოთახში დილის ნიავმა შემოაღწია. ქალიშვილმა თვალი დახუჭა. იგრძნო, რომ რაღაც გრილი და სათუთი ეხვეოდა, ზე ასწია, იატაკს მოსწყვიტა. შუქიას წინააღმდეგობა არ გაუწევია, მიენდო უჩვეულო, ყოვლისმომცველ ძალას. ბოლოს, თვალი რომ გაახილა, ქალაქის ბაღში, მწვანე მდელოზე იჯდა. მის წინ კი უცნობ ჭაბუკს მოერთხა ფეხი.

— ჰეი, როგორ შემაშინე, — ჩურჩულით შეეხმიანა შუქია, — ვინა ხარ?

— ობოლი უფლისწული, — გაუღიმა ჭაბუკმა, — ქალაქგარეთ, ღრმახევში ჩრდილები რომ სახლობენ, იმათ აღმზარდეს.

— არასოდეს გამიგონია, ჩრდილები რომ სადმე სახლობდნენ, — გაუკვირდა ქალიშვილს.

— წინათ ისინი ყველგან სახლობდნენ — ყოველ საგანს თავისი ჩრდილი ჰქონდა. მერე ქალაქის თავს უბრძანებია და ყველა ჩრდილი ღრმახევში გადაუსახლებია... აი, იქ გავიზარდე.

— აქ რად მოხვედი?

— სინათლე მომენატრა. აქამდე ხომ არ მენახა იგი. ბებერი ჩრდილები იხსენებდნენ ხანდახან. შენ დაგინახე და დავრწმუნდი, რა მშვენიერია სინათლე.

— მე კი ჩრდილი მაკლდა თურმე! — ხელი გაუწოდა შუქიამ. ჭაბუკმა ხელი შეაგება, წამოდგა.

— მე აქ ჩრდილი დავთესე, ახლა კი ღრმახევში წაგიყვან, იქ სინათლე სჭირდებათ!

ესენი რომ აქ საუბრობდნენ, დაჯავშნულ კაბინეტში აგეკაცი ბობოქრობდა, თანაშემწეებს ცხვირწინ მუშტს უქნევდა.

ადლაჭკუას ცხვირი ასწითლებოდა. მთელი სახლი შემოირბინა, ყოველი კუნჭული დასუნა, ნაკვალევი კი ვერსად იპოვა.

აქეთმამეც ლურჯყდიან უბის წიგნაკში იქექებოდა და, ქალაქის თავი წამით რომ გაჩუმდა, სწრაფად ჩაურთო:

— ციხეში ვისხედით, მაგრამ თვალი და ყური ყველგან გვქონდა, აგერ მიწერია, ზუსტად ათ საათსა და ათ წუთზე, იმ ვიღაცამ თუ რაღაცამ შუქია ფანჯრიდან გადაიყვანა და გაშპა...

— ბრიყვებო, უქნარებო! — ისევ აყვირდა აგეკაცი, მაგრამ ლანძღვით საქმეს რას უშველიდა და ბრძანება გასცა: — ფეხზე დააყენეთ ყველანი, ახლავე დაიჭირეთ ის არამზადა!

აქეთმამე და ადლაჭკუა გარეთ გამოცვივდნენ. ქალაქი უფრო აღელვებული ჩანდა. ციხეში ყურყუტმა მთელი ქალაქი ჩრდილის წინააღმდეგ აამხედრა. ყოველ კუთხეში ჩრდილს ებრძოდნენ, მაგრამ ყოველ საგანს ჩრდილი გამობმოდა და არაფრით არ სძვრებოდა. აგეკაცის რეზიდენციის წინ რამდენიმე ახალგაზრდა გორაობდა, ჩრდილების მოშორებას ცდილობდნენ, ჩრდილები კი რეზინივით იწელებოდნენ და პატრონს უფრო ეკვროდნენ. თანდათან მთელი არჩანდის მოსახლეობამ იქ მოიყარა თავი. ზღვა ხალხმა გაავსო თვალსაწიერი. უმრავლესობამ არც იცოდა, რა იყო ჩრდილი და რაღაც გადამდები სენი ეგონათ. ხანში შესულებიც, ვისაც თავისი ახალგაზრდობა ახსოვდა, გადაჩვეულიყვნენ ჩრდილის ტარებას და ახლა ემძიმებოდათ.

ადლაჭკუა კარებში ჩადგა, ეს ამოდენა ხალხი არ დაიძრას და ქალაქის თავი არ გადათელონო.

აქეთმამემ კი კაბინეტში შეიჭყიტა.

— რა ქენით? — იკითხა მოქურუშებულმა აგეკაცმა, თან ნერვულობისაგან ხორთუმის წვერი მოიწიწკნა.

— უფროსო, ჩრდილი ისე მომრავლებულა, დედას გეფიცებით, ერთმანეთისაგან ვერ გაგვირჩევია. ვეღარ მივხვდით, რომელმა წაიყვანა ჩვენი სათაყვანებელი შუქია!

აგეკაცი ერთხანს დუმდა, მერე ხმადაბლა იკითხა:

— ხალხი რას ელოდება?

— ცუდი არაფერი გეგონოს, უფროსო, ხალხი შენ გელოდება, შენი იმედი აქვს!

— რა გვინდაო?

— ძველი უღელი გვირჩევნია, ჩრდილი არ გვინდაო!

— მაცადონ! — ბრძანა აგეკაცმა და თითი პირში ჩაიდო.

აქეთმამე გარეთ გავიდა და ყველაზე წინ მდგომს წასჩურჩულა:

— იცადეთ.

ხალხს ტალღასავით აღმა-დაღმა გადაუარა:

— იცადეთ, იცადეთ!

აგეკაცი დიდხანს მისჩერებოდა ჭერს. ანგარიშმიუცემლად იწუწნიდა თითს, მერე პირიდან გამოიღო, წამოდგა და აივანზე გავიდა.

ზღვა ხალხი ირხეოდა. ხმაც რომ არავის ამოეღო, ამოდენა ბრბო მაინც გამოსცემდა სკისმაგვარ ზუზუნს.

ქალაქის თავი რომ გამოჩნდა, მოედანზე სრული სიჩუმე ჩამოვარდა.

— ხალხო! — აგეკაცი ხმადაბლა ლაპარაკობდა, თანაც ენას საგრძნობლად იჩლექდა, რადგან ხორთუმი უშლიდა ხელს, მაგრამ მისი ხმა მაინც მკაფიოდ ისმოდა. — ჩემი გჯერათ?

— გვჯერა, გვჯერა! — კანტიკუნტად გაისმა პასუხი, აქაიქ ტაშიც შემოჰკრეს. მერე კვლავ დუმილი ჩამოვარდა.

— თუ გჯერათ და... — დამარცვლა აგეკაცმა, — მაშინ გამიგონეთ! მე დღეს თავში დამებადა დიადი იდეა, რითაც არჩანდა ქვეყნიერებაზე გაითქვამს სახელს. ხალხო, ჩრდილი საგნის თვისებაა, მოსპეთ საგანი და არ იქნება ჩრდილი!

ეს თქვა და შებრუნდა...

* * *

ის, რაც ქალაქის თავის სიტყვებს მოჰყვა, კალმით არ აიწერება და ენით არ ითქმება. ისტორიამ ვერაფერი შემოინახა ამ ამბებზე, რადგან ქალაქი არჩანდა ერთ დღეში გაქრა. თანაც ისე, ამბის მთხრობელი არავინ დარჩა.

ქალაქის თავმა ბრბოს ზურგი შეაქცია, მთელი წუთი ბუზის გაფრენას გაიგონებდა კაცი. მერე უცბად ვიღაცამ იკივლა: „მიდი და მოსპე!“ ამოძრავდა ეს უზარმაზარი ბრბო, ღრიანცელით შეესია ქუჩებს, ვინც რა მოიხელთა ხელში, ის გაიხადა იარაღად. გაისმა მინის ლაწუნი, ჩახაჩუხი, ჟღრიალი. მოჩეხილი ჭადრები გაიშხლართა პროსპექტის გარდიგარდმო. სახურავებზე ხანძარი ავარდა. ცეცხლის ალი გადავიდა სახლიდან სახლზე, მიაღწია დენთის საწყობს და ისე იგრიალა, ვულკანის ამოხეთქვას ჰგავდა.

სიგიჟე მთელი დღე და ღამეც გაგრძელდა. აგეკაცი კვლავ თავის კაბინეტში იჯდა. ქალაქის ხმებს უგდებდა ყურს. სახურავებზე ავარდნილ ალს რომ თვალი მოჰკრა, იფ, რა ლამაზი სანახაობააო, — ესღა ჩაიდუდუნა. მოგვიანებით, შეჯავშნული კაბინეტი რომ გახურდა, მაშინღა მიხვდა, მის რეზიდენციასაც ცეცხლი მოსდებოდა. სხვა გზა არ იყო, ფანჯრიდან გადაძვრა. საწვიმარ მილს ჩაჰყვა. მილმა ვერ გაუძლო. პატივცემული ქალაქის თავი მეორე სართულიდან მოწყდა და ბრაგვანით დაებერტყა. ხორთუმი ერთხელაც დაეჭეჭყა. შუბლზე კოპი დააჩნდა. ჯიბეში შაურიანი მოიძია და კოპზე დაიდო.

უკვე თენდებოდა. აგეკაცი მთავარ მოედანზე გამოძუნძულდა. ბეტონის ქანდაკება დაფშვნეული ეგდო. მიიხედ-მოიხედა. ქალაქი არჩანდა არ არსებობდა. მის ადგილას ფერფლი და ნაგვის გროვა ეყარა.

პირველად თავის სიცოცხლეში შეცბა ქალაქის თავი. არჩანდელებიც თითქოს გამოფხიზლდნენ. თავიანთ ნამოქმედარს რომ უყურებდნენ, თვალს არ უჯერებდნენ. საოცარი ის იყო, არჩანდელებს ფეხქვეშ ჩრდილი გამობმოდათ. შიშით მიაშტერდნენ ერთიმეორეს, ყოველ მათგანს ერთმა აზრმა გაუელვა, ვაითუ ჩრდილის გამო ფეხებიც დამაჭრანო. იხუვლა ხალხმა, ვისაც საითკენ შეეძლო, იქით გაიქცა.

აგეკაციც მოწყდა ადგილს. დიდხანს მიძუნძულებდა, სანამ ტრიალ მინდორზე გააღწევდა.

მინდვრის ბოლოს შუქია და შავგვრემანი ჭაბუკი მისეირნობდნენ. ორი საწყისის ეს შერწყმა სრულ ჰარმონიას ქმნიდა.

აგეკაცის წინ, ღრმახევში, სადაც ოდესღაც არჩანდელებმა ჩრდილები ჩაზიდეს, ახალი ქალაქი გადაშლილიყო.

ბოლო არჩანდელმა, ფილოსოფოსმა იპოლიტემ შორიახლო შეისვენა, ცას ახედა. „მერე რა, მზესაც კი აქვს ლაქები!“ — ბრძნული აზრი ასესხა აგეკაცს და კომბოსტოს კასრი გააგორა.

კრებულები: „პირველი ზეკარი“, 1983, გამომცემლობა „ნაკადული“ „კუნძული“; 1988, გამომცემლობა „საქართველო“.

სინდისი

კარპე ქუჩუკიძემ, შინაურობაში ქუჩუდ წოდებულმა, სინდისი იყიდა და იმ დღიდან მისი საქმე უკუღმა წავიდა. ერთი შეხედვითაც ჩანდა, სინდისი ძველი და ათასგზის ნახმარი იყო, პატრონს გაერეცხა და ალაგ-ალაგ თეთრი ძაფითაც ამოეკერა. პატრონი, ერთი ლოთობისგან მოთავებული მათხოვარი, არც მალავდა, ამ სინდისმა გამამათხოვრა, თორემ ადრე მეც კაცი ვიყავი და ხალხში ვერიეო. თავდაპირველად ძვირი დააფასა, მაგრამ, მუშტარი მთლად არ დავკარგოო, და ჩალის ფასად დათმო. კარპემ შენაძენი გაზეთში გაახვია, მანქანაში, უკანა სავარძელზე ფრთხილად დააწვინა. იმ დღეს გვიანობამდე არ გახსენებია. ტრესტში რევიზია მოსულიყო. შიშნარევმა ფაციფუცმა მთელი დაწესებულება საფუტკრეს დაამსგავსა. კარპე კაბინეტიდან ვერ გამოდიოდა. საქმიანი ქაღალდებისაგან ლამის იხრჩობოდა. თოკზე გასული ჯამბაზის როლი, ალბათ, უფრო იოლი იყო, რადგან ერთ რომელიმე ფარატინა ქაღალდს შეეძლო კარპე ქუჩუკიძის დაღუპვა. ნაშუადღევს ჩაი რომ შემოუტანეს, მაშინღა გაახსენდა ამდილანდელი შენაძენი და მდივან გოგონას უბრძანა, ერთი ჭიქა იმასაც ჩაურბენინეო.

კარპე ქუჩუკიძემ სიცოცხლის ნახევარი საუკუნის მანძილზე იმის მაქსიმუმს მიაღწია, რისი მიღწევაც მისი ყაიდის კაცს შეეძლო. ქალაქში პირველად რომ ჩამოვიდა, ყველა ქუჩუდ იცნობდა, ძირგავარდნილი ტილოს ფეხსაცმელები და მუხლისთავებდაბერილი შარვალი ეცვა. მაგრამ ახალ ვითარებას უმალ აუღო ალღო. ისეთი ყნოსვა ჰქონდა, ყოველთვის იცოდა, საიდან რა ქარი ქროდა. თუმცა მისი ხომალდი არაერთგზის გადაყირავდა, გუშინდელი მეგობრები და თანამზრახველები დავიწყების სიღრმეში ჩაიძირნენ, იგი მაინც მუდამ წყალზევით ტივტივებდა. ერთი კი იყო, ზოგიერთივით იმთავითვე ფულის ხვეჭა არ დაუწყია. ელვასავით ბიჭი გახლდათ და საქმეს მიხედა. მისი ყოფილი უფროსები, რომლებსაც ჩუმჩუმად საფლავს უთხრიდა, ტრაბახობდნენ, ეს რა ხვითო შევიძინეთო. ყოველივეს ისე

ახერხებდა, აღზევებულნიც და დაცემულნიც ემადლიერებოდ-
ნენ. ნაბიჯ-ნაბიჯ მიცოცავდა კარიერის ძნელ კიბეზე და მის ირგ-
ვლივ თვალსაწიერიც თანდათან ფართოვდებოდა. ფულმა,
თანამდებობამ და ფხამ მისი სავარძელი თუმცა მიუწვდომელ
სიმაღლეზე ვერ აზიდა, მაგრამ ცხოვრების თეატრში ზოგიერ-
თებზე უკეთესი ლოჟა ერგო. ამიერიდან კაცებში გაერია, დიდი
კაცის სახელი დაანათლეს და გუშინდელი ქუჩუ დღევანდელ ბა-
ტონ კარპედ გადაიქცა. ოღონდაც, ყველაფერს თავისი დასასრუ-
ლი აქვს. ერთხელაც იქნება და ყველაზე ვირეშმაკა კაციც გაბ-
რიყვდება. ამას მაშინ მიხვდა, როცა მდივანი ქალის ხელით
სინდისს ჩაი ჩაუგზავნა, თვითონ კი რევიზორს ვერ გადაუმალა
ერთი ციცქნა ქაღალდი, რომელიც, მართალია, ცას თავზე ვერ
წამოამხობდა, მაგრამ ეჭვის საბაბს ქმნიდა, მას კი შეეძლო ჯიბე-
ში ჩაეჭმუჭნა და მერე გადაეგდო. თვითონაც კი გაოცდა, რატომ
არ მოიქცა ასე? რევიზორმა ერთი ამოიხვნეშა, ალბათ, გუნებაში
იფიქრა, რამ გაასულელა ეს კაციო... საბედნიეროდ, ტელეფონ-
მა დარეკა. გაერთიანების გენერალური დირექტორი ახსენებდა
თავს, შენზე უკეთეს სათამადო კაცს სად ვიშოვიო. იუბილეს იხ-
დიდა და ძვირადღირებული საჩუქრების მოლოდინში იყო.
კარპემ გუნებაში შეუკურთხა გენდირექტორს, ყურმილში კი
სულ „პლატონიჩს შემოვევლეო“, — იძახა...

დღის ბოლოს რევიზორი დაპატიჟა რესტორანში. ქეიფის
გუნებაზე სულაც არ იყო, მაგრამ რაღაცნაირად წამოსცდა, ერ-
თი ძველებურად ვიპურმარილოთო, და რევიზორის სახეს ნათე-
ლი რომ დაეფინა, სიტყვის უკან წაღება ვერ შეძლო. მიეთმო-
ეთების დარგში მოადგილეც წამოიყოლა, ტაშ-ფანდურის ფი-
ნანსურ მხარეს ის განაგებდა ხოლმე, და მთავარი ინჟინერიც,
რადგან ამ უკანასკნელს ბოთლიდან საცობის ამოგდება ეხერ-
ხებოდა... მანქანაში რომ ჩასხდნენ, სინდისი შეავიწროვეს. სინ-
დისს გაზეთი შემოეხსნა, ცხვირჩამოშვებული იჯდა. „რა გამ-
ხდარია?“ — გაიფიქრა კარპემ. სინდისს სახეზე ქაღალდის ფე-
რი ედო, ყვრიმალებზე კანი აპკივით გადაჰკროდა, ნეკნები სა-
თითაოდ დაეთვლებოდა. ყასიდად რესტორანში შეიპატიჟა, მაგ-
რამ სინდისმა თავი გააქნია, უჟმურად დაიღრიჯა, ღვინო და
დროსტარება რა ჩემი საქმეაო. კარპეს გუნება წაუხდა, ჩვეუ-

ლებისამებრ ვერ ილაღობა, ენა დაება, თუმცა სხვა დროს მსმელ
და ენაკვიმატ კაცად იცნობდნენ. მისი გუნებაგანწყობილება
სტუმარსაც გადაედო, მოადგილეებს კი თავის აწევისა ეშინო-
დათ. ქეიფი ვერ გამოუვიდათ და ადრე დაიშალნენ. თურმე გა-
ნაწყენებულ რევიზორს უთქვამს, მე სუფრის კაცი მეგონა, ეგ
ვიღაცაა, უცხვირპირო და ღრჯუ ყოფილაო.

იმ დღიდან კარპე ქუჩუკიძე ისე გამოიცვალა, მეგობრები ვე-
ღარ ცნობდნენ. სხვამ აბა რა იცოდა, მის გულში რა ცეცხლი ტრი-
ალებდა. უახლოეს მეგობრებსაც ხომ ვერ ეტყოდა, ნახევარი
საუკუნე მოვიყარე და სინდისი ახლახან შევიძინეო... მიუჩვეველ
კაცს ისედაც უჭირდა ახალ როლში ყოფნა, მათხოვრის სინდისი კი,
ყოველივესთან ერთად, ჭირვეული და ანჩხლი აღმოჩნდა, ახლად
შეძენილ პატრონს სიქას აცლიდა... ხასიათი ხომ არაფრად უვარ-
გოდა, ვერც ჯანმრთელობით დაიკვეხნიდა, ხან კუჭში გაუსვლელო-
ბა აწუხებდა, ხან კი პირიქით... ჭლექიანივით ახველებდა, გულის-
გამაწვრილებელი ხიხინით წელკავსაც უჩიოდა და მარილების და-
გროვებასაც... იქნებ თავს განგებ იავადმყოფებდა, კარპე უნდოდა
გამოეცადა. მართლაც ერთი-ორი დღე არ მიაქცია კარპემ ყურა-
დღება მის ხუშტურებს. გადაწყვიტა, ყველაფერი მოეთმინა, მაგრამ
სინდისი დღენიადაგ ჩვილი ბავშვივით ჩხაოდა და თავმოძულებულ-
მა კარპემ მთელი ქალაქის ექიმობა შეჰყარა, სახლი აფთიაქს დაამს-
გავსა... ხარჯს არ დარიდებია. თითქოსდა კრიზისმა განვლო. კარპემ
ეს ათი დღის თავზე შეამჩნია, ზუსტად კვირა საღამოს („რა სწრა-
ფად გასულა დრო!“ — გაიფიქრა კიდეც). თავატკიებულმა ორი აბი
გადაყლაპა და ძლივძლივობით დაიძინა.

ჯერ გათენებული არ იყო, ვიღაცამ გვერდში მჯიღი ჰკრა.
კარპე წამოჯდა, ძილი უცებ ჩამოეხსნა. დედიშობილა სინდისი
საწოლის კიდეზე დასკუპებულიყო და სიცივისაგან კანკალებდა.

„რა მოხდა?“ — უკმაყოფილოდ ჩაიბუზღუნა კარპემ.

„მცივა. უნდა ჩაგეხუტო!“

კარპემ ზიზღით ჩაიწია, გვერდით ადგილი გაათავისუფლა. სინ-
დისი საბანში სწრაფად შემოუძვრა და გულში ცივი ხელები ჩაუყო.

„თანდათან შემომეჩვევი, ჩემო ქუჩუ, — ყურში ჩასჩურჩულა,
— ან რა გზა გაქვს, ხომ შენი ნებით მიყიდე, აწი უნდა მიპატრონო
კიდეც!“

„ამ ლოგინში ორნი გავწვალდებით, — კარპე მთლად კედელს მიეჭყლიტა და თავს უხერხულად გრძნობდა, — ხვალვე მოვიფიქრებ რაიმეს... სულ ფარჩა-აბრეშუმს გაგიშლი და ზედ დაგაძინებ!“

„ჩემი ძილი ვის გაუგია, — ჩაიქირქილა სინდისმა, — მე ფხიზლად უნდა ვიყო. ადრე რომ გეყიდე, უფრო ლამაზად დაგაბერებდი, ახლა კი ისღა დამრჩენია, კუბოში ლამაზად ჩაგაწვინო...“

კარპეს ელდა ეცა, რანაირი ხუმრობა გცოდნიაო, მოელაქუცა.

„ერთი ბეწო იუმორის გრძნობა არ გამაჩნია, იცოდე, — ცივად შეეპასუხა სინდისი, — გირჩევ, ჭკუით იყო!.. ვატყობ, გინდივარ, მაგრამ მსხვერპლის გაღება არა გსურს... არ გამოვა მაგრე...“

სინდისმა გულს ოდნავ მოუჭირა. კარპემ კინაღამ სული დალია. „ინფარქტი!“ — გაიფიქრა. გონს რომ მოეგო, ოთახში მარტო იყო.

უკვე თენდებოდა. კარპე ლოგინიდან ფრთხილად გამოძვრა, ცერებზე დადიოდა, სინდისმა, ალბათ, ჩასთვლიმა და იქნებ გავასწროო. კიბე სანახევროდ ჩაცმულმა ჩაირბინა, ღილებს გზა-გზა იკრავდა. გახარებულმა, ამჯერად მაინც გადავრჩიო, მანქანა ადგილს მოსწყვიტა.

„ნელა, ქუჩუს ჭირიმე, არ დავიმტვრეთ!“ — ცივმა ხელმა მოუთათუნა მხარზე. კარპეს ოფლმა დაასხა, გუნება წაუხდა. მანქანაში სინდისი იჯდა.

„კი, ბატონო!“ — მორჩილად შეეპასუხა.

კაცი რომ სინდისს დამორჩილდება, არავინ იცის საქმე საითკენ შებრუნდება. ის ერთი კვირა დაუვიწყარი გახდა არა მარტო კარპე ქუჩუკიძისათვის, არამედ მთელი ტრესტისა და, თუ გნებავთ, ქალაქისათვისაც. დიდხანს დადიოდა მითქმა-მოთქმა, თუმცა დანამდვილებით ვერავინ ვერაფერს იტყოდა. თვითონ ამბის მონაწილენი იფიცებოდნენ, მსგავსი არაფერი გვინახავს და გაგვიგონიაო. ჭორის ჩაქრობა მაინც უფრო ძნელია, ვიდრე ხანძრისა. ამიტომ რაღაც-რაღაცეების ექო მაინც ისმოდა ქალაქში და ცნობისმოყვარეობას აცხოველებდა. ჭორი დადიოდა, თითქოსდა პირველ მოადგილეს ეთქვას, სიცოცხლეში ერთხელ ვის არ აუფრენიაო; მთავარ ბუხჰალტერს წამოსცდენია, სიმართლის ძიება საკუთარი ოჯახიდან და ჯიბიდან

უნდა დაიწყოო; მოადგილეს მიეთმოეთების დარგში უბრძანებია, კაცი ბოღმა რომ გახდება, სიმართლის ძიებას მერე იწყებს, ჩვენი უფროსი სადღაც დაიბოღმა და ხელი შეგვახოცაო; გაერთიანების გენერალური დირექტორი ერთი თვის თავზე საავადმყოფოში დაწვა და ამასაც ტრესტის უდანაშაულო მმართველს აბრალებდნენ...

კარპე ქუჩუკიძემ სიმართლის დადგენა თურმე ტრესტის კიბიდან დაიწყო. მეგარდერობეს ხელი ჩამოართვა, ოჯახით მოიკითხა, საცა სამართალია, ხელფასი მცირე გაქვს და, როგორც კი მოგვიხერხდება, წაგიმატებთო, გაამხნევა. მთავარ ინჟინერს კი ისე ჩაუარა, ზედაც არ შეუხედავს. იმას ელდა ეცა, ხომ არ ვაწყენინეო. შენი უგერგილობით სამსახურს აწყენინეო, ღრჯოდ მიუგდო. ორ ნაბიჯზე ისევ მიუბრუნდა და, თითქოს საკმარისი არ ყოფილიყოს, რაც უკვე ითქვა, საცობის დაძრობა რომ გეხერხება, ისე ტრესტის საქმეებს რომ უვლიდე, რაღა გვიშავდაო. მთელი ტრესტი გაისუსა. დერეფანში გზას მორჩილად უთმობდნენ, დალაპარაკებას ვერ უბედავდნენ. მთავარმა ბუხჰალტერმა ეს ამბავი არ იცოდა და ჩვეული ჯიჯღინით შეეფეთა, ჩვენ რომ ვიცით, ის ამბავი რევიზორმა თუ მოიძია, რა გვეშველებაო. უცბად იფეთქა კარპე ქუჩუკიძემ. ეს ამოდენა ზონზროხა ქალი საწერი მაგიდის ქვეშ შეაძვრინა, დღის ბოლომდე მანდ იჯექი, მერე წადი და ანგარიში კაპიკ-კაპიკ გაასწორეო. მთელი დღე მოდიოდნენ თანამშრომლები მაგიდის ქვეშ მჯდარი ქალის სანახავად, თავს გააქნევდნენ და უკან ბრუნდებოდნენ. ოთხის ნახევარი იქნებოდა, ტრესტის მმართველთან თანამშრომელთა დეპუტაცია გამოცხადდა, ხნიერი ქალია, შევიბრალოთ და, ქრისტეც რომ თავისი ფეხით დადიოდა, იქ გავუშვათო. თავდაპირველად კარპე ვერ მიხვდა, რას ითხოვდნენ, მერე გაეცინა და დასტური მისცა. ჭექა-ქუხილმა გადაიარაო, შვებით ამოისუნთქეს თანამშრომლებმა. ოღონდაც, ეს მხოლოდ დასაწყისი აღმოჩნდა. მეორე დღეს სამშაბათი იყო და ტრესტს ელვასავით დაურბინა ახალმა ამბავმა: პირველმა მოადგილემ განცხადება დაწერა, არ მინდა მოადგილეობა, გთხოვთ, მელიფტედ ჩამომაქვეითოთო. კაი დროს გადამირჩიო, ავად გაუცინია კარპე ქუჩუკიძეს, თორემ შენც იგივე მოგელოდა, რაც მეორე მოადგ-

ილეს მოუვიდაო. გამოსულა პირველი მოადგილე დერეფანში და თურმე რას ჰხედავს, საკუთარი კაბინეტის კარზე თავდაღმა ჰკიდია მოადგილე მიეთმოეთების დარგში და ქვეშ ხალიჩა უფენია. ჯიბიდან კი უცვივა და უცვივა, ვინ იცის, რა გზით ნაშოვნი ფულები. საბრალო მთელი დღე ეკიდა ასე, სანამ ქაღალდის ფულებს წვრილი ხურდა მოჰყვა. შაურიანი შეატოვეს მხოლოდ, ავტობუსით შინ გასამგზავრებლად... ოთხშაბათს კოპწია მდივანმა ქალმა მონასტერს მიაშურა და მონაზვნად აღიკვეცა, მის ადგილას კი ჯოჯოხეთიდან გამოსული ცერბერი დასკუპდა. იმის შიშით ჰაერში ბუზი ვერ გაიფრენდა, დერეფანში ვერავინ გაისეირნებდა და ტრესტში უმალვე შეწყდა ჭადრაკ-დომინო- ნარდის ჩემპიონატი... ხუთშაბათს კარპემ თავის მეუღლე ქუჩუნას წერილი მისწერა ზღვისპირა ქალაქში, შენს ქუჩუს დღეის იქით ხელფასის გარდა ფული არ ექნება, ქმარი ან ფული, პირველი თუ გინდა, ჩამოეთრიე, მეორე თუ გინდა, იქვე დარჩი და აქეთ პირს ნუ იბრუნებო. საღამოს, სანამ აბაზანას მიიღებდა, გენერალურმა დირექტორმა დარეკა და პლატონიჩს, თვით პლატონიჩს შეუღრინა კარპემ, მე თქვენი ლაქია და კარის ფარეში არა ვარ, თქვენი კი არა, საკუთარი დაბადების დღე დამვიწყებიაო... პარასკევს ახსნა-განმარტებითი ბარათი დაწერა, ჩემი შვილი უმაღლესში რომ სწავლობს, ყალბი საბუთებით მოეწყო და გთხოვთ, ინსტიტუტიდან გამოაბრძანოთო. მას რომ ეკუთვნის, ისეთ სამუშაოს აქაც გავუჩენო... შაბათს რევიზორი კისრით გადაუშვა ტრესტის კიბიდან. შენი შემოწმებული არ გაიშვა, შენ თვითონ ხარ ყოველ წუთს შესამოწმებელიო. მერე დაჯდა და განცხადების წერას შეუდგა, ჩემისთანა კაცი ტრესტის მმართველად რას ივარგებს, ერთი გარდერობი რომ ჩამაბაროთ, იმას ვერ მოვუვლიო. ისე ლამაზად ჩამოაწიკწიკა, სასიამოვნო წასაკითხი იყო. ერთხელაც ჩაიკითხა და თავში ხელები იტაცა. მიხვდა, იღუპებოდა...

კარპე ქუჩუკიძე დადარდიანდა, კაბინეტში ჩაიკეტა და ასე გაბუსული იჯდა კარგა ხანს.

ცოლმა დარეკა. შენი წერილი მივიღე და ხომ არ გაგიფრენიაო. თავს მოუარე, სიცხე თუ გაქვს, ექიმი გამოიძახეო. აქ სპეკულიანტმა ბრილიანტის ბეჭედი მოიტანა. გაგიჟდები, ისეთია, სულ ექვსნახევარი ღირს და ხელიდან ვერ გავუშვებო. შენ ხომ

ჩემი ქუჩუ ხარ და მე ხომ შენი ქუჩუნაო... კარპემ უჟმურად შეუყეფა და ყურმილი დააგდო. იქვე ცხვირწინ დასკუპებულ სინდისს თვალი აარიდა. „ნეტავი საიდან შემოიპარა ამ ჩაკეტილ კაბინეტში?“ — გაიკვირვა. უკვე ვერ იტანდა მის ავადმყოფურ, ციებიან გამოხედვას.

„ვხედავ, რომ დაიტანჯე, — სინდისის ხმაში მოფერების კილო გაერია, — მაგრამ, რას იზამ, ჩემო კარგო, თავს უნდა მოერიო. ვისაც სურს სიკეთის მაღალ მწვერვალზე ასვლა, სული უფრო ძლიერი უნდა ჰქონდეს ხორცზე, შენ კი, ჩემო ქუჩუ, ჯერჯერობით მეტად მსუქანი ხარ...“

კარპემ მუცელზე დაიხედა. ბოლო დროს მოსუქდა, დიეტის დაცვა კი უჭირდა. თავს ვერ არიდებდა სმასა და ქეიფს. სინდისი, ცხადია, მართალი იყო, მაგრამ ჭკუის სწავლებამ მაინც გააღიზიანა და უხმოდ იბღვირებოდა. ცოტაც უკლდა და იფეთქებდა. ოღონდ სინდისი ისე წყნარად, ისეთი წყლიანი თვალებით შემოსცქეროდა, კარპემ თავი შეიკავა.

ამ დროს ტელეფონმა კვლავ დარეკა. ყურმილში ლომის ბუხუნი გაისმა. გენერალური დირექტორი, ეტყობა, ეს ორი დღე გონს მოდიოდა, ახლა კი სიბრაზე მოსწოლოდა და ტრესტის მმართველს გადაყლაპვას უქადდა. კარპე შიშისაგან მთლად დაპატარავდა და უცბად დაასწრო:

„იუბილეს მოგილოცავთ, პლატონიჩ, კიდევ ასი წელი იცოცხლეთ და კვლავინდებურად ბრძნულად გვიწინამძღვრეთ!“

„ჰო, ჰო...“ — ყელი ჩაიწმინდა გენერალურმა დირექტორმა. საქმის ასე შემობრუნებას არ მოელოდა და დაიბნა.

კარპემ ამოსუნთქვა არ აცალა და სხაპასხუპით დაურთო:

„ცარიელი სიტყვით მოლოცვას რა ფასი აქვს, პლატონიჩ, ამ საღამოს გესტუმრებით და ყანწით დავლევ თქვენს სადღეგრძელოს!“

პასუხს არ დაუცადა, ყურმილი ისე დადო. ეშმაკურმა აზრმა გონება გაუნათა. სინდისს მხარზე მოუთათუნა, აბა შინ წავიდეთ, ადრე რომ დაგპირდი, ის საჩუქარი უნდა მოგართვაო.

„მე საჩუქარს არ ვიღებ!“ — მხრები აიჩეჩა სინდისმა, მაგრამ ცნობისწადილი მასაც მოეძალა.

მთელი გზა მეგობრებივით ჭუკჭუკებდნენ. სინდისი არც კი

ახველებდა, ხმაც გაუნაზდა.

კიბეზე ხელიხელგადახვეულები ავიდნენ.

კარპემ კედელში ჩატანებული საოჯახო სეიფი გახსნა, იქიდან სპილოს ძვლის კოლოფი ამოიღო. შიგ ოჯახის განძი ეწყო. პირდაპირ სეიფში გადმობერტყა ოქროსა და ძვირფასი თვლების სამკაულები და შიგნიდან აბრეშუმით გაწყობილი კოლოფი წინ დაუდო.

„ეს რა არის?“ — სინდისმა სიფრთხილენარევი ინტერესით ჩახედა.

„ღამღამობით ამაში ჩაგაწვენ, ხედავ, რა ლამაზია“.

„ჩავეტევი?“

„აბა, მიეზომე!“

თავისი არსებობის მანძილზე სინდისიც ცდება, რადგან ბავშვივით გულუბრყვილო და მიმნდობია. როგორც კი აბრეშუმის რბილ საფენში მოხერხებულად მოკალათდა, კარპემ კოლოფი ტკაცუნით დახურა. მერე ყურთან მიიტანა, კოლოფს შიგნიდან ხომ არ აწვებაო. კოლოფიდან ფუტკრის ბზუილის მაგვარი ხმა ისმოდა.

კარპემ ოქროს გასაღები გადააბრუნა, ჩაკეტა და თავისუფლად ამოისუნთქა. ოფლით შუბლი დასწინწკლოდა. ცხვირსახოცით შეიმშრალა. კოლოფი გაზეთში გაახვია და მანქანაში ფრთხილად ჩაიტანა.

გუნება გამოუკეთდა, გალაღდა და მანქანას მოურიდებლად მიაქროლებდა.

გენერალური დირექტორის სახლში რომ შედიოდა, ცოლი გაახსენდა და მაშინ იფიქრა, ჩემს ქუჩუნას დილასვე გავუგზავნი ფულსო.

კარი თვით პლატონიჩმა გაუღო. დარბაზიდან სტუმრების მხიარული რუზრუზი მოისმოდა...

კრებულები: „პირველი ზეკარი“, 1983, გამომცემლობა „ნაკადული“ და „კუნძული“, 1988, გამომცემლობა „საქართველო“.

კუნძული

სოფელი ზედ მთის ძირას, უღრან ტყეში ჩაკარგულიყო. მატარებლით მივემგზავრებოდი ხოლმე. სოფლიდან თორმეტ კილომეტრზე ღია ბაქანი მოეწყოთ და იქ მატარებელი დღე-ღამეში ერთხელ, ზუსტად შუაღამეს ჩერდებოდა. მარტოდმარტოს უნდა გამევლო ტყეში გაკვალული ბილიკი, ერთადერთი გზა, სოფელს რომ გარესამყაროსთან აერთებდა. ადრე თითქმის ყოველ გაზაფხულს ჩავაკითხავდი დეიდა ანეტას და ეს ბილიკი კარგად შევისწავლე. ღამეულ ტყეში სიარული მაინცდამაინც დიდ სიამოვნებას არ მგვრიდა. ქალაქელი კაცი ვარ, ცრურწმენისაგან თავისუფალი, ძალიან კარგად ვიცი, ამ ტყეში გაქუცული მელიისა და კურდღლის მეტი არაფერი ბინადრობს, მაგრამ ინსტინქტს სად წაუხვალ, სად გაექცევი! ბნელ ტყეში მარტოდ დარჩენილ კაცს, სხვა თუ არაფერი, საკუთარი წარმოსახვა დააფრთხობს და მეც, რაღა ბევრი გავაგრძელო, ფეხდაფეხ ადევნებულ მოჩვენებებს დეიდა ანეტას ჭიშკარში რომ შევასწრებდი, მაშინღა ამოვისუნთქავდი შვებით.

ახლა, ქალაქის ვიწრო ბინაში გამოკეტილს, მენატრება ის მიყრუებული სოფელი, ღმერთსაც და ქვეყანასაც რომ დავიწყებია, დროსა და ეპოქას სათვალავიდან რომ გამორჩენია. ორი ათეული კომლიღა ცხოვრობს თავისთვის, ქვეყნის ამბებით თავს არავინ იტკიებს. ბევრმა ტყის ის ბილიკიც არ იცის, რკინიგზის ბაქნამდე რომ მიდის, სხვა ბილიკები კი იქვე, სოფლის ბოლოს იკარგება. ვინც იცის, წელიწადში ორჯერ თუ დაადგება გზას, როცა ბავშვები მიჰყავთ რაიონის ინტერნეტში და როცა უკანვე, საზაფხულო არდადეგებზე ჩამოჰყავთ. არ მახსოვს მოწყენილობა მეგრძნოს, თუმცა ერთადერთი გასართობი სოფლის ჭალაში, კოცონთან გატარებული საღამოები იყო. მთელი ახალგაზრდობა იქ იყრიდა თავს. ფანდურზე აჩხაკუნებდნენ და სევდიანად დაამღერებდნენ, ან კიდევ მასლაათობდნენ იმაზე, აქვს თუ არა მთვარეს თვალები და თუ აქვს, ღამით უკეთ ხედავს თუ დღისით... როგორ მიყვარდა ეს საღამოები, ბურბურა

ცეცხლით განათებული სახეები, ირგვლივ ჩამოწოლილი ქურუ-
ში სიბნელე, უჩვეულო, მსუბუქი სევდით შეჯერებული ჭვრეტა
საკუთარი არსობისა, თითქოს სამყაროს წინაშე ვიდექი მარტოდ-
მარტო და მე თვითონ ვიყავი ეს ჭალა, ეს კოცონი, იდუმალი ბგე-
რებით სავსე ღამე... და თუ თეთრი მთვარე ამოვიდოდა, ვერცხ-
ლისფერს დააფენდა მიდამოს, დაიგრაგნებოდა საზარელი ურჩ-
ხულეთი, ბნელ ტევრში ამობრწყინდებოდა მქრქალი ათინათი,
გულს აკრთობდა მონათხრობი მკვდარ სულებზე, ჭინკებზე, ტყის
მითიურ ბინადრებზე... მერე ჭალიდან შინ ვბრუნდებოდით. ახალ-
გაზრდების ტკარცალი მოედებოდა ორღობეს, სუსტი ჭრაქი ცი-
ალებდა სამზადის დირეზე, ჭრიჭინობელა ჭრიჭინებდა უწყვე-
ტად... გოგო-ბიჭების უწყინარი, სირცხვილნარევი ალერსი, უჩუმ-
რად მოპარული კოცნა... ეჰ, როგორ მენატრება ყოველივე ეს, მა-
გრამ ვიცი, იქითკენ გზა სამუდამოდ გადამეკეტა და ალბათ ამაში
მეც მიმიძღვის ბრალი. უტუტისა და თუთაცირას ტრაგიკულ
თავგადასავალში მეც მედო წილი, მაგრამ აქამდე ვერ მივმხვდარ-
ვარ, მართლა გადამხდა თუ წარმოსახვის ნაყოფი იყო მთელი ეს
ზღაპარი. ალბათ, ანეტა დეიდა გამარკვევდა ამაში, მაგრამ იმ ზამ-
თარს მიიცვალა თურმე, თანაც სიკვდილის წინ დამწყევლა, ის
ნუ დამიტირებს, ჩემი დამღუპველიო, დაიბარა... გვიან შევიტყვე
ეს ამბავი, გული მეტკინა, რადგან არავინ დამრჩა, ვის წინაშეც
შევძლებდი თავის მართლებას.

ადრევე მქონდა გადაწყვეტილი, ის ზაფხული დეიდა ანეტას-
თან გამეტარებინა. დიდი სამზადისი არ დამჭირვებია. ვიცოდი,
მოუთმენლად მელოდებოდა. შავი თავშალი წინასწარ ვიყიდე, ასე
მცირე ძღვენიც გაუხარდებოდა. შვებულება დილას გავაფორმე,
ნაშუადღევს მატარებელში ჩავჯექი და შუაღამისათვის უკვე ნაც-
ნობ ბაქანს ვუახლოვდებოდი. კუპეს მეზობლებს ეძინათ და დე-
რეფანში ნახევარი საათით ადრე გავედი, არ მინდოდა, ვინმე შე-
მეწუხებინა. შუშაზე ჩემი ანარეკლი ილანდებოდა. შუბლით მი-
ვეყრდენი, მაგრამ წკვარამი შემომეგება და ვერაფერი გავარჩიე...

ვაგონიდან რომ ჩამოვხტი, ერთხანს მიმავალი მატარებლის
დაგადუგმა დამაყრუა. მერე გუგუნი თანდათან მიწყდა და მდუ-
მარება ჩამოწვა, რომელსაც ფოთლების ჩუმი ფაჩუნი თუ არ-

ღვევდა. ზედ ყურის ძირში იწივლა კოღომ, ტკაცუნით მივისრი-
სე ლოყაზე. ბაყაყის გაუბედავმა ყიყინმა დააღვია სიჩუმე და
მივხვდი, ციცქნა შიში გულში ჯერ კიდევ მაშინ ჩამისახლდა,
შინიდან რომ გამოვდიოდი, მერე კი გზაში თანდათან იზრდებო-
და და იმოდენა გამხდარიყო, ზურგზე ბუსუსებს მაყრიდა. რისი
უნდა მშინებოდა, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვი, ადამიანის
სულში იმთავითვე ჩაბუდებულია კრძალვა შეუცნობელის
წინაშე, სიბნელე კი მუდამჟამს შეუცნობელია, რადგან თავის
კალთებქვეშ რეალობას მალავს, ჭეშმარიტ სურათს წარმოსახ-
ული ენაცვლება.

ტყე პირდაპირ ბაქანს აწყდებოდა, ბილიკის თავი ოდნავღა
ციმციმებდა და ფეხაჩქარებით მივყევი. ტყის სიღრმეში მეტი
მყუდროება სუფევდა. ნიავიც არ იძვროდა. მხოლოდ საკუთარი
ფეხის ხმა მესმოდა და ისიც ორიოდე ნაბიჯზე იხშობოდა. ხომ
ვიცოდი, მთელ ტყეში ჩემ გარდა არავინ იქნებოდა, მაგრამ სულ
მეჩვენებოდა, ვითომდა ვიღაც უჩინარი ამდევნებოდა და სულგა-
ნაბული მეპარებოდა. თავს ძალას ვატანდი, რომ აქეთ-იქით არ
დამეწყო თვალის ცეცება, ან უკან არ მიმეხედა. არ უნდა ავყო-
ლოდი უნებლიე შიშს, ინსტინქტი უნდა დამეთრგუნა. ჯიუტად
მივშტერებოდი ოდნავ აცრიატებულ ბილიკს და თავს მაღლა
არ ვწევდი, რათა ხეთა ვარჯებში ჩაბუდებული წკვარამი ათას-
ნაირი ურჩხულებით არ დამესახლებინა. შევუდექი მეხსიერების
გადახალისებას, გავიხსენე ფიზიკის კანონები, რაიც სინათლის
გარდატეხას შეეხებოდა. გონებაში ჩამოვწერე ამ კანონების
მათემატიკური ფორმულები. ამათგან გადავედი სხვადასხვა სა-
მეცნიერო დებულებაზე, ადამიანის აზროვნების ყოვლის შემ-
ძლეობაში რომ მარწმუნებდნენ. მინდოდა, იოტისოდენა ადგილიც
არ დამეტოვებინა წარმოსახვაში დაბადებული ქიმერებისათვის.

ფიქრებში გართულმა ნახევარი გზა შეუმჩნევლად გავლიე.
უცებ შევჩერდი, ყური მივუგდე ტყის მდუმარებას. თითქოს რაღაც
ხმაური შემომესმა. ცოტა ხანს ვიდექი, ალბათ, მომეჩვენა-მეთქი,
გავიფიქრე და მაშინვე ტყე უცნაური ბგერებით აივსო.

წინიდან უსასოო ოხვრამ გაკვეთა სიჩუმე.

გულმა ბაგაბუგი დამიწყო. მეგონა, ჩემი გულის ხმა მთელ

ტყეში ისმოდა და ვცდილობდი, დამეამებინა. მუხლებში ღონე წამერთვა, ნაბიჯის გადადგმა გამიჭირდა. ვერ გამერკვია, რა ხდებოდა, ვიღაცა ღმუოდა თუ ოხრავდა, ტიროდა თუ ბრაზიანად ბურდღუნებდა. იქნებ მწუხარე ადამიანი გოდებდა, ან იქნებ კბილატკიებული დათვი უჩიოდა სვეს.

ამასობაში, თუმცა შიში არ გამნელებია, ღონე თანდათან დამიბრუნდა. პირველმა ელდამ გამიარა და შემეძლო საღად მეაზროვნა. როგორმე ხომ უნდა გავრიდებოდი საფრთხეს. ჯერ უკან დაბრუნება გადავწყვიტე. მერე მომაგონდა, ღია ბაქნამდე რომც მიმეღწია, იქ სად შევაფარებდი თავს? ისევ სოფლისაკენ ჯობდა გაღწევა.

გზა ფრთხილად განვაგრძე, ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწევდი. ვცდილობდი ფიჩხი არ გამეტკაცუნებინა. ტოტს თუ გამოვედებოდი, დიდი მოთმინებით ვიშორებდი.

ოხვრა და კვნესა უფრო აშკარად მომესმა.

ნელ-ნელა ვუახლოვდებოდი საშიშ ადგილს. ბილიკიდან გადავედი, ბნელ ტევრს ვეტანებოდი. უმთვარო ღამე კი იყო, მაგრამ ბილიკზე მიმავალი კაცი ვარსკვლავთა ანარეკლზე მაინც გამოჩნდებოდა.

ბრმასავით ვაცეცებდი ხელებს. ცხვირწინ არაფერი ჩანდა. ხორკლიან ხეს წავაწყდი, ზედ ავეტმასნე. თავი გამოვყავი და იგი მაშინ დავინახე.

სულ რაღაც ათიოდე ნაბიჯზე, ზედ ბილიკის პირას ხეს მიყრდნობოდა რაღაც ბანჯგვლიანი, უზარმაზარი არსება. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მომეჩვენა. სხვას ვერაფერს მივამსგავსე და დათვად მივიჩნიე. თათებით ფხოჭნიდა ხის ტანს, აშკარად მესმოდა ბასრი ბრჭყალების ფხაჭუნი. თავი ზევით აეღირა და გულშეჭირვებული, უზომო სევდით გოდებდა. არასოდეს გამეგონა ასეთი უცნაური ხმა. რაღაც აზრი შევიცანი მასში. ნადირის ამ ღმუილში რაღაც ადამიანურიც იგრძნობოდა, თუმცა ეს სიტყვა მეტად შორს იყო ამ სურათისაგან, რასაც თვალით ვუყურებდი.

თითქოს უფრო უნდა შემშინებოდა, მაგრამ თანდათან სიმშვიდე დამეუფლა. სამალავიდან არ გამოვსულვარ. რომც გამოვსულიყავი, ალბათ, ეს სევდიანი გიგანტი არაფერს დამიშავებდა, მაგრამ ბედი რისთვის უნდა გამომეცადა.

ის არსება კი, ახლაც არ ვიცი, მართლაც დათვი იყო თუ ადამიანი, ეჯაჯგურებოდა ხის ტანს, ფხოჭნიდა და მოთქვამდა ტყიურის ენაზე, წუხდა საშინელი წუხილით. გონებაში ამეკვიატა ორად-ორი სიტყვა: „შეყვარებული ნადირი!“ ეს უფრო აზრის ოინბაზობა იყო, რაც ოდნავადაც არ უხდებოდა ამ ბნელ ღამეს და საშიშ გზას, ჯერ კიდევ წინ რომ მედო.

არ ვიცი, რამდენ ხანს ვიყავი ხის უკან დამალული. როდისროდის გული იჯერა გიგანტმა, მოთქმა-ვაებით, ბურდღუნით მოშორდა ხეს, ოთხზე დაეშვა და ბილიკზე გაგვანგვალდა. თუ ეს დათვი იყო, ამოდენა მხეცი სიცოცხლეში არ მენახა. დავაცადე, სანამ გაუჩინარდებოდა. მერეც კარგა ხანს ვიყოყმანე. სრული მდუმარება ჩამოვარდა და მხოლოდ მაშინ გავბედე სამალავიდან გამოსვლა.

მალე სოფლამდე მივაღწიე. ორღობეში რომ შევედი, ბნელ ხარდანს ძაღლი მოაწყდა ბრაზიანი ღავღავით და გამიხარდა, შვებით ამოვისუნთქე.

წინ ფეხის ხმა მომესმა. ვიღაცა მძიმე ნაბიჯს ადგამდა. მოსახვევთან ორღობე ფართოვდებოდა და ზვავივით კაცი დავლანდე. ისე მობარბაცებდა, თითქოს გემბანიდან ახლაღა ჩამოსულა და მიწა ფეხქვეშ ეცლებაო.

ალბათ, ნასვამია-მეთქი, ვიფიქრე. წამოვეწიე, მივესალმე.

შეჩერდა. მძიმე, ბნელი გოლიათივით შემობრუნდა, ბანჯგვლებიდან თითქოს ორმა წითელმა თვალმა გამოანათა. კინაღამ მოვკურცხლე, მაგრამ კაცი უკვე ხელს მიწვდიდა და შემრცხვა. კრთომით ჩამოვართვი, თითქოს მკლავის ჩამოხსნას მიპირებდნენ. რკინის თათები რომ ვიგრძენი, მხოლოდ მაშინ ვიცანი:

— უტუტი, შენა ხარ?

— ა, ჩამოხვედი?

მის ხმაში ფარული მღელვარება იგრძნობოდა. ამას ახლა ვფიქრობ, თორემ მაშინ ყურადღება არ მიმიქცევია. მეგონა, უტუტის ხუთი თითივით ვიცნობდი. თითქმის ჩემს თვალწინ გაიზარდა. ობოლი იყო. სოფლის განაპირას, ტყეში ედგა ჯარ-

გვალი. ცხოვრობდა მარტოდმარტო. გამზრდელი ბებია ადრე გარდაეცვალა, მაგრამ მოწყალებისათვის ხელი არ გამოუწვდია. ნადირობითა და თევზაობით ირჩენდა თავს. თუმცა უსაშველო ღონის პატრონი იყო, მაგისი დაჩაგრული არავინ მინახავს. რატომღაც სოფლელებს მაინც ეშინოდათ მისი, ეშმაკეულთან წილნაყარიაო, ჭორებს უყრიდნენ. გაუთლელი მუტრუკი იყო, მაგრამ ვინმეს რომ დასჭირვებოდა, ვირის მუშად დაუდგებოდა უანგაროდ. მაინც არავინ ემადლიერებოდა, არავინ მოაკითხავდა მის ჯარგვალს, არავინ ემეზობლებოდა... იყო თავისთვის და ბედს არ უჩიოდა.

ერთხანს ჩუმად მივდიოდით. არაფერს მეკითხებოდა. ეს არც მიკვირდა, რადგან სიტყვაძვირ კაცად ვიცნობდი. თავს უხერხულად ვგრძნობდი. შიგადაშიგ მავიწყდებოდა, რომ ეს ბანჯგვლიანი გიგანტი უტუტი იყო, იმ დათვში მერეოდა, ტყეში რომ გადავეყარე. მაშინ უცაბედი შიში მომეძალებოდა, შიშის წამალი კი ლაპარაკია და მეც ენა ამოვიდგი.

— რა ამბავია სოფელში, როგორა ცხოვრობთ?

— ისე რა! — მოკლედ მომიჭრა.

— ანეტა დეიდა ხომ ჯანმრთელადა გვყავს?

— რა უშავს!

— თუთაცირა წამოიზარდა ალბათ?

— თუთაცირა... თუთაცირა... — უცნაურად გაიმეორა, თითქოს ემწარა ამ სახელის წარმოთქმა. მერე მთლად გაჩუმდა. ვიფიქრე, რაიმე უბედურება ხომ არ ეწია-მეთქი დეიდაჩემის გაზრდილს. უსაფუძვლო არ იყო ეს ეჭვი. პირველად რომ ვნახე, ერთ ცქნაფა ბავშვს ცარიელი თვალები შერჩენოდა. ობლობას და უთვისტომობას თითქოს ფესვები დაეჭრა მისთვის. წესიერად ისიც არ ვიცოდი, საიდან გაჩნდა დეიდა ანეტასთან. ალბათ, ქმრის შორეული ნათესავი იქნებოდა. მთელი დღე ერთ ადგილას იჯდა ციცქნა გოგო, ეზოს გაჰყურებდა სევდიანი თვალებით, ხმას არ იღებდა. მე და დეიდა ანეტამ ბევრი ვეცადეთ, ბევრი ვუტრიალეთ, რათა დარდისაგან განგვეკურნა. მივაღწიეთ კიდეც საწადელს, მის სახეზე ღიმილიც გაკრთა, მაგრამ ერთი ეჭვი მაინც დამყვა იმ დროიდან, დიდი დრო არ ეწერა საბრალო გოგოს.

დეიდა ანეტას ჭიშკრამდე მომაცილა უტუტიმ. შინ არ შემომყვა. „გვიანაა უკვე!“ — წაიბურდღუნა და გაუჩინარდა.

დაბალ ბოძკინტებზე შემდგარ პატარა ოდაში ცხოვრობდა დეიდა ანეტა. სახლის უკან ერთი ხელის დადება სიმინდის ყანა და ბოსტანი ჰქონდა. სულ ეს გახლდათ დეიდაჩემის ავლა-დიდება, თუ არ ჩავთვლით ჩია, მეგრული ჯიშის ძროხას, რომელიც ცოტას, მაგრამ ოჯახისათვის სამყოფს იწველიდა, და უამრავ ქათამს, ეზოში რომ დილაუთენია გამოეფინებოდნენ. ამას ზედ ორიოდე კაპიკი ქვრივის პენსია ემატებოდა და დეიდა ანეტა ყოველივე ამით იოლად გადიოდა.

ეზოში ძაღლი არ ჰყავდათ და პირდაპირ აივანზე ავედი, კარზე თამამად დავაბრაგუნე. ყოველთვის ასეთ დროს მოვდიოდი და მიეჩვივნენ. შიგნიდან ფაციფუცი მოისმა. დეიდა ანეტამ ნამძინარევი ხმით იკითხა:

— რომელი ხარ?

— მე ვარ, დეიდა ანეტა, თაზო!

— უი, შენ შემოგევლე! — შეჰკივლა დედაბერმა, ურდულებს აუტეხა ხათქახუთქი და სიბნელეში გადამეხვია.

მეორე წუთს ოთახში გაუჩინარდა, ნავთის ლამპა აანთო და ხელახლა შემომიბრუნდა. ვიდექი შუა ოთახში და სულელივით ვიღიმებოდი, ის კი ვერ ისვენებდა, ათასნაირი ალერსიანი სიტყვა მითხრა, თავი მრავალგზის შემომავლო.

ვინ იცის, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ასე, მაგრამ უცებ კარი გაიღო და თუთაცირა შემოფრთხიალდა. ღმერთო, რა გოგო დამდგარა! სად გაქრა ის გამწლეული, ავადმყოფური ბავშვი, მოკლე ხანი რომ ვუწინასწარმეტყველე. პირდაღებული მივჩერებოდი და თავი სიზმარში მეგონა. არ მინდა გაცვეთილი სიტყვები ვიხმარო, მაგრამ ამ ჰაეროვან არსებაში იყო რაღაც ცისფერი, რაღაც გამჭვირვალე, რაღაც ნაზი და სათუთი... ის მართლაც არ იყო ამ ქვეყნისათვის დაბადებული და შემეშინდა, გული მომეწურა, ერთი მუჭა გამიხდა.

ხელი გავუწოდე, ის კი ჯერაც ნამძინარევი, ღამის პერანგის ამარა, რაც ფერიას ამგვანებდა, მიამიტურად გამოიქცა და გულში ჩამეხუტა.

წუთიერი შიში ამაღელვებელმა ზეიმმა შეცვალა და მხარზე ხელი თამამად გადავხვიე.

— თუთაცირა, დაიკო...

მხოლოდ ამ სიტყვებით შეიძლებოდა იმწუთიერი განწყობილების გადმოცემა. ჩემს ოჯახში მარტოშვილად ვიზრდებოდი. ძმაკაცები ბევრი გავიჩინე, ძმობას მიწევდნენ. მაგრამ ფარული ნატვრა, გაუცნობიერებელი ლტოლვა, ის სათუთი ხიბლი, რასაც მხოლოდ დაკაცებული ძმა შეიძლება განიცდიდეს ერთადერთი პატარა დაიკოსადმი, ჩემს სულში იმალებოდა და სწორედ ახლა გადმოხეთქა...

გონს მოეგო, დაიმორცხვა. ახლაღა გაახსენდა, პერანგისამარა რომ იყო. ვაიმეო, წამოიძახა და კვლავ თავის პატარა ოთახში შევარდა.

გაგვეცინა.

— კარგი გოგო იზრდება, მაგას ვენაცვალე. — დეიდა ანეტამ ამაყად შემომხედა, მერე კვლავ დაფაცურდა: — ამდენს რა მაქაქანებს მე სასიკვდილეს, მშიერი იქნები!

— მშიერი არა და... ჩემი ლოგინი გაშლილია?

ვიცოდი, ათი წელი რომ არ მოვსულიყავი, ჩემთვის ერთხელ და სამუდამოდ მიჩნეული ლოგინი ყოველთვის მზად იქნებოდა.

არ დამიჯერა, უჭმელი არ დამაძინა. ცოტა ხაჭაპური მოვწიწკნე, ჭიქა წყალი დავაყოლე. გავიხადე, ქათქათა თეთრეულში გავეხვიე და ბუმბულის ბალიშზე ნებიერად მივესვენე. დეიდა ანეტა შემოვიდა ლამპის წასაღებად. ცოტა ხნით საწოლზე ჩამომიჯდა, მომეფერა.

გარჯას დაებერებინა, ჭაღარა მომრავლებოდა. ერთ დროს ტანადი და ელვა ქალი იყო. ახლა მოკუნტულიყო, ბეჭები ჩამოეშვა, ზურგზე კუზი დასჩენოდა. თუმცა ჯერაც შერჩენოდა ახალგაზრდული, ცოცხალი თვალები და სიმსუბუქე. ძველებურად დაუღლელს, მჩატედ დაჰქონდა ტანი.

— დაგიბერდი ხომ, შვილო! — მიმიხვდა ნაფიქრალს. — ეჰ, აწი დროა, გავემზადო. საცოდავი ჩემი ქმარი დიდი ხანია, მელოდება, მაგრამ ეს გოგო მაჩერებს ჯერ. სანამ არ დავაოჯახებ, ვეღარ დავტოვებ, არ მინდა მეორეჯერ დავაობლო...

— თუთაცირა ისეთი გოგო გაზრდილა, მაგისი საბედო ძნელი მოსაძებნი იქნება, დეიდა ანეტა!

— მეც მაგი მადარდებს, შვილო. ამ ციცქნა სოფელში ორიოდე ოტროველას მეტი ხეირიანი არავინაა და... სხვაგან ჩვენ ვერ დავდივართ.

კინაღამ წამომცდა, ქალაქში გამატანე, იქნებ სადმე სასწავლებელში მოვაწყო, დრო გაივლის და იქვე მონახავს თავის საბედოს-მეთქი. ენა დროზე მოვიკვნიტე, ჯერ რიგიანად მე არ ვიყავი მოწყობილი, სად შემეძლო სხვისი პატრონობა.

— ეგ უტუტი რას აკეთებს? — ვკითხე მოულოდნელად.

— უტუტი? — გაიოცა დეიდა ანეტამ.

ორიოდე სიტყვით ავუწერე ღამეული ფათერაკი. შეშინებული მისმენდა. რამდენჯერმე პირჯვარი გადაიწერა, ღმერთო, შენი სახელის ჭირიმეო, წაიჩურჩულა. მეტი არაფერი უთქვამს, მაკოცა და დამტოვა.

მგონი კარიც არ ჰქონდა მიხურული, მე კი უკვე მეძინა. ძილში უტუტი მესიზმრა. ბანჯგვლიან დათვად ქცეულიყო. აყალყული მოიწევდა ჩემკენ, თათებში მომიგდებდა, ზვავივით დამაწვებოდა, ცდილობდა, მოვეგუდე, მაგრამ სწრაფად ვუსხლტებოდი, ის კი ისევ იყალყებოდა მუქარით და ყველაფერი თავიდან იწყებოდა. მერე მივხვდი, რომ სიზმარში ვიყავი და დავმორჩილდი...

გვიან გამომეღვიძა. მზე უკვე მაღლა იდგა. ოთახი სინათლეს აევსო. ფანჯრის შუშას ბუზი ეხლებოდა.

მოღიავებულ კარს მიღმა, აივანზე, ჩემკენ ზურგით თუთაცირა იდგა. ბალიშიდან თავი არ წამომიწევია, ისე გავყურებდი. გამჭვირვალე კაბა ეცვა, მზის სხივი ატანდა და შიგ გოგოს სხეული ილანდებოდა. თითქოს მზის სხივებში ბანაობდა თუთაცირა, ეს კაბა კი საპნის ქაფი იყო. მზერა იგრძნო, შემობრუნდა. მორიდებით გამიღიმა, თითქოს ეშინოდა, ვაითუ საპასუხო ღიმილი დამამადლოს და შემომიბღვიროსო. ადრე უფრო მეთამამებოდა. პატარა გოგო ლოგინში შემომიძვრებოდა, მაიძულებდა, ზღაპრები მომეყოლა. მეც ვჩმახავდი ათასნაირ ტყუილსა და მართალს. ცოტა რომ წამოიზარდა, ამდენს ვერ ბედავდა, მაგრამ დილდილაობით მაწვალებდა, ხან წყალს მო-

მასხურებდა, ხან საბანს გადამხდიდა, ძილისგუდა, ადექიო. მე თვითონ გავათამამე და ამიტომ ვუთმენდი. ახლა უკვე ქალიშვილი იყო და არ იცოდა, როგორ მომქცეოდა.

— თუთაცირა! — ხმადაბლა გავძახე. მოხმობა არ მიფიქრია, უბრალოდ სახელს ხიბლი გავუსინჯე. ამას მიხვდა და ლოყებზე სიწითლე გაუკრთა, ადგილს მოწყდა, თვალთახედვიდან დამეკარგა.

აივანზე გავედი. ნათელი დღე იდგა, მზე აცხუნებდა. სოფელს ყოველი მხრიდან ტყე აწვებოდა, ზღვა სიმწვანე გადმოღვრილიყო. ზოგან მსუბუქი კვამლი ამოდიოდა და ეს მიანიშნებდა, რომ იქ სახლები იდგა. სოფლის თავზე წამომართული გორაკიც ტყეს დაებურა და იქიდან მონაბერი გრილი ნიავი სასიამოვნოდ მელამუნებოდა.

საუზმე კარგა ხნის დაგვიანებული იყო. დეიდა ანეტა ყანაში თოხს აჩხაკუნებდა. ლუკმა გადავყლაპე და მეც თოხს დავავლე ხელი.

— დაისვენე, შვილო, სამუშაოდ კი არ ჩამოსულხარ!.. ცოტაღა დამრჩა, როგორმე თვითონ მოვუვლი! — დეიდა ანეტამ მანდილის წვერით ოფლი მოიწმინდა. ახლა უფრო დაბერებული მეჩვენა.

სიცხეში თოხის ხათქუნი გულზე დიდად არ მეხატებოდა, მაგრამ ჯიუტად დავადექი სვეს და ბოლომდე გავიტანე. გამიჭირდა კი, ოფლი ხვითქად ჩამომდინდა, იხტიბარი მაინც არ გავიტეხე.

— შეისვენე ახლა, წადი, იბანავე, მანამდე სადილიც მზად იქნება!

ამჯერად დეიდა ანეტას დავუჯერე, ძნელია მიუჩვეველი კაცისათვის ამდენი თოხნა. თოხი მიწით შევამაგრე, რომ არ წაქცეულიყო, აქაოდა მერეც წაგეხმარები-მეთქი და საბანაოდ გავეშურე.

სოფელში ერთი მდინარე ჩამოდის, ტობაწყარი ჰქვია. კაცს მუხლებამდე ვერ მისწვდება, მაგრამ ერთგან, ოყაყალეს რომ ეძახიან, იქ ღრმულში გროვდება და ესაა სოფლის საბანაო. არც ისე შორს იყო, ტყის ბილიკმა სწრაფად გამიყვანა იქამდე. ასეთ დროს მაღალ ნაპირზე სოფლის ბიჭები იყრიან თავს, ერთობიან,

მაგრამ ახლა არავინ დამხვდა. სწრაფად გავიხადე, ცივ და ანკარა წყალში გადავეშვი. სული შემიგუბდა. ერთი-ორჯერ ჩავყვინთე. არც ისე კარგი მოცურავე ვარ, დიდ ხანს წყალში ვერ ვჩერდები, ვიღლები, იქ კი სიღრმე ორ საჟენს მაინც აღწევდა. ამიტომაც ცოტა ვიჭყუმპალავე და ნაპირისკენ გამოვწიე, კბოდეზე საგანგებოდ ამოკვეთილ საფეხურებს მივაშურე. ის იყო, წყლიდან ამოვიწიე, პირველ საფეხურს დავეყრდენი, ვიღაცამ მიბიძგა და ისევ წყალში გადამაგდო.

— რა ხუმრობაა! — აღშფოთებას ორი ყლუპი წყალი ჩავაყოლე.

საფეხურზე უტუტი იჯდა, ცალყბად იღიმებოდა. რა თქმა უნდა, ხუმრობდა, მაგრამ თვალებში სიცივე ედგა და ამან შემაკრთო.

— ერთ კაცს კი ეყოფა დასახრჩობად! — ხმა გაბზარული ჰქონდა. ხელი გამომიწოდა, ამომიყვანა.

პასუხი არ გავეცი. აუჩქარებლად ჩავიცვი, რათა შიში არ შეეტყო, და შინისაკენ წამოვედი. უტუტი ფეხდაფეხ მოალაჯებდა. ტყის კიდესთან შემაჩერა, იქნებ მობოდიშება უნდოდა, მაგრამ სულ სხვა რამ მკითხა:

— თუთაცირა მოგეწონა?

მზერა გავუსწორე. ღრმად ჩამჯდარ თვალებში ერთმანეთს ებრძოდა თხოვნა და ბრძანება, სიყვარული და სიძულვილი... უმალვე მივხვდი, რა ციებაც შეჰყროდა, და ცივად მოვუჭერი:

— თუთაცირა დაა ჩემი!

უკან არც მიმიხედავს, თუმცა სანამ სამზადში შევიდოდი, მანამდე ვგრძნობდი მის მზერას.

ნასადილევს უფრო დაცხა. ფარდაგი გამოვათრიე ეზოში, მსხლის ჩრდილში დავაფინე. მუთაქა თავქვეშ ამოვიდე და გავგორდი. იქვე წკნელი დავიდე, რათა ზედმეტად გათამამებული წიწილები დამეფრთხო. თან წიგნიც მოვაყოლე. ჩემი ნება იყო, მინდოდა, წავიკითხავდი, მინდოდა, გემრიელად წავუძინებდი. ერთი-ორი გვერდი მართლაც ჩავიკითხე, მაგრამ ფიქრებს ეძინათ და ვერაფერი გავიგე. ჩამთვლიმა. ბალახში ფეხის ფაჩუნმა გამომაფხიზლა. ქალიშვილის ლამაზ კანჭებს შევავლე თვალი.

თუთაცირა ჩამომიჯდა ფარდაგზე. არც არაფერი უთქვამს, უბრალოდ მიყურებდა. მეც უსიტყვოდ ვათვალიერებდი, თით-

ქოს პირველად ვხედავდი. მისი ყოველი ნაკვთი ხომ სიმშვენიერის განსახიერება იყო, მაგრამ ასეთი თვალები კაცს უნახავს გახდიდა. რა ვიცი, იქნებ არც იყო ცისფერი, მაგრამ ცისფერი ბინდი გადაჰკრავდა და ეს შუქი მთელ სახეზე ეფინებოდა.

— რამ გაგალამაზა, გოგო, ასე? — გულწრფელი გაკვირვებით შევეკითხე.

სახე გაუმწყაზარდა, დაიმორცხვა, კვლავ არაფერი მითხრა.

— რა ვქნათ ახლა მე და დეიდა ანეტამ, რომელი ქვეყნიდან ჩამოგიყვანოთ კალმით ნახატი უფლისწული? — ეს უკვე ხუმრობით დავამატე.

წამით მოიღრუბლა, უმალვე შუბლი გაეხსნა და ჩაიცინა გულიდან ამოსული თბილი სიცილით, თითქოს მომეფერაო.

არ ვიცი, სად მიგვიყვანდა ეს ქვეშეცნეული, აუმღვრეველი ალერსი, მაგრამ ამ დროს ლაწალუწი მომესმა და ღობეზე გადმოეშვა შავი და ბანჯგვლიანი, ხბოსტოლა ნაგაზი. გაგონილი მქონდა, დაწოლილ კაცს ძაღლი არ ერჩისო. ალბათ, ნაგაზსაც ეცოდინებოდა ეს ამბავი, თორემ თავს რომ დამსხმოდა, წუთში მომგუდავდა. თუთაცირასაც კრთომა შევატყვე, ოღონდ შიში ჩემზე ადრე დაძლია.

ნაგაზი აუჩქარებლად წამოვიდა, თითქოს ამოწმებდა, რა შთაბეჭდილება მოვახდინეო. ხშირი ბეწვი ისე უბზინავდა, თითქოს ახალთახალი დაბანილიაო. წითელი ენა გადმოეგდო, თითისტოლა ღოჯები უელავდა.

შორიახლო შეჩერდა, კუდი მორიდებით გააქნია.

შიშმა გადამიარა. რაკი კუდს აქიცინებდა, ალბათ თავდასხმას არ აპირებდა.

— როდის აქეთ გამოზარდეთ ეს ბომბორა?

— უპატრონოა, — წამჩურჩულა თუთაცირამ, თითქოს ვინმე მოისმენდა მის ნათქვამს, — არც ვიცი, საიდან მოდის ან სად იკარგება. უკვე მერამდენედ მოგვაკითხა.

ალბათ პატრონს ეძებს-მეთქი, დავუსტვინე. ნაგაზმა ყურადღების ღირსადაც არ ჩამთვალა. კუდი უფრო ააბათქუნა, მიწაზე გაწვა და ჩუმი წკმუტუნით თუთაცირას მიუჩოჩდა, კალთაში თავი ჩაუდო.

თუთაცირამ ხელი გადაუსვა. ნაგაზი გაიტრუნა, სიამოვნებისაგან თვალი მილულა, თან საწყლად წკმუტუნებდა, თავს აცოდებდა. ყველაზე საოცარი ის იყო, თითქოს სადღაც უკვე გამეგონა მსგავსი ხმა და ვერაფრით ვიხსენებდი. ყველა ძაღლი, ალბათ, ერთნაირად წკმუტუნებს-მეთქი, დავასკვენი.

უცებ გული გადამიქანდა. უცნაურმა აზრმა გამიელვა. მეორე წამს ამ აზრის ფანტასტიკურობამ ღიმილი მომგვარა. იქნებ არც უნდა წამომეროშა ასეთი სისულელე, მაგრამ თუთაცირას მაინც ვუთხარი:

— იცი, ვის მაგონებს ეგ შენი ნაგაზი?

თუთაცირამ გაკვირვებით შემომხედა.

— ვისა და უტუტის!

გოგონა შეკრთა, ცივად მოაშორა ხელი. უკან გაიწია. ნაგაზი წამოიმართა. თითქოს ნათქვამი ეწყინაო, ბოროტი ღრენა ამოუშვა. შემომხედა და ეს შემოხედვაც საოცრად მეცნაურა. აუჩქარებლად შებრუნდა. ღირსეულად მიდიოდა, როგორც არისტოკრატს შეეფერება. მერე მძიმე სხეული აიქნია და ღობეზე გადაეშვა.

— უყურე, ეწყინა!

თუთაცირამ არაფერი თქვა, სახეზე ფერი გაუკრთა, ხელი უცახცახებდა.

იმ დღეს უჩვეულო მეტი არაფერი მომხდარა. საღამოს დეიდა ანეტა აივანზე წამოწვა, თვალს მოვატყუებო, ჩვენ კი ჭალისაკენ ჩავისეირნეთ. თუთაცირა მკლავზე ჩახუტებული მომყვებოდა და ნაბიჯით არ მშორდებოდა. დამფრთხალი ჩანდა, მიზეზს კი ვერ მეუბნებოდა. ფიქრით სხვაგან ვიყავი და არაფერი ვკითხე.

ჭალაში სოფლის ახალგაზრდობა შეყრილიყო. ერთგან მეფანდურე იჯდა და სევდიან სიმღერას ჩაჰღიღინებდა. გარს გოგო-ბიჭები შემოჰხვეოდნენ, ჩუმ-ჩუმად ეღლაბუცებოდნენ ერთიმეორეს და თავშეკავებული სიცილ-კისკისი აუტყდებოდათ ხოლმე. ბევრს ვიცნობდი, განსაკუთრებით თანატოლებს, მაგრამ ჩემს არყოფნაში ბავშვებიც წამოზრდილიყვნენ. ნაცნობები ხელს მართმევდნენ, მეკითხებოდნენ აქეთურსა და იქი-

თურს, მეც არაფრის მთქმელი მიეთ-მოეთებით ვპასუხობდი.

მეფანდურის გვერდით ერთმა ხრიკა ბიჭმა დოლი დაითრია და ზედ ხელები აატყაპუნა. უმალვე წრე შეიკრა. ვაჟთაგან სხვაზე თამამი ვინც იყო, ის გამოფრინდა, დაუარა. ხან ერთ გოგოს ჩამოუქროლა, ხან მეორეს. გოგონები მორცხვად უარობდნენ, ჯიკავ-ჯიკავით ერთმანეთს აქეზებდნენ. თანდათან გაჩაღდა ცეკვა-თამაში. იქნებ ჩემი რიდი ჰქონდათ და ამიტომაც თუთაცირას არავინ იწვევდა. ვატყობდი, შორიდან თვალს აპარებდნენ, საცეკვაოდ გამოწვევას, შეხუმრებასა და შეთამამებას კი ვერავინ უბედავდა. ის კი არა, მე რომ მელაპარაკებოდნენ, მაშინაც თვალი განზე მიჰქონდათ, აქაოდა, ვერა ვხედავთ, გვერდით ვინ გიდგასო. თანდათან დავეჭვდი, ეს ყმაწვილები ვიღაცამ ხომ არ დააშინა-მეთქი, მაგრამ ეს ვიღაცა იქნებ მთლად მე ვიყავი, რადგან ყველას ნათესავებად მივაჩნდით.

შუა თამაშის დროს თუთაცირამ მკლავზე ხელი მომიჭირა. სახე გაფითრებოდა, თვალი დაეხარა.

წრის მეორე მხარეს, ჩია ახალგაზრდებში, დევივით წამოყუდებულიყო უტუტი და თვალს არ გვაშორებდა.

— რამ შეგაშინა, შე გლახა, — ხმადაბლა მოვეფერე.

— შინ წავიდეთ, ცუდადა ვარ, — ჩურჩულით მთხოვა.

წრიდან შეუმჩნევლად გავიყვანე. ისედაც ღამდებოდა და დეიდა ანეტა შეშინდებოდა.

ორღობეში ღამე და მთვარე ერთად წამოგვეწია და ჩუმად მივდიოდით ვერცხლის შარაზე.

სახეში ჩავხედე. ტიროდა, ალბათ შიშისაგან.

— ჩერჩეტი გოგო! — მოფერებით გავუჯავრდი, ხელისგულით ცრემლი შევუმშრალე, ტუჩზე მომიხვდა და თითქოს მსუბუქი კოცნა მომაყოლა, მაგრამ ეს ალბათ მომეჩვენა, ყურადღება არ მიმიქცევია. ფეხს ავუჩქარე, რათა შინ სწრაფად მიმეყვანა.

იმის შემდეგ ჭალაში არ წავსულვართ. სულაც არ მჭირდებოდა იქაური ტაშ-ფანდური. ისედაც კარგად ვერთობოდი. დღისით ხომ საქმე არ ილეოდა, მე კი თოხნასთან ერთად დღის ძილიც გამიტკბა და დრო სწრაფად გადიოდა. საღამოობით ნარდს ვთამაშობდით. ვინც წააგებდა, ნახშირით უნდა მოგვეთხუპნა და

შუაღამეზე ჯოჯოხეთის მაშხალებს ვემსგავსებოდით. დეიდა ანეტა მეტად ჭირვეული და ჩხუბისთავი მოთამაშე აღმოჩნდა, ნიადაგ ჭინჭყლობდა. თუთაცირას ჩუმი სიცილი კი გულს მითბობდა... მეტი არაფერი სჭირდებოდა ზაფხულის მოკლე ბედნიერებას.

ერთადერთი უცნაურობა შავი ნაგაზი იყო. თითქმის ყოველდღე გვაკითხავდა. სამივენი შევეჩვიეთ მის გამოცხადებას. დეიდა ანეტა პირჯვარს გადაიწერდა, მაგრამ გაგდებას ვერ უბედავდა. ხანდახან საჭმელს გამოუტანდა. ნაგაზი პირს არაფერს აკარებდა. რატომღაც პირველი დღიდანვე შემძულდა. მრცხვენოდა ამ გრძნობისა, ვცდილობდი ამის დაფარვას. ერთი-ორჯერ თავზე ხელის გადასმა მოვუნდომე. ისე შემომიღრინა, მეტად არ გავკარებივარ. იმ პირველი დღის შემდეგ ვერც თუთაცირა ეფერებოდა. ვატყობდი, ეშინოდა და ერთხელ ვუთხარი, გადადი მეზობელთან, თოფი ინათხოვრე-მეთქი.

— ეს ნაგაზი უნდა გავაგორო, განა ვერა ვხედავ, როგორ გეშინია!

თუთაცირას ფერი ეცვალა.

— თაზო, გეხვეწები, არ ქნა! — ისეთი კილოთი მთხოვა, განზრახვა უმალ გადავიფიქრე, მაგრამ შავი ნაგაზი უფრო შემძაგდა. ახლა ვფიქრობ, იქნებ მეტოქეს ვგრძნობდი მასში, რა თქმა უნდა, ქვეშეცნეულად, თორემ მსგავსი აზრი თავში როგორ მომივიდოდა.

ერთხელ, არ მახსოვს რა დღე იყო, ჩვეულებრივ ჩრდილში ვისვენებდით. ნაგაზიც იქვე იწვა, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევდით. რაღაცას ვუყვებოდი თუთაცირას. ამ კვირის მანძილზე ხომ ათასი სისულელე მოვუჩმახე. საიდუმლო ჩემთვის არაფერი დავიტოვე. ნეტავი ვინ მეზიდებოდა ენაზე. ისე გავბრიყვდი, გოგოებთან ცულლუტობის ამბებიც არ დამიმალავს. თურმე როგორი სასტიკი ვიყავი, გულს როგორ ვტკენდი, ის კი არაფერს იმჩნევდა. ოდნავღა შეეფაკლებოდა ლოყები და თვალებზე ბინდი გადაეფინებოდა.

უცბად სიტყვა შუაზე გამიწყდა. ნაგაზი მთლად ცქერად გადაქცეულიყო. თვალმოუშორებლად მისჩერებოდა თუთაცირას

და მის ამ მზერაში მეტი იგულისხმებოდა, ვიდრე ეს ჩვეულებრივ ძაღლს შეეძლო გამოეხატა.

— შეხე, შეხე, შენზეა შეყვარებული!

ამ სულელურმა შეძახილმა საოცარი შედეგი გამოიღო. ნაგაზი ისე წამოხტა, თითქოს შოლტი გადამეჭიროს. თუთაცირას ნირი შეეცვალა. ისიც წამოიმართა, ძაღლს ფეხები დაუბაკუნა:

— წადი, წადი, მომშორდი!

ცრემლი წასკდა და ფარდაგზე, ჩემს გვერდით დაემხო.

ნაგაზი მძიმედ შებრუნდა და წავიდა. ხანდახან ჩერდებოდა, უკან იყურებოდა, თითქოს კარგად ესმოდა ჩვენი გასაჭირი, მაგრამ თვითონაც შავ დღეში იყო.

გაოგნებული დავყურებდი თუთაცირას, არ ვიცოდი, რა მეთქვა. კიდევ კარგი, დეიდა ანეტა ახლომახლო არ იყო, თორემ, აბა, რას იფიქრებდა.

— თუთაცირა, მე ხომ ვიხუმრე!

— ჰო, ყველაფერი ხუმრობაა, სიყვარულით კი არავის ვუყვარვარ! — წამოვარდა და ოდისაკენ გაიქცა.

ადგილზე დავრჩი, არ გამოვეკიდე. ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახდა — თუთაცირას მე ვუყვარდი. რა მექნა, როგორ მოვქცეულიყავი? ეს რომ დეიდა ანეტას გაეგო, თავს ყულფში გაყოფდა. ეტყობა, გადავამლაშე და გოგომ ათასი რამე იფიქრა. სჯობდა, დღესვე გავცლოდი აქაურობა, მაგრამ რა უნდა მეთქვა დედაბრისათვის, რითი ამეხსნა ჩემი მოულოდნელი გამგზავრება.

ის დღე ძლივს მიილია. მოწყენილობა მკლავდა. საღამოს ნაჩქარევად ვივახშმე და ლოგინში ვდურთე თავი.

ანეტა დეიდამ შემოიხედა, ალბათ რაიმე იეჭვა.

— ცუდად ხომ არა ხარ?

რომ მეთქვა, ცუდად ვარო, გაგიჟდებოდა, არა და ვიცოდი, ადვილად არ მომშორდებოდა.

— არა, მეძინება რაღაც.

— ხომ არ გიჩხუბიათ?

— ვისთან? — თავი მოვისულელე.

— თუთაცირაც ჩამოღამებული დადის.

— რა გვქონდა გასაყოფი? — შორს დავიჭირე.

— ჰო, დაიძინე, დაიძინე! — უკმაყოფილოდ წაიბუზღუნა დეიდა ანეტამ.

ეჰ, რომ მცოდნოდა, რა მომელოდა მეორე დღეს, ალბათ გავიპარებოდი, მაგრამ წინასწარ ვინ მეტყოდა, ბედი რასაც მიმზადებდა და მშვიდად მეძინა, თუ არ ჩავთვლით აბეზარ კოღოს, მთელი ღამე ყურში რომ ჩამწუოდა და ძილს მიფრთხობდა.

დილაუთენია დეიდა ანეტამ გამაღვიძა. მეზობელი მოსულა და უთქვამს, უტუტი მოულოდნელად ავად გამხდარა და თაზოს ნახვა უნდაო. შემოუთვლია, იჩქაროს, იქნებ სულზე მომისწროსო. გამაოცა და დამაეჭვა ამ უცნაურმა თხოვნამ. უტუტის ავადმყოფობა ძნელი დასაჯერებელი იყო. თუ მართლა გადადებულია, რომელი ექიმი მე ვარ, ვუშველო, ან რომელი მღვდელი მნახა, რომ ვაზიარო-მეთქი, დეიდა ანეტას ვუმტკიცებდი. დედაბერი თავს მიქნევდა, მეგონა, დავარწმუნე, მაგრამ როცა გავჩუმდი, ალერსით მითხრა: „მაინც უნდა წახვიდე, შვილო!“ რა მექნა, ჩემზე ახლობელი უტუტის, ალბათ, არავინ ეგულებოდა და უნდა წავსულიყავი.

სოფელი თითქოს ამოწყდაო, ორღობეში არავინ შემხვედრია. მგონი უკვე ვთქვი, რომ უტუტის სახლი განაპირას იდგა შუაგულ ტყეში, გორაკის ძირას. ეს იყო მძიმე მორებისაგან შეკრული, ისლით გადახურული ჯარგვალი. არც ეზო ჰქონდა, არც ბაღ-ბოსტანი, ღობე და ჭიშკარი ამიტომაც არ სჭირდებოდა.

ორღობეს რომ გავცდი, გუნება გამიფუჭდა. ტყეში ჯერ კიდევ ნისლი ირწეოდა, იბოლქვებოდა, თანდათან იფანტებოდა. ფოთლებზე წვეთები ესხურა და მწუწავდა. ბალახიც სველი იყო და ფეხსაცმელები წყლით გამიჟიჟინდა. თავს არ ვუმხელდი, თორემ უნებლიე შიში ფეხდაფეხ მომდევდა, ნერვებს მიწიწკნიდა. თვალწინ სულ უტუტი მედგა, ყოველი ხის დაკოჟრილ ზროში თითქოს უტუტი ისახებოდა, გზისპირას დაგორგლილი ბუჩქი ძირს გაგორებული უტუტი მეგონა, დამპალი კუნძი — წამოსახტომად გამზადებული უტუტი...

მალე შავად გამოილანდა ჯარგვალი. მორებს ხავსი მოსდებოდა. ირგვლივ ყოველივე დახავსებული და წყლით გაჟღენთილი იყო. ჩემს ჭკუამდე არ დადის, რა აცხოვრებს ადამიანს ასეთ ბნელ

ულრანებში, როცა ამდენია მზით გაჩახჩახებული ველები.

მოულოდნელად თითქოს გული გამიჩერდა. ჯარგვლის კედელს უტუტის გაცრეცილი ჩრდილი გამოეყო, ცვალებადი და უფორმო. მასში ის ღამეული დათვი დავლანდე, მეორე წამს კი თითქოს შავი, ბომბორა ნაგაზი განსახიერდა... ნებისყოფას მოვუხმე, თრთოლვა დავიოკე და მივხვდი, ხის ჭრელი ჩრდილი ეცემოდა ტკეპნილ მიწას...

საკუთარ თავს შევუძახე, რისი უნდა მშინებოდა. მეხსიერების ასპარეზზე წამით თითქოს გავაცოცხლე უტუტის ჭეშმარიტი ხატი... შემეცოდა კიდეც. რისი იმედი უნდა ჰქონოდა? სულაც არ უხდებოდა შეყვარებულის როლი. იგი უფრო „შეყვარებული ნადირი“ გახლდათ. უტუტის ზორბა სხეული უშნოდ დაყუდებულიყო შეყვარებულთა იმ გალერეაში, ლიტერატურამ და ხელოვნებამ ჩემს გონებაში რომ ჩამოამწკრივა. მისი ჩახუტება, ალბათ, ყინულის კლდეზე შეხლას დაემგვანებოდა, რკინის თათები საალერსოდ კი არა, მოსაშთობად იყო შექმნილი. ბანჯგვლიანი სახე მხოლოდ შიშს აღუძრავდა ადამიანს და არა თანაგრძნობას...

ფიქრი თითქოს მამშვიდებდა, მაგრამ ჯარგვალს რომ მივუახლოვდი, სიძაბუნე ვიგრძენი, აზრი გადამეკეტა. საოცარი მდუმარება ჩამოწვა, ფოთოლიც არ ირხეოდა და ფიჩხს რომ გაეტკაცუნებინა, ალბათ გავიქცეოდი.

ჯარგვლის კარი მიხურული იყო. ანგარიშმიუცემლად გამოვწიე, ჭრიალით გაიღო. თავდაპირველად ვერაფერი გავარჩიე. ჯარგვალში სინათლე მხოლოდ საკვამურიდან ჩამოდიოდა და მტვრიანი ფარდებივით გარდიგარდმო ეშვებოდა.

ზღურბლზე გადავაბიჯე და სახეზე თითქოს ბნელი ფრთა შემეხო. არ ვიცი, რა მოხდა. სინათლის სვეტი მოულოდნელად მიეფინა ჯარგვლის შორეულ კუთხეს (მზე თუ გადაქანდა), გამჭვარტლულ კედელზე ათინათი ათამაშდა... იქ, ხის ფართო ტახტზე, ჩანახშირებული კერიის მიღმა, ჭერიდან ჩამოშვებული მრუმე ფარდის მიღმა, გაშოტილიყო უტუტის უზარმაზარი სხეული. სახე მოებრუნებინა და მუდარით შემომცქეროდა, ბაგეები გაეხსნა, თითქოს უხმოდ მიხმობდა: „თაზო, თაზო!..“

ვიგრძენი, რომ ცუდად ვხდებოდი. სუნთქვა წამერთვა, გონება დამებინდა, თვალისჩინზე სიბნელე ჩამომეფარა, ირგვლივ დატრიალდა ჯირგვლის გამჭვარტლული კედლები და ხარიხები... მუხლი მომეკვეთა... ვეცემოდი უსასრულოდ, ვეცემოდი და მაინც ფეხზე ვიდექი... „თაზო, თაზო...“ — უტუტის ხრინწიანი, მაცდური ხმა თითქოს შერბილებულიყო. ვერ გავიგე, შველას მთხოვდა, ჩემი გულის მოგებას ცდილობდა თუ დაღუპვას მიქადდა. გველივით შემომიძვრა სულში, გულს შემოეგრაგნა, მომგუდა და ჩემსავე არსში ადგილი არ დამრჩა, ციცქნად ქცეული თაზო სადღაც სიღრმეში ჩაიძირა, ჩაიშრიტა, მისი ადგილი კი უტუტიმ დაიკავა, გაითავისა...

გონს რომ მოვეგე (განა მართლა მოვეგე გონს?), ისევ ზღურბლთან ვიდექი. უტუტის შემზარავი სახე ჩემკენ ჰქონდა მობრუნებული და მის გახელილ თვალებში ყინული ჩაკრისტალებულიყო.

თავზარდაცემული ადგილს მოვწყდი, გარეთ გავვარდი, ტყის ბილიკზე დავეშვი.

არ მახსოვს როგორ გავირბინე სოფლის ორღობე, არ მახსოვს ვინმე შემხვედა გზაში თუ არა. დეიდა ანეტა რომ დავინახე, წაქცევას ცოტა მაკლდა.

— უტუტი მოკვდა!

დეიდა ანეტამ ლოყა ჩამოიხოკა, ვაი, ვაი, ვაიო, სამჯერ შეჰკივლა და, როგორც იყო, შინაურ ხალათში, აგრევე წაცუხცუხდა მეზობელთა მოსახმობად.

მე კი ჩემს ოთახში შევედი და საწოლზე დავეცი.

არ ვიცი, რა დამემართა. საოცრად შევიცვალე. თითქოს გაქრა წუთის წინანდელი თაზო, მისი სუსტი ნებისყოფა დაეთრგუნა რაღაც უფრო ძლიერს, ღონიერს, რაღაც მხეცურს, სულში რომ ცეცხლივით ტრიალებდა, მახრჩობდა, მწვავდა... სიმწრისაგან კედელს ვეხლებოდი, კბილებით ბალიშსა ვგლეჯდი... მინდოდა მეყვირა, ცრემლი მეღვარა... ვერაფრით ვერ დავმშვიდდი, თავი ვერ მოვითოკე, ვერ დავთრგუნე ჩემში ჩასახლებული ნადირი...

და ამ დროს შემოვიდა იგი... მე ხომ არ მომიხმია, რაც უბრად ვიყავით, არც დავლაპარაკებივარ. იმას, ალბათ, ტანმა უგრძნო და შემოვიდა.

საწოლზე წამოვჯექი. მივაჩერდი, ყელიდან უსიტყვო ხრიალი ამომდიოდა, სიტყვის თქმა კი ვერ მოვახერხე.

იგი იდგა შუა ოთახში, გამჭვირვალე, ჰაეროვანი, მსუბუქი, უსაზღვროდ თბილი. მის თვალებში ვკითხულობდი ერთგულებას, თავდავიწყებას... ეს იყო მსხვერპლის თვალები, მაგრამ ამას გვიან მივხვდი...

გაუბედავად მომიახლოვდა. ხელი უცახცახებდა და ეს მთრთოლვარე ხელი თავზე დამადო, თითები თმაში შემიცურა. მისი თრთოლვა მეც გადამედო, ღონე მთლად წამერთვა. უცბად დამიჩოქა და მკერდში ჩამეხუტა. მოვეხვიე, ტუჩებით საფეთქელს შევეხე. ვიგრძენი, როგორ ტოკავდა ძარღვი საფეთქელზე და სიგიჟემ ხელი დამრია.

ღმერთო, არც ღირდა მეტი სიცოცხლე! ბედს რა უნდა მოეცა ამიერიდან, რაც ოდნავ მაინც გაუტოლდებოდა ამ უზარმაზარ ნეტარებას. არასოდეს განმეორდება ის სათუთი თრთოლვა, ის ხიბლი, ის თავდავიწყება. სიკვდილამდე იმ წუთების მოგონებით უნდა მეარსება, მეხსიერებაში ისევ და ისევ აღმედგინა ყოველი წვრილმანი, მაგრამ როგორღა აღდგებოდა იგი, როცა ჩავიძირე რაღაც ბურანში, რაღაც დაუვიწყარ სიზმარში, ცისფერი ტალღები მიმაქანებდა სადღაც ზღაპრეთში, ყველაფერი იყო ტკბილი, წმინდა, არარეალური... ერთ არსებად გადავიქეცით მე — თაზო და ის თუთაცირა... და უტუტიც — ჩემი დამღუპველი...

დეიდა ანეტა გვიან დაბრუნდა. ჭიშკრის გაჭრიალება არ გაგვიგონია. კიბეზე ფეხის ფრატუნმა გამოგვაფხიზლა. თუთაცირა ოთახიდან გავარდა. მე კი საწოლზე დავეცი და კედლისაკენ შევბრუნდი, დავემალე დეიდა ანეტას გამჭრიახ თვალებს. სიმშვიდისათვის უნდა მომეხმო, მაგრამ ძნელი იყო ნერვების მოთოკვა. თავით ფეხამდე კანკალი მივლიდა, შემცივნებულივით მაბაბანებდა, თითქოს მთელი არსებით კვლავაც შევიგრძნობდი თუთაცირას შიშველი სხეულის სალუქ სიგრილეს. კრუნჩხვამ დამიარა და უსაზღვრო ბედნიერებისაგან ჩუმად ავტირდი.

დეიდა ანეტამ შემოიხედა, ზღურბლზე უხმოდ იდგა და მიყურებდა. იქნებ ეჭვები აწვალებდა. თუმცა არა, უტუტის

მოულოდნელ და უდროო დაღუპვას მიაწერდა, ალბათ, ჩემს განცდებს. უჩუმრად მომიახლოვდა, საწოლის კიდეზე ჩამომიჯდა, თავზე ხელი გადამისვა, შენ რას უშველი, შვილოო, წამჩურჩულა... მისი დაკოჟრილი, ბებრული ხელის შეხებამ მთლად მომათავა. ბავშვივით ავზლუქუნდი და ვცდილობდი გავქცეოდი დედაბრის თანაგრძნობას, რადგან ამწუთას დედამიწის ზურგზე ჩემი ერთადერთი მტერი დეიდა ანეტა იყო... რა იცოდა, რაოდენ ბედნიერი ვიყავი დღეს და რაოდენ უბედურიც!

თანდათან გული დამიამდა, დავმშვიდდი. ჩამთვლიმა კიდეც. არ მახსოვს, როდის გავიდა დეიდა ანეტა. უცბად გამოვფხიზლდი. მსუბუქი ჭრიალი მომესმა. მთვარიანი ღამეები იწყებოდა. ახლაც ფანჯარაში კიდეჩამოჭრილი მთვარე იცქირებოდა. ალბათ, მისმა სხივებმა თუ შემოაღწია ჭრიალით, სახეზე დამეფინა და ძილი დამიფრთხო. გული შეშინებული ბავშვივით მიფართხალებდა. ლოგინში ვერ გავძელი. ჩავიცვი. კარი ფრთხილად გამოვაღე, რათა ძილი არავისთვის დამეფრთხო. აივნის იატაკმა ოდნავ დაიჭრაჭუნა და დეიდა ანეტამ გამომძახა:

— რომელი ხარ?

— მე ვარ, დეიდა ანეტა, გარეთ გავედი!

თავი აივნის სვეტს მივაყრდენი. მთვარის სუსტი სხივები მრუმედ ეფინებოდა გარემოს. ეზოს მიღმა ხეთა ვარჯები იგრაგნებოდა და ის შავეთი წარმოსახვამ ბანჯგვლიანი ჯოჯოებით დაასახლა. თითქოს შემცივდა, ტანზე გამბურძგლა. სულაც არ ციოდა, მაგრამ ნერვების ბრალი თუ იყო.

უცბად თბილი ხელისგული შემეხო ზურგზე. გული ჩამივარდა. ვერ ვიტყვი, მოულოდნელობისაგან-მეთქი, ალბათ მოველოდი და იმიტომ. ბეჭზე ტუჩების თბილი შეხებაც ვიგრძენი. თუთაცირამ მომხვია ხელი, ლოყა მომადო, მომეხუტა. ცოტაც კიდევ და, მუხლები მომეკვეთებოდა. შემოვბრუნდი და ჩავეხვიე. ასე გატრუნულნი ვიდექით. ლაპარაკი საჭირო არ იყო. მეტი არაფერი გვინდოდა ამ ქვეყანაზე... ერთი, ორი, სამი... ჩვენ ერთნი ვიყავით და ოღონდ ხელი არავის შეეშალა, მეტს არაფერს ვნატრობდით.

დეიდა ანეტას საწოლი აჭრაჭუდა, დედაბერი აკრუსუნდა.

ხელი მაინც ვერ ვუშვი თუთაცირას, ეს ჩემს ძალას აღემატებოდა. ჩუმად წავიყვანე ჩემი ოთახისაკენ.

— რომელი ხარ? — კვლავ იკითხა დეიდა ანეტას ეჭვიანმა ხმამ.

— მე ვარ, დეიდა ანეტა, ვბრუნდები! — სიტყვა ძლივს დავიმორჩილე, მაცახცახებდა. ცოტა ხანს ყური მივუგდე. ეტყობა, დედაბერს კვლავ ჩაეძინა.

მე და თუთაცირას რაღა დაგვაძინებდა. მთვარე გამჭვირვალე ზეწარივით სუსტ სხივებს გვაფენდა. ურწყავი იყო ბედნიერი წამები და ერთხელაც არ მიფიქრია, ან ფიქრის თავი სად მქონდა, — ვიყავი ღირსი თუ არა ამ ბედნიერებისა.

უკვე თენდებოდა, მე კი ვერ ველეოდი ჩემს თუთაცირას. ვერა და ვერ მოვაშორე ბაგე სველ ტუჩებს, ბოლომდე ვერ ამოვკოცნე მისი თვალები... რა ცეცხლი იყო ისეთი, არაფრით რომ არა ქრებოდა, რა იწვებოდა ასე დაუსრულებლივ... ალბათ მთლიანად უნდა ჩავფერფლილიყავით ამ კოცონში, უნდა ვემსხვერპლეთ ამ გატაცებას... თავშეკავება და გონიერება დავკარგეთ, სტიქიას მინებებულებმა უარვყავით საღი აზრი...

ასე გაგრძელდა ის დღეც, მეორეც, მესამეც, მეოთხეც... მთელი კვირა...

დეიდა ანეტას დილა-საღამოს თუ ვხედავდით. ახლაც არ ვიცი, რას გვატყობდა. თითქოს თვალს გვარიდებდა, საეჭვოს არაფერს გვეუბნებოდა. იქნებ თვითონაც არ სჯეროდა დაუჯერებელი და თავს იტყუებოდა. დილით საუზმეს გაგვიწყობდა, ნაჩქარევად მოილევდა საოჯახო საქმეებს, რადგან თუთაცირა სიზმარეთში ცხოვრობდა, ვერაფერს ხვდებოდა, საქმეზე ხელი არ მიუდიოდა. „რამ გამოგაშტერა, გოგო, — დაუცაცხანა ერთხელ, — გუშინდელი საუზმე ისევ ისე დამხვდა, სტუმარს აშიმშილებ?“ რა იცოდა, სტუმარს რანაირი შიმშილიც წვავდა. აბა, არ მოიწყინოთო, დაიბარებდა და წაცუნცულდებოდა. მთელი სოფელი პატრონობდა ობოლ უტუტის და დეიდა ანეტასაც თავი გადაედო... საღამოს გვიან ბრუნდებოდა, ეჭვიანად გააქნევდა თავს, ახალ ამბებს ჩამოგვიკაკლავდა... საბრალოს უკვე სუნი ეცაო, არაყით გავბანეთ, მაგრამ ამ გაგანია სიცხეში გვამი დიდხანს ვერ ძლებსო, ალბათ, მალე ჭია დაეხ-

ვევაო... იქნებ მართლაც უტუტით იყო მისი გონება დაკავებული და ამიტომაც ვერაფერს გვამჩნევდა. ჩემს გონებაში კი მარტო „თუთაცირა“ კრთოდა, ცის ერთადერთი მნათობი, ვერცხლის სხივებს რომ აფენდა სამყაროს, ყოველივე დანარჩენი ბნელით იყო მოსილი. ჩემი თუთაცირა მიზიდავდა მხოლოდ და მაშინაც კი, როცა დეიდა ანეტა ჩვენს გვერდით ფუსფუსებდა, თავს ვერ ვიკავებდით, ხელი თავისით გაგვირბოდა, რათა თითები ერთმანეთს შეჰხებოდა, კისერი მეღრიცებოდა, მისი ტანის რხევისათვის თვალი რომ შემევლო. შებრუნდებოდა დეიდა ანეტა და თუთაცირას ქურდული კოცნა მე მეკუთვნოდა... ყოველ წამს გვკლავდა უერთმანეთობა, თითქოს სულაც მარტონი არ ვიყავით საათით ადრე...

მარტო?.. მარტო ჩვენ არასოდეს ვყოფილვართ, მაგრამ თუთაცირამ ეს არ იცოდა... მე კი მესამესაც ვგრძნობდი ყოველთვის, მე — თაზოს კი არ მწვავდა ვნების ცეცხლი, მესამის დანთებულ კოცონზე ვიწვებოდით ორივენი და თუთაცირა თუ მსხვერპლი იყო, მეც მსხვერპლი ვიყავი მაშინ.

იმ დროს სად შემეძლო ამის გააზრება... დეიდა ანეტა ეზოდან გასულიც არ იქნებოდა, ჩვენ უკვე ერთნი ვიყავით და არ არსებობდა ზღვარი, არ არსებობდა პირობითობა, ჩვენს ლტოლვას შუაში რომ ჩაუდგებოდა... რა ნელა მიდიოდა დრო — თითქოს საუკუნის სიგრძის დღეები იდგა და რა სწრაფად თავდებოდა ეს საუკუნე, თითქოს წუთის წინ იყო, ბაგე ბაგეს რომ შევახვედრეთ, უდაბნოს ხვატით გაბრუებულებმა გრილ წყაროს მივაგენით და მხოლოდ თითო ყლუპი ვიგემეთ, მაშინ, როცა ის წყარო მთლიანად ჩვენთვის ამოდიოდა და ბოლომდე უნდა შეგვესვა... მერე საძულველი საღამო განგვაშორებდა ერთმანეთს, მაგრამ ღამე კვლავ ჩვენი იყო, კვლავაც ვესწრაფოდით სულისა და ხორცის ერთიანობას, ოღონდ ვეღარ ვაღწევდით, რადგან ხელს გვიშლიდა თაზო, არარაობად ქცეული, უნებისყოფო და უკმარობის გრძნობისაგან მზად ვიყავი მომეშთო იგი... ვეღარ მოვიხელთე, რადგან სიფრთხილის თავშესაფარში შეეღწია და იქ იმალებოდა.

სტიქია ბრმაა და ამიტომაც თამამი. არ ვიცი, რას ამჩნევდა

დეიდა ანეტა, მაგრამ ბრმა იგი არ იყო და ერთხელ თუთაცირას დაეკითხა, ავად ხომ არა ხარო. თუთაცირამ ციებიანი თვალები აარიდა, — მე მხოლოდ მის თვალებს ვხედავდი, — ასე კარგად არასოდეს ვყოფილვარო, ხმის კანკალით უპასუხა. შენც გამხდარი მეჩვენებიო, ახლა მე მომიბრუნდა დეიდა ანეტა, რაც ეს უბედურება მოხდა, ყურადღებას ვერ გაქცევთ და ალბათ შიმშილობთო. ნაძალადევად გავუცინე, თავს მშვენივრად ვგრძნობ და მადაც შესანიშნავი მაქვს-მეთქი. თუმცა არც მახსოვდა, როდის ვჭამე უკანასკნელად და თუ ვჭამე, რა გემო ჩავატანე. დეიდა ანეტამ გამომცდელად შეგვათვალერა, ეტყობა, აფორიაქდა, მაგრამ შეეცადა ეჭვები დაეფარა. პანაშვიდზე ერთხელაც არ ყოფილხართ, ასე მიცვალებული დაუტირებელი დაგრჩებათო, გვისაყვედურა. კინაღამ ხმამაღლა გამეცანა. მიცვალებული? რა ხელი გვქონდა მიცვალებულთან. ჩვენზე სიცოცხლე ბატონობდა და სიკვდილის არსებობაც დაგვვიწყებოდა. ეს ცივი, ამაზრზენი სიტყვა გულს მირევდა და თავის მართლება არ მიცდია, მაგრამ სარკეში რომ ჩავიხედე, თავი ვერ ვიცანი. სარკიდან თვალებანთებული, ლოყებჩაცვენილი ტიპი იცქირებოდა, თაზოსაც რომ ჰგავდა და ვიღაც მესამესაც. მივხვდი, რომ შორს შევტოპე. ნებისყოფას მოვუხმე, უტუტი გავიხსენე და პანაშვიდზე წამოგყვები-მეთქი, თვინიერად დავყაბულდი. ამით ხომ უზარმაზარ მსხვერპლს ვიღებდი, რადგამ მთელი საათი უნდა დამეკარგა, მთელი საათით უნდა დამეტოვებინა თუთაცირა.

— შენც წამოსულიყავი! — დეიდა ანეტამ ორჯერ გაუმეორა, ძლივს გააგებინა. გოგონას თვალებში ძრწოლა აისახა და დედაბერმა თავი დაანება, უკმაყოფილო ბურტყუნით წამოცუხცუხდა ჩემს გვერდით.

ფეხი უკან მრჩებოდა, წამდაუწუმ ოდისაკენ ვიხედებოდი მალულად, ის კი აივანზე გადმომდგარიყო და ვიცოდი, ჩემს გარდა ქვეყნიერებაზე ვერავის ხედავდა.

მივდიოდი და თან ვრჩებოდი. გზაზე მეზობლები გვხვდებოდნენ, გვესალმებოდნენ, ხელს გვართმევდნენ. თითქოს სიზმარიაო, მეორე წამს ყოველივე მავიწყებოდა. მთლად გამოვითიშე. დეიდა ანეტა აქვე რომ არ ყოფილიყო, ვინ იცის, ფეხები საითკენ წამიყვანდნენ. მთელი ჩემი არსება მოეცვა ერთადერთ გრძნობას, მხოლოდ მას ვემორჩილებოდი და მეტი არაფერი მედარდებოდა: თუთაცირას სხეულის სალუქ შეხებასა ვგრძნობდი ამ გზაზეც, თითქოს ყინულით გათოშილს თბილი სიო მელამუნებოდა ანდა, პირიქით, სიცხისაგან გათანგულს — გრილი ნიავი... სმენამდე ძლივს მოაღწია დეიდა ანეტას სიტყვებმა. უტუტის ახსენებდა, მის ობლობას და მარტოობას დასტიროდა. ხეთა მიღმა უტუტის ჯარგვალი ილანდებოდა და დეიდა ანეტამ შორიდან დაიწყო მოთქმა-ტირილი, მეზობლებს გააგებინა, მოვდივართო.

ჯარგვლის წინ სოფლელები საქმიანობდნენ. ყურადღება მეფანტებოდა და ვერ ვხვდებოდი, რას აკეთებდნენ. მავიწყდებოდა, რისთვის იყო ამდენი ხალხი აქ შეყრილი. უსალმოდ მომშტერებოდნენ, თითქოს პირველად მიხილესო. უცხო ვიყავი მათთვის, რადგან ქალაქიდან დასასვენებლად ჩამოხეტებულს არ შემეძლო გულთან ახლოს მიმეტანა გასაჭირი სოფლისა, ვისაც ხელიდან გაუსხლტა შიშისმომგვრელი ზღაპარი. მივხვდი, უტუტის დასაფლავების შემდეგ წარსულს ბარდებოდა მითი და ლეგენდა. ამიერიდან ვერავის გააღმერთებდნენ ასე და ვერავის შეიძულებდნენ. ზეგიდან, ალბათ საავტომობილო გზასაც გაიყვანდნენ რკინიგზის ბაქნამდე და სოფელში ერთი მოხანხალებული ავტობუსიც ამოვიდოდა. არაფერი მესმოდა სოფლის საწუხარისა და, დეიდა ანეტა მოთქმა-ტირილით ჯარგვალში რომ შევიდა, ზღურბლზე დავერჭე, წინ ნაბიჯი ვერ გადავდგი.

ჯარგვალში ბნელოდა. სანამ თვალს შევაჩვევდი, ვერაფერი გავარკვიე. სინათლე მაღლა დატანებული სარკმლებიდან და საკვამურიდან აღწევდა. მტვრიანი ფარდებივით გარდიგარდმო ეფინებოდა შიდა სივრცეს და ფერთა ეს ბუნდოვანი ციალი თავგზას მიბნევდა. მიცვალებულის გულისამრევი სუნი მეცა, თითქოს სინათლის ამ ფარდებსაც და ჯარგვლის კუთხეებში მიმალულ ჩრდილებსაც ეს სუნი გასჯდომოდა. იქითკენ გავიხედე, საიდანაც დეიდა ანეტას ხმა მოისმოდა. ფარდაგიან ტახტზე უტუტის უზარმაზარი გვამი ესვენა. სახე უკვე გალურჯებოდა და ახლაღა ვირწმუნე, რომ იგი საბოლოოდ მიიცვალა. ახლოს უნდა მივსულიყავი, რამენაირად მწუხარება გამომე-

ხატა, მაგრამ უტუტის სახე მაკრთობდა. შიში ვერ გადავლახე. ცქერაც არ შემეძლო ამ შემზარავი ნიღბისა, თვალს ვარიდებდი. მაგრამ ის თითქოს თავისკენ მიხმობდა, მიზიდავდა. უცბად გული გამიჩერდა. მომეჩვენა, რომ მიცვალებულის ქუთუთოებქვეშ თვალის გუგები მოუსვენრად მოძრაობდა. თავზარი დამეცა, შევტრიალდი. მინდოდა გაქცევით მეშველა თავისთვის, მაგრამ მეზობლების შემრცხვა და არაფერი შევიმჩნიე, დინჯად გავშორდი იქაურობას.

თანდათან ფეხს ავუჩქარე. თითქოს ვიღაცა მომდევდა ფეხდაფეხ. ხშირად ვიხედებოდი უკან. ტოტები ნელა ირხეოდა. ბუჩქებს მიღმა ვიღაცა იმალებოდა. ტყის ბოლოს სირბილით გავიჭერი, ორღობეც სწრაფად ჩავლიე და დეიდა ანეტას ეზოში რომ აღმოვჩნდი, მაშინღა დავმშვიდდი.

თუთაცირა მელოდებოდა. იქვე, აივანზე იდგა, სადაც დავტოვე. როგორც კი დამინახა, გამოიქცა, კისერზე ჩამომეკიდა და ატირდა. ალბათ იფიქრა, სამუდამოდ დავკარგეო. მივხვდი, ეს ერთი საათი მისთვისაც ჯოჯოხეთად ქცეულიყო. შიშიც გადამავიწყდა, უტუტიც, დეიდა ანეტაც და სოფელიც. მთელი დღე ერთად ვიყავით და ალერსით ვეღარ ვძღებოდით. მისი თვალები უსაზღვრო ბედნიერებისაგან იბინდებოდა, ზედ ლურჯი ნისლი ეფინებოდა თითქოს, მთრთოლვარე ტუჩები წითლად ებუშტებოდა, ღიმილი თეთრად უცისკროვნდებოდა... ცაზე დავფრინავდი და მსურდა ერთ ამბორში დამეხარჯა მთელი ჩემი სიცოცხლე... ხანდახან თუ შემიფრთხიალდებოდა გული შიშიანად, ვაითუ მომთავრებულიყო ოდესმე ეს დღე, ვაითუ უსასრულოდ ვერ გაგრძელებულიყო ყოველივე... რა მოგველოდა ხვალ, ზეგ?

კვლავ გვიან დაბრუნდა დეიდა ანეტა. ჩვენ-ჩვენს სარეცელს მივაშურეთ და თავი მოვიმძინარეთ. წამით შემოიხედა დედაბერმა, სინათლის ანთება ვერ გაბედა. „გძინავს?“ — ჩურჩულით მკითხა. გავისუსე და გავიდა. სხვა დროს საბანს შემისწორებდა, თავზე ხელს გადამისვამდა, ახლა ზღურბლს აქეთ არც გადმოსულა. ვიცოდი, თუთაცირასთანაც შევიდოდა, იმის ძილსაც შეამოწმებდა. კიდევ დიდხანს დადიოდა ოთახში, რა ვიცი, რას საქმიანობდა. თავისთვის ტუტუნებდა, ოხრავდა,

იქნებ უტუტის სვეზე წუხდა ან იქნებ სხვა რამეზე. ჩემს გულში კი მტრობა იზრდებოდა. თავს ძლივს ვიკავებდი... რა უფლება ჰქონდა, მოეპარა ჩემი ბედნიერი წუთები...

მამლებმა შუაღამისა იყივლეს. სახლში მყუდროება ჩამოვარდა და ოთახში თუთაცირა შემოსრიალდა. მთვარე ანათებდა ფანჯრიდან და სიფრიფანა ღამის პერანგი იმ სხივის ანარეკლს ჰგავდა. მოუთმენლად წამოვხტი, შევეგებე. ის წამიც ვეღარ დავთმე, ჩემთან მოსვლას რომ დასჭირდებოდა. ეს იყო უსასრულო ღამე და, ღმერთო, რა სწრაფად მიილია იგი. ჩუმად ვიწექით. თავი ჩემს მხარზე ედო და მის სათუთ სუნთქვას ვუსმენდი. მეტი არაფერი მჭირდებოდა, მეტს არაფერს ვითხოვდი ბედისაგან. ოღონდ არ გათენებულიყო, ოღონდ არ დამთავრებულიყო ეს ნეტარება, სულის ფაქიზი თრთოლვა, თბილი ტალღები, თავით ფეხამდე რომ მივლიდა.

მაგრამ ის ღამეც მიილია და დეიდა ანეტას კრუსუნი რომ შემოგვესმა, თუთაცირა თითქოს დილის ნათელს გაჰყვა.

დაღლილსა და მოთენთილს ჩამეძინა. როცა ავდექი, მზე უკვე მაღლა იდგა. აივანზე დეიდა ანეტა მელოდებოდა. ერთადერთი საგარეო კაბა ჰქონდა და ის ჩაეცვა. თუმცა ცხელოდა, ჩემი ნაჩუქარი თავშალი მაინც მოესხა მხრებზე. ჭაღარა ფაქიზად დაევარცხნა. იშვიათად თუ მენახა ასე გაკოხტავებული.

— გელოდები, მალე ჩაიცვი!

ახლაღა გამახსენდა, დღეს დაკრძალვა იყო და მეც უნდა წავსულიყავი. ძალიანაც არ მინდოდა, მაგრამ უარი ვერ გავბედე.

— თუთაცირა?

— ვერ წამოვა, ავადაა! — კოპი შეიკრა დეიდა ანეტამ.

დაკრძალვაზე წასვლა არ უნდა და თავი მოიავადმყოფამეთქი, გავიფიქრე. ალბათ დეიდა ანეტაც ამას ფიქრობდა. პირი დავიბანე, ჩავიცვი და მხოლოდ ამის შემდეგ მივაკითხე. თვალი რომ შევავლე, მაშინვე მივხვდი, საქმე ვერ იყო კარგად. უსაშველოდ ნაზი და გამჭვირვალე მომეჩვენა, რაღაცნაირად სიფრიფანა და დალეული. უკვალოდ არ ჩაევლო ამ დღეების სიგიჟეს. დავიხარე და თვალებში ჩავხედე. ღმერთო, როგორ მიყვარდა ეს ბავშვური, მიამიტი სახე, ბინდმოფენილი თვალები,

ბალიშზე დაღვრილი ლბილი თმა... საფეთქელზე ტუჩები მივადე და ვიგრძენი, მართლაც სიცხიანი იყო.

— ნუ გეშინია, თუთაცირა, ცოტათი გაციებულხარ, მე მალე მოვალ! — წავჩურჩულე. რა ვიცოდი, ბედნიერების საწყაო რომ სავსე იყო და შიგ ერთი წვეთიც ვერ ჩაეტეოდა.

გუშინდელი შიში უკვე არ მახსოვდა. დეიდა ანეტა მთელი გზა ტუტუნებდა, სატირლად ემზადებოდა. ამისი შესაშური ნიჭი ჰქონდა. ისეთ გულის ამაჩუყებელ სიტყვებს მოიგონებდა, კუნძი რომ გდებულიყო, იმის შემყურეც ატირდებოდი.

ჯარგვალთან მთელ სოფელს მოეყარა თავი. მამაკაცები ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ, ჩიბუხებს აბოლებდნენ, ხმადაბლა მასლაათობდნენ. მოშორებით გრძელი და ვიწრო სეფა გაეშალათ. ქვაბში ლობიო პუტუნებდა. ცაცხვების ძირას მწნილისა და ღვინის კასრები ჩანდა.

ჯარგვლის კარი ანჯამებიდან ჩამოეხსნათ და განზე იყო მიყუდებული. კარის ჭრილს იქით, ბინდში ქალები მოთქვამდნენ. ისე, წესისათვის ტიროდნენ, თორემ უტუტის ახლობელი არც არავინ იყო და სამარეში არავინ ჩაჰყვებოდა.

კუბო შუაში იდგა. მწვანე ტოტებით შეემოსათ. გულისამრევი სუნი მეცა, მაგრამ ქალები მაინც ყოჩაღად იხდიდნენ მეზობლურ ვალს, გულმოდგინედ ჭირისუფლობდნენ უთვისტომოს.

დეიდა ანეტა წინ გავატარე, მერე მეც შევაბიჯე. ირგვლივ უამრავი ხალხი ირეოდა. შიში არაფრისა მქონდა. თვალი მაინც იატაკს მივაბჯინე. არ მინდოდა მიცვალებულის სახე მეხსიერებაში ჩამყოლოდა, შემდგომში გამაწამებდა უტუტის შესაზარი ხატი.

დეიდა ანეტამ იმდენი ქნა, ხალხი კინაღამ ტირილით დახოცა. მერე განზე გადგა, გზა მე დამითმო, პირისპირ შემატოვა. ვალი უკვე მოხდილი მქონდა. უკვე შემეძლო ღირსეულად გავცლოდი, სუფთა ჰაერზე გავსულიყავი, მაგრამ რაღაც მოხდა და ვერ გავიაზრე, რა... თითქოს ფეხებზე ბორკილები დამადესო, ადგილიდან ვერ დავიძარი. რაც შემდგომ დამემართა, ბუნდოვნად დამამახსოვრდა. თავბრუ მესხმოდა, გონებას ვკარგავდი, მაგრამ აზრი ბოლომდე არ გამქრობია. თავზევით გამჭვარტლული ხარიხები დატრიალდა, მიწატკეპნილი იატაკი აიყალყა, გადაყირავდა. კინაღამ ძირს დავეხეთქე და მაინც ფეხზე ვიდექი. ჰაერი აივსო თავზარდამცემი წივილ-კივილით და ზრიალით, ოღონდ ეს არ იყო გლოვის ხმები. თავგზააბნეული ქალები და კაცები აქეთ-იქით დარბოდნენ, ერთმანეთს აწყდებოდნენ და ვერ გამეგო, რა ხდებოდა. მერე ფეხების ბრაგაბრუგი ზღურბლს მიღმა გაისმა და ჯარგვალში სიჩუმე ჩამოვარდა. თითქოს ვიღაცამ დრო იხელთა, მტაცა ცივი, გალურჯებული ხელი, სხეულიდან ამომგლიჯა რაღაც უჩინარი, მაგრამ ფესვდატოტვილი. ნერვის ყველა ძაფი მოსწყდა თავის ძირს და უსაშველო ტკივილი ვიგრძენი. სულში წამოიმართა აქამდე დათრგუნული მეპატრონე, კუთვნილი სივრცე მოიცვა და მივხვდი, ეს თაზო იყო, თაზო გაიმართა წელში, თაზომ დაიბრუნა ასპარეზი. თითქოს მძიმე ტვირთი ჩამომეხსნა, საოცრად ავმჩატდი. წუთის წინ, ალბათ, ავად ვიყავი, ახლა კი გამოვკეთდი, თვალთაგან ბინდი გადამეცალა.

გაოცებულმა მიმოვიხედე.

უტუტი კუბოში წამომჯდარიყო.

სახე ლურჯ ღვანთქებს დაეფარა, თვალები ჩასისხლიანებოდა. ჯერაც ეტყობოდა ხრწნის საზარელი კვალი, მაგრამ იგი ცოცხალი გახლდათ და რაღაცის თქმას აპირებდა, ოღონდ ენის ამოძრავება უჭირდა.

არ შემშინებია. მივხვდი, რაც მოხდა, მაგრამ ის ვერ ავხსენი, როგორ იყო ყოველივე ეს შესაძლებელი.

— ოჰ, ვეღარ ჩამოვდივარ, დავსნეულდი... — ძლივს წაილუღლუღა. კუბოდან ფეხი ჩამოეყო, მაგრამ მიწას ვერ უწვდენდა.

ზიზღით უკან დავიხიე.

— ძაღლი კოჭლობით არ მოკვდება! — უკმეხად დავუგდე.

გარეთ სულიერი არავინ ჭაჭანებდა. შიშს ქარივით აეხვეტა სატირალში მოსული ხალხი. საოცარია ადამიანის ბუნება, მკვდრეთით აღმდგარი, დაუძლურებული, სნეული კაცისა შეეშინდათ. რა შეეძლო ახლა უტუტის? იგი ხომ ჩვილივით უღონო იყო და კარგა დიდი დრო დასჭირდებოდა, სანამ სიკვდილის დაღს ჩამოიშორებდა... ანდა ჩამოიშორებდა კი?

თითქოს ჯადოსნურმა ბანგმა გამიარაო, სულში სიმშვიდე სუფევდა. ნათელი დღე იდგა და აზრიც სინათლეს გაებრწყინებინა.

დაცარიელებულ ორღობეში ხეხილის ტოტები გადმოხრილიყო, სასიამოვნო ჩრდილსა და მწიფე ხილს მთავაზობდა. ერთგან ატამი მოვწყვიტე, ისეთი თოთო და ტკბილი იყო, თუთაცირა გამახსენა. ამ დილას მგონი სიცხე ჰქონდა, ალბათ გაცივდა.

ფეხს ავუჩქარე. თანდათან მეხსიერებაში აღვიდგინე ყოველი წვრილმანი. შემრცხვა. რითი უნდა მემართლებინა თავი. იქნებ მართლაც ვგიჟდებოდი სიყვარულით. მაშინ ყოველივე მეპატიებოდა. ჩავუკვირდი საკუთარ გულისხმას. ვერაფერი ვიგრძენი, ერთი სიმიც არ შემრხევია.

დეიდა ანეტა სასტუმრო ოთახში დამხვდა. აქამდე განჯინაში გადამალული ხატი კედელზე ჩამოეკიდა და სანთელს უნთებდა.

— თუთაცირა როგორაა, დეიდა ანეტა? ისევ სიცხე აქვს? — გულგარეშე შევეკითხე.

გამომცდელად შემომხედა. მიამიტურად შევყურებდი და საქმე განაგრძო.

— მგონი, გაუარა, ესაა, ლუკმა ვერ გადავაყლაპე.

გახსენებაზე შიმშილი ვიგრძენი. არც მახსოვდა, როდის ვისადილე უკანასკნელად. დეიდა ანეტა არ შემიწუხებია, თვითონ დავფაცურდი. განჯინიდან ცივი ღომი გამოვიღე. ტაფაზე სულუგუნი შევბრაწე. დერგიდან მწნილი ამოვირჩიე, კეჟერა მერჩივნა, და გემრიელად მივირთვი. დეიდა ანეტამ შემომისწრო, უი, მომიკვდეს თავი, ცივი ღომის ამარა დამრჩიო, შეიცხადა. „თუკი გშია, ზაქარია...“ — სიცილით მივუანდაზე. თვითონაც გაეღიმა. ველოდი, უტუტის როდის მიხსენებს-მეთქი, მაგრამ არაფერი დასცდენია, სანამ მე თვითონ არ შევაპარე.

— უტუტი, თურმე, არ მომკვდარა, დეიდა ანეტა, ავად ყოფილა და გაითიშა... რაღაც სახელი ჰქვია მაგ ავადმყოფობას, ტვინთან არის დაკავშირებული, კაცი მიცვალებულს ემსგავსება... კიდევ კარგი, არ დავმარხეთ...

— აგრეც იქნებოდა, — ურწმუნოდ დამეთანხმა დეიდა ანეტა.

ნასადილევს უცბად მოვითენთე, მთქნარებისაგან ყბა ლამის ჩამომვარდა. უსაშველოდ დამღალა ამ დღეებმა. ავდექი და ლოგინს მივაშურე. ღრმა ძილმა გამიშალა ფაფუკი ფრთები. არაფერი

მაშფოთებდა, არც არაფერი მესიზმრებოდა. ერთი-ორჯერ გამომეღვიძა, თითქოს ვიღაცა თავზე დამდგომოდა და მიყურებდა. თუთაცირა უნდა ყოფილიყო, კედელს მიყრდნობოდა, გულხელი დაეკრიფა. ისეთი გამჭვირვალე ჩანდა, მის მიღმა კედელი ისახებოდა. თუმცა იქნებ მეჩვენებოდა ყოველივე, იქნებ სწორედ ეს იყო სიზმარი. არ შემეძლო ამის მოაზრება, უმალვე ძილი მითრევდა და სადღაც უსაზღვროეთში ვიძირებოდი.

შეღამებულზე გამომეღვიძა. ხეთა კენწეროებზე მზე ეშვებოდა, მისი წითელი სხივები კედელს ეფინებოდა. საოცარი სიწყნარე სუფევდა, ჩამიჩუმი არსაიდან ისმოდა. რატომღაც შეშფოთებულმა მივაყურადე. წინათგრძნობა მკარნახობდა, რაღაც უბედურება მოხდაო. მსუბუქი სუნთქვა მომესმა და სწრაფად წამოვჯექი. კედელთან თუთაცირა იდგა, გულხელი დაეკრიფა, დაღლილი თვალებით შემომცქეროდა.

შვებით ამოვისუნთქე, გამიხარდა, ფარული, უთქმელი ეჭვები რომ არ გამიმართლდა. თუთაცირა თურმე მთელი ამ ხნის მანძილზე კარგად და ჯანმრთელადაა, აგერ თავზე მადგას, მიყურებს, მელოდება.

შემებრალა, გული დამეწვა, მაგრამ რა მექნა... ერთი უსუსური, უღონო არსება იყო. თვალები ჩასცვენოდა, უპეები ჩალურჯებოდა, ამ ერთ კვირაში მთლად დალეულიყო, სული ძლივს ედგა და იმიტომ შემებრალა, მაგრამ მოტყუება არ შემეძლო, სიმართლეს ვერ დავუმალავდი, რაოდენ სასტიკიც არ უნდა ყოფილიყო იგი.

— თუთაცირა, რაც მოხდა... — სიტყვებს ვეძებდი, მინდოდა მეტი სითბო ჩამექსოვა, მაგრამ სიტყვები ყინულის აგურებივით ეცემოდა. — მე თაზო ვარ, ის კი უტუტი იყო...

ვატყობდი, ვერაფერი გავაგებინე, ან რას გაიგებდა, როცა თვითონაც არ მესმოდა ამ სიტყვების ჭეშმარიტი არსი.

უთქმელად შებრუნდა, გავიდა. ამოვიხვნეშე, გულზე დიდი ლოდი დამაწვა. ახლა ცოტას წაუტირებს და ყველაფერი რიგზე იქნება-მეთქი, — თავი დავიმშვიდე, მაგრამ გული მაინც არ მქონდა საგულეს, რაღაც მაშფოთებდა, რაღაც მწიწკნიდა. ერთი პირობა, მინდოდა გამოვდევნებოდი, უფრო გასაგებად ამეხ-

სნა ყოველივე, მაგრამ დაიწყებოდა უთავბოლო განმარტებები, ჩივილი, ცრემლები, დეიდა ანეტაც გაიგებდა და თავი მომეჭრებოდა.

ვახშამზე არ გამოჩენილა. მარტო მე და დეიდა ანეტამ ვივახშმეთ. ახლა კი თამამად ლაპარაკობდა უტუტის მობრუნების ამბავს. თურმე მთელი სოფელი ამაზე ყბედობდა. ყველაზე გულმაგრებმა გაბედეს და ჯარგვალში ჩააკითხეს. იმას უთქვამს, სამოთხეში მივედი, მაგრამ არ მიმიღეს, ჯერ შენი რიგი არ მოსულაო. წადი, იცოცხლე და როცა დაგიბარებთ, მაშინ მობრძანდიო, რაც ბედის წიგნში გიწერია, იმას ერთი წამითაც ვერ გადააცდენო...

ცოტა მოგვიანებით დეიდა ანეტამ თუთაცირას საჭმელი შეუტანა, იქიდან შეშფოთებული გამოვიდა, რა ეშმაკი დაეტაკა ამ გოგოსო. კედლისაკენ შებრუნებულა, რამდენი ვეხვეწე, არც ლუკმა აიღო და ხმაც არ გამცაო.

გულმა რეჩხი მიყო. უმჯობესია, ხვალვე წავიდე სოფლიდან-მეთქი, გადავწყვიტე. თვალწინ რომ არ ვეყოლებოდი დარჭობილი, უფრო იოლად დამივიწყებდა.

ეჰ, გათავდა მხიარული საღამოები. მე და დეიდა ანეტა ვერაფრით ვართობდით ერთმანეთს და გულდამძიმებულებმა ჩვენს-ჩვენს ლოგინს მივაშურეთ.

გამოძინებული ვიყავი და მთვარის შუქს რომ არ შევეწუხებინე, დარაბა მივხურე.

სიბნელეს მივაჩერდი. ჰაერი თანდათან დაიხუთა. არსაიდან ჩქამი არ ისმოდა. ისეთი მარტოობა ვიგრძენი, თითქოს ქვეყნიერების ზურგზე ჩემ გარდა არავინ იყო. ვიწექი ჩუმად, ვუსმენდი ღამის მდუმარებას და გული შიშიანად მიძგერდა. ვიცოდი, არავინ მომაკითხავდა, არავინ ჩამეხუტებოდა. ჩემს მხარზე არ დაეფინებოდა თმათა ჩქერალი, ჩემს ლოგინთან არ ვიგრძნობდი სათუთ სუნთქვას. მივხვდი, რომ თავს ვიტყუებდი. ერთი წამითაც არ შემეძლო თუთაცირას გარეშე, ვერ ვიცოცხლებდი უიმისოდ, მთელი არსებით ვესწრაფოდი მის ალერსს, სულს სწყუროდა მის სულთან გაიგივება, ერთობა... უნდა ავმდგარიყავი, უკუმეგდო რიდი და სირცხვილი, ბნელ სახლში უნდა მომეძებნა ჩემი ფრთახატულა ანგელოზი, გულში ჩამეკრა, ცრემლებით გადამებანა დაკოდილი გული, მუხლები დამეკოცნა მონანიების ნიშნად... წამოვიწიე კიდეც, სიჩუმეს მივაყურადე და უცბად საყოველთაო მდუმარება ძაღლის უსასოო ყმუილმა შეძრა. გული გამეყინა, ბოროტმა წინათგრძნობამ თავზარი დამცა... სადღაც, ჩაბნელებულ ტრიფოლიატებთან ძაღლი იმალებოდა და ყმუოდა, მოთქვამდა, ტიროდა... მე კი თოფი ვერ ვიშოვე, ის ძაღლი რომ მომეკლა.

წამოვჯექი, ლოგინში თითქოს შუშის ნამსხვრევები ჩამიყარესო, მოსვენება დავკარგე... რა მექნა, სად წავსულიყავი... რა გაათენებდა ამ უსაშველო ღამეს.

მერე მდუმარება კიდევ ერთმა ხმამ გაჰკვეთა. დეიდა ანეტამ შეჰკივლა რაღაცნაირად სუსტად, მოგუდულად, დაზაფრულად...

გიჟივით წამოვხტი. სიბნელეში რაღაცას შევეჯახე, გადავაყირავე. კარი გავხეთქე... თუთაცირას პატარა ოთახში ლამპა ენთო.

დეიდა ანეტა ლოყებს იხოკდა. იატაკზე წამლის ცარიელი შუშა ეგდო. ეჰ, იქვე უნდა მოვმკვდარიყავი, მაგრამ ალბათ ქვისგან ვყოფილვარ გამოთლილი და ახლაც ცოცხალი ვარ.

ზედ გადავემხე ჩემს თუთაცირას. უაზროდ ჩავძახოდი, მომხედე, გოგო, არ დამეკარგო, გენაცვალე, მიყვარხარ, შენს გარდა ქვეყნიერებაზე არავინ მინდა-მეთქი. დამავიწყდა დეიდა ანეტას არსებობა. ვუკოცნიდი პირისახეს, გულზე დაკრეფილ ხელებს, ვეხვეწებოდი, ყველაფერი მაპატიე და დამიბრუნდი მეთქი, ვპირდებოდი, მტლად დაგედები-მეთქი... რაღა დროს!.. თუთაცირამ სუსტად გაიღიმა, ეწადა რაღაცა ეთქვა, თბილი სუნთქვა ამოაყოლა და მიიძინა, ალბათ სიზმარში ჩამიყოლია... მე კი იატაკზე დავეგდე, გულამომჯდარი ვტიროდი, თავს ფიცარს ვახლიდი...

გარეთ ძაღლი ყმუოდა უსასოოდ... ის შავი ნაგაზი...

ორი კვირის შემდეგ სამუდამოდ დავტოვე სოფელი. არავის გამოვმშვიდობებივარ. დეიდა ანეტა დამემალა. იმ დღის მერე ერთმანეთისათვის სიტყვა არ გვითქვამს. ცალ-ცალკე ვეზიდებოდით მწუხარების მძიმე ტვირთს. მთელი სოფელი გარს გვეხვია, თანაგვიგრძნობდა, მაგრამ ჩვენი განკურნება შეუძლებელი იყო — საიმისო მალამო არავის გამოუგონია. არაფრის თავი არ მქონდა. დიაცივით მივჯდებოდი კუთხეში და ვტიროდი. ვე-

რაფრით დამეჯერებინა, რაც მოხდა და ღრმა ძილისაგან გამოღვიძებას ვნატრობდი... იმ ძაღლის ყმუილი მახელებდა ოღონდაც. დღენიადაგ ეზოს იყო მომდგარი და მწარედ მოთქვამდა. გიჟივით ვესროდი ქვასა და გორახს, თითქოს ის ყოფილიყოს დამნაშავე. მეზობლები მაკავებდნენ, მე კი ვიხვეწებოდი, თოფი მიშოვეთ, უნდა მოვკლა-მეთქი. ნაგაზი გაიძურწებოდა, ცოტა ხნით დაიკარგებოდა, მერე ისევ მოგვადგებოდა და ყმუოდა... სასაფლაომდეც ფეხდაფეხ მოგვყვა. იქვე დარჩა და სოფელს დიდხანს ესმოდა მისი სევდიანი ვაება... მეორე-მესამე დღესაც მივაკითხე ძვირფას საფლავს. ვეფერებოდი ჯერ კიდევ თბილ მიწას. თუთაცირას ისევ და ისევ ვუყვებოდი ჩემი უსაზღვრო სიყვარულის ამბავს. შავი ნაგაზი გამეცლებოდა მაშინ, საფლავთა მიღმა მიიმალებოდა, მაცლიდა. როცა წავიდოდი, თავის სადარაჯოს უბრუნდებოდა და განაგრძობდა მწუხარე მოთქმას...

გამგზავრების წინ უკანასკნელად გავიარე. ნაგაზი მთლად დალეულიყო, ნეკნები გვერდებში გამოსჩროდა, ცარიელი ძვალი და ბურძგლა ბეწვი შერჩენოდა. ჭკვიანი თვალები მომანათა, სევდით ჰქონდა სავსე. გაცლა მოინდომა, მაგრამ ფეხებმა უმტყუნეს და საცოდავი წკმუტუნი აღმოხდა. პირველად მაშინ შემებრალა, თავზე ხელი გადავუსვი და ყველაფერი ვაპატიე. უპეებიდან წვეთები გადმოუგორდა. „ეჰ, ჩემო უტუტი, არც შენა ხარ ამქვეყნისა!“ — გულში გავივლე და უკან მოუხედავად დავადექი იმ ერთადერთ ბილიკს, რკინიგზის ბაქანზე რომ უნდა გავეყვანე.

ჟურნალი „ცისკარი“, 5, 1983, კრებულები:
„პირველი ზეკარი“, 1983, გამომცემლობა
„ნაკადული“ და „კუნძული“, 1988,
გამომცემლობა „საქართველო“.

ეღეგია სამი ძმისა და მოხუცი დედისა

1

აეროპორტის თავზე ჭექა-ქუხილმა გადაიგრიალა, თქეში წამოვიდა. ღამის თორმეტი საათია, თვითმფრინავი კი მხოლოდ ორზე უნდა ჩამოფრინდეს. ეს ორი საათი, არ ვიცი, რა ვაკეთო. მოსაცდელი დარბაზის ფართო კედლებზე ფერწერული ტილოები გამოუფენიათ. ვათვალერებ, მაგრამ უგულისყუროდ, გულშეჭირვებულს მიჭირს ფერთა სიჭრელისათვის თვალის მიდევნება... სოხუმის ახალი აეროპორტი მომწონს, ოღონდ ესაა გონისმიერი განსჯა, რადგან ფიქრებში მხოლოდ ის თვითმფრინავი მიტრიალებს და სხვას ვერაფერს ჩავუღრმავდები. ჩემი უფროსი ძმა — შოთიკო მოფრინავს ვოროშილოვგრადიდან, ამინდი კი გაჭირვეულდა და მეშინია, ფრენა არ გადაიდოს...

სამნი ვიყავით ძმები. ერთი სულ ახლახან მომიკვდა. თავისი მოულოდნელობით თავზარდამცემი იყო ეს სიკვდილი. რა ბედნიერები ვყოფილვართ ადრე. ათასნაირი ყოფითი იწილო-ბიწილო, რაც მანამდე მაწუხებდა, ჩირად ჩასაგდები არ ყოფილა თურმე. იმასაც მივხვდი, უბედურება წინასწარ რომ იყო დაპროგრამებული, ტრაგედიას ფესვები იმ დიდსა და მსხვერპლით აღსავსე ომში ჰქონდა. საიდან სადაო, იკითხავს მავანი, ომი ხომ ორმოცი წელია მოთავდაო. იმ ომმა შეიწირა მამაჩემი, იმ ომმა დაგვაობლა, მხრებზე იმოდენა ტვირთი ჩამოგვკიდა, ვერ შევძელით იმ ტვირთის ზიდვა და აჰა, ძმათაგან რიგით მეორე — ჩემი მუნტულია მოტყდა.

რა უცნაური სახელია მუნტუ... მუნტულია... თუმცა ეს უფრო თიკუნია, მეტსახელია, ოჯახში მოსაფერებლად მოგონილი. ჩვილის საალერსოდ წამოსცდა დედას და ზედ მიეკერა, სიკვდილამდე შერჩა. ვის ახსოვდა პასპორტში ჩაწერილი ოფიციალური სახელი. მოსაფერებელი სახელით ვიხსენიებდით, თუმცა ჩვენ ისეთ დროს დავიბადენით, ცხოვრება ნაკლებ გვეფერებოდა, მათრახს კი არ იშურებდა. ყველაფერი დროზე ადრე უნდა გვეგემა ამიტომაც. მახსოვს თხუთმეტიოდე წლის ჩემი ძამიკო:

ოქროსფერი თმები, სუფთა, მწყაზარი პირისახე, ახლადაღინღ-ლული ლბილი ულვაშები... მგონი ცისფერთვალება იყო. მგონი-მეთქი, რადგან მის სულში ჩაბუდებული კეთილშობილი უბრალ-ოება და სიმარტივე ვეღარ ესადაგებოდა ცისფერსისხლიანთა ამ არისტოკრატულ ფერებს. იმ დღეს ფეხით მოდიოდა მამისეუ-ლი სოფლიდან ჩემი თხუთმეტი წლის ძამიკო და ფეხდაფეხ მო-ჰყვებოდა თავისი თოთხმეტი წლის თანამეცხედრე, ისიც ქერა, მსხვილნაწნავებიანი, ბუნჩულალოყება... ნაადრევი ტვირთი აიკიდა ორივემ და ჟამმა მალევე დააშრო სიცოცხლის წყარო.

ბევრია თუ არა სამი ათეული წელი, რაც იმ დღიდან გავიდა. ყოველი დღე ამ ოცდაათი წლისა დასახლებული იყო სიღარიბით, მძიმე შრომით და ბუნდოვანი იმედებით. სოფლისათვის დაბადე-ბულს ცხოვრებამ პროვინციულ ქალაქში მოუწია, მიწას უნდა მოფერებოდა, ის კი ქარხანაში მძიმე ტომრებს ეზიდებოდა. შეეცა-ადა კიდეც სოფელი ამ ქალაქში ჩამოეტანა. უკანა ეზოში მუდამ ება ძროხა, სუქდებოდა ღორი და ჭყვიროდნენ გოჭები... ქარხა-ნაში დაღლილს და წელატკიებულს არც შინ ჰქონია მოსვენება. ახსოვდა საკუთარი, მშიერი ბავშვობა და შიში უჩაგრავდა გულს, ეს ჩემი ნაგრამი, ეს ჩემი ოთხი შვილი არ დამემშესო. საკუთარი თავი არასოდეს გახსენებია, ძველმანები და ჯღანი ეცვა, პირის გასაპარსადაც არ ეცალა და ვერც შევამჩნიეთ, მისი სიყმაწვი-ლის არისტოკრატული ფერები რა სწრაფად გახუნდა, დაიჟან-გა... მუხლმოუდრეკლად შრომობდა, სამი კაცისას აკეთებდა და თუ ამნაირად გავზომავთ, ის ოცდაათი იქნებ სამჯერ გადაგვემ-რავლებინა და მთელი ოთხმოცდაათი გამოგვივიდოდა. მოკლე დრო ხომ ბევრს იტევს, თუ ის საქმითაა ავსებული...

სხვები დაცოლშვილებას ვერ ასწრებდნენ ამ ასაკში, ის კი შვილიშვილების პატრონი გახდა. მისი ჯილდოც ეს იყო, სხვა რამ სიხარული არ რგებია, მანეთიც არასოდეს დაუხარჯავს კინოსთვის, რესტორნისთვის, ქალებისათვის...

ყველანი ხორციელნი ვართ. ადამიანი სუსტია, ხანდახან ისიც ვერ უძლებდა მაღალ ძაბვას, უღონოდ მიეგდებოდა სა-წოლზე და ძილში ჩუმი ხველება აუტყდებოდა, ხანგრძლივი და მოუთავებელი. გაცივდაო, ვფიქრობდით. ექიმს ეჩვენე-მეთქი,

ვეუბნებოდი. ეს სიტყვები ხომ არაფერს გვავალდებულებს. ფორმალურად ხარკს თუ ვუხდით მოვალეობის გრძნობას. გულგრილობის სენით დაავადებულებს თითქოს გვეზარება ზარი შემოვკრათ. კი არ უნდა მეთქვა, უნდა მეყვირა, ხელი უნდა ჩამევლო და ექიმთან ძალათი უნდა წამეყვანა... მე კი ისე სასხ-ვათაშორისოდ დავუგდებდი, თავს მიხედე, დაისვენე-მეთქი... რა დამასვენებსო, მეტყოდა, ბავშვები შიმშილით დამეხოცები-ანო... ის აღარ არის, შიმშილით კი დღეს აღარავინ კვდება...

მოულოდნელად მესტუმრა. გამიკვირდა, მას ხომ არასოდეს ეცალა. ლიფტში შესვლისა შეშინებია, ჰაერი არ მეყოფაო, კიბეზე ფეხით ამოსულა. გაუჭირდა ექვსი სართულის დაძლევა და კარზე რომ დამიკაკუნა, ფერი არ ედო. უბედურება ვერ დავიჯერე, იქნებ თავს ვიტყუებდი და იმიტომ. იქნებ სულიერი სიზარმაცე მიხუჭავდა თვალს, დისკონფორტის შიში, თვითშენახვის უს-აზიზღრესი ინსტინქტი... შიში ახლოს არ გავიკარე. ექიმმა, პნევ-მონია აქვსო და ამ სიტყვებს ისე ჩამოვეკიდე, თითქოს წყალში ვიხრჩობოდი და რგოლი გადმომიგდეს.

მერე, როცა ყველაფერი ნათელი გახდა, უკვე გვიანი იყო. საავადმყოფოს მეცხრე სართულის თეთრ პალატაში ფერხთით ვეჯექი და იმედის თვალებით შემომყურებდა. ჩემი იმედიღა დარჩენოდა, მე კი ღმერთი არ ვიყავი, არანაირი ღონე არ გამაჩ-ნდა და ჩემს სულში უკვე გავწირე ჩემი ძმა, უკვე დავთმე... განგებ ვფაციფუცობდი, ვითომც მის გადასარჩენად ვიღვწო-დი. ახლა კი საკუთარ თავს სინდისის ქენჯნით ვეკითხები, ბო-ლომდე თუ გავაკეთე ყველაფერი, ბოლომდე თუ ვიომე... იქნებ საკუთარ თავს გავუფრთხილდი და რაღაც გამომრჩა-მეთქი... ნეტა როგორ შევძელი, ცრემლი დამემალა, პირზე ღიმილის ნიღაბი ამეფარებინა, რიხით მელაპარაკა, როდესაც ვითომც პირდაპირობას ვჩემულობდი, მძიმე ავადმყოფი ხარ, მაგრამ სასიკვდილო არაფერი გჭირს, ოღონდ თვითონაც უნდა გამ-აგრდე, უნდა გაუძლო-მეთქი... ჩემი სჯეროდა, იმედითა და სა-სოებით მიყურებდა. იცოდა კი, ყოვლისშემძლე რომ არ ვიყავი?.. იქნებ ხვდებოდა კიდეც, მაგრამ ეჭვს არ იკარებდა... ისე უნდო-და სიცოცხლე, თუნდაც ისეთი გაჭირვებული, მძიმე შრომითა

და ტკივილებით, — მზად იყო ყოველნაირი ტანჯვა აეტანა. მკლავზე ცოცხალი ადგილი აღარ შერჩა, ნემსებით ჰქონდა დაჩხვლეტილი, და მაინც უყოყმანოდ და მორჩილად უწვდიდა მაჯას... საშველი არსაიდან ჩანდა. ღონე თანდათან აკლდებოდა, ჟანგბადით გაჯერებულ ქვეყნიერებაზე მხოლოდ მისთვის არ იყო საკმარისი ჟანგბადი, ჩემს თვალწინ იხრჩობოდა და ვერაფერს ვშველოდი... იმას კი ჯერაც იმედი აძლებინებდა, პატარა შვილიშვილებს იხსენებდა, იმათზე ლოცულობდა... შინ რომ დავბრუნდები, ერთი მანქანა თივა უნდა მოვზიდოო, აეკვიატებინა... პირუტყვიც ადამიანივით უყვარდა და ეგონა, უმისოდ ისინიც იშიმშილებდნენ.

არისტოკრატული-მეთქი, ზევით ვახსენე... ორი წიგნიც არ ჰქონდა წაკითხული, მაგრამ უჰაერობითა და ტკივილებით დატანჯულს სიცოცხლის ძვირი არ დასცდენია. იმასღა ნაღვლობდა, ყველანი როგორ აგაწრიალეთ და შეგაწუხეთო. მებოდიშებოდა, მაპატიე, შენ იმდენი საქმე გაქვს, ჩემთვის სადა გცალიაო!.. ღმერთო, რა საქმე უნდა მქონოდა ძმის სიცოცხლეზე მნიშვნელოვანი... გული მეკუმშებოდა, მეტირებოდა, ნიღაბი სულს მიხუთავდა. მაგრამ ვერ ვიშორებდი და მსახიობის დიდი ნიჭი გამოვავლინე. ვითომც ხალისიანად ვქაქანებდი, საჩოთირო თემებზეც ვჭიკჭიკებდი. სიკვდილსა და სასაფლაოებზეც კი ვილაპარაკეთ. ესეც განგებ, ვითომც იმიტომ არ მერიდება, შენ საიმისო არაფერი გჭირს-მეთქი... ინტიმურ თემებსაც ვეხებოდი. მისი სიმორცხვე გულს მიწიწკნიდა. ყველანი ხომ ადამიანის შვილები ვართ, ნებას არავის გვაძლევდა, დავხმარებოდით. ერთხელ, სისხლის ღებინების შემდეგ, რეანიმაციაში, მედდა ვერ შეაწუხა. თვითონ მოინდომა წამოდგომა, იატაკზე გულშეღონებული დაეცა და მაშინ მოეჩვენა: ომში დაღუპული მამაჩვენი მოევლინა თითქოს. უთხრა, ნუ ჩქარობ, შვილო, ჯერ შენი ჯერი არ მოსულაო... გონს რომ მოეგო, ამით ხარობდა, მამა ვნახე და არ წამიყვანაო...

ავავაი, ავავაი, ჯიმა!..

2

მუნტულია, სქუა, ჩემო ბარდღუნა ბიჭო, ჩემო არგახარებულო და უდროოდ წასულო შვილო, ვაი დედაშენს, სქუა!..

ვავა, ვავა, სქუა!..

შიმშილსა და ობლობაში გამიზრდიხარ, სქუა, მამა ომში დაგეღუპა, სქუა, მე უღონომ ხელი ვერ მოგიმართე, სქუა, შენს გაზრდაში იმას წილი არ ედო, ახლა კი რად გაგიხსენა, სქუა, თავისთან რა უფლებით წაგიყვანა, სქუა, გული რად მომიკლა, სქუა!..

ვავა, სქანი დიდა, სქუა!..

დოხტურები მამხნევებდნენ მე უბედურს, სქუა, თურმე ვეცოდებოდით და მატყუებდნენ, სქუა... შენი საბრალო ცოლი, სქუა, შენი შვილები, სქუა, შენი დები, სქუა, დერეფანში ჩუმ-ჩუმა ტიროდნენ, სქუა, მე კი ბრმა ვყოფილვარ, სქუა, მე კი ყრუ ვყოფილვარ, სქუა, შენი სიკვდილისა არა მჯეროდა, სქუა, თორემ ხომ გადავხტებოდი იმ მეცხრე სართულიდან, სქუა...

ვავა, სქანი დიდა, სქუა, სქანი დიდა, სქანი დიდა, სქუა!..

მშიერ-მწყურვალი შეგიყვანეს, სქუა, იმ საოპერაციოში, სქუა, არაფერი გაჭამეს და წყალიც არ დაგალევინეს, სქუა, თურმე ჰაერიც არა გყოფნიდა და დაგახრჩო უჰაერობამ, სქუა... ვავა, სქუა, სქანი დიდა, სქუა!..

მერე შემოვარდა შენი ძმა, სქუა, მდუღარე ცრემლით ტიროდა, სქუა, მუნტულია არა გვყავსო, შემომბღავლა, სქუა!.. ვავა, სქუა, ღია ფანჯარა იქვე იყო, მე კი ღონე აღარ მეყო, სქუა, ვეღარ მივფოფხდი და შენსკენ ვერ გამოვფრინდი, სქუა!..

სიზმარში გამომეცხადე, დედა გენაცვალოს, კარგადა ვარო, მითხარი, ოღონდ მენატრებითო, სქუა... ნუ, ნუ, სქუა, მე წამიყვანე, სხვებს კი ნუ ინატრებ, სქუა!..

ვავა, სქანი დიდა, სქუა!..

3

წვიმამ იკლო. ღრუბლებში უკანასკნელად დაიკლაკნა ელვა, გრუხუნით გადაირბინა ღვთაებრივმა ეტლმა. ცის ღიობში აქაიქ ვარსკვლავებმა გამოაჭყიტა, თუმცა სუსტი იმედი უმალ გამიქარწყლდა. ზუსტად ორ საათზე რადიომ გამოაცხადა, უამინდობის გამო აეროპორტი დილამდე იხურებაო... ვიცი, ამ დროს თვითმფრინავი უკვე ჰაერშია. ადლერში უკეთესი ამინდია და იქ ჯდება. მგზავრები ჩამოდიან. დილამდე აეროპორტის მოსაცდელში უნდა იყურყუტონ. ჩემი ძმა უსიტყვოდ ემორჩილება ხვედრს. ზის ჩუმად თავისთვის, ხელში სამლიტრიანი ქილა უჭირავს, შიგ გამჭვირვალე წყალია, წყალში კი ოქროსფერი თევზები დაცურავენ. ბიძაშვილის პატარებს შეჰპირდა, აკვარიუმის თევზებს ჩამოგიყვანთო და ახლა ელოლიავება, იმასღა წუხს, გზაში არ დამეხოცონო...

სხვა რა გზა მაქვს, ჩემს მანქანაში ვჯდები, სავარძლის ზურგს უკან გადავწევ, მოხერხებულად მივესვენები და თვალს ვხუჭავ. დავიღალე, მაგრამ რა დამაძინებს.

უკვე ვიცი, რომ ბედი ახალ უბედურებას მიმზადებს. წარმოსახვითაც კარგად ვხედავ ადლერის აეროპორტის მოსაცდელ დარბაზს. იქ ჩემს ძმას ხელში აკვარიუმის ოქროს თევზები უჭირავს. აქეთკენ მოემგზავრება მშვიდად და უდრტვინველად, რათა ჩემს ხელში მოკვდეს... ამას ვერაფერი შეცვლის. ეს ალბათ იმანაც იცის, თუმცა ამაზე არასოდეს გვისაუბრია...

ან როდის უნდა გვესაუბრა?.. შორეულ ბავშვობაში?.. ის გაცილებით უფროსი იყო. შემდგომ თითქოს წაიშალა სხვაობა, მაშინ კი იგი გადაულახავი მეჩვენებოდა. სკოლის შემდეგ ჯარში გაიწვიეს. მერე?.. შემთხვევამ დატოვა იქ, მაღაროელთა მტვრიან ქვეყანაში; ბედისწერამ... უმამობამ... იქნებ პირველმა დიდმა ხელფასმა შეუბოჭა ხელ-ფეხი?.. ახალგაზრდა და ჯანმრთელი იყო და ქვანახშირის ნგრევა ეიოლებოდა!.. იქნებ მის პატივმოყვარეობას მიეცა ასპარეზი?.. ბურთს აგორებდა პერიფერიულ გუნდში და ორიოდე თაყვანისმცემელი გაიჩინა... იქნებ

გოგო შეარჩია და იმას ვერ ჩამოშორდა... წარსული მითებსა და ლეგენდებშია ჩაფლული. თითქოს ყველაფერი პოვა უცხო მხარეში: სამუშაო, ხელფასი, ბინა, მანქანა, ცოლ-შვილი, მეგობრები... მაგრამ მუდამ თან ახლდა გაუმხელელი, სხვათა თვალთაგან დაფარული სევდა... ხშირად ვერ ჩამოდიოდა, მაგრამ ყოველი ჩამოსვლა მისთვის ზეიმი იყო. მამულში ხანმოკლე მობრუნება ნეტარებას გვრიდა. ყველაფერი ეგემრიელებოდა: პურ-მარილი, მზე და წყალი, ალერსი და სიტყვა მეგრულ-ქართული... რამდენჯერ უთქვამს, მალე გადმოვსახლდებიო... ჯერ ამას გავაკეთებ, მერე იმასო, ახლა ამას და ახლა იმასო, მერე კიო... მერე და მერეო... ამასობაში დაგვიანდა, ნახევარი საუკუნე მოითავა და აი, ახლა, იქნებ ეს თვითონაც არ იცოდა, საბოლოოდ ჩამოდიოდა... ჩამოდიოდა, რათა თავის მიწაში დარჩენილიყო...

რვა თვის წინ თბილისში მოვიხმე, მინდოდა ცოცხალი ეხილა ჩემი მუნტულია. პირველსავე რეისს ჩამოჰყვა. ხმა დასუსტებოდა. ცუდად მენიშნა. მანამდე ყურმოკვრით გამეგონა, კურორტებზე ხშირად დადის და საავადმყოფოშიც ხანდახან წვებაო... ცუდად მენიშნა-მეთქი, მაგრამ მე ხომ ერთი ძმა მიკვდებოდა და სხვა შიშისათვის ჩემს გულში ადგილი არ დარჩენილიყო. მუნტულიას მოეფერა. სუსტი, დაღლილი ხმით ამხნევებდა... იმ ღამესვე, შინ რომ მივბრუნდით, სასწრაფოს გამოვუძახე. მოულოდნელად წნევა აუვარდა და პირველი, მომაკვდავი ძმა დამავიწყა... საავადმყოფოში დავაწვინე ისიც. თავგზააბნეული დავრბოდი ორ საავადმყოფოს შორის. არ ვიცოდი, რა სჯობდა და ოდნავ რომ მოკეთდა, სასწრაფოდ უკან გავამგზავრე... ორი კვირაც არ გასულა, ხელახლა ჩამოვიყვანე. ძმის კუბოსთან გული შეუღონდა და ძლივს მოვაბრუნეთ...

ავავაი, ჯიმაია, ალბათ ეძნელა მუნტულიას შენთან დაშორება!

ისევ გაბრუნდი იმ შენს დონბასში, ისევ შეაღე საავადმყოფოს კარი და იმ ჟამიდან მოაქნობამდე იქიდან არ გამოსულხარ...

თოვლ-ყინულიან ზამთარში ჩამოგაკითხეთ. პირისახე გაგიბრწყინდა სიხარულისაგან. ჩვენი ფერებით ვეღარა ძღებო-

და. არაფერი მტკივაო, აქეთ გვამხნევებდი. ვიცოდი, მეორეჯერ ვიღუპებოდით და არაფერი გვიშველიდა. მაინც მივაშურეთ მოსკოვ-ქალაქს, კარდაკარ ვიარეთ, მაგრამ ყველგან ერთი პასუხი მივიღეთ: სამწუხაროდ, თქვენი ძმა ვერ გადარჩება!

ვავა, ვავა, ჯიმაია! თითქოს შავები არ გვეცვა ტანზე, თითქოს დავივიწყეთ საბრალო მუნტულია. იქნებ ცოტათი გავახაროთ-მეთქი, დავავლეთ ხელი შენს წამოჩიტულ გოგოს, მეფური ქორწილი გადავუხადეთ. ცოტა ხნით გამოგიყვანეთ იმ შენი საავადმყოფოდან, საქორწილოდ მორთული შვილის გვერდით დაგაყენეთ. ბედნიერების ნაცვლად სახეზე დარდს გატყობდი... ავდექი, მკლავები გავშალე და ვიცეკვე...

ვავა, ვავა, ჯიმა!..

4

რიჟრაჟზე ცა გადაიწმინდა, საბოლოოდ გამოიდარა. აეროპორტი გაიხსნა და გუგუნით ეშვებოდნენ პირველი ლაინერები...

შვიდ საათზე ვოროშილოვგრადის თვითმფრინავიც ჩამოფრინდა. ჭიშკართან ვიდექი და შორიდან ვუყურებდი ქვეითად მომავალ მგზავრებს. ბრბოში ძლივს გავარჩიე ჩემი შოთიკო და მისკენ გავქანდი. იმანაც შორიდან მიცნო, მაგრამ არ აჩქარებულა. ჩანთა ჩამოვართვი, ოქროს თევზებიანი ქილა კი თვითონ ეჭირა. არც ერთი არ მომკვდომიაო, მახარა. ხმადაბლა, უღონოდ მელაპარაკებოდა. მეც ისე სათუთად ვექცეოდი, თითქოს თვითონაც ის ოქროს თევზი ყოფილიყოს და სულის შებერვით თუ შევინახავდი.

მანქანაში ჩუმად იჯდა, მოკლე სიტყვებითღა შემეხმიანებოდა. მე კი ენა ავიდგი. ფარული წუხილი სიტყვებით უნდა დამეფარა. გული დარდით მიკვდებოდა, ენა კი ნაკადულივით რაკრაკებდა...

შინ მივიყვანე, დედასთან... შეშინებულმა შეხედა დედამ. შენ მაინც არ დამღუპო, შვილო! — თითქოს ეწერა მის თვალებში... კარგადა ვარო, — ნელა, სვენებ-სვენებით ლაპარაკობდა ჩემი შოთიკო. არაფერი მტკივაო, საავადმყოფო კი ყელში ამომივიდაო... აი, დავისვენებ ერთი-ორი თვე, დავჯდები წყლის პირას, თევზს დავიჭერ, ბადე და ანკესი წამოვიღეო...

მან თავისთავს აჩუქა ეს უცოდველი სიამოვნება, — სიცოცხლის ბოლო დღეებში თავი შეეფარებინა დედის კალთისათვის, როგორმე აღედგინა ის დაწყვეტილი ფესვები მიწასთან, რომელმაც, მართალია, ღარიბულად, მაგრამ გამოკვება და გაზარდა... მისმა სიმშვიდემ ცოტათი მეც დამამშვიდა, ვიფიქრე, მოღონიერდება და მერე რამეს ვიღონებ-მეთქი...

თბილისში დავბრუნდი, ყური კი ტელეფონისაკენ მეჭირა. ცუდი წინათგრძნობა არ მტოვებდა. ვიცოდი, დამირეკავდნენ, თუმცა არ მეგონა, რომ ასე ჩქარა.

მეორე კვირის თავზე ჩამოიყვანეს... ვაგზალზე სასწრაფოს მანქანა დავახვედრე. ფეხს ძლივს ადგამდა, გაუთავებლად ასლოკინებდა და საშინელი ტკივილებისაგან იტანჯებოდა.

თითქოს თავიდან მიმეორდებოდა ყოველივე. კვლავ თამაშდებოდა გულისგამაწვრილებელი სპექტაკლი, როცა მხრებზე ყოვლისშემძლე ღმერთის ტოგა მქონდა მოსხმული, თუმცა, ვგრძნობდი, ამჯერად როლს ვერ მოვერგე...

მან ყველაფერი იცოდა. სერიოზული თვალებით მიყურებდა. იმედი არაფრისა ჰქონდა და არც არაფერს მთხოვდა. „წადი, დაიძინე!“ — მიბრძანებდა. ანდა — „ბალიში ამიწიე!“ მისი სიცოცხლე წუთებს ითვლიდა, ჩემი გული და გონება კი მაინც არ თანხმდებოდა გარდუვალს... გავრბოდი ექიმთან, გავრბოდი წამლის საშოვნელად, გავურბოდი საშინელ ფიქრებს, მეწადა საკუთარ თავს გავქცეოდი...

„ნეტა მე დამმართნოდა ეს სენი!“ — ტირილით თქვა უფროსმა დამ. შოთიკომ დაკვირვებით შეხედა: „დედისთვის სულ ერთი არ არის?“ მერე მე მომიკითხა. დიალეზის მოსატანად გაიქცაო, უთხრეს. სივრცეს გაუშტერა მზერა და ორად-ორი სიტყვა აღმოხდა: „საბრალო დედაჩემი!“

ვავა, ვავა, ჯიმა!..

5

ზუგდიდის გარეუბანში, სოფელ ინგირის სანახებში ახალი სასაფლაოა. იქ გვერდიგვერდ წვანან ჩემი ძმები — შოთიკო და მუნტულია. საღამოობით დედაჩემი აკითხავს. ძლივს მოფაჩუნობს ჭიშკრიდან. მთლად დაილია, დაპატარავდა, ერთი მუჭა გახდა... ტირილის ღონეც არ შერჩენია. უბნის ექიმი უკრძალავს, მაგრამ თავისას არ იშლის. სიცოცხლე არაფრად უღირს და ექიმის ნათქვამს ყურს რად მიუგდებს...

შორიდან იწყებს ხმადაბალ პუტუნს...

სანთლებს აუნთებს შვილებს.

ორ საფლავს შორის პატარა ჯორკოზე დაეშვება და იწყებს მოთქმა-ტირილს, მოსაფერებელი, ცრემლში ამოვლებული სიტყვები მოედინება მწუხარე ელეგიად...

ვავა, სქუალეფი, თქვანი დიდა, თქვანი დიდა, სქუალეფი!..

შოთიკო, ნანა!.. გული მეწვება, სქუა, შენი ცოლ-შვილი შორსაა და საფლავზე ცრემლს ვერ გაპკურებენ, სქუა!..

მუნტულია, ნანა!.. შენს ცოლ-შვილს ცრემლი აღარ უშრება, სქუა!..

ვავა, ვავა, სქუა, უბედური თქვანი დიდა, სქუა!..

6

ჩემი პატარა ბიჭი მეკითხება:

— მამიკო, შენ დაბერდები?

— დავბერდები!

— მალე მოკვდები?

— აბა, რა ვიცი!

— მილიონი წელი ბევრია?

— ბევრია, შვილო, ძალიან ბევრი!

— ჰოდა, მილიონ წელს ნუ მოკვდები!

სევდიანად მეღიმება...

კრებული „კუნძული“, 1988, გამომცემლობა „საქართველო“.

ურიელა

ომის შემდგომი მშიერი წელია. სასკოლო ასაკამდე ჯერ ვერ მიმიღწევია და ერთი კნაჭა, გამწლეული ბიჭი ვარ, გვერდებზე ნეკნები დამეთვლება. გაღვიძებიდან დაძინებამდე აღმა-დაღმა დავსუნსულებ, ეზო-გარემოს ვჩითავ, იქნებ საკბილოს რამეს წავაწყდე...

გაზაფხულია და ტყემალზე წაკულაკი გამოჩნდა, ღობის ძირას კი — მჟაუნას ნორჩი ფოთლები.

ჩემი სახლის წინ ქვიშნა დგას. სახლი მეორე სართულის სიმაღლეზე, მაღალ ბოძკინტებზეა შედგმული. ქვევით ღია სარდაფია. დილ-დილაობით აივანზე რომ გამოვალ, უმალ ქვიშნას შევავლებ თვალს. ჯერ კიდევ მარტში დაიპენტა, აპრილში ჩამოიფიფქა, ფოთლებში მწვანე ალუბალმა გამოიხედა, თანდათან ფერი მოუღიავდა, მოუთეთრდა, მერე გვერდები შეუწითლდა და სულ მალე, მაის-ივნისის გასაყარზე, წითლად აღვივდება... თუმცა ბოლომდე დამწიფებას ვინ აცლის, ზედ დღეში ხუთჯერ გავდივარ, ამოჩემებულ ტოტზე ჩამოვსკუპდები და ვუთვალთვალებ, რომელი ალუბალი უფრო ადრე გამუქდება, ხორცითა და გემოთი შეივსება.

ერთხელ ვზივარ ასე, ირგვლივ ჩამიჩუმი არ ისმის. დედაჩემი შინ არ არის და ვერავინ ამჩნევს ჩემს სიქველეს — მე ხომ იმ სიმაღლეზე ვარ, აივანს ზევიდან დავყურებ. კარები მიგმანულია. ერთი კარი ჩვენია, მეორის მიღმა, ვიცი, ახალი მდგმურები ჩასახლდნენ... წუხელ, ბინდისპირზე შემოზიდეს თავიანთი მცირე ხაბაკ-ხუბაკი, შეთვალიერებაც ვერ მოვასწარი. დედამ ჩამჩურჩულა, ჭკვიანად იყავი, ჩვენთან მიშა ურია გადმოდის საცხოვრებლად, მის შვილებს არაფერი აწყენინო, თორემ ყურებს მაკრატლით დაგაჭრისო.

ყურების დაჭრისა არა მჯერა, მაგრამ ცნობისმოყვარეობა მიპყრობს: ვინ არიან? რა ხალხია? აქამდე არაქართული ჯილაგისა ცოტა ვინმე თუ შემხვედრია. ერთი რუსი ვნახე, დედამ ბაზრიდან ფქვილი მოატანინა და სამმანეთიანი აჩუქა, თან ჭიქა

არაყი დაუსხა. რუსმა კეთილი, ცისფერი თვალები მომაპყრო, მხიარულად ჩამიპაჭუნა, „ბუდ ზდაროვოო“ და სულმოუთქმელად გადახუხა... ერთხნობას ჩვენი ღია სარდაფი ბოშებს ეჭირათ, სამჭედლო გამართეს და რაც ჩვენს სახლში ურდული და საკეტია, სულ მათი ნახელავია... სიტყვა „ურია“ რაღაც იდუმალ, გაუცნობიერებელ საშიშროებას შეიცავდა, რომელიღაც ბუნდოვანი სამყაროდან მოსულიყო, მტრობის სურნელიც ახლდა, დამცრობის სურვილიც, მეორეხარისხოვნობის, არაჩვენებურის კვალიც. გზად ჩავლილი ურიასათვის ქვა და გოროხი უნდა მესროლა, ენა უნდა გამომეყო... ის სხვანაირი იყო, სხვა ჯიში, თუმცა მისი გვარიც „ძესა“ და „შვილზე“ მთავრდებოდა, ბაგე კი ქართულად მეტყველებდა.

ვზივარ ახლა ალუბლის ტოტზე, მივჩერებივარ მდგმურების კარს და ხელში ოდნავ შეწითლებულ კუნწულს ვათამაშებ... ჯერ გაუბედავად ვიწყებ სიმღერას, ხმადაბლა, ჩემთვის... ვინ მასწავლა ეს სიტყვები? საიდან მოვიდა? ან რას ნიშნავს ისინი? ამაზე არც ვფიქრობ და არც პასუხი გამაჩნია.

შორი გზიდან მომავალსა
ჭიქა წყალი მწყურია
ქრისტიანი კაცი ვარ და
შემიყვარდა ურია...

დიდი ვერაფერი მომღერალი ვიყავი, თანაც მომეჩვენა, რომ არავინ მისმენს, გარდა ოქროსთვალა ბუზისა, თავზე რომ დამბზუის...

სულ სხვა ხატზე ვლოცულობდი,
ამერია რჯულია,
ნეტავი რა დაგიშავე
ურიელა — ურია და...

ამ სიტყვების შინაარსი არც გამეგებოდა, სამაგიეროდ მელოდია მეიოლებოდა, უცნაური სახელი „ურიელა“ მომწონდა და ამიტომ თითქმის ყვირილი მოვრთე:

ურიელა ცეცხლი და ურიელა შეშა,
ურიელა რაღამ გაგაშეშა,
ურიელა ღვინო და ურიელა წყალი,
ურიელა ცო-ცხალს მო-მის-წარი და...

ისე დავიგლიჯე ყელის სიმები, ალბათ მთელ უბანს გავაგებინე. მოულოდნელად გაიხსნა დაგმანული კარი, აივანზე გამოვიდა პირმრგვალი, ფაშფაშა ქალი, რიკულს გადმოეყრდნო და დაბალი, ღუღუნა ხმით, თითქოს მომეფერაო, დამიძახა:

— არ ჩამოვარდე, დაგენაცვლე, ამოდი ჩემთან, ფაფა უნდა გაჭამო!

ძია მიშას მეუღლე იყო, დეიდა სონა.

ენა ჩამივარდა, დავიმორცხვე.

ხიდან ძლივს ჩამოვფოფხდი. ერთი პირობა ვიფიქრე, მოვკურცხლავ-მეთქი, მაგრამ დეიდა სონა ისეთი ალერსით მეღუღუნებოდა, პირში თითგარჭობილი აივანზე დავერჭე და თავი ჩავღუნე.

— მოდი, მოდი, ნუ დაიმორცხვე!

წამით ავიხედე და ელდა მეცა, თითქოს წითელი ალი აბრიალდაო.

ჩემი კბილა გოგონა იყურებოდა კარიდან, ცნობისმოყვარედ მათვალიერებდა. თავზე ძნასავით ეყარა ცეცხლისფერი თმები.

— აგერ ურიელაც გამოვიდა! — ჩაიცინა დეიდა სონამ. — მიხარია, რომ ცოცხალს მოგისწრო!

ვძლიე სიმორცხვეს და უმწიფარი ალუბლის კუნწულა გოგონას შევაჩეჩე:

— აჰა!

* * *

ადრე ამ ფერისა არავინ მენახა. ჩემს ტვინში ჩაიბეჭდა: ებრაელი მაინც და მაინც წითური უნდა იყოს, თუმცაღა ძია მიშას ოჯახის დანარჩენი წევრები შავგვრემანები გახლდათ.

უკვე საცოლე ბიჭი თბილისში ერთ ჩემს ნათესავს ვესტუმრე. მისი აივანი ებრაელის ბინას გადაჰყურებდა და ღია ფანჯარაში ქალიშვილმა გაიელვა. დავინტერესდი. ნათესავს, კეთილ, შინჩარჩენილ ქალს, ართობდა ახალგაზრდულ-ამურული ამბები და ქალიშვილს შეეხმიანა, გადმოდი, სტუმარი უნდა გაგაცნოო. შემოცქრიალდა საშუალო ტანის მოხდენილი გოგონა. შავად მბზინვარე ხუჭუჭა თმები ტალღებად ჩამოჰფენოდა და თვალები ზედ შემრჩა... უმალ ხაფანგი გავუმზადე, მართა-

ლი თუა, რომ ებრაელები სხვა ეროვნების სასიძოებს ქალიშვილებს არ ატანენ-მეთქი. იწყინა, ვინ მოგახსენათო. „აი, მაგალითად, მამაშენს რომ ვთხოვო, შენს თავს გამატანს?“ — უცოდველად ვკითხე. იმან სწრაფად მიპასუხა: „რა თქმა უნდა, მამაჩემი ისეთი ჩამორჩენილი არ გეგონოთ!“ უცებ მიხვდა, რომ სიტყვაზე ვიჭერდი, საყვარლად გაწითლდა და სამაგიერო უმალ, იქვე გადამიხადა. სპორტული აღნაგობის ქერა და ცისფერთვალება ყმაწვილს ჰკიდა თვალი, რომელიც წამით ტროტუარზე შეყოვნდა. „ესაა ჩემი „მასტი“!“ — ონავრულად მომიგდო, ამით მიმახვედრა, შენი ფერი არ მომეწონაო.

მომწონდა კი ურიელას „მასტი“? არ ვიცი, ამაზე არც მიფიქრია... თვალს ვერა ვწყვეტდი მის თმებს, რომელთაც, ალბათ, ვერა სავარცხელი ვერ გაუძლებდა, ანდა როგორ შეიძლებოდა კოცონის დავარცხნა... თავს შეარხევდა და თითქოს ცეცხლის ენები აცეკვდებოდა. ერთი სული მქონდა, ხელით შევხებოდი. როგორც კი დავიმარტოხელებდი, უმალ თმებში წავეტანებოდი. ალბათ ეწინკნებოდა, მაგრამ გაიტრუნებოდა ხოლმე, მორჩილად ითმენდა... პირისკანი თეთრი და გამჭვირვალე ჰქონდა, გრილი და გლუვი... ცხვირზე და ყვრიმალებზე ჭორფლი ეყარა ძუნწად, რაც უხდებოდა კიდეც... თვალების ფერი დამავიწყდა, ირიბად გაჭრილი უპეებიდან ისე შემომყურებდა, თითქოს ზედ უხილავი ბინდი ეფინებაო.

მანამდე გოგოებთან არასოდეს მითამაშია, გარს მუდამ ჩვენი ქუჩის ბიჭბუჭები მეხვია. იმ დღიდან კი ძველი მეგობრები დავივიწყე და მხოლოდ ურიელასთან ვთამაშობდი. სიზმარში ჩამყვებოდა ხოლმე, გავიღვიძებდი და თვალწინ მისი ხატი დამიდგებოდა. უმალ აივანს ვეშურებოდი, ხან მე მივასწრებდი, ხან ის!.. ჩვენი აივანი ქალაქის უბნებს ზევიდან გადაჰყურებდა, ჭრელი სახურავები ხეთა მწვანე ვარჯებში იფლობოდა. აღმოსავლეთის მზე სხივებს გადმოაფენდა, მთელ ცისქვეშეთს ააკაშკაშებდა და ჩვენს აივანსაც მოსწვდებოდა, მცხუნვარედ დაგვხედავდა, ურიელას თმებში აბრიალდებოდა... უნებლიე სიცილი წამსკდებოდა... ისიც გაიცინებდა... თითს მივაშვერდი — „მზე!.. მზე!..“ — ვიმეორებდი და ვიცინოდი... ისიც იცინოდა. თუმცა, იქნებ, არც გაეგებოდა, რა მაცინებდა.

მთელი დღე ვთამაშობდით, უმთავრესად აივანზე და უმთავრესად — „ცოლქმრობანას“. იმას თოჯინა არა ჰქონდა, მე — ბურთი... სამაგიეროდ ერთხელ „სახლი“ მოვაწყვეთ: მოვზიდეთ კენჭები. შემოვავლეთ ოთხკუთხედებად, ვითომც ოთახებიაო. აქ კარი უნდა ყოფილიყო, იქ — ფანჯარა, ამ კუთხეში ბუხარია, იმ კუთხეში — საწოლი და ა.შ. ხანდახან უაზროდ გავფიცხდებოდი, მოულოდნელად ვეცემოდი და დავეჭიდებოდი ისევე, როგორც მეზობლის ბიჭებს. არ ვიცი, იმ წუთას რა წერა ამიტანდა, რა შინაგანი ლტოლვა მეძალებოდა. ურიელა ცოტა ხნით კი მიწევდა წინააღმდეგობას, მერე უღონოდ მოეშვებოდა, ჩაიკეცებოდა... მე, გამარჯვებული, მამლაყინწასავით ზევიდან დავყურებდი, ის კი, დამარცხებული, ქვევიდან ამომხედავდა, ტუჩები სატირლად მოებრიცებოდა და თვალები აუწყლიანდებოდა, თუმცა მის გამოხედვაში მორჩილება უფრო იკითხებოდა, ვიდრე საყვედური. უცნაური ჟრუანტელი დამივლიდა, არ ვიცი, რატომ... დავიმორცხვებდი, ხელს გავუშვებდი და პირქუშად გავშორდებოდი... სადმე კუთხეში დავიმალებოდი. ოღონდაც, დიდხანს ვერ გასტანდა ეს დაშორიშორება, კვლავ ერთმანეთს მოვძებნიდით და უმიზეზო სიცილი აგვიტყდებოდა.

თავიდან უფროსები ყურადღებას არ გვაქცევდნენ. მერე მასხრობა დაიწყეს. „სიძე, შე ძველო!“ — დააგდო ერთხელ ძია მიშამ და ხითხითით გაგვშორდა. დეიდა სონა კი სიცილს ხელისგულში მალავდა. დედაჩემიც ღიმილით დაგვხედავდა, ხანდახან კი გამაფრთხილებდა — იცოდე, არ აწყენინოო... ურიელას უფროსმა ძმამ გუჯამ კოპები განგებ შეკრა და გამოგვიცხადა, თქვენს სიცილს თუ გავიგონებ, ყურებს დაგათლითო... მართალი გვეგონა, ორივენი საწოლის ქვეშ შევიპარენით და გავისუსეთ... ძლივს მოგვძებნეს და ხვეწნით გამოგვიტყუეს.

ჩემს პატარა თავში მომწიფდა აზრი, რომ ურიელა „ჩემი ცოლია“. ერთხელ „ცოლქმრობანას“ თამაშის დროს დავუძახე: „ცოლო!“ იმანაც მიპასუხა: „ქმარო!“ მე ისევ გავუმეორე, იმანაც... ისე გავერთეთ, ყველაფერი დაგვავიწყდა, აივანზე ვხტუნაობდით და მთელი ხმით გავიძახოდით — „ცოლო!“ „ქმარო!“ „ცოლო!“ „ქმარო!“

უცებ ხარხარი შემოგვესმა და ელდა გვეცა.

მთელი ოჯახი აივანზე გამოკრეფილიყო და ისე იცინოდნენ, მუცელი ხელებით ეჭირათ. დედაჩემიც ღია კარში იდგა და სიცილის ცრემლებს იწმენდდა... ურიელი გაისუსა და დეიდა სარას ამოეფარა. მე თავი უსაზღვროდ შეურაცხყოფილად ვიგრძენი და ავტირდი. დამიწყეს ფერება, მაგრამ ვერაფრით დამაწყნარეს. გვიან, ძილის წინ დედამ მისაყვედურა: „კაცი ხარ ახლა შენ? ცოლი მოგყავს და ტირილით კი სკდები!“ გავჩუმდი, ხანდახან თუ ამოვისლუკუნებდი.

დედა ჩამეხუტა და მკითხა:

— გინდა, რომ ურიელა ჩვენთან იყოს?

— ჰო! — ოხვრას ამოვატანე.

— ახლა დაიძინე! ხვალ კი ძია მიშას შევეხვეწოთ, იქნებ, დაგვითმოს!

გული უცნაურად შემიხტა და ჩუმი სიცილი დამცდა... სიცილშივე ჩამეძინა. სიზმარში მზიანეთი ვიხილე. ადრეც ბევრჯერ დამსიზმრებია ასე: თითქოს აივანზე გავედი. თავისი ოთახიდან ურიელა გამოცქრიალდა. ერთმანეთს ხელები ჩავჭიდეთ და აივნიდან სინათლით გამსჭვალულ სივრცეში გადავეშვით, აღმა და აღმა ვიფრინეთ მზისაკენ... მერე ურიელა დამისხლტა, წინ გავარდა, მისი ცეცხლოვანი თმები მზის სიწითლეს შეეწნა და იგი მნათობის წიაღში გაქრა... ვცდილობდი მივწეოდი, მაგრამ საკუთარი სიმძიმე ქვევით მეწეოდა და ბოლოს ფეხქვეშ კვლავ ჩვენი აივნის იატაკი ვიგრძენი.

მოგვიანებით, მეხსიერებაში ცხადი და სიზმარი ერთმანეთს გადაეხლართა და გამიჭირდა იმის გარკვევა, მზის სხივებში ურიელა მართლაც ათინათობდა, თუ ყოველივე ჩემმა ფანტაზიამ დაჰბადა.

* * *

ივლისის ბოლოს სოფლიდან ბებია გვესტუმრა, ჯანჯუხა და ტილისკვერი მომიტანა. უმალ ურიელასთან გავაქანე. კუთხეში მივიჭუჭკეთ და ტილისკვერი სასწრაფოდ შევსანსლეთ... ჯანჯუხა შუაზე გავტეხე და ნახევარი გავუწოდე. თეთრად

ჩაწიკწიკებული, ბასრი კბილებით გაკვნიტა... ჩუმად შევყურებდი, ჩემი თალია ხელში მეჭირა... როცა მოათავა, რაც მქონდა, კვლავ შუაზე გავყავი და ნახევარი მივეცი... გაეცინა... მის ცეცხლოვან, რბილ თმებს თითები შევახე. „ცოლო!“ — ჩავჩურჩულე. „ქმარო!“ — მიპასუხა. ჯანჯუხას ის პატარა ნატეხიც შევაჩეჩე... მერე უცბად, დაუფიქრებლად, ისეთი რამ ჩავიდინე, თვითონაც ვერ მოვიაზრე, რას ნიშნავდა. დავიხარე და ლოყაზე ვაკოცე. უფრო სწორად, ცხვირ-პირი ლოყას ვატაკე, კოცნა კი ჰაერში გამომივიდა... გაოცებით შემომხედა, თავი გააქნია, თითქოს ცეცხლი გააღვივაო და ჯანჯუხის ნატეხიც შესანსლა.

მომდევნო დღეს ბებიამ სოფელში წამიყვანა, სკოლამდე დარჩენილი ორი თვე მასთან უნდა გამეტარებინა.

მიხაროდა, მაგრამ თან გული უკან მეწეოდა, წამდაუწუმ მზერას აივნისაკენ ვაპარებდი. იქ მზის სხივებში ცეცხლოვანი ყვავილი კიაფობდა.

თავდაპირველად გამიჭირდა, გული გაურკვეველი სევდით ამევსო. თითქოს სულ მარტო დავრჩი. შემამჩნიეს, მოიწყინაო და ალერსი გამიასკეცეს. ასაკმაც თავისი ქნა, ჩემი კბილა ბიჭების ონავრულ მარაქაში გავერიე და სულ მალე პატარა კვიცივით დავჭიხვინებდი, კაცს ეგონებოდა, სახლიც დაავიწყდა, დედაც და ურიელაცაო... ღამით, ბებიის ფერხთით ჩაკუჭულს, ბნელი ოთახის ლანდებით სავსე მდუმარებაში უცბად გამომეცხადებოდა ურიელა, ირიბად გაჭრილი თვალებით შემომცქეროდა, თითქოს რაღაცას მსაყვედურობდა. ეს ხატი ძილში ჩამყვებოდა ხოლმე, მესიზმრებოდა, რომ რაღაც დავკარგე, ველარ ვპოულობ და ჯავრიანად ვსლუკუნებ... „დაწყნარდი, ბებო გენაცვალოს, ჩემო ანგელოზო, ნურაფრის გეშინია, აგერა ვარ!..“ — ჩამჩურჩულებდა ბებია და მის დაკორძებულ, გაუხეშებულ ხელისგულს შუბლზე ვგრძნობდი.

დრომ თავისი გაიტანა, თანდათან გამქრქალდა ძველი ფერები, მეხსიერების სკივრში ჩაიკეტა, მისი ადგილი სხვა ცისარტყელებმა და ყვავილეთმა დაიჭირა.

ზაფხულის ბოლოს შინ მიმაბრუნეს. სკოლა მომელოდა, თან დედა მომენატრა. როგორც კი მოსახვევიდან ჩვენი სახლი დავ-

ლანდე, თავქუდმოგლეჯით გამოვიქეცი. დედა ჭიშკართან დამხვდა, ამიტაცა და ჩამიხუტა... ხელებიდან დავუძვერი და მოუთმენლად ვკითხე:

— ურიელა?

არაფერი მიპასუხა.

კიბეს მივაშურე, მივრბოდი და მივიძახოდი:

— ურიელა! ურიელა!

არავინ შემომეპასუხა.

კიბეზე ავირბინე, კარი შევაღე და ოთახის სიღრმიდან სიცარიელე შემომეგება...

ჩემი ბავშვობის პირველი ზღაპარი გამქრალიყო...

* * *

სიცოცხლის გარიჟრაჟის სურათები მუდამ თან დაგვყვება. ბედმა მთელი ქვეყანა შემომატარა, მაგრამ ნეტავ რა დამიკარგავს და რა მიპოვნია. უამრავი ადამიანი გავიცანი, ზოგი დავიმეგობრე, ზოგი ვიმტრე. რა თქმა უნდა, ასაკითა და მდგომარეობით რომ შემეფერებოდა, ისეთი ამურული თავგადასავლებიც გადამხდენია. ერთი-ორჯერ კინაღამ დავქორწინდი, მაგრამ ყოველთვის რაღაცამ შემიშალა ხელი. ის ჩემი პირველი, უმანკო და უცოდველი გატაცება არ მომშორებია, გულს მითბობდა, თუმცა არასოდეს გამიმხელია ვინმესთვის. ის მხოლოდ ზღაპარი იყო, უცხო, ირეალური სამყაროდან მოვლენილი... მას საერთო არაფერი ჰქონდა ამ ჩვენს აბსურდულ, ქაოტურ ყოფასთან... მხოლოდ ერთხელ ვახსენე ყველასათვის დაფარული სახელი. თვრამეტი წლისა ლენინგრადში ვსწავლობდი და ებრაელი ყმაწვილი დავიძმაკაცე, იზრაელი ერქვა სახელად, გვარად შუბატი. ვერაფერი სახარბიელო გარეგნობისა იყო, პირისახეზე ჭვავის პურისფერი დაჰკრავდა, სათვალიდან ბეცი თვალებით შემომყურებდა, მაგრამ იმ ბეც თვალებში ისეთი გონიერება იკითხებოდა, უცბად შემიყვარდა და გვერდიდან არ ვიშორებდი. უფრო ისტორიული მეცნიერებით იყო გატაცებული და ჩვენი საუბრის თემა ძირითადად „ებრაულ საკითხს“ უტრიალებდა — ძველი აღთქმის გმირები, მარადი ურია, დევნილი ხალხის იერსახე, ოსვენციმისა და მაუტჰაუზენის საშინელებები და სხვა

მრავალი. ეს საუბრები ხშირად მწვავე კამათში გადაიზრდებოდა, რადგან პროპაგანდისტულ კლიშეებს ვერც ჩვენ ვაღწევდით თავს და გვიჭირდა მრუდე სარკიდან ჭეშმარიტების ამოკითხვა... ერთხელ საექსკურსიო გემით ფინეთის ყურეში გავისეირნეთ, „ლენინგრადის თეთრი ღამე“ ერქვა ამ ექსკურსიას. ვიდექით გემბანზე, გავყურებდით ვერცხლისფრად მოლივლივე მსუბუქ ტალღებს და უცებ ურიელა ვახსენე, მისი ირიბად გაჭრილი თვალის უპეები და ცეცხლოვანი თმები მოვიგონე. ისე ცოცხლად წარმომიდგა „ჩემი ურიელა“, ისე თვალნათლივ დამეხატა... წამის შემდეგ კი ვერცხლისფერ ტალღებში გაქრა... იზრაელი მიუხვდა ჩემს სევდას, მხარზე ხელი მომხვია და დიაგნოზი დამისვა: „უცოდველი კრავის სიყვარული!“ ამაზე წყნარად გამეცინა. ეს იყო და ეს! მერე ლენინგრადიდან წამოვედი. ჩემს მეგობარს გრძელ წერილებს ვუგზავნიდი, ისიც მპასუხობდა. ყოველივეს თავისი დასასრული აქვს. ბოლო წერილი კითხვით მთავრდებოდა: „გახსოვს ურიელა?“ დამეკარგა ჩემი მეგობარი, არ ვიცი, საით წავიდა, გეზი საითკენ მიმართა!.. ხანდახან გამახსენდება და გულში ტკივილი ახმიანდება — „სადა ხარ, მეგობარო?“ პასუხი არსაიდან ისმის, მაწუხებს ეჭვი, რომ იმას უკვე სხვა მეგობრები ჰყავს, სხვა განზომილებანი იტაცებს, მე კი მისი მეხსიერებიდან ამოვვარდი, აღარ ვარსებობ...

ოცდაათი რომ შემისრულდა, შორეული ციმბირეთიდან, სადაც კარგა ხანს ვმუშაობდი, მოხუცი დედის მოსანახულებლად ჩამოვედი. დილით სკოლისაკენ გავისეირნე. ადრე ერთსართულიანი ფიცრული გვედგა, ახლა იმ ადგილას ბეტონის კუბი წამომართულიყო. არ მესიამოვნა და მზერა ჩემ წინ, გზაჯვარედინზე გადავინაცვლე. უცებ თითქოს თვალებში შემომანათა! მე დავინახე ჩემი ურიელა და გული წამით გამიჩერდა... ღმერთო ჩემო, ეს ხომ შეუძლებელი იყო! ათი-თორმეტისა იქნებოდა, თავზე თითქოს ხანძარი უბრიალებდა. ირიბი თვალებით შემომხედა და ჩამიარა. შევტრიალდი და დავუძახე:

— ურიელა!

გაჩერდა, კრთომით შემომხედა.

მეუხერხულა... ნეტავი რამ გადამრია? შუა ქუჩაში მიმავალ ბავშვს ვაშინებ.

— გოგონა, საათი ხომ არა გაქვს? — წავილულლუღე, თუმცა მაჯის საათი ხელზე მეკეთა და გოგონას მზერამ იგი უმალ დაფიქსირა.

— ნწუ! — გააქნია თავი და გაიქცა.

მუხლების სისუსტე ვიგრძენი. ღობესთან ბაღის სკამი იდგა და ჩამოვჯექი. მესერს ზურგით მივეყრდენი და თვალი დავხუჭე. ცნობიერებაში მთელი სიცხადით განათდა შორეული წარსულის სურათები... თავი ისე ვიგრძენი, თითქოს ჯიბეში განძი მედო და ვიღაცამ ამომაცალა... დავცარიელდი, მარტოობის სევდამ გული მომიწურა.

— ძია, ცუდადა ხარ? — მომესმა ბავშვის ხმა.

იგი ცნობისმოყვარეობამ მოაბრუნა და მაკვირდებოდა. ხელი შევახე მის რბილ თმებს და თითებით სიმხურვალე ვიგრძენი.

— ჰო! — მივუგე. — გული ამიჩქარდა... შენ ურიელა გქვია?

თავი გააქნია.

— ნწუ! დედას ჰქვია ურიელა!

— ჰო, კარგი! — უაზროდ წარმოვთქვი, მძიმედ წამოვიწიე, თავზე ხელი გადავუსვი და გავშორდი...

საღამოს, ვითომ სხვათა შორისო, დედას ვკითხე:

— ძია მიშა რასა იქმს?

— აბა, მიშა?

— მდგმურად რომ გვეყენა!

— რამ გაგახსენა? ყური მოვკარი, მიემგზავრებიან.

— როდის?

— რა ვიცი, ამბობენ, კვირასო!

„კვირასო... კვირასო...“ — მთელი ღამე ჩაქუჩივით მიკაკუნებდა საფეთქლებზე, ვერა და ვერ დავიძინე.

მომდევნო დღე პარასკევი იყო და კვლავ სასეირნოდ გავემართე. გზაჯვარედინს რომ მივაღწიე, მაშინღა მივხვდი, აქ გულისთქმამ მომიყვანა. ამოჩემებულ სკამზე ჩამოვჯექი. დიდხანს ველოდი, თუმცა თვითონაც არ ვიცოდი, ვის... ავდექი და იმ ქუჩით ჩავისეირნე, სადაც ძია მიშას და სონა დეიდას მომცრო, თეთრი სახლუკა მეგულებოდა. ვინ დამიშლიდა, რომ ძველი ნაცნობივით ჭიშკარი შემეღო, კარზე დამეკაკუნებინა, მომეკითხა. რა უნდა ყოფილიყო ამაში საძრახისი, საეჭვო?.. რატომ-

ღაც გაუბედაობამ შემიპყრო, ფეხი ვერ დავიმორჩილე... შორიდან გავხედე. ბეწვისოდენა იმედი შემრჩენოდა, იქნებ ურიელასათვის მომეკრა თვალი... არავინ გამოჩენილა, იქ მე არავინ მელოდა!

კვირას რკინიგზის სადგურს მივაშურე. მატარებლის გასვლას ნახევარი საათი აკლდა. ისინი შორიდანვე ვიცანი. მოფიქრებული მქონდა, რომ ლაღად, თამამად მივიდოდი, თუ ვერ მიცნობდნენ, თავს შევახსენებდი და მივესიყვარულებოდი... ცხადია, გაიხარებდნენ!

გული ამიჩქარდა. ჯიხურის კუთხეს მივეყრდენი, სული მოვითქვი... ძია მიშა მთლად მოტეხილიყო, ფანერის დიდ ყუთზე იჯდა და თავი უკანკალებდა. დეიდა სონაც ჩამოედნო დროსა და ჟამს, მაგრამ ეტყობა, ოჯახს ჯერაც ყოჩაღად უძღვებოდა... ვაჟებს, ალბათ, ვერც ვიცნობდი, დაკაცებულან... ერთი ტიპიც ერია, ზომიერად ჩასუქებული, მცირე ღაბაბის პატრონი იყო, კაი ასაკისაც იქნებოდა. „ქმარია!“ — გავიფიქრე ამრეზით. ქმარი რომ იყო, ალბათ იმიტომაც არ მომეწონა, თორემ რას აშავებდა... პატარა გოგონაც აგერ ჩანთაზე დასკუპულიყო და წითელი ყვავილივით კიაფობდა... დედამისი ჯერ არ ჩანდა, მაგრამ აი, ისიც გამოჩნდა! ვაგონის კიბის თავზე შეჩერდა, ალბათ კუპე შეამოწმა და სხვებს შთაბეჭდილებებს უზიარებდა.

მაღალი, გამხდარი ქალი იყო, ალბათ ქმარზე უფრო მაღალი...

წითელი თმები მოკლედ შეეკვეცა...

სადად ეცვა, სიღარიბის კვალი ეტყობოდა...

გული მეტკინა.

„ურიელა!“ — მინდოდა მეყვირა, მაგრამ ყელიდან ხმა აღარ ამომივიდა.

ის უკვე არ იყო „ჩემი ურიელა“, ჟამთა მდინარებას გადაულახავი უფსკრული ამოეთხარა და უკვე ვერაფერს შევცვლიდი...

ურიელა ღვინო და ურიელა წყალი,
ურიელა ცოცხალს მომისწარი და...

თვალზე ცრემლი მომადგა და იქაურობას სასწრაფოდ გავეცალე...

ჟურნალი „დროშა“, 83, 1996, თელ-ავივი, იზრაელი,
ალმანახი „რიწა“, 1—2, 1996.

გოდება უფლის ანგელოსისა ქართველთა ზედა

უფალო სასწაულმოქმედო, რომელი ხარ ცათა შინა!

სამყაროს ცენტრში, ლაჟვარდოვან ციურ სასახლეში ვჭვრეტ შენს ოქროს ტახტს და მსურს ვემთხვიო მის საფეხურებს. შენ გნით გადმოსდინდება სხივი კეთილი, რითაც იმართვის ვარსკვლავთა და ცთომილთა მოძრაობაც და ყოველი მტილისა და ჯინჭველის ბედ-იღბალიც...

მე ერთი ანგელოსი, უკვდავთა შორის უკანასკნელი, უფლის ნებით მომავლინეს მიწასა ზედა. ჟამი იდგა განყოფისა. ადამის ძენი, აბელისა და კაენის მოდგმა განმრავლდა ფრიად, მოედო მიწისპირს და ყოველი ტომი და ერი იტაცებდა ადგილსა გამორჩეულსა და ნაყოფიერსა. იყო დიდი დავა, ხოცა, ჟლეტა და სისხლის თხევანი. ტირილი და მოთქმა მისწვდა მაღალ ზეცას. მოვიდა, უფალო, შენი სიტყვა კეთილი და ყველას მიეჩინა კუთვნილი თვისი... ვითარცა შუქი მზისა, მსწრაფლ ვიდოდი და მივეახლე ჭალაკსა ერთსა, სადაც მწვანე მოლზე ისხდნენ კაცნი მაღალნი, სახიერნი, პირხმელნი. პურსა ჭამდნენ და ღვინოსა სმიდნენ... გამოვეცხადე ვითარცა ხორციელი. სტუმრად მიწვიეს, დამსვეს, მომართვეს სასმისი იგი ყანწად თქმული. ასრე თქვეს, ჩვენა ვართ ქართლოსიანნი, ძენი თარგამოსისა, „ ესე თარგამოს იყო ძე თარშისი, ძმისწული იაფეთისა, ძისა ნოესი. ხოლო მას ჰყვანდა შვილნი რვანი, გმირნი ძლიერნი და სახელოვანნი — ჰაოს, ქართლოს, ბარდოს, მოვაკან, ლეკ, ჰეროს, კავკას, ეგროს...“ კაცნო, ვთქუი მე, უფლისა ნებითა ყოველმან ერმან განიჩინა აგარაკი თვისი, რაითა სხედხართ და აგვიანებთ. ჩვენო, მიუბნეს, უფლისა და სიყვარულის სადღეგრძელო უნა შევსვათო... შევსვი, უფალო, სადღეგრძელო იგი უფლისა და სიყვარულისა და სათვალავი ჟამისა დავჰკარგე. ესე ხალხი, გულით რომ შევიყუარე, დაშთა უსამშობლოოდ. ვილოცეთ და გევედრენით, მიზეზი იგი დაგვიანებისა გამცნეთ. მაშინ გარდამოვიდა ჩვენსა ზედა კეთილი ნება შენი და მოეცა თარგამოსის ძეთა მიწაი იგი, აგარაკი უფლისა, მშვენიერ, ნოყიერ და თვალისათვიცა წარმტყვევნელ...

სწრაფად რბის ჟამი. უკვდავთათვის საუკუნე წამია მხოლოდ,

მოკვდავთათვის ცხორებაა მიწიერი, დაბადებითგან ვიდრე სიკუდილამდე... მძიმე არს ფრიად ისტორიანი ქართლოსიანთა, რამეთუ შუენიერი ეგე ქვეყანა იყო მტერმრავალ... შენ მიეც, უფალო, ჩრდილოის ვრცელი ველები და ტყენი ხაზართა და ოვსთა და რუსთა, რომელნიცა მხეცებრ ცხოვრებდიან ყინვასა და ხორშაკსა შინა... სამხრით შენ მიეც ცხელი უდაბნოეთი არაბთა და სპარსთა და თურქთა და აგარიანთა... დასავლით დაამკვიდრნე ბიზანტიონნი და ჰრომაელნი... აღმოსავლით ვითარცა კალია ჩინმაჩინსა ზედა გარდამოვიდა იგი მოგოლი, უცხოთა პირისახისანი, რომელთაც ცხვირი უფრო დაბალ არს ვიდრე ღაწუნი... ოთხივ მხრივ მოდიოდნენ მტერნი ურიცხვნი რბევად და ხოცვად და პარვად... მათ უშჯულოთა ეწადათ მიტაცებაი უფლისა ბაღისა, გარნა ქართლოსიანნი ბრძოდნენ ხრმლითა და ჰოროლითა და ქრისტეს შჯულითა... შარავანდედითა შეიმოსნეს გმირნი მრავალნი, რომელთა საქმენი ქორონიკონსა შიგა არს...

ნათესავნი ქართველთა ორბუნებოვან არიან. ჰყვანთ კაცნი, კეთილნი ბუნებითა თვისითა, სტუმართმოყვარენი, ხელგაშლილნი, მიმტევებელნი, უფლის მლოცველნი და ეკლესიათა აღმშენებელნი, სამშობლოის მოყვარენი და თავდადებულნი, სიკუდილის უარმყოფელნი და არად დამგდებნი, სიცოცხლით მომლხენნი, მომღერალნი, ცეკვასა შიგა სწრაფნი და კეკლუცნი, დედაკაცთა და ლექსთა ტრფიალნი, ღვინის მოყვარენი, გლახაკთა და უპოვართა განმკითხველნი, სხვათა შჯულის პატივისმცემელნი... ესენი არიან სიკვდილის შემდგომ სამოთხის ბინადარნი... გარნა არიან სხვანიცა! „ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს პირველითგანვე თვისთა უფალთა, რამეთუ რაჟამს განდიდნენ, განსუქნენ და დიდება პოონ და განსვენება, იწყებენ განზრახვად ბოროტსა...“ ესენი სიკვდილსა შემდგომ შთავარდებიან ტარტაროზსა მას შავბნელსა... ეგრე ორბუნებოვან არიან ქართველნი, გინა წმინდანნი, გინა უკეთურნი, ერთნი ავიდიან ცათა შინა, სხვანი ჩავლიან გეენასა ქვესკნელისასა.

ჟამმა მან მოსრა და წარიტაცა ქვეყანანი და ხალხი მრავალი. არღარა არიან ბიზანტიელნი და ჰრომაელნი, განქრნენ მოგოლნი, უკუიქცნენ სპარსნი და არაბნი და თურქნი... ჩრდილოით,

ტყეთა და ველთა შიგან მოვიდიან ერთმორწმუნე რუსნი, ხალხი მოდგმისა სლავთა და თათართა... ტკბილმან სიტყვამან და ზაკვამან, ზარბაზანმან და ჩინ-მედლებმან, სისხლის თხევამან და ქრთამის გაღებამან სძლია ქართველთა ძალგულოვნებას, მოუიავნანა, რული დაადო წამწამსა ზედა, ბორკილნი იგი ოქროისი გამოუჭედნა, ციხე-დილეგი, ვითარცა პალატნი სამეფოსანი, აღუშენა; სული მისი აცდუნა, ვინაითგან სატანისებრ ჩურჩულებდა, დილეგი ესე არს სიკეთე, ბორკილი ესე არს თავისუფლება, მტერობა ესე არს ძმობა, ღმერთი ერთი გყვანან და სამშობლოიც ერთია... აჰარე, თქვენი სამშობლოა ყინულოვანი ციმბირეთიც... მღვდელნი ტყუიან, ღმერთი არღა არს ცათა შინა, არც სამშობლოა დედამიწასა ზედა. არს მხოლო ხორციელი იგი სიცოცხლე, ვჭამოთ, ვსვათ, ვისუნთქოთ... მიწამ გვშვა და მიწა მიგვიღებს, ჩვენი საფლავია მთელი დედამიწა...

და აჰა, უფალო, განვლო მან საუკუნემან ორმან რუსთა შიდა ბატონობისამ და განვიღვიძენით!

* * *

მეცხრესა იგრიკასა, მეათხუთმეტე ქორონიკონის რმდ, ხოლო ქრისტეს დაბადებითგან ჩშპთ წელსა ვიხილე მე საქმენი ბოროტნი, მსწრაფლ დავეშურე თავანსა სახლისა, რომელსაც „მთავრობის სასახლეს“ უწოდიან და რომელზედაც ჯერაიც ფრიალებდა დროშაი იგი სატანისაი... დღენი მრავალნი ვითარცა ტალღაი იგი ზღვისაი მიეხლების ნაპირსა კლდოვანსა, მღელვარებაი კაცთაი განღვიძებულთა და თვალახელილთა მიეხლებოდის კედელსა ამას... მოვიდიან დედანი და ქალწულნი, ხუცნი და ყრმანი, ილოცვიდის და მღეროდის, არა მორჩილებდეს მთავართა მას მზაკვართაითა. ჩავაგონებდი ხელმწიფესა ამა ქვეყანისა გონიერებასა და მიტევებასა, სიყვარულსა და დათმობასა, გარნა ურწმუნოება იყო დაუნჯებული გონებასა მისსა, შეეკვროდის ჯარსა სატანისასა. იხმო მან ტანკნი და ჯავშნოსანნი, აღიღის ნიჩაბნი და კონდახი და საწამლავი თავსა ზედა ქართლოსიანთა, ყრმათა და უწლოვანთა, კაცთა და დედათა ხეთქნეს და წამლვიდეს და ხოცდეს... მიმოვფრინავდი

ადამის ძეთა შორის, ჩავჩურჩულებდი ქრისტეს მცნებას — არა კაც ჰკლა! არა კაც ჰკლა! — გარნა ყურნი მათნი დახშულ იყვნეს სასმენელად, თვალნი მათნი ბრმანი, გონებაი ბნელ და ბოროტ, რამეთუ უმეცრებითა თვისითა განბოროტნეს და კვლიდეს დედასა, დასა და ძმასა თვისსა...

ბნელსა მას ღამესა ვცრემლოოდი და მივუძღოდი სულთა ამაღლებულთა და სპეტაკთა სამოთხის კარიბჭისკენ და იგინი სიხარულით ვიდოდნენ, რამეთუ დათმეს ხორციელი სიცოცხლე თვისი სამშობლოისათვის. შევავედრე სულნი მართალნი სინათლითა და შარავანდედით მოსილ დედასა მას უფლისასა და მიიღო მან თვისსა წიაღში, სამოთხის წალკოტში ანგელოზთა სადარი ყრმანი უმრწემესნი თამრიკო, ნათია, ეკა, თამუნა, მანანა, მამუკა, ელისო და მათთა თანა კაცნი და დედანი უფროისნი, რომელთათვის მარადიული პალატნი ოქროისი დგას ზეციურ საქართველოში.

დავდექ სასახლისა თავანსა ზედა, ვჭვრეტდი ქალაქს, კვალსა რბევისა და ოხრობისა, გული ჩემი სავსეი ტკივილითა, ცრემლი ჩემი ჩამოსდინდების ღაწვთა ზედა, გარნა მიხაროდა, რამეთუ ეს იყო წმიდა მსხვერპლი საკურთხეველსა ზედა, განმბანი წყლულთაი სულისა ერისაი. ვჰხედვიდი მე მომავალსა მას ქუეყანისასა, ხვალე აღმოხდების მზეი და სინათლეი უფლისაი დაეფინების წალკოტსა ამას და შეიქმნების მშვიდობა, სიხარული და ერთობა, რომელი არაოდეს სადა ვის უხილავს. და „ერთბამად ძოვდეს ლომი და ხარი და იხარებდეს ვეფხი თიკანთა თანა და მგელი ცხვართა თანა...“

ეჰა, ესე არს ცთომილებაი ჩემი! დავივიწყე ორბუნებოვნება ქართლოსის ძეთა. არღარა დაიუნჯნეს მათ მცნებანი ქრისტესნი — წარუვალი იგი საუნჯე. სატანამან იპყრა გონებაი და გული მათი და უღვთოობა და ბოროტება ხელმწიფებდეს სულსა მათსა შიდა. მტერთან ერთად მბრძოლთა სძლია საცდურმან ეშმაკისამან და აღიღეს ხრმალი ერთურთსა ზედა და ბოროტსა უყოფდიან ერთმანერთსა... მტერი ჩვენსა შიდა ჰზი და არღარა უნდიეთ ბრძოლაი საკუთარსა სიბოროტესა ზედა. არა იციან უმეცართა, ომი გვმართებს თავისა თვისისა მიმართ.

ილოცვიდეს არა უფალსა ზედა, არა სამშობლოისა ზედა, არამედ კერპნი ქმნიან თავისაგან თვისისა და ყვიროდიან მხოლოდღა: „მე! მე! მე!“ უმეცარი იგი ცდილობს ბრძნობასა, არაპოლიტიკოსი — პოლიტიკოსობასა, არამწერალი — მწერლობასა, მუნჯი — რიტორობასა და მჭევრმეტყველებასა... ბულბულნი და სახედარნი ერთადა სხენან პარლამენტსა შინა, ბულბული ვერღარა გალობდის, სახედარი კი ყრუი და უსმენელი, სიმღერას ასწავლის ბულბულთა.

მოვიდა კაცი იგი სახიერი, ძე მამისა, მეფობისა ღირსისა, მცოდნე ენათა და მორწმუნეი ქრისტესი, ლექსთა მთხზველი მცირედი ნიჭიერებითა, მცირედ მეცნიერი, მცირედ პოლიტიკოს, გონიერ მცირედი... „ცხოვარმან ჯორის სახედ ორ ბუნებისა მყოფელმან“, ვითარცა ძემ დავითისმან ამონ შეიყვარა დაი თვისი თამარ და დაამდაბლა იგი, ეგრევე შეიყვარა კაცმან მან სამშობლოი თვისი და ესწრაფოდა ხელმწიფებას ზედა, და ერმა და ბერმა უპყრიეს სადავე იგი ქუეყანისაი და მიუძღოდა იგი წინა ერსა. გარნა გულსა მას შეჭირვებულსა სურდის ფრიად პოეტობა დიდ, მეცნიერება დიდ, პოლიტიკობა დიდ, მაგრამ არღარაი იყო სიკეთეი კმარ, არამედ განბოროტდა გონიერთა ზედა, აღაზევა უმეცარნი და დასცა და დაამდაბლა მეცნიერნი... და უწოდიან ამას დიქტატურასა!

და ვითარცა ძემ დავითისამ აბესალომ შეიძულა ძმაი თვისი ამონ უკეთურებისათვის, კაცი იგი ხელმწიფეი შეიძულეს კაცთა მათ სხვათა და იზახდიან, არღარა გვინდის დიქტატურა, გვინდის დემოკრატია.

შეიყარნეს ხალხნი ურიცხვნი, კაცნი და დედაკაცნი, ხუცნი და უმრწემესნი, ვითარცა ტალღანი მიმოეხლებოდიან ადგილსა მას ქალაქისასა, სადაც ქვანი წითლად ღვიოდის დათხეულისა სისხლისა გამო წმიდისა მათ მოწამეთა იგრიკისა თვისა... დასცენ კარავნი ქალთა მათ შაოსანთა, მოვიდიან კაცნი წვეროსანნი და ხმობდიან: „ზვიად! ზვიად!“ სხვანი კაცნი და ქალნი იზახდიან: „ჩაუშესკუ! ჩაუშესკუ!“ და იყო ღელვანი და ჩხუბი და გინებანი... არღარავინ მუშაკობდა, არღარავინ თესავდა და მკიდა, არა განისწავლებოდა, რამეთუ პირველობა უნდის ყოველსა მტილსა და ყმუოდიან მძულვარებით ვითარცა მგელნი: „მე ვარ მართალი, შენ კი მტერ ხარ!“

ყრმამან ერთმან, სადარმან უფლისა ანგელოსისა, რომელსაც ეწოდის სახელად გია, გვარად აბესაძე, ღაღადყო: უფალო, მიიღე სული ჩემი! ეგების სიკვდილმან ჩემმან საზარელმან განაღვიძოს ქართუელნი, განაქარვოს შური და მტრობაი. კმა არს სიცოცხლისა ჩემისა შეწირვა სამშობლოისათვის! ცეცხლმან ამან შვას სიყვარული და განაგდოს სიძულვილი...

და გარდაისხა ყრმამან მან სითხეი ცეცხლისაი, გაჰკრა წუმწუმა ასანთისაი და აბრიალდა ცეცხლი იგი და წარიტაცა სული უბიწო და სპეტაკ ცათა შინა. მიეახლა იგი, უფალო, ტახტსა შენსა მაღალსა და შეგავედრა საწყალობელი სამშობლოი თვისი.

გარნა ვერღარა იხილნეს ბრმათა მათ ცეცხლი იგი მწველი, ვერღარა ჩაესმას სასმენელთა ყრუთა სიტყვა კეთილი და ჭეშმარიტი!

ვითარცა ამონ და აბესალომ, ძენი დავითისნი, ბრძოდიან ერთურთს უფროის მტერთა მოძულეთა, ყრმათა უწლოვანთა აღიღეს ავტომატნი და ქვემეხნი, ხოცდიან ერთურთს, მოსრეს ქალაქი იგი და დასწვეს დიდ-დიდნი შენობანი. იავარქმნეს წალკოტი იგი, ვითარცა ურდომან მოგოლთა და სარკინოზთა. განაძევეს ხელმწიფეი იგი ამონ და იწვიეს აბესალომ. რბის ჟამი წამიერ, არა დაწყნარდა ქვეყანაი ესე, ეშმაკი განძლიერდა უფროის და კაცნი ამონისანნი ინატვრიან მოკვდინებასა აბესალომისა.

ესე არს ვითარცა იგავი ქვრივისა, რომელსა დაშთეს ორი ძე და იბრძოდეს ერთურთს უდაბნოსა და არავინ იყო, რომელმანცა განაშველნა იგინი. და სცა ერთმან მან და მოკლა ძმა თვისნი. და ეტყვიან ქვრივსა მას ნათესავნი მისნი, ვითარმედ — მოგვეც ძმა იგი მისი და მოვკლათ იგი მოკლულისა მისთვის ძმისა მისისა! რაითამცა არა დაშთა მკვიდრი ქმრისა მისისა ქვეყანასა ზედა...

ესე წარიხოცების ერი ქართლოსიანთა და მე მჭვრეტელი მომავალისა, ვიტირებ ვითარცა დავით, რომელსაც ახარა მსახურმან მან სიკუდილი ძისა მისისა აბესალომისა, გარნა დავით ხმითა დიდითა ტიროდა და იტყოდა: „შვილო ჩემო, აბესალომ,

აბესალომ, ძეო ჩემო!“

უფალო, განაშორე საფრთხე ესე ტანჯულსა და გვემულსა მას ერსა ქართლოსიანსა, მოეც ძალა და გონი, რაითა დათრგუნვიდეს შურსა და ბოროტსა სატანისასა, ასწავე კვლავაც სიყვარული, თანალმობა, მიტევება, ხალისი სიცოცხლისაი, ტრფობა შაირისა და დედაკაცისა და ღვინისა, ასწავე კვლავაც მუშაკობა და გარჯა, ღვთისმოშიშობა და გულმოწყალება... აღუხილნე თვალნი, რამეთუ ხამს გლოვაი და ტირილი დახოცილთა ზედა, ხამს ძმობაი და მიტევებაი ერთურთსა შორის, ხამს განჭვრეტა მომავალისა, ვინაითგან არს ორნი გზანი — გზა ბოროტისა, ქვესკნელსა შიდა, და გზაი სიკეთისაი, სინათლითა და შარავანდით განათებული, ზესკნელსა ზედა...

გაზეთი „მესამე გზა“, ივლისი, 1993.

ბაზონი პრეზიდენტი ჩამობრძანდა

(პოლიტიკური ფანტასტიკა)

სწორედ ასეთ დღეს წინასწარმეტყველებდა ამინდის ბიურო. მოკრიალებულ ცაზე ღრუბლის ფთილაც არსად ეკიდა. ჰაერი მზის სხივებს განემსჭვალა, მაგრამ არ ცხელოდა, რადგან მტკვრის ხეობიდან გრილი ნიავი უბერავდა... ქალაქი საზეიმოდ მორთული ხვდებოდა მაღალ სტუმარს. ყველგან — დაწესებულებებზე, სახლების აივნებზე, განათების ბოძებზე დაწყვილებული სახელმწიფო ალმები ფრიალებდა. პრეზიდენტის სასახლის ფლაგშტოკზე აღიმართა საქართველოს რესპუბლიკის სამფეროვანი დროშა. გზატკეცილებისა და ქუჩების გარდიგარდმო გაჭიმული იყო ტრანსპარანტები, რომლებზეც უსასრულოდ მეორდებოდა ორენოვანი წარწერები: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“ „საქართველოსა და რფრ-ს მეგობრობა ურღვევია!“ „საქართველოს რესპუბლიკა მიესალმება საპატიო სტუმარს!“

უშიშროების სამსახურის ვერტმფრენი გუგუნით დაფრინავდა ქალაქის თავზე. პროვოკაცია მოსალოდნელი არ იყო, მაგრამ სიფხიზლეს თავი არ ტკიოდა. ვერტმფრენის კაბინიდან ხელისგულივით ჩანდა ქუჩები და სახურავები. საეჭვო ადგილებში სამსახურის გამოცდილი მუშაკები მორიგეობდნენ. ტერორისტი, თუ ის საერთოდ არსებობდა, ვერ დაემალებოდა უშიშროების მუშაკთა მახვილ თვალს...

ტრასა აეროპორტიდან პრეზიდენტის სასახლემდე გაანთავისუფლეს საქალაქო ტრანსპორტისაგან. აქა-იქ პოლიციის მანქანები თუ დაქროდნენ, წესრიგის დამცველნი მზადყოფნას ამოწმებდნენ. ტროტუარები გაიჭედა ცნობისმოყვარე თბილისელებით, განსაკუთრებით ბევრი ხალხი შეგროვდა რუსთაველზე და თავისუფლების მოედანზე.

და აი, სასახლის კარიბჭიდან დაიძრა გრძელი კორტეჟი. ავტოინსპექციის ყვითელი მანქანა წინ გავარდა. მიქროდა და გამვლელთ აფრთხილებდა: „ფრთხილად, სავალ გზაზე ნუ გადმოდიხართ!“

კორტეჟის მეთაურ მანქანაში პრეზიდენტის დაცვის თანამშრომლები ისხდნენ. ტალიკ-ტალიკ, დაკუნთულ ბიჭებს ამჯერად უშიშროების გენერალური ინსპექტორი მეთაურობდა.

მეორე მანქანა — შავი, კრიალა ლიმუზინი პრეზიდენტისა იყო. კაპოტზე ორი პატარა ალამი ფარფატებდა. პრეზიდენტის ლიმუზინის კვალზე ჩამწკრივდა პრემიერ-მინისტრისა და სხვა მაღალი თანამდებობის პირთა მანქანები.

პრეზიდენტის მანქანაში ისხდნენ სახელმწიფოს უზენაესი ხელისუფალი ბატონი X და რესპუბლიკის პირველი ლედი, ქალბატონი ნათელა. წინ კი, მძღოლის გვერდით, პრეზიდენტის თანაშემწე ბატონი გოგი, რომელიც ბოლო წუთს მიღებულ დეპეშებს კითხულობდა.

პრეზიდენტი თვალდახუჭული უსმენდა. ცოტა უქეიფოდ გახლდათ. ექიმი ურჩევდა, ერთი კვირა მაინც დაისვენეო, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო. პრობლემები არ ილეოდა, მათი გადაწყვეტისათვის დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა. პარლამენტში ბიუჯეტის კანონის მიღების დროს დამღლელი ბატალიები გადაიხადა, მისი მხარდაჭერა რომ არა, პრემიერს მოუწევდა გადადგომა და დაიწყებოდა ხანგრძლივი სამთავრობო კრიზისი... ბეწვზე ეკიდა იზრაელის წარმოების ავიაგამანადგურებლების შესყიდვის პროექტი, რის განხორციელებასაც დაჟინებით მოითხოვდა თავდაცვის სამინისტრო... სულ ახლახან ისტუმრა თურქეთის პრემიერ-მინისტრი, კუვეიტის ემირი და ევროპის გაერთიანების საპარლამენტო დელეგაცია... აქეთ, ოჯახშიც არ ჰქონდა მთლად ერთსულოვნება... უფროსმა შვილმა კემბრიჯში მოინდომა სწავლის გაგრძელება, რამაც პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა ირონიული რეპლიკები გამოიწვია, უმცროსი კი სტუდენტთა ოპოზიციურ გაერთიანებაში შევიდა და მამას შინ გაუხსნა პარლამენტი...

ბატონმა გოგიმ დეპეშების კითხვა მოამთავრა. საერთაშორისო კომენტატორები აანალიზებდნენ რფრ-ს ლიდერის მომავალ ვიზიტს საქართველოს რესპუბლიკაში, ვარაუდებს ჭეშმარიტებად ასაღებდნენ... პრეზიდენტმა წამით იყუჩა, — ისვენებდა, — მერე ანიშნა, რადიო ჩართეო. ბატონმა გოგიმ პანელზე თითი დააჭირა. საქართველოს რადიო უკანასკნელ ცნობებს გადმოცემდა: „მოსკოვის შერემეტიევოს აეროპორტიდან დღეს თბილისში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით გამოფრინდა რფრ-ს პრეზიდენტი ბატონი V. როგორც საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პრეს-მდივანმა ბატონმა პარმენ მ-მ განაცხადა, ეს ვიზიტი ისტორიული ნიშანსვეტი იქნება ორი სახელმწიფოს ისტორიაში...“

რადიოს ცნობა, ჩვეულებისამებრ, აგვიანებდა. პრეზიდენტის ლაინერი საათზე მეტია, რაც შერემეტიევოდან გამოფრინდა და თხუთმეტ წუთში შემოვიდოდა საქართველოს საჰაერო სივრცეში, კავკასიონის თავზე. ეს მეტად პასუხსაგები წუთი იყო. რესპუბლიკის საზღვრებზე გამოცხადდა „მზადყოფნა I“. რადარები ფხიზლად უთვალთვალებდნენ, რათა მოულოდნელად რაიმე უცნობი ობიექტი არ შემოჭრილიყო საიდანმე... ორი საათით შეწყდა სამოქალაქო და სამხედრო თვითმფრინავების ფრენა თბილისის ცაზე.

ტელეფონმა ზუმერის ხმა გამოსცა. ბატონმა გოგიმ ყურმილი პრეზიდენტს მიაწოდა. თავდაცვის მინისტრი თავისი მანქანიდან ცინცხალ ცნობას ატყობინებდა: რფრ-ს პრეზიდენტის ლაინერი გრაფიკით უახლოვდება ჩვენს საჰაერო სივრცეს. თბილისის სამხედრო აეროდრომიდან ხუთი წუთის შემდეგ აფრინდება საჰაერო ესკორტის ესკადრა — შვიდი ავიაგამანადგურებელი...

ქალბატონმა ნათელამ ხელჩანთიდან სარკე ამოიღო, ჩაიხედა. რფრ-ს პირველი ლედი სვეტლანა მოისეევნა მხოლოდ ფოტოზე ენახა და იცოდა, რომ ასაკოვანი დედაკაცი ბრძანდებოდა. „მე უფრო ფოტოგენური ვარ!“ — კმაყოფილებით გაიფიქრა ქალბატონმა ნათელამ.

პრეზიდენტმა საათზე დაიხედა. საჰაერო თავდაცვის სისტემა ნორმალურად მუშაობს. სანამ კორტეჟი აეროპორტს მიაღწევდეს, სტუმრის ლაინერი საქართველოს საჰაერო სივრცეში შემოვა. იქ, მყინვარწვერის თავზე პრეზიდენტის თვითმფრინავს ქართველთა საჰაერო ესკორტი შემოეწყობა და სტუმარს აეროდრომისაკენ გამოუძღვებიან...

* * *

თბილისის აეროპორტში სანამ ორი პრეზიდენტი ერთმანეთს შეხვდებოდეს, შეგვიძლია მაღალი პოლიტიკიდან ძირს დავეშვათ, რათა მოვისმინოთ წითელარმიელი ივანე პენტიუხას თავგადასავალი, ვინაც აჩვენა რუსი ჯარისკაცის საუკეთესო თვისებები — ერთგულება, მორჩილება, მოთმინება და არცთუ საუკეთესო თვისებაც, რაც ჩვენებური ჭაჭის სიყვარულში გამოვლინდა.

იმ დროს, როცა ზემოთ მოყოლილი ამბავი ხდებოდა, პოლიციის ზემდეგი შავლეგ ჯინჭარაძე თავის სამბორბლიან მოტოციკლთან იდგა და რადიოთი უკანასკნელ ცნობებს უსმენდა. „ოჰ, რა დროს მოვესწარი!“ — გაიფიქრა ზემდეგმა და უცებ სახე დაუგრძელდა. რა თქმა უნდა, შავლეგ ჯინჭარაძეს რადიოს ცნობები არ გაუკვირდებოდა. განსაცვიფრებელი ის იყო, რომ პოლიციის ზემდეგისაკენ მტკიცე ნაბიჯით მოდიოდა წითელარმიელი ივანე პენტიუხა. რა არის ამაში გასაკვირიო, — იკითხავს, ალბათ, მკითხველი. ცხადია, შავლეგ ჯინჭარაძეს აქამდე არაფერი სმენოდა ივანე პენტიუხას არსებობის შესახებ, უფრო მეტიც, სიცოცხლეში პირველად ნახა იგი, სახელი და გვარიც აწი, დაკითხვის შემდეგ უნდა გაეგო. მაშ რა მოხდა? შავლეგ ჯინჭარაძემ საკუთარი თვალებით იხილა ნამდვილზე ნამდვილი წითელარმიელი, რომელსაც თავზე წითელვარსკვლავიანი „პილოტკა“ ეხურა, მხრებზე ეფრეიტორის სამხრეები ეკეთა, ფეხებზე ქირზის ჩექმები ეცვა და ზურგზე კალაშნიკოვის ავტომატი ეკიდა... თითქოს ესეც არ კმარაო, წითელარმიელს სარტყელზე ჩამოკონწიალებოდა მათარა, სავაზნე მასრა და სასანგრე ნიჩაბი, რომელმაც პოლიციის ზემდეგის მეხსიერებაში არცთუ სასიამოვნო მოგონებანი გააცოცხლა.

„ნუთუ შპიონია?“ — აი, რა გაიფიქრა შავლეგ ჯინჭარაძემ, თუმცა ეს აზრი უმალვე უკუაგდო. ბოლოსდაბოლოს რომელი კბილებამდე შეიარაღებული მზვერავი გამოჩნდებოდა ქუჩაში, რათა პირველსავე პოლიციელს ჩაბარებოდა... „რუსები ხომ არ შემოგვესია?“ — ესეც გაიფიქრა, თუმცა რადიოში სულ სხვა

რამეს ისმენდა, თანაც სროლის ხმა არ გაუგონია, წითელარმიელს კი კალაშნიკოვის ავტომატი კი არა, სასანგრე ნიჩაბიც არ ჰქონდა ნახმარი. „იქნებ სადმე კინოს იღებენ, ჰა!“ — ეს დასკვნა უფრო იყო ჭკუასთან ახლოს.

პოლიციის ზემდეგს ჭოჭმანი გაუგრძელდა. ამასობაში წითელარმიელი ჩექმების ბრაგაბრუგით მოვიდა, ქუსლი ქუსლს მიარტყა, ხელი აუღო და რუსულად ჰკითხა:

— ამხანაგო მილიციელო, ვერ მიმასწავლით სამხედრო ნაწილს?

— ჰმ! — გონს ძლივს მოეგო შავლეგ ჯინჭარაძე, უნდოდა უცნობისათვის აეხსნა, შენი „ამხანაგი“ არა ვარ, „ბატონო“ უფრო უპრიანიაო, თანაც მილიციელი კი არა, პოლიციელი ვარო, მაგრამ სულ სხვა რამა თქვა: — მოქალაქევ, აგერ ამ შენობაში შემომყევით და იქ აგიხსნით ყველაფერს!

წუთის შემდეგ პოლიციის ზემდეგი მაგიდას უჯდა, პოლიციელებით გარშემორტყმული წითელარმიელი კი მთელ თავის ამუნიციას მაგიდაზე აწყობდა.

— სახელი, გვარი! — მკაცრად ჰკითხა ზემდეგმა.

— ივანე პენტიუხა!

— აბა, ივანე, მოგვიყევი, ვინა ხარ და საიდან მოდიხარ?

ბევრი ილაპარაკა ივანე პენტიუხამ. ჩვენ კი, რაკი პრეზიდენტებს უნდა დავუბრუნდეთ, მის მონაყოლს მოკლედ გადმოგცემთ: ცხოვრების თვრამეტი წელი ივანემ რუსეთის ტაიგაში მიკარგულ პატარა სოფელ ტიხიე ბალოტაში გაატარა. იქ ძელური ქოხებისა და ხავსიანი ღობე-ყორეს გარდა არაფერი უნახავს. ერთადერთი მოზრდილი შენობა სკოლა იყო და სხვა დანიშნულებასთან ერთად სამასწავლებლო ოთახს კინოს საჩვენებლადაც იყენებდნენ. ამ ოთახის შეთეთრებულ კედელზე ნახა ივანემ საქართველოს ლამაზი ხედები. ჯარში რომ გაიწვიეს და საქართველოსაკენ გზას გაუყენეს, ეგონა პალმებსა და ლაჟვარდისფერ ზღვას დავინახავო, მაგრამ სამწუხაროდ უღრანი ტაიგიდან პირდაპირ პატარა ციმბირში აღმოჩნდა. საქართველოში ხომ ყოველნაირი გეოგრაფიული გარემონი თანაარსებობენ. სადაც ივანეს სამსახურმა მოუწია, იქ ზაფხულში ხორშაკი იდგა, ზამთრობით კი ყინულიანი ქარაშოტი

ქროდა... ჩივილი არ დასცდენია ივანეს, ერთგულად ზიდა ჭაპანი, თუ არ ჩავთვლით მცირე ცუღლუტობებს, როცა ათასში ერთხელ ის და მისი მეგობრები ჭაჭის არაყის საშოვნელად ახლო სოფლებში მიიპარებოდნენ... სინდისიერი სამსახურის სანაცვლოდ ისეთი ჯილდო ერგო, საგანგებოდ ვერავინ მოიგონებდა: ერთ მიგდებულ საყარაულოზე დააყენეს და მიავიწყდათ... იმ დაბალ, მიწისპირას გადაფერდებულ ფარდულში, პენტიუხა რომ ყარაულობდა, პერანგის ამხანაგისა და ფეხსახვევის მეტი არაფერი ინახებოდა, მაგრამ ყოჩაღმა წითელარმიელმა ეს არ იცოდა, ეგონა ატომურბირთვიან რაკეტებს მაინც ვყარაულობო და ვაჟკაცურად უმკლავდებოდა სიცივეს, სიცხეს, წვიმას, თოვლს, ქარს და, რა თქმა უნდა, შიმშილს... იმდენი დრო გავიდა, ივანე პენტიუხას სათვალავი აერია... ძლივს მიხვდა, რომ დაავიწყდათ, მერე მოთარეშე ვირთხების მეოხებით ისიც გაიგო, ნიფხვებს რომ ყარაულობდა ამდენი ხანი. ერთი გემრიელად შეიგინა რუსული ლექსიკის შესაძლებლობის ფარგლებში, დაკრა ფეხი და წამოვიდა ნაწილის მოსაძებნად, რათა საკუთარი მეთაურისათვის წირვა გამოეყვანა... ვერსად იპოვა!.. მიდიოდა სოფელ-სოფელ, მოხეტიალე ჯარისკაცს ვინ დაამადლიდა პურის ნატეხსა და ას გრამ ჭაჭის არაყს... მხიარულად მოგზაურობდა წითელარმიელი ივანე პენტიუხა, ნაწილის ძებნაში უამრავი სოფელი მოიარა, პურიც ბევრი ჭამა და არაყიც ბევრი სვა, ამასობაში რამდენიმე ქართული სიტყვა ისწავლა: „დალიე, რუსო!“ „ჩაჩა!“ „მტვრალი კაცი, კაი კაცი!“

პოლიციის ზემდეგმა შავლეგ ჯინჭარაძემ ყველაფერი ეს თეთრ ქაღალდზე გადაიტანა, თავი ეჭვით გააქნია:

— ვნახოთ, ვნახოთ!.. შევამოწმებთ!

წითელარმიელი ივანე პენტიუხა საკანში შეაბრძანეს. „ახია ჩემზე, — გაიფიქრა ივანემ, — უპატრონოდ ხომ მივაგდე პერანგის ამხანაგი და ფეხსახვევი, ამაზე პასუხს მომთხოვენ!“

ზემდეგმა ჯინჭარაძემ კი თანაშემწეს მოუხმო, მაცივარში შეახედა და უთხრა:

— ცოდოა ი საწყალი რუსი, შეუტანე პურმარილი და ჭაჭა!

* * *

აეროპორტის შენობის აივნებზე უამრავი მაყურებელი გამოეფინა. ღია მოედანზე დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი. უშიშროების თანამშრომლები და პოლიციელები ცდილობდნენ წესრიგის უმცირესი დარღვევაც აღეკვეთათ. განსაკუთრებით ახალგაზრდობა ვერ ეგუებოდა ბარიერს უკან დგომას და ცდილობდნენ სხვაზე წინ გაძრომას.

შორიახლო საპატიო აღლუმის მონაწილე ასეულები ჩამომწკრივდნენ — თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული ორკესტრი და სამი სახეობის ჯარის — სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ძალების ნაწილები.

თანმხლებმა ავიაგამანადგურებლებმა საპატიო სტუმრის ლაინერი დასაშვებ ბილიკამდე მოაცილეს, აეროდრომს გადაუფრინეს და მიიმალნენ. პრეზიდენტის თვითმფრინავი ჰორიზონტიდან პირდაპირ ბეტონის ბილიკზე დაეშვა, გაირბინა, გუგუნით შემობრუნდა, მასპინძლებისაკენ წამოვიდა და ზუსტად იქ გაჩერდა, სადაც წითელი ხალიჩა იყო დაფენილი.

მცირე ხნით სიწყნარე ჩამოწვა. კართან უმალ ტრაპი მიაგორეს.

აი, გაიღო კარი და კიბის თავზე გამოჩნდნენ მომღიმარი რფრ-ს პრეზიდენტი და მისი მეუღლე. ხელის აწევით მიესალმნენ მასპინძლებს და კიბეზე დაეშვნენ.

„საკმაოდ დაბერებულა!“ — ასე შეაფასა ქალბატონმა ნათელამ სვეტლანა მოისეევნა.

რამდენიმე ოფიციალური პირი საქართველოს პრეზიდენტის ხელმძღვანელობით კიბესთან დახვდნენ სტუმრებს. პრეზიდენტებმა ენერგიულად ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი და რფრ-ს პრეზიდენტმა იოხუნჯა:

— იმედია, ნათელ დღეს პოლიტიკაც ნათელი ახლავს!

— როგორც ამბობენ, მოსკოვშიც თბილი ამინდებია! — თავშეკავებით უპასუხა ბატონმა X-მა.

საქართველოს რესპუბლიკის პირველმა ლედიმ ხელი გაუწოდა სვეტლანა მოისეევნას. ამ უკანასკნელმა დიპლომა-

ტიური სალამი არ იკმარა და ენერგიულად ჩაკოცნა.

ბატონ X-თან ერთად აქვე იყვნენ ბატონი პრემიერ-მინისტრი, თავდაცვის მინისტრი, საგარეო საქმეთა მინისტრი, პარლამენტის სპიკერი და გენერალური პროკურორი. სტუმარმა წარდგენილ პირებს სათითაოდ ჩამოართვა ხელი, თუმცა ეტყობოდა, რომ ქართულ გვარებს ვერ იმახსოვრებდა.

ამის შემდეგ ორი პრეზიდენტი მიუახლოვდა სახელდახელო ტრიბუნას. ბატონმა X-მა მისალმების სიტყვა მოკლედ, ლაკონურად წარმოთქვა. საჯაროდ ტრაფარეტების კითხვას ერიდებოდა, ცდილობდა ზეპირად ელაპარაკა... სტუმარმა ჯიბიდან ქაღალდი ამოაძვრინა, სათვალე საფუძვლიანად მოირგო და საპასუხო სიტყვა ჩაიკითხა... ლიდერები შეეცადნენ ერთმანეთისათვის ესიამოვნებინათ, აღიარებდნენ ორი სახელმწიფოს სრულ სუვერენიტეტს, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობას, მჭიდრო მეგობრობის აუცილებლობას და ა.შ.

სამხედრო ორკესტრმა გზნებით შეასრულა ორი რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

— ყურადღება! სწორდით! — მჭახედ გაისმა აღლუმის მეთაურის ბრძანება.

ახალგაზრდა ოფიცერმა სხარტი მოძრაობით ხმალი იშიშვლა, მხართან გაასწორა, მტკიცე ნაბიჯებით სტუმრისაკენ გაემართა, ქუსლი ქუსლს მოარტყა და პარადისათვის მზადყოფნა მოახსენა, მერე განზე გადგა, პრეზიდენტებს გზა დაუთმო.

ბატონმა X-მა და ბატონმა V-მა ასეულებს ჩამოუარეს, თან სამი სახეობის ჯარების ალმებს პატივს მიაგებდნენ. ბოლოს მათთვის განკუთვნილ ადგილას, საგანგებოდ დაფენილ ხალიჩაზე შედგნენ.

აგრიალდა გაერთიანებული ორკესტრი. გაისმა სამხედრო მარშის ენერგიული ჰანგები. ასეულებმა მტკიცე ჯარისკაცული წყობით გაიარეს პრეზიდენტების წინ.

— ყოჩაღი ბიჭებია! — თქვა სტუმარმა.

— ასეთი ბიჭების იმედითა ვართ! — ღიმილით შეეპასუხა მასპინძელი.

— მეზობლების მეგობრობის იმედიც არაა წყალში გადასაგდები! — სტუმარმა, ალბათ, საკუთარი ქვეყანა იგულისხმა, ანდა თურქეთის პრემიერის ამასწინანდელ ვიზიტზე ჩამოუკრა სიტყვა.

— ქართველებს, ბატონო პრეზიდენტო, მეგობრები გვიყვარს! — ბატონმა X-მა ამ სიტყვებს ხელით ჟესტი მიაყოლა, ანიშნა, აი, აქეთკენ წამობრძანდითო.

ჩამოუარეს შეკრებილებს. ჯერ მთავრობის სხვა წევრები წარუდგინეს სტუმრებს, მერე პარლამენტართა ჯგუფი, პარლამენტში წარმოდგენილი პოლიტიკური პარტიების ლიდერები, მაღალი რანგის სამხედრო პირები, დაბოლოს, დიპლომატიური კორპუსის მეთაურები, რომელთა დუაიენმა ბურუნდის ელჩმა ოჩიმბორო ჩაკოკიმ პრეზიდენტებს თბილი სიტყვით მიმართა... დანარჩენ საზოგადოებას ხელის აწევით მიესალმნენ. პასუხად გაისმა საყოველთაო „ვაშა!“, რომელშიც გამოკვეთილად ჟღერდა რუსი სტუდენტებისა და ტურისტების დიდი ჯგუფის „ურა!“

აქ კი პრეზიდენტებს ჟურნალისტები შემოეხვივნენ, თავიანთი ტელე და რადიოაპარატებით ყველას ფეხებში ედებოდნენ. შეკითხვები სეტყვასავით დააყარეს ორ ლიდერს, მაგრამ რაკი ერთმანეთს ხელს უშლიდნენ, პრეზიდენტებმა თავი იოლად დაიძვრინეს, ზოგადი სიტყვებით პასუხობდნენ, უმთავრესად მეგობრობასა და ურთიერთპატივისცემაზე, რფრ-ს პრეზიდენტმა კი აღფრთოვანება გამოხატა შესანიშნავი ამინდისა და გულთბილი მიღების გამო... („ვოტ ბი პოზაგარატ!“).

საპატიო სტუმართათვის განკუთვნილ დარბაზში პრეზიდენტმა და მათმა თანმხლებმა პირებმა ათი წუთი შეისვენეს. რფრ-ს პრეზიდენტსა და მის მეუღლეს პირადმა ექიმმა წნევა გაუზომა, მაჯები გაუსინჯა. ბატონი V-ის ჯანმრთელობა ეჭვს არ იწვევდა, არც მისი მეუღლისა.

ოფიციანტებმა ბროლის მაღალყელიან თასებში ჩამოსხმული შამპანური ჩამოატარეს.

ქართული სუფრის მჭევრმეტყველება აქ უადგილო იქნებოდა და ბატონმა X-მა თასი თასს მსუბუქად მიუჭახუნა.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ბატონო პრეზიდენტო, საქართველოს ძირძველ მიწაზე!

— ბუდტე ზდოროვი! — უპასუხა სტუმარმა და მოსვა.

— აჰ, საქართველო ჩემი ოცნებაა! — განაცხადა სვეტლანა მოისეევნამ. — ადრე ჩვენ ხშირად ვისვენებდით საქართველოში. მამიკოს ლეონიდ ილიას ძე იწვევდა ბიჭვინთაში... ჩემს მეუღლეს მიუსერას აგარაკში...

— აჰ, მილოჩკა... — ფრთხილად შეაწყვეტინა ბატონმა V-მა უადგილოდ აჭიკჭიკებულ მეუღლეს.

— მეგობრებისათვის ჩვენი კარი ღიაა! — უხერხულობის გასაფანტავად ჩაურთო ქალბატონმა ნათელამ. ეს სიტყვები არაფერს ავალდებულებდა, მით უფრო, რომ ბიჭვინთასა და მიუსერას აგარაკები კარგა ხანია ინვალიდ ბავშვებს გადაეცა.

საუბარი ამაზე შეწყდა და ყველანი მანქანებისაკენ გაემართნენ. პრეზიდენტის ლიმუზინი ამჯერად თავახდილი იყო. ქალბატონები გვერდიგვერდ დასხდნენ. პრეზიდენტებმა კი საგანგებო სახელურს ჩასჭიდეს ხელი, ფეხზე მდგარნი უნდა მისალმებოდნენ ხალხს.

სხვებზე უწინ დაცვის მანქანა დაიძრა. მოშორებით პრეზიდენტის ლიმუზინი მიჰყვა. მის ირგვლივ განლაგდა სრულ საპარადო ფორმაში გამოწყობილ მოტოციკლისტთა ესკორტი. დანარჩენი მანქანები საპატიო მანძილზე ჩამორჩებოდნენ... ერთი მეორის მიყოლებით მოწყდნენ ადგილს და დიდი სისწრაფით ქალაქისაკენ გაემართნენ.

ხუთი წუთიც არ დასჭირვებიათ, რომ მიეღწიათ მესამე მასივამდე. აქედან მოყოლებული ტრასის ორთავე მხარეს ხალხი უფრო და უფრო მატულობდა.

პრეზიდენტები ხელებს უქნევდნენ თბილისელებს, პასუხად „ვაშას“ ძახილს ენაცვლებოდა ორი პრეზიდენტის სახელების სკანდირება.

კიდევ რამდენიმე წუთი და კორტეჟმა ისნის რაიონი გადაჭრა. აქ ხალხი საგრძნობლად მეტი იყო. უამრავ დროშას ტკაცუნი გაჰქონდა ჰაერში. ქუჩები აჭრელდა ტრანსპარანტებით.

ბარათაშვილის დაღმართზე რომ ეშვებოდნენ, მთაწმინდის მხრიდან მოისმა არტილერიის ზალპი და ქალაქის თავზე უზარმაზარ თაიგულად გადმოეკიდა მირიადი ფერადი შუშხუნა.

— ჩუდო-გოროდ! — შესძახა აღფრთოვანებულმა სვეტლანა მოისეევნამ.

კორტეჟმა ბარათაშვილის ხიდი გადაკვეთა. გაღმა-გამოღმა, ვერცხლისფრად მოცრიატე მტკვრის გასწვრივ, ფართოდ გაიშალა თბილის-ქალაქის მშვენიერი პანორამა.

აურაცხელ თბილისელს გაეჭედა სივრცე ხიდიდან თვით რუსთაველის პროსპექტამდე. ტევა არ იყო და პოლიციელთა გაძლიერებულ რაზმებს უჭირდა ზღვა ხალხის შეკავება, კორტეჟისათვის გზის გათავისუფლება.

მაქანებმა ჩაუარეს ორბელიანის მოედანს, წუთში აირბინეს აღმართი და მაშინ რფრ-ს პრეზიდენტმა მასპინძელს გადაულაპარაკა:

— მახსოვს, მახსოვს, აქ მოედანია და ზედ ლენინის ძეგლი დგას!

ბატონმა X-მა არადიპლომატიურად, ბავშვური სიანცით თვალი ჩაუკრა საპატიო სტუმარს.

— ცდებით, ბატონო პრეზიდენტო, აქ დავითის ძეგლია, აღმაშენებლისა!

მართლაც თავისუფლების მოედანზე, მაღალ კვარცხლბეკზე ბრინჯაოს დავითი იდგა, ცალ ხელში ეტრატი ეჭირა, მეორეში — გელათის ტაძრის მაკეტი...

ბატონმა V-მა წყენა არ დაიმჩნია...

* * *

რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის პირველი ოფიციალური მეგობრული ვიზიტი საქართველოს რესპუბლიკაში ისტორიის კუთვნილება გახდა. ეს სამი დღე საკმაოდ შინაარსიანი აღმოჩნდა. იყო, რა თქმა უნდა, მხიარული ბანკეტი, მიღება, სტუმარ-მასპინძლობის წესების დიპლომატიურ ეთიკეტთან შერწყმა, იყო მოლაპარაკება, შეთანხმებები, ხელშეკრულებანი... იყო ლამაზი გაცილებაც... ბოლო დღის ცერემონიალზე საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა სიურპრიზი მოუმზადა სტუმარს.

რფრ-ს პრეზიდენტს წარუდგინეს წითელარმიელი ივანე პენტიუხა.

— ვინ არის ეს ყმაწვილი? — იკითხა სტუმარმა.

— ეს გახლავთ წითელი არმიის უკანასკნელი ჯარისკაცი საქართველოს მიწა-წყალზე! — ღიმილით აუხსნა მასპინძელმა. — იმედია, ბატონო პრეზიდენტო, მამობრივ მზრუნველობას გამოიჩენთ და დაეხმარებით ამ ყოჩაღ ჯარისკაცს, რათა მშვიდობიანად ჩააღწიოს თავის პატარა სოფელში, რომელსაც თურმე ტიხიე ბალოტა ჰქვია!..

გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“,
9 ნოემბერი, 1990.

ღორის ტიხი

მწერალ ბოკერიას გამზრდელმა ბიცოლამ სთხოვა, შენ იცი და შენმა კაცობამ, მამით ობლის პატივისცემას უფალი დაგიფასებს, ნამეტანი წიგნის მოყვარული ბავშვია ჩემი დის შვილიშვილი, იქნებ ხელი წაჰკრა და დიდკაცობისაკენ გზა გაუხსნაო. მწერალ ბოკერიას იმ დროს მთლად მწერალი არ ეთქმოდა. იჯდა თავის პატარა, ჩაღამებულ ქოხში, მაღალი სახლების ჩრდილში რომ მოცუცქნულიყო, ყაირათიანად იზოგავდა მცირე ხელფასს და უკაკუნებდა ჯაბახანა საბეჭდ მანქანაზე, თუმცა ჯერჯერობით ვერაფერი გამოექვეყნებინა და ლიტერატურულმა საზოგადოებამ არაფერი იცოდა მისი მწერლობის თაობაზე. პროვინციულმა ნათესაობამ კი, რაკი ქაღალდზე აღამ-ათენებდა და შიმშილისაგან კუჭი უხმებოდა, მწერლად მონათლა და ეგონათ, ამან თუ მოინდომა, ინსტიტუტში კუნძსაც კი შეაგდებსო...

ბოკერიას მარტოობა სტანჯავდა უკვე, იმ ასაკისათვის მიეღწია, როცა ადამიანს მოზარდზე ზრუნვა მოეთხოვება, მასში გაიღვიძა ქაღალდის ჩრჩილით შელახულმა მამობრივმა გრძნობამ და თვრამეტი წლის აბიტურიენტს თავისი ქოხის კარი გაუღო.

ყმაწვილს რომ შეხედა, ბოკერიას გულმა რეჩხი უყო. ამას ვერასოდეს შევიყვარებო, უსიამოვნოდ გაიფიქრა, მაგრამ სიტყვას უკან ვერ წაიღებდა და ვიწრო ოთახის კუთხეში გასაშლელი საწოლი დაადგმევინა... ყმაწვილს წინ წაწვეტებული ცხვირ-პირი ტურას ამსგავსებდა, გაურკვეველი ფერის თვალებით მაამებლურად იყურებოდა, ადრეული მელოტის ნიშნები დასტყობოდა, რაც ვიწრო შუბლს თითქოსდა სიმაღლეს ჰმატებდა. „ტურიკელა!“ — წუთში მონათლა ბოკერიამ და ამიერიდან ფიქრში სულ ასე ეძახდა, თუმცა ხმამაღლა არასოდეს წამოსცდენია. წუთიერი ზიზღი მოითოკა და შეეცადა სიბრალულის მიმქრალი გრძნობა გაეღვივებინა... იცოდა, ყმაწვილს მძიმე და უსიხარულო ბავშვობა ერგო. ურჯუკსა და ლოთბაზარა მამას ცოლ-შვილი დაწიოკებული ჰყავდა, რასაც ბიჭის სულში ღრმა ნაჭრილობევი დაეტოვებინა. ადრე დაქვრივებული დედა ჩაის კრეფით არჩენდა შვილს (ამბობდნენ, თან ფაქიზად წაიბოზებდაო, თუმცა ბოკერიას ამ ჭორებისა არა

სჯეროდა!). ჩაის კრეფა, ალბათ, ზომიერად სარფიანი იყო, რადგან ქვრივის შვილი მუდამ მოდაზე იცვამდა, ოღონდ ეს უქმი ხარჯი ვერ აფერადებდა მისი იერის უფერულობას.

ასე იყო თუ ისე, ორი მამაკაცი ერთ ჭერქვეშ მოთავსდა, მათი ურთიერთობა ოსტატისა და შეგირდისას დაემგვანა და დღის განაწესიც შესაბამისი შედგა. დილის ჩაის შემდეგ ბოკერია სამსახურში გარბოდა, ტურიკელა კი კოხტავდებოდა და წიგნს კითხულობდა. ცოდნა ადამიანს აკეთილშობილებსო, ფიქრობდა ბოკერია. დარწმუნებული იყო, რომ წიგნიერი ადამიანი თავისთავად შეიყვარებდა ქრისტეს მცნებებს და ცხოვრების კანონად გაიხდიდა მათ. ცოდნის მეშვეობით, რბილი თიხისაგან თანდათან ღირსეული პიროვნება გამოიძერწებოდა. ამიტომაც ბოკერია ცდილობდა გეგმაზომიერად ეზილა სველი თიხა და შეგირდი წუთითაც უყურადღებოდ არ მიეტოვებინა. შესვენებაზე აუცილებლად შინ შეირბენდა და ინსტიტუტის სასადილოში წაიყვანდა. სადილი აქ იაფი ჯდებოდა, თან „ბოკერიას ბიჭს“ ინსტიტუტელი ნაცნობ-მეგობრები ეცნობოდნენ, უშინაურდებოდნენ... სადილად მუდამ ერთი და იგივე ჰქონდათ, პირველი, მეორე და ბოლოკი. ბოლოკი ერქვა, თორემ თეფშზე ჭიით დაჭმულ ფოთლებს შორის წითლად ღვიოდა ორი-სამი პაწაწკინტელა ბოლქვი და ბოკერიას ერთხელაც არ უხლია ხელი, თავისთვის არ ემეტებოდა. შეგირდმა ეს თვეების შემდეგ შეამჩნია და გაკვირვებით ჰკითხა: „რატომ არ გიყვარს ბოლოკი?“ ბოკერიამ მხოლოდ გაუღიმა, არაფერი უთქვამს... სადილის შემდეგ იგი კვლავ სამსახურში მიიჩქაროდა ხოლმე. საღამოობით ოსტატი და შეგირდი ერთად დასეირნობდნენ თბილისის ქუჩებში, ხან კინოში შეივლიდნენ, ხან თეატრში, ნათესავებსა და მეგობრებს ესტუმრებოდნენ და ბოკერია ცდილობდა ცხოვრებისა და ლიტერატურის ავანჩავანში გაერკვია თავისი ახალგაზრდა შეგირდი, მაგრამ მისი მცდელობა, ყმაწვილისათვის ეჩვენებინა სიკეთის უპირატესობა, აწყდებოდა გაუგებრობის ყრუ კედელს, რადგან ტურიკელას სულს შავი სიძულვილი ხრავდა... მას სძულდა ყველა ახლობელი, დედის მხრიდანაც და მამის მხრიდანაც. ისინი სათითაოდ დამნაშავენი იყვნენ მის წინაშე, რადგან არსებობდნენ და მასზე უკეთ ცხოვრობდნენ. სძულდა საბავშვო ბაღის ამხანაგები, შემდგომ თანაკლასელები, რადგან იმათ მამიკოები არ სცემდნენ, დედიკოები ეფერებოდნენ, აცმევდნენ და კამფეტებს აჭმევდნენ... „მამიკოს შვილები!“ „ფულიანები!“ — იტყოდა ბოღმით და ცხადი ხდებოდა, თვითონ ისეთი რამ უნდა მოემოქმედა, ყველა დაეჯაბნა, ტრაქტორივით გადაევლო, უმაღლეს მწვერვალზე საკუთარი დროშა აეფრიალებინა... ერთადერთი ადამიანი, ვისაც ტურიკელა ეთაყვანებოდა და მონად უდგებოდა, ბოკერია იყო (რა თქმა უნდა, საკუთარი დედის შემდეგ, ვინაც ამ დროს ფაქიზად ჩაის კრეფდა!). ჩვენს გაუხარელ მწერალს აშინებდა ეს უსაზღვრო სიძულვილი და ეს ნეკათითისოდენა, არამყარი სიყვარულიც... მათი საუბარი ხშირად კინკლავსა და სიტყვიერ ჩხუბში გადაიზრდებოდა. უფრო სწორად, ბოკერიას აეწეწებოდა ნერვები, ცდილობდა შეგირდის ტვინში საყოველთაო, ყველასათვის იოლად გასაგები ჭეშმარიტებები ჩაეჭედა, ტურიკელა კი სდუმდა, ნაცემივით შემოჰყურებდა, ხანდახან ჩაიწუწუნებდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ მისი თავის ჯავშანში ნაცრისფერის ნაცვლად შავი მასა შედედებულიყო და არა ესმოდა რა შესახებ ყვავილეთისა და სიკეთის არსებობისა, იქ მხოლოდ შხამი და ბალღამი დუღდა... ბოკერია ცდას არ აკლებდა, სწამდა, რომ საბოლოოდ გაიმარჯვებდა და შეგირდს გზას გაუხსნიდა სინათლისაკენ.

ასე ჩაიარა წელიწადმა და ინსტიტუტის გამოცდების დრომაც მოაღწია. ბოკერიას თითის განძრევა არ დასჭირვებია, კომისიებში სულ მისი თანაკურსელები და ახლანდელი თანამშრომლები ისხდნენ და „ბოკერიას ბიჭს“ სიცილ-სიცილ, ანგლობით უწერდნენ ნიშნებს... ლურჯ ცაზე ღრუბელი არსად ჩანდა, მაგრამ ტურიკელამ წაიბორძიკა. უცხო ენათა კომისიას არაფერი სმენოდა მწერალ ბოკერიას არსებობაზე, ტურიკელას მხდალი თვალები და ვიწრო შუბლი არ ეჭაშნიკათ და ორიანი ტყიპეს...

დამცირებული, ბოღმით გასიებული ტურიკელა კომისარიატში გამოიძახეს და წითელ ჯარში უკრეს თავი. ბოკერიას სახეზე წყენა აღებეჭდა, გულის სიღრმეში კი შვება იგრძნო. თავი ვალმოხდილად ჩათვალა და საკუთარ საქმეებს მიუბრუნდა...

* * *

ზღაპრის გმირიც ვერ გადაივლის ერთ დღეში ცხრა მთას, მაგრამ მთხრობელი დროსა და ნერვებს იზოგავს და მოკლედ ამიტომ იტყვის — „იარა, იარა, ცხრა მთა გადაიარაო“... ყველაფერი იცვლება და მწერალ ბოკერიას ცხოვრებაც შეიცვალა. ლიტერატურული ვნებანი დაუფასდა, ჟურნალ-გაზეთებისაკენ გზა გაეხსნა და მწერლურ საძმოში ჩაეწერა. ამასობაში დაცოლშვილდა კიდეც, რამაც მის ყოფას მეტი სიმყარე შესძინა, თუმცა ჰონორარებით ვინღა აშენებულა, ბოკერია რომ გალაღებულიყო... ჩვენი ტურიკელაც მთლად არ გადაკარგულა თვალსაწიერიდან. „ჯარი ახალგაზრდას ავაჟკაცებს! — ასე სჯიდა ბოკერია. — ჩემი ტურიკელაც სულ სხვა კაცი დამიბრუნდება!“ ოღონდაც, იმედი გაუცრუვდა. ისევ ის ტურიკელა დაუბრუნდა. თითქოს სამხედრო წვრთნას მასზე არც ემოქმედა. მეტიც, სხვა, ადრინდელ სიძულვილებს ჯარის ამხანაგების სიძულვილიც დაემატა და ბოკერია არ ჩასძიებია ჯარგამოვლილ ჭაბუკს, რომელიც წინანდელზე მეტი გატაცებითა და ფრფინვით შეჰყურებდა და მწერლის პატივმოყვარე გულს ასეთი ერთგულება მალამოდ დაედო... „წინ სტუდენტობა ელოდება, ამხანაგობაში გაერევა, დამეგობრდებიან და ხასიათიც გამოუსწორდება!“ — ფიქრობდა ოპტიმისტი მწერალი. ბოლოს და ბოლოს, ცომს მეტი ზელა უხდება, თუ გინდა, რომ კარგი მჭადი გამოცხვეს; თიხასაც ხელში მეტ ხანს ათამაშებენ, ქოთანს რომ წყალი არ გასდინდეს... ჩაიარა სტუდენტობის წლებმა. ტურიკელამ წარმატებებს მიაღწია: ჩაწერა გააიმასქნა (მგონი, ხუთასი მან. კმაროდა!), პარტიაშიც შევიდა (მგონი, ორიათას ხუთასი ღირდა!), კომკავშირული სამსახური იშოვა (ბოკერიამ ამისი ნიხრი არ იცოდა!)... დიპლომი რომ გაიკრა, ბოკერიასთან გამოსამშვიდობებლად მოვიდა. „ალბათ, გული დაგწყდება, მეგობრებს რომ შორდები?!“ — გამომცდელად შეეკითხა მეტრი. „ჰმ, ვისზე უნდა მწყდებოდეს? მამიკოს შვილები, ფულიანები!“ — ბოღმით ჩაისისინა ტურიკელამ და მწერალმა ბოკერიამ ამოიოხრა, მისმა აღმზრდელობითმა მეთოდმა ჯერ-

ჯერობით ვერ გაამართლა, ოსტატის ნერვებს კი დაღლილობისა და გაღიზიანების ნიშნები დაეტყო... „ცხოვრება წინ არის!“ — ყოყმანით გაიფიქრა მწერალმა ბოკერიამ...

* * *

რა თქმა უნდა, ცხოვრება მართლაც წინ იყო! მწერალთა საძმომ ქალაქ ჭალაღელეში დიპლომატიური მისია წარგზავნა და ხელმძღვანელად ამ ქალაქის მკვიდრი მწერალი ბოკერია დანიშნა. ბოკერიას საფეთქლები უკვე შევერცხლოდა, არაერთი სქელტანიანი წიგნი გამოეცა, რომლებშიც უმთავრესად სიკეთე იმარჯვებდა ბოროტებაზე, და მკითხველთა და კოლეგათა ზომიერი კეთილგანწყობა დაემსახურებინა. ამიტომაც დიდი პატივით მიიღეს ქალაქ ჭალაღელეში, შუბლი დაფნის გვირგვინით შეუმკეს და შესაფერისი რეზიდენცია გამოუყვეს. მიიხედ-მოიხედა ბოკერიამ და დამხვდურთა შორის ყოფილი შეგირდი შეამჩნია. ტურიკელა თავისი კეთილი ბუნების წყალობით უკვე არაერთი სამსახურიდან გამოეპანღურებინათ და უსაქმოდ იყო. ოსტატმა თავი დამნაშავედ იგრძნო, გაახსენდა, რომ აღზრდის პროცესი ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ მიიყვანა. შეგირდს თუმცა აქამდე არც ნამგალი აუღია ხელთ, არც ურო, არც კალამი, მაგრამ კალმოსნობის ხურვება სიფათზე ეწერა. „აი, წამალი, — გაიფიქრა ბოკერიამ, — ამ საცოდავს პატივმოყვარეობის ჭია ხრავს. მცირე წარმატებაც გულს გამოუკეთებს და სიძულვილისაგან განკურნავს!“ დიდხანს არ უყოყმანია, სამსახურში გაამწესა და მეტად პრესტიჟული საქმე — დამწყებ პოეტთა და პროზაიკოსთა წრთვნა დაავალა...

ოჰო! ტურიკელამ ახალი პიჯაკი ისე მოირგო, თითქოს მასში დაბადებულაო. თავი მაღლა ასწია, მხრებში გაიშალა, მკერდი გამოებურცა, თავის გამპანღურებლებს ნიშნი მოუგო. ერთი სიტყვაც არასოდეს დაეწერა, მაგრამ წამდაუწუმ, ოლიმპის მცხოვრების კილოთი იმეორებდა: „ჩვენ, მწერლები!..“ ბოკერიას რიდიღა შერჩენოდა, მისი მზერის ქვეშ თითქოს ილეოდა, იცრიცებოდა. პირველ კაცად არა, მაგრამ ჭალაღელეში მეორე

კაცად მაინც მოჰქონდა თავი. პირველი კაცი, მისი აზრით, ბოკერია იყო. ხოლო ქალაქის მასშტაბის პარტიულ და სახელმწიფო ნომენკლატურას, ხელმძღვანელ მუშაკებს, კულტურის მოღვაწეებს და ა.შ. იერარქიის ქვედა საფეხურებზე ამწკრივებდა. ადამიანთა დანარჩენ ჯილაგს კი მთლად ჭიაღუად თვლიდა... შეგირდის ეს ახირება ბოკერიას კიდეც აცინებდა და კიდეც აღიზიანებდა, რადგანაც მოწაფის უტაქტობა ოსტატსაც ჩირქსა სცხებდა. ოღონდაც, ტურიკელა ისეთ ერთგულებას ამჟღავნებდა, ვერა და ვერ შეელია... სულ თვალებში შესცინებდა, ლანდად ასდევნებოდა, „ბოკერიას ადიუტანტიო!“ — ხუმრობდნენ ქალაქში, თუმცა აკვირვებდათ ამ ორი შეუთავსებელი ადამიანის უცნაური ტანდემი.

ბოკერია ცდილობდა, აღვირი ამოედო ტურიკელას ქედმაღლობისათვის, ეგონა, ვახერხებ კიდეც ამასო. „ჩვენ, მწერლებიო, რომ იძახი, დაწერე რამე!“ — ხშირად ეუბნებოდა. შეგირდი თითქოს უჯერებდა, შუბლზე ოფლს მოიდენდა, სამი-ოთხი თვე წვალობდა და ორ-სამ გვერდიან წერილს გამოაცხობდა, რომლებშიც სულეთს გამგზავრებულ წინაპართა ბანალურ სიბრძნეებს თავისად ასაღებდა და თანამედროვე ტერმინოლოგიით ისე შეაზავებდა, მკითხველს აბნევდა. ბოკერიას ამ წერილების კითხვისას სიფათი უმჟავდებოდა, მაგრამ ცდილობდა მოწაფე წაეხალისებინა და პარმაღებს უტალახებდა თავის ნაცნობ ჟურნალ-გაზეთების რედაქტორებს. ისინიც, ბოკერიას ხათრით, ხანდახან ბეჭდავდნენ კიდეც... მაგრამ ის, რაც, ბოკერიას აზრით, სამკურნალო წამალი უნდა ყოფილიყო, მისი შეგირდის სულში სულ სხვა ნაყოფს ამწიფებდა. ტურიკელას ამბიციურობა ყოველი სტრიქონის დაბეჭდვით იზრდებოდა და მალე ქალაქში ისე დააბიჯებდა, თითქოს საფრანგეთის აკადემიაში აერჩიოთ, ანდა ნობელზე წარედგინოს ვინმეს, ან თვითონ სპილო ყოფილიყოს, დანარჩენი თანამოქალაქენი კი ცეროდენების ლაშქარი...

ამასობაში მოაწია არეულობის ჟამმა...

* * *

მძიმე დღეები დაუდგა ჭალაღელეს. მიტინგებმა წალეკეს ქუჩები და მოედნები. მწერალი ბოკერია ნაღვლიანი დადიოდა. მის შემრიგებლურ სიტყვებს ყურს არავინ უგდებდა, რაკი შერიგება არავის ეწადა. ტურიკელამ გააასკეცა ყურადღება. ლეკვივით კუდში დასდევდა თავის „შეფს“, იცავდა არსებული და არარსებული საფრთხეებისაგან... მოჰქონდა ცინცხალი ჭორები, დღეს მიტინგზე გაგლანძღეს, „მოღალატე“ გიწოდესო. ურჩევდა, ხალხში ნუ გამოჩნდები, რაიმე პროვოკაციას არ გადაგაწყდეო, ხანდახან ფრთხილად ჩაურთავდა: „შეფ, იქნებ ვინმემ ენა მოგიტანოს, ვითომ შენს აუგს ვიძახდე, არ დაიჯერო, მე ისე, ხანდახან... თორემ მეც გადამთელავენ...“ ამას რომ ამბობდა, უფერული თვალები აცაბაცა გაურბოდა და ბოკერია კარგადაც ხედავდა, ტურიკელას სულში რა ცეცხლიც ტრიალებდა. ბოკერიას თავისი ზნეობრივი სიმართლისა სწამდა და შეგირდის გაორგულებას ფილოსოფიური სიმშვიდით ხვდებოდა. „დროა ასეთი, — ფიქრობდა თავისთვის, — ადამიანები სიძულვილით დაავადნენ!“ ამიტომაც შემოეფანტნენ ნაცნობ-მეგობრები, თანამშრომლები და იძულებული ხდებოდა ტურიკელას დაყრდნობოდა... ტურიკელას კი მოხრაკულის სუნი სცემდა, იერარქიის საფეხურები ეზმანებოდა. „შეფის“ სტატუსს იგი ვერ შეჰბედავდა, დანარჩენ საფეხურებზე კი ბოკერიას ისედაც აჰყავდა... დედაქალაქში დაბრუნებისთანავე, მწერალთა საძმო შეაწრიალა, შეგირდის ნამცეცა ღირსებები ცამდე ასწია და იმდენი მოახერხა, სასწაული მოახდინა, საძმოს წევრებმა მისი ხათრით საკუთარ წესდებას თვალი დაუხუჭეს და ტურიკელას საძმოს წევრობის ბილეთი მიართვეს... მადლიერი შეგირდი ტყავიდან ძვრებოდა, ხშირად ურეკავდა ჭალაღელიდან, იქაურ ამბებს ჩამოუკაკლავდა. მისი ნაამბობი დასმენას უფრო ჰგავდა, რადგან ბოკერიას გულის მოსაგებად მეგობრებსა და თანამშრომლებს უბეზღებდა, ოღონდაც ჭაღარა მწერალი გუმანით ხვდებოდა, რა თამაშიც თამაშდებოდა, და ამ დასმენებს ყურს არ უგდებდა, თუმცა ცნობისმოყვარეობას შეეპყრო, აინტერესებდა, რამდენად შორს შეტოპავდა მისი მოწაფე...

დაბადების დღეზე ჩამოაკითხა თავის მფარველს ტურიკელამ. ლამაზად შეფუთნული ფერწერული ტილო მოართვა — „იმერული პეიზაჟი“. ალბათ, ხელფასი ამას ვერ შეწვდებოდა. ბოკერია შეწუხდა, არ იყო ჩვეული ასეთ საჩუქრებს, მაგრამ უკან გატნევა ომის გამოცხადებას ნიშნავდა და მადლობა უთხრა... კაბინეტში განმარტოვდნენ და მაშინ შეგირდმა ხვეწნით შეაპარა: რამდენი ხანია შენი მოადგილე ვარ, ბრძანებას კი არა და არა წერ, ალბათ ამიტომაა, არავინ არაფრად მაგდებს, არავინ მაფასებს... მწერალ ბოკერიას გული კარნახობდა, შეჩერდი, ეყოფა, რა სიკეთეც ამისთვის გიქნია, ხვალ ხელსა გკრავს და უფსკრულში გადაგჩეხავსო... ერთხელ კიდევ მოერია ბოკერია თავის თავს, გულისთქმა ჩაიხშო და ბრძანების ტექსტი ჩამოაწიკწიკა. ბოლო წუთს კალამი ასწია, შეგირდს გაუღიმა და წინასწარმეტყველურად უთხრა: „ერთმან თქვენგანმან მიმცეს მე!“ ტურიკელას პირზე სისხლმა მოასხა, აცმუკდა, ნათქვამი ფამილარულ შეხუმრებაში გადაუგდო: „მე მეუბნები მაგას?.. მე შენ გიღალატებ?..“

ბოკერიამ ბრძანებას ხელი მოაწერა...

* * *

ბოლო თვეები მწერალი ბოკერია შეუძლოდ გახლდათ, წნევა დაუჩემდა, თავის ტკივილები აწუხებდა, ღამ-ღამობით ვეღარ იძინებდა. ზამთრის ცივი ღამეები, უსახსრობა, შიმშილი, — ოჯახს ძლივს არჩენდა და საფიქრალი მოეძალა... მისი იმედები და ოპტიმიზმი აფხაზეთის ომში ჩაიბუგა. ძალა არ ყოფნიდა ძველებურად ევლო ჭალაღელეში, ხელფასი ხომ ავტობუსსაც ვეღარ გაწვდებოდა. თანდათან გუნებაში უყალიბდებოდა აზრი, გადავდგები და თუ რამ ღონე დამრჩენია, სჯობს ოჯახსა და საწერ მაგიდას შევალიოო.

ერთი ღამის სავალ გზას ორი ღამე დასჭირდა ჭალაღელემდე. ჭუჭყიან ვაგონში მოკუნტული ბოკერია ფიქრში ისევ და ისევ იმას წონიდა, როგორ მოევლო თავისი აწეწილი, უიმედო საქმეებისათვის, ჭოჭმანობდა, ჩემი ადგილი ტურიკელას თუ დავუთმე, ამით საქმე წახდება თუ ბოლოს და ბოლოს ტურიკელა სძლევს თავის თავს, დაიკმაყოფილებს პატივმოყვარეობას

და სიკეთისკენ შემობრუნდებაო.

დაღლილი, გამოუძინებელი მივიდა სამსახურში. ჯერ კიდევ ადრე იყო, თანამშრომლები აგვიანებდნენ. ბოკერია მაგიდას მიუჯდა და ჩაფიქრდა. განცხადების ტექსტი თითქმის მოაზრებული ჰქონდა, მაგრამ ალბათ აჩქარებაც არ ივარგებდა. სამსახურის სუფთა ბლანკი მოიძია და ვერ იპოვა. მოადგილის კარადიდან სქელტანიანი საქაღალდე გადმოიღო. ახსოვდა, რომ ტურიკელა ამ საქაღალდეში სუფთა ბლანკებს ინახავდა.

ჩახედა ბოკერიამ და თვალი აუჭრელდა, გული აუჩქარდა. ჯიბიდან ვალიდოლი ამოიღო და მოწუწნა. „ნაბიჭვარი!“ — შეუკურთხა ხმადაბლა. დიახ, მთელი ოცწლიანი მცდელობა წყალში გადაეყარა, მისმა აღმზრდელობითმა ექსპერიმენტმა სრული ფიასკო განიცადა.

თითქოს ელოდა კიდეც მსგავს რამეს, მაგრამ ბოლომდე არა სჯეროდა. ახლა კი ვალიდოლს წუწნიდა და კითხულობდა ლამაზი კალიგრაფიით დაწერილ ტექსტებს, შინაარსზე მეტად მისი მასშტაბები და მრავალფეროვნება აოცებდა... ხანგრძლივობა დროისა, რადგან ეს ნაღვაწი, ალბათ, მრავალი წელი გროვდებოდა.

ტურიკელას საოცარ წესრიგში მოეყვანა თავისი ერთადერთი ნამდვილი წიგნი, ერთადერთი ნაწარმოები, რომელიც დიდი რუდუნებითა და მონდომებით შეექმნა — ეს იყო კრებული განცხადებებისა და საჩივრებისა, „დონოსების“ კლასიკური ნორმებით შედგენილი... სკრუპულეზურად აღრიცხული და დანომრილი, ადრესატების მიხედვით დალაგებული, ჭალაღელის გამგეობიდან გაერომდე... ხან გულისამაჩუყებელი ლირიკა, ხან ცრემლიანი ჩივილი, მხატვრულად შელამაზებული ცილისწამებანი... კითხულობდა მწერალი ბოკერია და ამ ავადმყოფურ ნაბოდვარში საკუთარი თავი ვერ ამოეცნო... თურმე იგი ტირანი და კაცთმოძულე ყოფილა, გზის ყაჩაღი და მძარცველი, დონ ჟუანი და კაზანოვა, თურმე განუდგა ქრისტეს რჯულს და ერთბაშად მაჰმადის მიმდევარიც გამხდარა და იუდეველიც, თურმე აღმოსავლეთში შევარდნაძისტია, დასავლეთში — ზვიადისტი, თურმე რაც დაუწერია, მის დაწერილს არა ჰგავს და თუ მართლაც მისია, ამით ყოყოჩობს და სპეკულიანტობს, თურ-

მე „დიდი კაცი პატარა კაცის როლს თამაშობს“, ვითომ კეთილ, თბილ ადამიანად წარმოგვესახება, თორემ გულში ბნელი ზრახვები აქვს და სამშობლოს ერთ მუჭა ვერცხლად გაყიდის...

კითხულობდა ამაებს ბოკერია და ვერ მიმხვდარიყო, გასცინებოდა თუ ეტირა. გრძნობდა, რომ ბინძურ ჭაობში ეფლობოდა, ტალახში იგანგლებოდა და, რაც ყველაზე შეურაცხმყოფელი იყო, ეს ტალახი საჯაროდ უნდა ჩამოერეცხა.

ზიზღით გასწია საქაღალდე... „როგორ უნდა შემომხედოს!“ — ფიქრი აეკვიატა, იმის მაგივრად თვითონ რცხვენოდა.

„შეფ!“ — ტურიკელას წაწვეტებული ცხვირ-პირი დაბარებულივით დაეხატა.

„ღორის ტილი!“ — დააგდო ბოკერიამ და წავიდა...

გული ცუდად უხდებოდა, მუხლებში ძალა ელეოდა.

ზურგიდან კი ტურიკელას გამყინავი კივილი წამოეწია:

„გაგასაღებ, იცოდე!.. შენი ყოყოჩობით გვარცხვენ ჩვენ, მწერლებს! მეც კი დავწერ შენისთანა წიგნებს! ზევიდან რომ მიყურებ, იმიტომ გაგიკეთე ეგრე!..“

თითქოს ტალახის გუნდები ხვდებოდა ბოკერიას და სული ეხუთებოდა, მიიჩქაროდა, რათა სადმე ანკარა წყალი ეპოვა და დროზე ჩამოერეცხა ჭუჭყი და ზილფი...

* * *

მეგობარი გაეხუმრა:

„აკაკის „გამზრდელი“ ხომ წაგიკითხავს? თუ გინდა, პისტოლეტს გათხოვებ!“

ბოკერიამ ამოიოხრა:

„ოცი წლის წინ თიხა ავიღე, ვიფიქრე, მოვზელ, ქოთანს გავაკეთებ, ლობიოს მოსახარშად მაინც გამოდგება-მეთქი. ოცი წლის წვალების შემდეგ ძლივს მივხვდი, თიხა კი არა, ფუნა ამიღია, აბა, რა ქოთანი გამომივიდოდა!“

თქვა რუქამ არაკი: მავანს განგებამ ბუზისტოლა ნიჭი უბოძა, იმან სპილოსხელა ამპარტავნობა აიკიდა, ნაყოფად კი შხამი და ბალღამი მოისხა.

გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“,
7 ოქტომბერი, 1994.

მოყმე ქაღაქში

იქნებ არ დამიჯეროთ, მაგრამ უცხო მოყმე ჩემი თვალით ვიხილე 9 აპრილის ბაღში, ამერიკის საელჩოს წინ, სადაც ჯიგარი ბოლშევიკების პატივსაცემად კედელია აყუდებული და წყლის კასკადი მუდამ ამომშრალია. მუდამ-მეთქი, თუმცა ზოგჯერ, როცა მერია მოისურვილებს, ზედა ბაღში შადრევანს ჩართავენ, ქვედას კასკადი წყლით აივსება და მსუბუქი ლუკლუკით მიედინება. ეტყობა, ასეთი დღე იყო სწორედ, მავანმა თადარიგი დაიჭირა და წყალი მიუშვა...

დილის თერთმეტი იქნებოდა, ქაშუეთიდან ბილიკი მოკლეზე გადავჭერი. ირგვლივ ვერაფერს ვამჩნევდი, რადგან, როგორც ბოლო დროს დამჩემდა, ღრმად ჩავიძირე ფიქრთა შინა პური არსობისას თემაზე, რაიც დღეს ყოველი ჭეშმარიტი ქართველის საფიქრალია. მოულოდნელად ჩოჩქოლმა გამომაფხიზლა. ვხედავ, ლუდის რესტორან „ყაზბეგსა“ და კასკადს შორის ბრბო წრედ შეყრილა, რაღაცას მისჩერებია, ჩვენი მედიის ყოჩაღი წარმომადგენლები კი აქეთ-იქით დარბიან თავიანთი მიკროფონებითა და აუდიოვიდეო აპარატებით. ვიფიქრე, ერთი რიგითი საპროტესტო აქციაა და საცაა რომელიმე პარტიული დემაგოგი მეგაფონში ჩასჭექს-მეთქი. ყელში ამომივიდა ეს უშედეგო მიტინგური ბაკჰანალია, რომელთა მეშვეობითაც მავანნი (პატიოსნად დაკომპლექსებულნი ან, კიდევ უარესი, პოლიტიკური „პროსტიტუტკები“) ცდილობენ ზედაპირზე ისე იტივტივონ, როგორც ნეხვმა წყალზე და გადავწყვიტე, გვერდი ამევლო, მაგრამ ცნობილ ჟურნალისტსა და სიმართლის ქომაგს კაკოს შევეჩეხე, მეგობრულად კაკულიჩას რომ ვეძახით... ცხვირი სენსაციაზე დაგეშილი ძაღლივით უთრთოდა, მელოტით მზის სხივს ირეკლავდა და ლაპლაპი გაჰქონდა. კალთაზე ხელი მტაცა კაკულიჩამ, მიკროფონი პირში ჩამჩარა და შეკითხვები მომაყარა, რას ფიქრობთო, რა აზრისა ხართო, რას უნდა ნიშნავდესო და ამდაგვარები. მე, რა თქმა უნდა, ჯერჯერობით არაფერსაც არ ვფიქრობდი, აზრზეც არ ვიყავი და არც ვიცო-

დი, რას ნიშნავდა ყოველივე ეს, მაგრამ წეღანდელი ჩემი ნაფიქრალი გამახსენდა და მსმენელს უმალ გავუზიარე: მიტინგებით საქმე არ გაკეთდება, „ამათ“ ე.ი. მთავრობას, ერთი კარგი მათრახი მოუხდება-მეთქი.

მათრახიც აგერაა, მიმახედა კაკულიჩამ და უცხო მოყმე მაშინ დავინახე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა... დიახ, ქვაზე ჩამომჯდარი დევგმირი მუხლს იდაყვით ეყრდნობოდა და მჯიღი ნიკაპქვეშ ამოედო. ტანზე ვეფხის ტყავი ემოსა, ქუდიც ვეფხის ტყავისა ეხურა. ხელთ ნაჭედი მათრახი ეპყრა, მკლავის სიმსხო იქნებოდა (ჩემს მკლავებზე დავიხედე!). იქვე შავი ცხენი იდგა, ლაგამ-აღვირ-უნაგირზე თვალ-მარგალიტი უხვად ეყარა. ფლოქვს ფილაქანს სცემდა და დრუნჩს პატრონის ზურგს უხახუნებდა, თუმცა პატრონი ამქვეყნიურს გარიდებოდა, წყალს ჩაჰყურებდა, თვალთაგან ცრემლი წკაპა-წკუპით სცვიოდა...

პირი დავაღე... აქ რა უნდოდა? საიდან ჩამოეხეტა? რისთვის? (ისიც ვიფიქრე, ალბათ, გადაღებაა და ეს გრიმიანი კახი კავსაძეა-მეთქი!).

კაკულიჩასაც მსგავსი ეჭვები აწუხებს, ცდილობს მიუჩოჩდეს, კითხვები დააყაროს, მაგრამ ცხენი ავად ფრუტუნებს და მამაცი ტელეჟურნალისტი უკან იხევს.

ბრბო თანდათან მატულობს, ბევრდება, ხმამაღლა ყაყანებს... ვიღაცამ დროშა ააფრიალა, სხვებმა სახელდახელო პლაკატები გამოაჩინეს — „მოგვეცით პენსია!“ „ვინ შეჭამა ჩვენი 12 ლარი!“ „გმირთაგმირო, გვიშველე!“

ამას უკვე პოლიტიკური პროვოკაციის სუნი ასდინდა, რადგან ყველამ იცის, ჩვენს სახელმწიფოს ხაზინაში 12 ლარი არა აქვს.

მშრალი ხიდის მხრიდან მუხრუჭების ხმა გაისმა. ბაღის კიდესთან „მერსედესი“ და რამდენიმე მიკროავტობუსი გაჩერდა.

მერსედესიდან ტელეეკრანებით ცნობილი, ფორმით ბებერი, შინაარსით ახალგაზრდა (ან პირუკუ) ჭაღაროსანი (რათქმა უნდა, მღებრიშვილი) გადმოვიდა, მიკროავტობუსებიდან კი სულ დარჩეული, ტალიკ-ტალიკი სპეცნაზელები ჩამოცვივდნენ, მწკრივში გაიშალნენ და წამოვიდნენ, თან ხელკეტები გასაგებად აათამაშეს. ამათ, ცხადია, წინ ჭაღაროსანი წამოუძღვა, თან მამაშვილურად გვმოძღვრავდა:

— რა გინდათ აქ? წადით სახლებში! ოჯახები არა გაქვთ? შვილები არ გეცოდებათ? მაინცდამაინც უნდა მეცემინოთ, მერე კი ქვეყანას მოსდოთ, გვცემაო?

გულუბრყვილონი ამ დარიგებას ყურს არ უგდებდნენ, მრავალგზის ნაცემნი, მათ შორის კაკულიჩაც, ფრთხილობდნენ.

აგერ ტარიელამდე მიაღწია ჭაღაროსანმა. კინაღამ დავწერე, თავს წამოადგა-მეთქი. თავს როგორღა წამოადგებოდა, როცა დამჯდარი ტარიაც უფრო მაღალი და წარმოსადეგი ჩანდა.

— მოქალაქევ! მიტინგის ნებართვა გაქვს? სანქცია მოგცეს? რატომ მაიძულებ, გენაცვალე, რომ დაგაპატიმრო, ჰა? წადი, ძამია, შინ და ეგ ცხენიც თავლაში დააბი!

როდის-როდის გამოფხიზლდა ტარიელი, თავი ასწია, ამოიოხრა — „აჰ, ნესტან, ნესტან!“ მერე უცხოდ გადახედა გარშემომყოფთ, წამოიმართა და ზევიდან ზვიადად დაგვაცქერდა, ხელები აგვიქშია, როგორც აბეზარ ბუზებს.

— ხულიგანია! — დაასკვნა ჭაღაროსანმა. — ჩატენეთ ერთი მანქანაში!

ჩატენეთო? რაც ამ ბრძანებას მოჰყვა, იმისი აღწერა მხოლოდ შოთას კალამს ძალუძს!

როგორც ატოტვილ დათვს მიესევიან დაგეშილი ძაღლები, ისე მიესიენ ტარიელს სპეცნაზელები. ზოგი ფეხებში შეუვარდა, ზოგი წელში ჩაეჭიდა, მკლავებზე ჩამოეკიდნენ, უფრო მკრთალნი ცდილობდნენ ხელკეტი შორიდან ზურგზე დაერტყათ. მსუბუქად შეტრიალდა ტარია, წამში ჩამოიბერტყა შემაწუხარნი. ორმა სპეცნაზელმა წყალში მოადინა ტყაპანი, ერთი ფილაქანზე პირქვე გაიშოტა, ერთმა კიდევ თავით ბაღის სკამი გაანგრია...

ტარიამ მათრახი ასწია, მეგონა ჭაღაროსანს გადაფხრიწავს-მეთქი, მაგრამ გადაიფიქრა, ცხენს აღვირზე მოჰკიდა ხელი და ბრბო დინჯად გაარღვია. ცხადია, გზას შიშიანად და თან აღფრთოვანებით უთმობდნენ, ხმის გაცემას ვერავინ უბედავდა.

დაიძრა ეს ხალხი და უკან მიჰყვა, სხვებს არც მე ჩამოვრჩი, ლამისაა ცხენის კუდისათვის ხელი ჩამევლო.

თაბუკაშვილის ქუჩაზე რომ გავედით, უცბად სიმღერა შემომესმა. მავანი ისეთი ტენორით არაკრაკებს, პავაროტი მოგონილია. გიორგი ჭანტურიას ქუჩის მხრიდან კაი ყმა თეთრ ცხენს მოაგელვებს, თან ისე მღერის, სხვა ვითარებაში, ალბათ, სმენად მხეცნი მოვიდიან, თუმცა ამ ქალაქში ადამიანებთან ერთად მხოლოდ ძაღლები, კატები და ვირთხები სახლობენ და ყველამ ყურნი ვცქვიტეთ... ვიცანი, როგორ ვერ ვიცანი!.. ბატონ ავთანდილს ვინ არ იცნობს! გუმანით იმასაც მივხვდი, რომ იმ მხარეს, ალბათ, ლიტმუზეუმში სტუმრობდა ყავაზე ლამაზ ქალბატონ იზასთან, ქალთა ეს გამოუსწორებელი მუსუსი ესა...

მოვიდა, ცხენიდან ჩამოხტა, ძმობილს ჩაეხვია და ჩვენს თვალწინ ორივემ ცხარე ცრემლით იტირა, რითაც გული ფრიად აგვიჩუყა.

„აჰ, ნესტანო ჩემო, დარეჯანო!“ — ერთხელ კიდევ ამოიოხრა ტარიელმა და ზედა ბაღის ბილიკს შეუყვნენ. ჩვენც, რა თქმა უნდა, ფეხდაფეხ მივყევით.

გუდიაშვილის ქუჩის ბოლოს, სადაც ადრე ლადო კეცხოველის ძეგლი იდგა, ძმობილები შეჩერდნენ. საჯარო ბიბლიოთეკის კარებთან ხმაური გაისმა. კიბეს ტაიჭოსანი მოწყდა და აქეთ გამოეშურა. წვეროსანი ვაჟკაცია, წოწოლა ქუდი ახურავს, ცხენი ჩორთით მოჰყავს, უკან კი აქოშინებული, ბუნჩულა ლევან ბერძენიშვილი მოსძახის — „მჯერა, მჯერა!“ თუმცა, ეტყობა, ტაიჭოსანს, ჩვენს ძველ ნაცნობს (ამას რა მიხვედრა უნდა!) — ნურადინ-ფრიდონს, არ ვიცი რა და რატომ, მაგრამ არა სჯერა.

ცხენიდან ჩამოხტა ბატონი ფრიდონი, ძმობილებს გადაეხვია, მთელი ხუთი წუთი ცრემლი ჰყარეს და როცა დაწყნარდნენ, სამთა თათბირი გაიმართა.

ტარიელმა თქვა: კი ჩამოვაღწიეთ ქაჯეთს, ამ ციხეს სამი კარი აბია — მერია, პარლამენტი და კანცელარიაო...

ფრიდონმა ბრძანა: ჩვენ სულ სამნი ვართ, ქალაქი დიდთაგან საომარიაო. დავრაზმოთ პენსიონერები და ვეტერანები, შევუსიოთ და მივლეწ-მოვლეწოთ აქაურობაო...

ავთანდილმა ბრძანა: თქვენ დაიმალენით, მე კი ნატოს

გენერლად „მოვეკაზმი, საქმესა ვიქმ მე მართალსა...“ ისეთ საბუთებს გავშანსავ, ყველა კარი თავისით იღებოდესო...

ტარიელმა ბრძანა: კრედიტს მოგვთხოვენ ეგ წუწკები, ამათ მთელი ინდო-ხატაეთისა და არაბთა სამეფოს ოქრო-ლარით ვერ გამოაძღობ! ამიტომ სამთავემ სამგნით მივჰმართოთ, ფიცხლად დავსხლიტოთ ცხენებიო...

ამ დროს ვაზისუბნელმა კოკა ყანდიაშვილმა მოირბინა, მრგვალ პირისახეზე ზრდილობიანი, უკონფლიქტო ღიმილი ახატია: „მეგობრებო, რა ხდება?“ პასუხს ვინ მისცემს, როცა არავინ იცის, თუ რა ხდება, თვითონ კოკამ კი უკვე იცის, რომ რუსთაველზე და თავისუფლების მოედანზე ბეტეერები გუგუნებენ და ჩასუქებულ-ჩაკურატებული, არაკორუმპირებული პოლიცია გზებს კეტავს.

მოახტა ტაიჭს ბატონი ფრიდონი და მერიისაკენ გაქუსლა. შეაფრინდა თეთრ ცხენს ბატონი ავთანდილი და მიუშვა პარლამენტისაკენ. შავ ცხენზე დინჯად შეჯდა ტარიელი და ჩორთით წაიყვანა კანცელარიისაკენ... თავი არ დავიზოგე და კუდზე ხელჩაჭიდებულმა მივდიე.

ბატონი კაკოს ტელერეპორტაჟი გადაცემიდან „60 წუთი“ (ზარისდამცემი მუსიკა, ასიმეტრიული ბადე, გულისგამგმირავი მზერა): ჩვენი ჟურნალისტური გამოძიება ეყრდნობა შემდეგ პოსტულატს — ზღაპარი, ფაქტი, ზღაპარი... ამჯერად ჩვენ თვითონ გახლდით თვითმხილველი სკანდალური მოვლენისა, როცა ზღვისპირეთიდან მოვარდა ხელმწიფე ვინმე ნურადინ-ფრიდონი. თუმცა მის სამეფოსთან დიპლომატიური კავშირიც კი არა გვაქვს, მან დაარღვია ჩვენი სუვერენიტეტი და ჯიქურ შეუტია ჩვენს მერია-საკრებულოს. ვფიქრობთ, მის ამ ქმედებაში კლანურ-მაფიოზური დაჯგუფებების აშკარა კვალი იკვეთება. ჭორები უფრო პრეზიდენტის სანათესაოზე მიგვითითებს. აქვე გამოვლინდა სამართალდამცავი ორგანოებისა და მერიის უსუსურობა. თავისუფლების მოედანზე, რომელსაც, ვფიქრობთ, ჯერ კიდევ ცოტათი ილიჩის პოლიტიკური სუნი უდის, ბატონი ფრიდონი რომ გამოვარდა, წინ ვეღარავინ აღუდგა, გარდა მსუბუქი მანქანების ნაკადისა, ორბელიანის მოედ-

ნიდან რომ მოემართებოდა, და ორი ტროლეიბუსისა, რუსთაველიდან რომ შემოუხვია. ბატონი ფრიდონი თავს გადაევლო მანქანათა ნაკადს, გადაჯეგა მწვანე სკვერი და ცხენის ფლოქვებით დააფშვნია მერიის წინ ჩამწკრივებული ფირმა-მანქანების შუშები, რომელთა ფასი, ჩვენი დაანგარიშებით, მისი სამეფოს ღირებულებას აღემატება. ბატონ ფრიდონს ალბათ ქაჯთა ლაშქარი ეგონა ჩვენი ლოყაწითელი პოლიციელები და კაი-კაი მათრახი გადაუჭირა, რასაც წინ აღუდგა პოლიციის შეფი ბატონი სოსო, კაცი ფრიდონზე არანაკლებ პირმშვენიერი, პიერ-კარდენის კოსტუმში გამოწყობილი და ძვირფასი ჰალსტუხით დამშვენებული. ამ დროს ბატონი ფრიდონის ცხენმა დიპლომატიური ეთიკა დაარღვია და მერიის შესასვლელთან ჩონჩორიკი დაყარა, რითაც, ერთი მხრივ, მერიის სანიტარული მდგომარეობა გააუარესა, მეორე მხრივ, პიერ-კარდენის კოსტუმიც გასარეცხი გახადა... სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ეს ჩვენ ჯერაც ვერ გაგვირკვევია, პოლიციამ გავეშებული გმირთაგმირი ვერ შეაკავა, იგი ფოიეში შეიჭრა, თან ხულიგნურად ყვიროდა — გამოდით, დამენახვეთ ქაჯებოო, რაც უპირველესად, ალბათ, საკრებულოს ეხებოდა, თუმცა მამაცი დეპუტატები მაგიდებქვეშ შეძვრნენ და გაისუსნენ, რადგამ ამათ არამც და არამც მათრახი არ უყვართ. სამაგიეროდ, უცხო სტუმარს გამოეგება ინტელიგენტურად დახვეწილი ბატონი ვანო და აუწყა, რომ ქალაქის მომდევნო წლის ბიუჯეტში გავითვალისწინებთ ბატონი ფრიდონის ყველა მოთხოვნასო...

ბატონ კოკას ტელერეპორტაჟი გადაცემიდან „რა ხდება?“ (სარეკლამო რგოლი ცოცხალ-მკვდართა პოლიტიკური სიფათებით): რა ხდება, მეგობრებო, და ჩვენს არეულ, მაგრამ მაინც დამყაყებულ დროში გამოგვეცხადა არაბთა ხელმწიფის ზედსიძედ მყოფი მისი უდიდებულესობა ბატონი ავთანდილი... ალო, გისმენთ!.. მაყურებლის ზარი ვერ გამოვიდა!.. დიახ, მე ფეხდაფეხ მივყვებოდი მის თეთრ ცხენს, თუმცა სირბილის დროს ფლოქვების მეტს ვერაფერს ვხედავდი. ბატონმა ავთანდილმა და მეც, რა თქმა უნდა, დავარღვიეთ ქუჩის მოძრაობის წესები და გადავკვეთეთ რუსთაველის პროსპექტი, რამაც მცირე გაუგებრობა გამოიწვია, მაგრამ არავინ დაგვჯახებია. ამასობაში პარლამენტმა თურმე მოასწრო და სასახლის სვეტებზე არაბეთის სამეფოს დროშა ჩამოჰფინა, თუმცა ბოლომდე დარწმუნებული არავინ იყო, რომ დღემდე მეფის სიძეა ბატონი ავთანდილი თუ რამდენიმე საუკუნის წინ ქალბატონ თინას გაეყარა. პარლამენტმა პროტოკოლს მაინც არ გადაუხვია და ბატონ ავთანდილს შესაბამისი პატივი მიაგო. ტროტუარები და კიბეები წითელი ხალიჩებით მოიფინა... ალო, გისმენთ! მაყურებლის ზარია, ისევ ვერ გამოვიდა... თავდაპირველად სტუმარი საომრად იყო განწყობილი, მაგრამ ბატონი ზურაბის არაჩვეულებრივი დიპლომატიური მოქნილობის წყალობით ვითარება განიმუხტა და არაბეთთან აშკარა ომს გადავურჩით. ბატონი თავმჯდომარე კიბესთან შეხვდა ბატონ ავთანდილს და სიტყვით მიმართა: ბატონებო, ყველაფერი მოლაპარაკებითა და კონსესუსით მოვაგვაროთ! გამოირკვა, რომ ბატონმა ავთანდილმა სიტყვა „კონსესუსი“ არ იცოდა. უმრავლესობის ლიდერი ბატონი მიხეილ სააკაშვილი შეეცადა მისი უდიდებულესობისათვის განემარტა ამ სიტყვის მნიშვნელობა, მაგრამ იურიდიულ ტერმინოლოგიაში ჩაიხლართა და თუმცა ოპოზიციონერი ჯემალ გოგიტიძე ეხმარებოდა (უფრო სწორად, კვანტს უდებდა!), ბატონმა ავთანდილმა ალბათ იფიქრა, სასახლის შიდა ეზოში საჭიდაოდ მიწვევენო. ცხენიდან ჩამოსვლა არ ინება და ისე აჰყვა ხალიჩამოფენილ კიბეს. პარლამენტის ეზოში მთელი დეპუტაცია, იმის შიშით, მათრახი არ დაგკვრასო, მუხლმოყრით გაეგება. ამაში გასაკვირი არც არაფერია, რადგან თუ არ გვინდა უცხოური მათრახი ვიგემოთ, დიპლომატიურ ეშმაკობას მივმართოთ და მუხლი უნდა მოვიყაროთ, მით უფრო, ადგილობრივი პოლიტიკური ბუშტების წინაშე იოლად ვიყრით მუხლს. გახედა ბატონმა ავთანდილმა მარჯვნივ მოქკავშირელებს, მარცხნივ ამღორძინებლებს და ფრიად გაიკვირვა. ჩემი აზრითო, მოქალაქე ცოტათი მუცელჩავარდნილი უნდა იყოს, ამღორძინებელს კი სამშენებლო მტვერი უნდა ეყაროს და ხელისგულები ნაჯაფი უნდა ჰქონდესო. ამდენი ვარდისფრად დაბანილი, ჩასუქებულ-ჩამრგვალებული დეპუტატი ალბათ იმას ნიშნავს, ეს ქვეყანა

ქონში ცურავსო და აქვე შესთავაზა, ამ სამას კაცში ერთი ვაჟკაცი მაინც გამოარჩიეთ, დამეჭიდოს, ღონე მოვსინჯოთო. სამწუხაროდ, ამდენ ხალხში ძალგულოვანი არავინ აღმოჩნდა (ზურა ქაფიანიძეც კი!). ქალბატონმა ელენე თევდორაძემ კი გაბედა გამოწვევის მიღება, მაგრამ ბატონმა ავთანდილმა დღისით-მზისით, ამდენი ხალხის თვალწინ ქალთან ჭიდილი არ ისურვა და ცხენი დაძრა... ეგონა, ამ ხალიჩას თუ გავყვები, სამეფო, ე.ი. საპარლამენტო დარბაზებში აღმოვჩნდებიო, მაგრამ, ჩვენ ხომ ვიცით, ბოლო კიბე ისევ ქუჩაში გადის და წინიდან შემოსული ბატონი ავთანდილი უკანა კარით კვლავ ქუჩაში აღმოჩნდა... რას იზამ, როცა არც ტანკი გაქვს და არც კუნთი, უნდა იეშმაკო... ალო, გისმენთ? მაყურებლის ზარია!.. გისმენთ!..

რაც ჩემი თვალითა ვნახე (საგაზეთო მიმოხილვა): როგორც ზევითა ვთქვი, ტარიელის ცხენის კუდს ჩავეჭიდე და სირბილისაგან ხვითქი გადმომდინდა. მხოლოდ შავად მბზინავ გავაზე გადმოფენილ ვეფხის ტყავს ვხედავდი, მაგრამ გუმანით მივხვდი და ფეხებმაც დამიდასტურეს, რომ რუსთაველი გადავკვეთეთ, მეტროსთან შეყრილმა ხალხმა აქეთ-იქით უტია, გზა დაგვითმო და კიბეს შევუყევით. აქ კუდი ხელიდან გამისხლტა, საფეხურზე მუხლი ვიტკინე, თუმცა ყოჩაღად წამოვხტი და ცხენს გამოვენთე. სასახლის ბაღის გასწვრივ სხვა დროს მათხოვრები ბლომად სხედან, ამჯერად უსინათლო აჩხაკუნებდა ფანდურს და გულჩვილმა ტარიელმა ოქრო გადაუგდო...

ასე სირბილით ავაღწიეთ კანცელარიამდე. აქ კი შევშინდი, თუ შევშინდი! მთელი მოედანი და მისასვლელი გზები პოლიციისა და არმიის ქვედანაყოფებს უჭირავს. ჩვენი მაძღარი პოლიციელები და მშიერი ჯარისკაცები მედგრად დაგვხვდნენ. ტარიელის გამოჩენაზე ისეთი ბუქი დააყენეს, არ ვიცოდი თავი სად წამეღო, ცხენის უკანალი მიცავდა ტყვიისაგან... მგონი, ტყვიამფრქვევიც კი დაგვიშინეს, მაგრამ ტარიელი რისი ტარიელი იქნებოდა, ან ჭკუისათვის მოეხმო, ან შიშის გრძნობა დაუფლებოდა. ცხენი ციბრუტივით დაატრიალა, ჰკრა მათრახი აქეთ და იქით. სანაქებო სამხედრო ოპერაციის შედეგად ჩვენები ოდნავ დამარცხდნენ. მზერა ძლივს შევასწარი, ტარიელი ლომივით

გადმოხტა, შუშის კარები შელეწა და ვინც წინ დახვდა, ფარასავით გაირეკა... მან არაფერი იცოდა ლიფტის არსებობის შესახებ, კიბეზე ადიოდა ფრენა-ფრენით, თან მათრახით მიდენიდა ყოფილ და ახალ მინისტრებს, დეპარტამენტებისა და განყოფილებების ტრაკგასიებულ ხელმძღვანელებს, რომლებიც კარგადაც მოსუქდნენ, არასოდეს ურბენიათ და ამათი ქოშინი კილომეტრზე ისმოდა...

ტარიელი კი მისდევდა და იზახდა და ყიოდა — „ნესტან, ნესტან!..“

„რა უნდა ერთი ამ კაცს!“ — იკითხა ბატონმა პრეზიდენტმა.

„ნესტანის განთავისუფლება!“ — მორიდებით მოახსენა ბატონმა მამრაძემ.

„მერედა, ამაზე იოლი რაა? გამოუყვანეთ ქალბატონი ნესტან კირთაძე!“

დერეფანში გამოგოგმანდა ყოფილი პარლამენტარი და მაინც ლამაზი ქალბატონი ნესტანი. ცხადია, ბატონ ტარიელს არავინ გააგებინა, რომ ქალბატონი ნესტანი სხვისი მეუღლეა. შეხედა ძალგულოვანმა („მზისა შუქსა სჯობდა მეტად!“), ვეფხს შეადარა და ბნედამ უწია, გულშემოყრილი ძირს დაეცა...

დიახ, დიპლომატიურმა მოხერხებულობამ ამჯერადაც გადაგვირჩინა ჩვენი მთავრობა და სახელმწიფოებრიობა.

ბატონი ლევანის ტელეგადაცემიდან „მჯერა“ (პატარა მაგიდა, რომელსაც უზის დიდი ლევანი და ხვნეშის): მე მჯერა, რომ ტარიელი გამოჯანმრთელდება და იპოვის თავის ჭეშმარიტ ნესტანს, შესაძლებელია დარეჯანსაც!..

გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 22—28 სექტემბერი, 2000.

პური ჩვენი არსობისა

(რადიოპიესა)

მოქმედი პირნი

ლადიკო — ომის ვეტერანი, გაურკვეველი ეროვნებისა
დარო — ომის ვეტერანი, ყოფილი მფრინავი
თამუნა — 17 წლის
გიგა — 16 წლის
გამყიდველი, მძღოლი, ჟორა, ელვირა, გალინა სერგეევნა, თინა, მოქალაქენი და ბავშვები პურის რიგში.

ისმის ქარის ზუზუნი, ძაღლების ყეფა-წკავწკავი

ლადიკო — გაგწყვიტოთ ჭირმა! მაინც საიდან შეიყარა ამდენი? ლამისაა დაგვჭამონ! პატრონი არა ჰყავს ამ ქვეყანას, თორემ ამდენ ძაღლს ვინ გააჭაჭანებდა ქუჩაში! ვონ ოტსიუდა, ბრის! შეგჭამათ მგელმა და ჩაცვივდით ჯოჯოხეთში! წაიღეს რა, ტვინი! უჰ, რა ცივა, კაცო! ცეცხლი თუ არ დავანთე, გავიყინები! აი, აქ მოფარებულია! (*შეშის დაყრის ხმა*) კიდევ კარგი, ეს შეშა რომ ვიშოვე! ჯერ ფიჩხი დავაწყოთ! მერე ქაღალდი ჩავჩურთოთ! ნეტავი რა გაზეთია? არც მახსოვს, გაზეთი როდის ვიყიდე!.. ბნელში ასოებს ვერ ვარჩევ! პარასკევს აქეთ დენი არ ყოფილა, ვზივარ ამ წკვარამში და არ ვიცი, რა ხდება ცისქვეშეთში! ესეც ასე! (*ასანთს გააჩხაკუნებს*) ჩამიქრა! ფუჰ! ვინ იფიქრებდა, ასანთი რომ ასე გაძვირდებოდა! (*გააჩხაკუნებს*) აინთო! ფრთხილად! აინთო! აქედან უბერავს! აჰა, ქაღალდს ეკიდება! ეკიდება! მოეკიდა! ქარმა შეუბერა! მოეკიდა! მოეკიდა!.. „კომუნისტი“ ყოფილა, ლიონიას სიფათი გამოჩნდა, ვიღაცასთან კოცნაობს! ეჰ, კაი კაცი იყო ლეონიდ ილიჩი! ძეხვი გინდა, კარაქი გინდა, ვეტერანები პაჩიოტში ვყავდით!.. აბა, ფიჩხი მივამატოთ! ახლა შეშა დავაწყოთ!.. კაი ღობე ჰქონდა პლატონიჩის ბოსტანს, ქურდებმა ააღლიტეს, შეშად დაიტაცეს!.. გზაში რაც დაუცვივდათ, ის ავკრიფე! კაცო, აქამდე თუ ვინმეს სმენია, ღობეებს რომ ანგრევდნენ და შეშად მიჰქონდათ! პლატონიჩს გულის ხეთქვა ზედვე აქვს! (*ძაღლების ღრიანცელი*) გაწყვეტა-ა!.. არდარჩენა-ა!.. აი, ამ ქვას გავუქანებ! (*ისმის ბრაგუნი და ძაღლის შესაბრალისი წკმუტუნი*) ჰი-ჰი-ჰი, მოვარტყი! უყურე შენ, ღონე კიდევ შემრჩენია!.. ვონ ოტსიუდა, უბირაისია! აჰ, დარია ილინიჩნა, თქვენა?

დარო — დარო ვარ, დარიკო!.. ძლივს მოვაღწიე... რამ გაგამწარა, კაცო, იმხელა ქვა კინაღამ თავში მთხლიშე!

ლადიკო — ლამისაა ძაღლებმა შეგვჭამონ!

დარო — მაგი გიკვირს? ძაღლებისაა ეს ქვეყანა და შეგჭამენ, მაშ რას გიზამენ!

ლადიკო — აქეთ მოიწი, აგერ ამ ყუთზე ჩამოჯექი და გათბი!

დარო — ხელი გამომიწოდე, თორემ ფეხს წამოვკრავ! აი, ასე! აგაშენა ღმერთმა! ნაბიჯის გადადგმა მიჭირს, ქუსლებში თითქოს ნემსები მერჭობა... სიცივემ გამათავა!

ლადიკო — ძაან კი დაგვიბერა! ამბობენ, ქვეყანა რომ დაიქცევა, ამინდიც მაშინ ჭირვეულობსო. დიდი თოვლიც მაშინ ცოდნია, სეტყვაც და მიწისძვრაც.

დარო — დავღუპულვართ და ეგაა! თუმცა განა დაღუპულნი არა ვართ, რომ ამ ყიამეთში ქუჩა-ქუჩა დავწანწალებთ? წეღან ერთი წუთით ნათურა აინთო, მთელმა უბანმა სიხარულის სტვენა დასცხო, ის კი უმალ ჩაქრა... გაუხმა ხელი იმის გამომრთველს, დაუნაცრდა ის თითი, ღილაკს რომ დააჭირა!

ლადიკო — აირია, ბატონო, ქვეყანა და იმის ბრალია! გახსოვს, ომის დროს რა დისციპლინა გვქონდა! უფროსის ბრძანება კანონი იყო. დედიშენისაა, სტალინზე ანეკდოტს გაბედავდი, ტყვიას მიიღებდი შუბლში! რაზ-დვაზე იყო მთელი ქვეყანა და ომიც იმიტომ მოვიგეთ!

დარო — ეჰ, მაშინ კალმით ნახატი ყმაწვილქალი ვიყავი, ცეკვისაგან ქუსლი მიცვდებოდა... ქალთა ესკადრილია გვქონდა, ბომბდამშენებზე დავფრინავდით. ბრძანება მივიღე — ნა ბერლინ! ოჰ, რა ღამე იყო... აი, ასეთივე შავი და უცებ ჭურვებისაგან და პროჟექტორებისაგან დღესავით განათდა... აფეთქებების ტალღა თვითმფრინავს აძაგძაგებდა, მეგონა, ვერ გა-

ვაღწევდი! ალბათ, ბედი მწყალობდა! ჰე-ჰე, ჩვენ, მფრინავებს ომის დროსაც კაი „პაიოკი“ გვქონდა... ორჯერ მივიღე სტალინის მადლობა!

ლადიკო — მე რომ ძალა მქონდეს, იცი, რას ვიზამდი? სტალინს გავაცოცხლებდი... მაგი დააწყობდა ქვეყანას!

დარო — ოჰ, ოჰ, მათრახით გადაგვივლიდა!

ლადიკო — მერე არა ვართ მათრახის ღირსნი? მე რომ შემეძლოს, დავხვრეტდი, დავხვრეტდი, დავხვრეტდი...

დარო — კარგი, დაწყნარდი, არავისი დამხვრეტი შენ არა ხარ!

ლადიკო — ჯერ გორბაჩოვს დავხვრეტდი, მერე შევარდნაძეს...

დარო — ვითომ რათაო?

ლადიკო — ვიყავით წყნარად, ჩემი პენსია ყელამდე მყოფნიდა. კონტრდაზვერვაში ვმუშაობდი, სხვა ქვეყნებში პაკეტები მიმქონდ-მომქონდა. მენდობოდნენ და იმიტომ! პენსიაზე გასვლის წინ პადპალკოვნიკობა მომცეს და ექვსასი მანეთი დამინიშნეს!

დარო (*აღფრთოვანებით*) — უხ, ტი!

ლადიკო — მა-აშ! ექვსასი მანეთი პრაფესორს არა ჰქონდა! კარგადაც ვცხოვრობდი!.. გამოჩნდნენ მერე ის ტყირპიანი და ეს მელაძუა, აშალეს ქვეყანა. გერმანელებმა თურმე ოქროებით აუვსეს ჯიბეები, ოღონდ თქვენ ეს საბჭოთა ქვეყანა დაანგრიეთ და სულ ტორტებს გაჭმევთო... მა-აშ! ახლა არც სინათლეა, არც გათბობა, არც პური... გერმანელებს თურმე ისიც უთქვამთ, სტალინმა ხომ ომი წაგვაგებინა, სამაგიეროდ მის სამშობლო-ქვეყანას ყრონჭში რომ შიმშილის ხელებს წავუჭერთ, სულ ვაი-დედას ვაძახებინებთო...

დარო — ვაი-დედას გავიძახით და ეგაა!

(*ძაღლის ყეფა*)

ლადიკო — ვიღაცა მოეთრევა!

დარო — ჩვენ პირველები ვართ!.. ნეტავი ვინ არის? ის ნარკომანი დაეთრევა ღამ-ღამობით. დაგვინახავს და აგვიხირდება, ტკიპასავითაა, თუ აგეკიდა, აღარ ჩამოგცილდება!.. ხომ ვთქვი, გამოგვეცხადა ხატივით!

გიგა — (*ძაღლს უსისინებს*) ქს-ქს... ეცი, ეცი!.. შეჭამე ეს ბებრები!

დარო — შენ შეგჭამა ჭირმა!

ლადიკო — არა გრცხვენია, ბიჭო, ყოველთვის ასე უნდა დაგვიხეთქო გულები?

გიგა — ვაჰ, თქვენ გულებიცა გაქვთ? ბებრებო, ხედავთ, ძაღლებმაც უარი თქვეს, ამ გადაღრძუებულებს კბილებს ვერ დავაკარებთო!

დარო — გადაღრძუებული ბებიაშენია, შე გიჟო, შენა!

ლადიკო — შარზე ხარ, ბიძიკო? ამ შუაღამეს ვერ დაეტიე შინ?

გიგა — შინ რა გამაჩერებს? ხომ იცით, რა ჩავიფიქრე?

ლადიკო — კაის რას ჩაიფიქრებდი, ბიძიკო, შენ?

გიგა — უნდა დაგბრიდოთ! მერე კასრში ჩაგამარილებთ და თურქეთში წაგიღებთ გასასყიდად!

დარო — უი, შენ ჩაგიწყდა მაგ სალაპარაკო ხმა! შენ დაგიდუმდა ენა!

ლადიკო — ისეთი რა დაგიშავეთ, ბიძიკო?

გიგა — იცოდეთ, რიგში პირველი მე ვარ! თქვენ ჭამა რად გინდათ, კბილები აღარ შეგრჩენიათ! ახლა წავალ, დანას გავლესავ და დავბრუნდები!

დარო — მაგ დანით გაგეფატრა მუცელი!.. არ დაგვაფეთა?

ლადიკო — ჩვენც რას დავფეთდით, ჰა? ეგრე ხუმრობს და...

დარო — ეგ რანაირი ხუმრობაა, ქა? გაგიგონია?.. იმიტომ ვიომე და ვიშრომე მაგდენი, ასეთი რამ მაკადრონ?

ლადიკო — რას იზამ! ქვეყანა გადარეულია და ჭკუა ამას უნდა მოჰკითხო?

დარო — ჭკუა არც მე მომეკითხება, რომ იცოდე! მომწყდეს თავიდან ეს გიჟი-გადარეული, თორემ ისე მაქვს გული გასიებული, იქნებ სულიც გავაფრთხობინო!

ლადიკო — რავა, თან დაგაქვს შენი „იმენნოი“?

დარო — ნახევარი საუკუნე უჯრაში მედო, არ დამჭირვებია. ახლა ქუჩაში ჭირს გავლა, ვინ იცის, რომელი აგიხირდება! აგერ სახელურზე აწერია, დარიე ილინიჩნე, ტაკ ი ტაკ, ზა ოტვაგუ ვო ვრემია ვზიატია ბერლინა, ატ ვერხოვნოგო... დიახ, ასე აწერია!

ლადიკო — გაისვრის?

დარო — რა ვიცი, გამარჯვების დღეს, ორმოცდახუთში,

ჰაერში ვისროლე! მერე არც გამომიჩენია, იდო თავისთვის, ჭამას არ ითხოვდა! მგონი ჩაიჟანგა შიგ ყველაფერი, ტყვიაც არა დევს, მაგრამ იმ შტერს კი შევაშინებ!

ლადიკო — გგონია, შეეშინდება? გიჟს ტყვიაც ვერ შეაშინებს! (*ისმის ყეფის ხმა*) მგონი, ვიღაცა მოდის!

ჟორა — უჰ, უჰ, რა ცივა, კაცო! კაი გამარჯობა თქვენი! უკვე რიგი დაიკავეთ? მესამე მე ვიქნები! ლოგინიდან ძლივს გამოვძვერი, მთქნარებისაგან ყბები მისკდება. გასკდომა იმას, ვინც ამ დღეში ჩაგვაგდო!

ლადიკო — მა-აშ! ჩვენი წყევლით გასკდებიან სწორედ! ჩვენ ვიკითხოთ, თორემ თვითონ კი არიან თბილ ბინებში მოყუჩებულნი და დოლარებს ითვლიან! გაძარცვეს ქვეყანა და ჩვენ რაში ვენაღვლებით!

დარო — მთელი ცხოვრება ბურჟუასთან ბრძოლაში გამატარებინეს და აგერ თავზე არ წამოგვასვეს! აი, შენი კაპიტალიზმი! პენსიონერი ქალი, ყმაწვილქალობა სამშობლოს რომ შევწირე, ახლა ამ ყინვასა და ქარაშოტში ვგდივარ, რათა შიმშილით არ მოვკვდე და მათხოვრული კუპონით ტალონის პური ავიღო!

ჟორა — ამბობენ, კიდევ გაძვირდებაო!

დარო — ბარემ დაგვხოცონ და ეგაა!.. ქალის ფეხის ხმა მომესმა!

ელვირა — პასლედნი ხარ?

ჟორა — პასლედნი რომ არ ვიყო, ამ ცივ შუაღამეს კარში ვინ გამომაგდებდა!

ელვირა — თქვენა ხართ ბოლო?

ჟორა — ჰო, სამში ბოლო ვარ! მერე გავიხედავ და მეათე აღმოვჩნდები. პური რომ მოვა, მეასე ხარო, მეტყვიან... ესაა ადამიანობა?

ელვირა — თქვენს შემდეგ მე ვიქნები, ჩემს შემდეგ სვეტა, გრუშა, სოფა და კარენა!

დარო — რა ამბავია? ჩვენ აქ ვიყინებით, ესენი კი ლოგინებში შუშდებიან და დილით ცხელი პური უნდა მიირთვან! ბარე მთელი კორპუსისათვის დაიკავე რიგი!

ელვირა — თქვენ რა გენაღვლებათ, ქალბატონო, თქვენ მაინც წინა ხართ! ამათ სპრავკა აქვთ, ურიგოდ ეკუთვნით, მაგრამ ხალხი რომ არ გვეჩხუბოს, იმიტომ ვიკავებ!

დარო — ეს კაცი ომის ვეტერანია და ურიგოდ ეკუთვნის, მეც, მაგრამ მთელი ღამე აგერ ვგდივართ და ველოდებით!

ელვირა — დედიჯან, ახალგაზრდებს ძილი უყვართ. პენსიაზე რომ გავალ, მეც ეგრე გავაკეთებ!

ჟორა — კაია კაი ძილი, მაგრამ სადაა. ჯერ ამ გაყინულ ლოგინში უნდა ჩაძვრე, ძლივს ჩათბუნდები და თვალის მოხუჭვას ვერ მოასწრებ, უნდა ადგე, ეს ოხერი კუჭი წამოგაგდებს... გალინა სერგეევნა, თქვენა?

გალინა სერგეევნა — ზდრასტტე, დარაგოი! გუშინ ვერ ვიკიდე პური, რა ვკნა, რა ვაჩამო ბავშებს? ოჩერედის სპისოკი გაკვთ?

ელვირა — თქვენ მეათე იქნებით!

ჟორა — ქალი მეოთხედ მოვიდა და მეათე რატომ იქნება?

ელვირა — დანარჩენი დაკავებულია, აგერ სპისოკს ვადგენ!

ლადიკო — ვინ უყურებს მერე მაგ სპისოკს, პური რომ მოვა, გააქრობენ და რიგს იერიშით აიღებენ! (*ისმის ძაღლის ყრუ ღრენა*) მგონი, ისევ ვიღაცა მოდის!

დარო — აწი მალე გათენდება, მოცვივდებიან ნებიერები და რიგსაც ჩვენზე წინ დაიკავებენ!

ქალიშვილის ხმა — ვაიმე, არ მიკბინოს! მურა, მურა!

ლადიკო — ბრის! რომელი ხარ, ქვა არ მოგხვდეს!

ხმა — არ ესროლოთ, ეს ძაღლი კეთილია!

ლადიკო — დღეს ძაღლი კი არა, კაცი არაა კეთილი!

დარო — ეგა თქვი, ძაღლური ყოფა ჯობია ჩვენს ცხოვრებას!

თამუნა — გამარჯობათ, ძალიან შემეშინდა! დიდი ძაღლი იყო, მეგონა, გადამყლაპავდა, მან კი ლაქუცი დამიწყო!

ლადიკო — უპატრონო ძაღლებით აივსო ქვეყანა!

ელვირა — ძაღლი ვის გაახსენდება, ადამიანმა არ იცის რა ჩახეთქოს!

ჟორა — ჩემს მეზობელს ჰყავდა, დღეში სამ კილო ხორცს მიირთმევდა. ახლა ხორცი თავისთვის არა აქვთ. შვილივით ზრდიდნენ და ქუჩაში კი გამოაგდეს!

გალინა სერგეევნა — საცკალი! დზაგლი კი არა, ნიშჩი ბავშებით აივსო კალაკი!

თამუნა — მოდი, მურა, მოდი, აგერ ცეცხლთან დაწექი და გათბი!

(*ძაღლის წკმუტტუნი*)

ლადიკო — მურა ჰქვია?

თამუნა — არ ვიცი რა ჰქვია! მურა-მეთქი და კუდი დამიქიცინა!

ლადიკო — იქნებ ცოფიანია, ახლა ხომ იცი, ცოფიანის წამალი არ იშოვება!

დარო — ადამიანზე ცოფიანი მაინც არ იქნება! შენ ნარგიზა მასწავლებლისა არა ხარ?

თამუნა — დიახ!

დარო — მერე ამ სიცივეში რას გამოგაგდო, რანაირად გაგიმეტა?

თამუნა — არ მიშვებდა, მაგრამ ჩაეძინა და გამოვეპარე. სიცხიანია, ვეღარა დგება, ჩვენ კი სამი დღეა, პური არ აგვიღია. შინ ფინჩხიც არ მოგვეძევება, შიმშილით ხომ არ დავიხოცებით.

ლადიკო — მამა სადაა?

თამუნა — არა მყავს! მილიციაში მუშაობდა და ოსეთში გააგზავნეს. იქ მანქანა ნაღმზე აუფეთქდა...

დარო — ახლა იმდენი სიკვდილებია, თვლას ვერ აუდიხარ ადამიანი. ყველასათვის თითო ცრემლი რომ გაიმეტო, თვალები ამოგიშრება... წადი ახლა შინ, რიგი დაკავებული გექნება, ამ რუსის ქალის შემდეგ დადგები!

თამუნა — გმადლობთ... ვერ წავალ!

დარო — რატომ?

თამუნა — სადარბაზო ისეა ჩაბნელებული, სულ მუხლების კანკალით ჩამოვედი. საფეხურები სათითაოდ დავთვალე, კისერი არ მოვიტეხო-მეთქი. მეჩვენებოდა, რომ ვიღაცა დადარაჯებულია... ხელი რომ მტაცოს, შიშისაგან იქვე მოვკვდები.

ლადიკო — იჯექი მაშინ ჩვენთან, აქ თითს ვერავინ დაგაკარებს! ესაა ცხოვრება? საკუთარ სადარბაზოში ვერ შესულხარ კაცი, შიშისაგან სული გძვრება. არადა, სიყმაწვილეში შიში არ ვიცოდი, რა იყო! ერთხელ პაკეტი მიმქონდა, კაიროდან

ალექსანდრიაში, რა თქმა უნდა, სეკრეტნი. მოტოციკლით ჩავგრიალდი. ომი იყო, რომ დავეჭირეთ, შპიონი ხარო და დახვრეტა ზედვე მქონდა. მე კი ვითომც არაფერი... ახლა სიცოცხლე არცა ღირს, მაგრამ სიკვდილი მაინც მაშინებს ეს ოხერი...

დარო — ეჰ, ამ გაძაღლებულ სიცოცხლეს რა ფასი აქვს, ვინც მიწაშია, უფრო ბედნიერია! შენ რა გქვია?

თამუნა — თამუნა!

დარო — შენს ასაკში პირველად ჩამოვხტი პარაშუტით, „კუკურუზნიკიდან“. თავდაპირველად ძირს რომ დავიხედე, თავბრუ დამესხა, მაგრამ ახალგაზრდას სიკვდილ-სიცოცხლე თამაშად მიაჩნია... ვისკუპე და გადმოვფრინდი! ბედნიერი ვიყავი, რომ გავბედე! ახლა ამ ყუთიდან რომ ვისკუპო, მიწამდე სული არ დამყვება! რად მინდა ეგეთი სიცოცხლე, მაგრამ დახე... თავს მაინც ვერ ვიკლავ!

თამუნა — რა ბედნიერებაა, პარაშუტი... (*ძაღლის ყრუ ღრენა*) მურამ ვიღაცა იყნოსა!

ლადიკო – ისევ ის იქნება, ვერა და ვერ მოისვენა!

დარო — ჭკუაზე ნუ შემშლის, თორემ მართლაც დავუძრობ ჩემს „იმენნოის“!

ლადიკო — არავინაა! ნეტავი მაგდენს არ ღელავდე! მატრაბაზობს და რა გენაღვლება, გაერთოს. შენ ვითომ არაფერი, ვითომ არც გაგიგონია...

დარო — ვიღაც დამთხვეულმა გადაღრძუებული მიწოდოს და მოვუყრუო? აფსუს, ჩემო ყმაწვილქალობავ! ერთხელ უშნოდ ატროკებულ მაიორს სილა რომ გავულაწუნე, იმისმა ტკაცანმა პოლკის შტაბამდე მიაღწია! ორი მეტრის სიმაღლისა კი იყო, მაგრამ კინაღამ წაიქცა...

თამუნა — დედა-ა, არ შეგეშინდათ? მე კი გული გამისკდებოდა. ახლაც მაკანკალებს, მეჩვენება, რომ სიბნელიდან გვითვალთვალებენ!

ჟორა — ძაღლის თვალები იქნება, გენაცვალე, სიბნელეში ანათებს!

ლადიკო — აი, თვალებს შორის ამ ქვას რომ გავუქანებ, მერე მითვალთვალოს რამდენიც უნდა!

გიგა — აგერ მეც გამოვცხადდი! სალამი, სალამი! საგრძნობლად მომრავლებულხართ!

ლადიკო — მატრაბაზობს რა!

დარო — სიხარულისაგან ლამისაა სუნთქვა შემეკრას! საუკუნე იქნება შენი ხმა არა მსმენია!

გიგა — ვა, რა ნაშები შეკრებილან! ეს რა კაი რუსის დედაკაცია!

გალინა სერგეევნა — ია ტებე დამ რუსის დედაკაცი! ამ ბიჩს რა უნდა?

ლადიკო — ერთობა!

გალინა სერგეევნა — პოლიციაში დავუდზახებ და იკ გაერტობა!

გიგა — გული არ გამიხეთქო! ეს კიდევ ვინაა? აჰ, სირუნ-სირუნ...

ელვირა — ჭკუით იყავი, თორემ ჩემს ქმარს ვუთხრა, ავტომატი გამოარბენინოს...

გიგა — შეითხაროს მაგ ავტომატი, სადმე მოპარული ექნება!

ჟორა — შენ, ბიჭო, ცოტა ზრდილობიანად...

გიგა — ბიძა, უკან დაიხიე, თორემ მოვიდა დანა...

თამუნა — ვაიმე!

გიგა — გეშინია ჩემი? ვაჟკაცურად მითხარი, ხომ გეშინია?

თამუნა — ჰო!

გიგა — ღრრ!.. ჰამ! მგელი ვარ და შეგსანსლავ! აი, ამ გოთვერანს კი ჩემი არ ეშინია! ძაღლო, ხომ არ გეშინია ჩემი? აი, შე ბამბურავ, შენა! (*ძაღლი წკმუტუნებს*) მეპადხალიმები, ტო? პირუტყვია და იცის, რომ უნდა წამეპადხალიმოს!.. ამას არ ეშინია, შენ კი გეშინია!

დარო — რა გააჭირე საქმე, გეშინია-მეშინია... არავის შენი არ ეშინია!

ლადიკო — ჰო, არ გვეშინია!

გიგა — თქვენ ხმა გაკმინდეთ, თორემ ხომ იცით, დანა გალესილია. მე თქვენი ყროყინი არ მაინტერესებს, მე ამ გოგონას ვეკითხები.

თამუნა — ჰო, მეშინია!

გიგა — რა გქვია?

თამუნა — თამუნა!

გიგა — მე კი გიგა მქვია! რამდენი წლისა ხარ? ახლა არ გადამრიო და ხუთი წელი არ წაიმატო, ისედაც ვხვდები ჩემოდენა ვერ იქნები!

თამუნა — ჩვიდმეტისა ვარ!

გიგა — თექვსმეტისა ხარ! დაიმახსოვრე! სხვა გოგოები წლებს იკლებენ, შენ რაზე იმატებ?

თამუნა — მე... მართლაც...

გიგა — მე თექვსმეტისა ვარ, შენ ჩემზე დიდი არ უნდა იყო! აბა, შემომხედე, შენთან შედარებით ბებერი ვჩანვარ? ხომ ვჩანვარ ბებერი?

თამუნა — არ ვიცი!

გიგა — ბრმა ხომ არა ხარ, ბნელა, მაგრამ ეს ცეცხლი სახეს ხომ მინათებს?

თამუნა — ჰო!

გიგა — რა სულ ჰოს იძახი, ახლა რომ გითხრა, მაკოცე-მეთქი, ჰოს მეტყვი?

თამუნა — ვაიმე, არ ვიცი!

გიგა — მაშ, მაკოცე!

დარო — მთლად გადაირიე, ბიჭო, შენ?

ლადიკო — ბიძია, ეს წესიერი გოგოა, ნარგიზა მასწავლებლის შვილია!

გიგა — მერე მასწავლებლის შვილმა კოცნა არ იცის? ჩემისთანა ოხერის კოცნა არ ეკადრება, ხომ? არ იცი კოცნა?

თამუნა — როგორ არ ვიცი? ვიცი! ჩემს პატარა ძმას ვკოცნი ხოლმე, აი, ასე!

გიგა — უჰ, შენი! გამაცურა! რა ტუტუცი ვარ, ტო! ძამიკოს ვკოცნიო და... როგორ გამაცურა!

ლადიკო — ჰო, ბიძიკო, გეყოფა ახლა, წადი შინ, დაიძინე!

დარო — წადი, ჰო, დაიძინე! ქვეყანას სძინავს, შენ კი ქუჩა-ქუჩა დაეხეტები და გულებს გვიხეთქავ!

გიგა — თქვენ რატო არ გძინავთ?

დარო — არ იცი ხომ, ამ სიცივეში რატო ვკანკალებთ? პური გვინდა და იმიტომ! ჩვენ ჭოტები ვართ, ღამით რიგში ვფხი-

ზლობთ, დღისით ვიძინებთ! დაკმაყოფილდი?

გიგა — ვერა! ჯიბეში რა გიდევთ?

ლადიკო — რა ჯიბეში, ბიჭო?

გიგა — ფულს კი არ გეკითხებით! თქვენი მათხოვრული კუპონი გამოსაწმენდად არ ივარგებს...

გალინა სერგეევნა — ნახალ!

ელვირა — უზრდელი!

გიგა — დიახ, უზრდელი ვარ, ან რატო არ უნდა ვიყო? ჯიბეში რა საბუთი გიდევთ-მეთქი, იმას გეკითხებით!

ლადიკო — რა და აგერ, წითელი წიგნაკი მაქვს — „ვეტერან ოტეჩესტვენნოი ვაინი“!

გიგა — შენც ეგეთი გაქვს, დედილო?

დარო — ამდენი მლანძღე და ახლა „დედილო“ მიძახე! იმიტომ მაქვს ეგეთი წიგნაკი, რომ ვიომე, ბომბდამშენს ვმართავდი, ბერლინის აღებაში ვმონაწილეობდი...

გიგა — ბერლინს ბომბავდი? გაფიცებ ყველაფერს, მომიყევი!

დარო — არა, ნამცხვრებს ვაყრიდი თავზე! რა, არ უნდა დამებომბა? ვბომბავდი, სულ გრიალი გაჰქონდა! ზენიტკები მესროდნენ, ზეცა დღესავით გაანათეს, მაგრამ გადავრჩი. ქალაქი ჩონჩხების ტყეს გავდა... აუჰ, ხანძრები, ხანძრები...

გიგა — შენც ხომ მფრინავი არ ყოფილხარ?

ლადიკო — ა-არა! მე დაზვერვაში ვმუშაობდი, ზურგში მგზავნიდნენ, სხვა ქვეყნებში...

გიგა — კაცი მოგიკლავს?

ლადიკო — მტერი მტერია, ომში ყველაფერი ხდება!.. ისე, დაზვერვაში სხვანაირი მუშაობაა.

გიგა — აგენტი იყავი, ხო?

ლადიკო — ჰო?

გიგა — შპიონი?

ლადიკო — ჩვენ მზვერავები გვერქვა!

გიგა — დედას გაფიცებ, ბევრი თუ ჩაუშვი?

ლადიკო — რა?

გიგა — ომი დამთავრდა, ნახევარი საუკუნე გავიდა. შენ ხომ

მერეც შპიონად რჩებოდი! ჰოდა, ბევრი ჩაუშვი?

ლადიკო — მე... მე ჩემს ვალს ვიხდიდი!

გიგა — რა ლამაზი სატყვებია!.. ვალს ვიხდიდი... შეიძლება ძმაკაცი ჩაუშვა და ამას დაარქვა „ვალის მოხდა“.

ლადიკო — შენ... ვინ მოგცა შენ უფლება, ჰა?

გალინა სერგეევნა — მოლოდოი ჩელოვეკ, ეტო ნე პრილიჩნო...

გიგა — თითო რუსი ყველგან გამოეჩხირება ჭკუის დამრიგებლად! თამუნა, დახე ჩვენს წინაპრებს! ერთი ბერლინს ბომბავდა, ზევიდან დასცქეროდა ქალაქს, ჩონჩხების ტყეს რომ გავდა... მეორე შპიონია, ვინ იცის, რამდენი ვინმე ჩაუშვა „მოვალეობის გამო“ და იმათი ძვლებიც არაა მიწაში... ერთსაც და მეორესაც მშვიდად სძინავს...

დარო — შენ თვითონ ვინა ხარ? შენ თვითონ რა გაგიკეთებია ცხოვრებაში?

ლადიკო — ჰო, ვინა ხარ?

გიგა — ვინა ვარ და არაკაცი და მკვლელი!

თამუნა — ვაიმე, გიგა!

გიგა — როგორი მფრთხალი ხარ! შეგეშინდა? რას აცახცახდი? მგლების ხროვაში ცხოვრობ და მაინც გიკვირს, რომ ვიღაცა არაკაცი და მკვლელია?

თამუნა — გთხოვ რა, გემუდარები, ამათ შეეშვი, ესენი ხომ უბრალოდ მოხუცებია.

გიგა — მიმტევებელი ხარ! ეს იმიტომ, რომ გოგო ხარ და ალბათ მარტო შენ გადარჩი. დიახ, ქვეყანა დაიქცა, შენ კი პატარა და თბილ ბუდეში ცხოვრობდი, მშობლების მეურვეობის ქვეშ და ამიტომ გადარჩი!.. აგერ, პურის რიგში გამოგაგდეს, ცივ და ბნელ ღამეს, ესაა და ეს მთელი ტრაგედია...

თამუნა — შენ რა იცი, მე რა მტკივა, გიგა... არა უშავს, თუ გინდა, გამკილე, მაგრამ ამათ შეეშვი, ამათ არაფერი დაუშავებიათ!

დარო — ჩვენ რა ბრალსა გვდებ? მე ბრძანებას ვასრულებდი, მეომარი ვიყავი და არა მკვლელი... თუ მკვლელი ხარ, ეკლესიაში წადი, სანთელი დაანთე და მოინანიე!

ლადიკო — რას გადაგვეკიდე, ბიძიკო, რომ მოგვივარდები და გვლანძღავ. ჩვენ ჩვენი გაგვჭირვებია, არც ღონე და ჯანმ-

რთელობა შეგვრჩენია, არც ცხოვრების ხალისი. შენ თუ მართლაც ვინმე შემოგაკვდა, მე რა, პრაკურატურა ვარ?

გიგა — რა იოლი არჩევანია! წადი პროკურატურაში, ჩაჯექი! წადი ეკლესიაში, მოინანიე! თვითონ კი მუდამ ხელდაბანილები, განზე გადგებიან! ამათთვის არც პროკურატურა დაწესებულა და არც ეკლესია... მეზიზღებით!

დარო — რატომ, უბედურო ჩემო თავო, რატომ?

გიგა — თქვენ გამხადეთ ის, რაცა ვარ! თქვენ გამიიოლეთ უკეთური გზა! ყურში მუდამ ჩამჩიჩინებდით: ჩვენ გმირები ვართ, ვიომეთ, დავამარცხეთ, გავანადგურეთ, დავხოცეთ — აი, სწორედ ამიტომა ვართ გმირები!.. დაუნდობელ ომს, როცა ადამიანის ფასი გროშ-კაპიკია, თქვენ ოქროს ვარაყი შემოავლეთ — ეს სამშობლოსთვისო, ეს ერისთვისო, — იძახდით, თუმცა არც სამშობლო გაქვთ, არც ეროვნება! ენა თქვენი წარყვნილია, რწმენა — სატანური! თქვენ მასწავლიდით, რომ ომი მართლაც ომი არ მგონებოდა, ომობანას თამაშიაო, კალაშნიკოვი, სტინგერი, ლიმონკა, ეს ყველაფერი სათამაშოაო, აიღო, გაერთე, ითამაშეო... მეც დაგიჯერეთ! მართლაც ყველაფერი თამაში მეგონა! სიკვდილი არც ჰგავდა სიკვდილს, ის თითქოს სიკვდილობანას თამაში იყო, თვალის დახუჭვა, დროებით დაძინება, რომელსაც აუცილებლად მოჰყვება აღდგომა, საძმოში დაბრუნება...

ელვირა — მგონი, გააფრინა რა!

ლადიკო — ვერა ხარ, ბიძიკო, კარგად, აბა, როდის მითქვამს ასეთი რაღაცეები?

გიგა — ხედავ, თამუნა, არ ესმით! შენ გგონია, ეს ორი სკლეროტიკი ბებრის გონებრივი სიჩლუნგეა? ესენი თავიანთი თაობის წარმომადგენლები ბრძანდებიან, ეს თაობის სახეა. ამათ, ჩვენს ძვირფას წინაპრებს, არ ესმით ჩვენი, ესენი ვერ გრძნობენ ჩვენს ტკივილებს! ამათთვის შიმშილი უფრო დიდი ტკივილია, პურის რიგში დგომა მეტი ტრაგედიაა... ამათ იომეს, ბატონო, და ამიტომ ქედი უნდა მოვუხაროთ!

დარო — დიახაც, რომ ვიომეთ! თავი გავწირეთ! რამდენი ჩემი მეგობარი დაიწვა ცაში, მიწამდე მხოლოდ ფერფლმა მოაღწია. ეს საშინელება იყო!

გიგა — მერე და რატომ არ გვითხარით, რომ ეს საშინელებაა, რომ ეს სიბინძურეა, სისხლია, ტილი და ჩირქია, რატომ არ გვასწავლეთ, შვილებო, ამ სათამაშოებს მოერიდეთო...

თამუნა — გიგა, ამათაც ხომ არ იცოდნენ, ესენი ხომ ჩვეულებრივი ადამიანები არიან. შენ კი ისეთ კითხვებს აძლევ, რაც მხოლოდ უფალს შეიძლება დაუსვა!

გიგა — ჩვენ სულ პატარა ბიჭები ვიყავით... მე, ყველაზე უმცროსი — თოთხმეტისა... ჩვენს შორის ყველაზე უფროსი ცხრამეტისა იყო და ბერიკაცად მიგვაჩნდა. პირველი ტყვია მას მოხვდა, მაღალი ბიჭი იყო, გამორჩეული და ტყვიამ იმიტომ მოძებნა... ომი სიკვდილს გვაჩვევს, თანდათან იძირები რაღაც მაზუთივით სიბლანტეში. იქიდან ამოსვლა შეუძლებელია... გუშინდელი კეთილი ბიჭები, ბატკნის დაკვლაც რომ არ შეეძლოთ, დღეს უკვე მკვლელები არიან... ერთმა კისერზე დაიკიდა მოჭრილი ყურების ასხმულა...

თამუნა — ვაიმე!

გიგა — შენ სულ „ვაიმეს“ იძახი! ირგვლივ ბნელი ღამეა და შენი შიშიანი ხმა ამ სიბნელეს ველარ გაფანტავს!

თამუნა — გიგა, რასაც შენ ყვები, ეს სიზმარია, ავი ზმანებაა, უნდა დაივიწყო!

გიგა — როგორღა დავივიწყო? გოჩა რომ დავმარხეთ, კინაღამ ჭკუაზე შევიშალე... ალბათ, შევიშალე კიდეც!.. გოჩა ჩემი ძმაკაცი იყო, ჩემი კბილა, ერთად ავიღეთ ხელში იარაღი. ღონიერი, ჩაფსკვნილი, მაგისი მომრევი კაცი არ დაბადებულა და უცებ, წამში, ჩემს თვალწინ ნაფლეთებად იქცა... ძლივს აკრიფეს ბიჭებმა, ძლივს დამარხეს... მე კი მის საფლავზე თითქმის უგონოდ ვეგდე და თავი რომ ავწიე, ტყვე დავინახე... გოჩასნაირი ბიჭი, ოსი, ისიც ჩვენი კბილა... შავი თვალ-წარბი ჰქონდა, შიშისაგან პირისახე გასთეთრებოდა და ამიტომ უფრო მკვეთრად ჩამებეჭდა მეხსიერებაში მისი შავი თვალ-წარბი... ჩემში მოულოდნელად მხეცი დაიბადა, შლეგივით მივეჭერ, დანა დავარტყი და ამოვატრიალე. ხელზე ცხელი სისხლი გადმომესხა და ის სისხლი პირზე ჩამოვისვი... გიჟი ვიყავი, რა თქმა უნდა! მის თვალებში წამის წინ უსაზღვრო შიში კრთოდა, მერე თითქოს

რაღაც გაიყინა, ჩაკვდა... იქნებ თქმა ეწადა, მე რა დაგიშავეთო... მართლაცდა რა დააშავა? ალბათ ერთი უწყინარი, სოფლელი ბიჭი იყო და თვითონაც არ უწყოდა, რისთვის აიღო ხელში იარაღი. ისიც მოატყუეს, ტვინი შეურყვნეს, ორიენტირი დააკარგვინეს...

თამუნა — რა საშინელებაა!

გიგა — საშინელებაა? სიკვდილი იოლია, წამიერი ტკივილი და მეტი არაფერი! უარესია, როცა ცოცხალი ხარ, წინ მრავალი წელი გიდევს და მუდამ უნდა ზიდო დანაშაულის მძიმე ტვირთი... აღარ მძინავს, თვალწინ მუდამ იმ ბიჭის სახე წარმომიდგება, მისი თვალები მომჩერებიან. მათში არც შიში იხატება, არც სიძულვილი, არც საყვედური, უფრო მიტევება...

ლადიკო — მე თუ მკითხავ, ბიძიკო, ცუდი საქმე გიქნია. პლენი არ უნდა მოკლა, უნდა დაკითხო, სეკრეტები დააფქვევინო და თუ საჭიროა, უშენოდაც კარგად მიაკერებენ ტყვიას.

გიგა — გესმის, რას ამბობს? უნდა გავეცალო, თორემ მართლაც შემომაკვდება! ბამბურა, წამო, ერთად ვიაროთ, მეც შენნაირი ძაღლი ვარ!

(*უსტვენს. ძაღლის წკმუტუნი*)

თამუნა — გიგა, მოიცა!.. წავიდა!

გალინა სერგეევნა — ეხ, ვი, მუჟჩინი!

ჟორა — რა „მუჟჩინი“, რა, ვიღაც გიჟს თავი შევაკლა?

დარო — წავიდა და წავიდეს! გაგვიწყალა გული, აქაოდა ვიომეო და თავზე ხელი აუღია. ფუჰ, ეს რა ახალგაზრდობაა!

თამუნა — როგორ არ გესმით... როგორ არ გესმით...

დარო — რა უნდა მესმოდეს, შვილო, შენ არ იყავი, წუთის წინ შიშისაგან სული რომ კინაღამ გაგეპარა?

თამუნა — ბიჭს ტკივა, დარდი კლავს...

ლადიკო — მატრაბაზობს, მე თუ მკითხავთ!

დარო — შენ რა, ტირი?

თამუნა — ჰო, მეცოდება.

დარო — გადაგრევენ ეს ახალგაზრდები. ვინ გეცოდება, გოგო, მოკლული თუ მკვლელი?

თამუნა — მოკლულიც მეცოდება, მაგრამ აწი იგი ხომ ვერ გაცოცხლდება.

დარო — გამოდის, რომ მკვლელი უფრო გეცოდება?

თამუნა — ჰო, გიგა მეცოდება... იცით, იტანჯება და იმიტომ.

ელვირა — მკვდარს ვერ გააცოცხლებ, გოგოჯან, თორემ ცოცხალის საშველი ყოველთვის იქნება!

თამუნა — იმ ბიჭს ვერ გააცოცხლებ, მაშ საშველი რანაირად მოიძებნება?

დარო — წყლის ნაყვაა ამათთან საუბარი. უფროსის ნათქვამს ყურში არ შეუშვებენ, ჯიუტად მიერეკებიან თავისას... უჰ, მთლად გავიყინე! ნეტა რომელი საათია? ალბათ, მალე გათენდება!

თამუნა — თქვენი შვილი რომ იყოს, ასე იოლად არ განსჯიდით!

დარო — ჩემი შვილები მკვლელებად არ დამიზრდია. უმაღლესები დაამთავრეს, სამსახურები აქვთ, მაღლა დაფრინავენ...

ლადიკო — ტა-ტა-ტა, ჩემი ბიჭი, დარია ილინიჩნა, ხომ იცი, მოსკოვში საქმეებს ატრიალებს...

გალინა სერგეევნა — ჩემი შვილიც რუსეტშია, ტამ ტაკ ხოროშო, ისეტი ხელპასები აკვთ, კველაპერი იშოვება!

ელვირა — ერევანში წესრიგია, ნუ იტყვი... იქ დედამთილი მყავს, ქონში ბანაობენ. ჩემი ქმარი აფხაზეთში ომობდა და ვერ წავედით...

ჟორა — კაი სპალნია კი ჩამოიტანა...

დარო — ჩემი შვილის კაბინეტში რომ შეხვიდე... ოჰ, ოჰ...

თამუნა — თქვენ კი ამ ბნელი ღამით პურის რიგში იყინებით!

დარო — შენც კაი უზრდელი გაუზრდიხარ დედაშენს! უყურეთ, როგორ აიდგა ენა! მოეწონა ის ხულიგანი და აჭიკჭიკდა მის ჰანგზე!

ლადიკო — ახალგაზრდებს რას გაუგებ! ჩემს დროს ახალგაზრდას ასე ვინ დაალაპარაკებდა გოგოსთან! იტალიაში რომ გამაგზავნეს, იქაური მზეთუნახავები კისერზე მეკიდებოდნენ, მაგრამ იმათკენ არც მიმიხედია. აკრძალული გვქონდა, მა-აშ! ჩემს დროს ასეთ „მაკოცეზე“ ცხვირ-პირს დაგინაყავდნენ...

თამუნა — მაპატიეთ, მე თქვენი წყენინება არ მინდოდა. შეხედეთ, უკვე თენდება!

დარო — ასეთი გათენება რითი ჯობია ღამეს? სახლები

მკვდარ ჩონჩხებს გვანან, სინათლე არსად გაკრთება. ძაღლები სადღაც გაიფანტნენ, ღამე გვაწუხებდნენ, ახლა კი არ ჩანან... ცივა, ღმერთო ჩემო, ძვალ-რბილში გამატანა!

ლადიკო — შეშა გაგვითავდა, ნაკვერჩხალიც ჩანაცრდა.

ელვირა — აგერ თინაც გამოჩნდა, ჩემი კარის მეზობელი!

თინა — ელვირაჯან, რიგი დამიკავე?

დარო — შენ რომ ჩამოთვალე, იმ სახელებში თინა არ გიხსენებია.

ელვირა — როგორ არ მიხსენებია, ჩემ შემდეგ დადგებამეთქი.

გალინა სერგეევნა — ბესტიდნიცა! კველა ტავის ნაცნობს შეტენის!

ელვირა — ცოტა ჩუმად ილაპარაკე, რუსო, თორემ თმებს დაგაპუტავ, შენ აქ რუსეთი ხომ არ გგონია!

გალინა სერგეევნა — ჩტო ანა გოვორიტ, დაგაპუტებო?

ჟორა — ქალებო, დაწყნარდით, ჩხუბი სირცხვილია! აგერ თემურ მასწავლებელი მოდის. გამარჯობათ, პატივცემულო!

თემური — გამარჯობათ! ბოლო ვინ არის? გაკვეთილამდე პური თუ ვერ ავიღე... ისე, პედაგოგებს ურიგოდ ეკუთვნის...

ელვირა — ყველას რომ ურიგოდ ეკუთვნის, რიგში ვინ უნდა ჩადგეს?

დარო — ნეტავი გაჩუმდებოდე, მოაყარა აქ მთელი აღმოსავლეთი და თავის კანონებსაც გვიდგენს!

ელვირა — დედიჯან, შენ კი პარიზში გაიზარდე, აი!

თემური — საჩხუბრად არ მითქვამს, პურის გულისთვის გაკვეთილს ხომ ვერ გავაცდენ?

ელვირა — თორემ რაიმე ხეირს ასწავლით, აი!

ჟორა — სჯობია, დროულად დავდგეთ ჩვენ ჩვენს ადგილებზე, თორემ მერე ვერ გავარკვევთ, ვინ სადა დგას!

(*ჩოჩქოლი. ახალმოსულების ხმები*)

ხმები — ბოლო ვინ არის?.. — დაკავებულია?.. — მე ურიგოდ მეკუთვნის!.. — აუჰ, როგორ ცივა!.. — იქნებ პური სულ არ მოიტანონ, დენი თუ იყო ნეტავი?.. — პურის ქარხანაში იქნებოდა, იმათ პასტაიანო აძლევენ!.. — ლევად კი იყიდება ბაზარში და... — რა ფული კეთდება, რა ფული!.. — გავმათხოვრდით, ხელებგაწვდილნი დავდივართ!.. — დაიყიდა ქვეყანა ნაწილ-ნაწილ!.. — პრეზიდენტი რომ დაბრუნდება, პურიც გვექნება!.. — ამერიკას თურმე უთქვამს, ასეთი კაცი რომ გადააგდეთ, მეტის ღირსნიცა ხართო... — აბა, ქა!.. — ნეტავი შაქარს თუ დაგვირიგებენ, ბავშვებს ტკბილი ენატრებათ!.. — შაქარი არ ვიცი და, ამბობენ, მარგარინი რიგდებაო, ზოგან უკვე დაურიგებიათ!.. — პარლამენტში დაჭამეს ერთმანეთი, აქ კი შიმშილით ვიხოცებით!.. — ვისაც ავტომატი აქვს, ცხოვრებაც იმისია, დაყიდეს ქვეყანა!.. — ბოლო თქვენა ხართ? ნეტავი ყველას თუ გვეყოფა?

(*ამათში თანდათან ერთვება ბავშვების წამოძახილები*)

— სეროჟ!.. — ნიკა!.. — აქ დადექი!.. — იკა, გუშინ რატომ გააცდინე?.. — მამამ გაგლახა?.. — იმისი დედა, ბოზიშვილი ვიყო... — მოიტა რა, ჟვაჩკა!.. — ზედმეტი კუპონი არა გაქვს? თუ არა გაქვს, იშოვნე... — გიორგი, დედაშენი გეძებდა, ფული არ დაკარგოსო!..

ლადიკო — ნუ მიმაჭეჭყეთ, კაცო, მე პირველი ვარ!

დარო — დამაყენეთ ჩემს ადგილზე! ვერ ხედავთ, ფეხზე ველარა ვდგები! მიმიშვით ჩემს ადგილზე!

ელვირა — თინაჯან, მაგრად მომადექი, თორემ გამოგვაგდებენ!

თინა — მიდი, ელვირაჯან, აგერა ვარ!

ჟორა — აკი ვამბობდი, რიგში მეასე აღმოვჩნდები-მეთქი, ესაა ადამიანობა?

ბავშვების ხმები — მოდის!.. მოდის!..

(*მანქანის სუსტი ხმა, მერე ძლიერდება, თან აპიპინებს*)

ხმები — გაიწით!.. გზა მიეცით!.. არ ჩაუვარდეთ!.. დაიხიეთ, უკან დაიხიეთ!

მძღოლი — რიგი დაიცავით, ყველას გეყოფათ!

ბავშვები — სეროჟ, მიაწექი!.. ნიკა, სადა ხარ?.. გიორგი, არ დამეკარგო!..

გამყიდველი — ხალხო, გზა მოგვეცით!.. გასასვლელი გაათავისუფლეთ!.. პური შემომატანინეთ!.. გაიწიეთ, გაიწიეთ, თორემ სულ არ დავცლი და უკან გავაბრუნებ!.. სირცხვილია,

ბოლოს და ბოლოს!.. გზა გამითავისუფლეთ!..

ხმები — გაიწიეთ!.. მიაწექი!.. ჩემი რიგია!.. რიგი სადღაა?.. პური მომაწოდე!.. მხეცებო, მხეცებო!.. პუ-რი!.. რამ გადარია ეს ხალხი?.. პუ-რი!.. ყველას გეყოფათ, დაშოშმინდით!.. პური!.. პური!.. პური!..

თამუნა — (*სლუკუნებს*) ვაიმე, დედა, გამომაგდეს!

გიგას ხმა — პური მოსულა, პური!

თამუნა — (*ტირის*) ჩემი რიგი...

გიგა — თამუნა, განზე დგახარ?

თამუნა — ჰო!

გიგა — ტირი? გაწყენინეს ხომ, ამ ახვრებმა?

თამუნა — მოეშვი, გიგა, აღარ მინდა!

გიგა — მოვეშვა?.. მე ამათი ბოზი დედა... მიმიშვით, რიგი ჩემია! დიახ, წუხელ დავიკავე, პირველი ვიყავი!.. მიმიშვით, თქვენი... დაგბრიდავთ სუყველას!

ხმები — ვინ არის?.. გიჟია ერთი!.. ნარკომანია!.. გააგდეთ აქედან!.. პური!.. პური!.. მომაწოდეთ პური!..

გიგა — სადა ხართ, ბებრებო?! წუხელ არ დავიკავე რიგი?.. ჰეი, შპიონო, აქ არ ვიდექი შენთან?

ლადიკო — პირველი მე ვარ!.. მომაწოდეთ ჩემი პური!.. ძირს არ დამივარდეს!.. აგერ, კუპონი, დათვლილია... აგერ, ჩანთაც... გამატარეთ!..

დარო — ჩემი რიგია... ნუ მიმასრისეთ!.. პური ამაღებინეთ!..

გიგა — ძველო ნაბოზარო, აღარ გახსოვარ, ხომ?!

თამუნა — გიგა, შეეშვი! არ მინდა პური, არ მინდა!

ხმები — რიგი ჩემია!.. მე მეკუთვნის!.. გადმომაწოდე!.. პური!.. პური!.. პური!..

დარო — არ ვიცი ვინ ხარ, მე ჩემი პური მინდა!

გიგა — მიმიშვით-მეთქი, თორემ ვიღაცა მართლაც შემომაკვდება, აი, მოვიდა დანა!

(*ჩოჩქოლი, შიშიანი შეკივლება*)

დარო — დაგახლი ახლა ამ ჩემს „იმენნოის“! (*გასროლა. სიჩუმე*) ღმერთო ჩემო, მართლა გავარდა!

თამუნა — (*განწირული ხმით*) გი-გა!

გიგა — (*წყნარად*) ოჰ, თამუნა! მართლაც არ მომკლა ამ ძველმა ნაბოზარმა? რამდენი ვეძებე სიკვდილი და აი, სად წავაწყდი!.. თურმე როგორ არ მდომებია...

თამუნა — (*ტირის*) გიგა! ვაიმე, დედიკო! ხალხო, ვერა ხედავთ?

დარო — უბედურო ჩემო თავო, მეგონა შიგ ტყვია არ იყო... ვაშინებდი... ეს რა დამმართე, ბიჭო, რად ჩამაგდე ამ დღეში?

გიგა — ეჰ, დედილო, ტყვიის ღირსი ვიყავი და მივიღე კიდეც!

თამუნა — გიგა, ვაიმე, გიგა!

გიგა — პური ვერ აგიღე, გოგო!

(*მოქალაქეთა ჯერ სუსტი ხმები, რომელიც თანდათან ძლიერდება და სასოწარკვეთის კილოს იძენს*)

ხმები — პური გვინდა!.. პური!.. პური!.. პური გვინდა!.. პური!.. პური!..

ალმანახი „რიწა“, 1—2. 1996.

ეზე გალა ჩადის...

სამი დღე გავიდა უკვე, რაც გადარჩენილებმა მიტოვებულ ფერმას შეაფარეს თავი. ორი გრძელი შენობა სახურავახდილი და გაძარცული იყო. მონგრეულ კედლებს ეკალბარდები მოსდებოდა. სანეხვეზე ჭინჭარი და გვიმრა კაცის სიმაღლეს უწევდა. მხოლოდ სახბორეს არ აწვიმდა და მის ჭერქვეშ შეიყარნენ. ამასაც კარ-ფანჯრები ამოღებული ჰქონდა, რაც ამჟამად დანაკარგად არ ჩაითვლებოდა, რადგან სუსტ ნიავს ნესტი გაჰქონდა, თუმცა ალაგ-ალაგ იატაკი მაინც დაფუტუროებულიყო, ობის სუნი იდგა.

პირველ დღეს უთავბოლოდ ეყარნენ. ისე მოულოდნელად აეხვეტა ქარს, გონს ვერ მოდიოდნენ. დაღლილობა, შიში და ზაფრა, სიცოცხლის გადარჩენის სიხარული — ყოველივე ერთმანეთს გადაეწნა და არავინ იცოდა, რა მოემოქმედა, როგორღა მიეღო ბედის ეს დარტყმა... ცხადი ერთი რამ გახდა: ყველაფერი დაიკარგა — სამშობლო, სარჩო, იმედი! სახელდახელოდ, ნაჩქარევად ხელს გამოყოლილი მცირე ქონება — ფუთები, ცელოფნის პარკები, ტოპრაკები, წვრილი ხაბაკხუბაკი, სულის მოთქმის შანსსაც არ იძლეოდა... ღამე-ბნელში ნერვულ ცახცახს ვერ იოკებდნენ და გათენებას ელოდებოდნენ, რათა კითხვებზე პასუხი მიეღოთ.

მეორე დღეს თითო პური რომ ჩამოურიგეს, მაშინღა ძლივს გაიცნობიერეს, სიცოცხლის გარდა რომ არაფერი ებადათ, თუმცა არც ის იცოდნენ, რაში უნდა გაეხარჯათ ეს დარჩენილი სიცოცხლე. ამ აღგზნებულ გონებებს დაფიქრების ილაჯი აღარ შერჩათ, განსჯის წუთები ჯერაც არ დამდგარიყო, ჯერჯერობით გულიდან სისხლის ლეკერტებად ჩაგუბებული ბოღმა უნდა ამოერეცხათ... უმრავლესობა, უფრო კი ქალები, წყევლაკრულვით იოხებდა გულს, ისტერიული აჩემებულობით ყვებოდა საკუთარ უბედურ სვეზე, ერთის ნაამბობი ჰგავდა მეორისას და ცრემლს ეხსნებოდა ღარი, რადგან ცრემლში მწუხარება თითქოს ლბება, ცრემლის ნაკადს სიმწარე გამოაქვს... სხვათათვის სხვანაირი ბუნება შეურჩევია იღბალს, ამათ ტირილის ნიჭი წართმეოდათ, თვალებში ხურვება ედგათ, გულისგულში მეხი ჩაკირვოდათ, შურისძიების ღველფი ნელ-ნელა იფერფლებოდა და, ალბათ, ბოლომდე ვერასოდეს ჩაქრებოდა.

მესამე დღეს გაღმელმა ტარასმა, გვარად გაბედავამ, ხარი დაკლა. დიდი მდინარის ახლო სანახებში აძოვებდა პირუტყვს, გასაქცევად მოკლე გზა ჰქონდა, დროულად იგუმანა, უბედურება ახლოვდებაო და საქონელი გადმორეკა. ეგერ, ფერმის ეზოში მიმოფანტულიყვნენ დამშეული ძროხები, ლამისაა, მიწისპირიდან აძრობდნენ მწირ ბალახს და ფერდები ჩასცვენოდათ. ხარისათვის ვისღა ეცალა და ამიტომაც ჩამოკიდეს, გაატყავეს, აქნეს და ახლა უზარმაზარი, საარყე ქვაბი შემოედგათ ზედადგარზე, გუზგუზა ცეცხლი შეენთოთ. „ამ ცხოვრების ყოფა ვატირე, ვჭამოთ, სანამ არი!“ — გულს იმაგრებდა ტარასი, თუმცა თვალი უწყლიანდებოდა, სივრცეს დარდიანად გაჰყურებდა და, როცა მოხარშული ხორცი ჩამოატარეს, იქაურობას გაეცალა, მდინარის გადასახედზე, ჭადართან ჩამოჯდა... წყლის ზედაპირს ზოლებად დაჰყვებოდა ბინდისფერი, ვერცხლისფერი და სისხლისფერი, გაღმა ჩამავალი მზის სხივები ირიბად წვებოდა.

გამოღმელები მოვიდნენ, ქალები და კაცები, ზოგს პურები მოჰქონდა, ზოგს კარდალაში ჩაზელილი ცხელი ღომი, ორ ზორბა მამაკაცს კი ოცლიტრიანი ბოცა... მორიდებულად ირჯებოდნენ, თითქოს რცხვენოდათ, რომ თავად ჭერი ეხურათ და საკუთარ ლოგინებში ეძინათ... „ვახშამი, ვახშამი!“ — წაუმღერა ახალგაზრდა ხუხუტი დუნდუამ, რომელსაც იღლიაში ფანდური ამოედო, ერთადერთი ქონება, შინიდან რომ გამოჰყვა... ვისაც როგორ შეეძლო, ისე ინაწილებდა ლუკმას. ზოგს თეფში შეხვდა, ზოგს ქაღალდის ნაგლეჯი, ზოგი ცხელი ხორცის ნაჭერს პურზე იდებდა და სულს უბერავდა. ღვინო ჩამოასხეს, ჭიქებმა ჩამოიარა, გადარჩენილების სადღეგრძელო ითქვა, დაღუპულთა სული მოიხსენიეს, მთავრობაც გულიანად გალანძღეს და გრძნობამოჭარბებულმა ხუხუტიმ იყვირა, დუნდუამ:

— იმათი დედაც!.. ჩვენი ცრემლი და წუხილი იმათ ახარებს,

დავცხოთ სიმღერა და ტაშ-ფანდური!

თითები სიმებს ჩამოჰკრა, ააღულღუნა, აახმიანა და ოდნავ ჩახლეჩილი ხმა ააყოლა: „სახე სქვამი ჭყუნტურუა, გიშერიშა გიგუ თუმა...“ აგერ, ასეთი გოგოც, პირმშვენიერი, ქორფა-ჭყუნტურუა, გიშრისთმება... ლოყები შეუხურდება, თვალებს გან-გან წაიღებს და მიუმღერებს: „ბოშ, მუშენი მუკმახვილი, ჩქიმიცალი ბრელი რე...“ დიახაც, ლამაზო გოგო, შენისთანა ბევრია! ზოგი გადარჩება, ზოგი ვერა! ზოგს დარდი და მწუხარება შეჭამს, ზოგი სევდას არ შეეჭმევინება, ხელებს გაშლის, ცეკვა-ცეკვით ჩამოუვლის... გასკდით გულზე, ჩვენ ვართ, ჩვენ არ დავხოცილვართ!..

— ტაში, ტაში, ტაში!.. — გაჰკივის ხუხუტი, ლამისაა, ფანდურს სიმები დააწყვიტოს.

სიმღერა, ტაში, შეძახილები, ფეხების ბრაგუნი...

ხმები მიტოვებულ ფერმას სცილდება, გზა-გზა სუსტდება, მაგრამ გაღმეთს მაინც აღწევს, მავანთა ყურს სწვდება. უსახელო ლანდები ერთმანეთს გადახედავენ, გაკვირვებულნი მხრებს აიჩეჩენ და საღამოს ბინდში ქრებიან.

ტარასმა კენჭების ჩხაკუნი გაიგონა. წყლისპირას პისტიმ ჩამოიარა, მინჯიების ქვრივმა. შავი სატინის კაბა აცვია, გახუნებული და ფერგადასული, თმაც ასეთივე სატინის მანდილით წაუკრავს. ადრე ლამაზი და სხარტი დედაკაცი ახსოვდა ტარასს, მაგრამ, რაც გუჯა დამარხა და შვილის კვალი დაკარგა, უცბად ჩამოჭკნა, დაბერდა... ახლა კაცი ვერ შენიშნა, წყალთან ჩაცუცქდა, ხელები დაისველა და შუბლზე და საფეთქლებზე მიიდო.

ცივი და მღვრიე მდინარე დუნედ მიედინებოდა, ნაპირს სუსტი ტალღები ეთამაშებოდა.

ტარასმა ჩაახველა, ამოიოხრა:

— მღერიან!

— იმღერონ! — ხმადაბლა თქვა პისტიმ, ერთხანს იყუჩა, მერე დაუმატა: — პირუტყვი ნუ დაგენანება, მეზობელო, გულს ნუ იხეთქავ!

— ხარი კი არა, ოჯახი დავკარგე, შე ქალო! — იწყინა ტარასმა. — ზარალი არ მანაღვლებს მე, შვილივით ვზრდიდი, ჩემი ხელით ვაჭმევდი, დღეს კი ჩემივე ხელით დანა გამოვუსვი ყელში.

მზე ხის კენწეროებზე ჩამოიხა. სისხლი დასდინდა, ხეთა ჩაშავებული გრაგნილი კიდით კიდე წითლად შეიღება. წითელ ზოლს ერთგან კვამლის სვეტი ასცდა, ცისკენ აიწია.

— ვისი სახლია ნეტავ? — იკითხა პისტიმ.

— ჭყლორაიასი თუა? — ჭოჭმანით თავი გააქნია ტარასმა. — მკითხაობას რა აზრი აქვს, ყველას სათითაოდ გადაწვავენ.

— დანა ჩვენ თვითონ გამოვისვით ყელში, მეზობელო. — მანდილი შეისწორა პისტიმ, ჭაღარანარევი თმა შიგ დამალა. — მტერ-მოყვრის გარჩევა რომ გაგვიჭირდა, მაშინ გამოვისვით ყელში დანა. — დადუმდა, წყლის ლუკულუკს დაუგდო ყური, მერე ხმადაბლა თქვა: — აქ ვერ გავჩერდები, ამაღამვე უნდა დავბრუნდე... სახლს დავხედავ!

ტარასმა გამომცდელად შეხედა, არაფერი თქვა.

— ვიცი, რაც უნდა მირჩიო, მაგრამ მირჩევნია, იქ მოვკვდე, ჩემს ეზოში, გუჯას საფლავთან დავიმარხო. — პისტიმ მდინარის ვარკალა სივრცეს გახედა. — აწი მე სხვა მიწას ვერ გადავბარავ და ვერც გავთოხნი. სხვა ადგილს გული ვერ შეიყვარებს. თექვსმეტისა შევედი იმ ეზოში, დამავიწყდა კიდეც, რაც მანამდე იყო... ქალის სამშობლო ქმრის ოჯახია, ასეა ეს!

მზე თითქმის ჩაგორდა, ჰორიზონტის სისხლიანი ფერი თანდათან ჩაქრა, ჩაინავლა. წყლის ზედაპირს ჯერ ვერცხლი დაეფინა, მერე ბინდი ჩამოწვა. ცაზე ვარსკვლავები აჩახჩახდნენ.

გაღმა, შორს, ძალიან შორს ჩქარი კაკანი გაისმა.

— ისვრიან? — თავი ასწია ტარასმა.

იქნებ მართლაც ისროდნენ ან იქნებ ეჩვენებოდათ მხოლოდ, ბაყაყის კრუალი ფარავდა შორეულ ხმებს.

ფერმაში კვლავ ფანდურს აჩხაკუნებდნენ, ხმას აყოლებდნენ.

— მღერიან! — სევდიანად თქვა ტარასმა.

* * *

თვალი გაახილა. ბნელოდა, ფანჯრიდან ვარსკვლავიანი ცა ჩანდა. ისე ჩახჩახებდა, გათენებამდე, ალბათ, შორი არ იყო. მირიად ვარსკვლავეთში ერთი ერია, სხვაზე კაშკაშა — „ზვიადის ვარსკვლავი“. პატარაობისას იმისკენ იწევდა ხელს, თითქოს მოწყვეტას ლამობდა. ამიტომაც დაარქვა პისტიმ „ზვიადის ვარსკვლავი“. როცა ახედავდა, ეჩვენებოდა, ამით ზვიადს სალამს ვუთვლიო.

ჩაცმული იწვა და სამზადისი არ დასჭირვებია, ფეხებით უხმაუროდ მოძებნა დაბალქუსლიანი „ჩუსტიკები“... იატაკზე მიყრილ ადამიანებს ღრმა ძილით ეძინათ; უსიზმრო ძილით, როცა კაცი ყოველგვარი საწუხარისაგან თავისუფლდება და ღონეს იკრებს, რათა მომავალ დღეებს გაუმკლავდეს.

ეზო უჩუმრად გაიარა.

ვარსკვლავიანი ცარგვალი თავზევით ბრუნავდა, სუსტი, ბინდიანი ნათებით ავსებდა ეთერს.

ნელი ტყლაშუნი მოესმა. ნაპირთან მდინარე ბნელ ხაროს ჰგავდა, რაკი ჭადრების ფართო ვარჯებით იჩრდილებოდა. მოშორებით წყალი ოდნავ ლიცლიცებდა, გაღმეთი კი ბურუსში იკარგებოდა.

— მეზობელო! — ხმადაბლა გასძახა.

— აქეთ! — შეეპასუხა ტარასი.

პისტიმ ფრთხილად გასწია იქითკენ. ნაპირთან ნავი ქანაობდა. ბნელში ძნელი იყო რაიმეს გარჩევა. ხელის ფათურით მოძებნა ნავის ცხვირი, გადაძვრა და სკამზე დაჯდა.

წყლიდან სიგრილე მოდიოდა და პისტის გააჟრჟოლა.

— წავედით?

— წყნარად! მდინარეზე ხმა შორს ისმის! — შიშიანი ჩურჩულით უპასუხა ტარასმა.

ნიჩბები ფრთხილად მოუსვა.

უხმოდ მიცურავდნენ. წყლის ზედაპირზე ვერცხლისფერი ათინათები ირეკლებოდა, მსუბუქი ტალღა ტალღას მოჰყვებოდა და ჩქარ დინებას ნავი ქვევით მიჰქონდა.

წინ ავტომატმა გაიკაკანა, ალბათ, ძალიან შორს. ხმამ ღამის მდუმარებაში გამოაღწია.

ნაპირი ზვავივით ამოიზიდა. ცოტა ხანს ჩუმად ისხდნენ, ყურს უგდებდნენ. აქ არავინ იყო და ტარასი აჩურჩულდა:

— ვერც ვერაფერს დაგავალებ და ვერც ვერაფერს აგიკრძალავ. დროა ისეთი, ზოგი სიცოცხლეს იზოგავს, ზოგი იოლად წირავს. დიდი ჩაუქი ვინმე არც ადრე ვყოფილვარ, ახლა შიშმა მთლად დამაძაბუნა. შენ ქალი ხარ და კიდეც მჯობიხარ. ჩემს სახლთან თუ გაიარე, ცალი თვალით მაინც შეხედე და ამბავი მომიტანე.

— მხდალი რომ იყო, ამ ნაპირზე ვერ გადმოხვიდოდი. მადლობელი ვარ, რომ გაისარჯე! — უთხრა პისტიმ, ნაპირზე გადახტა და ნავს უბიძგა.

ტარასმა ნელა გაცურა. წყლის ზედაპირზე ნავი კარგა ხანს შავ ლაქად ჩანდა, მერე ბნელ სივრცეს შეერწყა.

პისტი ხაბოზე ავიდა და სოფლის თემშარას გახედა, წუთის სავალს იქით მიდამო ბურუსში იკარგებოდა.

ფრთხილად მიდიოდა, ცდილობდა, ღობის ჩრდილს არ გასცლოდა. სმენა გამახვილებოდა. მიტოვებული სოფლის მდუმარება შიშსა გვრიდა. შავად წამოყუდებული ოდა-სახლებიდან ჩქამი არ ისმოდა. ეზოში ძაღლი არ წკმუტუნებდა, ტოტებში ქათმები არ ყუტყუტებდნენ. ერთადერთი სტუმარი — მდინარის ამონასუნთქი თუ ფაჩუნობდა ფოთლებში.

ამ გზით დადიოდნენ ქალაქში გუჯა და პისტი. თავდაპირველად ცხენის ორთვალათი, სანამ კოლმეურნეობა ცხენს გაწყვეტდა. მერე ურმით, სანამ საძოვრებს ჩაი გადაუვლიდა. მოგვიანებით პისტიმ იყოჩაღა, აბრეშუმის პარკითა და ჩაის კრეფით ფული გამოიზოგა, იმდენი დაუგროვდა, წითელი „მოსკვიჩი“ გამოუვიდათ და გუჯაზე ადრე მანქანის ტარების ხელოვნებას ზვიადი მოერგო, დედისერთა ნებიერა... „მოგიკვდეს, სქუა*, დედა!“ — პისტიმ მჯიღი მკერდზე დაიკრა და ხმადაბალი სლუკუნი აღმოხდა. წამით შეჩერდა, მანდილის ბოლოთი უპეები

* სქუა (მეგრ.) — შვილო.

ამოიმშრალა და გზა განაგრძო. ვერა და ვერ დაიწყნარა გული, ვერა და ვერ ამოშრა მონატრება და იმედი... თექვსმეტისა იყო ზვიადი და უფრო მეტისა ჩანდა. ლაღად მხრებგაშლილი დადიოდა, შავი, ხუჭუჭა თმები ჯიუტ შუბლზე გადმოეყარა, „უჩა ბოში“* იყო, შავზე შავი თვალებით გოგონებს გულს უკლავდა. არც ჩხუბით იღლებოდა, არც სიყვარულით, ბევრი მეგობარი ჰყავდა, მტერიც უთვალავი. მისი სიცილი — კვიცის ჭიხვინი, ბაგეზე — გულღიაობა და სიამაყე... „შინ დარჩი, მაგ ავტომატის სიგრძისა არცა ხარ!“ — უბრძანა გუჯამ, თვითონ კი ამ დროს იატაკზე იჯდა, ფარდაგზე ნაწილ-ნაწილ დაშლილი ტყვიამფრქვევი ეწყო და ზეთით წმენდდა. ბიჭს ხმა არ ამოუღია, მაგრამ კოპი შეჭმუხნა, კისერი დაეძაგრა და პისტი მიხვდა, ამბოხი გარდაუვალი იყო. შიშმა შეიპყრო, ყველაფერი მოერღვა და ხმააკანკალებულმა შესთხოვა: „ცუდი სიზმრები მაქვს, სქუა, დაუჯერე მამაშენს!“ ოღონდაც, ახალგაზრდებს ცუდი სიზმრებისა არა სჯერათ, მოკლე წუთისოფელი უსასრულო ჰგონიათ! ზვიადის ამაყი სული ვერ იგუებდა განდგომას, იგი დედის კალთას ვერ ამოეფარებოდა, ღამებნელში გაუჩინარდა და აღარც დაბრუნებულა... „მოგიკვდეს, სქუა, დედა!“ ხმები მოდიოდა, ზვიადი უნახავთო, ხან ავტომატით ხელში, ხან ტანკზე მჯდომი, ხან ცხენს მიაჭენებდაო... მერე შავი ჭორი გაკრთა, სანგარში ყუმბარა ჩამოვარდა და ზვიადი ნაფლეთებად იქცაო... დედის გულიც ნაფლეთებად იქცა, მოკვდა. ალბათ, მართლაც მოკვდებოდა, მაგრამ მავანმა ფიცით უთხრა, ტყუილია ზვიადის სიკვდილი. ჩემი თვალით ვნახე, ბიჭებს გუმისთისაკენ მიუძღოდაო... ჭორი და მართალი ენაცვლებოდა ერთმანეთს, პისტის დაღლილი გულიც ხან კვდებოდა, ხან ცოცხლდებოდა და თანდათან მისი „უჩა ბოში“ სიზმრისა და ზღაპრის გმირად გადაიქცა, ნამდვილისა და მოგონილის ზღვარზე არსებობდა, მიწაზე დაიარებოდა და ზეცაშიც მიფრინავდა. „ზვიად, სქუა!“ — მლოცველის მზერით ახედავდ პისტი ლურჯი ცის თავანს, თითქოს იქ უნდა ეძებნა სამყაროში ლანდად განფენილი ძე...

ახლაც ვარსკვლავებით მოჭიქულ ზეცას ახედა პისტიმ,

* უჩა ბოში (მეგრ.) — შავი ბიჭი.

„ზვიადის ვარსკვლავი“ მოძებნა, პირჯვარი გადაიწერა და ფეხს აუჩქარა. უფალი მოწყალეა, იქნებ მისი ზვიადი ჯერაც ცოცხალია, იქნებ ისე შორს წასულა, უკან გზას ვერ იგნებს, ანდა ტყვედ ჩავარდნილა და ბორკილები ადევს, ან შურისძიების გრძნობით შეპყრობილი უსიერ ტყეებში მიმალულა და იარაღის დაგდებას არ აპირებს... ეჭვისა და იმედის ზღვარზე ცოცხლობს პისტი და ესღა აძლებინებს.

წინ ლანდი გაკრთა. პისტის გული გადაუქანდა, შეჩერდა. მაღალ ღობესთან იდგა და გასაქცევი გზა არსაით იყო. გრძნობდა, ფეხები ეყინებოდა. რა ძნელია სიკვდილი მაშინაც კი, როცა სიცოცხლე არაფრად გიღირს!

შარაზე რაღაცა მოძრაობდა, სიბნელეს თანდათან გამოეყო... ხბოსტოლა ძაღლი გამოჩნდა, ყრუ ღრენა აღმოხდა.

— რა გინდა, შე უპატრონო, რა გული გამიხეთქე! — ხმადაბლა უთხრა პისტიმ. ბოთვერა იყო, უზარმაზარ შავ გორგალს ჰგავდა. თვალები წყვილად უნათებდა, მაგრამ ღრენას წკმუტუნი გაურია და პისტი მიხვდა, ძაღლი კუდს აქიცინებდა.

— მოდი, მოგეფერო! — პისტიმ ხელი ბანჯგვლიან კისერში ჩაუყო, მოუალერსა. „ტაბაღუებისაა! — გაიფიქრა. — აქ დარჩენიათ ეს საცოდავი!“

გზა რომ განაგრძო, ძაღლი ცოტა ხანს აედევნა, მაგრამ საკუთარ ჭიშკარს ვეღარ გაშორდა, ერთი-ორჯერ შეუყეფა, ნუ მიდიხარო...

თითქოს უფრო ჩამობნელდა, ღამემ იგრძნო აღსასრულის მოახლოება და საწუთრო არ ეთმობოდა.

სულ მალე თემშარაზე უსაფრთხოდ ვერ ივლიდა. აგერ გერონტი ფეტელავას ჭიშკარს მიაგნო, ხელის ფათურით საგდული მოძებნა და გასწია. ჭიშკარმა მსუბუქად დაიჭრიალა. პისტიმ ფრთხილად გაიკეტა... ფეტელავები შეძლებულად ცხოვრობდნენ. კარ-მიდამო ისე იყო გაკრიალებული, ავ თვალს არ ენახვებოდა. სიღრმეში აღმართული ორსართულიანი ოდა-სახლით მთელი უბანი ამაყობდა. სახლიც და უბანიც ჯერჯერობით გადაურჩა განადგურებას. ახლა ბნელში გაყუჩებული ოდა თავისი მდუმარებით აფრთხობდა პისტის. ფეხაკრეფით გადაჭრა ეზო

და, ლაფაროს რომ ჩაუარა, უცბად ქვედა სართულის კარი ძალუმად მიჯახუნდა. პისტი კედელს აეკრა. მანამ ასე იყო მიწებებული, სანამ აჩქარებულ გულისცემას დაიოკებდა. „იქნებ გერონტი შინაა ან იქნებ ქურდია, გერონტიმ ხომ ვერაფერი გაზიდა!“ კარმა დაიჭრიალა და მეორეჯერ მირახუნდა. პისტის თითქოს დაარტყესო, ააკანკალა, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა. ცოტა ხანს იყუჩა... ისევ დაიჭრიალა კარმა და კვლავაც რახუნით მიიკეტა. „ფუი, ეშმაკს, ნიავი არახუნებს!“ — მიხვდა პისტი. ბოლომდე გულდაჯერებული არ იყო, ხელის ცეცებით იმ კარისაკენ წავიდა. ბნელში ისევ გაიჭრიალა კარმა და პისტი მისწვდა, შეაჩერა, ნელა მიხურა. კლიტეში ჩარჩენილი გასაღები ორჯერ გადაატრიალა და გაშორდა.

ჩქამი არ ისმოდა. ქუჩის ბოლოს შეჰყეფა ტაბაღუების ბომბორა ძაღლმა.

პისტი უკანა ეზოთი ბოსტანში გადავიდა. ფეტელავების დიასახლისს დომნიკას მუდამ სანაქებო ბოსტანი ჰქონდა. ვინ იცის, ვისი ნაშრომით აწი ვინ იხეირებდა. პისტი ვიწრო თირით მიიკვლევდა გზას, რათა უნებლიეთ ჩითილები არ დაეტკეპნა.

ბოსტნის მიღმა თხილნარი იყო, ოჯახის შეძლებისა და უბედურების წყარო, რაკი თხილი ოქროა, ოქრო კი შორიდან ბრჭყვიალებს და მომხდურს იზიდავს.

ძველი ნაშენი და კარგად გაზრდილი თხილნარი ჰქონდათ. სწორად გაწყობილ რიგთა ბოლოს დღისითაც ვერ მიაწვდენდი თვალს. ახლა კი მაღლა გაშლილ ტოტებში ვარსკვლავეთი ჩაქრა და ძირს მყუდრო უკუნი გამეფდა. პისტი ვერაფერს ხედავდა, გუმანით მიდიოდა. ხელები წინ გაეშვირა, რათა თხილის ამონაყარს არ გადაყროდა. ეგონა, გავშორდი ცხადს და სიზმრეთში მივცურავო. იმ სიზმრეთში ზვიადის ლანდი გაკრთებოდა ხოლმე, „უჩა ბოშის“ ხატებას მამის ლანდი ასდევნებოდა, არ შორდებოდა... „მოგიკვდეს, სქუა, დედა!“ — ფიქრობდა საწყლად პისტი... სიზმარში გუჯას ზვიადი თან მიჰყავდა, ცხადში კი გუჯა ზვიადის კვალმა გაიყოლია. „რა დროს შენი ომია!“ — ესღა შეჰბედა პისტიმ, გუჯამ კი მძიმედ შეხედა, თუმცა დაყვავებით კი უთხრა: „ზვიადი ომობს, მე კი შინ ვიჯდე, ქალო?“ დიდი კაცი

იყო გუჯა, ეზო-გარემოში ვერ ეტეოდა, სოფელი ეპატარავებოდა; მკლავებს რომ გაშლიდა, ალბათ, მთელ სამურზაყანოს შიგ მოიქცევდა, თუმცა სამურზაყანომ მხოლოდ მტკაველი მიწა მიუზომა. წავიდა გუჯა, შინ კი ტრაქტორის ლაფეტით დაბრუნდა, მისი ძლიერი მკერდი ტყვიას შეენგრია, მისი დაფლეთილი გული მეტს ვეღარ გულობდა, მის გაყინულ თვალებში ზეცა ცივად ისარკებოდა. იქნებ იქ, ზეცაში ერთად არიან მამა და შვილი, ან იქნებ, ღმერთი ხომ მოწყალეა, მამა ცად ავიდა და შვილი კი ჯერაც აქაა, ამ საწუთროში დააბიჯებს და დედისაკენ მომავალ გზას ეძებს.

სადღაც წინ კაკანი მოისმა. ეს მსუბუქი, მოკლე ჯერები ავტომატისა იყო, უფრო ძლიერი და უწყვეტი — ტყვიამფრქვევისა... უცბად აღმუვლდა, ხაფი ხმით აკივლდა. რა უნდა ყოფილიყო? ნაღმი, ჭურვი... იქ რაღაც ხდებოდა!

თხილნარის ბოლოს თითქოს თაღი გადაიხსნა. ცა უკვე გაბაცდა, ვარსკვლავებს ელვარება მოაკლდა. ცის კაბადონზე მიჭედილი ლურსმნის თავები გაქრა, მხოლოდ აქა-იქ თუ ანათებდა... „ზვიადის ვარსკვლავი“ აღარა ჩანდა.

ფეტელავების მამული მაღალი ძეძვით იკეტება, შავ გრაგნილად გადმომხობილა. აქ სადღაც საქონლის ბილიკია და ვიწრო კუტიკარი. აგერ ოდნავ გაცრიატდა გზატკეპნილი. იმის ბოლოს აკაციის ლარტყით შეკრული კარია. მავთულის რგოლი აქვს წამოცმული. პისტიმ რგოლი ასწია, კუტიკარი გააღო და ადგილზე გახევდა.

ჩაის ფართო პლანტაცია თეთრ ნისლოვანებაში იკარგებოდა. იმის მიღმა სიმინდის ყანა და ბაღ-ბოსტნები იგულისხმებოდა, მერე ოდა-სახლების გრძელი მწკრივი და სწორედ იქ, თვალსაწიერის მთელ სიგანეზე წითელი დაფიონი გიზგიზებდა.

— ვავა, ჩქიმიშენი*! — აღმოხდა პისტის.

აქამდე გულში იმედის ნატამალი მაინც ღვიოდა, იქნებ უბედურებამ გვერდი აგვიაროს, ამჯერადაც გადავრჩეთო. ახლა კი ველის კიდეზე ანთებულ კოცონებში მეზობელთა სახლები ამ-

* ჩქიმიშენი (მეგრ.) — ჩემო თავო.

ოიცნო — გერასიმეს სახლი, იპოლიტეს სახლი, გუგუჩის სახლი, გურამის სახლი, გამეგრელებული სომხის კარაპეტას სახლი, ტარასის სახლი („საწყალი ტარასი!“), პისტის სახლი... დიახ, მინჯიების სახლიც იწვოდა.

თექვსმეტისა იყო პისტი, ოცდაორი წლის გუჯამ აქ რომ ჩამოიყვანა. მანამდე ობოლს მამიდა ზრდიდა სამადლოდ. მთის მიყრუებულ სოფელში ცხოვრობდნენ, ორ ტყიან ფერდობს შორის რომ ჩამჯდარიყო, და ორიოდე აფხაზური ოჯახი რომ ემეზობლებოდა. მამიდა მალე გაშორდა წუთისოფელს და პისტიმ იქითკენ გზა დაკარგა, თუმცა მეხსიერებაში რამდენიმე აფხაზური სიტყვა შერჩა. ეს ღვთისკალთადაბერტყილი, გახასხასებული, ხილიან-მოსავლიანი ეზო გახდა მისი სამშობლო. თავდაპირველად ალიზით შეთხიპნილ ფაცხაში ცხოვრობდნენ. წლიდან წლამდე, კაპიკს კაპიკი დააწებეს, ხან აგური იყიდეს, ხან ცემენტი... ჯერ ქვედა სართული ამოშენდა, გაეწყო. წლების შემდეგ (ზვიადი უკვე ათისა იქნებოდა!) მეორე სართულიც წამოიმართა. დრომ ისე გაირბინა, თურმე კიდეც შეაბერდნენ ამ სახლის შენებას. ასეა ქართველი კაცის ცხოვრება, თავისი დღე და მოსწრება სახლის შენებას უნდება, მეტი ვერაფრისთვის იცლის... ხუთი წლის წინანდელ რბევას უბანი გადაურჩა, მაგრამ აგერ, ახლა პისტის თვალწინ იწვოდა და ნადგურდებოდა მთელი მისი ცხოვრების ნაშრომ-ნაჯაფარი.

ჩაის რიგები აქედან იქითკენ გაწოლილიყო და პისტი რიგთაშორის ბილიკს მიჰყვა. ჩაის მოსავლელად ვერავინ იცლიდა, მერამდენე წელია არც უკრეფიათ და ტყესავით იდგა, ბილიკიც დაევიწროებინა და, რაც დარჩა, ისიც სარეველას ამოევსო. დილის ჟვავმა ფეხები დაუსველა, თუმცა სიცივეს ვერა გრძნობდა. მზერა წინ, კოცონისაკენ მიემართა და ხმადაბლა წყევლიდა თავის მტერსა და მაოხარს. ბოლომდე ისე ჩაირბინა, ეგონა, წამმა გაიელვაო. ბინდი უკვე ილეოდა და ვერ გაეგო, რიჟრაჟმა მოაწია თუ ხანძრების ნათებამ სივრცე აავსო, ჰაერი თითქოს მხურვალედ გუგუნებდა.

— ვავა, ჩქიმიშენი! — ერთხელაც წამოიძახა პისტიმ

უცებ ავტომატის ჯერმა ხოშკაკალასავით მოაყარა, ტრასირებულმა ტყვიებმა ჰაერი წივილით გახაზეს. პისტი ჩაის ბოლოს, ბარდებში ჩაცუცქდა. მალევე მიხვდა, ამ რიბირაბოში ვერავინ შეამჩნევდა და ტყვიები მისთვის არ იყო გამიზნული. წინ ორმხრივი კაკანი ერთიერთმანეთს პასუხობდა. მინჯიების კარმიდამოს ირგვლივ შედლუხი გაემართათ და, ალბათ, გაცლა ჯობდა, მაგრამ ისევე, როგორც ჭირისუფალს უჭირს მიცვალებულთან გამოთხოვება, პისტისაც გაუჭირდა საკუთარი სახლის ნახანძრალის მიტოვება.

სროლა მოულოდნელად შეწყდა. მდუმარებას უკვე აღარაფერი არღვევდა. ცეცხლს შთაენთქა, რისი შთანთქმაც შეიძლებოდა, უხმო ბოლი ჯერ კიდევ ბოლქვებად მიიწევდა ცისკენ.

პისტი წელში გაიმართა, თხრილის ბოგირზე გადავიდა, კუტიკარი შეაღო და სიმინდებში შევიდა. თითქოსდა ღამებნელი კუტიკარის უკან დატოვა, წინ, მის ეზოში უკვე ნათდებოდა. სიმინდი წელამდე უწევდა, სუსტი შრიალით ეგებებოდა. გასათოხნი იყო. გაქცევამდე მოასწრო კუთხის გათოხნა და ის მხარე უფრო მუქი ჩანდა. დანარჩენს სარეველა მორეოდა. პისტი წაიხარა, ერთ-ორ ძირს ბალახი მოაცილა, მაგრამ ახლა ამის დრო არ იყო და ასევე წახრილმა განაგრძო გზა. ყანის ბოლოდან უკვე მიხვდა, სახლი არ არსებობდა, მაგრამ მომცრო ორთვალიანი სამზადი გადარჩენილიყო, ხანძარი ვერ მისწვდენოდა და ამისათვის უფალს მადლი შესწირა.

სულის მოსათქმელად შეისვენა, მიაყურადა. ნახანძრალიდან მსუბუქი ფშუტუნი ისმოდა, ნაკვერჩხლები იფერფლებოდა.

შორიახლო ლეღვს ტოტები გაებარჯღა, კარგ საბოსტნეს ჩრდილავდა და თავის დროზე მოჭრით დაემუქრა, მაგრამ გუჯამ დაუშალა, ეგ ლეღვი ზვიადს უყვარსო. ახლა იმის ჩრდილში რაღაც ამოძრავდა და შესაბრალისი ზმუილი მორთო.

პისტის გული შეუქანდა — „ძიკი, გოლუაფირო*, გადარჩი?“ ძროხას ბაწარი დამოკლებოდა, შიგ გახლართულიყო. ალბათ, შიშისაგან აქამდე ხმას ვერ იღებდა, ახლა კი პატრონს იმედიანად შეეხმიანა.

— სუ, სუ, ჩუმად! — ქედზე ხელი გადაუსვა პისტიმ, კისერ-

* გოლუაფირო (მეგრ.) — შემოგევლე.

ზე გადაეხვია და უცბად გული ამოუჯდა, ცრემლი ღაპაღუპით გადმოსცვივდა.

პირუტყვი თითქოს გრძნობდა პატრონის გასაჭირს, ხვნეშოდა და მორჩილად ელოდებოდა, თუ როდის ახსნიდნენ. არადა, ცური გატიკნოდა, რძე ძუძუს კერტებიდან წვეთავდა.

გონს მოეგო პისტი, თვალები ამოიმშრალა, მიმოიხედა... დღე დამდგარიყო.

ბაწარი ახსნა და ძროხა უკეთეს ადგილას გადააბა. ღობის გასწვრივ მაღალი, ლორთქო ბალახი ხარობდა და ძიკის ის ადგილი მიუჩინა, თან ეფერებოდა და ეჩურჩულებოდა.

— ახლავე, ძიკი, ჩემო კარგო, ჩემო ლამაზო!

ბოსტანზე გადაირბინა. პამიდორი მუხლამდე უწევდა, ყვითელი ყვავილები ესხა. ესეც გასათოხნი იყო. ასეთ დროს ყველაფერი ჩაწიკწიკებული ჰქონდა. ვინ დააცალა! ანდა რა დროს ბოსტანზე ფიქრია, სახლი ნასახლარი გახდა, კვამლის ბოლქვიც ჩაწყნარდა, სუნი დგას, გაძლება ჭირს, აქა-იქ მსუბუქად ბოლავს... დახედა და კვლავ ცრემლი მოაწვა, მაგრამ გული გაიმაგრა: „ნეტავი ზვიადი ცოცხალი მომცა და ყველაფერი ცეცხლსაც წაუღია!“ სამზადის აივანზე ვედროს დაავლო ხელი, ჭის წყალი გამოავლო, შიგაც ცოტა ჩატოვა ცურების ჩამოსაბანად და ძიკისაკენ შებრუნდა. ძროხა მორჩილი და თვინიერი ჰყავდა. მადლიერებით შეხედა პატრონს. პისტიმ ცურები ჩამოჰბანა, კერტებზე მოსწია და რძემ ვედროში ჩხრიალი დაიწყო.

წველიდა პისტი ძროხას, თან ათასი ფიქრი და საწუხარი ეძალებოდა — გუჯას საფლავი, ზვიადის გაქრობა, ოჯახის იავარქმნა, წეღანდელი შედლუხი... რას ნიშნავდა ეს სროლები და რას ნიშნავს ახლანდელი მდუმარება?

ვედრო თითქმის გაავსო.

— ჩუმად, ჩუმად, ნუ იხმაურებ! — ძიკის დაუბარა.

ძროხამ თითქოს გაიგო პატრონის სიტყვები, მშვიდად შეხედა და ბალახი გემრიელად მოძოვა, ცოტა ხნის წინანდელი შიში და განცდა უკვე დავიწყებოდა.

პისტი სამზადისაკენ გაემართა. რძეს დავაბინავებ და გუჯას დავხედავო, ფიქრობდა. გუჯა იქვე, ეზოში ემარხა. დრო იყო

ისეთი, მეზობელი სატირალში ვერ მოვიდოდა, ჭირისუფალი თავის მიცვალებულს სასაფლაოზე ვერ ააკითხავდა. „ჩამოვა ჩემი ზვიადი და მამამისს მერე გადავასვენებ!“ — მტკიცედ გადაწყვიტა პისტიმ. ბოსტანსა და წინაეზოს ტრიფოლიატის ღობე ჰყოფდა და იმ ღობის ძირას დამარხა პისტიმ გუჯა. მიწა მოასწორა, ზედ კოინდარი ახარა, რათა მტერსა და მაოხარს ვერ მიეგნო. ელოდა უკეთესი დროის მოსვლას, რათა მის ქმარს ქრისტიანული საფლავი ღირსებოდა. სამწუხაროდ, უკეთესი დრო ვეღარ დადგა და პისტის გული ეთანაღრებოდა, ვაითუ, თვითონაც ისე გამქრალიყო, შინ დაბრუნებული ზვიადისათვის ვერაფერი დაებარებინა.

სამზადის კარამდე მიაღწია. ვედრო ძირს დადგა, კარის სახელურს ხელი მოჰკიდა და ამ დროს ხმადაბლა დაუძახეს:

— დეი!*

პისტი სწრაფად შეტრიალდა.

იქვე, თუთის ძირას, მწვანე მოლზე ახალგაზრდა იჯდა, ზურგით ხეს მიყრდნობოდა. მუხლებზე გარდიგარდმო ავტომატი ედო, ძირს დაცლილი მასრები ეყარა.

ჯინსის შარვალი ეცვა, ჯინსის კურტაკი, იმის ქვეშ ნაცრისფერი პერანგი სისხლის უზარმაზარ ლაქას გაეჟღინთა.

— დეი! — ბაგე ძლივს შეარხია.

ჯაგარივით თმა ჰქონდა. მზისა და ქარისაგან გარუჯულ სახეს ახლა სიფითრე დასდებოდა. დიდრონ, თაფლისფერ თვალებში მუდარა ეხატა.

— დეი, წყალი!

— ახლავე, სქუა, ახლავე! — დაფაცურდა პისტი, ჭის წყალი მოურბენინა. პირთან მიუტანა, ხელი უკანკალებდა და წყალი ეღვრებოდა. დაჭრილმა ყლუპი ძლივს გადაყლაპა.

— დეი, არ გამყიდო, იცოდე! — ჩურჩულით შესთხოვა.

— ვაი, ჩემს თავს, უბედურს, რას ამბობ, სქუა! ნუ გეშინია, ახლავე გიშველი რამეს!

პისტიმ ავტომატი განზე გასწია, დაჭრილი გამოცოცხლდა, თვალი გააყოლა.

* დეი (მეგრ.) — დეიდა.

— ეე, იარაღი!

— აგერაა შენი იარაღი, არ დაგეკარგება! მისმინე, გოლუ-აფირო, ეზოში შენი დარჩენა არ შეიძლება, ვინმე თვალს მოგ-კრავს!

ზურგიდან იღლიებში ხელები შეუყო, წამოყენება მოუნდომა.

ძვალმსხვილი და მძიმე იყო, ვერც მოერეოდა, მაგრამ დაჭ-რილმა თავს ძალა დაატანა, თან ავტომატიც დაითრია, დაეყრდნო.

პისტი იღლიისქვეშ შეებჯინა.

— აბა, ყოჩაღად, ნაბიჯი გადავდგათ!

— მე გია მქვია, ალშიბაია! — თქვა უცებ ახალგაზრდამ.

— აფხაზი ხარ, ბიჭო? — ეჭვით ახედა პისტიმ.

— აფხაზების დედა ვატირე! — კბილები დააღრჭიალა გიამ. — დავბრიდე ყველანი! იმათ მკვდარი ვეგონე, მე კი ჯერი მივუშვი!

პისტიმ არაფერი ჰკითხა. დაჭრილს მოძრაობა უჭირდა, ზოგჯერ გონს კარგავდა და ქალს მთელი სიმძიმით აწვებოდა. ძლივს მიაღწიეს სამზადის კარამდე, ძლივს გადალახეს დაბა-ლი ზღურბლი.

გუჯამ თავის ხელით ააშენა ეს სამზადი, აგურ-აგურ ააწ-ყო. პატარა სამზარეულო და მოხერხებული საძილე გამოუვი-და. მაშინ რა იცოდა, ომი თუ მოვიდოდა. რაც ქვეყანა აირია, გუჯა აქ იძინებოდა. მერე პისტიც ჩამოვიდა. ოდა მაღალი იყო, შორიდან ჩანდა, სამიზნედ გამოდგებოდა. სამზადი კი მოფარ-ებულში იდგა, ზევიდან ხეხილის ტოტები იცავდა. მომხდურს სიხარბეს ვერ აღუძრავდა, უკანა კარიდან სიმინდებში გაქცე-ვაც ესწრებოდა.

ძველი ყაიდის რკინისზამბარებიანი წყვილი საწოლი იდგა აქ. ადრე კარგ შენაძენად ითვლებოდა ეს საწოლები. მერე მოდა შეიცვალა. გერმანული საძილეები იყიდეს და ოდა იმით დაამშ-ვენეს. რკინის საწოლები გადასაყრელად ვერ გაიმეტა გუჯამ და აქ ჩამოიტანა.

პისტიმ დაჭრილი საწოლამდე მიიყვანა. გია უღონოდ გაიშხ-ლართა, ავტომატი ძირს დაუვარდა, ზამბარებმა კი საცოდავად დაიჟღრიალა. აჩქარებით სუნთქავდა, მთლად გადაფითრდა.

კურტაკის ღილები შეუხსნა პისტიმ, დიდი წვალებით გახა-და. სისხლიანი პერანგი დანით შეაჭრა. ჭრილობა გამჭოლი იყო, სისხლი უკვე შეხმობოდა. გია ყრუდ კვნესოდა, გონს მოდიოდა და უმალვე უფსკრულში იძირებოდა. პისტიმ ზეწარი ნაჭრებად დაფხრიწა. ნაჭრილობევი არყიანი ჭინჭით მოწმინდა. ადრე, ალ-ბათ, სისხლის დანახვაზე გული შეუღონდებოდა, მაგრამ გა-ჭირვებამ ბევრი რამ ასწავლა და ჭრილობა მტკიცედ შეუხვია.

— დაიძინე, დაიძინე, მე კი რძეს მოგიდუღებ!

გიამ თითქოს ჭიდან ამოიხედა, თვალი გაახილა და შეშინებ-ულმა შესთხოვა:

— დეი, არ დამტოვო!

— აგერა ვარ, სქუა, ნუ გეშინია, შენი ტოლსწორის დედა ვარ, ჩემს ზვიადს ვენაცვალე!

— ზვიადი, ზვიადი... — გაიმეორა გიამ. — ბევრი ზვიადი შემხვედრია.

— ცოცხალი ნახე? — სულსწრაფად შეეკითხა პისტი.

— ზოგი ცოცხალია, ზოგი დაიღუპა... — ახალგაზრდის ფიქრები სხვა მხარით ქროდა, მოჩვენებებს ეჩხუბებოდა, ნიშნს უგებდა. — ხომ დაგბრიდეთ!.. ჩემი მოკვლა გინდოდათ, მე კი დაგასწარით...

— გია, სქუა! — შუბლზე ხელი დაადო პისტიმ, სიცხიანი იყო და ქალის ხმა, ალბათ, არც გაუგონია.

— ჩემი კვალი აიღეს, მოსაკლავად დამედევნენ, მე კი ჩავუ-საფრდი და ჯერი მივუშვი, სამივე მივაწვინე... ერთმა დამასწრო და, აჰა, როგორ მატკინა... მატკინა...

— იძინე, იძინე, მე კი რძეს მოგიდუღებ! — უფრო საკუთარ თავს ეუბნებოდა პისტი. — დაღამებამდე როგორმე გავძლოთ. ვინ იცის, ტყვიამ რა ქნა? ექიმია საჭირო!

რძე ქვაბში გადაწურა. ნახანძრალისკენ წაიღო, თავისი ლა-მაზი ოდისაკენ, რომლისგან მხოლოდ ქვედა სართულის ჩაშავე-ბული, სიცხისაგან დამსკდარი კედლები დარჩენილიყო. მინჯიე-ბის ნაჯაფარი — გერმანული საძილეები და კარადა, მოსკოვუ-რი პიანინო (ზვიადი უკრავდა ხოლმე!), ჩეხური სერვანტი,

ფაიფურის ჯამ-ჭურჭელი, დივანი და სავარძლები, მატყლის ლეიბები და საბნები (ზვიადის ქორწილისათვის გამზადებული!), ნოხები და ხალიჩები, ჭაღები და ზვიადის სამეცადინო წიგნები... ყველაფერი დაიფერფლა, გაქრა, მაგრამ ახლა ამისი წუხილის დრო არ იყო, ჯერ კიდევ ნაკვერჩხლები ღვიოდა და რძის ქვაბი შიგ ჩადგა... ნახანძრალის მხურვალებამ პირისახე აუწვა, გამოაფხიზლა, თავი ასწია და ჭიშკართან დაინახა ის სამი „დაბრედილი“ — გუჯას უხილავი საფლავის სიახლოვეს ეყარნენ სამივენი.

ერთხანს გარინდებული იდგა, მერე ნელ-ნელა წაჩოჩდა იქითკენ. გული გამალებით უცემდა, საფეთქლებს ტკივილი აწვებოდა. რამდენი ტვირთი უნდა ეზიდა პისტის გულს ამ ერთი გრძელი დღის მანძილზე, კიდევ რამდენ შიშსა და თავზარდაცემას გაუძლებდა იგი?

ერთმანეთისაგან ხელის გაწვდენაზე დაცვენილან. ტყვიას არც ერთი ეპუებოდა, მან კი სამივე მონახა.

ყველაზე უფროსი, ქერათმიანი ვაჟკაცი გულაღმა ეგდო. ცისფერი თვალები ფართოდ დაეჭყიტა, შიგ სიცოცხლე ჩამკვდარიყო. სწორი თმა უკან, ბალახში გადაეყარა. მკლავები ფართოდ გაეშალა, თითქოს აფრენა სწადიაო. მარჯვენათი ხელის ტყვიამფრქვევი ჩაებღუჯა, დათმობას არ ეპირებოდა. რუსი კაზაკი იყო, ალბათ. საშოვარზე ჩამოსული, აქ კი მხოლოდ სიკვდილი იშოვა.

მეორე, შავტუხა კაცი (სომეხს მიამგვანა პისტიმ) მარჯვენა მხარზე იწვა, ფეხებმოკეცილს ავტომატი გულში ჩაეხუტებინა. გრძელი, ცნობისმოყვარე ცხვირი ბალახში ჩაერგო, თითქოს აკვირდებოდა, ეს რა ჭიანჭველა მოცოცავს ბალახის ღერზეო.

ყველაზე ახალგაზრდა, ჩვიდმეტს ოდნავ გადაცილებული ყმაწვილი მკერდით გაწოლილიყო, პირისახე ბალახში ჩაერგო, წაბლისფერი თმა კინკრიხოდან წინ გადაცვენოდა. გამხდარი, მოსხლეტილი ტან-ფეხი ჰქონდა, ბავშვურად წვრილი კისერი. სირბილის დროს კაცს რომ ფეხი დაუცდება, ისე იყო გაჭიმული. ავტომატი ხელიდან გავარდნოდა და ლულით მიწა მოეჩხვირა.

— თქვან დიდაში ცოდა,* ნანა! — გულჯავრიანად წამოიძახა პისტიმ და პირჯვარი სამჯერ გადაიწერა.

ოღონდაც, მოთქმა-ტირილის დრო არ უყო. რაღაც უნდა ეღონა, რაღაც უნდა მოემოქმედა! მაძებარი თუ მოაგნებდა, ეზოს კოინდარიც ვერ გადარჩებოდა... ან უპატრონო ღორი შემოეხეტებოდა და გვამებს დაჯიჯგნიდა...

ვაი-ვიშს თავი გაანება, ნახანძრალისაკენ გაბრუნდა. რძე უკვე მაღლა იწევდა, ქვაბის კიდემდე ამოსულიყო. სამზადში შეარბენინა, ჭიქაში ჩაასხა, გასაგრილებლად სული შეუბერა და გიას დახედა.

დაჭრილს მშფოთვარე ძილით ეძინა, შუბლზე ოფლის წინწკლები დაყროდა.

პისტიმ ნაჭრით შეუმშრალა. გია მხოლოდ შეიშმუშნა, ძილს თავი ვერ დააღწია. რძე იქვე, ტაბურეტზე დაუდგა, თვითონ კი საჩეხიდან ბარი გამოიტანა.

ტრიფოლიატის ღობესთან, გუჯას ფერხთით დაკრა ბარი მიწას, სამარხის გათხრას შეუდგა, თან ხმადაბლა ტუტუნებდა.

— ვო, გუჯა, სი უხანე,* ნუ გამიჯავრდები!.. ამ კაცებსაც დედები ჰყავთ, ალბათ, ცოლ-შვილი ელოდებათ... ადრე მტრები იყვნენ, ახლა მხოლოდ მიცვალებულებია... ნუ, ნუ გამიჯავრდები! სიკვდილის შემდეგ მაინც უნდა შერიგდეთ, იმქვეყნად არც ტყვია-წამალია, არც თოფ-დამბაჩა... უხანე, უხანე, ჩქიმი გუჯა!

დაახლოებით ასეთ სიტყვებს მოთქვამდა პისტი, თან სამარეს ბეჯითად თხრიდა. მოწითალო მიწა, დიდი მდინარის მოტანილი ლექი, რბილი და მორჩილი, ნოყიერი და მოსავლიანი, თავის წიაღში უდრტვინველად მიიღებდა ყოველს, მტრად მოსულსაც, რადგან დაღუპულთა სულებს მტრობა აღარ ძალუძდათ, ისინი, ალბათ, უკვე უფლის სასამართლოს წინაშე იდგნენ.

დრო სწრაფად გადიოდა. მზემ ხეთა კენწეროებს აასწრო, გადამწვარი სოფელი გაანათა, დაცარიელებული ეზო-კარები, უკაცრიელი ორღობეები სინათლით აავსო... დაცხა...

პისტიმ შეისვენა. სამზადში დაჭრილს დახედა. გიას ისევ ეძი-

* თქვან დიდაში ცოდა (მეგრ.) — საცოდავი დედათქვენი.
* სი უხანე (მეგრ.) — შე უდროოდ (გარდაცვლილო).

ნა. ძილში კბილებს აღრჭიალებდა, ბოდავდა. სიცხის ალმური ასდიოდა. პისტიმ ბოსტანში ნაზამთრალ კეჟერას ფოთლები შეატეხა და სიცხიანს შუბლზე დაადო.

გიას სიგრილე ეამა და ძილი განაგრძო.

ქალი კვლავ ორმოს მიუბრუნდა. ფართოდ თხრიდა, სამივეს სამყოფს. მომხდურნი იყვნენ, მაგრამ მაინც ადამიანის ძენი ერქვათ. საფლავის ღირსი კი ყველაა... დადგება, ალბათ, მშვიდობიანი ჟამი, გამოჩნდებიან ამათი მოკეთეებიც, წაასვენებენ თავიანთ დედებთან, რადგან დედა ყველგან დედაა, ამათ უბედურ დედებს კი, ალბათ, აღარცა სძინავთ, ცოცხალი შვილები ელანდებათ.

გუგუნი მოისმა. პისტი მსხლის ტოტებს შეეფერა. თავზევით გადაიგრიალა რუსულმა ვერტმფრენმა. ღია კართან მჯდომმა რუსის ოფიცერმა ბოლო წუთს პირი მიაბრუნა, ეტყობა, თანამგზავრს რაღაცა გადაულაპარაკა და ამიტომაც ვერ შენიშნა ეზოში დაყრილი გვამები და ტრიფოლიატის ღობესთან გათხრილი სამარე.

კარგა ხანს ისმოდა გუგუნი, თანდათან სუსტდებოდა. პისტიმ კაზაკს ხელი ფარაჯაში წაავლო და შეეცადა გამოეჩოჩებინა. მიცვალებული ლოდივით მძიმე და ყინულივით ცივი იყო. ქალმა უღონობისა და შიშისაგან ტირილი მორთო, მაგრამ ცრემლი ვერას უშველიდა. კაზაკი ჯიუტად არ აპირებდა ადგილიდან დაძვრას, არ ენება ფართოდ გაშლილი მკლავების მოხრა და რაც მთავარია, ხელის ტყვიამფრქვევს არ ეშვებოდა, თან მიჰქონდა სამარეში.

— ვო, გუჯა, უბედურიში გინარჩქინა,* მე რაღად შემატოვე ამ ჯოჯოხეთს!.. — თავისთვის მოთქვამდა პისტი, სლუკუნებდა, თან კაზაკის ჭრელ ფარაჯას ჩაფრენოდა და ცოტცოტაობით, ძალისძალათი მოაჩოჩებდა. ორმაგი ოფლი გადაასკდა შუბლზე. თითები გაუშეშდა, ეგონა, ტვირთის სიმძიმეს ვერანაირად დავძლევო, მაგრამ მაინც შეძლო შეუძლებელი, თხრილის კიდემდე მიათრია, ტყვიამფრქვევიანი მარჯვენა აუწია და კაზაკი გადაყირავდა, არცთუ ღრმა ხაროში თავდაღმა ჩავარდა.

— უბედური დიასქანი,* რუსო! — ჩურჩულებდა მიწაყრილზე წუთით ჩამომჯდარი პისტი. — ვინ იცის, როგორ მოგელის,

* უბედურიში გინარჩქინა (მეგრ.) — უბედურებაში გაჩენილო.
* უბედური დიასქანი (მეგრ.) — უბედური დედაშენი.

შენ კი სად გადაიხვეწე და ვისი ტყვია მოგეწია!

დრო ერეკებოდა და ახლა მეორე მიცვალებულს მიაშურა პისტიმ. შავტუხა უფრო მსუბუქი აღმოჩნდა, მაგრამ ისე მოკრუნჩხულიყო, ვერა და ვერ გააშლევინა ხელ-ფეხი.

— დედაშენმა რაღა ქნას, სომხის ბიჭო, სხვის ქვეყანაში რად იკლავდი თავს! — ახლა ამას ეტუტუნებოდა, თან მიაჩოჩებდა და ბოლოს კაზაკის გვერდით ჩააგდო.

— შენს სახელს ვენაცვალე, ღმერთო, მაპატიე, რომ ასე უდიერად ვეპყრობი მიცვალებულებს, ღონე აღარ მყოფნის მე უბედურს! — პირჯვარი გადაიწერა პისტიმ და ახლა მესამესთან, თავდაღმა დამხობილთან მივიდა, ამოაბრუნა და მოულოდნელად მიცვალებულმა ამოიკვნესა:

— ნან!*

წამით შეჩქვიფდა პისტი. ბიჭი მშველელად დედას უხმობდა... იქნებ ზვიადიც ასე იწვა უგონოდ, ისიც დედის სახელს ახსენებდა, ეძახდა.

„ვინა ხარ, პატარა ბიჭო? ვინ მოგაშორა დედის კალთას? იქნებ შენ იდექი ჩემი ზვიადის პირისპირ, იქნებ შენმა ნასროლმა ტყვიამ წამართვა?.. ოჰ, ზვიად, სქუა, ჩქიმი უჩა ბოში!“

ამ არეულმა ფიქრმა ელვის უსწრაფესად გაირბინა ქალის ტვინში, მაგრამ პერანგის ღილებს უკვე უხსნიდა. ამასაც, გიასავით, სისხლიანი მაისური ტანზე მისწებებოდა. სუსტად სუნთქავდა, მწყაზარი პირისახე სისხლისაგან დასცლოდა... ნიკაპსა და საულვაშეს პირველი ღინღლი მოსდებოდა.

პისტი სამზადისაკენ გაიქცა, ჭინჭებსა და არყიან ბოთლს დაავლო ხელი.

— რა მოხდა? — იკითხა უცებ გიამ.

თვალი გაეხილა, ეჭვით ათვალიერებდა.

— გაგაღვიძე, გოლუაფირო? უკეთა ხარ? აგერ, რძე დაგიდგი!

— ვინა ხარ?

— მასპინძელი! პისტი მქვია! აგერ, რძე დალიე და ისევ დაისვენე. დასვენება შენთვის მარგებელია!

* ნან (აფხ.) — დედა.

თავქვეშ მკლავი ამოუდო, თავი აუწია და ჭიქა პირთან მიუტანა, ყლუპ-ყლუპ დაალევინა.

გიამ ამოიოხრა, ბალიშზე თავი მიდო და თვალები მილულა.

— დაიძინე, დაიძინე! — ჩასჩურჩულა პისტიმ და ოთახიდან გაფარფატდა.

ორმოში ჩაყრილ კაცებს თვალი აარიდა, დაჭრილთან ჩაჯდა. ბიჭი წელანდელივით ძლივს სუნთქავდა.

პისტიმ მაისური შემოახია. ორგან მოხვედროდა ტყვია. მიმხმარი სისხლი და ჭრილობები არყით მობანა. ისეთი გამხდარი იყო, ნეკნები დაეთვლებოდა. მკერდზე მსუბუქი ბუსუსი ეყარა, ძუძუს ორი ბიჭური კერტი, ოდნავ ამობურცული კუნთები — ეს ადრინდელი ზვიადის გულმკერდი იყო, სანამ იგი დავაჟკაცდებოდა, კაცად იქცეოდა — „ენაცვალოს დედა!“

თავის ყურუშ სიკვდილეთში, ალბათ, ტკივილმა ჩააღწია, ბიჭმა კვლავ ამოიკვნესა:

— ნან!

„ჰო, დედა ვარ, ზვიადის დედიკო!.. ვინ იცის, იქნებ ისიც ნატყვიარი წევს და დედაშენი უვლის... ზვიად, სქუა, მოგიკვდეს დედა!“

ჭრილობები მტკიცედ შეუხვია. იღლიებში ხელები შეუყო, წამოსწია, მკერდზე გადმოიწვინა. კისერთან ბიჭის სუნთქვა იგრძნო... მოეჩვენა, თითქოს თავის ზვიადს იხუტებდა, მისი სუნთქვა ელამუნებოდა კისერზე. კვლავ ცრემლი მოეძალა, მაგრამ ცრემლი ღონეს აცლიდა და თავი შეიკავა. წამოიმართა და დაჭრილი ბიჭიც აიყოლია, ასევე ჩახუტებული წამოიყვანა... უგონოს ფეხები მდელოზე მოსთრევდა, კვნესა აღმოხდებოდა და თავის დედას ჭირვეულად უხმობდა:

— დია, იან!*

— ნუ გეშინია, მეც დედა ვარ, დაწყნარდი, დაწყნარდი! — ჩასჩურჩულებდა პისტი.

ასე მიაღწია სამზადამდე, მეორე საწოლზე წამოაწვინა. ფეხებზე ბოტასები გააძრო, შარვალი გახადა. ბიჭს თეთრი, ქათქათა ბარძაყები ჰქონდა, დედიკოს შვილობა ეტყობოდა. პირველად თუ გავიდა შინიდან — ამათ ასაკში ხომ თოფს ეთამაშებიან, სიკვდილი ეიოლებათ.

* დია, იან (აფხ.) — დედა, დედიკო.

გიასკენ მოიხედა. შფოთიანი ძილი შებრუნებოდა, ოხრავდა, კბილებს ახრჭიალებდა, სიზმრის ომს განაგრძობდა სიზმრის მომხდურებთან.

„იქნებ მეც სიზმარში ვარ!“ — ფიქრობდა პისტი. ალბათ, მთელი საუკუნე გავიდა იმ წუთიდან, როცა დიდი მდინარე გადმოცურა, რათა საკუთარი სახლის ნახანძრალი ეხილა, მზე კი მხოლოდ შუბისტარზე ავიდა, ჩრდილები დამოკლდა, ჰაერი დაიხუთა.

როგორღა უნდა მოევლო ორი მძიმედ დაჭრილისათვის, ეს თვითონაც არ იცოდა, მაგრამ ის კი იცოდა, რომ ორი დაღუპულის კვალი დროზე უნდა გაექრო.

ძიკის ზმუილი მოესმა. ძროხას, ალბათ, მზე მიადგა. პისტიმ ახლა იმას მიაშურა. ძიკის ბაწრის სიგრძეზე ბალახი წმინდად მოეძოვა და პირს სიმინდისაკენ იშვერდა.

პისტიმ ძროხა სხვაგან გადააბა, მზერა ყანას გადაავლო. „გასათოხნია!“ — თავში გაუელვა და ეზოში შებრუნდა. საჩეხში მიგდებული ძველი ჭილობი წამოათრია, მიცვალებულებს გადააფარა. მიწა სწრაფად მიაყარა, მოასწორა. მორჩენილი ბოსტანში გაზიდა. ახალ საფლავზე დამტვრეული ტოტები დაყარა შესანიღბად.

„მაპატიე, გუჯა!“ — ერთხელაც მოუბოდიშა ქმრის სულს.

კვლავ გადაიგუგუნა ვერტმფრენმა. პისტი ჩრდილში გაჩერდა და იქიდან უყურებდა. ვერტმფრენი სამზადის თავზე დაეკიდა, ნელა შეტრიალდა. პისტი მიხვდა, ძიკი შეამჩნიეს. ღია კართან გადმომჯდარმა კაცმა ავტომატი გადმოიღო, დაუმიზნა. პისტის უნდოდა ჩრდილიდან გამოსულიყო, შეეძახა, მაგრამ დაჭრილები გაახსენდა და თავი შეიკავა... იმ კაცმა ავტომატი უკან წაიღო, ვიღაცას სიცილით გადაულაპარაკა. ვერტმფრენი შექანდა და გაფრინდა.

შვებით ამოისუნთქა პისტიმ. ნახანძრალთან შეყოვნდა. ნაკვერჩხლები თითქმის ჩაფერფლილიყო. მსუბუქი ბოლი ფოფინობდა აქა-იქ. ნემსის საღირალი არაფერი დარჩა, ესაა, ერთი ქვაბი რძე წამოადუღა. გაახსენდა, რომ დღეს პირში ლუკ-

მა არ ჩასვლია, დაჭრილებსაც რძეს თუ დაალევინებს...

სამზადის კარს რომ მიუახლოვდა, ზამბარის ჭრიალი მოესმა. გიამ შეიგინა.

პისტი სწრაფად შევიდა.

გიას თავი ბალიშიდან აუწევია, თვალები უელავს... მეორე საწოლზე მიგდებული დაჭრილიც გონს მოსულა, გაკვირვებული აქეთ-იქით იყურება. გიას ბრაზიან მზერას რომ წააწყდა, შიში დაეტყო. ამასაც თაფლისფერი თვალები ჰქონდა.

— ია ანჩვა!* — უნებლიეთ ღმერთი ახსენა.

— პისტი-დეი, ეგ ვინ მოგითრევია?! — მღელვარებისაგან გიას ტკივილები დაავიწყდა. — ეგ ხომ დავბრიდე!.. ორი დანარჩენიც!.. გადარჩენილა ეგ ძაღლთაპირი! მაგისი დედა... მოიტა ავტომატი! სადაა ჩემი ავტომატი?

ავტომატი აქამდე საწოლის თავზე ეკიდა, პისტიმ ჩამოხსნა და უფრო შორს, კუთხეში მიაყუდა.

გიამ განცვიფრებით გააყოლა თვალი.

— აფსუას იცავ, ჩვენს მტერსა და მოძულეს?

— დაწყნარდი, ის დაჭრილი და უღონოა! — ხმადაბლა, შეუვალი სიმტკიცით თქვა პისტიმ.

— Что он хочет? Он хочет меня прикончить?* — იკითხა რუსულად აფხაზმა.

— ნუ ღელავ ანრა-ჭკუნრა,* ხელს ვერავინ გახლებს!

აფხაზურმა ბიჭი გააოგნა, თვალები გაუფართოვდა და გულუბრყვილოდ იკითხა:

— დი, აფხაზი ხარ?

— არა! — გაეღიმა პისტის. — მე ნან ვარ, ზვიადის ნან!

— ესაა ზვიადი?

— არა, ზვიადი ომშია! სადმე ხომ არ შეგხვედრია ჩემი ზვიადი?

აფხაზმა თავი გააქნია, მის თვალებში კვლავ შიში და უმწეობა აისახა.

— რძე დალიე! — აუღელვებლად უთხრა პისტიმ, თავი აუწია, გულში ჩაიხუტა და ჭიქა პირთან მიუტანა.

* ია ანჩვა (აფხ.) — ღმერთო.
* რა უნდა, უნდა მომკლას? (რუს.)
* ანრა-ჭკუნრა (აფხ.) — დედაშვილობა.

სიცხიანი ჰყავდა ერთხელ ზვიადი, ასე იხუტებდა მის თავს და ასე ასმევდა რძეს.

— რა გქვია?

— ასტამურ წვიუბა!

— ჰო, ასტამურ, იქნებ სადმე ჩემს დაჭრილ ზვიადს შენი იანი ასმევს რძეს. საცოდავი დედაშენი!

— ეგ სახლებს წვავდა, სულ გადაწვა აქაურობა! — ჯავრით ამოიხრიალა გიამ. — შენს სახლსაც მაგან მოუკიდა ცეცხლი! მერე ტყვია მესროლა, დიახ, მაგან მესროლა!

პისტი გაყუჩდა, თავდახრილი უსმენდა, მერე ასტამურს შეხედა.

ბიჭის თვალებში უიმედობა ამოიკითხა.

— სახლი არაფერია, სახლს ახალს ავაშენებთ! — ამოიოხრა პისტიმ. — ამან გესროლა, შენც ხომ ესროლე, ომია და იმიტომ. — ხმაში მღელვარება შეეპარა, თავი მოითოკა და წყნარად დაამატა: — რაც იყო, უკვე მოხდა, უკან ვერ მოაბრუნებ! ახლა ორივენი უღონონი ხართ!

— რას ამბობ, პისტი-დეი, რას?! ეგეთები რომ ვართ, იმიტომ გვჭირს, რაცა გვჭირს! ვიღაც გადამთიელი ოხერი საიდანღაც ჩამოეთრია, ჩემს მიწას დაეპატრონა, გამათახსირა, გამაუბედურა!.. ეს აფსუა-ნაძირალები, ეს გამყიდველები, ჩვენი მოძულენი, უსამშობლონი!.. — გიას ხმა გაებზარა, ხელზე იკბინა, თითქოს არ კმაროდა ნატყვიარი, იმ ტკივილს ამ ტკივილს ამატებდა.

— Что он мелет, что?* — მოულოდნელად ღონე მოეცა ასტამურს, იდაყვებზე წამოიწია. — უარა უზუსდა?* Ты сам убирайся из моей Абхазии, вот за рекой и есть твоя родина... * უნწ-უნწ!*

ღონე წაერთვა, ბალიშზე მიესვენა, ხშირ-ხშირად სუნთქავდა, სიბრაზისაგან ტუჩებს იკვნეტდა და უღონოდ იმეორებდა:

* რას ბოდავს, რას?
* უარა უზუსდა? (აფხ.) — შენ ვინ ხარ?
* შენ თვითონ გაეთრიე ჩემი აფხაზეთიდან, ეგერ მდინარის გაღმაა შენი სამშობლო.
* უნწ-უნწ (აფხ.) — წადი, წადი.

— ია სარა, ია უარა, უნწ-უნწ!*

— ა, რა უნდა გააგებინო ახლა ამას? — გია სასოწარკვეთილ ჩურჩულზე გადავიდა.

— Ты сам ничего ни понимаеш!* — ძლივს წაიჩურჩულა ასტამურმა. — ახეილაგა!*

შუბლი დაეწინწკლა, გაყუჩდა, იქნებ გონი დაკარგა ან ჩაეძინა.

პისტიმ შუბლი შეუმშრალა, თმაზე ხელი გადაუსვა, „დამშვიდდი, ახშიარა,* დამშვიდდი!“ — ჩასჩურჩულა.

— დი! — თავისი სიზმარეთიდან ამოსძახა ასტამურ წვიჟბამ და სუნთქვა დაუამდა. პისტიმ მოიხედა. გიამ პირი კედლისკენ მიაბრუნა, ჯიუტად სდუმდა.

— თუ ასე იჩხუბეთ, უტყვიოდაც დახოცავთ ერთმანეთს. — შუბლზე ხელი შეახო, სიცხე ოდნავ დაკლებოდა. — დამშვიდდი, სიმშვიდე შენი წამალია! გავალ, ძროხას დავხედავ!

მზე დასავლეთისაკენ გადაიწია, ჩრდილები დაგრძელდა. ძიკი სიცხისაგან დარეტიანებული იდგა, იცოხნებოდა.

პისტიმ ძროხა წინაეზოში გადაიყვანა, წყავის ჩრდილში დააბა. ვედროთი წყალი მოუტანა, დაელოდა, სანამ ამოსვლეპდა.

სამზადში უხმაუროდ შეიპარა, ბიჭებს დახედა.

ასტამური ღრმა ძილში ჩაფლულიყო. ხანდახან გრძელი, ქალური წამწამები შეუთრთოლდებოდა, შუბლი შეეჭმუხნებოდა, თითქოს ტირილს აპირებსო, ბაგე დაემანჭებოდა.

გიას არ ეძინა, თვალი მოარიდა ქალს.

— გტკივა? — ჰკითხა პისტიმ.

— ყრუდ! — ერთხანს იყოყმანა, მერე ალალად ახედა. — მაპატიე, პისტი-დეი, ძალიან ავღელდი!

— ჰო!

— გული ბოღმით გამისივდა, იმდენი უბედურება ვნახე, ასი წლის კაცს არ დაესიზმრება. ახალგაზრდა ვარ, მაგრამ ასე მგონია, დიდი ხანია, დავბერდი... იცი, ესენი რას გვიშვრებოდნენ?

* ია სარა, ია უარა, უნწ-უნწ! (აფხ.) — ან მე, ან შენ, გაეთრიე!
* შენ თვითონ არაფერი გესმის! (რუს.).
* ახეილაგა (აფხ.) — ტვინარეული.
* ახშიარა (აფხ.) — შვილი.

— ვიცი, სქუა! — ამოიოხრა პისტიმ. — ეგერ ჩემი გუჯა ღობესთან მიმარხია. ამდენი წელი ერთად ვიცხოვრეთ, მე კი წესიერად ვერც დავიტირე. ნეტავი ჩემი ზვიადი მეღირსებოდეს!

გიამ ცოტა ხანს იყუჩა.

— ეს ლაწირაკი მართლაც პატარაა!

— ჰო, პატარაა!

— სულელია!

— ჰო, სულელია!

— გამოუტენეს თავი სისულელეებით, ხელში ავტომატი მისცეს...

— ჰო!

— მართლა კი არ მინდოდა ამისი მოკვლა, დაჭრილის მოკვლა რა ვაჟკაცობაა!

— ჰო, სქუა!

გიამ კვლავ იყუჩა, მოუსვენრად აწრიალდა.

— იცი, პისტი-დეი, შეიძლება ჩვენებმა მომძებნონ, ამას რომ იპოვნიან, დაბრიდავენ. ხომ გესმის, ძალიან გამწარებულნი არიან.

— მესმის.

— მოდი რა, ვუთხრათ, ვითომ შენი ზვიადია, მეგრელი ბიჭია, მე რომ მესროდნენ, ამასაც მოხვდა... ჯერ პატარაა, ვინ იცის, ხვალ რა იქნება!

— ჰო, სქუა, ასე ვქნათ! გული დაიწყნარე, სიცხიანი ხარ და ნუ დაიღლები. რომ დაღამდება, სოფელს დავივლი, რაიმე ორთვალას ვიპოვი, აქაურობას გაგარიდებთ.

გია კედლისკენ შებრუნდა.

პისტი ჯორკოზე ჩამოჯდა, ზურგით კედელს მიეყრდნო. ახლაღა იგრძნო, რა საშინლად დაქანცულა, ხელ-ფეხი უბჟუოდა, სახსრებში ამტვრევდა. თვალი მილულა, ბურანში ჩაიძირა. ფიქრი ნელა, ზარმაცად ზოზინებდა. ვითომ გუჯას ხედავდა. ახლად მომთავრებული ოდის წინ ისხდნენ ის და გუჯა. პისტის დაღლილი ხელები მუხლებზე დაეწყო, გუჯა კი ყალიონს ექაჩებოდა ნებიერად. ზვიადი ეზოში იდგა, წყავის მაღალ ტოტს მისწვდენოდა, ჩაშავებულ მტევანს წყვეტდა. „რამსიმაღლე გაიზარდა! — თქვა გუჯამ. — გამასწრო კიდეც! თუ დამიჯერა,

გაისად ცოლს შევრთავ! თოდუების თინიკოს მოვუყვან, ისეთი გოგოა, ჩვენ ზვიადს რომ შეეფერება!“

ცხადად ჩაესმა პისტის ეს სიტყვები და უცებ თითქოს მიწა იძრა. სახლი შექანდა. გუჯა და პისტიც შექანდნენ, ზვიადი კი დაილია, დაილია და გაუჩინარდა... „ზვიად, სქუა!“ — ამოიკვნესა პისტიმ და გამოეღვიძა.

ასტამურს თვალი გაეხილა და უყურებდა.

— უკეთა ხარ?

ბიჭმა თავი დაუქნია, მერე ზურგით შებრუნებულ გიასკენ გაიხედა.

— Он спит?*

— ჰო!

— Знаете, ди, наши раненых не бросают, Они придут и если его наидут — თვალებით გიაზე უჩვენა, — расстреляют!*

— ჰო, ვიცი! — წყნარად შეეპასუხა პისტი.

—Если наши придут, скажем, что он абхаз, что он мне родственник*

პისტიმ გიას გახედა. იმას თვალი გახელილი ჰქონდა, კედელს მისჩერებოდა.

— გია, გესმის?

— მესმის! — გიამ თავი ნელა მოაბრუნა, ასტამურს გახედა და ჩაილაპარაკა: — უყურე შენ ამ წვიჟბას! — ბალიშიდან თავი ასწია, ტკივილისაგან შეიჭმუხნა და ყური მიუგდო: — ჩუმად!

სადღაც მანქანის ხმა მოისმა, ჯერ სუსტად თუხთუხებდა, მერე მომძლავრდა, ღმუილში გადაიზარდა.

— ბეტეერია! — თქვა გიამ. — რუსები იქნებიან! პარტიზანს ისინი თავზე ხელს არ გადაუსვამენ!

— Абхазцов они не трогают. — ასტამურმა დაიმორცხვა,

* სძინავს? (რუს.).
* იცით, დეიდა, ჩვენები დაჭრილებს არ ტოვებენ, ისინი მოვლენ და ეს თუ ნახეს, დახვრეტენ (რუს.).
* თუ ჩვენები მოვლენ, ვუთხრათ, რომ ის აფხაზია, რომ ის ჩემი ნათესავია! (რუს.).

ხმა ჩაუვარდა. — Я им скажу, что вы тоже Абхазцы!*

— სუ! — პისტიმ თითი პირზე მიიდო. — იქნებ ვერც შეგვამჩნიონ!

უხმოდ უგდებდნენ ყურს. ბეტეერი რახრახითა და ღრიალით მოიწევდა.

— აქეთ გადმოუხვია! — პისტიმ სარკმელი შეაღო და ფრთხილად გაიხედა. სარკმელი ასტამურის თავთან იყო და ბიჭიც ცდილობდა გაეხედა.

— ჩვენს ორღობეში მოდის... გაჩერდა!

ბეტეერი მინჯიების ჭიშკართან იდგა, ძრავა თანაბრად გუგუნებდა, ალბათ გზის გაგრძელებას აპირებდნენ.

უკანა კარიდან ოფიცერი და ჯარისკაცები გადმოხტნენ, ხელში ავტომატები ეჭირათ, ერთს კი ყურბარმტყორცნი.

— А вот и корова!* — მხიარულად შესჭიხვინა ერთმა.

— Осторожно, может кто увидит, гауптвахту не оберешся!*

— Да нет здесь никого!* — კვლავ პირველმა წამოიძახა.

ეზოში შემოცვივდნენ და ძიკის შემოეხვივნენ. შეშინებული პირუტყვი განზე გახტა, მაგრამ მოკლე ბაწარს ვერ გაექცა და წუთის შემდეგ ხორხოცით მიარბენინებდნენ ჭიშკრისაკენ.

— ძიკი წაიყვანეს! — საწყლად დასცდა პისტის და სარკმელს მოშორდა.

უცებ ასტამურ წვიჟბამ ტკივილებს სძლია, ძალა მოიკრიბა და სარკმელში გასძახა:

— აურუს, Я Абхаз, это моя корова*

ხორხოცი შეწყდა, ნირშეცვლილი რუსები შემობრუნდნენ, სამზადისაკენ გამოიხედეს.

— Йо-мое засекли!* — წამოიძახა ოფიცერმა.

და მაშინ იმ ერთმა, ყუმბარმტყორცნიანმა, იარაღი შემართა.

* აფხაზებს ხელს არ ახლებენ. მე იმათ ვეტყვი, რომ თქვენც აფხაზები ხართ! (რუს.).
* აგერ ძროხაც! (რუს.)
* ფრთხილად, ვინმემ რომ დაგვინახოს, ჰაუპტვახტას ვერ გადავურჩებით (რუს.).
* აქ არავინ არის! (რუს.).
* რუსო, მე აფხაზი ვარ, ესკი ჩემი ძროხაა! (რუს.).
* შეგვამჩნიეს! (რუს.).

— არა, არა! — შეჰკივლა პისტიმ და იმ წამს რაღაცამ იქუხა, თითქოს მთელი დედამიწა დაიმსხვრა... ცეცხლი, ზრიალი, გუგუნი — ყველაფერი ერთმანეთში აირია და პისტი სადღაც ბნელეთში გადავარდა.

დიდხანს ეგდო უგონოდ, მერე გუჯას ხმა მოესმა: „ადე, ქალო, რა დროს ძილია, მიხედე ბავშვს!“ პისტიმ თვალი გაახილა, მიმოიხედა. თავზევით ჭერი ჩამოწოლილიყო და ცეცხლი ლოკავდა. სამზადის წინა კედელი შემოენგრია ჭურვს, აფეთქების ტალღამ კი უკანა კედელთან მიაგდო პისტი.

„ბიჭები!“ — თითქოს თავში ჩაქუჩით ჩააჭედეს ეს ერთადერთი სიტყვა.

ასტამური ნაფლეთებად ქცეულიყო, მხოლოდ მწყაზარ, ბავშვურ პირისახეზე არ ეცხო წვეთი სისხლი, ღია თვალებში გაკვირვება იკითხებოდა.

გია გარდიგარდმო ეგდო, თავი საწოლის კიდეზე ეკიდა და მის თაფლისფერ თვალებში სიცოცხლე ჩამქრალიყო.

— ვავა, ვავა, სქუალეფი! — შეჰკივლა პისტიმ და მკერდზე მუშტი დაიშინა...

* * *

მზე დასავლეთში ჩაესვენა, ბნელი, კუნაპეტი ღამე მოვიდა.

პისტი ეზოში, პატარა ჯორკოზე იჯდა.

ხელმარცხნივ გია ესვენა, ალშიბაია, ხელმარცხნივ ასტამურ წვიჟბა.

ცა მოიჭიქა დიდრონი ვარსკვლავებით, „ზვიადის ვარსკვლავი“ დასციმციმებდა პატარა, ბნელ ეზოს.

ცვილისფერი დაჰკრავდა გიასა და ასტამურის სახეებს, ოცდამეერთე საუკუნის მოქალაქეებმა ვერ გადაცურეს სიძულვილის ქარაშოტიანი ოკეანე.

„ღმერთმა ხომ იცოდა, რომ არც ერთი იყო არაბი და არც მეორე ვენეციელი.

ორთავენი ბედკრული საქართველოს შვილები იყვნენ“.

1998

ჟურნალი „ცისკარი“, 9, 1998

სამი მოთხრობა ერთი მკვლელობის შესახებ

1. ყოველი დღე წვიმდა

ისე გულდაგულ წვიმდა სოფელ ჭუბურიშში, თითქოს არც არასოდეს აპირებდა გადაღებას. დაბლა ჩამოწოლილი ღრუბლები ევკალიპტებისა და ალვათა კენწეროებზე გაეჩხირნენ და ადგილიდან ვერ იძვროდნენ. სხვა საშველი არ ჩანდა, ალბათ, აქვე უნდა დაცლილიყვნენ ბოლომდე. უბნის რწმუნებული ჯოტო გვილავა ცხრაჯერ მაინც გავიდა აივანზე, იქნებ გადაისარკოსო, მაგრამ წვიმის სვეტს შავად ჩამოებურა დღენათელი და ქუჩის იქით ჩამწკრივებული ეზო-სახლები ისე მკრთალად ჩანდა, თითქოს არანამდვილი გემები არანამდვილ ზღვაში აუჩქარებლად მიტორტმანებდნენ და ყოველივე ზმანებას უფრო ჰგავდა, ვიდრე სინამდვილეს. უცილოდ რაღაც უნდა მომხდარიყო და ცუდი წინათგრძნობით გულგასიებული ჯოტო გვილავა გემრიელად შეუკურთხავდა ხოლმე მაღლა ცას, დაბლა თავის ბედ-იღბალს და კვლავ კაბინეტში ბრუნდებოდა, სადაც მაგიდაზე უამრავი გადახაზულ-გადმოხაზული და დაჭმუჭნილი ქაღალდი ეყარა. დილას აქეთ წერდა კვარტლის ანგარიშს და უკვე ყელში ამოსვლოდა. მაინცდამაინც მარჯვედ ვერ ხმარობდა კალამს, წინადადება მძიმედ, ჭრაჭუნით ლაგდებოდა თეთრ ქაღალდზე და ეს მოსაწყენი ზოზინი გუნებას უფრო უმჟავებდა. მისდამი რწმუნებულ უბანში ამ ხნის მანძილზე მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით ქვრივი ფუნთულას ბიჭის, ქვათიას დანაშაულს. ეს ქვათია დიდი უბედური ვინმე ჰყავდა გამჩენს. მაგისი გამოსწორება არ იქნებოდა. ღამით, ასეთ წვიმასა და მერეხში, თურმე ხიდან ჩამოეხსნა ტოტებზე მოყუტყუტე დედლები და ტომარაში ჩაეჩურთა. მაგ ტუტუცს ფრინველი გზაშივე გაჰგუდვია და იძულებული გამხდარა, ტომრიანა სანწალეში გადაეგდო. სანწალე აბა რისი სანწალე იქნებოდა (ჯოტო გვილავამ სმენა დაძაბა, თავსხმას ავად აეგუ-

გუნებინა სოფლის მდინარე), ტომარა ბრაზით მოუგდია უკან. აქ წაასწრეს თურმე ფუნთულას ბიჭს. ეს იყო და ეს! ჯოტო გვილავა კი იჯდა ახლა თავის ცივ კაბინეტში და ცდილობდა სხარტად და ლიტერატურულად გადმოეცა ეს ბითურული ამბავი.

უბნის რწმუნებულმა ხმადაბლა შეიგინა. ფანჯრიდან გაიხედა. მაგნოლიას ჩამუქებულ ფოთლებზე დიდრონი წვეთები ეკიდა და სათითაოდ წკაპანწკუპით სხლტებოდა. ტოტებს მიღმა სოფლის შარა გამოიკვეთა. იქ, იმ წვიმაში, ამაყად გაიარა თინიკო კელაპტრიშვილმა, მთავარი აგრონომის გოგომ. უკვე შეღერებული და ტანაყრილი იყო. სველი სასკოლო ფორმა ეტმასნებოდა, მაგრამ ისე აუჩქარებლად მიირხეოდა, თითქოს წვიმაში კი არა, მზის სხივებში ბანაობდა.

ჯოტო გვილავამ ამოიოხრა. დაჭმუჭნილი ქაღალდები მაგიდიდან გადაფერთხა, კალამი დააგდო და ხელისგულები პირისახეზე აიფარა, თვალი დახუჭა, წვიმის თანაბარ ხმაურს მიუგდო ყური. მეტი არაფერი ისმოდა. წვიმა შხუოდა ტოტებში, წკანწკარი, წკრიალი გაჰქონდა წვეთებს. შორს კი გუგუნებდა მოძალებული სანწალე და ამ ხმაში რაღაც საშიშროება იმალებოდა. წამით ეზმანა კიდეც, სადაცაა წყალი გადმოხეთქავს და წაგვლეკავსო. შეშფოთებულმა თავი ასწია, თვალი გაახილა. შიშმა გაჰკენწლა. წყლის გაუთავებელ ხმაურში სხვა ხმებიც გაერია. სადღაც სოფელში წიოკობდნენ. „ალბათ, წყალმა თუ წაიღო ვინმე!“ — პირველად ეს გაიფიქრა და აივანზე გავარდა.

დაცარიელებულ შარაზე თანდი ჩიმაკაძემ გაიარა ფეხაჩქარებით.

— რა მოხდა თუ იცი? — მიადევნა ჯოტომ, მაგრამ თანდიმ დაბნეულად ჩაიქნია ხელი და გზა განაგრძო.

ჯოტო გვილავა კაბინეტში შებრუნდა, ქუდსა და ლაბადას ხელი დასტაცა და კვლავ აივანზე გავიდა.

წვიმის ფარდიდან ანონილი ბიჭი გამოსხლტა, თავქუდმოგლეჯილი მორბოდა.

— ზაზა? — კიბეს რომ მოაღწია, მაშინღა იცნო თანდი ჩიმაკაძის ბიჭი.

— ჯოტო ძია! — კიბეზე შექანდა ზაზა, წაიფორხილა. ტალახში იყო ამოგანგლული, სველ საფეხურებზე ფეხი უსხლტებოდა.

ჯოტო გვილავა ჩაეგება, ხელი გამოსდო, კაბინეტში შეიყვანა და სკამი გამოუწია.

ბიჭი მოწყვეტით დაჯდა, თავით მაგიდას დაემხო.

ჯოტომ კარი მიხურა, სავარძელს დაუბრუნდა. „ეჰ, ამის თავს რაღაც უბედურებაა!“ — სევდიანად გაიფიქრა და ქაღალდები შეუმჩნევლად განზე გააჩოჩა, ბიჭის თმებიდან ჩამოცურებულმა წვეთებმა არ დამისველოსო.

ზაზა ჩიმაკაძემ თავი ასწია, შეეცადა პირდაპირ შეეხედა, მაგრამ გახურებული სახე უმალ განზე მიაბრუნა.

— მე მოვკალი... მე მოვკალი მამუკა!

სულ რაღაც ორიოდე წლის წინ დიმიტრი ფარცვანია ძმაკაცებში მიტოდ იწოდებოდა და იურიდიულ მეცნიერებებს იზუთხავდა. რაიონში საკუთარი სურვილით ჩამოვიდა, თუმცა აფრთხილებდნენ, სამსახურის შოვნა იოლი არააო. თვითონ უკეთ იცოდა თავისი საქმე. იქნებ სხვათათვის შეუმჩნეველი მფარველი ანგელოზი მასაც ჰყავდა, იქნებ იღბლიანი უფრო იყო, მაგრამ, ეტყობა, აქეთ არცთუ უსაფუძვლო იმედებით მოემართებოდა. ყოველ შემთხვევაში, გაუმართლა. ახალგაზრდა სპეციალისტს გულთბილად შეხვდნენ, რაიონის ცენტრში პატარა ოთახი მოუხერხეს, დროებით უმნიშვნელო სამსახური შესთავაზეს, მაგრამ როგორც კი გამოცდილი იურისტი შერაზადაშვილი პენსიაზე გავიდა, უმალვე დიმიტრი დანიშნეს გამოთავისუფლებულ ადგილზე.

თავდაპირველად რამდენიმე იოლი საქმე გამოიძია, როგორც წესი, მცირეწლოვან დამნაშავეთა. ერთმა ახალგაზრდამ „ჟიგულიდან“ იაპონური მაგნიტოფონი მოიპარა, მეორე — სხვის ბინაში შეძვრა და ორასი მანეთის ობლიგაცია გამოაყოლა ხელს, მესამე — დანით დაუხვდა გამვლელს, საფულე წაართვა, შიგ კი მხოლოდ სამი მანეთი და ორმოცდახუთი კაპიკი აღმოჩნდა. შერაზადაშვილისათვის ასეთი წვრილმანი საქმეებიც სარფიანი იქნებოდა, ალბათ, მაგრამ დიმიტრი ფარცვანია ჯერჯერობით თავისი ციცქნა ხელფასით აპირებდა არსებობას და ეს ყმაწვილები, მათი მშობლების მცდელობის მიუხედავად, ერთი მე-

ორის მიყოლებით ავჭალის მცირეწლოვან დამნაშავეთა კოლონიაში აღმოჩნდნენ, რამაც ახალბედა გამომძიებელს უშეღავათო და მოუსყიდველი მუშაკის სახელი დაუგდო.

სოფელ ჭუბურიშში მომხდარი მკვლელობა მისთვის პირველი სერიოზული საქმე იყო. მართალია, თავდაპირველად ამ შემთხვევას შერაზადაშვილი იძიებდა, მაგრამ პენსიაზე გასვლამ მოუსწრო. დიმიტრის ეამაყებოდა ახალი როლი, თითქოს რამდენიმე საფეხურით აიწიაო უცაბედად... წინასწარი გამოძიების მასალებიდან მარტივი და ნათელი სურათი იკვეთებოდა. ჯერ უბნის რწმუნებულს, მერე კი შერაზადაშვილს ყოველი წვრილმანი აღენუსხათ. ერთადერთი, რაც დამნაშავეს ვერ ათქმევინეს, ეს იყო მიზეზი. ბიჭი უსასრულოდ იმეორებდა, მამუკა მე მოვკალიო, მაგრამ რატომ და რისთვის, ამას არ ამბობდა. „თუმცა ახლანდელ ახალგაზრდებს მიზეზი რად უნდათ? — ხმამაღლა იტყოდა დიმიტრი. — ყოჩებივით დადიან, პატარა წაკინკლავება და დანას გაგიყრიან მუცელში!“ თვითონ კი გუნებაში არა ერთი ვერსია ჰქონდა ჩამოწიკწიკებული და, რა თქმა უნდა, პირველ და თითქმის ნაღდ მიზეზად გოგო მიაჩნდა.

დამნაშავესთან შეხვედრამ ეს რწმენა განუმტკიცა. გალეული, ყვრიმალამოჩრილი ბიჭი ისეთი უბედური ჩანდა, ისე უსასოოდ მოშვებული იჯდა სკამზე, იყო და არც იყო ცოცხლებს შორის. ხანდახან, თითქოს გამოფხიზლდაო და საკუთარ თავს გარედან შეხედაო, მხრებს გაშლიდა. ამ დროს ფარულ სიკერპეს ააშკარავებდა და დიმიტრიმ წამიერად გაელვებული სიბრალულის გრძნობა უკუაგდო.

— რა ვქნათ ახლა ჩვენ? — ჰკითხა ხვნეშით.

ზაზა ჩიმაკაძემ თავი ასწია. თვალებში მუდარა ედგა და ამ შემოხედვამ დიმიტრის სიფიცხე შეანელა.

— წყალი ხომ არ გინდა? — თანაგრძნობით შეეკითხა.

ზაზამ თავი დაუქნია.

დიმიტრი უკან გადაიხარა, სურას მისწვდა, წყალი დაუსხა და მიაწოდა.

ბიჭი ხარბად სვამდა, ნერვულობისაგან ტუჩები დაშაშროდა.

— სიცხიანი ხარ?

ბიჭმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

— ერთი ეს მითხარი, თინიკო კელაპტრიშვილი რა ამხანაგია შენი?

ზაზა მოიბუზა, იატაკს მიაშტერდა.

დიდხანს უყურა დიმიტრიმ, მიხვდა, პასუხს ვერ მიიღებდა.

მერე მთელი ის დღე სხვას ვერაფერს დაუდო გული. ნაშუადღევს ჯოტო გვილავას დაურეკა ჭუბურიშში, ჯერაც უმანქანო კაცი ვარ, თუ არ შეწუხდები, მანქანით გამომიარე, ადგილზე მინდა საქმეს გავეცნოო. კარი გამოიკეტა და შინისაკენ აუჩქარებლად გასწია. წვიმამ ახლახან გადაიღო. დიმიტრი ცდილობდა ტალახიან გუბეებს მორიდებოდა, თან კი „საქმეზე“ ფიქრობდა. კარიერის დიდ გზაზე პირველ ნაბიჯებს დგამდა და ყველაფერი უნდა გაეზომა, აეწონ-დაეწონა. სიმართლე ალმასის თვალივითაა. უამრავი წახნაგი აქვს, რამდენნაირად შეაბრუნებ, იმდენნაირად აბრჭყვიალდება. სასწორი ხელში ეჭირა და პინას, საითაც სურდა, იქით გადახრიდა. ეს რომ გაიფიქრა, გუბეში მაშინ ჩაჰკრა ფეხი და მთელი ის საღამო ერთადერთი ფეხსაცმელისა და ერთადერთი შარვლის წმენდას მოახმარა.

გვიან დაწვა. უცხოური დეტექტივების კრებული გადაშალა. „ეს მეგრეები, ერსკინ პუაროები და შერლოკ ჰოლმსები ზღაპრის გმირებია, — ფიქრობდა ზანტად, — ცხოვრებაში ყველაფერი ბევრად უფრო რთულადაა. ყველაზე მარტივი საქმე უფრო რთულია, ვიდრე ყველაზე დახლართული დეტექტივი!“ სიამოვნებით ერთობოდა დეტექტივებით, მაგრამ ახლა დაღლა იგრძნო, გული ვერ დაუდო. წიგნი გადადო, შუქი ჩააქრო და სიბნელეს მიაშტერდა. „დამესევიან ახლა მაგ ჩიმაკაძის ახლობლები!“ აზრი არ გაუგრძელებია, ბალიშს ჩაეხუტა. სანამ ძილში ჩაეფლობოდა, ანგალმა ფიქრმა გაუელვა: „ჰა, როგორია ეს თინიკო კელაპტრიშვილი?“

დილას კი მაღვიძარამ უმტყუნა, მანქანის პიპინმა გამოაღვიძა. მზე საკმაოდ მაღლა იდგა. ჯოტო გვილავამ ისე შემოალაჯა, თითქოს კარი შემოანგრიაო.

— ჩაის დალევა ვერ მოვასწარი! — დაიჩივლა დიმიტრიმ.

— ჩაი რა კაცის საქმეა, გზაში შევჭამთ რამეს! — ჯოტო მთე-

ლი ეს თვე მკვლელობის ნაირ-ნაირ ვერსიებს უტრიალებდა.

უკვე წითელ „მოსკვიჩში“ ისხდნენ, როცა, თითქოს დიმიტრის აზრი წაიკითხაო, ისე თქვა უბნის ინსპექტორმა:

— მე თუ მკითხავ, დიმიტრი ბატონო, გოგოა, მაგალითად, დამნაშავე მაგ საქმეში! — გაყუჩდა და მერე ხვნეშით დააყოლა: — იტყვიან ახლა წინათგრძნობა არ არისო, მთელი ის დღე მჟავე გუნებაზე ვიყავი!

„ნასვამი იქნებოდა!“ — გაიფიქრა დიმიტრიმ. ჯოტო ტანმსხვილი კაცი იყო, მანქანაში ძლივს ეტეოდა, მომრგვალებული მუცელი საჭეზე მიედო. მილიციელის ფორმა ისე ვიწრო ჰქონდა, საცაა შემოასკდებაო. იმის გვერდით დიმიტრი პატარა კაცუნად ჩანდა და უბნის რწმუნებულის ეს უპირატესობა არაფრად ეპიტნავა.

— ა, ბატონო, გადავხედოთ სოფლის ისტორიას! — ვერ ისვენებდა ჯოტო. — აქ დავიბადე და გავიზარდე. ჩხუბი და დავიდარაბა რამდენი მინახავს. შარშან კვეკვესკვირი რომ ავარიაში დაიღუპა, მისმა ძმებმა ცეცხლი წაუკიდეს დამნაშავის სახლს... მერე მთავრობა მე მომადგა და ტყავი გამაძრო, თვალები სად გქონდაო. თვალებიც თან მქონდა და ტვინიც! რა, ყარაულად დავდგომოდი, მაგალითად? იქნებ ამ ნაგანით ამომეხოცა კვეკვესკირის ძმები? მათი გიჟი თავების ამბავი რომ ვიცი, ამიღებდნენ და მე თვითონ გადამიძახებდნენ ცეცხლში. ავდექი და შორიდან ვუყურე!

— სახანძრო გამოიძახე? — ზანტად იკითხა დიმიტრიმ.

— კი, ოღონდ ვერაფერი უშველეს! მანქანაში წყალი არ ჰქონდათ თურმე, სახლი კი ხისა იყო. სანამ ესაო, ისაო, ჩაიფერფლა ბოლომდე!

— ჰო? — ორაზროვნად ჩაურთო დიმიტრიმ.

— ეს კი, მაგრამ კაცის კვლა ჩვენთან არ ხდება! — გადაჭრით თქვა ჯოტომ. — მართლწესრიგის საქმეში ისეთი პროცენტი გვაქვს...

— ეჰ, ჩემო ჯოტო, ერთი მკვლელობა სულ გადაწონის იმ შენს პროცენტს!

— ეგ ხომ ასეა და... — ნაღვლიანად შეეპასუხა ჯოტო და მანქანა გააჩერა. — აქ იშოვება, მაგალითად, შიმშილის წამალი!

გზისპირა რესტორანი იყო. მწვადები და ერთი ბოთლი არაყი

შეუკვეთეს.

— მანქანაზე ვზივარ, მაგრამ ცოტას კი გავბედავ მეც! — ჯოტომ არაყი ღვინის ჭიქებში ჩამოასხა.

— თინა კელაპტრიშვილს თუ იცნობ? — იკითხა უცებ დიმიტრიმ.

უბნის რწმუნებულმა არაყი გადახუხა, ხორცის მოზრდილი ნაჭერი ჩაიდო პირში და ლუკმა აუჩქარებლად დაღეჭა. თვალები კედლისათვის მიეპყრო, დიმიტრის კი მოთმინება ელეოდა.

— ჩვენი აგრონომის გოგოა... მაღლა დაფრინავს! იმას, ხომ იცი, ისეთი პატრონი ჰყავს, ვინმემ რომ ტალახი ესროლოს, ერთი ბეწო არ მოეცხება... დაიმახსოვრე ეს, მაგალითად!

დიმიტრიმ არაფერი უპასუხა და მერეც, სოფლამდე, ხმა არ ამოუღია.

გზა მოულოდნელად ძირს დაქანდა. იმ ადგილიდან მგზავრების თვალწინ უცბად გადაიშალა სანწალეს ჭალაში ხალვათად განფენილი ჭუბურიში. ხეხილი იტალღებოდა ვერცხლისფერი სანწალეს გაღმა-გამოღმა. სოფლის კიდიდან იწყებოდა ჩაის პლანტაციები, შავად გადახნული ნასიმინდრები, ქარსაცავის სწორი მწკრივები. ერთადერთი მოასფალტებული გზა ისარივით კვეთდა ჭუბურიშს და მის გასწვრივ ჩამწკრივებულ მაღალ ოდებზე თუნუქის სახურავები ბრწყინავდა.

ჯოტომ მანქანა გააჩერა. მცირე ხანს ჩუმად ისხდნენ.

— იქ, მაგალითად, სკოლაა!

ამას უსიტყვოდაც მიხვდებოდა კაცი. ახლად აშენებული ოთხსართულიანი სკოლა თეთრად დაჰქათქათებდა სოფელს.

— აქ კი სასაფლაო! — ჯოტო გვილავამ ჩუმი ტკივილი ამოაყოლა ამ სიტყვებს.

ქვითკირის კედელი გარს ერტყა ბუმბერაზ ჭადრებს და მათს ჩრდილში სიწყნარე და სიგრილე სადგურობდა.

დიმიტრი მანქანიდან გადმოვიდა, თითქოს ფეხის გასამართავადო. ფეხებმა კი თავისით წაიყვანეს სასაფლაოსაკენ. ჯოტოც მიჰყვა ხვნეშით. ძველებურ, დახავსებულ საყდარს აუარეს გვერდი. ხმის ამოუღებლად მიდიოდნენ საფლავებს შორის და დიმიტრის მზერა გადაურბოდა გვარებსა და წლებზე.

სევდა შემოაწვა. პატარა ბიჭის სიკვდილი მხოლოდ ამ წუ-

თას გაიცნობიერა. ახლაღა იგრძნო ბოლომდე, არცთუ იოლი საქმე ჰქონდა დაკისრებული და რატომღაც შერაზადაშვილზე გაბრაზდა, თითქმის ყველაფერი გამოიძია და რაღა ბოლო წერტილის დასმა დაეზარაო.

განაპირას, გადასახედზე, ჭადრის ჩრდილში ახლადდაყრილ გორაკს მიადგნენ. უბრალო პალოზე ფიცარი მიეკრათ და ზედ ლურჯი მელნით ეწერა: „მამუკა ლეჟავა“.

ფხვიერ, თითქოს ნაფერებ მიწაზე ცოცხალი ყვავილები ეწყო. წუთის წინ ვიღაცა დასტიროდა ბიჭის საფლავს, უცხო თვალს მოერიდა, მიიმალა.

— ამხანაგები იქნებოდნენ! — ყრუდ ჩაილაპარაკა ჯოტომ. — ეჰ, ბებია აქ ვერ ამოხოხდება, ის საწყალი!.. მაგას არაფერი ეშველება აწი!..

არც მამუკა ლეჟავას ეშველებოდა რამე, არც მის მოხუც ბებიას!.. მაშ, რა როლი ეკისრებოდა დიმიტრი ფარცვანიას ამ ტრაგიკული კვანძის გახსნაში? პასუხი ერთი იყო, როგორც ამას პროფესია ასწავლიდა: ჭეშმარიტებას თავისთავადი ღირებულება აქვს! არაფერიც რომ არ შეიცვალოს, სიმართლე მაინც ფასეულია!

სასაფლაოს ამ მდუმარებაში დიმიტრი ფარცვანიას აშკარად ესმოდა საკუთარი გულის ბაგაბუგი. ჭადრების შრიალი, სოფლიდან მოღწეული შორეული ხმები, ჯოტო გვილავას ასტმური ხვნეშა ვერ ფარავდა დიმიტრის გულის არიტმულ ცემას და უცებ ზარმა დარეკა — ძინ-ძინ-ძინ!..

ეს სკოლის ზარი რეკავდა... ამ მიწაში იწვა მამუკა ლეჟავა, მისი გული არანაირ ხმას არ გამოსცემდა. იწვა და ყურს უგდებდა ერთადერთ ხმას: ძინ-ძინ-ძინ!..

სოფლის ცენტრი გადაკვეთეს. მოსახვევთან თეთრი ხომალდივით გამოცურდა ორსართულიანი, ხალვათი სახლი. ჭიშკართან შავი „ვოლგა“ იდგა. მანქანის კაპოტს ტანსრული კაცი დაყრდნობოდა და ვიღაცას ელოდებოდა. ჯოტო გვილავა ხელის აწევით მიესალმა. კაცმა უპასუხა, მერე კი სახლისაკენ გასძახა:

— იჩქარე, ნუ მაგვიანებ!

— მთავარი აგრონომია, კელაპტრიშვილი! — ჯოტომ სიჩქარეს მოუმატა.

დიმიტრიმ უკან მოიხედა, იქნებ თინიკო გამოვიდესო, მაგრამ ჯოტომ, თითქოს ჯიბრზეო, სხვა გზაზე გადაუხვია და კელაპტრიშვილების სახლი თვალთახედვიდან დაიკარგა.

— ა, ეგერაა ჩიმაკაძეების სახლი! — გაახედა უბნის რწმუნებულმა.

ლურჯად შეღებილი ჭიშკრის მიღმა ისეთივე თეთრი ხომალდი წამოიმართა. არცთუ დიდი ხნის გადახურული ჩანდა. ზედ კუწუბზე თავმომწონედ წამომართული ვარსკვლავიანი კოშკი ვერცხლისფრად ლაპლაპებდა.

— კარგად ცხოვრობენ! — დაასკვნა დიმიტრიმ.

— თანდი ჩიმაკაძე მშრომელი კაცია! — ფარულ ეჭვს შეეპასუხა ჯოტო. — უბრალო ტრაქტორისტი არ გეგონოს, რაიონის მასშტაბის კაცია. ქალბატონი ლუბა კი პედაგოგია და...

დიმიტრიმ ამაზე არაფერი თქვა. „მოსკვიჩმა“ მტვრიან ორღობეში ბუღი დააყენა და იმასღა ფიქრობდა, ნჯღრევის დროს თავი არაფერს მივარტყაო.

ლეჟავების სახლი განაპირას იდგა. ეზოს სიღრმეში ჩვეულებრივი, დაბალ ბოძებზე შემდგარი ფიცრული ჩანდა. მწვანე მდელო სახლის წინ, ტრიფოლიატის ღობე, ციცქნა ვენახი, პაწია ბოსტანი, — ათასი ასეთი ეზო-კარი ენახა ადრე დიმიტრის. ახლა ხალხი გაკეთდა, ბატონო, ასეთ ოდებში არავინ ცხოვრობს, — ფიქრობდა თავისთვის.

ეზოში ძეხორციელი არავინ ჭაჭანებდა. სამზადის ლაფაროში ორი დედალი იქექებოდა ზანტად და ეს იყო იდილიური სურათის ბოლო შტრიხი, სურათს კი უნდა რქმეოდა „მდუმარება“, დიახ, „სრული მდუმარება“.

— ძაღლიც არა ჰყავს? — დიმიტრიმ უხერხულობა იგრძნო, მასპინძლის გამოხმობისა მოერიდა. ჭიშკრის საგდული რომ გადასწია, ხელი ოდნავ უთრთოდა და საკუთარ თავს შემოსწყრა, ნეტავ რა მემართებაო.

უჩუმრად გადაკვეთეს ეზო.

ხის სუსტმა კიბემ ჭრაჭუნი გაიღო.

— არავინა ხართ შინ?

ათიოდე წლის ბურძგლა გოგომ გამოიხედა. სტუმრების დანახვაზე დაფრთხა, სიღრმეში მიიკარგა.

ჯოტომ ღიად დარჩენილ კარში შეყო თავი.

კუთხიდან ბებრული ჩიფჩიფი მოისმა.

ნიკელისზურგიან საწოლზე, მაღალ ბალიშებს ჩიტივით პაწია ქალი მიყრდნობოდა. ცხვირზე სათვალე ეკეთა და სტუმრებს ბეცი თვალებით შემოსცქეროდა.

— მობრძანდით! — წამოწევა მოინდომა, ღონე არ ეყო და ბალიშზე მიესვენა.

— ნუ შეწუხდებით, ქალბატონო ცინტუ, ჩვენ წამით შემოვირბინეთ! — დიმიტრი შეეცადა დაყვავებით ელაპარაკა. სკამები შინაურულად გამოაჩოჩა, ერთი ჯოტოს დაუთმო, მეორეზე თვითონ დაჯდა და ალერსით დაუმატა: — უბნის რწმუნებულს, ალბათ, იცნობთ, მე კი გამომძიებელი ვარ!

ამას რომ ამბობდა, ცდილობდა შინაგანი თრთოლვა როგორმე დაემალა.

— ისევ გამომძიებელი? — დედაბრის ხმაში დამცინავი კილო გაკრთა.

— ჩემ წინ ვინც იყო, პენსიაზე გავიდა! — თავი იმართლა დიმიტრიმ. — დამერწმუნეთ, ყველაფერს ობიექტურად გამოვიძიებ და თქვენს სურვილებსაც გავითვალისწინებ!

— არაფრის სურვილი მე არა მაქვს! — ხელი ჩაიქნია დედაბერმა. — მამუკა რომ მყავდა, მაშინ მქონდა სურვილები. ახალი გამოძიება რას მომიტანს ვითომ, გამიცოცხლებს შვილიშვილს?

დიმიტრიმ ვერაფერი თქვა. ჯოტომ კი ამოიხვნეშა და შემრიგებლურად ჩაურთო:

— სიმართლე ხომ უნდა დადგინდეს, ქალბატონო ცინტუ?

— ახალგაზრდები ხართ ჯერ, ამიტომ გეჩვენებათ, რომ ეგრე იოლია სიმართლის დადგენა. იმ წუთას იქ რომ ყოფილიყავით, მაინც ვერ დაადგენდით სიმართლეს. ასეთ დროს თვალი და გული გატყუებს. კარდაკარ სიარულით ან რა სიმართლეს მოიძიებთ?

— მაშ როგორ მოვიქცეთ?

— წადით სახლებში, მიხედეთ თქვენს ოჯახებს! მე კი მაცალეთ სიკვდილი. მალე წავალ ჩემს მამუკასთან და სიმართლესაც იქ გავიგებ!

დედაბერმა ტუჩები მაგრად მოკუმა და თვალი დახუჭა.

კაცები უხერხულად ისხდნენ, ხმის ამოღება ვერ გაებედათ.

ბოლოს ჯოტომ ამოიოხრა და წამოდგა.

აწრიალდა დიმიტრი ფარცვანია. ტანზე თითქოს ჭიანჭველები შეესივნენო, ხან სად მოივლო ხელი, ხან სად. ეძნელებოდა ასე უთქმელად წასვლა.

— რამე დახმარება ხომ არ გჭირდებათ?

დედაბერმა დაკვირვებით შემოხედა.

— თქვენგან?.. არაფერი!

ეცეცხლა დიმიტრის, ფარ-ხმალი მაინც არ დაყარა.

— როგორა ძლებთ აქ... მარტო?

— მარტო რატომ?.. მეზობლები მყვანან, აგერ მეზობლის გოგო იყო ამ წუთას!

ცინტუ კვირკველიას აშკარად არ ეწადა საუბარი და დიმიტრი დაფაცურდა, რაღაც-რაღაცები კიდევ თქვა, მერე თვითონაც ვერ გაიხსენა, რა სიტყვებით ცდილობდა დედაბრის გულის მოგებას, თვითონაც ვერ მიმხვდარიყო, რატომ ებოდიშებოდა, რა ჰქონდა საბოდიშო, რაში უნდა დაედანაშაულებინა საკუთარი თავი.

კარში ჩამდგარი ჯოტო აუღელვებლად უყურებდა გამომძიებლის ფაციფუცს.

უკვე ზღურბლზე წამოეწია დიმიტრის დედაბრის სიტყვები:

— თავი არ მოიკლას მაგ ბიჭმა, ჩემმა არგამხარებელმა!

აივანზე გამოსულებმა შვებით ამოისუნთქეს.

მხოლოდ მანქანაში ამოიღო ჯოტომ ხმა:

— კერპი ქალია ცინტუ კვირკველხე, დიდხანს ვერ გაძლებს საწყალი!

„ან რისთვის უნდა გაძლოს?“ — გაიფიქრა დიმიტრიმ.

საკუთარი თავით უკმაყოფილო იყო. გრძნობდა, ჯოტოს თვალში მარცხი რომ განიცადა და ეს აღიზიანებდა.

უბედურება სკოლის ნაკვეთზე მოხდა. ზაზა ჩიმაკაძე, აი, აქ, კურკიდან ამოხეთქილ ატამთან იდგა. გახსნილი დანა ეჭირა

ხელში, — სამყნობი, დედამ რომ შესვენებაზე გამოატანა ბიოლოგიის კაბინეტიდან (ასე ეწერა ოქმში). მამუკა ლეჟავა აი, იმ კარიდან შემოიჭრა. ნაკვეთი ახალი გადაბარული იყო, მიწა წვიმამ გააჟიჟინა და მამუკას შიგ ფეხი ეფლობოდა. ბიჭები აი, აქ შეიყარნენ. დანარჩენი კი წამში მოხდა...

დიმიტრი ფარცვანიამ ფეხსაცმელებზე დაიხედა. ტალახი ქუსლებზე აგლესოდა. ბევრი ცნობისმოყვარე მოდიოდა და ნაბარავი ისე აეზილათ, ბალახიც არ გაიხარებდა. ახალგაზრდა გამომძიებელმა ამოიხვნეშა. ეს ტალახი არ იყო უბრალო ტალახი. მასში მამუკა ლეჟავას სისხლიც ერია და ამ აზრმა რამდენიმე უსიამოვნო წამი განაცდევინა. ნაკვეთიდან სწრაფად გააღწია და მერე მდელოზე დიდხანს იწმენდდა ფეხსაცმელებს.

სკოლის პარმაღისაკენ გაემართნენ.

დირექტორი კიბეზე იცდიდა. მისალმებისას ორივე ხელი დაბნეულად შეაგება სტუმრებს, მობრძანდით, მობრძანდითო, დახშული ხმით გაიმეორა რამდენიმეჯერ და კაბინეტისაკენ წარუძღვა. დაბალი, ჩასუქებული კაცი იყო, თითქოს მიგორავდა, თან ხროტინით სუნთქავდა, პოლიპები თუ აწუხებდა.

კაბინეტის ორი დიდი ფანჯრიდან მზე უხვად აფენდა სხივებს და დიმიტრიმ თვალი მოჭუტა. საქაღალდე გახსნა. სუფთა ქაღალდის თავზე ლამაზი კალიგრაფიით გამოიყვანა: „აბესალომ ფალავანდიშვილი, სოფ. ჭუბურიშის საშ. სკოლის დირექტორი“.

ჯოტო მოხერხებულად მოკალათდა. კიტელის ზედა ღილი შეიხსნა. სახეზე ხელისგულები ისე მოისვა, თითქოს თავს იფხიზლებსო. იცოდა უბნის რწმუნებულმა, ეს აუცილებელი, მაგრამ ფორმალური საუბარი ჭეშმარიტებას იოტისოდენადაც ვერ მოჰფენდა ნათელს.

— აბა, რა ვიცი! — მოკლე ხელები თეატრალური გაკვირვებით გაშალა ფალავანდიშვილმა. — ხუთი წელია ამ სკოლის დირექტორი ვარ. მჟავიას კლასი ყოველთვის მოწინავე იყო, აჰა, მეცხრეში არიან უკვე, დაიზარდნენ, აქ კი... ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ ზაზა ჩიმაკაძე ამას თუ ჩაიდენდა...

ცოტა ხანს იყუჩა, მერე სწრაფად ალაპარაკდა, სხაპასხუპით ჩამოარაკრაკა სკოლის მთელი ისტორია. სანამ მე გადმოვიდოდი, პატრონი არა ჰყავდაო. თვითონ აქ დავიბადეო, თუმცა მამაჩემი აღმოსავლეთიდან გადმოსახლდაო. არათუ რაიცენტრში, თბილისშიც შემეძლო დარჩენაო, ბოლო-ბოლო ცოლი თბილისელია და ახლაც იქ არის ჩაწერილიო. მაგრამ შენი კუთხე მაინც სხვა არის. ვერსად ვერ გაძლო აბესალომმა. ოჯახითურთ გადმოსახლდა ჭუბურიშში, სახლის აშენებას აპირებს ზედ სანწალეს გადასახედზე. თავდაპირველად, დირექტორად როცა ნიშნავდნენ, ამ ადგილას ბოძკინტებზე შემდგარი გრძელი და უშნო ფარდული იდგა. მოღიავებულ კედლებში ქარი თავისუფლად ნავარდობდა. იატაკის ნაპრალებში ბავშვი ჩავარდებოდა. წვიმის დროს საკლასო ოთახებში წყალი ჩამოდიოდა. გვალვის ჟამს კი სარდაფში გუბე არ შრებოდა და იმ ლეყეპში ბაყაყები მთელი დღე გულის გამაწვრილებლად ყიყინებდნენ. თავი მოიკლა აბესალომმა. არც თვითონ მოისვენა, არც რაიონი მოასვენა, თბილისშიც კი შეაწუხა ხალხი. სამაგიეროდ თავისი გაიტანა — სკოლის ეზოში, ძველი, ჩამპალი ხუხულას ნაცვლად ეს კაპიტალური შენობა წამოიმართა...

დიმიტრის მოსწყინდა. ძალიანაც შეეცადა ყურადღებით ესმინა, როგორმე მოწოლილი მთქნარება ჩაეხშო. ფარული უკმაყოფილება ეუფლებოდა თანდათან და სუფთა ქაღალდს პატარა ეშმაკუნებით ავსებდა.

— მინდა პირუთვნელი ვიყო. — აბესალომმა იგრძნო, მთავარს რომ გადაუხვია. — ცხადია, ასეთ დროს პირველ დარტყმას სკოლა იღებს. რითაც გინდა, იმართლე თავი, ვინ მოგისმენს. უპირველესი დამნაშავე ყოველთვის სკოლაა... კი, ბატონო, ამაზე კამათს არ დაგიწყებთ! თუმცა შეგვეძლო სხვისთვის გადაგვებრალებინა — ოჯახი, ბატონო, ქუჩა, ბატონო, თვითონ ბავშვები, ბატონო... ბოლოს და ბოლოს გენებიც ხომ რაღაცას ნიშნავს?.. ზოგიერთი ხელმძღვანელი გუშინ შესანიშნავ დახასიათებას აძლევდა ბავშვს, დღეს კი იწყებს მტკიცებას, ვიცოდი, პოტენციური მკვლელი რომ იყო, მაგრამ რა მექნა, ათასი რამე ვიღონე და დანაშაულის გზას ვერ ავაცდინეო. მე ასე არ მოვიქცევი, პირდაპირ უნდა გითხრათ, მე ვიბრძოლებ ზაზა ჩიმაკაძისათვის!.. მთელი პასუხისმგებლობით ვი-

მეორებ, ეს მე შერაზადაშვილსაც ვუთხარი. ზაზა ჩიმაკაძე, რაც მას ვიცნობ, შესანიშნავი, ზრდილი, გონებაგახსნილი ბავშვია. ალბათ, უკვე ჩაიხედეთ მის პირად საქმეში, ფრიადზე ნაკლებ ბავშვს არასოდეს უსწავლია...

— მიუხედავად ამისა, ის დღეს მკვლელია! — უკმაყოფილოდ გააწყვეტინა დიმიტრიმ.

აბესალომი სავარძელს ზურგით მიაწვა, ხელში ფანქარს აწვალებდა, სახეზე კი სიმშვიდე ეხატა.

— ვინ იცის, ჩემო კარგებო, ყოველ ჩვენგანში სად მიმალულა მკვლელი!

— მაშ! — წაიბურტყუნა ჯოტომ და დიმიტრი ვერ მიხვდა, ვის უჭერდა მხარს უბნის რწმუნებული.

— ამაზე აქ კამათს ვერ გავმართავ, საქმეს ეს არ ეხება!

— საქმეს ბევრი რამ ეხება, ზაზა ჩიმაკაძე შესანიშნავი ოჯახის შვილია!

— ვიცი, დედამისი თქვენი სკოლის მასწავლებელია.

— წუთითაც არ იფიქროთ, კოლეგიალობა მალაპარაკებდეს. ჭეშმარიტებას ხომ ვერსად გავექცევით? ქალბატონი ლუბა ჩვენი სკოლის ერთ-ერთი წამყვანი პედაგოგია!

აბესალომმა ხროტინით ჩაისუნთქა და სავარძელი მძიმედ ააჭრაჭუნა.

„ცუდად არ გახდეს?“ — გაიფიქრა დიმიტრიმ, კითხვით კი მაინც შეეკითხა:

— დაზარალებულზე რას მეტყვით, მამუკა ლეჟავა როგორი ყმაწვილი იყო?

აბესალომმა უბეში ჩაიყო ხელი, ეტყობა მკერდი მოისრისა, იქნებ გული აწუხებდა.

— როგორი სიტყვაა, ჰა?.. დაზარალებული!.. დაზარალებული კი არა, უნებლიე მსხვერპლი, მე ასე ვიტყოდი. მამუკა ლეჟავა რთული მოვლენა გახლდათ ჩვენს პედაგოგიურ პრაქტიკაში. ასე მგონია, რაც არ უნდა ვთქვა, ვაქო თუ არ ვაქო, არც ერთი იქნება სწორი და არც მეორე. ობოლი იზრდებოდა, უფრო სწორად, ბებია ზრდიდა, ცინტუ ლეჟავა, ქალიშვილობაში, მგონი, კვირკველია, კვირკველხე, თუ არ ვცდები... მეტად ღირსეული

მანდილოსანი, მაგრამ, მე ვიტყოდი, ძველის გადმონაშთი... მამუკა მკვირცხლი ბავშვი იყო, არცთუ ურიგოდ სწავლობდა, თუმცა ყოველთვის ერთნაირად ვერა... საკმაოდ გონიერი, ჭკუასხარტი!.. აფსუს, რამე კი გამოვიდოდა მისგან... აწი რას ვუშველით, ჩემო კარგებო! მე თუ მკითხავთ, თუმცა უხერხული კია ამაზე ლაპარაკი, მაგრამ პირდაპირი კაცი ვარ, კუდის ქიცინი არ მეხერხება და თუ მკითხავთ, უმჯობესია, ცოცხალს ვუშველოთ რამე!

ჯოტომ პირზე მუჭი მიიდო და ხმაურით ჩაახველა. დიმიტრი უხერხულად შეიშმუშნა.

— არსებობს სამართლიანობა!

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! — ნაჩქარევად გააწყვეტინა აბესალომმა. — უპირველესად სამართლიანობის მხარეს უნდა დავდგეთ, თუმცა თვითონ კანონიც ჰუმანურია მოზარდის მიმართ.

— განაჩენი მე არ გამომაქვს. — გაღიზიანება ვერ დამალა დიმიტრიმ. — მაგას სასამართლო განსაზღვრავს!

— სასამართლომდე შორსაა! — ნაძალადევად გაიცინა აბესალომმა. — მანამდე, ალბათ, ბევრი რამ გაირკვევა! ახლა კი, — საათზე დაიხედა, — ახლა კი ბოდიშს მოგიხდით, გაკვეთილი მაქვს. თქვენ კი, ალბათ, ზოგიერთ პედაგოგთან მოისურვებთ გასაუბრებას!

დიმიტრიმ თავი დაუქნია. აბესალომი რომ გავიდა, ეშმაკუნებით გავსებული ქაღალდი მოკუჭა და ჯიბეში ჩაიდო.

— რა კაცია ეს ფალავანდიშვილი?

— ჩვეულებრივი! — ჯოტომ მხრები აიჩეჩა. — ცდილობს, სკოლის პრესტიჟი გადაარჩინოს, რა თქმა უნდა, საკუთარიც. ამისათვის კი, მაგალითად, სიცრუე არაა საჭირო, ზოგ წვრილმანზე თვალის დახუჭვა კმარა!

„მე რამეზე თვალის დახუჭვას არ ვაპირებ!“ — გაიფიქრა დიმიტრიმ.

კარი გაიღო და აბესალომმა შემოყო თავი.

— მეცხრე კლასის დამრიგებელი მოვიყვანე, მეც მალე გამოვჩნდები!

თვითონ გაქრა, კაბინეტში კი ახალგაზრდა ქალი შემოვიდა. პირისახე ბავშვისას მიუგავდა, თუმცა ტანის სისრულე მის ასაკს ამჟღავნებდა. უხმოდ დაუკრა თავი მამაკაცებს, ბაგეზე ცივი, უნდობელი ღიმილი დააჩნდა.

დიმიტრი წამოდგა, დაელოდა, სანამ ქალი დაჯდებოდა. აბნევდა მისი უნდობლობა, არ იცოდა, საუბარი როგორ წამოეწყო.

ჯოტომ ისევ ჩაახველა, ხმა ჩაიწმინდა და ოთხი სიტყვა ისე ამოთქვა, თითქოს ლაპარაკი ეზარებაო:

— ზაირა მჟავია, ლიტერატურის მასწავლებელი!

— იქნებ თქვენი აზრი გაგვიზიაროთ, ქალბატონო ზაირა! — დიმიტრიმ საქაღალდედან მორიგი ფურცელი ამოიღო და პირველი ეშმაკუნას დახატვას შეუდგა.

— ჩემი აზრი ვის რაში აინტერესებს, — ზაირა მჟავიას დაბალი, მელოდიური ხმა აღმოჩნდა, — ალბათ, დირექტორისა უკვე გაიგეთ!

— თქვენ რა, არ ეთანხმებით დირექტორს?

— იცით, რა ბავშვი იყო მამუკა ლეჟავა? — კითხვა შეუბრუნა ზაირა მჟავიამ. — როგორ აგიხსნათ, სიტყვა ვერ მომიძებნია... ის ისეთი ბავშვი იყო, თითქოს შიგნიდან ანათებსო. წარმოგიდგენიათ? თითქოს თავის მეობაში დაატარებდა სინათლეს და ის სინათლე ჩაქრა.

— თქვენს საგანს კარგად სწავლობდა? — როყიოდ იკითხა დიმიტრიმ და მიხვდა, შეცდომა დაუშვა.

ზაირა მჟავიამ მხრები ზიზღით შეარხია, ტანჯვის კვალმა ბავშვურ სახეზე ასაკის ღარები დაამჩნია.

— იცით რა, — ხმა შეურბილდა ქალს, — მე, ალბათ, მკაცრი, უშეღავათო მასწავლებელი ვარ, ყოველ შემთხვევაში, ასეთი სახელი დამიგდეს ზარმაცი ბავშვების მშობლებმა. დერეფანში რომ გავივლი, ხმადაბალი ზუზუნი მესმის — „ზზზ!“ ეს ბავშვები აფრთხილებენ ერთმანეთს, ზაირა მასწ. მოდისო!.. ჩემი გულის მოგება იოლი არაა. კლასში რომ შევდივარ, თავი ჯარისკაცი მგონია, რომელმაც მორიგი ომი უნდა გადაიხადოს. არ ვიცი, პედაგოგიურად რამდენად გამართლებულია ეს, მაგრამ ბავშვებს იოლად ვიმორჩილებ. ჩემს გაკვეთილზე ბუზის გაფრენას გაიგონებს კაცი. ერთადერთი, მამუკა ლეჟავა მიშრობდა სისხლს. აქაც იყო და არც იყო, სადღაც ფანჯრებს მიღმა მიფრინავდა... როგორმე უნდა დამემორჩილებინა, მაგრამ ვერაფერს გავხდი. ვსჯიდი, პასუხად კი ისეთ ნათელ ღიმილს შემომაფენდა, გულს ვასკდებოდი. გარეგნულად, რა თქმა უნდა, არაფერი მეტყობოდა, მაგრამ ხანდახან ისე გამომიყვანდა მწყობრიდან, ღამით, შინ როცა ყველა დაიძინებდა, ტირილი ამიტყდებოდა. თქვენ გაგეცინებათ კიდეც, მე კი თავს განიარაღებულად და დამარცხებულად ვგრძნობდი... ერთხელ გაკვეთილი არ მომიმზადა. განა არ შეეძლო? თავისნება იყო, არ უნდოდა და არ ისწავლა. წარმოიდგინეთ, დგას და მიყურებს, მე კი არ ვიცი, რა ვქნა. სიმწრისაგან ლამის ცრემლი მომადგეს, თქმით კი არაფერს ვამბობ, ჩუმად შევყურებ... უცებ ბავშვი ჩემკენ წამოვიდა, გაბზარული ხმით, აბნეულად მითხრა: „ზაირა მასწ. მაპატიეთ!“ ოდნავ აიწია, ლოყაზე მაკოცა და კლასიდან გავიდა...

ზაირა მჟავიამ თვალზე ცხვირსახოცი აიფარა.

— წარმოიდგინეთ, კლასში სამარისებური სიჩუმეა, ყურში კი ისევ ჩამესმის — „ზაირა მასწ... მაპატიეთ!“ იმ წუთას მე მისთვის, ობოლი ბიჭისათვის, განაწყენებული დედა ვიყავი... და უცებ, ამ სიწყნარეში ხმადაბალი, თითქოს უბრალო, მაგრამ დანასავით — „ცირკია რა!“

— ზაზა ჩიმაკაძის ხმა იყო?

ქალი უცებ წამოხტა, ხელი გაასავსავა, არ შემიძლია, არ შემიძლიაო, — ჩაიჩურჩულა და კაბინეტიდან სწრაფად გავიდა.

ჯოტო გვილავამ თითები ერთმანეთს შეაჭდო და შუბლით ზედ ჩამოეყრდნო. დიმიტრიმ გულში უსაშველო სიცარიელე იგრძნო. „კანონი კანონია, გული აქ არაფერ შუაშია!“ — თავი გაიმხნევა, მაგრამ ამ აზრმა შვება ვერ მოჰგვარა.

კარგა ხანს ისხდნენ ჩუმად. დრო ნელა მიდიოდა. ზარი მოულოდნელად დაირეკა, ისე მკაფიოდ და გამაყრუებლად, კაცები შეკრთნენ, თითქოს არც მოელოდნენ ოდესმე გაკვეთილის დამთავრებას. სადღაც კარი მიეხეთქა და წამში დერეფნები აივსო ზრიალით, სიცილ-კისკისით, ფეხების ბრაგაბრუგით.

აბესალომ ფალავანდიშვილი შემოიჭრა ხმაურით. ხელებს

იფშვნეტდა, ესეც ასე, მოვრჩიო. ორი მამაკაცი შემოიყოლა, დიდის ამბით წარუდგინა სტუმრებს:

— ბატონი ისიდორე დიდმელია, ჩვენი შესანიშნავი ისტორიკოსი! ბატონი პეტრე კუჭავა, უხუცესი მათემატიკოსი, არათუ სკოლისა, რაიონისაც, ასე არაა, ბატონო პეტრე?

— ეჰ, სიბერეში რა ხეირი ყრია!

პეტრე კუჭავა, მაღალი, ხმელი ბერიკაცი, წელგამართული იდგა. ხელი მტკიცედ ჩამოართვა სტუმრებს. დიმიტრი შეიშმუშნა კიდეც, არ მოელოდა, ასე თუ მოუჭერდნენ. ისიდორე დიდმელია კი თავის ქნევით დაკმაყოფილდა და უმალვე დაჯდა.

— რომ ავწუწუნდე, დაბერდა და იმიტომ წუწუნებსო, იტყვით... — პეტრე კუჭავა ასევე წელგამართული დაეშვა სკამზე, მარჯვენა მაგიდაზე დაასვენა და ლაპარაკის დროს თითს მსუბუქად უკაკუნებდა, თითქოს კლასს აშოშმინებსო. — ეს რა ახალგაზრდობა მოდისო, რომ ვიძახო, გაგელიმებათ. ათადან-ბაბადან ყველა ბებერი ერთნაირად ჩივის ამას. ისე, გულზე ხელი რომ დავიდოთ, არც ჩვენ გახლდით მთლად ანგელოზები. ვჩხუბობდით, ვიგინებოდით, ჩუმ-ჩუმად თუთუნს ვეწეოდით, ერთმანეთს კბილებს ვამტვრევდით... ეჰ, რა არ ხდებოდა!.. ზაზა და მამუკა კი — რა ძნელია ახლა ამ სახელების დაწყვილება — ფარულად მეტოქეობდნენ და ეს ჩვენ გამოგვეპარა... ვინ იფიქრებდა, ვინ იფიქრებდა!..

— ჩიმაკაძეს ფენომენალური მეხსიერება ჰქონდა. — ალაპარაკდა ისიდორე დიდმელია. — თუმცა რატომ „ჰქონდა“? ახლაცა აქვს, ალბათ! ისტორიულ თარიღებს ზედმიწევნით ზუსტად იმახსოვრებდა. სახელმძღვანელოს ტექსტს თითქმის ზეპირად გადმოგვცემდა და ამისთვის ზუთხვა არ სჭირდებოდა. ოღონდ, ვფიქრობ, მისთვის სულ ერთი იყო, რას იზეპირებდა, მოვლენებისადმი საკუთარი, ემოციური დამოკიდებულება არ გააჩნდა. ერთხელ საფრანგეთის ბურჟუაზიულ რევოლუციას ვუხსნიდი ბავშვებს და შევეკითხე, იმ დროს პარიზში რომ ყოფილიყავით, ვის მიემხრობოდით-მეთქი. მამუკა ლეჟავა აღფრთოვანებული წამოხტა — „მე იაკობინელთა მხარესა ვარ!“ კლასში ჟრიამული ატყდა, ვინ რას ამბობდა, ვინ რას. ზაზამ კი ირონიულად გაიღიმა და ცივად მითხრა: „ეს შეუძლებელია, მე

იმ ეპოქაში არ ვცხოვრობდი და ასეთი დილემის წინაშე არ ვდგავარ. ამაზე თავი ფანტაზიორებმა იტეხონ!“ „შენისთანები იმ დროს ჯალათები იყვნენ!“ — ბოლო მერხიდან გასძახა ჩიორამ. ზაზას სახეზე ღიმილი არ წაშლია, მხოლოდ მხრები აიჩეჩა...

— ჩიორა ვინაა? — იკითხა დიმიტრიმ.

— თანაკლასელია! — ჩაერია აბესალომი. — ისე ვანო ჰქვია, კაპანაძე!

— მე კი ზაზა მომწონდა! — პეტრე კუჭავა თითს წინანდებურად აკაკუნებდა. — ცოტათი წარმოსახვა კი აკლდა, ცხადია. წარმოსახვა, მოგეხსენებათ, მათემატიკოსს არანაკლებ სჭირდება. მაგრამ, უნდა ვაღიარო, ზაზა ერთგვარად მიმსუბუქებდა შრომას... ნიჭიც ჰქონდა ნამდვილად.

— მაინც რატომ უნდა ეფიქრა, მაგალითად, ჩიორას, შენისთანები ჯალათები იყვნენო? — იკითხა უცებ ჯოტომ.

— ვფიქრობ, ამას თავისი მიზეზი აქვს! — დიდმელია კუჭუხიძის მოუსვენარ თითს მიაჩერდა. — ჩვენ ბავშვებს, როგორ გითხრათ, ერთგვარად შორიდან ვუყურებთ. ხანდახან მეჩვენება, რომ ისინი იზრდებიან რაღაცნაირ დახშულ წრეში, სადაც ჩვენ ვერაფრით შეგვიღწევია. შორიდან კი მხოლოდ გარეგნულ, თვალში იოლად საცემ დეტალებს დაინახავ. სამაგიეროდ, ვინც იმ წრეშია, ბევრ რამეს უკეთ ხედავს... უფრო სწორად, უშუალოდ აღიქვამს იმ ნიუანსებს, რასაც მასწავლებლის მზერა ვერა სწვდება.

— მაგი რა დასაჯერებელია, კოლეგა! — პეტრე კუჭავა შეიშმუშნა. — ხომ არ გინდა თქვა, რომ ჩვენ, ჩვენი მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილებით, ბავშვის ქცევის მიზეზს ვერ ჩავწვდენილვართ?

— აბსტრაქტული, ზოგადი ბავშვის ქცევის მოდელს, ჩვენ, რა თქმა უნდა, შევქმნით. მაგრამ ინდივიდი ხშირად ისე განსხვავდება იმ ჩვენი მოდელისაგან, ინდივიდის ნაირგვარობას ვერავითარი გამოცდილება ვერ ჩასწვდება!

— რასაც ჩვენ ვერ ჩავსწვდით, იმას, შენ ფიქრობ, ჩიორა ჩასწვდა?

— მთლად ასე არ მინდოდა მეთქვა. ჩიორას ბოლომდე არ

ჰქონდა, ალბათ, საკუთარი სიტყვები გააზრებული. ეს სიტყვები ინსტინქტის ანარეკლია, ინსტინქტი კი, ზოგჯერ, არას დაგიდევთ ლოგიკას.

— ამხანაგებო, თეორიებში ნუ გადავიჭრებით! — ფალავანდიშვილმა ხმაურით ჩაისუნთქა და სავარძელი ააჭრაჭუნა. — ამით, მგონი, საქმეს ვურთულებთ ჩვენს ახალგაზრდა გამომძიებელს. მას აინტერესებს კონკრეტული ფაქტები, რათა ტრაგედიის ჭეშმარიტი სურათი აღადგინოს!

დიმიტრი უხერხულად შეიშმუშნა. განყენებული მსჯელობები მართლაც არაფერს არგებდა, მაგრამ ფალავანდიშვილის კილოში ფარული დაცინვა გამოსჭვიოდა და თავი შეურაცხყოფილად იგრძნო.

— თეორიების გარეშე ჭეშმარიტ სურათს ვერ აღვადგენთ! — ნაძალადევი ღიმილით შეეპასუხა. — თუმცა არ ღირს ახლა ამაზე კამათი. თქვენ მართალი ბრძანდებით, ფაქტების დაზუსტება დიდად დამეხმარებოდა...

— არც კი ვიცი, რითი შემიძლია დაგეხმაროთ! — პეტრე კუჭავა მაგიდაზე კაკუნს შეეშვა და ხელები გულზე დაიკრიფა. — ნახვით ყველაფერი ვნახე, მაგრამ შორიდან ვუყურებდი და, რაც თქვენ იცით, იმას, არა მგონია, რაიმე ახალი დავამატო. მეორე სართულის დერეფნის ბოლოს ვიდექი. ფანჯარასთან შევყოვნდი. ის ფანჯარა სკოლის ეზოსა და ნაკვეთს გადაჰყურებს. თქვენც კარგად იცით, იმ დღეს წვიმდა და ძნელი გახლდათ რაიმეს გარჩევა. ნაკვეთში ბიჭები იყვნენ, მაგრამ ლანდებად მეჩვენებოდნენ. ზაზა ვიცანი, თითქოს ვიღაც ბიჭს ჩაეხუტა, ის ბიჭი კი მოწყვეტით დაეცა. ვერ მივხვდი, რა მოხდა... ან რას მივხვდებოდი, ბიჭების ძიძგილავის მეტი რა მინახავს!

— მე კი ჩიმაკაძის სახე არ დამავიწყდება! — ისიდორე დიდმელია ისე მოიბუზა, თითქოს შესცივდაო. — შესვენება იყო. მომწყურდა. გაკვეთილი პირველ სართულზე მქონდა, იმიტომ არ ამოვედი ზევით. თუმცა წვიმდა, ეზოში რომ სასმელი წყლის შადრევანია, იმისკენ წავედი. ის იყო, დავიხარე და ჩიმაკაძე გამოჩნდა, გაწუწული, ტალახში ამოგანგლული, სახეარეული... ფეხაჩქარებით მოდიოდა... მივხვდი, სადღაც იჩხუბა! ამას იმ-

დენ ყურადღებას არ მივაქცევდი, მართლაც, ბატონი პეტრესი არ იყოს, რამდენი ბიჭი ეძიძგილავება ერთი მეორეს. მაგრამ შევხედე და თმა ყალყზე დამიდგა... ხელში სისხლიანი დანა ეჭირა... ცხვირწინ ვედექი და ვერ შემამჩნია. შადრევანზე აუჩქარებლად ჩარეცხა, მერე იქვე დადო, პეშვით პირზე წყალი შეისხა, დანა ხელახლა აიღო და დაკეცა. „ჩიმაკაძე!“ — შევეხმიანე. რაღაც რიდი გამიჩნდა, არ ვიცი ამას რა ვუწოდო... შემომხედა. ვფიქრობ, ვერც მაშინ მიცნო. მოულოდნელად დანა ზიზღით მოისროლა და გამშორდა... მე კი გაშეშებული ვიდექი, თითქოს აზრი გამეყინა...

ისიდორეს სახე აუფორაჯდა და ფალავანდიშვილმა დამშვიდება დაუწყო:

— თავს ნუ იტანჯავთ, პატივცემულო ისიდორე, თქვენ რა შეგეძლოთ?

— იქნებ ბიჭისთვის მეშველა რამე, ეს ოხერი ტვინი რამ გამიყინა მაშინ?

— შიშმა! — შეეპასუხა უცებ ჯოტო.

— რომელი შიში, ყმაწვილო! რისი უნდა მშინებოდა ვითომ? — მთელი ტანით შემობრუნდა დიდმელია, მაგრამ უბნის რწმუნებულმა მეტი არაფერი თქვა.

— ეჰ, ნერვებს ნუ ავყვებით, მეგობრებო! — შემრიგებლურად ჩაურთო აბესალომ ფალავანდიშვილმა...

კლასში სამარისებური სიჩუმეა. ჯოტო გვილავა მოუსვენრად აჭრაჭუნებს სკამს. დიმიტრი ფარცვანია ფანქარს აწვალებს, მდუმარედ ათვალიერებს მის წინ მსხდომ გოგო-ბიჭებს, რომელთა ნაწილი „საქმეში“ მოწმედ გადის. ყველანი აქ არიან, მთელი კლასი, გარდა იმ ორისა, ვერასოდეს აქ რომ ვერ დაბრუნდებიან ამიერიდან. დრამის კიდევ ერთი მონაწილე, თინიკო კელაპტრიშვილი პარალელურ კლასში სწავლობს, ბოლო დროს თურმე თავის ტკივილს უჩივის და გაკვეთილებს აცდენს.

ზაირა მჟავია ფანჯარასთან დგას და ეზოს გაჰყურებს. იმთავითვე არ მოეწონა დიმიტრის ეს ქალი. განზე გამდგარა, გულში ჩუმი პროტესტი ჩაუდვია და ვინ იცის, მომავალში, სად

რას იტყვის.

დიმიტრიმ ჟურნალი მოიჩოჩა და სიას ჩამოჰყვა. ხმადაბლა კითხულობდა, თვალს შეავლებდა შემკრთალ მოწაფეს, თავს დაუქნევდა, დაჯექიო. ზოგიერთი ბავშვის სახელი და გვარი წინასწარი კვლევის მასალებიდან ახსოვდა. ამათ უფრო ხანგრძლივად აკვირდებოდა, თუმცა იცოდა, რაც შერაზადაშვილს უთხრეს, იმას ვერაფერს დაამატებდნენ. ხანგრძლივად, ჩაფიქრებით შეხედავდა მაინც, თითქოს ცდილობდა უხმო კითხვაზე მიეღო პასუხი. ბავშვების შემოხედვაში მათი სული ირეკლებოდა. ისინი მართლაც პასუხობდნენ უხმოდ. ოღონდ მათ პასუხებში სულ სხვა რამ ტივტივებდა: როდის მომთავრდება ყოველივე ეს? თავს რატომ არ დაგვანებებთ? ეს თქვენი საქმიანი ფაციფუცი არაფერს ნიშნავს, ვერაფერსა გვძენს, ვერ გვამშვიდებს!.. თვალისათვის უჩინარი, გამჭვირვალე ფარდა ეკიდა გამომძიებელსა და კლასს შორის, ამ მხარეს თვითონ იჯდა, დანარჩენები ფარდის მიღმა ისხდნენ და ყველა ერთად, ხმაამოუღებლად საუბრობდა, თუმცა ერთმანეთისა არა ესმოდათ რა. მოეჩვენა კიდეც, კლასი კი არა, ერთი ვიღაცა იჯდა მის წინ, ოღონდ მრავალსახოვანი. ეს მრავალი სახე ერთ სახეში გაერთიანებულიყო, კლასის სახეში, წინ რომ აღუდგა გამომძიებლის მოძალებას და არ აპირებდა ჩარაზული კარის გაღებას.

დიმიტრი შეეცადა დაერღვია ეს ჯიუტი მთლიანობა. იხსენებდა წინასწარი კვლევის მასალებს და ვისაც რაიმე ეთქვა იმ დღის ტრაგედიაზე, იმათ უფრო აკვირდებოდა, თავის მხარეზე გადაბირებულად თვლიდა.

აგერ, ავთანდილ ბებია, დაკუნთული, მოზვერივით ბიჭი, სანწალეს გაღმა რომ ცხოვრობს, კლასში ყოველდღე იგვიანებს. ტყუილების გუდაა, თავის გასამართლებლად ხან ბებიას ავადმყოფობას მოიგონებს, ხან დედ-მამისას. არ დაუტოვებია ახლობელი, ვინაც ერთხელ მაინც არ ჩააწვინა ავადმყოფის ლოგინში... ყველაზე ადრე ავთანდილ ბებიამ ნახა იმ დილით მამუკა ლეჟავა. სანწალეს პირას გადააწყდა, საბანაოსთან რომ მუხაა, იმის ქვეშ. წვიმა საკვირველად ასხამდა, მამუკა წიწილასავით გაწუწული იდგა. სახე ისეთი ჰქონდა, მსგავსი მხოლოდ კინოში

მინახავსო, აი, შეყვარებულები დარდს რომ ასკდებიანო. სკოლაში რატომ იგვიანებო, ჰკითხა თურმე ავთომ. ზაზა უნდა მოსულიყო და იმას ველოდებიო, მამუკას უპასუხნია... „კაი შექანებულია, აი!“ — მეტს, აბა, რას იფიქრებდა ავთანდილ ბებია...

დავით ქანთარიას მწითური თმები შუბლზე ჩამოჰფარცხვია, მოკვნეტილ ფრჩხილებს ათვალიერებს. ზაზა ჩიმაკაძე არ მიყვარსო, პირდაპირ განუცხადებია, მაგრამ სულ მაგისგან ვიწერდი და ცუდს ვერაფერს ვიტყვიო. მაინც რატომ არ გიყვარსო, შერაზადაშვილს უკითხავს. საზიზღარი ჩვევა ჰქონია ჩიმაკაძეს. დავალებას კი გადაგაწერინებდა, მაგრამ დაგიჯდებოდა ამ დროს ცხვირწინ და თვალმოუშორებლად მოგაშტერდებოდა. შერაზადაშვილი ჩასძიებია, მარტო ამის გამო ხომ არ შეიძულებდი კაცსო. დათო გამოტყდომია: ხომ იცით, ბიჭები ხშირად ვჩხუბობთო. ერთადერთი ჩიმაკაძე არ გაერეოდა ჩვენს მარაქაში და გულდედალი მეგონაო. იმ დროს თავი გმირად მომქონდა, მუშტი მექავებოდა, ხან ვის ავუხირდებოდი, ხან ვისო... ერთხელ იყო და მამუკას დაბრიყვება განვიზრახეო. ხან მხარს ვაჯახებდი, ხან რაიმე საშარო სიტყვას ჩავურთავდიო. მოკლედ, ხელთათმანს ვესროდიო. შემატყო, არ მოვეშვებოდი და მითხრა, რახან ეგრეა, სანწალეს პირას დავარტყათო. დავთქვით დრო, როგორც წესია, დავიფიცეთ, ვინც ჩხუბს თავს აარიდებს, მხდალი იყოსო... თავი კი მეჭირა მაღლა, მაგრამ ყველაფერი სხვანაირად შებრუნდაო. ბოლო გაკვეთილის შემდეგ, ზაზამ მეგობრულად გამიწვია განზე, შენთან სალაპარაკო მაქვსო, გამიყვანა უკანა ეზოში, მშვიდად დადო ჩანთა და ყბაში მლეწაო... იქვე ჩავიკეცე და კარგა ხანს გონს ვერ მოვედიო... რატომ გაარტყა? ძმაკაცები იყვნენ ზაზა და მამუკა... ახლაც ის ყბა ეწვის დათო ქანთარიას, კლასშიც არ მომაყოლონ ეგ ამბავიო და თავი ზევით ვეღარ აუწევია...

ციცინო ზაირა მასწავლებლის შვილია. ჰგავს კიდეც. სიმაღლით ცოტაღა აკლია, მალე დედას დაეტოლება, ალბათ. სახე მწყაზარი აქვს, უხინჯო, მის მზერაში ფარული სიჯიუტე იმალება. გამომძიებელს თვალს არიდებს, დედამისივით ფანჯრისკენ იყურება. შერაზადაშვილს კი რატომღაც უცბად გაუხსნა გული.

თინიკო კელაპტრიშვილმა რომ შემოანათა ჩვენს სკოლაში, იმ დღეს პირველი მერხიდან გადავჯექი უკანა მერხზე, დათოსთან, მთელი ცხოვრება მანამდე კენტად რომ იჯდაო. იმავე დღეს მიუღიათ ციცინოს და დათოს წყვილი ორიანი. ბოლო გაკვეთილზე კი ლუბა მასწავლებელს შენიშვნა მიუცია, ბევრს ლაქლაქებო. დედამისი ისე იქცეოდა, ვითომ შვილის ამბოხისა არაფერი სმენოდეს. მხოლოდ კვირის თავზე, კვლავაც რომ ორიანი მიაკერეს გოგონას, ხელი გადახვია, მოდი, დავსხდეთ და ვიჭუკჭუკოთო. ციცინოს თურმე სახეზე შემოენთო, მაგრამ რას იზამდა, მორჩილად დაჯდა. დედამ გაუღიმა და ჰკითხა: „ხომ ლამაზი გოგონაა თინიკო კელაპტრიშვილი?“ ციცინო კინაღამ ტახტქვეშ შეძვრა, მაგრამ ძალა ეყო და თავი უხმოდ დაუქნია. „ისე, თუ დააკვირდები, განსაკუთრებული თითქოს არაფერი აქვს, მაგრამ ყველას თვალი ზედა რჩება. როგორ ფიქრობ, რატომაა ასე?“ ციცინომ მხრები აიჩეჩა, ან რა უნდა ეთქვა. დედამისი ისეთი გულთმისანი ქალი იყო, იმის თვალს რა დაემალებოდა: „თინიკო ნათელი გოგონაა, ღრმა და შინაარსიანი, შემოგხედავს და თითქოს შემოგანათებს. ყოველ ადამიანს შეუძლია ლამაზი იყოს. ამისათვის საჭიროა, მისი სული მაღლა დაფრინავდეს, ბიწსა და ჭუჭყს არ იკარებდეს!“

დიმიტრი ფარცვანიამ უხმოდ დაუქნია თავი, ციცინო კი ისევ ისე იდგა და გამომძიებელს მოეჩვენა, გოგონა საცაა ატირდებაო. „დაბრძანდი, გეთაყვა!“ — ხმადაბლა უთხრა. დათომ კი მკლავზე მოქაჩა და ციცინო მოსხლეტით დაეშვა სკამზე. დაკითხვის ოქმში იდო ერთი ფურცელი, სადაც ციცინო მჟავიას ჩვენება ეწერა: „პეტრე მასწავლებლის გაკვეთილი გვქონდა, მამუკას დააგვიანდა. გაწუწული შემოვიდა. კართან გაჩერდა. დათომ იდაყვი გამკრა, ახლა რაღაც მოხდებაო. ზაზა დაფასთან იდგა, მარცხენა ხელი კურტაკის ჯიბეში ჩაეყო. ეს ახლა მაგონდება, ვფიქრობ, რაღაც ნივთი ედო და იმას უჭერდა. მარჯვენაში ცარცი ეჭირა და დაფა უკვე აეჭრელებინა ფორმულებით. პეტრე მასწავლებელი დაფას მისჩერებოდა და კარგა ხანს ვერ შეამჩნია მამუკა. სამაგიეროდ ზაზამ შეხედა შემოსულს. სახეზე იშვიათად დაეტყობოდა რამე. ახლაც არაფერი

დაიმჩნია, ოდნავ ეცვალა ფერი, ცარციანი ხელი ჰაერში გაუჩერდა. ყოველივე ეს გვიან გავიხსენე, თორემ მაშინ რატომ მივაქცევდი ყურადღებას. პეტრე მასწავლებელმა თავი მიაბრუნა, უყურა, უყურა და ხელები გაშალა: „ა, ბატონო, ბოლოს და ბოლოს გვიკადრა! მიბრძანდი, ლეჟავა, შენს ადგილას და ხვალ ბებია მოიყვანე სკოლაში!“ მამუკას ხმა არ ამოუღია. ჩვეულებრივ წინა მერხზე იჯდა ზაზასთან ერთად. რაკი ზაზა დაფასთან იდგა, მერხი თავისუფალი იყო, მაგრამ მამუკამ გვერდი აუარა, ჩემკენ წამოვიდა. მთელმა კლასმა გამოადევნა მზერა. ეს ხომ ომის გამოცხადებას ნიშნავდა. თავით მანიშნა, ჩაიწიეო. უხმოდ ჩავიწიე და ერთ მერხზე სამნი აღმოვჩნდით. კლასს თითქოს ჩუმმა ოხვრამ გადაუარა. ზაზა ისევ ისე იდგა ცარცით ხელში. პეტრე მასწავლებელმა გაკვირვებით შეხედა ზაზას, მერე მამუკას, უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ გადაიფიქრა: „აბა, ჩიმაკაძე, რა შედეგი მივიღეთ?“

დიმიტრიმ ამოიხვნეშა, გულზე სიმძიმე დააწვა. ყველაფერი აღიზიანებდა, ზაირა მჟავიას განდგომაც, ჯოტო გვილავას სკამის ჭრაჭუნი, კლასის მდუმარება. წინასწარ იცოდა, კითხვებზე რა პასუხსაც მიიღებდა. ისეთი კითხვა კი, საქმეს ახალი კუთხით რომ წარმოაჩენდა, თავში არ მოსდიოდა. ამ კლასში მის ყოფნას ფორმალობის სუნი სდიოდა და ამიტომაც არ იცოდა, რა ეკითხა. ახალს რას ეტყოდა, მაგალითად, ლეილა ზარქუა, მსუქანი, ჩაგოდრებული გოგონა, ფართო სახეზე წამდაუწუმ ვარდისფერი რომ ასკდებოდა. მთელმა კლასმა იცოდა, ზაზაზე რომ ირეოდა და კელაპტრიშვილს დასანახავადაც ვერ იტანდა. „ნეტავი რას გიჟდებიან? მაგეთი გოგო ორასია ჩვენს სკოლაში!“ ანდა ლალი სხირტლაძე, ასე კუშტად რომ იყურებოდა, პაწია ცხვირი უგრძელდებოდა, ვიწრო ბაგეებიდან კი ცრიდა: „საზიზღარი!.. ვერ ვიტან!.. თავის ტყავის კურტაკში სელაპს მაგონებს!“ დაუფარავი შურით — „საითაც გავიხედავდი, თინიკო კელაპტრიშვილს ვაწყდებოდი. ბიჭები მთლად გადაირივნენ, თითქოს აქამდე ბრმები იყვნენ და ყველამ ერთბაშად გამოიხედაო...“ ანდა ციცო ფალავანდიშვილი, ახლაც რომ ზის და თვალებზე ცხვირსახოცი აუფარებია, ცრემლები სულ ღაპა-

ღუპით სდის. მის ტირილს ყურადღებას არავინ აქცევს, ისე მიეჩვივნენ. შერაზადაშვილს კი მისი სიტყვები ჩაუწერია: „იცით, ერთხელ დაკრძალვაზე ვიყავით, ჭადრების ჩრდილში ვიდექით და მამუკამ მითხრა: ძალიან, ძალიან რომ დავბერდები, სულ თეთრი, თეთრი წვერი მექნება, მოვკვდები და აი, აქ დამმარხავენ!“ ანდა ეკა ცქვიტინიძე, რომელმაც ყოველივე რომანტიკული ხიბლით შებურა: „ასეთები ვართ გოგოები! თუ ვინმე ჩვენზე ლამაზია, მტრობის მიზეზიც ეგ არის. ვითომ რათაო? თინიკო რომ ერთი გონჯი გოგო იყოს, ამით რა მომემატება?.. გონჯი კი არა, სოფლის თვალია. შარაზე რომ გაივლის, თვითონ ხომ გოგო ვარ და თვალს მაინც ვერ ვწყვეტ. იმ დასამიწებელს სკოლის ფორმა ისე უხდება, ფერიების დედოფალი გეგონება. მე თუ მკითხავთ, სკოლის ფორმა ქვეყანაზე არავის უხდება, მაგრამ თინიკო სულ სხვა ქვეყნიდან ჩამოსულსა ჰგავს. რა ფეხებზე დადის, როგორი თლილი თითები აქვს... თვალ-წარბ-წამწამი?.. მისი თმები ხომ ერთ სოფლად ეღირება... მე თუ მკითხავთ, თითო სოფელში თითო მაინც უნდა დაიარებოდეს ეგეთი მზეთუნახავი... ზღაპრისა არ იყოს, ბიჭებმა ხმლები შეაჯვარეს... მამუკას სიბრალული მეც მიკლავს გულს, მაგრამ, მეორე მხრივ, სადღაც ხომ არის ღმერთი, ჯერ კიდევ არსებობს სიყვარული, ლამაზი ქალის გულისათვის ვიღაცა ჯერ კიდევ იკლავს თავს, ვიღაცას კლავენ... მე კი მეგონა, ასეთი რამ მხოლოდ წიგნებში ხდებოდა...“

ეჰ, კიდევ კარგ დროს გავიდა ეგ შერაზადაშვილი პენსიაზე, მთლად დაბერდა ის საცოდავი, ასეთი აბდაუბდით აუვსია დაკითხვის ოქმები. აბა, ბავშვების ამ ნაჩურჩუტევიდან ჭეშმარიტებას რა წაადგება?.. დიმიტრიმ ერთხელ კიდევ ჩაათვალიერა სია... გოგა ჯიჭონაია, ეს გამწლეული აქსელერანტი, როცა დგება, გეგონება ნაწილ-ნაწილ იმართებაო. პირველი გოგა იყო, კართან რომ გადაუდგა მამუკას: „რა მოგივიდათ, ბიჭო, აქამდე განუყრელი ძმები იყავით, სირცხვილია!“ მაშინ იყო, ბეშქენ დავითულიანმა რომ თქვა: „რა მოხდა, იჩხუბონ! ჩვენ შორიდან ვუთვალთვალოთ, ზედმეტი არაფერი გაბედონ!“ ეს ბეშქენი მთებიდან ჩამოგორებული დათვია. მერხში ვერ იმართება. მაგასთან წაჩხუბებას ვინ გაბედავს, მუშტი თუ გაიქნია, დივიზიას იფრენს. ამიტომ ვერ წარმოუდგენია, ვინმე თუ დანას დაავლებს ხელს... ვანო კაპანაძეს ვერ ერევა მხოლოდ, ჩიორას. დიმიტრიმ ვანოს შეავლო თვალი. ბეშქენზე პატარა ჩანდა. ზანტად წამოიწია, თითქოს ფეხზე ადგომას პირად შეურაცხყოფად თვლიდა. ეს სიზანტე მოჩვენებითი იყო, რადგან მოძრაობაში ფარული სისხარტე იგრძნობოდა. მოღუნული კისერი კი გაუხედნავი კვიცივით ჯიუტად დაეძაგრა. „რატომ ჩიორა?“ — გაიფიქრა დიმიტრიმ, ეს სახელი ხომ ყველაზე პატარას და მოსაფერებელს უნდა რქმეოდა.

წვიმდა? ჰო, იმ დღეს წვიმდა!.. „ბიჭებო, ვინ იცის რა დღეში არიან!“ — ჩიორამ წამოიძახა. გამოეკიდნენ. ზაზა სკოლის ნაკვეთზე იყო უკვე. ალბათ, მოკლეზე აპირებდა გადასვლას, თუმცა ატამს ამყნობდაო, იძახიან. მამუკა წამოეწია. ბიჭები რომ მიუახლოვდნენ, ზაზას გადასდგომოდა წინ. „გიმეორებ, ფეხი არ გადმოდგა, თორემ...“ — ეს ზაზას ჩახლეჩილი ხმა იყო. „რას მიზამ, მომკლავ?“ „ფეხი არ გადმოდგა!“ „გადმოვდგი და ეგ არი, დამარტყი თუ ბიჭი ხარ!“ მაშინ...

„რაღაც მბზინავს მოვკარი თვალი და მუხლი მომეკვეთა. — ასე ეწერა ჩიორას დაკითხვის ოქმში. — მამუკამ ნაბიჯი უკან გადადგა, შებარბაცდა. ჩვენ მივირბინეთ, ხელი შევაშველეთ. უცბად დამძიმდა. ისღა მოვახერხეთ, კვალში ჩაგვეწვინა, წვიმის ქვეშ. ჩიმაკაძეს მთელი ეს დრო (თურმე წამები გასულა, ჩვენ კი უსასრულობა გვეგონა), მთელი ეს დრო სისხლიანი დანა ეჭირა და თავის ნამოქმედარი, ეტყობა, ჯერაც ვერ გაეაზრებინა. „ეს რა ქენი, ბიჭო?“ — სინანულით წაიჩურჩულა მამუკამ, საყვედურით გახედა. თითქოს ბრაზმა გაუარა, სახე მშვიდი ჰქონდა. ჩიმაკაძემ უცებ პირზე იტაცა ხელი, თითქოს ყვირილს აპირებდა და ხმა ჩაიბრუნაო. სწრაფად გაგვშორდა. მამუკას მზერა დაებინდა, ბაგე უთეთრდებოდა. თავზარდაცემულნი ვიდექით და დავცქეროდით, როგორ იჟღინთებოდა სისხლით მამუკას ტანისამოსი, სახეზე კი წვრილად ეცემოდა წვიმის წვეთები. „იჩქარეთ, ბიჭებო, იქნებ ექიმთან მისვლა მოვასწროთ!“ — თვითონვე გვიკარნახა. მისმა სიტყვებმა გამოგვაფხიზლა, გიჟებივით დავტაცეთ ხელი და ციმციმ გავაქანეთ ამბულატორიისაკენ... ალბათ, სჯობდა, პერანგი შემოგვეხია და იქვე შეგვეხვია...

იქნებ არც ეს უშველიდა... რა ვიცი, მაშინ ისე აგვებნა თავგზა... ამბულატორიამდე შორი არ იყო, მაგრამ გზა არა და არ გათავდა. კვალზე სისხლის წინწკლები მოგვდევდა, მამუკას კი სახე უფრო და უფრო უმიტკალდებოდა. კვნესოდა, შიგადაშიგ გრძნობას კარგავდა. ერთხელ წაილუღლუღა: „რა ეშველება ცინტუ ბებიას!“ ეჰ, ბედი არ გინდა? ამბულატორია დაკეტილი დაგხვდა. ბეშქენი ვაფრინეთ ფერშალთან. მანქანიანიც არავინ გამოჩნდა, საავადმყოფო კი სოფლის ბოლოსაა. ამასობაში ხალხი შემოგვეხვია, ყაყანებენ, ტირიან, მირბი-მორბიან, ბიჭი კი სისხლისაგან იცლება. გამოჩნდა ერთი ღვთისნიერი ქალი, მანდილი მოიგლიჯა და ჭრილობაზე დაადო... მაშინ უკანასკნელად მოიხედა მამუკამ, თვალით მანიშნა, მოიწიეო, ტუჩები ძლივს შეარხია: „ზაზას უთხარი...“ მეტი ვერ მოახერხა, მაგრამ მიპატიებიაო, თითქოს ეს წავიკითხე მის ბაგეზე, თუმცა ვინ იცის... სუნთქვა უცებ გაუჩერდა, თვალი გახელილი დარჩა, სახეზე კი აწვიმდა...“

„მაინც რატომ ჰქვია ამას ჩიორა?“ — ერთხელაც გაიფიქრა დიმიტრიმ.

რას კითხულობდა? რა ენაღვლებოდა?..

კლასში კვლავ მდუმარება იდგა. მიხვდა დიმიტრი ფარცვანია, არც შესაკითხი ჰქონდა რამე, ვერც ასე უთქმელად გავიდოდა აქედან. უნდა ალაპარაკებულიყო, სულ ერთი იყო, რას იტყოდა და ამიტომ ალაპარაკდა... თავში მოსდიოდა ზოგადი, ტრაფარეტული ფრაზები დღევანდელ ახალგაზრდებზე, სულ სხვანაირ თაობაზე, დანის ტრიალსა და მუშტი-კრივს რომ შეეჩვია... ლაპარაკობდა და თვითონაც არ სჯეროდა საკუთარი სიტყვებისა, ცარიელი სიტყვებისა, ყრუ კედელს ცერცვივით რომ ეყრებოდა და რაკარუკი გაჰქონდა...

„მოსკვიჩი“ გადაიღალაო თითქოს, უხალისოდ მითუხთუხებდა ჭუბურიშიდან. დიმიტრის ლაპარაკი არ ეწადა, „საქმეზე“ ფიქრობდა. წონიდა სიტყვებს, არკვევდა ქვეტექსტებს... საქმე, რა თქმა უნდა, მარტივი იყო, თუ გარეგნულ ფაქტებს დასჯერდებოდა, მაგრამ საკმაოდ რთულიც, თუ შინაგან, მამოძრავებელ მექანიზმს გახსნიდა. თავში სხირტლაძის ნათქვამი ამოუტივტივდა: „საითაც გავიხედავდი, თინიკო კელაპტრიშვილს ვაწყდებოდი!“ ამ წუთიდან ტვინში ჩაეჭედა ეს ფრაზა, არ ამოუვარდა, არ მოშორდა, მთელი გზა უტრიალა, სანამ თავის ტკივილში გადაეზრდებოდა. „დილას აქეთ არაფერი გვიჭამია!“ — გაიფიქრა და ჯოტო გვილავამაც მანქანა გააჩერა.

— ხომ არ წაგვეხემსა, მაგალითად?

დღეს რომ ისაუზმეს, ის რესტორანი იყო. დიმიტრი შეყოყმანდა, მერე თავი გააქნია.

— უკვე შინა ვართ და...

თავის პატარა ბინაში, ჩაის რომ მიირთმევდა, კვლავ თინიკო კელაპტრიშვილი გაახსენდა. უფრო სწორად, ხომალდივით თეთრი სახლი, მაღალი ჭიშკარი, შავი „ვოლგა“ და მთავარი აგრონომი, მანქანის კაპოტს იმ კაცის გამომეტყველებით რომ დაყრდნობია, ვინაც საკუთარი თავის ფასი იცის. შეეცადა წარმოედგინა, როგორ ჩამოირბენდა თინიკო კელაპტრიშვილი კიბეზე, მაგრამ გოგონა ხომ ჯერაც არ ენახა და წარმოსახვაში რაღაც უსხეულო და ფარფატა რამ ტივტივებდა.

იმ ღამეს სიზმარშიც გამოეცხადა. ასევე უსხეულო, ასევე ფარფატა, ვერაფერს კონკრეტულს ვერ ხედავდა, მაგრამ ხვდებოდა, რომ სიზმარში თინიკო კელაპტრიშვილი ეახლა და ამით გაოცებულს უთენია გამოეღვიძა.

ლოგინიდან წამოდგომა დაეზარა. იწვა და დეტექტივს კითხულობდა. კითხვამ ისე გაიტაცა, საუზმის დროსაც წიგნში იყურებოდა და სანამ კომისარმა მეგრემ ბოროტმოქმედი კუთხეში არ მიიმწყვდია, მანამ ვერ მოეშვა. შემცბარმა დახედა საათს, სამსახურში დაჰგვიანებოდა. „ამ სისულელის გულისათვის!“ — თვითვე აღიზიანებდა ეს გატაცება.

კაბინეტის კართან თანდი ჩიმაკაძე და ქალბატონი ლუბა დახვდნენ, მოთმინებით ისხდნენ გრძელ სკამზე.

თანდი თავგზააბნეული ჩანდა, არ იცოდა, ხელები სად წაეღო. ქალბატონ ლუბას კი თავი უფრო თამამად ეჭირა, თითქოს აქეთ აპირებდა შემოტევას, თუმცა მის ამ სითამამეში შიში ილანდებოდა.

— ახლა სეზონია და სულ ვერ ვიცლით, მაგალითად... — წამოიწყო თანდიმ და ენა უმალვე ჩაუვარდა. თეთრი პერანგი

ეცვა და ყელზე ჭრელი ყელსახვევი გაენასკვა. ეს უადგილო სიჭრელე უფრო შესაბრალისს აჩენდა, ვიდრე გამომწვევს. ადგილზე ვერ ისვენებდა, ცდილობდა, დაემალა მუშაკაცის მსხვილი, დაკოჟრილი ხელები.

ქალბატონ ლუბას პატარა ტანზე ხალვათად ეჯდა ჩითის თალხი, სამგლოვიარო კაბა. სახე დანაოჭებოდა, რა ასაკისაც იყო, იმაზე მეტად გამოიყურებოდა.

დიმიტრის ცინტუ კვირკველია გაახსენდა, გარეგნობით მიამსგავსა კიდეც, თუმცა კარგად უწყოდა, ამ ორ ქალს შორის საერთო არაფერი იყო. რატომღაც იმთავითვე, ინსტინქტურად, ქვეშეცნეულად ეშინოდა დედაბრისა და ვერ გაეგო, რატომ... ეს ქალბატონი კი... აზრი არ დაუსრულებია, კალამი უხმოდ დადო ქაღალდზე და ერთადერთი, ცივი სიტყვა დააგდო:

— გისმენთ!

თანდი ჩიმაკაძე შეიშმუშნა, ხელები ნერვულად მოიფშვნიტა, მეორე წუთს კი მაგიდაზე მოწაფურად დააწყო.

ქალბატონი ლუბა შეკრთა, ძლივძლივობით ალაპარაკდა:

— მაპატიეთ, მიჭირს დალაგებით ლაპარაკი! — ხმა გაბზარვოდა. — ან რა გვაქვს სათქმელი, დავიღუპეთ და ეგ არის... მოსაკლავები ვართ ორივენი, მეც და ჩემი ქმარიც... თავი პედაგოგი მეგონა, რამდენი ბავშვი გამიზრდია, სხვის შვილებს ვასწავლიდი კაცთმოყვარეობას, მეგობრობას, ურთიერთდანდობას, ჩემი კი გამომრჩა... დროზე ვერ შევამჩნიე! კარგად სწავლობდა და მეც ვამაყობდი ამით. მეგონა, საკმარისი იყო. ახლა კი ვიცი, რომ ეს არ კმარა, მაგრამ რაღა დროს... დავიღუპეთ, ბატონო, დავიღუპეთ!

— ძლივს ავაწყეთ ცხოვრება! — მოულოდნელი ბოხი ხმით ჩაურთო თანდიმ. — ტყავიდან ვძვრებოდით. ცოტაც და დაჯილდოებას მიპირებდნენ...

— ჯილდო კი არა, სიცოცხლეც არ გვინდა! — ნაჩქარევად გააწყვეტინა ქალბატონმა ლუბამ და ოხვრით დაუმატა: — განუყრელი მეგობრები იყვნენ და ვინ იფიქრებდა...

დიმიტრიმ პირზე ხელი აიფარა, რათა არ დაემთქნარებინა. ყველა ფრაზა ერთმანეთსა ჰგავდა და მოსწყინდა. ქაღალდი მოიჩოჩა, საქმიანად შეუდგა ხატვას.

— იმ დილით ჩვეულებრივ ისაუზმა. ჩანთაში წიგნებს საღამოობით იწყობდა, ასეთი მუყაითი იყო. არაფერი შემიმჩნევია, ან რა უნდა შემეტყო, თვითონაც ხომ არ ჰქონდა წინასწარ განზრახული? — სახე წამოუწითლდა, ენა შეებორკა. — თქვენ ხომ არ ფიქრობთ, რომ მკვლელობა წინასწარ ჰქონდა განზრახული?

— მე დანა მაინტერესებს, საიდან გაჩნდა დანა? — სწრაფად შეეკითხა დიმიტრი და ცოლ-ქმარს დააკვირდა.

თანდის ჯერ კისერი წამოუჭარხლდა, სიწითლე თანდათან მოედო სახეზე.

ქალბატონი ლუბა უფრო კერკეტი კაკალი აღმოჩნდა, ტუჩები ჯიუტად დაბრიცა.

— მე მივეცი!

— რა დროს?

— შესვენებაზე, სულ ერთი საათით ადრე!.. ნეტავი იმ დანით მომეკლა თავი! — ცხვირსახოცი თვალზე აიფარა, თუმცა ცრემლი სიმწრით დაშრობოდა. — ზაზამ მამისაგან ისწავლა მყნობა. ნაკვეთში კი ატმის სანამყენე ჯიშებია. დანა ბიოლოგიის კაბინეტში გვქონდა, იქიდან გამოვიტანე და მივეცი...

„იმ თავსხმაში?“ — უნდოდა ეკითხა, მაგრამ ჯერ კიდევ არ იცოდა, რა სიკეთეს მოუტანდა ჭეშმარიტი პასუხი და დროებით თავი შეიკავა.

ქალი უცებ გაჩუმდა, მერე შეცვლილი ხმით, თვალი რომ არ მოუშორებია დიმიტრისთვის, ისე განაგრძო:

— სახლ-კარს გავყიდით, რაც გვიშრომია და შეგვიძენია, წყალსაც წაუღია... ყველაფერს, ყველაფერს მოვახმართ!..

დიმიტრის სახე აეწვა, თქმით არაფერი თქვა, ხელი აიქნია მხოლოდ და შეშინებული ქალი გაჩუმდა.

კარგა ხანს ისხდნენ მდუმარედ. ახალგაზრდა გამომძიებელი კვლავ გულმოდგინედ ხატავდა ტიკინებს. განა აქამდე არ იცოდა დიმიტრი ფარცვანიამ, მაგრამ ამ წუთას მთელი სიცხადით დაინახა, რა უზარმაზარი ძალა ჰქონდა ხელთ, როგორ შეეძლო თავის ნებაზე წარემართა ადამიანთა ბედ-იღბალი. „არა, ქრთამს მე არ ავიღებ!“ — საკუთარ ფიქრს გაუღიმა და მოულოდნელად შინაურული, მიმნდობი კილოთი ჰკითხა:

— თინიკო კელაპტრიშვილი თქვენი მოწაფეა?

2. ბამუკა ლეკა

ძინ-ძინ-ძინ!.. — რიტმულად, თანაბრად რეკავს სკოლის ზარი. მე ვუსმენ. ზარის ხმა შორიდან ძლივს აღწევს, ნახევარი სოფელი მაინც უნდა გადალახოს, მერე აღმართს ამოჰყვება, აქ კიდევ მიწაში მოიგუდება. მე მესმის ზარის მოგუდული ხმა — ძინ-ძინ-ძინ!.. ეს დილის ზარია, ბავშვებს უხმობს. ისინი სოფლის შარაზე გამოფენილან, მზე თვალებში უჭყიტინებთ. დილის მზე თბილია, თითქოს ეფერება ნამძინარევ ბავშვებს. მე კი მზეს ვერ ვხედავ, ვერც ვერაფერს ვხედავ. ჩემთან სრული სიბნელეა, ერთნაირი, აუმღვრეველი. ეს მე არ მწყინს. არც მოწყენილობასა ვგრძნობ. არც მძინავს და არც მღვიძავს. არც არაფერი მტკივა. მინდოდა ჭრილობა მომესინჯა, ისე, ცნობისმოყვარეობის გამო, მაგრამ ხელის განძრევა არ შემიძლია. ისიც არ ვიცი, მაქვს თუ არა ხელი, არ ვიცი, ვარსებობ თუ არა საერთოდ. დრო მიედინება მდორედ, აუმღვრევლად. იქნებ არც მიედინება. დრო გაჩერებულა და ერთი წუთი არ განსხვავდება მეორისაგან. დრო გაჩერებულა, მაგრამ ჩემში რაღაცა მოძრაობს, ისიც მდორედ, აუმღვრევლად. არც ის ვიცი, რა არის ის, რაც მოძრაობს, — ფიქრია, სიზმარია, ცხადია... ამის გარკვევას არ ვცდილობ. ვარ წყნარად და ამ ფოფინა რაღაცას, ფიქრიც რომ ვერ დამირქმევია, უმტკივნეულოდ მივყვები.

ჩემი სახლი ვიწროა, თუმცა მე არ მეპატარავება. ცივი და ნესტიანია, მე კი არ მცივა. აქ რომ ადრე ჩამოვსულიყავი, ალბათ, სადღაც დედასა და მამას ვიგრძნობდი, მაგრამ ისინი დიდზე დიდი ხანია წავიდნენ და მე მარტო ვარ. თითქოს მეშინია, თუმცა ეს არ არის ნამდვილი შიში. მე არ ვიცი, რა არის ნამდვილი შიში. რასაც განვიცდი, ვითომ შიშია, უფრო სიმარტოვისა. ვიცი, ესეც წარმავალია. მოთმინებით ველოდები ცინტუ ბებიას. ის მალე მოვა, ის ჩემს გვერდით დაიდებს ბინას. მაშინ ჩვენი ფიქრები გადაეხლართება ერთმანეთს. გაქრება მარტოობის წუხილიც. მაგრამ მე არ ვჩქარობ. გაჩერებული დრო უსასრულოა. შემიძლია ათასჯერ და ათიათასჯერ დავუბრუნდე წარსულს, ათიათასჯერ

განვიცადო ყოველი ცვალებადობა ჟამისა, ავწონ-დავწონო, ჩემს ფიქრებში მივუჩინო ადგილი, მივაგო მისაგებელი, თუმცა არავისი განსჯის სურვილი აღარ შემრჩა. სიკეთისათვის ვერავის დავაჯილდოებ, ბოროტისათვის ვერავის დავსჯი...

ძი-ინ! — ჩამოჰკრა ბოლო ზარმა. ყველაფერი თავის რიგით მიდის. მეცხრეკლასელები ჩუმად სხედან. ზაირა მასწავლებელი მკაცრ მზერას მოავლებს კლასს. ჟურნალს გახსნის, აუჩქარებლად კითხულობს სიას. მხოლოდ ერთხელ შეყოვნდება, ხმა გაებზარება. ჩიორასა და ციცინოს შორის ჩემი გვარიც ეწერა. ახლა ის გამოტოვებულია. შეყოვნდება ზაირა მასწავლებელი, ხმა გაებზარება, მაგრამ თავს მოერევა და კითხვას განაგრძობს. ყველასათვის მძიმეა ეს წამი. თავდახრილები სხედან. უცბად ტირილის ხმა ისმის. „ფალავანდიშვილი, გადი კლასიდან!“ — ხმადაბლა ბრძანებს ზაირა მასწავლებელი. ციცო აზლუქუნდება, კარისაკენ მიდის. „პირზე წყალი შეისხი და ისევ შემობრუნდი!“ — ბოლო წუთს მიადევნებს... კლასში ისევ მდუმარებაა, ბუზის გაფრენას გაიგონებს კაცი. „გაკვეთილი არავინ იცის?“ გაკვეთილს ვერავინ სწავლობს, გაკვეთილის სწავლა სირცხვილად მიაჩნიათ. „სანამდე უნდა გაგრძელდეს ასე? — მოთმინებით, ალერსით ამბობს ზაირა მასწავლებელი. — ხომ გვინდა, ბავშვებო, სიცოცხლე?“

სიცოცხლე?.. ამ სამი წლის წინათ გაკვეთილიდან გავიპარენით. მოთავე, რა თქმა უნდა, ჩიორა იყო. „ვინც არ წამოვა, ის იყოს...“ — და ჩიორამ შეიგინა. „უზრდელი!“ — მიახალა ციცინო მჟავიამ, მაგრამ მთელი კლასი ჩიორას გავყევით. სულ უკანა ეზოებითა და ფარული ბილიკებით ვიარეთ. საბანაო ხომ მყუდრო ადგილას გვქონდა შერჩეული, სამ მუხასთან. ჩანთები ძირს დავყარეთ. ჯერ ბიჭებმა გავიძვრეთ ტანისამოსი. ყიჟინით შევდგაფუნდით ცივ წყალში. ზაზამ არ იკადრა მხოლოდ, ჩანთაზე დაჯდა და შორიდან გვიყურებდა. დაჭკვიანებული, ასაკსრული კაცი უყურებს ასე ბალღების ანცობას. „ზაზა, ჩამოდი, იცი, რა თბილი წყალია!“ „წყალი არა!.. წყალი ჯანგბადი და წყალბადია!“ „მერე რა! — შევძახე აღფრთოვანებულმა. — ჟანგბადია თუ წყალბადი, წყალი სიცოცხლეა და მე თევზი ვარ!“ ჩავიყურყუმელავე და წყალქვეშ თვალის ცეცებით გავცურე. ბიჭები ფეხებს სასა-

ცილოდ ასხმარტალებდნენ. სიღრმეში მრუმე სილურჯე დასადგურებულიყო, ცხვირწინ კი დამფრთხალმა ლიფსიტამ გამიელვა... ამასობაში გოგონებიც გათამამდნენ, ერთმანეთი წაიქეზეს, ისეთი წივილ-კივილით ჩაცვივდნენ წყალში, მეორედ მოსვლაო, იტყოდით. მერე ყველანი ტალახში ვგორაობდით. მერე ინდიელები გავხდით და ნაპირზე ყიჟინით დავთარეშობდით. მერე ისევ წყალში ჩავცვივდით და ციცინო მჟავია ვაყურყუმელავე, ლილი და ეკა მომცვივდნენ და მეც მაყლაპეს ორიოდე ყლუპი... ეჰეი, — მინდოდა მეყვირა, — რა ბედნიერებაა, როცა ლურჯი ციდან მზე აცხუნებს, შენ კი შიშველ სხეულზე გრილი ნიავი მოგელამუნება... გაშლი მკლავებს და თავდავიწყებით გადაეშვები ლურჯ ზვირთებში... სანწალეს მღვრიე ნაგუბარში კი არა, ფართოდ გაშლილ ოკეანეში, და გაცურავ შორს... შორს... გადაევლები აქოჩრილ ტალღებს... უკან კი მეგობრების გამამხნევებელი ყიჟინა გესმის... ეჰეი, გაშალე მხრები, გადაცურე ლურჯი ტალღები!.. მაგრამ იქ, მეორე ნაპირზე, სანწალეს გასწვრივ მოხრეშილი გზა გადის და უცბად მთავარი აგრონომის „ვილისი“ ამოგუგუნდა. თვით მთავარი აგრონომი გადმოვიდა მანქანიდან, ღიმილით გადმოგვხედა, თან რაღაცას ელაპარაკებოდა მანქანაში დარჩენილს. მანაც ცნობისმოყვარედ გადმოყო თავი. თინიკო კელაპტრიშვილი მაღაზიაში ახლადნაყიდ თოჯინას ჰგავდა და პირველად ჩემს სიცოცხლეში შემრცხვა, რადგან შიშველი ვიყავი, პატარა ვიყავი და სულელი ვიყავი... განა მე არ შემეძლო ზაზასავით დარბაისლურად ჩამოვმჯდარიყავი ჩანთაზე და მომთმენი, მამაკაცური ღიმილით მეცქირნა ბავშვური სისულელეებისათვის. წუთში დავშოშმინდით. ნაპირზე დამნაშავეებივით ავიძურწენით. ვერ წარმომედგინა, თუ ასე ძნელი იქნებოდა საკუთარი ტანისამოსის აღება, შარვლის ტოტში ფეხის გაყოფა. „ეს გოგოები რამ გააგიჟა მაინც, ტიტლიკანები ტლინკაობენ!“ — იქედნურად შენიშნა ზაზამ და ციცინო უცებ ატირდა. ჩიორას სახე მოექცა, მუშტი მოუღერა ბრაზით: „გამასწარი, სანამ ჩავიცვამდე!“ ზაზა ზლაზვნით წამოდგა და ქედმაღლური ღიმილით გაგვშორდა. უხმოდ ჩავიცვით, მხოლოდ ციცინო სლუკუნებდა ჩუმად. თითქოს

ბორკილები ჩამოგვირიგესო, ამ ბორკილებით დამძიმებულნი ჩვენ-ჩვენს სახლებში დავიფანტენით...

სახლი?.. სოფელში ყველაზე კარგი სახლი მე მქონდა. იმიტომ, რომ ჩემს პატარა ფიცრულ ოდაში ცინტუ ბებია ცხოვრობდა, ერთიციცქნა, გამხდარი, გალეული ცინტუ ბებია, მუდამ ლოგინში რომ იწვა. ძლივს ახოხიალდებოდა ხანდახან, ყავარჯნებით დაკოლიკობდა აქეთ-იქით, მწირ სადილს მიმზადებდა. ნუ იკლავ თავს-მეთქი, ვეუბნებოდი, თუმცა გულსგარე, რამე ხომ უნდა გვეჭამა. მკაცრი ბებია მყავდა, გაუცინარი. ჭოტი ხარ-მეთქი, ერთხელ გავეხუმრე. არ წყენია, ჩაიღიმილა. მიხვდა, საწყენად არ მითქვამს. მე ხომ ისეთი მიყვარდა, როგორიც იყო. თქმა არაფერზე ჭირდებოდა, თვალით მანიშნებდა და თავქუდმოგლეჯილი გავრბოდი უსიტყვო ბრძანების შესასრულებლად. თუ მებუტებოდა, ხმას არა მცემდა, და მაშინ ამაზე მეტი სასჯელი ჩემთვის არ არსებობდა. გალახულივით მივიძურწებოდი კუთხის ოთახში. ვწვებოდი ცივ ლოგინში და ვინანიებდი ცოდვას. დილით ფრთხილ კაკუნს გავიგონებდი, ეს ბებია ადგამდა მორიდებით ყავარჯენს, ღამის ქოთნით მიიპარებოდა საპირფარეშოსაკენ. ფეხსადგილი ხომ უკანა ეზოში გვქონდა, იქამდე მთელ საათს ანდომებდა მისვლას. ჩიტივით წამოვფრინდებოდი უმალ, ნაჩქარევად ჩავიცვამდი და გამოვეკიდებოდი. რამდენჯერ გითხარი, დამიძახე-მეთქი, ბუზღუნით წავართმევდი ღამის ქოთანს, თვითონ მივარბენინებდი ფეხსადგილისაკენ. ის კი იდგა თავის ყავარჯნებზე, სახეზე სიმორცხვე და დაბნეულობა ეხატა. ბავშვივით უსუსური იყო და გული მეწვოდა... ეს წამები ჩვენი შერიგების წამებად გადაიქცეოდა... საღამოს კი გვიანობამდე ცხელ ჩაის ვსვამდით. მე სკოლის ჭორებით მქონდა თავი გამოტენილი და იმდენს ვქაქანებდი, ბებიასაც ავალაპარაკებდი. თავის ყმაწვილქალობას იხსენებდა დინჯად. თურმე დადიას ლაქიამ ჩამოიარა ერთხელ, ცინტუ ბებია ისე მოეწონა, კინაღამ წაართვა ბაბუაჩემს. ყოველი სიტყვა მჯეროდა, მაშინაც კი, როცა დადიას ლაქია თვით დადიად გადაიქცა, მერე უცხოელ უფლისწულად, მერე კი მთლად რუსეთის ხელმწიფედ... ვითომ რატომ არ შეიძლებოდა ხელმწიფეს ჩამოევლო

ჩვენს ჭიშკართან. მოეწონებოდა ყმაწვილქალი ხელმწიფეს, წაართმევდა ბაბუაჩემს და წაიყვანდა სატახტო ქალაქში. მაშინ მე ასე არ მომიწევდა ალუმინის „კრუშკით“ ჩაის ხვრეპა. ლამაზ-ლამაზი ფრეილინები მომართმევდნენ ჩინური ფაიფურის ფინჯნით, რადგან ხელმწიფის შვილიშვილი ვიქნებოდი... ასეთი ჩურჩუტული აზრი ღიტინივითაა, თავში მომივიდოდა და ხითხითს ვიწყებდი. ბებია მკაცრად მოკუმავდა ტუჩებს, მე კი ვცდილობდი როგორმე სიცილი შემეკავებინა. მივურბენინებდი მატყლის მშრალ წინდებს, ჩავაცმევდი, ბებიას ხომ მუდამ ეყინებოდა ფეხები. მოვეხმარებოდი, რადგან ლოგინზე ფეხის აწევა უჭირდა. მერე თვითონაც ფერხთით ჩავთბუნდებოდი, ბებიას მცივან ფეხებს ჩავიხუტებდი, ჩემი სუნთქვით რომ გამეთბო. ისევ გამახსენდებოდა, ხელმწიფის შვილიშვილობა რომ გავუშვი ხელიდან და ხითხითს ვიწყებდი. ბებია გაყუჩდებოდა, იცოდა, ბნელ ოთახში სითამამე რომ წამძლევდა და ჩემს ჩურჩუტუნა ფიქრებს ამომათქმევინებდა. ვერ ვხვდებოდი, თვითონაც იცინოდა თუ არა, პირზე საბანი ეფარა და ჩაგუდული ხმით შემეპასუხებოდა, შენისთანა ოხერი რომ გამიჩნდებოდა შვილიშვილად, წინასწარ იცოდა იმ კაცმა და იმიტომ ვერ გაბედა ჩემი წაყვანაო. ამაზე ხომ მთლად ჩავბჟირდებოდი.

სხვამ სხვისი ამბისა რა იცის? სოფელს ვებრალებოდი, ობოლიაო. მე კი არაფერი მქონდა შესაბრალი. მე მყავდა ცინტუ ბებია და ეს საკმარისი იყო. მანამდე მაინც, სანამ ზაზა ჩიმაკაძე დამიმეგობრდებოდა. ისე განვსხვავდებოდით მე და ზაზა, ჩვენი მოულოდნელი მეგობრობა მთელ კლასს უკვირდა. რვა წელი ხომ ერთად ვსწავლობდით, მაგრამ დამეგობრების სურვილი არასოდეს გამჩენია. კლასის ამხანაგი იყო, ესაა და ეს! ჩვენი არსებობა ორ პარალელურ ხაზსა ჰგავდა, რომელიც, ალბათ, არასოდეს გადაიკვეთებოდა... მაგრამ ერთ დღეს შინ გამომეცხადა, არც კი მახსოვს რა უნდოდა, მაგრამ ისეთ დროს შემესწრო, როცა ხელში ღამის ქოთანი მეჭირა და ფეხსადგილისაკენ მივდიოდი... გავწითლდი, გავწითლდი... მგონი, ქოჩორიც კი გამიწითლდა. არ ვიცი, როგორ მოიქცეოდნენ მის ადგილას სხვა ბიჭები, ეს კი, ვითომ არაფერიაო, გვერდით გამომყვა და უკან რომ ვბრუნდებოდით, ერთბაშად დაახეთქა: „ეს ექსკრემენტია!“ „რა, რა?“ — პირი დავაღე გაოცებისა და პატივისცემისაგან, რადგან ჯერ არ მენახა კაცი, ვინაც „ამის“ მეცნიერული სახელი იცოდა...

ძინ-ძინ! — მოკლედ, სულსწრაფად დარეკა ზარმა. ვინ იცის, იქნებ გაკვეთილი დამთავრდა მხოლოდ, იქნებ მეცადინეობაც. იქნებ მზე ჩავიდა და ამოვიდა. ახლა ისევ დილაა. ჩემთვის ერთია ორმოცდახუთი წუთიც და ოცდაოთხი საათიც. ზარის მოგუდული, შორეული გამოძახილი მაინც ვერ არღვევს არარსებულის მყუდროებას... არარსებულის?.. ვარ თუ არა ვარ? ამისი განსჯა არ შემიძლია, რადგან არ ძალმიძს რამე შევამოწმო. ვხედავ?.. ვგრძნობ?.. განვიცდი?.. არ ვიცი, არ ვიცი!..

ვითამაშოთო, მომიგდო მაშინ ზაზა ჩიმაკაძემ. ბურთი გამოვიტანე და ეზოში გავაგორეთ. აბა, რა გემო აქვს ორის ბურთაობას?.. ბებია გამოხოხდა აივანზე, მზეს მიეფიცხა, თან ჩვენ გვიყურებდა. ზაზა აშკარად მჯობნიდა, უფრო სწრაფად მოძრაობდა, მაპამპულებდა. ამას არად ჩავაგდებდი, მაგრამ ცინტუ ბებია მინდოდა დამერწმუნებინა ჩემს სიყოჩაღეში და თავი კინაღამ შევაკალი... მაინც არაფერი გამომივიდა!.. ვარჯიშობდა ზაზა ჩიმაკაძე, თანდი ძიას დაჰყავდა ყოველ მეორე დღეს სპორტსექციაში. სოფლის სხვა ბიჭებს სად გვქონდა ამისი საშუალება. იშვიათად თუ მოვიცლიდით საბურთაოდ. სანწალეს პირას გავაგორებდით ბურთს. ჩვენს მარაქაში ზაზა არ გაერეოდა. ერთხელ დაგვიმტკიცა რადაც ვღირდით და მერე არ გაგვკარებია. იმ კარიდან რომ წამოიღო, ამ კარში ისე გაგვიტანა, ბურთამდე არც მიგვიშვა. მაშინ აიღო გაგულისებულმა ჩიორამ და უხეშად მოცელა. ახლა რისი იმედი უნდა მქონოდა? ენაგადმოგდებული დავდევდი უკან. ბოლოს ორივეს შეგვეტყო დაღლა. ჩრდილს მივაშურეთ ქოშინით. „მანდ არ გაცივდეთ, ნენაია!“ — გადმოგვძახა ცინტუ ბებიამ. ხმა ძლივს მოგვაწვდინა... ზაზა ზურგზე უდარდელად გაიშოტა, თავქვეშ ბურთი ამოიდო და ცნობისმოყვარედ შემომაცქერდა. მეც პირისპირ ვიჯექი. მომწონდა მისი სისხარტე, ლამაზი სახე, ოდნავ ქედმაღლური გამოხედვა და, ალბათ, ამას ვერ ვმალავდი. ზაზამ კმა-

ყოფილებით გაიღიმა და უცებ — „სუსტი ხარ, სუსტი!“ არ მწყენია, მხრები ავიჩეჩე. ისედაც ვიცოდი, ჩემი თამაში ჩიმაკაძის ერთ ფინტად არ ღირდა. „ამაზე კი არ გეუბნები! — მზერა მომაცილა, ცას აჰხედა. ცა გადაწმენდილი იყო, მაგრამ მისი ფერების სიმშვიდე ზაზა ჩიმაკაძის მზერაში არ ირეკლებოდა. — შენისთანა დამნდობი, ცომივით რბილი კაცი ვაჟკაცი ვერ იქნება!“ წამოვიფხორე, მაგრამ ხელის მოძრაობით შემაჩერა: „ნუ ფახიფუხობ, ისე გეუბნები, სიტყვაზე!.. ახლანდელ დროში სუპერვაჟკაცი უნდა იყო, შენ კი ღამის ქოთანი დაგაქვს!“ კინაღამ ვეცი, მაგრამ სწრაფად გადაკოტრიალდა და ფეხზე მოქნილად დადგა. „დასაცინად არ მითქვამს! — მშვიდად შემომხედა. — ეგრე ნუ ფიცხობ!.. სუპერვაჟკაცს მიზანი უნდა ჰქონდეს, ხელ-ფეხი არაფრით შეიბორკოს... შენი ბორკილები კი შენი ბებიაა!“ „როგორ ბორკილები! — აღშფოთებისაგან ნერწყვი ყელში გამეჩხირა. — შენი აზრით, უნდა მოვკლა?“ „სიკვდილი რა შუაშია! — გულგრილად მომიგო. — თუმცა, ჩვენ შორის დარჩეს, რად უნდა მას სიცოცხლე? გამოჯანსაღდება თუ?.. ფეხსადგილამდე ვერ მისულა თავისი ფეხით!.. ნუ ფახიფუხობ!.. ცინტუ ბებია კი არ მეჯავრება, ისე, სიტყვაზე ვამბობ, თორემ იცოცხლოს, მე რა!..“ კიდევ რაღაცები თქვა, მაგრამ დანარჩენი არც გამიგონია. თავჩაქინდრული ვიჯექი და ვფიქრობდი... აბა, რა ვიცი, რას ვფიქრობდი... უკვე არც მახსოვს!.. ის კი კარგად დამამახსოვრდა, რომ საშინლად შემეცოდა, ოღონდ ვინ? ცინტუ ბებია თუ ზაზა ჩიმაკაძე?.. „არა უშავს! თუ ჩვენ დავძმაკაცდით, გაგხედნი!“ — სიცილით დამიგდო ზაზა ჩიმაკაძემ და გამშორდა.

მიწაში კაცი ბრძენია!.. ახლა ხომ ყველაფერი ვიცი. იდუმალების რიდე ჩამოეხსნა ყოველივეს, აზრმა გამსჭვალა არსებულის კიდე და განი, მიზეზი და მიზანი ვერ დაიფარა უჩინმაჩინით. მაშინ კი, მაშინ, თუნდაც ერთი წამით ადრე დანის დარტყმამდე, ისეთი პატარა ვიყავი, ისეთი დაბრმავებული და დაყრუებული, წარმოსახული ენაცვლებოდა რეალობას, სულის ინსტინქტური მოძრაობა გონების ანაწონი მეგონა... ზაზა ჩიმაკაძესთან იმ ორთაბრძოლაში ბრმად და თავდავიწყებით გადავეშვი, თუმცა არც ის ვიცოდი, რომ ეს „ბრძოლა“ იყო, ბოლომდე არც არაფერი მქონდა გაცნობიერებული...

იმ დღიდან ერთად ვიყავით, სკოლაშიც, ქუჩაშიც, შინაც... ჩვენ-ჩვენს ლოგინებში გვეძინა და ესღა გვაშორებდა, მაგრამ სიზმრებიც არ გვქონია უერთმანეთო. რაც არ უნდა დამსიზმრებოდა, ზაზას სახეც გაკრთებოდა სადმე. კლასში ერთ მერხზე ვისხედით, მასწავლებლებიც შეეჩვივნენ ამას და გაკვეთილებსაც ერთად გვეკითხებოდნენ. ფარული მეტოქეობა მიფორიაქებდა სულს. მუდამ მზადმყოფნაში ვიყავი. ამ ჭიდილში არ უნდა გამომეჩინა სისუსტე. სწორედ იმ გაკვეთილს ვსწავლობდი ყველაზე უკეთ, ზაზას რომ არ ეცოდინებოდა. და თუკი დაიზუთხავდა რამეს — ბრწყინვალედ იზუთხავდა — იმ დღის ორიანი იყო ჩემი გამარჯვება, რადგან მეზიზღებოდა ის გაკვეთილი, „რომელსაც იზუთხავენ“. ერთს რაც მოსწონდა, მეორეს ეჯავრებოდა და ერთი აზრი არაფერზე გვქონია. მისთვის იდეალი პეტრე კუჭავა იყო, ჩემთვის — ზაირა მჟავია. ვისაც ის დაჩაგრავდა, მე ვექომაგებოდი, ვისაც მფარველობდა — ფარულად ვმტრობდი. ბურთი რომ ბურთია, თავი მოვიკალი, ჩუმ-ჩუმად ვივარჯიშე და ერთ მშვენიერ დღეს იმდენი შევძელი, ავართვი... ადრე რომ მაპამპულებდა, სწორედ ისე ვაპამპულე. პირველად მაშინ ვნახე მისი წყენა. აქამდე თუ პირიდან ღიმილი არ შორდებოდა, აქაოდა მფარველობას გიწევო, ბავშვი ხარ და დროს შენს აღზრდაზე ვხარჯავო, ახლა სახე გაუმკაცრდა, სიჯიუტე სიკერპედ გადაექცა, მერე ბოროტად გააკვესა თვალები, თითქოს მოკვლას მიპირებდა... გულში სიცივე შემომივიდა, მკვეთრად შევჩერდი... ბურთი კი ნელ-ნელა გაგორდა ბალახში. ზაზა წამში სიხარულად გადაიქცა, ზედ დააცხრა და გაიტაცა. მეორე წამს მიხვდა, ეს რომ გამარჯვება არ იყო და მოღუშული გამშორდა.

დიახაც, დედამიწის ზურგზე არავისი დამარცხება მას არ ეწადა, მას სურდა ჩემი დამარცხება, დამორჩილება, მაგრამ დედამიწის ზურგზე არც მე ვებრძოდი ვინმეს, ერთადერთი ზაზა ჩიმაკაძე იყო, ვინც უნდა დამემარცხებინა.

და მაშინ გამოჩნდა თინიკო კელაპტრიშვილი...

სკოლისაკენ მივდიოდით და მთავარი აგრონომის სახლთან

გავიარეთ. ახლად აშენებული სახლი იყო. აქამდე მთავარ აგრონომს ოჯახი ქალაქში ჰყავდა, თვითონ კი, რაც თავი მახსოვს, ამ თავის სასახლეს აშენებდა და ეზოში კირით მოთხვრილი მუშებისა და სახლის პატრონის გარდა აქამდე არავინ მენახა. ჭიშკარს რომ გავუსწორდით, მთავარმა აგრონომმა გამოყო თავი, თითით მოგვიხმო: „ბიჭებო, დაიცადეთ, ჩემი თინიკოც მოდის!“ ერთხელ ხომ გვყავდა მანქანიდან თავგამოყოფილი თოჯინა ნანახი. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ახლა ის ამბავი აღარც გვახსოვდა და „მისი თინიკოს“ ლოდინიც არაფრად გვეპიტნავებოდა, მაგრამ სხვა რა გზა გვქონდა. „ჰა, ჩქარა, გელოდებიან!“ — გასძახა მთავარმა აგრონომმა, მერე შინაურულად მოგვიბრუნდა: „აქ გადმოვიყვანე და სკოლაში პირველად ვუშვებ! აბა, თქვენ იცით, არავის დააჩაგვრინოთ!“

ამ დროს გაიღო ზედა აივნის კარი და კიბის თავზე გამოცქრიალდა თინიკო კელაპტრიშვილი. იქნებ სიტყვა „გამოცქრიალდა“ ზედმეტად მსუბუქი გამომივიდა, — ცეტური, ბავშვური, რა თქმა უნდა, ლამაზი, მაგრამ დაახლოებით ისეთი, ალერსით რომ ეტყვიან ბავშვს — „შე სულელო!“ თინიკომ კი თითქოს სხივები აირეკლაო, თავის ირგვლივ ფერადი ათინათები დააპნიაო, თან სიდინჯე მოიშველია და ისე ჩამობრძანდა, თითქოს პრინცესა ყოფილიყოს, ჩვენ კი მონები ვიყავით და პალანკინთან ვიდექით, რათა თინიკო კელაპტრიშვილი შიგ ჩაგვესვა და მოწიწებით სკოლისაკენ წაგვეყვანა. „გამარჯობათ, ბავშვებო!“ — შემოგვცინა კი არა, შემოგვანათა და უცბად თავისი ჩანთა გადმომიგდო. როგორ მიხვდა, ძირს რომ არ დავაგდებდი? ზაზას ხომ ვერ გაუბედავდა ასე გაშინაურებას, თუმცა უმალვე ვიგრძენი, ამაყად ასვეტილი ზაზა უფრო მოუვიდა თვალში... ამ აზრით გამწარებული, ცოტათი დამცირებული და ცოტათი ბედნიერიც მის მძიმე ჩანთას მივათრევდი, ამათ მივყვებოდი ფეხდაფეხ, რადგან ტროტუარზე სამნი ვერ ვეტეოდით (ჩვენს სოფელში ხომ მარტო იქაა ტროტუარი). ზაზამ დიდი კაცივით გაუბა მუსაიფი. თინიკომ რაღაც ხუმრობაზე ჩაიკისკისა, უცბად ჩემკენ მოიხედა და „რა პატარაა!“ — წამღერებით თქვა. გულში ტყვიასავით გამიარა ამ სიტყვებმა (ასაკით ხომ ზაზას ტოლი ვიყავი, სიმაღლით

ორი თითიღა მაკლდა). ჩანთა ძირს დავაბერტყე და სახეანთებულმა მივუგდე: „მე თითქმის რომეოს ასაკისა ვარ, გენაცვალე!“ სწორედ ასე ვუთხარი, „თითქმის რომეოს ასაკისა“ და ზედ „გენაცვალე!“ მივაყოლე, მერე კი ისინი ერთმანეთს შევატოვე და სკოლისაკენ მოვკურცხლე.

პეტრე კუჭავას ძლივს შევასწარი გაკვეთილზე. ეჭვისა და მოუთმენლობისაგან ვიწვოდი, გონება მთლად დამეფანტა. პეტრე კუჭავამ კითხვა დამისვა, ვერაფერი გავიგე და კინაღამ ორიანი მტყიპა. ამ დროს ზაზა შემოვიდა და ამან გადამარჩინა. პეტრე კუჭავამ სინანულით გააქნია თავი, თითქოს ამბობდა, შენცო, ბრუტუს! ეტყობა, კმაყოფილი იყო მაინც, მისმა რჩეულმა ბოლომდე რომ არ უმტყუნა და გაკვეთილი მთლად არ გაუცდინა. გაბუსული ვიჯექი და ზაზასკენ არ მიმიხედავს. ერთხელღა ჩაიკრუტუნა, რა იყო, რა ბზიკმა გიკბინაო, თუმცა დარწმუნებული ვარ, კარგად იცოდა, რა ბზიკმაც მიკბინა და ჩემი ეს გახელება უხაროდა.

დიდ შესვენებაზე თინიკო კელაპტრიშვილმა გამომიჭირა. მანამ ირატრატა, სანამ გული გადამეწურებოდა, მოთმინების ძაფი გამიწყდებოდა. თვალებში რომ ჩამეხედა, ალბათ, ცრემლი მომადგებოდა. ამიტომ სულ ჩემს მოკვნეტილ ფრჩხილებს ვათვალიერებდი. ჩემზე ნაწყენი ნუ ხარო. მე შორს დავიჭირე, ნაწყენი რად ვიქნები, პირიქით, გული გატკინე, ბოლომდე ვირის მუშად რომ ვერ დაგიდექი და ჩანთა სკოლამდე ვერ მოგითრიეთქი. ვითომ ვლაზღანდარობდი, მაგრამ ძარღვებში სულ თრთოლვა მივლიდა. მანცვიფრებდა, ყურადღება რომ მომაქცია, მობოდიშება აუცილებლად ჩათვალა. ჩემს სიტყვებზე გაეღიმა. მაშინღა შევავლე წამით მზერა და თვალი უმალ დავხარე. ტვინში მაინც ჩამებეჭდა ეს ღიმილი. იმან კი თავი განზე გადასწია, შეეცადა ჩემი მზერა დაეჭირა და ამის გამოსწორება იოლიაო, ვირის მუშა კვლავაც მჭირდება, გაკვეთილები რომ დამთავრდება, ჭიშკართან დამხვდი და მძიმეზე მძიმე ჩანთა შინ მიმატანინეო.

„მძიმეზე მძიმე“ ჩანთა ამჯერად ჩემთვის ბუმბულის წონისა იყო, ჯილდოსავით მიმქონდა და თუ რამე მამძიმებდა, ეს იყო

გამვლელთა ეჭვიანი შემოხედვა. თუმცა ესეც არაფერი! მთელი გზა გულს მიწიწკნიდა, ჩვენ რომ კვლავ ვერ ვეტეოდით ტროტუარზე. შუა საუკუნეების რაინდივით გაფუყული ზაზა დიდის ამბით მიიკვანწებოდა თინიკო კელაპტრიშვილის გვერდით. მე კი, მისი საჭურველთმტვირთველი, მისი სანჩო, ფეხათრეული უკან მივჩანჩალებდი. ბოლოს მთავარი აგრონომის ჭიშკარიც გამოჩნდა. მოწყალება მოიღო პრინცესამ, ჩანთა გამომართვა, მადლობა, რა თქმა უნდა, არ გახსენებია, რაინდს კი ხელი გაუწოდა და, ისღა დააკლდა, ზაზა ჩიმაკაძე მოხდენილად დახრილიყო და ხელზე მოწიწებით მთხვეოდა. დამშვიდობების ეს სცენა სარაინდო ფილმის ეპიზოდად გამოდგებოდა.

ჩუმად განვაგრძეთ გზა. ზაზა, ვითომ არაფერი მომხდარაო, ისე მიდიოდა. იქნებ ფიქრობდა, თავი ქუდში მაქვსო და იმიტომ იყო ასე მშვიდად. მე კი თითქოს ვიწვოდი, თითქოს ცეცხლი მეკიდებოდა. მოუთმენლად ვცმუკავდი, მინდოდა ღონე რამეზე დამეხარჯა, მერბინა, მეხტუნავა, მეჩხუბნა, მეტირნა ან მემღერა, მაგრამ თავს ხომ ვერ გავცემდი და, ალბათ, გარეგნულად არც მე მეტყობოდა რაიმე.

შინ რომ მივედი, ცინტუ ბებიას ჩავუკაკლე ყველაფერი. მეგონა, ზუსტად ვუყვებოდი როგორც იყო, მაგრამ ახლა ხომ ვიცი, რამდენი რამე შევასწორე, რამდენი რამ შევცვალე. ვთქვი, რომ ახალი მოწაფე მოვიდა ჩვენს სკოლაში, პარალელურ კლასში დასვეს, რომ თავი მოაქვს, მზეთუნახავი ვარო, მაგეთი გოგოები კი მილიონი დაიარება, რომ ზაზას ეჟვანი შეაბა უკვე და ვირის მუშად გაიხადა, უნდა ჩანთას ათრევინებს, უნდა ლაგამს ამოსდებს, ზედ შეაჯდება და სოფლის შარაზე გააჭენებს... იმ ღამეს ეგეთი სიზმარი მესიზმრა, ვითომ მე მქონდა ლაგამი ამოდებული... არა, ლაგამს კი არა, ხელისგულს მაფარებდა პირზე და ის მეგონა ლაგამი. თვითონ მხარზე შემომესვა, ისეთი მსუბუქი, ფოფინა, ფარფატა, ოდნავადაც ვერ ვგრძნობდი მის სიმძიმეს... ასე მიმყავდა სკოლისაკენ, გზა-გზა შემხვედრი თანასოფლელები შურით მიყურებდნენ და შემომნატროდნენ. მერე ზაზა გამოვარდა საიდანღაც, ცოტა მეც დამაჭერინეო, მთხოვა. ვიუარე, თან უკვე ვიცოდი, თინიკო კი არა, მაღაზიაში ნაყიდი

ოცდახუთმანეთიანი თოჯინა შემომესვა მხარზე...

დოლაუთენია გამომეღვიძა. მამალი ყიოდა და იმან გამომაღვიძა. ისეთი მდუმარება იდგა, შემეშინდა. მეორე წამს ცინტუ ბებიას ჩუმი ფშუტუნი შემომესმა და დავმშვიდდი, რადგან ცინტუ ბებია ჯერაც ცოცხალი მყავდა და მარტო არ ვიყავი. მერე ფიქრით სიზმარსა და გუშინდელ ცხადს მივუბრუნდი. გამახსენდა, თინიკომ რომ თქვა, რა პატარაააო. გული კვლავ მეტკინა, ცრემლი მომადგა თვალზე. ვიწექი ჩუმად, ვფშლუკუნებდი და თანდათან ამ ფშლუკუნში ხელახლა ჩამეძინა. ცინტუ ბებიამ რომ გამაღვიძა, საათს დავხედე. მაგვიანდებოდა. სასწრაფოდ ჩავიცვი, პირზე წყალი შევისხი, საუზმეზე კი უარი ვთქვი. ჯერ ჩიმაკაძეების სახლთან უნდა გამევლო. ჩვეულებრივ, ჭიშკართან მიცდიდა ხოლმე, დღეს ვერ დამელოდა. ფეხს ავუჩქარე. მთავარი აგრონომის ჭიშკართან მოვკარი თვალი. ორივენი მელოდებოდნენ... მე მელოდებოდნენ!.. გაბუტულებივით იდგნენ და მელოდებოდნენ... „დროზე ადგომა ვერ გასწავლე!“ — მწყრალად მითხრა ზაზამ. თინიკომ კი გამიღიმა და გუშინდელივით თავისი ჩანთა მომიგდო. თითქოს მისი ხელის სითბო გადმოჰყვაო, ჩანთა ჩავიხუტე და ისე მივედევნე. არ ვიცოდი, რა მიხაროდა, მაგრამ ჩემზე ბედნიერი, ალბათ, არავინ იყო. ბოლოს და ბოლოს ხომ შეიძლება დედამიწის ზურგზე არც არსებობდეს მეტი ბედნიერება, ვიდრე თინიკო კელაპტრიშვილის ჩანთის ტარებაა. ყოველ შემთხვევაში, მე სხვა არაფერი მინდოდა და გული დამწყდა, სკოლის კარებს რომ მივაღწიეთ. თინიკომ ჩანთას ხელი მოჰკიდა. ამ დროს მისი თითების შეხება ვიგრძენი და, ალბათ, გავფითრდი. ისიც შეცბა. ჩანთა ჯიქურ გამომგლიჯა და კიბეზე ავარდა. მე კი ვიდექი და არ მესმოდა, რას ჩამძახოდა ზაზა. მერე ზარის ხმა გავიგონე და მივხვდი, გაკვეთილზე გვაგვიანდებოდა...

ძინ-ძინ-ძინ!.. — რეკავს სკოლის ზარი... მე ველოდები!.. უმალვე ვიგრძნობ, თუ მოვიდა!.. უნდა მოვიდეს, არ შეიძლება, რომ არ მოვიდეს!.. ბიჭები მაკითხავენ ხოლმე... როგორ შეიცვალნენ!.. დინჯნი, დარბაისელნი გახდნენ. მოვლენ და დადგებიან... ვიცი, თავს ძლივს იკავებენ, მალაყზე უნდათ გადასვლა,

მაგრამ ჩემი ერიდებათ... ყველანი აქ არიან... ავთო ბებია, დათო ქანთარია, გოგა ჯიჭონაია, ბეშქენ დავითულიანი, ვანო კაპანაძე... კლასში ბიჭები ცოტანი ვიყავით. ახლა მეც დავაკლდი... ზაზაც... გაკვეთილების შემდეგ მოდიან, დადგებიან ცოტა ხანს... დგანან და ფიქრობენ... ჩემზე კი არა, სხვა უამრავი საფიქრალი აქვთ... ჭრილობა უკვე შეხორცდა, ამისი გამხელა არ უნდათ, სხვაგან გაურბით ფიქრები. ავთოს სულ გოგოები ახსოვს, დათოსაც. გოგას მასწავლებლებისა ეშინია, მშობლებისაც. ყოველ ნიშანს დაჰკანკალებს. ბეშქენი ვარჯიშობს, სულ კუნთებზე იხედება, მოჭიდავე დადგება. ჩიორა ბელადია, ავ საქმეს აირჩევს თუ კარგს, ყველაფერში პირველი იქნება... ჩემთვის უკვე არა სცალიათ!.. მე ეს არ მწყინს... თანდათან ხომ უნდა ჩავიძირო დავიწყების მრუმე ფერებში, ხომ უნდა დამეძინოს სამუდამოდ, ხომ უნდა გაქრეს მოლოდინი. მე ველოდები, უმალვე ვიგრძნობ, თუ ის მოვიდა!.. აგერ გოგონებიც მოდიან... ის ცალკე მოვა, ის ამათში არ გაერევა... ციცინო, ლეილა, ლილი, ეკა... ციცოც მარტო მოდის, ბორცვს ეფერება, ასწორებს, ყვავილებს დადებს და იმდენს ტირის, თითქოს თბილი ცრემლებით ყინულის გალხობას ცდილობდეს... მე კი ერთხელ მაინც მინდა ხმა ამოვიღო, მინდა შევუძახო: „ეჰეი, ბიჭებო! ეჰეი, გოგონებო! ნუ იტირებთ! კმარა!.. წადით და იცოცხლეთ!.. წადით და იცოცხლეთ!..“ ძინ-ძინ-ძინ!.. — ეს ჩვენი სკოლის ზარია... მე ველოდები, ერთხელ მაინც ხომ უნდა მოვიდეს, მე ველოდები!..

იმედი!.. უცნაურია, რისი იმედი უნდა მქონოდა. ხომ უნდა დამეტანა ტვინისთვის ძალა, ხომ უნდა მეფიქრა. მე კი არაფერზე ვფიქრობდი. სტიქიურად, უანგარიშოდ, მხოლოდ გულის მოწოდებით ვიბრძოდი, გულს კი ერთხელაც არ უკარნახია აზრისათვის, მიდი, სარკეში ჩაიხედე, კარგად შეათვალიერე შენი გაბურძგნული თავი, გაფშეკილი ყურები, ჭორფლის წინწკლები... შეათვალიერე და პასუხი გაეცი: რისი იმედი გაქვს?

ყოველ ცისმარე ვდგებოდი. ჯერ კიდევ ბინდი იდგა გარეთ, ჯერ კიდევ მშვიდად ფშუტუნებდა მძინარე ცინტუ ბებია. ასეთ დროს ქათმიპარია ქვათია თუ გამოვიდოდა ქუჩაში. ჩუმად ვცოდვილობდი ნავთქურასთან, არ უნდა მეხმაურა, ცინტუ ბებიას არ

უნდა გაეგო ჩემი ფაციფუცი. ფრთხილად ვაუთოებდი ერთადერთ შარვალს, ჯერ კიდევ ნესტიან პერანგს, წუხელ, სიბნელეში ცივი წყლითა და ხელის საპნით რომ გავრეცხე, გულმოდგინედ ვივარცხნიდი მოკლე და ბურძგლა თმას, სავარცხელს რომ არაფრით ემორჩილებოდა და ყოველგვარ წესრიგს უარყოფდა... რიჟრაჟზე გავდიოდი შინიდან, ვჩქარობდი, მეშინოდა, არ გაესწროთ, თან არც ის მინდოდა, ვინმეს გაეგო ჩემი სულსწრაფობა. ჩიმაკაძეების სახლთან ჩავიხშობდი ქოშინს, დავიამებდი სუნთქვას, დავდგებოდი მაღალ მესერთან, ველოდებოდი... მეჩვენებოდა, რომ ზაზამ უკვე გამასწრო, რომ უჩემოდ მისეირნობენ სკოლისაკენ, მე კი უარყოფილი, დაწუნებული, „პატარა“, საცოდავად ავიტუზებოდი მოწყალების მოლოდინში, თუმცა არც ის ვიცოდი, რას ვითხოვდი...

კარგად რომ გათენდებოდა, მაშინღა ცოცხლდებოდა ჩიმაკაძეების სახლი. ზედა სართულზე ჩაირთვებოდა რადიოკონცერტი. ლუბა მასწავლებელი გამოვიდოდა აივანზე და მე ელდანაკრავივით მივიმალებოდი. საქმიანი იერით ჩამოვიდოდა პირველ სართულზე, ააწკარუნებდა ჯამ-ჭურჭელს. მერე თანდი ძია ჩამოირბენდა მთქნარებ-მთქნარებით, ძვლებს გაატკაცუნებდა. დიდხანს იბანდა პირს ონკანთან, ფრუტუნებდა, ოხრავდა, ვიშვიშებდა... სულ ბოლოს ზაზა გამოვიდოდა, ეჭვიანად გადმოხედავდა ეზო-გარემოს. საიმედოდ ვიყავი დამალული და ვეღარა მპოულობდა. ყნოსვას მოსწვდებოდა სასიამოვნო სურნელი ტაფამწვარისა. გამახსენდებოდა, რომ უსაუზმოდ წამოვედი, ნერწყვი მომადგებოდა პირზე და ვცდილობდი, მეფიქრა რაიმე უფრო ამაღლებულზე, ვიდრე საუზმეა, თუმცა კი ყოველთვის ვერ ვახერხებდი ამას.

სკოლის ზარამდე ზუსტად ნახევარი საათით ადრე გამოჩნდებოდა გაკოხტავებული, დინჯი, დავარცხნილი ზაზა ჩიმაკაძე. ჩემკენ მოიხედავდა, ალბათ, გუმანით ხვდებოდა, სადაც ვიყავი. აჩქარებით გამოვვარდებოდი, ვითომ ამ წუთას მომერბინოს, საქმიანად ვიკითხავდი, ხომ არ გვაგვიანდება-მეთქი და თვითონაც მრცხვენოდა ამ უცოდველი ტყუილისა. მერე ჩუმად მივდიოდით გვერდიგვერდ, ის უფრო დარბაისლურად, მე კი,

შინაგან თრთოლვას ძლივს რომ ვმალავდი, ისე...

თინიკო კელაპტრიშვილი ერთ წუთს გვალოდინებდა. ბოლოს და ბოლოს მისი ჩანთის ტარების ღირსი ვხდებოდი, რის გამოც ჩუმად ვაქილიკებდი საკუთარ თავს, თუმცაღა მთელი არსებით ამისკენ მოვისწრაფოდი. ზაზა და თინიკო გააბამდნენ მასლაათს. მე მხოლოდ ნაწყვეტები მესმოდა. ისედაც გონებააბნეული, ნათქვამის აზრს ველარა ვწვდებოდი. ახლა კი ვიცი, ის საუბარი ქრესტომათიით, საშინაო დავალებითა და „ჭკუათხელ“ თანაკლასელთა გაკილვით იფარგლებოდა.

ასე მეორდებოდა მუდამდღე. მეხსიერებიდან იშლებოდა ყოველივე დანარჩენი და მეჩვენებოდა, რომ ჭეშმარიტი არსებობა მხოლოდ და მხოლოდ ამ მოკლე გზისაგან შედგებოდა, ამ ბედნიერ წუთებში ეტეოდა, მაგრამ მართლაცდა სულ ასე ხომ არ გაგრძელდებოდა, რაღაც მაინც უნდა მომხდარიყო.

ერთ დღეს მოხდა ეს რაღაც. ზაზა ჩიმაკაძე ხელი ქნევით უყვებოდა იმაზე, თუ როგორ ნადირობენ ესკიმოსები ზღვის ლომებზე და უცებ, ვითომ შემთხვევით, ვითომ ყურადღების მისაპყრობად, მკლავზე ხელი წაატანა. თინიკო კელაპტრიშვილი ნაძალადევი ინტერესით უსმენდა ამ ყბედობას. გოგონებს ხომ საერთოდ არ აინტერესებთ ესკიმოსები და მით უფრო ზღვის ლომები. ზაზას თითები როგორც კი შეეხო, მოხერხებულად გამოაცალა მკლავი, ვითომ შუბლზე ჩამოფენილი თმის გასწორება დასჭირდა.

ისეთი რა მოხდა, მაგრამ წონასწორობა დავკარგე. კლასში ვერ ვისვენებდი. არავისი ნათქვამი არ მესმოდა, არც ამხანაგთა და არც მასწავლებელთა. საუბედუროდ, ყველამ ჩემთვის მოიცალა იმ დღეს. პეტრე კუჭავამ ხელისდადება ორიანი ჩამიბეჭდა ჟურნალში, თან ცხვირწინ თითი მიქნია. მის ხმას ზუზუნი გაჰქონდა და ერთი სიტყვაც ვერ გავიგე. ისიდორე დიდმელიამ სინანულით გააქნია თავი და გამშორდა. კლასის დამრიგებელმა ხუთჯერ მაინც მკითხა, ავად ხომ არა ხარო. გვიან მივხვდი, რას მეკითხებოდა ზაირა მასწავლებელი და თავი გავაქნიე. სკოლის ორგანიზატორმა (იმ დღეს დირექტორის მაგიერ გვიტარებდა გაკვეთილს) კლასი დატოვეო, მიბრძანა, თუმცა ვერ

ვიხსენებ, რა დავაშავე. ბოლო გაკვეთილი ლუბა მასწავლებლისა იყო, დავადე თავი და წავედი შინისაკენ. რაღაცნაირად ბურანში ვიყავი, თითქოს ფეხებს თავისით მივყავდი. თვალწინ მიტივტივებდა ღობეები, ხეები, ეზოები, სახლები, ჩავლილი მანქანები... ყველაფერი ჭრელი ფარდაგივით არეულიყო და ვერაფერს ვარჩევდი... სხვადასხვა ხმები მომდევდა ფეხდაფეხ, ისინი ვერ გამერჩია ერთმანეთისაგან, — ვიღაცის გადანალაპარაკევი, მანქანის ჩაგუგუნება, მოკლე სიგნალი, კრუხის კრიახი, გოჭის ჭყვირილი... ალბათ, მართლაც ცუდად ვარ-მეთქი, გავიფიქრე და ფეხს ავუჩქარე... მერე გავიქეცი... შიგნიდან რაღაცა მომაწვა... ეზოში შევვარდი, თან ვიძახდი: „ბებია, ბებია!..“ შეშინებული ცინტუ ბებია ლოგინზე წამომჯდარი დამხვდა. სახე შეშლოდა, პირი უხმოდ დაეღო, პასუხი კი ვერ გაეცა, აკანკალებულ ხელებს ჩემკენ იწვდენდა. მივვარდი, სახე მის კალთაში ჩავრგე და გადმოხეთქა... ვტიროდი, ვტიროდი... არ ვიცი, წყენისაგან, არ ვიცი, ბედნიერებისაგან, ან იქნებ იმიტომ, რომ ობოლი ვიყავი, ცინტუ ბებიას გარდა არავინ გამაჩნდა და ჩემი არავის ესმოდა. დიდხანს ვიზლუქუნე ასე თავჩამხობილმა. ცინტუ ბებია თავისი აკანკალებული, ჩხინკა თითებით თავზე მეფერებოდა და არაფერს მეკითხებოდა. უცბად შევწყვიტე ტირილი, გავყუჩდი, საშინლად შემრცხვა, არ ვიცოდი, რა მეთქვა... ცინტუ ბებიამ კი, ვითომ არაფერი, წადი, ნენაია, პირზე წყალი შეისხიო...

ცივმა წყალმა გამომაცოცხლა. ცინტუ ბებიას თვალს ვერ ვუსწორებდი. შევედი კუთხის ოთახში, ლოგინზე დავეცი და პირი კედლისაკენ მივაბრუნე. თვალი დავხუჭე. მესმოდა, როგორ კრუსუნით დგებოდა ცინტუ ბებია, ხალათს ძლივ-ძლივობით იცვამდა. მერე ყავარჯნები მოსწია, ერთი გაუვარდა და წვალებით აიღო. სხვა დროს რა გამაჩერებდა, ხომ წამოვხტებოდი და მივაწვდიდი, ახლა კი მოვუყრუე. მერე იატაკი აჭრაჭუნდა, ყავარჯენი ნელა აკაკუნდა. კარი ფრთხილად შემოაღო, მე კი ვითომ დავიძინე... ვითომ კი არა, უფსკრულში გადავვარდი. არ შემშინებია, რადგან ეს ვარდნა ფრენასა ჰგავდა... ზაზას ხმამ გამომაღვიძა. მეორე ოთახში ელაპარაკებოდა

ბებიას. ჩემი ჩანთა მოეტანა სკოლიდან. წამოდგომა დამეზარა, მაგრამ შემოიხედა, ჩანთა მაგიდაზე დადო და მომაჩერდა: „ადე, რა, სუფთა ჰაერზე გამოდი!“

ზლაზვნით წამოვდექი, წელი ძლივს ავზიდე. უკან მივყევი.

ცინტუ ბებიას სკამი აივანზე გაეჩოჩებინა, იქ იჯდა. ყავარჯნები რიკულებისათვის მიეყრდნო.

— აი! — ზაზას ხელში მოკრივეს ხელთათმანები ეჭირა, თანაც ორი წყვილი. პირი დავაღე. ამასწინათ ტრაბახობდა, მაგრამ მისი ნათქვამი მაშინ არაფრად ჩავაგდე. „ადიდასია, მამამ მომიტანა!“ რა თქმა უნდა, მოუტანდა. თავისი ერთადერთი შვილისათვის არაფერი ენანებოდა ძია თანდის. გულში დამწიწკნა, მაგრამ შური უმალვე უკუვაგდე. მთელი ქვეყნიერება რომ ეჩუქებინა, სხვისი მამა მაინც ვერ დაიჭერდა მამაჩემის ადგილს.

ეზოში ჩავედით, თან ხელთათმანებს თვალს არ ვაშორებდი.

— აბა, გაისინჯე! — წყვილი ხელთათმანი მომიგდო. სიხარულისაგან ენა დამება, არ ვიცოდი, რა მეთქვა. ხელებზე გავიკეთე, თითქოს კარგად მომერგო. კრივის ანაბანა მე არ ვიცოდი, მაგრამ როგორც ტელევიზორში მენახა, ისე დავდექი. ზაზამაც აუჩქარებლად გაიკეთა და მოულოდნელად, მართლაცდა მოკრივესავით, ხტუნვა-ხტუნვით შემომიტია. ისე სწრაფად მოძრაობდა, გონს მოსვლა ვერ მოვასწარი. ნიკაპზე რაღაც მომხვდა და ძირს გავიშხლართე. მაინცდამაინც არაფერი მტკენია, მაგრამ დაცემისას ცინტუ ბებიას წამოკივლება მომესმა და მეტოქეს გაცეცხლებული ვეკვეთე. მეორეჯერაც გადავაწყდი გამოქანებულ ხელთათმანს და კვლავ გავიშხლართე. ცინტუ ბებია გადაირია, ყავარჯენს ურტყამდა აივნის რიკულს და გაუგებარ სიტყვებს კიოდა. აღარ წამოვმდგარვარ, ისე შევეხმიანე: „ნუ გეშინია, ბებია, სპორტია ეს!“ ზაზა კვლავ შემზადებული იდგა, ხანდახან ჰაერში გაიქნევდა მუშტს, არარსებულ მოწინააღმდეგეს უღერებდა. ეს, რა თქმა უნდა, თამაში იყო, მაგრამ მისმა სახემ შემაკრთო. იქ სიყვარულისა და ძმობის ნატამალიც ვერ დავლანდე. „ადე, ღვლიპო, უნდა გავარჯიშო, თორემ ასე ყველა დაგჩაგრავს!“ „ნუ გავაგიჟებთ ბებიას, ხვალ, გაკვეთილების შემდეგ საბანაოზე გელოდები!“

— ხელთათმანები წავიძვრე და მივუგდე.

ცინტუ ბებიას ჩუმი ტირილისათვის ყურადღება არც მიუქცევია, ისე წავიდა. შევეცადე ყოჩაღად წამოვმხტარიყავი, მხიარულად დავიღმიჭე, თუმცა მთელი ტანი დაბეგვილივით მქონდა.

იმ ღამეს სულ ვწრიალებდი. ხშირ-ხშირად მეღვიძებოდა. არ უნდა დავმარცხებულიყავი, არაფრით არ შეიძლებოდა ჩემი დამარცხება. ისე ამოვიჩემე, თითქოს ჩვენს ორთაბრძოლაზე იყო დამოკიდებული სამყაროს ბედნიერება. ნანერვიულები, უძინარი წამოვხტი დილაუთენია. ჩვეულება მაინც არ დამირღვევია. ზაზას გავუარე. მერე ორივე თინიკო კელაპტრიშვილს ველოდებოდით. როგორც ყოველთვის, მე ჩანთას დავავლე ხელი. ჩუმად მივდიოდით. თინიკო ჩაფიქრებული იყო, ლაპარაკის ხალისი არ ეტყობოდა. ზაზამ ერთი-ორჯერ წამოიწყო, მაგრამ მხარი არ აუბეს და ისიც გაჩუმდა. გაკვეთილების შემდეგ კი ცალ-ცალკე დავბრუნდით შინ. ცინტუ ბებიას კარტოფილი მოეშუშებინა და ისე შევჭამე, გემო ვერ ჩავატანე. მერე ჭიდან წყალი მოვუზიდე, თეფშების რეცხვაში დავეხმარე და ნასადილევს, თვალის მოსატყუებლად რომ წამოწვა, უკანა ეზოდან გავიპარე.

ზაზა უკვე მელოდებოდა. სპორტული რეიტუზი ჩაეცვა. ერთ ადგილზე ბუქნავდა, წარმოსახულ მოწინააღმდეგეს უტევდა, ხელთათმანებს ჰაერში იქნევდა. მე ისევ სკოლის ფორმა მეცვა. კურტაკი გავიძრე, პერანგის სახელოები დავიკაპიწე. უხმოდ წამოვიცვი ხელთათმანები. ზაზა გუშინდელივით გაუფრთხილებლად გადმოვიდა შეტევაზე. ახლა უფრო მომზადებული დავხვდი, განზე გავხტი და დარტყმა ავიცდინე, თუმცა დიდხანს მაინც ვერ გავუძელი. სისხლის მოტკბო გემო რომ ვიგრძენი, მაშინღა მივხვდი, ტუჩი გამხეთქოდა და გახელებული ვეცი. იოლად მიგერიებდა. მსუბუქად მოძრაობდა. რაც უფრო ვხელდებოდი, მით უფრო ცუდად ვიცავდი თავს და ბოლოს, ძირს გართხმულმა, წამოწევა ვერ შევძელი. მაშინ თავი დამანება, გამხმარ ფესვზე ჩამოჯდა, ოფლი სახელოთი ჩამოიწმინდა. ამ დროს წაგვასწრო ფუნთულამ, ქათმიპარიას დედამ. მუდამ ჯაგებში დაძვრებოდა, მხალეულს ეძებდა. უიმეო, შეიცხადა,

ჯოხს დაავლო ხელი და ზაზას მოუღერა. „სპორტია ეს, დეიდა!“ — შეუღრინა ზაზამ, ზლაზვნით წამოდგა და მძიმედ წავიდა. ისიც საკმაოდ დაქანცულიყო.

ფუნთულას მოთქმა-წუწუნი არაფრად მეპიტნავა. თავს ძალა დავატანე, ძლივს ავხოხიალდი და ბარბაცით წავედი. წყალი რომ შევისხი, ამეწვა, მაგრამ მოვითმინე. არ მინდოდა ცინტუ ბებია შემეშინებინა და ნაძალადევი მხიარულებით შევუძახე: „ცინტუ ბებია, აგერა ვარ მე!“ „სპორტი გქონდა, ხომ?“ — სანამ დამინახავდა, მანამდე მორთო ბუზღუნი. შემომხედა და ენაჩავარდნილმა უმწეოდ გაშალა ხელები. „რა მოხდა, ბებია, რას შეიცხადე! დავეცი მე! მოვრბოდი, რაღაცას ფეხი წამოვკარი და ისე დავასკდი...“ „რა თქმა უნდა, ძმაკაცის მუშტს!“ — ცინტუ ბებიას იუმორის გრძნობა არ აკლდა.

მეორე დღეს თინიკო კელაპტრიშვილმა ცნობისმოყვარედ შემავლო თვალი. „ეს რა დაგმართნია?“ „დავეცი!“ — მოკლედ და უხეშად მოვუჭერი. „შეეცადე, ხვალაც არ დაეცე!“ — ისე მიპასუხა, მის ჩანთას ჯიუტად არ მოვკიდე ხელი. გაეღიმა და თვითონ წამოიღო. მის სუსტ ხელს არ უხდებოდა მძიმე ჩანთა, მაგრამ უკანდახევა არ მოვისურვე. ზაზას, ცხადია, არ ეკადრებოდა სხვისი ჩანთის თრევა, თუნდაც ის თინიკოსი ყოფილიყო. ერთი-ორჯერ ალმაცერად გადმომხედა, ჯიუტად ვიღუშებოდი და არაფერი უთქვამს. გაკვეთილზე ხელს მოხერხებულად ვიფარებდი ტუჩზე, ვითომ კბილი მტკიოდა. მხოლოდ ზაირა მჟავიას ვერ გამოვაპარე, მიწისქვეშაც ვერაფერს დაუმალავდით. „რა დაგემართა?“ „დავეცი, პატმასწ!“ ეჭვით გააქნია თავი, თქმით კი არაფერი უთქვამს.

გაკვეთილების შემდეგ კვლავ შევიყარენით საბანაოზე. კვლავაც გახელებით ვუტევდი. უპე ამომიბუშტა, თუმცა არც თვითონ ადგა კაი დღე. საბოლოოდ მაინც მე აღმოვჩნდი ძირს. შინ ძლივს მივხოხდი და ყველაფერს შეგუებულმა ცინტუ ბებიამ მთელ სახეზე მალამო დამადო, თანაც დარბაისლურად იმსჯელა ზოგიერთ ახირებულ ახალგაზრდაზე, თავისი ნებით მუშტებს რომ ასკდება. „სპორტია ეს, ცინტუ ბებია, რა გესმის შენ მაგისი!“ — ვფახიფუხობდი. ურწმუნოდ იქნევდა თავს და

ღიმილით მკითხა, მეორე სპორტსმენს თუ მისწვდა შენი მუშტიო. მისწვდა კი არა, საკაცეთი წაიღეს-მეთქი. ცინტუ ბებიამ პირი დააღო, მერე მიხვდა, ვხუმრობდი, ნატკივარ თავზე წკიპურტი დამიმატა: „მთლად ნუ გაიმეტებ კაცს, დაანებე, თავისი ფეხით წავიდეს შინ!“ ამაზე ბევრი ვიცინეთ და გუნება გამომიკეთდა. დილას კი თინიკომ ტაში შემოჰკრა: „კიდევ წაიქეცი?“ გაბრაზება არ მაცალა, სწრაფად დაუმატა: „ნუ მებუტები რა!“ თან ჩანთაც შემომაჩეჩა. რა მექნა, გამოვართვი. თვითონვე გავიხადე მოვალეობად ეს საქმე და უკან დასახევი გზა მოჭრილი მქონდა. ზაირა მასწავლებელმა წამით დაკარგა ჩვეული თავდაჭერილობა და გაკვირვებით დამაცქერდა. თავი დავხარე, კინაღამ მერხში ჩავძვერი. „ცხადზე ცხადია, დღესაც დაეცი!“ ზაირა მასწავლებლის მოტყუება ნაღდად არ მინდოდა, როცა ვატყუებდი, საკუთარი თავი მეზიზღებოდა, მაგრამ აბა რა მექნა. „მაგას ვესტიბულარული აპარატი მოეშალა!“ — წამოიძახა ჩიორამ. ზაირა მასწავლებელმა ვითომ ვერ გაიგონა. თავი ამაწევინა, თვალებში ჩამხედა და ასე მითხრა: „უმნიშვნელო წვრილმანისათვის ჩხუბი რა საკადრისია. ოღონდაც, ვერც ერთი ჭეშმარიტად მნიშვნელოვანი საკითხი ჩხუბით ვერ გადაწყდება!“

თქმა იოლია, ცხოვრებაა ძნელი! ვითომ ბოლომდე მქონდა გააზრებული, თუ რისთვის ვიკლავდი თავს? თინიკო კელაპტრიშვილისათვის? იქნებ საკუთარი თავმოყვარეობის შელახვას ვერ ვურიგდებოდი? იქნებ მინდოდა მეხსნა ზაზას სული? ოღონდ რისგან? რა საშიშროება მოელოდა ზაზას? ახლა კი ვიცი, ყველაზე დიდი მტერი საკუთარი თავია, მთავარი და ძირითადი საკუთარ თავთან ომია.

საღამოს ისევ შევხვდით ერთმანეთს. უხმოდ ვიბრძოდით. მე მივხვდი, ჩემი გახელება ჩემი სისუსტე იყო. ჭეშმარიტი მებრძოლი წუთიერ გულისთქმას არ უნდა აჰყვეს, თორემ მთავარი სამიზნე დაეკარგება. ამიტომაც შევეცადე არ ავღელვებულიყავი, თავგზა არ დამეკარგა. ბევრს ეცადა ზაზა ჩიმაკაძე, მაგრამ ამჯერად ვერას გახდა. სხარტად ვიცდენდი მოქნეულ ხელთათმანს, ერთი-ორჯერ თვითონაც კარგად ვუთავაზე. ვერ ვიტყვი, უპირატესობა ჩემს მხარეზე იყო-მეთქი, მაგრამ გუ-

ლისწადილი ვერ შეისრულა, დაჩოქილი ვერ მნახა, და არაქათგამოლეული უსიტყვოდ გამშორდა. მეც ასევე უთქმელად გავბრუნდი. ცინტუ ბებია მშვიდად დამხვდა. მალამოები მზად ჰქონდა, მაგრამ ამჯერად არ დამჭირვებია. გამჭრიახი თვალები მომაპყრო, ყავარჯენი იატაკზე დააკაკუნა: „ბოლომდე რაინდი იყავი, ნურც იფიქრებ სამაგიეროს გადახდაზე!“ დახეთქილი ტუჩი და ჩალურჯებული თვალები ჰქონდა მხედველობაში. და უფრო მეტიც! გულის კანკალით მელოდებოდა ცინტუ ბებია, ერთი რამისა ეშინოდა ყველაზე მეტად — არ გავბოროტებულიყავი.

მე კი გავბოროტდი. სულ ერთი წუთით, მაგრამ ეს იყო საშინელი წუთი. გული თითქოს შხამით ამევსო, კინაღამ საკუთარმა გულღრძოობამ დამახრჩო... ჩვეული გზით მივდიოდით სამივენი. წინ თინიკო და ზაზა, უკან მე... ცა იყო ლურჯი, მზე თბილი და სულშიც ნათელი მეფინა. თითქოს საბოლოოდ გამოიდარა, ამიერიდან ყველაფერი კარგად იქნებოდა. ამ დროს მოიხედა ზაზამ, ბაგეზე დამცინავი ღიმილი გაუკრთა და უცებ ისე ბუნებრივად, თითქოს ამას ჩვეული იყო, თინიკოს მხარზე ხელი მოჰხვია. ასე ხელგადახვეული შეყვარებულები მინახავს კინოში, ჭუბურიშში კი ეს პირველი შემთხვევა იყო. რას დაგიდევდით, პირველი შემთხვევა იყო თუ მერამდენე, მან ხომ თინიკო კელაპტრიშვილს მოჰხვია ხელი, თანაც ისე ბუნებრივად, ისე ჩვეულებრივად, ვითომ ყოველდღე აკეთებდა ასე, ვითომ უფლებაც ჰქონდა ასე ეკეთებინა... თვალებზე ბინდი ჩამომეფარა და მხოლოდ იმიტომ გავჩერდი, იქვე რომ არ მომეკლა...

თინიკომ გაოცებით აზიდა წარბები, სწრაფად შემოტრიალდა, ზაზას მკლავს დაუსხლტა და წინ გადამიდგა. მაშინ ვერაფერს მივხვდი, ახლა კი ვფიქრობ, იგრძნო ჩემს სულში დატრიალებული ბნელი ქარიშხალი და მე კი არა, იმ ქარიშხალს გადაუდგა. შემომღიმა. თითქოს ამ ღიმილით პატიებას მთხოვდა. თითები ტუჩებზე შემახო და მკითხა: „მოგირჩა?“ გული გადამეწმინდა, თითქოს მიწამლესო, სნეულებისაგან უცბად განვიკურნე: „არ მტკივა!“ „გინდა, შენი ჩანთა წამოგიღო?“ არ ვანებებდი, მაგრამ ზაზას სახე დაემანჭა („ცირკია რა!“) და ჩემი ჩანთა დავუთმე. ახლა მე იმისი ჩანთა მიმქონდა, იმას — ჩემი.

აქეთ-იქიდან გვერდი ავუარეთ შუა ტროტუარზე გახირულ ზაზას და თინიკომ თავისუფალი ხელი გამომიწოდა. ასე ხელიხელჩაკიდებუნი წავედით ყველას თვალწინ, მთელი სოფლის თვალწინ. არც ასეთი რამ ენახა, ალბათ, ჭუბურიშს, მაგრამ ამაზე მაშინ არ გვიფიქრია, მივდიოდით და თავს ზღაპრეთში მცხოვრებლად ვგრძნობდი. თინიკოს ხელი ისეთი პაწია და გამჭვირვალე იყო, ჩემი ხელი მტვირთავის უხეშ, ჯაფით დაკორძებულ ხელად მეჩვენებოდა და თითქოს ამ ხელებით ერთმანეთში გადაედინებოდა მაგიური რამ სითბო, რომლის არსებობისა აქამდე არაფერი ვიცოდი.

ზაზა ჩიმაკაძემ ქარივით ჩაგვიქროლა. ტყავის ლაბადა ეცვა და იმისმა კალთებმა შავი ფრთებივით ჩაიფრიალა. „საღამოს გელოდები! — ზიზღით დამიგდო. — ცირკია რა!“ თინიკო გაჩერდა, მუდარით შემომხედა: „არ წახვიდე, გეხვეწები!“ მე კი სერიოზულად ვუპასუხე: „თინიკო, რაც გინდა, მთხოვე, ყველაფერს შეგისრულებ! წასვლით კი უნდა წავიდე!“

უნდა წავსულიყავი, ორთაბრძოლა უნდა მომეგო. მე კი არ მჭირდებოდა ეს გამარჯვება. ზაზა ჩიმაკაძე უნდა დამარცხებულიყო საბოლოოდ...

ვიცოდი, გავიმარჯვებდი და მართლაც ასე მოხდა. გულდაჯერებით ვებრძოდი, ფხიზლად. სახე აუფორაჯდა, ნერვულობდა, გულგრილობის ნიღაბი ჩამოსცილდა. საბოლოოდ გამწირა და ძალას არ იშურებდა, მაგრამ მის ყოველ მოქნევას ვიცილებდი, თვითონ კი თავდაპირველად ვინდობდი. თანდათან შევხურდით. „ხომ გასწავლე, ღვლიპო!“ — გამოსცრა წუთშესვენების დროს. „მადლობელი ვარ, მართლაც ბევრი რამ ვისწავლე!“ — აუღელვებლად მივუგე. კვლავ შემომიტია, არაფერი გამოუვიდა და თინიკო მიხსენა. მთელი ამ ხნის განმავლობაში პირველად წარმოთქვა მისი სახელი. „მემეტოქები? შენი მაინც ვერ გახდება!“ თითქოს გულში მიჩხვლიტესო. აქამდე არც მიფიქრია, არც ვიცოდი, შეიძლებოდა თუ არა, ჩემი გამხდარიყო. იგი მთავარი აგრონომის შვილი იყო, სასახლეში ცხოვრობდა და ვინ გამოგვატანდა მე და ცინტუ ბებიას ფიცრულ ოდაში. აზრს თავი ვერ მოვაბი, მაგრამ ამ სიტყვებმა თავისი მაინც

ქნა, თავდაცვის ზღუდეები შემირყია. ნებისყოფამ წამით მიმუხთლა და ერთადერთი, თუმცა არცთუ მძიმე დარტყმა მივიღე. ამან თითქოს ამაფეთქა და პასუხიც ელვის უსწრაფესი იყო. ზუსტად ვერც აღმიდგენია, ისეთი რა მოვიმოქმედე, ზაზა კი ძირს დაგდებული ვიხილე. ალბათ, მოკრივეთა ენაზე ამ დარტყმას თავისი სახელი დაეძებნებოდა. მაყურებელ-შემფასებელი ჩვენ არავინ გვყოლია, არც არავინ ითვლიდა წამებს, მაგრამ მოულოდნელობისაგან თავბრუდახვეული ზაზა კარგა ხანს ვერ მოდიოდა გონს, უფრო შეურაცხყოფისა და დამცირებისაგან, ვიდრე ტკივილისაგან. მერე წამოვარდა, უხმო მძულვარებით მეცა, მაგრამ რაც უფრო ხელდებოდა, მით უფრო დაუცველი ხდებოდა და კიდევ ერთხელ და კიდევ ერთხელ დავაგდე ძირს.

აღარ წამომდგარა. თავდახრილი იჯდა, ხელთათმანიანი ხელები მუხლებზე დაეწყო. ერთბაშად დაკარგა მთელი თავისი პენი და შარავანდედი. უცებ ამეხილა თვალი. ისიც ჩვეულებრივი, სუსტი ბიჭუნა იყო. ჩვენ ორივენი ბიჭუნები ვიყავით, დაკაცებამდე ბევრი გვაკლდა. რასაც მე „ბრძოლას“, „დარტყმას“, „დაგდებას“ ვეძახდი, შორიდან, ალბათ, ძალზე სასაცილოდ გამოიყურებოდა. შემრცხვა და გული თანაგრძნობით ამევსო, რადგან ჩვენ შორის არ იყო გამარჯვებული და დამარცხებული. წინ ჩავუცუცქდი. „გტკივა?“ — ჩურჩულით ვკითხე. მან კი თავი არ ასწია, უფრო მოიბუზა. გაოცებისაგან პირი დავაღე, თუმცა რა იყო აქ გასაოცარი! ზაზა ტიროდა, ცრემლი ღაპაღუპით ჩამოსდიოდა. „აი, მამას ვეტყვი, გიჩვენებს სეირს!“ — წაიბურტყუნა და წამში უფრო პატარა და უსუსური გახდა. პასუხი არ გავეცი. ხელთათმანები წავიძრე და დავუგდე. მეტჯერ მე ისინი არ დამჭირდებოდა, სამუდამოდ შემძულდა კრივი.

წამოვდექი. ზაზამაც ძლივს აზიდა წელი, უფრო საკუთარი უღონობისაგან გამწარებულმა. ვიდექი და მშვიდად ველოდი, პირველი როდის გამეცლებოდა. მაშინ მითხრა საბედისწერო სიტყვები: „აი, სამაგიერო თუ არ გადაგიხადე... თინიკოს ჩავუკაკლავ, რაც შენ აქ მითხარი!“ ვერ მოვისაზრე, რას მეუბნებოდა. თინიკოს სახელს, მისი გაცნობის დღიდან თითქოს ტაბუ დავადეთ, ერთმანეთში არც ვახსენებდით. პირველად თვითონ

ახსენა ამ ჩხუბის დროს... ან რა უნდა გველაპარაკა თინიკოს შესახებ? ყველაზე დიდ სათქმელს საკუთარ თავსაც ვერ ვანდობდი და ზაზასთან როგორ შემეძლო მისი ხსენება? შევცბუნდი. მერე ენის ბორძიკით დავეკითხე: „ზაზა, ცუდად ხომ არა ხარ? რაღაც არ მესმის, რას მეუბნები!“ „თინიკოს ჩავუკაკლავ, რაც შენ იმაზე სიბინძურე ილაპარაკე!“ გულ-ღვიძლი თითქოს ყინულით შემეჭედა, თითქოს სუნთქვა გამიჩერდა და სისხლის მოძრაობაც შემიწყდა. გაშტერებული შევყურებდი. ნუთუ ასეთი რამ შესაძლებელი იყო? ნუთუ ზაზას შეეძლო ასე გავეწირე?.. მერედა როგორ შემეხედა თინიკოსათვის, რითი მემართლებინა თავი? „არ დაგიჯერებს!“ — ყოყმანით ვთქვი. „ვნახოთ, თუ არ დამიჯერებს!“ „იცოდე, არ გაბედო, თორემ მოგკლავ!“ — მუქარით მივადევნე. უცნაურად შემომხედა და გამშორდა. მერეც მახსენდებოდა ეს შემოხედვა. რას ნიშნავდა იგი? რა აზრი აკიაფდა მის მზერაში? მე თვითონ ხომ არ ჩავაწვეთე ის, რისგანაც მის გადარჩენას ვცდილობდი?

გულდამძიმებული წამოვედი შინისაკენ. თავს ცუდად ვგრძნობდი. მუხლები შემისუსტდა თითქოს. ძლივს ვადგამდი ნაბიჯს. ყანის მხრიდან მივადექი ეზოს და ღობეზე გადასვლა გამიჭირდა. ცინტუ ბებია უმალვე მიხვდა, რაღაც რომ შეიცვალა. კიბის თავზე იდგა ყავარჯნებს ჩამოყრდნობილი და გაუღიმარი. „ვატყობ, დამთავრდა დიდი ომი, კაცი კაცსა შემოვტყორცნეთ და შინ მშვიდობით მოვბრუნდით...“ მაგრამ უცბადვე ეს აუღელვებელი ქილიკი შეწყვიტა, შეშინებულმა განზე გაიწია, გზა დამითმო. „ნენაია, რას დამსგავსებიხარ? მოგიკვდეს ბებია, ცუდად ხომ არა ხარ, შვილო?“ ცუდად ვიყავი, მაგრამ თვითონაც არ ვიცოდი, რა მკლავდა. სარკესთან რომ გავიარე, გულმა რეჩხი მიყო. მართლაც ქაღალდის ფერი მედო, მიცვალებულის ფერიმეთქი, მინდოდა მეთქვა, მაგრამ ცინტუ ბებია შემებრალა და არაფერი ვთქვი. ლოგინი გავშალე და ჩავწექი. ყინულისას ჰგავდა, სიცივისაგან ამაძაგძაგა. ჩემი საბრალო ცინტუ ბებია აფორიაქდა, ძლივძლივობით მოათრევდა საბნებს, მაფარებდა, გვერდებში მიკუჭავდა. ყავარჯნების კაკუნით წაკოკიალდა სამზარეულოში, ნავთქურაზე რძეს მიდუღებდა, ალბათ, ან წყალს,

რათა სათბურათი ჩავეთბუნე. უჭირდა საქმიანობა, მაგრამ თავს ბალიშიდან ვერ ვწევდი და ვერაფერს ვშველოდი.

მაშინ ვიფიქრე პირველად, სიკვდილისათვის ასაკი არ არსებობს-მეთქი. ცინტუ ბებიას ნათქვამი გამახსენდა, ღმერთი ხანდახან თავისთან ანგელოზებს იხმობსო... თავი მისკდებოდა, ფიქრში ჩაღრმავება არ შემეძლო და ბურანში ჩავიძირე. მთელი ღამე ვებრძოდი შავ ურჩხულებს. სიცხისაგან ვიხუთებოდი, ოფლი ღვარად დამდინდა. „ბებია, არ შემიძლია!“ — წიხლებით ძირს ვყრიდი საბნებს. მეორე წუთს ყინვა და თოში შემომეჭდობოდა, ამაძაგძაგებდა, მოვიკრუნჩხებოდი... „ბებია, ბებია, მცივა, მცივა!..“ ზოგჯერ კი უცბად გონება გადამეწმინდებოდა, თვალს გავახელდი. ოთახში ნათურა ენთო. თავგზააბნეული ცინტუ ბებია ყავარჯნებზე ძლივს დაკელანაობდა და ჩურჩულით ვეხვეწებოდი: „ბებია, წადი, დაიძინე!“ ხმას, ალბათ, ვერ ვაწვდენდი. კვლავ ვიძირებოდი სადღაც ურჩხულეთში, სადაც ლორწოვანი და ცივი სხეულები იგრაგნებოდნენ. სადაც რაღაცა დუღდა და ბუყბუყებდა, ყველაფერს შავი ორთქლი ეფინებოდა და მე ამ ჯოჯოხეთურ ზრიალში უსასრულეთში მივექანებოდი. მერე, არ ვიცი, რა დრო იყო, უცბად სიწყნარე ჩამოწვა, ირგვლივ ყოველივე დამშვიდდა, დაწყნარდა, სულში ნათელი ჩამეფინა. სადღაც შორს დაიწკრიალა ზარმა: ძინ-ძინ-ძინ!.. მერე უფრო სწრაფად — ძინლინ-ძინ... ძინლინ-ძინ!..

თვალი გავახილე. ოთახი სინათლით იყო სავსე. ყავარჯნები იატაკზე ეყარა. ჯერ ისინი ვნახე, ბებია კი მერე შევნიშნე. ფერხთით მოკალათებულიყო, გაუხდელს ჩასძინებოდა. უნებლიეთ გავინძერი, გამოეღვიძა.

ძინლინ-ძინ!.. — რეკდა ზარი.

— ბებია, ეს რა არის?

— სკოლის ზარია, ნენაია!

— უნდა წავიდე?

— დღეს ვერ წახვალ, ნენაია, უნდა იწვე!

წამოწევა მოვინდომე, მაგრამ ბალიშზე უღონოდ მივესვენე. ცინტუ ბებია საწოლის კიდე-კიდე წამოჩოჩდა, თავზე ხელი დამადო, ცივი და გაჩხინკული, ჩემთვის კი ყველაზე თბილი და

ალერსით სავსე.

— მოითმინე, ნენაია, ნუ აჩქარდები, ცხოვრება წინაა!

ზარმა უკანასკნელად ჩამოჰკრა „ძი-ინ!“ და დადუმდა...

ჩემში კი დიდხანს, დიდხანს თრთის ამ ბგერის გამოძახილი... იქნებ მე თვითონ ვარ ეს ბგერა, სივრცეში თავისუფლად მოლივლივე, თანდათან რომ სუსტდება, სუსტდება, მიინავლება, ქრება... ეს ჩუმი ფიქრები სუსტი გამოძახილია იმ ზარისა... კიდევ ცოტა, კიდევ ცოტა და მე მსუბუქი თრთოლვით შევერწყმები ეთერს. მანამდე კი მშვიდად ვიცდი ჩემს პატარა სამყოფელში, ყველაფერს შეგუებული, ყოვლის შემწყნარებელი, უკვე ზიარებული დიად ჭეშმარიტებას, რომ ნაწილნი ვართ სამყაროისა... ვიცი, სულ მალე ცინტუ ბებიაც დაწვება ჩემს გვერდით და ჩვენი ორი სული, ორი შემოკვრა ზარისა, ერთად მიწყდება უსასრულო სივრცეში... მანამ კიდევაა დრო, ჯერ კიდევ შეიძლება მოვიდეს „ის“, აქამდეც უნდა მოსულიყო, უმალვე ვიგრძნობ მის მსუბუქ ნაბიჯებს, წამიერ ვიელვებ მის მეხსიერებაში, თითქოს ოქროს თევზი ვიყო და ნათელი სხივი ამერეკლოს... მის სულს დავაჩნდები არა როგორც ჭრილობა, არა როგორც ტკივილი, როგორც თბილი მოგონება, წამიერი, მსუბუქი, სინანულნარევი, ოდნავ სევდიანი, მაგრამ წმინდა და ამაღლებული...

მაშინ, მოულოდნელი ავადმყოფობის დროს, ზარის რეკვა რომ შეწყდა, უნებლიეთ წამომცდა: „დამთავრდა!“ „რა დამთავრდა, ნენაია!“ — შეშინდა ცინტუ ბებია. „გაკვეთილი დაიწყო, ბებია!“ — დავამშვიდე და კვლავ თვალი დავხუჭე. თანდათან ჩავიძირე აუმღვრეველ სიწყნარეში და თეთრი სიზმარი მეწვია. ვხედავდი მხოლოდ თეთრ ეთერს, თანაბრად განფენილ თეთრ სინათლეს, სადაც მარტოდმარტო მივცურავდი, მაგრამ სიმარტოვის შეგრძნება აღარ მქონდა.

ციცო ფალავანდიშვილმა შემოირბინა პირველად. თვალზე ცრემლი უბრწყინავდა. მისი გულჩვილობის ამბავი ქვეყანამ იცოდა. ახლაც აშკარად ვებრალებოდი, ამის დამალვას ცდილობდა და ვერ ახერხებდა, ზედმეტად ფაციფუცობდა. ნამცხვარი გამოეცხო. ცოტათი მომეწვაო, ბოდიშობდა, მაგრამ მე ძალიან მეგემრიელა. ჩაი ავადუღებინე. საწოლთან პატარა მაგი-

და დავადგმევინე და სამივემ, მე, ბებიამ და ციცომ ჩაი და ნამცხვარი მივირთვით, თან ლაპარაკს შევყევით. სკოლის წვრილმანები გავიხსენეთ. ბებია დარბაისლურად წრუპავდა ჩაის, ფინჯანი არისტოკრატულად ეჭირა, ნეკათითი განზე გაეშვირა და ჩვენ ვცდილობდით მიგვებაძა. ცინტუ ბებია ცალი ტუჩით ჩაიღიმებდა და დინჯად იხსენებდა გიმნაზიისდროინდელ ამხანაგებს, წვრილ-წვრილ „ამურებს“, როგორც თვითონ ამბობდა. მერე გადავიდა დადიას სტუმრობაზე და კარგა ხანს გვახითხითა.

მეორე დღეს მთელი კლასი მომადგა. ჩიორამ კინაღამ კარი ჩამოიღო, თავს ნუ იკატუნებ, დათვივით გამოიყურებიო, დიდი ამბით ჩამბუბნა. გოგოებმა ვიშვიში ატეხეს, ბიჭები გარს შემომეჯარნენ და ყველა ერთად ძლივს დაეტია ჩემს პატარა ოთახში. ბებიას მთლად აებნა თავგზა. ყავარჯნებით დაჯახირობდა და გოგოებს ასაქმებდა. ხილი და კამფეტები გამოატანინა. ჯერ უარობდნენ, მერე კი, რაც ტკბილეული გვქონდა, წამში შესანსლეს, თან ერთმანეთს არ აცლიდნენ რატრატს. ვგრძნობდი, როგორ ვუყვარდი თანაკლასელებს, მაგრამ გულს მაინც აკლდა რაღაც.

არც მეორე და არც მომდევნო დღეებში ზაზა არ გამოჩენილა. არც თინიკო უხსენებია ვინმეს. თანდათან დამიბლაგვდა გრძნობა, მივეჩვიე აზრს, რომ მიმატოვეს, რომ, ალბათ, რაღაც მართლაც დავაშავე. ციცოს შევეკითხე, ზაზა თუ დადის სკოლაში-მეთქი. „ჩიმაკაძე? როგორც ყოველთვის!“ — უდარდელად მიპასუხა. მინდოდა მეკითხა, კელაპტრიშვილს თუ ხედავ-მეთქი, მაგრამ მომერიდა. გადავწყვიტე ჩუმი ლოდინი, რადგან ყოვლისმცოდნე ცინტუ ბებია იტყოდა ხოლმე, ნენაია, მოთმინება ადამიანისთვის დიდი ღირსებააო. მოთმინების ძაფი კი გამიწვრილდა, გამიწვრილდა და კინაღამ მთლად გაწყდა. სწორედ ამ დროს გამოჩნდა ზაირა მასწავლებელი. ენა დამება, ფერი მეცვალა, არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. საბრალო ცინტუ ბებიამ უმალვე დაკარგა არისტოკრატული პეწი, ზაირა მჟავიას გვერდით უფრო ჩია და უსუსური ჩანდა. სკამი თვითონ გამოაჩოჩა პატივცემულმა მასწავლებელმა, ჩვეული მკაცრი მზერა შეურბილა უნებლიე ღიმილმა, ალბათ, ართობდა ჩვენი

ფუსფუსი. „მაშ, როგორა ხარ, გმირთა გმირო?“ — შემეკითხა. დამცეცხლა, ყველაფერი სცოდნია-მეთქი. „ექიმმა მითხრა, მეცადინეობა უკვე შეუძლიაო!.. მთლად ნუ გაგვიზულუქდი, სკოლაში რომ მოხვალ, იცოდე, ჩემს კოლეგებთან უნდა მასახელო!“

მარტო რომ დავრჩი, ბეჭებქვეშ ამოვიდე მაღალი ბალიში, დავიდე მუხლებზე წიგნები და შევუდექი კითხვას, ოღონდ თავში არაფერი ჩამივიდა. იქ სრული დომხალი მქონდა. გაურკვეველი აზრებისაგან ტვინი ისე დამინაგვიანდა, თავსა და ბოლოს ვერაფერს ვაბამდი. წამდაუწუმ მახსენდებოდა ზაზას მუქარა. მარცხით შეურაცხყოფილი ბიჭის წუთიერი ბოღმა ანგარიშგასაწევი არც იყო, მაგრამ საკმარისი დრო გავიდა უკვე. აქამდე ხომ უნდა დამშვიდებულიყო, გაერკვია მტყუან-მართალი... მერე ფიქრით თინიკოს გადავსწვდებოდი. ისიც არ მოვიდა! მოკითხვაც არ შემოუთვლია და ეს მაღონებდა, მაეჭვებდა. ნუთუ ასე მალე გამიმეტა? მაშ, რატომ გამომიწოდა მაშინ თავისი თბილი და ნაზი ხელი? ვიხსენებდი იმ ბედნიერ წუთებს და უფრო და უფრო ვრწმუნდებოდი, რომ „რაღაც მოხდა“.

ასე გავიდა კიდევ ერთი კვირა. მე უკვე შემეძლო ეზოში გასეირნება. ზოგჯერ სისუსტე მავიწყდებოდა. ჩიორა რომ მესტუმრებოდა, ბურთსაც კი გავაგორებდით, თუმცა ძალზე სწრაფად ვიღლებოდი. მაინც დღე-დღეზე მემატებოდა ღონე, მიბრუნდებოდა ხალისი. აქამდეც შემეძლო სკოლაში წასვლა, მაგრამ ცინტუ ბებია მდარაჯობდა და ჭიშკარს მიღმა არ მიშვებდა. ორშაბათს კი, ეს უკვე ნამეტანია-მეთქი, ცინტუ ბებიას წუწუნი არაფრად ჩავაგდე და სკოლაში წავედი. თანაკლასელები ისეთი ყიჟინით შემხვდნენ, გამაწითლეს. ბიჭები მომცვივდნენ, იმდენი მბუბნეს და მეძიძგილავენ, თავი ძლივს დავიძვრინე. გოგონები ერთმანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს. ციცოს, რა თქმა უნდა, უპეში სიხარულის ცრემლი უბრწყინავდა. ზაზა არ ჩანდა მხოლოდ. ზარი დაირეკა, ყველანი ჩვენ-ჩვენს ადგილებზე დავსხედით. მე კენტად შევრჩი პირველ მერხს. კარისაკენ მოუთმენლად ვიყურებოდი. აქედან დერეფნის ნაწილი მოჩანდა. აი, დერეფანში გამოიარა ზაზა ჩიმაკაძემ. სხვები მას ჯერ ვერ ხედავენ, მე კი ვხედავ... უცებ ჩვენი მზერა ერთმანეთს შეხ-

ვდა. გაჩერდა, სახეზე წამიერი კრთომა შევატყვე და შემრიგებლურად გავუღიმე. მას კი ბაგე დაებრიცა, ცივად შებრუნდა და გაქრა. მერხიდან წამოვხტი, კარში პეტრე კუჭავას შევეჩეხე. „საით, ყმაწვილო?!“ ენა დამებორკა, გვერდი ავუქციე და გავიქეცი. სისუსტე სულ დამავიწყდა, წამში მთელი სკოლა შემოვირბინე და ზაზა ვერსად ვიპოვე.

ღონე უცებ წამერთვა. ჭიშკართან ჩამოვჯექი გრძელ სკამზე. სული ძლივს მოვიბრუნე და შინისაკენ წავლასლასდი. ცინტუ ბებია შეშფოთდა, ასე ადრე რად დაბრუნდიო. ზაირა მასწავლებელმა გამომიშვა-მეთქი, მივკიბ-მოვკიბე და ძლივს დავამშვიდე.

ნაშუადღევს შინიდან გავიპარე. ჩიმაკაძეების სახლთან, ბუჩქნარში ჩავიმალე. დიდხანს ვიყავი ჩაცუცქული, მაგრამ ზაზა ვერაფრით მოვიხელთე. საღამოს ძია თანდი გამოჩნდა, სამუშაოდან ბრუნდებოდა. სამალავიდან გამოვედი. სახეზე ჯერ გაკვირვება გამოეხატა, მერე ვითომ ვერ მიცნო და ჭიშკარი შეაღო. „ძია თანდი, ზაზა შინ არაა?“ ერთხელ კიდევ შემომხედა, თითი მკაცრად დამიქნია, — „ხულიგანო!“ და შევიდა. ნაცემივით მხრებჩამოყრილი დავბრუნდი შინ. „ნუთუ მართლაც ხულიგანი ვარ? — ვფიქრობდი გულდამძიმებული, — გაკვეთილს ვაცდენ, სწავლით თავს არ ვიკლავ, აგერ ვჩხუბობ კიდეც...“

დილაუთენია ისევ დავუყარაულდი. ბუჩქნარი ნამისაგან დასველებულიყო, ტანში სიცივე გამიჯდა და მაკანკალებდა. იქვე, ბალახში ია ამოსულიყო და ახლაღა გამახსენდა, რომ გაზაფხული უკვე დამდგარა, თანდათან დათბება, მზეს მცხუნვარება მოემატება და მაშინ აღარ შემცივდება. ასეთი აზრი რას მიშველიდა, ჯერჯერობით ხომ მციოდა და მოთმინება კბილებით მეჭირა. ჩიმაკაძეების სახლში კარგა ხანია გამოცოცხლება იგრძნობოდა. ალბათ, უკვე საუზმეს მიირთმევდნენ. მე კი, როგორც ყოველთვის, ახლაც დამავიწყდა დილის საუზმე. გუნება ისევ მომეწამლა, ტირილი მომინდა. თავი ძლივს შევიკავე. ჭიშკრიდან ძია თანდი გამოვიდა. მაღალი ჩექმები და დაბამბული ქურთუკი ეცვა. თითქმის მინისპირს განვერთხე. ზედ ცხვირწინ გამიარა და ვერ შემამჩნია. კარგა ხანს ვიცადე. პირველი ზარი დაირეკა. თუ არ ავჩქარდებოდი, სკოლაში დამაგვიანდებოდა. ავდექი და წამოვედი.

კვლავ კენტად ვიჯექი ჩემს მერხზე. ლუბა მასწავლებლის გაკვეთილზე რვეული გადავშალე, ვითომ დავალებას ჩავკირკიტებდი. თავი ერთხელაც არ ამიწევია. მეჩვენებოდა, ვითომ ლუბა მასწავლებელი თვალმოწკურული მიყურებს და წვრილი, დამჭკნარი ბაგეებიდან ცრის: „ხულიგანი, ხულიგანი!..“ ნელა, ძალიან ნელა მიზოზინებდა გაკვეთილი. ლუბა მასწავლებელი რაღაცას გვიხსნიდა დაბეჯითებით, მაგრამ მე არაფერი მესმოდა. გუნებაში თვლა დავიწყე. ალბათ, ჩქარა ვითვლიდი, რადგან ოთხნიშნა რიცხვზე ავედი და გაკვეთილიც დამთავრდა. დიდი შესვენება იყო. ბავშვები დერეფანში გაცვივდნენ, ბუფეტში მიიჩქაროდნენ. მეც წამოვიწიე, მაგრამ ლუბა მასწავლებელმა სწორედ ახლა მომაქცია ყურადღება: „ლეჟავა, დარჩი!“

დავრჩი! წუთიც და ჩვენ ორნი შევრჩით ერთმანეთს. ფეხზე ვიდექი, სახელმძღვანელოს ვაწვალებდი, ის კი მერხს მიეყრდნო და თვალმოწკურული მიყურებდა. ცხვირი ქათამს მიუგავდა, შეეძლო, აეღო და ჩაენისკარტა. შემკრთალმა და დაბნეულმა სევდიანად გავიფიქრე, დამიწყებს ახლა ჭკუის დარიგებას-მეთქი.

— ლეჟავა, შენს დედ-მამას ვიცნობდი, კარგი ხალხი იყო! — ფრთხილად, მოფერებით დაიწყო ლუბა მასწავლებელმა, მაგრამ დედ-მამის ხსენებაზე გული თითქოს გადამეკეტა და მისი კარები ლუბა მასწავლებლისათვის საბოლოოდ მიიხურა. — გაფრთხილება უნდა მშობლების სახელს! დაფასება უნდა ქალბატონ ცინტუს ღვაწლს!

„მე არ ვუფრთხილდები? არ ვაფასებ?“ — ვფიქრობდი მოწყენით. ყოველ მის სიტყვას ჩემი სული უჯანყდებოდა. ახლა თავზე ხელი რომ გადაესვა, მაინც ვიცოდი, სამართლის საზომი დაკარგული ჰქონდა და ბარე მერჩივნა, ლამძღვით შევემკე ან თმებით ვეთრიე.

ის კი მოკუმული, თხელი ტუჩებიდან სისინებდა იმაზე, თუ როგორი ბიჭი უნდა ვიყო, რომ კარგი კარგია, ცუდი — ცუდი, რომ მისი ზაზა ღმერთივით ბავშვია, წესიერი, ზრდილი, ნიჭიერი. ზაზას მეგობრობა ჩემთვის ღვთის წყალობაა. მე კი, უმადურმა, ვერ დავაფასე, რადგან ავისა და კარგის გარჩევა არ ძალმიძს, ბოლო დროს, ალბათ, ხულიგანი ბავშვების გავლენაში მოვექეცი, გზას ავცდი, გაკვეთილს ვაცდენ, ცუდად ვსწავ-

ლობ, აი, დღეს რომ ლუბა მასწავლებელი საუბრობდა, ყურს არ ვუგდებდი, ბოლოს და ბოლოს დავკარგე უფროსების პატივისცემა... ყოველივე ეს ცერცვის მარცვალივით მეყრებოდა და არაფერს ვგრძნობდი, გარდა გაუსაძლისი ტკივილისა, თითქოს ვიღაცამ გულის კუნთში წვრილი ნემსი შემასო და ახლა შიგ აუჩქარებლად ატრიალებდა. დიდი შესვენება საკმარისი არ აღმოჩნდა ლუბა მასწავლებლის სურვილთა აღმოსათქმელად და ისევ ზარმა მიშველა, დროზე დაირეკა. ბავშვები სათითაოდ შემოლაგდნენ, ზაირა მჟავიამაც დროზე შემოიხედა. ახლა მისი გაკვეთილი გვქონდა. ლუბა მასწავლებელი აქ რომ დახვდა, გაკვირვება დამალა, კარამდე მიაცილა. ის კი ისე კუშტად მიდიოდა, აშკარად ეტყობოდა, თავისი მისია ბოლომდე ამოწურულად არ მიაჩნდა. ზაირა მასწავლებელმა კარი ჩაკეტა და შემომხედა. სხვათათვის შეუმჩნევლად გავუღიმე. მკაცრ სახეზე საპასუხო ღიმილი გაილანდა და ზაირა მჟავიამ ჟურნალი გადაშალა. ამ ფარულმა მხარდაჭერამ გულისტკივილი მცირედ მაინც დამიამა.

მთელი ის კვირა ვერ მოვიხელთე ზაზა ჩიმაკაძე. ვერც თინიკო ვნახე. ისიც აცდენდა გაკვეთილებს. რამდენჯერმე გავიარე მის სახლთან. შიგ შესვლა ვერ გავბედე, რადგან არ ვიცოდი რა ფერის კატამ გაირბინა ჩვენ შორის. გაურკვევლობა მტანჯავდა, მაგრამ ბოლო-ბოლო უსასრულოდ ხომ არ გაგრძელდებოდა ასე და პარასკევს თინიკოს გადავეყარე.

ამინდი მოულოდნელად შეიცვალა იმ დღეს. ღრუბელი დაბლა ჩამოწვა. ცივმა ქარმა დაჰბერა. ხეებს ჭრაჭუნი გაუდიოდა, ქუჩაში კი ქარს ქაღალდის ნაგლეჯები და მტვერი მოეხვეტა და მიაფრიალებდა. შემცივდა, ჩემი თხელი კურტაკი ვერ მათბობდა. გული ისე მქონდა დამძიმებული, ისეთი სევდა შემომაწვა, სიცოცხლე აღარ მინდოდა და სწორედ ამ დროს თინიკო დავინახე. ჭიშკართან იდგა კაბის ამარა. არ ვიცი, რას ელოდებოდა. იქნებ შემამჩნია და განგებ შეყოვნდა. ამდენი ხანი ვეძებდი ამ შეხვედრას, ახლა კი, როგორც კი დავინახე, გული შიშისაგან გადამიტრიალდა, კინაღამ შევბრუნდი და გავიქეცი. ისეთი გრძნობით ვუახლოვდებოდი, თითქოს იქვე ვიღაც უჩინარი

იდგა ნაჯახით ხელში და მისვლისთანავე თავს წამაცლიდა.

ჩერჩეტივით დავეყუდე მის წინ, სახეზე მივაშტერდი. პირი მთლად გამიშრა, გამარჯობის თქმაც ვერ მოვახერხე. იმან კი მიყურა, მიყურა, სახეზე ამ დროს კითხვა და მოუთმენლობა ეხატა, მაგრამ ვერაფრით მივხვდი, რა უნდა მეპასუხა ამ უსიტყვო კითხვაზე. მოულოდნელად ბაგე ოდნავ გახსნა, ენის წვერი ტუჩებზე გაატარა და ამან გამაოცა. მასაც ჩემსავით პირი უშრებოდა, მასაც ვერ მოეყარა სიტყვებისათვის თავი, ისიც აცახცახებულიყო, იქნებ სიცივისაგან, იქნებ სულ სხვა რამის გამო... მე კი უცოდინარობა მკლავდა და სულელივით ვიდექი. უცბად ფეხები დამიბაკუნა: „მე შენ!.. მე შენ!..“ რა მექნა? ალბათ, თავი უნდა მემართლებინა, უნდა მეთქვა, არაფერი ვიცი, რა გითხრეს, რა დამაბრალეს... ჯობდა, პატიება მეთხოვა არარსებული დანაშაულის გამო, ავდგებოდი და ვიტყოდი როგორც წიგნებშია: თინიკო კელაპტრიშვილო, ჩემთვის ღმერთზე უფრო ღმერთი ხარ!.. როგორ დამცდებოდა თუნდაც მცირე აუგი შენზე?.. სხვებთან ხომ შენს ხსენებასაც ვერ ვბედავდი, მე მხოლოდ ჩუმი ლოცვა შემეძლო!.. მაგრამ ეს სიტყვები მე თვითონ ყალბი და სასაცილო მეჩვენებოდა, ესენი ხომ მაინც ვერ გადმოსცემდნენ ჭეშმარიტებას, რაიც შედგებოდა ტანჯვისა და ბედნიერებისაგან, დამცირებისა და ამაღლებისაგან, სიცრუისა და სიმართლისაგან... ყველა სიტყვა, რაც კი ადამიანთა გრძნობების გამოსახატავადაა შეთხზული, უნდა გამომეხატა ერთი სიტყვით, ამ სიტყვის უთქმელად თვალს ვერ ავუხელდი, მაგრამ ცალკე ასეთი სიტყვა არ არსებობდა... თინიკოს უპეებში ცრემლი გაუბრწყინდა, შევარდა ეზოში და კიბეზე აირბინა. სამუდამოდ მეხსიერებაში ჩამებეჭდა ეს სურათი — „თინიკო კელაპტრიშვილი კიბეზე“ — კაბის ფრიალი, საფეხურებზე ფეხსაცმელების ბაკიბუკი, თმების ჯიუტი რხევა და, ბოლოს, ცრემლიანი გამოხედვა...

ვიდექი გაშეშებული, ყოვლისგან გამოთიშული, ვერც შინისაკენ გადამედგა ნაბიჯი, არც უკან შემეძლო გამოდევნება...

ვერ გავიგე, როდის მომადგა უკნიდან შავი „ვოლგა“. პირდაპირ მომებჯინა. რკინის შეხებამ შემაკრთო, თან იმისიც შემრცხ-

ხვა, უნებლიე შიში რომ ვერ დავმალე. მანქანიდან მთავარი აგრონომი გადმოვიდა, კარი არ მიუხურავს, ისე გადმოალაჯა ჩემკენ. ყველაფერი ერთმანეთში ამერია, შავი „ვოლგა“, თითქოს კბილებდაღრენილი რომ მომადგა, და მთავარი აგრონომის სახე, აქამდე რომ მუდამ მომღიმარს ვხედავდი, ახლა კი უზარმაზარ, მრგვალ სფეროს დამსგავსებოდა და გადაყლაპვას მიქადდა. ყოველივე ამის გააზრება ვერც მოვასწარი, რომ ყურში ჩამავლო ხელი და კინაღამ მიწას მომწყვიტა: „შენ კიდევ ბედავ ჩემს კართან ტორღიალს?!“

შეურაცხყოფილი, დამცირებული, ყურაბჟუებული მივდიოდი შინისაკენ და მსურდა ერთიანად ამომეწყვიტა ჩიმაკაძეების ოჯახი და ზედ მთავარი აგრონომიც მიმეყოლებინა.

იმ ღამეს წამოვიდა, მაგრამ რა წამოვიდა! პირველად გადაიგრიალა გაზაფხულის ჭექა-ქუხილმა და დილამდე სულ ზრიალი გაუდიოდა. შეშინებული ცინტუ ბებია პირჯვარს იწერდა. მე კი მოკრუნჩხული ვიწექი ჩემს ლოგინში, ერთი ციცქნა ამ საზარელი სტიქიის წინაშე, მაგრამ ვგრძნობდი, სტიქია ჩემს მხარეზე იყო. ჩემ მაგიერ იძიებდა შურს, მე მისი ნაწილი ვიყავი და ამიტომაც არ მეშინოდა. თითქოს ზედ ყურისძირთან შხუოდა მოდიდებული სანწალე, თვალდახუჭული ვხედავდი, როგორ ეხლებოდა მღვრიე ტალღები ნაპირებს. მაინც არ მეშინოდა, რადგან სანწალეც, ეს წვიმაც, ჭექა-ქუხილიც ჩემიანები იყვნენ, ჩემს მხარეზე იდგნენ, მეც მათი ნაწილი ვიყავი.

დილით იკლო თქეშმა, თანდათან გამოიდარა, თუმცა ახალ-ახალი ზონზროხი ღრუბლები დაეკიდა ცას, სოფლის მიღმა აღმართულ მთას მიებჯინა შუბლით.

ვსტუცე ფეხი რეზინის ჩექმებში და ისევ სადარაჯოზე გავიქეცი. ამჯერად ბედმა გამიღიმა. იმ დროს მივუსწარი, ზაზა რომ ჩამორბოდა კიბეზე.

— ზაზა! — გავძახე ხმადაბლა.

შემკრთალმა მოიხედა. თვალი გამისწორა, მაგრამ შინ შევარდნაც ვერ იკადრა.

— სალაპარაკო მაქვს შენთან, ჩვენს ადგილას გამოდი!

მეტის თქმა ვერ მოვასწარი, კარმა გაიჭრიალა და ლუბა

მასწავლებელმა გამოყო მეჭეჭიანი ცხვირი.

სწრაფად ჩავცუცქდი ღობესთან. ორივენი შინ რომ შევიდნენ, მეტი რა დამრჩენოდა, გამოვიქეცი.

თანდათან ვმშვიდდებოდი, მართლაცდა, ხომ არ მოვკლავდი. ძნელი იყო ამ საშინელი ღალატის პატიება, მაგრამ უნდა მოენანიებინა. წარმოვიდგინე კიდეც, მოვიდოდა საბანაოსთან, სანწალის პირას. ზედმეტი ლაპარაკი საჭირო არ იყო. მაგრძნობინებდა მხოლოდ, რომ ნანობს, თვითონ მივა თინიკოსთან, ყველაფერს აუხსნის, მოუბოდიშებს და ამის შემდეგ ჩვენი მეგობრობა ძველებურად გაგრძელდება... ჩვენ სამნი ერთად ვივლით სკოლაში, ჯანდაბას, მე ვათრევ თინიკოს ჩანთას, მე ვიქნები „ვირის მუშა“...

დიდხანს ველოდე ჩემს ერთადერთ მეგობარსა და მტერს, ვიდექი გაუნძრევლად, ტოტებში კი მსხვილი წვეთები ატანდა. რაც დრო გადიოდა, მით უფრო მიცხოველდებოდა გრძნობა გარიყულისა, მიტოვებულის, მიუსაფარის, უსამართლოდ მოკვეთილისა...

წვიმამ იმძლავრა, თქეშად წამოვიდა. არც გაჩერებას ჰქონდა აზრი და არც რაიმე ლაპარაკს. შერიგება უკვე აღარ მოხერხდებოდა. ერთადერთი გზაღა დარჩენილიყო, დამესაჯა დამნაშავე, დამესაჯა ისე, როგორც შემეძლო. ერთიანად აღგზნებული, შინაგან თრთოლვას ძლივს ვიოკებდი. ფიქრისა და განსჯის უნარი მთლად დამეკარგა. მივდიოდი სკოლისაკენ და სხვადასხვანაირ სასჯელს ვუგონებდი. ალბათ, დუელში უნდა გამომეწვია. ყველას წინაშე, საჯაროდ ვაიძულებდი მობოდიშებას. ვიცოდი, ჩემზე ღონიერი და ნავარჯიშევი იყო, მაგრამ ვერაფრით მომერეოდა. ახლა მე ვიყავი ძლიერი! ჩემი სიმართლით ვიყავი ძლიერი და იმიტომ ვერ მომერეოდა.

ზარის ხმამ გაარღვია წვიმის ფარდა.

ძინ-ძინ-ძინ!..

ახლა, როცა მშვიდად, აუღელვებლად ვწევარ ჩემთვის, კვლავაც მომესმის შორეული, მოგუდული ხმა სკოლის ზარისა... სინდისს მიწეწავს, სულს მიფორიაქებს, თითქოს ხელახლა განმაცდევინებს გარდახდენილს... ხომ ვიცი, ვინცაა დამნაშავე, ვიცი, რომ იმ გზაზე გამოვუტანე საბოლოო განაჩენი, იმ გზაზე

გადაწყდა სასტიკი დასჯა. უკვე მაშინ ერთი ნაბიჯიღა მაკლდა ზაზას დაღუპვამდე... მე ის ვერ გადავარჩინე და გადავწყვიტე საბოლოოდ დამეღუპა. თვითონ კი შურისძიებით დამტკბარი, თვალს დავხუჭავდი და მივეცემოდი უსასრულო მდინარებას, როცა დროს საზომი არ გააჩნია, როცა აუჩქარებლად, მდორედ მიედინები დაუსაბამოში...

ძინ-ძინ-ძინ!.. — წვიმაში იგუდება ზარის ხმა, ციდან ჩამოისმის, მიწიდან ამოდის. მეძახის, იჩქარე, იჩქარე, აგერაა შენი მსხვერპლი, აკანკალებული ელოდება შენს განაჩენს, იცის, ვერსად დაემალება კუთვნილ სასჯელს...

ზარს უკვე აღარავინ რეკავდა. ჩემს ყურში კი მაინც მოისმოდა მისი წკრიალი, მაშინაც, როცა თავსხმიდან გამოვედი, კიბეზე ავირბინე და დერეფანში დავტოვე სველი ნაკვალევი.

გაკვეთილი დაწყებული იყო. ზღურბლს გადავაბიჯე და შევყოვნდი. იმ ადგილას, სადაც ვიდექი, გუბე დადგა, თუმცა მე ვერაფერს ვამჩნევდი, გარდა ჩემი მეტოქისა, დაფასთან რომ იდგა ცარცით ხელში.

ზაზამ თითქოს გულგრილად შემომხედა, თითქმის არაფერი შესტყობია, მაგრამ მე ხომ კარგად ვიცნობდი მას, უფრო კარგად, ვიდრე დედამისი და მამამისი. ფარული კრთომა შევამჩნიე, სხვათათვის დაფარული... ჩემმა გამოჩენამ მის სულში მთელი ქარიშხალი გამოიწვია... დაველოდე პეტრე მასწავლებლის ნებართვას და მერხისაკენ წავედი. ეს ჩემი მერხი, ზაზასთან გაყოფილი, ახლა მეზიზღებოდა და სულ ბოლოს, ციცინო მჟავიასთან დავჯექი... ყურადღება არავისთვის მიმიქცევია. ციცინო რაღაცას გატაცებით ჩამჩურჩულებდა, მაგრამ ვერაფერი გავიგე. მზერა ზაზას მივაპყარი, თვალებით თითქოს ზურგში ტყვიას ვახლიდი. ალბათ, გრძნობდა ამას, თუმცა მღელვარება იმითღა შეეტყო, რომ პეტრე მასწავლებელმა ორჯერ გაუმეორა — „აბა, ჩიმაკაძე, რა შედეგი მივიღეთ?“ პასუხი კი, საკუთარი ხელით დაწერილი, თვალწინ ჰქონდა და ვეღარ წაიკითხა.

დარეკვისთანავე მასწავლებელსაც დაასწრო, პირველი გავარდა დერეფანში. მეც უკან მივყევი. ვიცოდი, წინანდელივით გაქრებოდა და ისევ ვერ მოვიხელთებდი. მართლაც, დერეფანში უკვე არ იყო. კიბეზე ჩავირბინე, სადარბაზოსკენ გავიქეცი,

მაგრამ გუმანმა თითქოს მიბიძგა, უკანა ეზოს გასასვლელს მივაშურე. ჩვენი ბიჭები დამედევნენ თურმე, გზა გადამიღობეს. ხელი მტაცეს, მიყვავებდნენ, მეხვეწებოდნენ, მამშვიდებდნენ, მე კი გულს ვასკდებოდი, უღონობა მკლავდა, ჯიუტად სულ ერთსა და იმავეს ვიმეორებდი: „ძმობას გაფიცებთ, გამიშვით, რაღაც უნდა შევეკითხო!“ მაშინ თქვა ბეშქენმა: „გაუშვით რა, იჩხუბებენ, მეტი ხომ არაფერი!“

გარეთ კი წვიმდა, ცივი წყალი სახეზე მასხამდა.

ეზოში არავინ იყო. შორს, ღობის მიღმა, სასკოლო ნაკვეთში დავლანდე. ეტყობა, იქითკენ აპირებდა ბილიკით გასვლას. დავუძახე, უნდა გელაპარაკო-მეთქი.

შეჩერდა.

აქოშინებული მივიჭერი. სუნთქვას ძლივს ვიოკებდი. ამდენმა ნერვულობამ ღონე გამომაცალა. ისე ვიყავი აღგზნებული, სიტყვათა აზრი არ მესმოდა.

მხოლოდ მის თვალებს ვხედავდი, სადაც აქამდე ფარული, უსაზღვრო შიში იდგა. ახლა ვიცი, ჩემი კი არ ეშინოდა ზაზა ჩიმაკაძეს, საკუთარი თავისა ეშინოდა. იცოდა, რომ იღუპებოდა და იმისი ეშინოდა.

მე კი სულ უფრო ვუახლოვდებოდი. მიბრძანა, არ მომიახლოვდეო. მე კი მაინც ვუახლოვდებოდი, ფეხი არ გადმოდგაო, მე კი მაინც ვუახლოვდებოდი და უცებ რაღაცა მოხდა...

ახლა არ ვიცი, დილაა თუ საღამო... დროის მდინარება უწყვეტია, უსასრულოდ მოძრაობს რაღაც ერთფეროვანი, გამჭვირვალე, უსაგნო, რომელზედაც ასხმულა ჩემი სიზმრების სუსტი ანარეკლი... რეკავს სკოლის ზარი. მისი მოგუდული ხმა ძლივს აღწევს ჩემამდე...

3. დაბადება მეორე

— ეს რა ქენი, ბიჭო! — სინანულით წაიჩურჩულა მამუკა ლეჟავამ.

წვიმდა.

სკოლის ეზოდან ბიჭები მორბოდნენ. ერთმანეთისაგან ვერ ვარჩევდი. ნაცრისფერ, მოძრავ ლაქებად აჩნდნენ დანისლულ,

მქრქალ სივრცეს. ეს იყო ფონი, უკანახედი. თვალწინ კი, თითქოს ფართო ეკრანზე აისახაო, ისე მედგა მამუკას უცბად დასევდიანებული, უსაყვედურო, ცოტათი გაკვირვებული თვალები. ბოლომდე ვერ მივმხვდარიყავი, რაც მოხდა... ხელფეხი წამერთვა თითქოს. გაოგნებული ვიდექი. სულის სიღრმეში დაიბადა ტკივილი, თანდათან გაძლიერდა და მთელ სხეულში ისე დამიარა, თითქოს მამუკას კი არა, მე დამარტყეს დანა, ვიღაცამ დაუნდობლად შემომაგება იგი და ახლა უღონოდ ველოდი, ვინ მომეშველებოდა, ჭრილობიდან ვინ ამომაცლიდა... პირზე ხელი ვიტაცე უნებლიეთ. შემეშინდა, სისხლი არ ამომენთხია და სწრაფად გავეცალე. მამუკა სადღაც გადაქანდა, თითქოს კადრიდან გაქრა. მეხსიერებაში ასე ჩამებეჭდა: მამუკას პირისახე, წვიმის წვეთებით დაწინწკლული, და აბურდული თმები, რომლებშიც ვერცხლისფერი ნიჟი ბრწყინავდა. გაქრა ეს კადრი და თვალწინ ატმის დაკვირტული ტოტი ჩამოეშვა. ამ კვირტებზეც გამჭვირვალე წვეთები ეკიდა. პირზე რომ მომხვდა, მომესხურა. ჩემკენ დაიძრა ატმის ხეთა რიგი, მოღიავებული კუტიკარი, მწვანე, სველი ეზო, სკოლის თეთრი შენობა... ბარბაცით მივდიოდი და ყველაფერი ეს ჩემთან ერთად აღმადაღმა ქანაობდა. შადრევნის ტუმბო მომიახლოვდა მორჩილად, ჩქრიალა წყალი მომასხურა ხელებზე. მაშინღა დავინახე, მხურვალებისაგან გავარვარებულ ხელში წითელი დანა მეჭირა. სწრაფად ჩავიბანე, თითქოს ალის ჩაქრობას ვლამობდი. დანაც ჩავრეცხე, მაგრამ წითელი კვალი ვეღარ მოვაშორე და ზიზღით მოვისროლე...

„ეს რა ვქენი?.. ეს რა ვქენი?..“ — სიტყვები აჩემებულად, ჯიუტად აკაკუნდა ტვინში. მთელი სიღრმე უფსკრულისა ჯერაც ვერ გამეზომა, მაგრამ საშინელი შიში დამეუფლა... „ეს რა ვქენი?..“ — უწყვეტად მეორდებოდა კითხვა, პასუხი კი დამვიწყებოდა... ყოველივე დამვიწყებოდა და ანგარიშმიუცემლად მივფრინავდი ორღობეში, ფეხს მიწას არ ვაკარებდი. პირზე ცივი წვიმა მიტყლაშუნებდა, თითქოს მეუბნებოდა: გონს მოდი!.. გონს მოდი!..

მივფრინავდი, რათა გავქცეოდი სიმართლეს, მაგრამ სიმართლე კვალზე წამომეწია, საიდანღაც ამოტივტივდა შემაძრწუნებელი, დაუჯერებელი აზრი: „მე მოვკალი მამუკა!.. მე მოვკალი მამუკა!..“ ეს არ იყო ჩემი ხმა, არ შეიძლებოდა ჩემი ხმა ყოფილიყო. თითქოს გამოჯავრება უნდაო, ჩახრინწული, შეცვლილი ხმით მიმეორებდა ერთსა და იმავეს, მარწმუნებდა, მოვკალიო... ვერა და ვერ გამეგო რას ჩამძახოდნენ, ვერ ჩავწვდომოდი ამ სამად-სამი სიტყვის ჭეშმარიტ შინაარსს...

ორღობე უცბად გაფართოვდა, ეზოებმა აქეთ-იქით ჩაიწიეს. ფართო, მოხრეშილი მოედანი შემომეგება. ცით ჩამოცვენილი მსხვილი წვეთები იმსხვრეოდა, ცეკვავდა გუბის ზედაპირზე. ჭუჭყიანი გუბე მხიარულად ატყლაშუნდა ფეხქვეშ. ჩემი სხეული აღარ ემორჩილებოდა ჩემს გონებას, თავისით მოაპობდა სივრცეს. წინ კი, წვიმის ფარდიდან გამოცურდა ფართოდ გაშლილი მაგნოლიის ხე, მის ძირას მიყუჟული მომცრო სახლი, სველი კიბე, აივანზე მომლოდინე ჯოტო გვილავა, რომელიც თითქოს არც იყო ცოცხალი, სანთლისაგან ნაძერწსა ჰგავდა რომელიღაც პანოპტიკუმიდან. კიბის საფეხურები ფეხიდან გამომეცალა, გადაქანდა, ჯოტო გვილავა უცებ გაცოცხლდა, ხელი შემომაგება.

არ მახსოვს, როგორ ამიყვანა აივანზე, ზღურბლზე როგორ გადამატარა.

ოთახში, სკამზე დავეცი და ხმამაღლა წარმოვთქვი ის სიტყვები, თავში რომ განუწყვეტლივ მირეკდა:

— მე მოვკალი... მე მოვკალი მამუკა!

ცვლილება პირველად სიზმარში ვიგრძენი. არა, უფრო ადრე!.. სიზმარი ალბათ შედეგი იყო... ის შემთხვევაც შედეგი იყო, კოტორას რომ იმ დღეს დანაზე ხელი ავუკარი. ადრევე ვიცოდი, კოტორას ხალათის სახელოში პატარა ბებუთი ედო. ღამღამობით რკინის საწოლს უხახუნებდა, ჩუმ-ჩუმად ლესავდა. შარზე იყო, თორემ რისთვის ჭირდებოდა. კოტორას ბოღმა ახრჩობდა ყველასა და ყველაფრის მიმართ. „მამაჩემი ქურდია, დედაჩემიც ქურდია, უფროსი ძმა ქურდია, უმცროსი ზის სხვა

საქმეზე — ყური მოაჭამა მეზობელს!“ — ამაყად მითხრა და ეტყობოდა, თვითონ მათთვის უნდა გადაეჭარბებინა... იმ დღეს კოლონიის უფროსმა ცხვირწინ რომ გაუარა, კოტორამ მოულოდნელად ხელი აიქნია. იქვე ვიდექი, თითქოს წინასწარ განვჭვრიტე, რომ იქ უნდა ვმდგარიყავი. ანგარიშმიუცემლად ვსტაცე ხელი და ბებუთი კვლავ ხალათის სახელოში დაბრუნდა... ყველაფერი წამში მოხდა, ერთ გაელვებაში... კოლონიის უფროსი, ახალგაზრდა, კოხტად მოსხეპილი ოფიცერი, სწრაფად შემობრუნდა, ეჭვით შემოგვხედა: „რა მოხდა?“ „ფეხი დამიცდა, უფროსო!“ — თვალები, ალბათ, მეტად მართალი მქონდა. ოფიცერმა დაკვირვებით შეგვათვალიერა, ეჭვი თითქოს გაუქარწყლდა და გზა განაგრძო. „განანებ!“ — ჩაისისინა კოტორამ და გამშორდა. შიში არ მიგრძვნია, პირიქით, თითქოს ავმჩატდი, სიმსუბუქე ვიგრძენი და იქით გავიხედე, გალავნის მიღმა, სადაც ავჭალას შემოდგომის გახუნებული გორაკები ზღუდავდა, ზევიდან კი ლურჯი, ოდნავ გაცრიატებული ცა ჰქონდა მორგებული... სიმსუბუქის ეს შეგრძნება მთელი დღე არ მომშორებია, მაშინაც კი, სასადილოში სხვებთან ერთად რომ ვსვლეპდი წყალწყალა წვნიანს. ცირამუას ბიჭმა კი, ქურდების ბელადობას რომ იჩემებდა, იდაყვი ფრთხილად შემახო და თავაუღებლად მკითხა: „წითლებში ჩაეწერე?“ „ჭრელებში!“ — ცივად მივუგე. ცირამუას ბიჭმა ბატკანივით უწყინარი თვალები მომაპყრო. მინდოდა მეთქვა, მე დღეს ორი კაცი გადავარჩინე, ერთი ვერასოდეს გაიგებს, რომ გადარჩა, მეორე კი, სულელი რომ არ იყოს, სიკეთეს დამიფასებდა-მეთქი, მაგრამ ეს სიტყვები ტრაბახს უფრო ჰგავდა და სხვანაირად ვთქვი: „უთხარი კოტორას, სათამაშო გადააგდოს, თორემ...“

მთელი ის კვირა უცნაურზე უცნაური სიზმარი ამომიჩემდა, ყოველღამ მიმეორდებოდა და იმ ღამესაც მეწვია. ვითომ გამათავისუფლეს მოულოდნელად, ვითომ ჭუბურიშში ჩავედი, სანწალეს პირას მივსეირნობ. მთელი კლასი აქ შეყრილა, წყალში ჭყუმპალაობენ. გამოიხედეს და ჟრიამული ატეხეს: „მამუკა მოვიდა, ჩვენი მამუკა მოვიდა!“ შევცბი, მინდა ავუხსნა, მამუკა კი არა, ზაზა ვარ, როგორ ვერა მცნობთ-მეთქი. ხმის ამოღებას

არავინ მაცლის, მბუბნიან, მკოცნიან, ერთ ამბავში არიან... თავი ძლივს დავიძვრინე, შინისაკენ მივემართები, ოღონდ სულ სხვა ბილიკით. აგერ სიძველისა და უპატრონობისაგან მოფშვნეულ ღობეწნულზე გადავდივარ, ტალახი ქუსლზე მეგლისება. ლაფაროში კუნძი გდია და ლანჩებს იმაზე ვიფხეკ. ფიცრული ოდის აივანზე ცინტუ ბებია მოაკაკუნებს ყავარჯნებს. კიდეც მეშინია და კიდეც მიხარია. გაქცევაც მინდა, რაღაც ძალა კი წინ მექაჩება. წამში კიბის თავზე მოვექეცი. ცინტუ ბებიას ყავარჯნები უცვივა, მივეშველე. „ნენაია, ნენა, ჩემი ობოლი მამუკა!“ — სიხარულის ცრემლი სდის ცინტუ ბებიას. სინდისი მქენჯნის, ქვეყანას ხომ ვატყუებ, ამ საბრალო დედაბერს მაინც რას ვემართლები-მეთქი, მაგრამ ხმის ამოღება არ შემიძლია...

თითქოს მიბიძგესო, უცბად გამომეღვიძა...

კუთხეში მოწითალო ნათურა ბჟუტავს. ვიწრო სარკმლებს ბნელი ღამე მოსწოლია. ორიარუსიან საწოლებზე სძინავთ უწლოვან ქურდებს, მკვლელებს, ხულიგნებს... ზოგს ბედმა უმუხთლა, ზოგსაც ჭკუამ უღალატა... ბალიშებზე ჩამომწკრივებულა გადახოტრილი თავები, ახლა რომ სიზმრებს გაუთავისუფლებია სასჯელისაგან. ვიღაცა ქშუტუნებს, ვიღაცა ფშვინავს, ვიღაცა ხვრინავს, ვიღაცა ძილში გულამოსკვნით ტირის... ღამის სიწყნარე ელმავლის გუგუნმა გაარღვია. დაგადუგი გააქვს მატარებელს. ავჭალაში შემოგრიალდა, გარემო აახმაურა, გაიღვიძეთ, რა დროს ძილიაო... ძილი გამიტყდა, თვალს ვხუჭავ, ვცდილობ სიზმარი შევიბრუნო, თუმცა, ვიცი, ცდა ამაოა. მატარებელი ჩერდება, ვაგონები ერთმანეთს ჭახაჭუხით ეხლებიან. კვლავ სიწყნარე სადგურდება და უცებ, კატის თათები ლბილად შეეხო იატაკს, ვიღაცა სუნთქვაშეკრული ჩასრიალდა საწოლებს შორის... არა, მომეჩვენა!.. სიწყნარეა... ალბათ, გუშაგმაც ჩასთვლიმა, დერეფანში არ ისმის მისი ხმა... ვიღაცა იატაკზე გასრიალდა... გუშაგი ძილს მიენდო, საშიშროება გამოეპარა... გატრუნული ვწევარ, ფეხები ამოვიკეცე, სხეული ზამბარასავით დავძაბე... აი, ლანდმა გაიელვა კედელზე, კოტორას მძულვარე სახე წამოიმართა და ბებუთიანი ხელი ასწია კოტორამ. სწრაფად შევქანდი, შეტყუპებული ფეხები მკერდში ვატაკე და

იატაკზე გაგორებულს სულის მოთქმა არ ვაცალე, ზევიდან დავაფრინდი. იმავე წამს სხვამ მსტაცა ხელი ღონივრად და განზე გამათრია, თან ჩურჩულით მამშვიდებდა: „ჩუმად, ჩუმად, ნუ ხმაურობთ!“ კოტორა უჩუმრად გაიძურწა... „ჩუმად!“ — ერთხელაც წაიჩურჩულა ცირამუას ბიჭმა და ძლივს მოვასწარი საბანში ჩამალვა. საკეტმა გაიჩხაკუნა. გუშაგმა შემოიხედა. ვგრძნობდი, აქეთკენ იყურებოდა. მერე, ალბათ, დიდხანს გვითვალთვალა ჭუჭრუტანიდან... გადაიარა!.. ცირამუას ბიჭმა შორიდან მუშტი მოუღერა კოტორას, შემრიგებლურად ჩამიკრა თვალი და ისევ სიწყნარე ჩამოწვა, მშვიდი ფშვინვა მოისმა...

დილამდე ჯერ კიდევ შორსაა. საბანი ყელამდე ამოვიქაჩე და მზერა ჭერს მივაპყარი. დღევანდელი ამბები გავიხსენე, გახსენებას ზედ ოცნებაც მიენასკვა... წარმოვიდგინე, ვითომ იქ, იმ წვიმიან დღეს, სკოლის ნაკვეთში, ჩიორამ მომისწრო, დროზე ამიკრა ხელი და ყველაფერი შერიგებით დამთავრდა. ისე თვალნათლივ დავინახე ყოველივე, წამიერი ბედნიერება ვიგრძენი, მაგრამ წუთის შემდეგ სიზმარში გაცხადებული ცინტუ ბებია გამახსენდა და სიმწრისაგან თვალი დავხუჭე, გადავბრუნდი, ბალიშს ჩავეხუტე...

ჯოჯოხეთის ყველა წრე გავიარე უკვე. იმ წუთიდან, როცა მამუკა ლეჟავას უბრალო სიტყვებმა — „ეს რა ჰქენი, ბიჭო!“ — მზერამ, სულის სულში რომ ჩამწვდა, იქაურობა ამომიშანთა, იმ წუთიდან ჯოჯოხეთში შევაბიჯე. მერჩივნა, თვალი დამვსებოდა, სმენა დამეხშო, არაფერი მენახა, არაფერი გამეგონა, ჩავმძვრალიყავი სადღაც შავეთში, სადაც ვერა სინათლე ვერ ჩააღწევდა, სადაც გავითქვიფებოდი ერთიან, თანაბარ რაღაცაში, რასაც სახელი არა აქვს. ეს იყო სურვილი გავქცეოდი ერთადერთ სასჯელს, სიკვდილზე უფრო მძიმეს — საკუთარ მეხსიერებას: რატომ, როგორ, რანაირად, რისთვის?.. ისევ და ისევ უნდა გამეცა პასუხი, ისევ და ისევ გონებაში უნდა აღმედგინა ყოველი წვრილმანი, უნდა გამომეჩხრიკა მიზეზთ მიზეზი...

სად უნდა წავსულიყავი, სად გავქცეოდი ამ კითხვებს? თავდაპირველად შევეცადე ლოკოკინასავით შევმძვრალიყავი „არ ვიცის“ ნიჟარაში... „არ ვიცი, არ ვიცი, არ ვიცი!..“ — ვიძახდი

გაუთავებლად. „ბოლოს და ბოლოს შენ ხომ ზაზა ჩიმაკაძე ხარ?“ — ბრაზით აენთო შერაზადაშვილი. „არ ვიცი!“ — ვუპასუხე. „შენ ხომ ზაზა ჩიმაკაძე ხარ!“ — იქედნურად ჩაიღიმა დიმიტრი ფარცვანიამ. „არ ვიცი!“ — ვუპასუხე. მერე თითქოს ტვინი უკუღმა გადამიტრიალდა, შხამი და ბოღმა გულში ჩამეღვარა, გამისივდა ეს ოხერი გული და მკრეხელურად ვიკივლე: „თვითონ იყო დამნაშავე!.. ყველაფერში თვითონ იყო დამნაშავე!..“ დიმიტრი ფარცვანიამ კი — ცოტა მოგვიანებით მოსამართლემაც — მშვიდად: „ვინ? ვინა გყავს მხედველობაში?“

მართლაც, ვინ „თვითონ“?

ზოზინით ჩაიარა ერთ მთლიან, განუწყვეტელ ტკივილად გადაქცეულმა ძიებამ, სასამართლომ... მოვიქანცე, გადავიღალე და, ბოლოს, თითქოს ყველაფერი სულ ერთი გახდა. თუმცა კიდევ მეყო ღალატის ძალა, როცა განაჩენი გამომიტანეს, ყელში ბურთი გამეჩხირა, ნერწყვი ვერ გადავყლაპე, სირცხვილისაგან არ ვიცოდი, სახე სად წამეღო, რადგან სასჯელი მეცოტავა. ლუბა დედამ კი პირზე ხელები აიფარა, აქვითინდა, ებევრა, ამდენი წლის მანძილზე სიყმაწვილე შემოელევაო. მერე, უკვე დახურულ მანქანაში, გისოსებში გამომწყვდეულს, ცრემლი წარმომდინდა და უმისამართოდ ავლუღლუღდი: „დანა ჩემი იყო, თქეში მოდიოდა, ვინ მოიგონა, მყნობა უნდოდაო!“ მე უკვე არავინ მისმენდა და მეხსიერებიდან სიზმარივით ამოიშალა გზა კოლონიამდე. ერთმანეთს წაეწყო უსიხარულო დღეების წყება, როცა ნებისმიერ კითხვაზე არსებობს მხოლოდ ორი პასუხი: „დიახ!“ და „არა!“ ლოღნი პატიმრის შავ პურს, ხვრეპ წყალწყალა წვნიანს, მორჩილად დგახარ დაზგასთან, უგულოდ ჩარხავ, არ გაინტერესებს რას და რისთვის, ბეჯითად ზიხარ საღამო სკოლის გაკვეთილებზე, თუმცა გონება თითქმის გადაიკეტა და, როცა გეკითხებიან, ორჯერ ორი რამდენიაო, თვალს ახამხამებ დაბნეულად.

გამიქრა სიამაყე. გადავეჩვიე თავაწეულ სიარულს. მხრებში მოვიხარე და მიწას მივაჩერდი. არაფერი მაინტერესებს, არც ქურდების დაუსრულებელი ტრაბახი. შემთხვევით მკვლელთა მონანიება, მოხულიგნო ბიჭების ყოჩობა და ფარული ძიძგი-

ლაობა. თანდათან თითქოს მავიწყდება ვინცა ვარ, რისთვის გამომამწყვდიეს აქ, რა შევცოდე... ერთხელ, ეზოში სეირნობის დროს, გისოსიან კარს მივადექი და მოულოდნელად სული შემეხუთა, სუნთქვა არ მეყო. გისოსებს ჩავეჭიდე, ავყვირდი, დუჟი გადმომდინდა. რკინაზე თავს ვახლიდი, ვცდილობდი ეს მძიმეზე მძიმე კარი ჩამომეღო, აქედან გავქცეულიყავი, სადმე შორს, იმ გორაკებს მიღმა, მოუსავლეთში გადავკარგულიყავი. თვალებში სინათლე წამერთვა და ვეღარ გავიგე, როდის მომცვივდნენ, კუთხეში მიმიმწყვდიეს, ხელები გადამიგრიხეს და ძირს დამცეს... ყველაფერი ეს თითქოს სიზმარში გადამხდა. მერე კი არაფერი მახსოვს. გონს გვიან მოვედი. ლოგინში ვიწექი. იქვე ექთანი იდგა, შპრიცი ეჭირა. ღონე არ მყოფნიდა და ხმადაბლა ვიკითხე: „რა მოხდა?“ ექთანმა ტუჩზე თითი მიიდო, ნუ ლაპარაკობო. თვალი კვლავ დავხუჭე, ძილში ჩავიძირე, იმ ძილში კი შავეთის მეტი არაფერი იყო. ხანდახან თუ გაიელვებდა რაღაც მნათობი, თითქოს მნათობი კი არა, პირისახე იყო, სულ ერთნაირი, მრავალგზის გამეორებული ასლი არარსებული დედნისა... მერე ჩურჩული მომესმა და თვალი გავახილე. კოლონიის უფროსი ესაუბრებოდა ექთანს. წამოწევა მოვინდომე. ხელის მოძრაობით გამაჩერა. უფროსს მკაცრი სახე ჰქონდა, ტუჩის კუთხეში ფარული ღიმილი გაუკრთა, ზაირა მჟავიას დაემსგავსა წამით. „რა იყო, გმირო, გვაშინებ?“ „არაფერი მახსოვს, უფროსო!“ „სულ არაფერი?“ „თითქოს ბანჯგვლიანი მაიმუნები დამესიენ, მახრჩობდნენ, მე კი ვუძალიანდებოდი!“

დამიჯერა? ან მე თვითონ დავიჯერე? კარგადაც მახსოვდა, გისოსები უნდა ჩამომეღო და გავქცეულიყავი. სად? ვითომ იმ მწვანე გორაკებზე ან იმ გორაკებს მიღმა ვპოვებდი თავისუფლებას? ჩემი სულის საპატიმრო ჩემივ სხეული იყო. მაშ, როგორ გავიქცეოდი?.. ან რა უფლება მქონდა სასჯელს გავქცეოდი?.. ვიწექი თვალდახუჭული და ერთსა და იმავე აზრს ვიმეორებდი. ტვინი ამიდუღდა, ყველაფერი ამერია, თავი და ბოლო ვერ გავარკვიე. მილონნაირად შევატრიალე და დასკვნა ვერ გამოვიტანე. საფეთქლები ამტკივდა, გასკდომაზე მქონდა. საღამოს ძილის წამალი ვითხოვე, შავ ბურანში ჩავიძირე, დილით

კი ფიქრი კვლავ ამედევნა, მოსვენება დამაკარგვინა. ოღონდ ეს იყო, აზრის ქაოტურ დინებაში ახლებურ წესრიგს მივაგენი თითქოს...

მესამე დღეს დამაბრუნეს მედპუნქტიდან. ცნობისმოყვარე თვალები მომაცივდნენ. ცირამუას ბიჭმა დრო იხელთა და მკითხა: „რისთვის ზიხარ?“ პასუხი შევაყოვნე. კარგადაც მახსოვდა, რისთვის ვიჯექი, მაგრამ იქნებ სწორი არ იყო ეს ჩემი ცოდნა, იქნებ ავი სიზმრიდან გამომყვა იგი. „იაპონური მაგნიტოფონი მოვიპარე, მთავარი აგრონომისა იყო, კელაპტრიშვილისა!“ თვითონაც არ ვუწყოდი, რატომ მოვიტყუილე. თუმცა იქნებ არც ვტყუოდი, იქნებ ამ სიტყვებში იყო სიმართლის ნაწილი. რაღაც დაემართა ჩემს მეხსიერებას, რაღაც მოიშალა. დამავიწყდაო, იმასაც ვერ ვიტყოდი. ყოველივე ხომ აშკარად მახსოვდა... დედა და მამა, თუმცა თითქოს სხვათა დედა და მამა უფრო იყვნენ ისინი... ჭუბურიშის სანახები, თუმცა სულ სხვა თვალით დანახული... ჩამესმოდა სანწალეს მშვიდი შხუილი, სულ სხვა ყურით მოსმენილი. ვიხსენებდი მზის მცხუნვარებას და ჩრდილის სიგრილეს, მაგრამ უფრო მწვავედ, უფრო სხვანაირად... თითქოს მახსოვდა და არც მახსოვდა ჩემი ბავშვობა, სკოლა, ახლობლები, ყოველივე უკვე იყო და არც იყო, მქონდა და სადღაც დამეკარგა... ყველაფერს უცნაური ნისლი გადაეფინა და საგნებმა და მოვლენებმა დაკარგეს გარკვეულობა... ცირამუას ბიჭმა ბატკნის უწყინარი თვალები მომაპყრო და მოფერებით დამარიგა: „მაგისთვის ასკდები ნერვებს? აგერ, კოტორას ვერ უყურებ, მკვლელად დაბადებულა და ფეხებზეც ჰკიდია!“

— მკვლელად დაბადებულა? — ცირამუას ბიჭი ბატკნის უწყინარი თვალებით მიყურებს... არა, სხვა არაფერი უგულისხმია! მართლაც კოტორაზე თქვა. მე კი გულ-ღვიძლი ამეწვა, ცეცხლი მომეკიდა. შემზიზღდა ეს ხელი, დანა რომ აიქნია, ეს სხეული, იმ დღეს, წვიმის ქვეშ შურისგების სამსახურში რომ იდგა, სული, ამ სხეულს რომ მკვლელად წვრთნიდა... რატომ დავიბადე ზაზა ჩიმაკაძედ, ვინ გადაწყვიტა ეს?.. ხომ შეიძლებოდა სხვა სახელი მრქმეოდა, სხვა მშობლების შვილი ვყოფილიყავი, მაშინ ხომ ყოველივე სხვანაირად შებრუნდებოდა... თავში

დიდხანს ვატრიალე ეს აზრი, მაგრამ სხვათა დადანაშაულებამ შვება ვერ მომგვარა.

დილამდე ჯერ კიდევ შორია. ძილი კი არა და არ მოდის. მეხსიერების ვრცელ საწიერზე ისევ და ისევ ბრუნავს ერთი და იგივე ფირი, ყოველი წამი გადახდენილისა რომ აღუნუსხავს და იძულებელი ვარ გამადიდებელი შუშით ვათვალიერო ეს კალეიდოსკოპი, რათა ის წვრილმანებიც ტკივილით შევიგრძნო, სულის სიღრმეში რომ დაფარულა... „მე დღეს ორი კაცი გადავარჩინე, — თავის გასამხნევებლად ვიმეორებ, — ერთი ვერასოდეს გაიგებს, რომ გადარჩა, მეორე კი, სულელი რომ არ იყოს, სიკეთეს დამიფასებდა!..“

ვინ მე?.. ვინ აუკრა ხელი კოტორას?.. ზაზა ჩიმაკაძემ თუ იმან, ვისაც სიზმარში ვაფარებ თავს?

დილამდე შორია, ძილი კი არა და არ მოდის...

საშვიდნოემბროდ ამანათი მომივიდა. თავი უკვე უთვისტომო მეგონა და გამიკვირდა. ყუთში მანდარინები ეწყო. ზედ წერილი იდო. ვიღაცას უკვე წაეკითხა და სტრიქონების ბოლოს გავადევნე მზერა: „ლუბა-დედა“. რაღაც აიმღვრა სულში. ცრემლი მომაწვა, თავი დროზე შევიკავე. ამანათი სკამზე დავდე. იქვე ჩამოვჯექი. წერილი მუხლზე გავასწორე. გარინდებული დავყურებდი, კითხვით კი ვერ ვკითხულობდი, ასოები ოკრობოკროდ გარბოდნენ და მზერამ ვერ შეძლო მათი დაკავშირება. ვიღაცამ ქიმუნჯი გამკრა. ცირამუას ბიჭი იყო, თვალებში მოლოდინი ეწერა. სხვა ბიჭებიც შორიახლო იდგნენ და მელოდნენ. „აიღეთ!“ — თავი დავუქნიე, თვითონ კი კვლავ წერილს დავაშტერდი. ერთადერთი სიტყვის წაკითხვაღა შევძელი — „ლუბა-დედა!“ ვინ იყო ეს ლუბა-დედა, ვისი დედა იყო, რა უნდოდა? განა რამე დამავიწყდა, განა მართლა არ ვიცოდი ვინ ვინ იყო, მაგრამ ამ წუთას აზრი გამეყინა, გული კი შიშით მითრთოდა, მეშინოდა უნებლიე აზრისა, გონებაში რომ უნდა ანთებულიყო... თავი ავწიე, ძლივს ვიცანი კოტორა. ცხვირწინ ატუზულიყო და საწყალობლად შემომყურებდა. „მეც ავიღო?“ „აიღე!“ „ბოლო ყოფილა!“ — ყოყმანით თქვა კოტორამ და დაცარიელებულ

ყუთში კენტ მანდარინს ფრთხილად შეეხო. „აიღე!“ — გავუმეორე და მოულოდნელად ბრაზი მომაწვა: „ხომ გითხარი, აიღე-მეთქი!“ წერილი მოვჭმუჭნე, ყუთში ჩავაგდე...

თვის თავზე კი, კვირა დღეს, ლუბა-დედა ჩამოვიდა. დილასვე გამომიცხადეს, სანიმუშო ყოფაქცევის გამო დედის თხოვნა შევიწყნარეთ და ნახვის უფლება მოგეცითო. არ ვიცოდი, გამხარებოდა თუ არა. გულზე თითქოს ცივი ხელი მომიჭირესო. ისიც კი ვიფიქრე, იქნებ ისეთი რამე მოხდეს, ლუბა-დედას ნახვა ამიკრძალონ-მეთქი, მაგრამ ისეთი რა უნდა მომხდარიყო. დრო სწრაფად გავიდა, რამდენიმე პატიმარი გამოგვიძახეს, დაგვაწყვეს რიგში, დაგვარიგეს, თუმცა ფიქრებით სულ სხვა მხარეს დავფრინავდი და თავში არაფერი მიჩერდებოდა.

და აი, ფარდულისმაგვარი, გრძელი ოთახი, შუაში რომ ხის ბარიერი ჰყოფს. ერთ მხარეს მე ვდგავარ, პირისპირ, ბარიერს მიღმა — ლუბა-დედა. სხვა პატიმრები და მნახველებიც ასე დგანან. ყველა ერთად ლაპარაკობს, ჩქარობენ, ერთმანეთს სიტყვას პირიდან სტაცებენ. მე კი ვდგავარ და ჩუმად შევყურებ ლუბა-დედას, ასე უცებ დაბერებულს, შეცვლილს, გაუცხოებულს. „კარგი მასწავლებელი იყო!“ — გავიფიქრე და ამ ფიქრმა შემაკრთო. ეს ხის ბარიერი თითქოს სამუდამოდ აღიმართა ჩვენ შორის... ლუბა-დედა დგას, ხმას ვერ იღებს, თვალებად ქცეულა, მიყურებს და მიყურებს, თითქოს არკვევს, ვარ თუ არა ისევ ის, ვინაც ადრე ვიყავი, შევიცვალე თუ არა. საბედნიეროდ, მან არაფერი იცის!

„როგორ არიან?“ — ძლივს გავიღე ხმა. ვერა ვთქვი, „მამა როგორ არის?“ ვერ გავბედე, „ძია თანდი როგორ არის?“ მაგრამ ამ უმისამართო კითხვაში მეტი იგულისხმებოდა და ლუბა-დედა ალაპარაკდა. ჩქარ-ჩქარა ჩამომითვალა სოფლის წვრილმანები, ოჯახური ავან-ჩავანი, ჩემს სმენას კი მისი ხმა თითქოს არ ეკარებოდა, ვერაფრით ჩავწვდი, რასაც მიყვებოდა.

„მასწ., ცინტუ ბებია როგორაა?“ — მხოლოდ პირველი სიტყვა წამომცდა, დანარჩენი ვეღარა ვთქვი, ენა გადავყლაპე. ისე უადგილოდ, ისე ლიტონად გაისმა სიტყვა „მასწ.“ თითქოს ჩვენ შორის აღმართულ ბარიერზე თვით ჭერამდე ყინულის კედელი

დაეშენებინოთ.

ლუბა-დედა შეკრთა, გაკვირვებით შემომხედა, ხმა ჩაუვარდა, მერე, წუთის შემდეგ, გონს მოეგო, დამდუღრულივით ჩამ-ეძია, რა მოგივიდა, შვილო, ზაზიკო, მოგიკვდეს დედაო. რა უნდა მეთქვა? რისი ახსნა შემეძლო საბრალო ქალისათვის. „დედ-აბერი როგორ არის?“ — კითხვა შევაბრუნე და ძლივს გამაგონა უსისხლო ტუჩებით: „ცინტუ ბებია დავმარხეთ, შვილო!“

ძლივს გამაგონა-მეთქი... გაგონებით კი გამაგონა, მაგრამ ცნობიერებამდე გვიან მოაღწია. „ცინტუ ბებია დავმარხეთ, შვილო!“ — ბარე ათჯერ განმეორდა ტვინში, თითქოს თავში მაჭედებდნენ ამ აზრს, გაიგე, გაიგე, დავმარხეთო, მე კი წინა-აღმდეგობას ვუწევდი, ჩემს ცნობიერებაში არ ვუშვებდი ამ სიტყვებს, იქ არ იყო მათი ადგილი. უცებ ყველაფერი ნათელი გახდა და მე შორიდან შევხედე საკუთარ თავს. აი, ვდგავარ გრძელ ფარდულში, რომელსაც ორ ნაწილად ჰყოფს ხის ბარ-იერი. ერთ მხარეს თავგადახოტრილი, ულაზათო შარვალ-ხალათში ჩაცმული ბიჭები დგანან, მეორე მხარეს მათი მშობლე-ბი და ახლობლები. ერთად ლაპარაკობენ, ხელებს იქნევენ... ზოგი ოხრავს, ზოგი ჩხუბობს, ზოგი ქაქანებს, ზოგი ჩუმადაა. ლუბა-დედაც ჩუმად დგას. ვერ მიმხვდარა, რა თქვას, როგორ მოიქცეს. მეც ჩუმად ვდგავარ. თვალებიდან ღაპაღუპით ჩამომ-დის ცრემლი და იმასღა ვფიქრობ, რატომ დამავიწყდა ჯიბეში ცხვირსახოცის ჩადება. ლუბა-დედას უჭირავს ხელში ცხვირ-სახოცი, მოუჭმუჭნია, მაგრამ უფლება არა აქვს მომაწოდოს, დამამშვიდოს.

— დამთავრდა! შეხვედრის დრო ამოიწურა!

თავი ზევით არ ამიწევია, ისე გავშორდი ლუბა-დედას. „რა მოგივიდა?“ — მეკითხება კოლონიის უფროსი. „არ ვიცი!“ მარ-თლაც არ ვიცი, რა მემართება, ცრემლი ღვარად ჩამომდის, არ შემიძლია თავის შეკავება. მინდა ცნობისმოყვარეთა მზერას დავემალო, მაგრამ მარტო დარჩენის უფლება არა მაქვს, სადმე დამალვის, გადაკარგვის უფლება არა მაქვს, ყველანაირი უფლება წართმეული მაქვს და იძულებული ვარ, ვიდგე მზით განათებულ პლაცზე და ყველას ვუჩვენო ჩემი სისუსტე. „რა

მოგივიდა?“ — მეკითხება მორიგე ოფიცერი. „არ ვიცი!“ „რამე ხომ არ გტკივა?“ „არა!“ როგორ არა მტკივა, საშინლად მტკივა, მაგრამ ჩემს ტკივილს ვერა ექიმი ვერ მოარჩენს და ამიტომაც ვერავის ავუხსნი. „არ ვიცი!“ — ვეუბნები ცირამუას ბიჭსაც, თან სხვებთან ერთად მეც გამალებით ვსვლეპ ცხელ წვნიანს, შიგ კი წკაპა-წკუპით მიცვივა ცრემლი. იქნებ იმიტომაც დაჰ-კრავს მლაშე გემო.

სიზმარშიც ეს ცრემლი ჩამყვება. შუაღამით მეღვიძება. ვგრძნობ, ბალიში დამისველებია. გადავაბრუნებ და ისევ ვიძინებ. კვლავ მეღვიძება. ახლა ბალიშის ეს გვერდიც სველია. მძინავს თუ მღვიძავს, ცრემლი მდის და მდის... უკვე მეშინია, ვაითუ საერთოდ არ შემიწყდეს, ვაითუ სულ ასე ვიტირო. „რა მოხდა?“ — საკუთარ თავს ვეკითხები და პასუხს ვერა ვპოულობ.

საკანში მზემ შემოაჭყიტა. ორ იარუსად ჩამწკრივებულ სა-წოლებზე თავგადახოტრილი პატიმრები წვანან. ზოგს ჯერაც სძინავს, ზოგს თვალი გაუხელია და ადგომის ნიშანს ელოდება. მზის სხივმა ირიბად გადაკვეთა სივრცე და იმ საწოლს დაეცა, სადაც აქამდე კოტორა იწვა... წავიდა კოტორა, სრულწლოვანი გახდა და წავიდა!.. მის ადგილას სხვა ბიჭი წევს, ლამაზი, მოხდე-ნილი, ოღონდ ჭკუაცეტი, უდარდელი, ვინც „ფისო-კამფეტის“ გულისათვის მეზობლის ხუთი წლის ბავშვი ასფალტზე დაახ-ეთქა. ახლა კი ისეთი ხალისით ცხოვრობს, ვითომ დანაშაული არაფერი ჩაედინოს, ღიმილით, მხიარულად, დაუფიქრებლად გაწირავს ყველას და ყველაფერს, ოდნავადაც არ შეაწუხებს სინდისის ქენჯნა... თავი ბალიშში ჩავრგე. თვითონ უარესი ვიყავი, რა უფლება მქონდა, ვინმე განმესაჯა...

თვითონ უარესი ვიყავი?.. მაგრამ მე უკვე არ ვიცოდი, ვინ ვიყავი. მეხსიერების თეთრ უდაბნოეთში ხელახლა ვაშენებდი საკუთარ წარსულს. პირვანდელი, ცინცხალი ფერებით ვხედავ-დი, მაგრამ ხედვის კუთხე შეცვლილიყო და ეს მანცვიფრებდა... აი, სანწალეში ვბანაობთ! ეგერ ზაზა ჩიმაკაძე მედიდურად ზის ნაპირზე და გვიყურებს... ჩვენ კი დგაფუნით ვცვივით წყალში, ყირაზე გადავდივართ... მე თავს ვიგიჟიანებ და ციცინო მჟავი-ას ვაყურყუმელავებ. ის კი წივის, ტკარცალებს, მისხლტება... შე-

ღამებულზე მარტო ვარ სანწალეს პირას, ყურს ვუგდებ წყლის ლუკლუკს, თანდათან კამკამა წყლით ივსება სივრცე... ფრთხილად მივცურავ ლურჯ ზვირთებში, მკლავებს ნელა, მოზომილად ვუსვამ... სასაფლაოზე ავეხეტე, გადასახედზე, ბალახში ვწვები, მზის ამოსვლის სასწაულს გავყურებ. ნელ-ნელა ამოდის დიადი მნათობი და ეკალბარდებს თითქოს ხანძარი ედება. ცას სწვდება ეს ხანძარი. ცაზე კი ლურჯი ზეცა გადმოპირქვავებულა და ხანძარი ზღვაში ირეკლება... სკოლისაკენ მივდივართ სამნი. თინიკო კელაპტრიშვილი მიირხევა მედიდურად. ზაზა ჩიმაკაძე ყინჩად მიყვება გვერდით. ტროტუარი ვიწროა და მე ვერ ვეტევი. ფეხდაფეხ მივათრევ მძიმე ჩანთას, თანაც ისეთი ბედნიერი ვარ, ღირსად რომ ჩამთვალეს ვიყო თინიკო კელაპტრიშვილის საჭურჭლეთმტვირთველი, ვირის მუშა... ფიცრული ოდა, ვიწრო ოთახი... ფანჯარაში მილეული მთვარე იჭყიტება. ბნელი ღამე იგვერგვება. სუსტი მთვარე კიდევ უფრო ამუქებს ღამეულ ფერებს. ჭრი... ჭრი... ჭრიჭინებს ჭრიჭინობელა... თვალგახელილი ვწევარ, ვუსმენ ჭრიჭინობელას, ცინტუ ბებიას ჩუმ წუხილს და ველოდები ძილს, ქუთუთოებს რომ დამიმძიმებს და სიზმრებს ვერცხლის ფერებით ამიბრჭყვიალებს... პრინცესას თეთრ კაბაში შემოშრიალდება თინიკო კელაპტრიშვილი, გამომიწვდის ხელს და ჩვენ ორივენი გავფრინდებით მთვარის სხივებით გამსჭვალულ მქრქალ ეთერში...

ეს უცნაური ფიქრი-ზმანება, ეს გახსენება-არგახსენება, თავდაპირველად სუსტი, გაუბედავი, უსაგნო და უსხეულო მთელი დღე თან დამდევს, აზრს მიბნევს, არ მშორდება...

„ჩიმაკაძე!“ — აღმზრდელ-მასწავლებელი მკაცრად მიყურებს. ხმას არ ვიღებ. „ჩიმაკაძე!“ მე რატომ მიყურებს? მე ჩიმაკაძე არა ვარ!.. „ჩიმაკაძე!“ ვუთხრა, რომ ცდება? ის კი შემეკითხება, რა გვარისა ხარო. თვითვე დაეჭვდება, ალბათ, შემეშალაო. ჟურნალში ჩაიხედავს. ჟურნალში კი შეცდომით წერია. „მაშ, რა გვარისა ბრძანდები?“ — ბრაზით შემეკითხება. რა შემიძლია ვუპასუხო? არავითარი გვარი არა მაქვს, არც სახელი მაქვს! ყველა საბუთი მოგონილია, ყალბია. მე ვარ „ვიღაცა“, ვისაც ახლობლები „ზაზა ჩიმაკაძეს“ ეძახიან... ეს ფსევდონიმია, მეტსახელია, სხვათაგან გამორჩევის საშუალებაა, საქონლის დამღასავითაა... აღმზრდელ-მასწავლებელს ამას ვერ ავუხსნი. უმჯობესია, მორჩილად წამოვდგე და ვიცრუო — „ვარ, პატივცემულო!“ „ბოლო დროს უყურადღებობას გატყობ!“ — გამომცდელად მეუბნება აღმზრდელ-მასწავლებელი. უწყინარი თვალებით ვუყურებ, მზერას არ ვარიდებ, თქმით კი არაფერს ვამბობ.

— ბოლო დროს შეიცვალე, უყურადღებო გახდი. მასწავლებლები და ოსტატები გიჩივიან! — კოლონიის უფროსის მკაცრ სახეზე თანალმობა ილანდება.

— ჩემს მოვალეობებს ზუსტად ვასრულებ, უფროსო!

— ვხედავ, მაგრამ გულში რაღაც ჩაიხვიე და ცდილობ, დაგვიმალო!

ვინ გაარკვევს, გულში კაცმა რა ჩაიხვია! მოვალეობებს ხომ ვასრულებ პირნათლად. ვდგები, როცა ასადგომია, ვწვები, როცა მიბრძანებენ. ყოველი სიტყვა კანონია. გულში კი... ამ მუდამ გამოწკეპილ ოფიცერს როგორ ავუხსნა, რაც თვითონ არ მესმის.

— შეცვლილი მეჩვენები! — დაფიქრებით ამბობს კოლონიის უფროსი.

დიახ, შევიცვალე! ვცდილობ, შევიცვალო! უხილავი ცენზორი მიმჯდარა მეხსიერების შორეულ კუნჭულში და შავი მელნით შლის, რაც ზედმეტია. წვრილი, მძივივით გაბნეული ასოებით წერს აქამდე არნახულ, უცხო, საიდანღაც შემოღწეულ ტექსტს, წამის შემდეგ რომ ჩემი ხდება... დაძაბული ვუსმენ სულის წიაღში მომუშავე ცენზორს, ხანდახან ინთება უხილავი ნათურა და ვხვდები, რაღაც სხვანაირად მიყვარს, სხვანაირად მძულს, რაღაცას სხვანაირად ვესწრაფვი, რაღაცას თავს ვარიდებ... თანდათან, თანდათან...

რამდენი დრო გავიდა ასე?.. დღე, კვირა, თვე... ზამთრის ცივი, მოწყენილი დღეები ადრიანი გაზაფხულის წვიმებმა შეცვალა. სულშიც თითქოს განუწყვეტლივ წვიმს... მაშინაც კი, როცა მზემ გამოიხედა, ნაწვიმარი შეაშრო და ჰაერში სინედლის სუნი დატრიალდა. არ ვიცი, რა დამემართა. უცებ, თითქოს ვიღაცამ შემიღიტინაო, სიცილი ამიტყდა. ნეტა რა მაცინებს? ალბათ,

გაზაფხულის თბილი მზე მიღუტუნებს და იმიტომ ვიცინი. თან მზეს ვუჭვრიტინებ, თან ვხითხითებ ჩემთვის. ცირამუას ბიჭის გაკვირვებულ მზერაში აშკარად იკითხება — „შექანებულა ეს საწყალი!“ ვიყო მერე შექანებული! ამით რა დაშავდება? მეცინება და ვიცინი. გულის გულში რაღაცა მიღიტინებს, რაღაცით მევსება სულის ყველა კუნჭული... ვგრძნობ, შემიყვარდა ყველა და ყველაფერი — გაზაფხულის მზე, ცირამუას ბიჭის მიამიტური თვალები, გალავანს მიღმა წამომართული მწვანე გორაკები, კოლონიის უფროსის მკაცრი, გამომცდელი შემოხედვა და, რაც მთავარია, მოგონებები, არ ვიცი, საიდან მოსული, ვისგან ნასესხები — ლაჟვარდის ფერებით აელვარებული... პირზე ხელი მივიფარე, გავჩუმდი, შემეშინდა. ისე მოულოდნელი და უცნაური იყო ეს სიცილი... საიდან მოვიდა, როგორ გაჩნდა?

სარკეში მომინდა ჩახედვა. ამ ხნის მანძილზე სარკეში არ ჩამიხედავს. შევიზიზღე საკუთარი სახე, თვალს ვერ ვუსწორებდი საკუთარ მზერას, სადაც მხოლოდ და მხოლოდ სიძულვილსა და ტანჯვას აღმოვაჩენდი... ახლა კი რაღაც შეიცვალა და სარკეში ჩახედვა მომინდა. „ჯიბის სარკე ხომ არა გაქვთ?“ — ახალგაზრდა ოსტატს ვეკითხები. „მაქვს! რად გინდა?“ „თუ შეიძლება, ჩამახედეთ!“ თავგადახოტრილი ყმაწვილის ანარეკლმა სწრაფად შემომხედა სარკიდან, მზერაში გაოცება აისახა. ვერ მიცნო. მე ვერ მიცნო ჩემმა ანარეკლმა. კარგა ხანს ვაკვირდებოდი. იყო, რა თქმა უნდა, რაღაც ნაცნობი, ახლობელი, მაგრამ რაღაცნაირად შელბილებული, დაეჭვებული... „გმადლობთ!“ — სარკე პატრონს დავუბრუნე, ჩემი ახალი სახე კი მეხსიერებაში ჩავიბეჭდე: „შენ ახლა ასეთი ხარ!“ — კარგი იყო ეს თუ ცუდი, ამის გარკვევა არ ძალმიძდა, მაგრამ ახლა მე „ასეთი“ ვიყავი...

„ასე ნუ დამიძახებ!“ — ცირამუას ბიჭს ვთხოვე. ვერ გამიგო. რომც ამეხსნა, მაინც ვერ გამიგებდა. მხარზე ხელი მოვუთათუნე: „რამე შემარქვი, აგერ კოტორასათვის ხომ არასოდეს გიკითხავს ნამდვილი სახელი!“ „ე, — გაკვირვებით შემომხედა, — კოტორა კოტორაა, სხვა რა დავუძახო, შენ კი...“ შეყოყმანდა. ღიმილით წავახალისე, თუმცა ნაძალადევი იყო ეს ღიმილი

და მიმიხვდა. „ბოღმა ხარ რა!“ „ვიყო თუგინდ ბოღმა!“ — თავი მორჩილად დავხარე. აქამდე აზრადაც არ მომსვლია, ბოღმა რომ ვიყავი. ვინმეს თუ ვებოღმებოდი, ისევ საკუთარ თავს. ახლა ის საკუთარი თავიც დავკარგე და უკვე აღარ ვიცი, ვის ვებოღმო. „ვიყო თუგინდ ბოღმა!“ — გავუმეორე. „კაცი ვერ გაგიგებს, ბოღმა ხარ და ეგაა!“ — იმანაც გამიმეორა, მერე უცბად დაუმატა: „გინდა კუკნას დაგიძახებ!“ გამეღიმა. კუკნა, ალბათ, პატარასა და მოცუცქნულს ნიშნავდა, მე კი ორი მტკაველის სიმაღლიდან დავყურებდი ცირამუას ბიჭს. გინდ ბოღმა ვიყო, გინდ კუკნა, ჩემთვის სულ ერთია, მაგრამ მაინც „რატომ კუკნა?“ „გვყავდა ერთი კუკნა, ბოღმის ერთა იყო და ბოღმა კუკნას ვეძახდით!“ „ახლა სად არის?“ „ჩაიხრჩო, ალბათ, თავის ბოღმაში!“ — ცირამუას ბიჭმა გაიცინა. მე არ გამიცინია. მეტი არაფერი მითქვამს, არჩევანი ჩემზე იყო.

მომდევნო დილით, გამეღვიძა თუ არა, პირველი სიტყვა ეგ იყო. „კუკნა!“ — ხმამაღლა შევეხმიანე საკუთარ თავს. „როგორა ხარ, კუკნა?!“ — ცირამუას ბიჭმა თვალი ჩამიკრა. „ვა, კუკნა ყოფილა?!“ — ვიღაცამ გაკვირვებით იკითხა. კუკნაო, — რა ჩქარა მიეკერება ადამიანს მეტსახელი. ერთი კვირაც არ გასულა, თვითონვე შევეგუე. ლუბა-დედას მორიგი წერილი რომ მივიღე, უკვე კუკნა ვიყავი. მეგონა, სხვის წერილს ვკითხულობდი. შვილის დამშვიდებას ცდილობდა ლუბა-დედა, გულს უკეთებდა; წერილს კი ცრემლის კვალი აჩნდა. ასო-ასო ვკითხულობდი და სიტყვებს უკუღმა ვგებულობდი. კარგადა ვარო, ცოტათი გავცივდიო, — იწერებოდა ლუბა-დედა. ალბათ, ძალიან ცუდად იყო, სიკვდილს ძლივს გადაურჩა. თანდიც კარგადააო, ხანდახან ცოტ-ცოტას სვამსო. ესე იგი სმას მიყო ხელი, იხრჩობა ღვინოში... თითქოს შორეული, უცხო ხმები ჩამესმოდა, გულს მიფორიაქებდა, დანაშაულის გრძნობას მიძლიერებდა. თავს ძალა დავატანე, საპასუხო წერილი მივწერე — „ძვირფასებო!“ ქვევით კი — „თქვენი კუკნა!“ მიხვდნენ კი, რას ნიშნავდა ეს მინაწერი? იქნებ იმასაც მიხვდნენ, სხვა რომ ვიყავი, ზაზა ჩიმაკაძე თითქმის მოვკალი ჩემში...

„თითქმის მოვკალი?“ დიახ, ნიადაგ ვაშთობ ზაზა ჩიმაკაძეს, ნიადაგ ვკლავ, ის კი არა და არ კვდება, წინააღმდეგობას მიწევს.

ვცდილობ გავაქრო, მას კი გაქრობა არა სწადია. მეხსიერების სარბიელზე გამართულ ომში მარტოღა ვარ, ერთი ჯარისკაციც არა მყავს. ყველანი მის მხარეს არიან, ისინი, ვინც მის მეგობრებად თვლიან თავს და ისინიც, ვისაც იგი სძულთ. ჩემს მხარეზე კი ჯერჯერობით მხოლოდ კუკნაა, „ბოღმა კუკნა“.

— ქურდების ამქარში მიგიღეს? — კოლონიის უფროსს ხელები ზურგს უკან შემოუწყვია. ისე გამართული დგას, რაც არის, იმაზე მაღალი ჩანს.

— ა-არა! — უნებლიე გაკვირვებით ვპასუხობ. — რატომ მეკითხებით, უფროსო?

— ქურდული სახელი შეგირჩევია, კუკნა!

— ანგლობაა, უფროსო!

ვიღაცამ დამასმინა, მიურბენინა. მე ეს არა მწყინს. ამიერიდან მის მეხსიერებაშიც ხომ კუკნა ვიქნები.

მასწავლებლებს მაინც ვინ გააგებინა? მათემატიკის მასწავლებელი დაფასთან მიხმობს: „კუკნა, გამოდი, ამოხსენი!“ მოვწონვარ, ამოცანებს იოლად ვხსნი და საქმეს ვუადვილებ.

ოსტატი ალმაცერად მიყურებს. ცდას არ ვაკლებ, გულმოდგინედ ვჩარხავ. ხელი ისე გავიწაფე, ზეინკლობით შემიძლია თავი ვირჩინო. ჩემზე უკეთ თვითონაც ვერ ჩარხავს, მაინც ცდილობს წუნი დამდოს, ბოღმით სისინებს: „შე მართლა კუკნა, შენა!“

ესეც არა მწყინს. რახან კუკნა ვარ, ვიყო კუკნა!

დღე აუტანლად ნელა მიზოზინებს, უსასრულოდ იწელება, ძლივს თენდება და ძლივს ღამდება.

აჰა, გაზაფხულიც მიილია, ზაფხული დადგა. წინ ორი საბუთი მიდევს, საშუალო განათლების ატესტატი და ზეინკლის მოწმობა. ორივეში წერია „ზაზა ჩიმაკაძე“, მე კი კარგა ხანია კუკნა ვარ...

თითქოს არასოდეს გათავდება ცხელი ზაფხული. გადამწვარ გორაკებზე ლივლივებს მხურვალე ჭავლი. ცა მოსარკულია, ისეთი სილურჯე იღვრება, თვალსა ტკენს... გარინდული ვზივარ ჩრდილში... ვფიქრობ... მე მუდამ ვფიქრობ... სამუშაოზე ვარ — ვფიქრობ, საჭმელსა ვჭამ — ვფიქრობ, ღამე, ლოგინში ცხელა, ვერ ვიძინებ და ვფიქრობ... ისევ და ისევ ვკლავ ათასჯერ

მოკლულს, თავიდან ვიშორებ, ის კი არ მშორდება... მამუკა ლეჟავას დანის ერთი აქნევა დასჭირდა, ზაზა ჩიმაკაძეს კი აგერ წლები ვებრძვი და ვერაფერი მომიხერხებია. მინდა ჩიხში მოვიმწყვდიო, ჩიხში კი მე ვარ მომწყვდეული... „კუკნა?“

უცებ გაღიზიანებული უხეშად ვაწყვეტინებ ცირამუას ბიჭს:

— კუკნა არა, ის არ გინდა!

ნაწყენი მშორდება... ვიცი, „ბოღმა კუკნა“ მხოლოდ ფარსია, სამალავია, თავშესაფარია და მეტი არაფერი, გასაქცევი ადგილია...

ეს რომ გავიფიქრე, იმ წუთას მოკვდა „ბოღმა კუკნა“.

თავდახრილი ვდგავარ, ხელში ქუდს ვჭმუჭნი. ვხვდები, რატომაც გამომიძახეს. მაგიდას კოლონიის უფროსი უზის. ორი სხვა ოფიცერი აქეთ-იქით მიმჯდარა, ერთი მოადგილეა. მეორეს ვერა ვცნობ. უფროსი საბუთებს ხელს აწერს, ერთიმეორეზე დინჯად დებს და სამაგრს უკეთებს. უცნობს უწვდის. ისიც აუჩქარებლად ათვალიერებს, ტუჩებს აცმაცუნებს, თავს აქიცინებს.

— ხვდები, რატომ გამოგიძახე? — თვალს არ მაცილებს კოლონიის უფროსი. — თვრამეტი შეგისრულდა, ძმაო, ჩვეულებრივ კოლონიაში უნდა გადაგიყვანოთ! კარგ საბუთებს გატან. შუამდგომლობა დაგიწერე, იქნებ სასჯელი შეგიკვეცონ. ხვალ გაგამგზავრებენ! ჭკვიანად იყავი, დამიჯერე, არავითარი კუკნა და ბოღმა!.. გესმის ჩემი?

მინდა ვუთხრა, სასჯელის შეკვეცა არ მითხოვია-მეთქი. მეტიჩრობად ჩამეთვლება და ამიტომ მხოლოდ ორ სიტყვას ვამბობ:

— მესმის, უფროსო!

მაშ, თვრამეტი შემისრულდა?.. სადილზე ცირამუას ბიჭმა თავისი კომპოტი გადმომიდგა. არ მინდოდა, მაგრამ ისე შემომხედა, უარი ეწყინება-მეთქი და მადლობის ნიშნად თავი დავუქნიე. სამი თვის წინ თვითონ ჩვიდმეტი შეუსრულდა და მეც ჩემი თალია კომპოტით გავუმასპინძლდი.

საქმე არაფერი მაქვს. ჩემი დაბადების დღეა და არ მასაქმებენ. მარტოობას ვეძებ. კუთხე-კუთხე დავდივარ. ვიცი, ეს შეუძლებელია, მაინც ვცდილობ, მარტო ვიყო... სიცრუეა ყოველივე!

ბორკილები — ჩემი საბუთები, უსახური ქაღალდების ასხმულა კვალზე მომყვება, ყოველ ნაბიჯს აღმინუსხავს და მომავალ ნაბიჯებსაც განსაზღვრავს... მე არ მსურს საბუთების მონობაში ვიყო, ვცდილობ, თავი დავაღწიო ყოვლისშემძლე ქაღალდებს. რა ვქნა, როგორ მოვიქცე? იქნებ თავი მოვიკატუნო, დაე, ქვეყანამ კვლავ ზაზა ჩიმაკაძედ ჩამთვალოს. მერე კი, აქედან რომ გავალ, ეს ქაღალდები იქნებ ცეცხლს მივცე და ყოველივე ნულიდან დავიწყო... ვითომ თავიდან დავიბადე, სულ სხვა სახელი და გვარი მექნება, თვითონაც სხვა ვიქნები და ცხოვრებაც სხვანაირად აეწყობა... ზღაპარი იყო ეს, ნაოცნებარი, მაგრამ ვერა და ვერ ვეშვებოდი. ისე ნათლად წარმოვიდგენდი ყოველივეს, ცხადი და ზღაპარი ამერია...

ნავახშმევს მორიგე ოფიცერმა, აქამდე სიტყვის ღირსადაც რომ არ ჩავუთვლივარ, დაბადების დღე მომილოცა, კაცობის ასაკისათვის მიგიღწევიაო და პაპიროსი გამომიწოდა. ჯერ არ ვეწეოდი. არ გავაწბილე, მადლობა მოვახსენე და პაპიროსს მოვუკიდე. ბოლს ვერ ვყლაპავდი, ხველება ამიტყდა. ოფიცერმა ზურგზე ხელი დამარტყა და გამიცინა. კარგ გუნებაზე იყო და ამით ვისარგებლე. ვთხოვე, შეუძლოდა ვარ და ცოტა ადრე დავწვები-მეთქი. არ შეიძლებოდა, მაგრამ, მიდი, დაიძინეო...

თავი ბალიშზე მივდევი და უმალვე ოდინდელი სიზმარი გამიცოცხლდა. მაშინ ახალბედა პატიმარი ვიყავი. სოფელთან ჯერაც ცოცხალი ძაფები მაერთებდა და მთელი კვირა ერთი და იგივე სიზმარი მიმეორდებოდა... ვითომ ჭუბურიშში ვარ, ვითომ სანწალეს პირას მივსეირნობ. მთელი კლასი აქ შეყრილა, ჭყუმპალაობენ. დამინახეს და ჟრიამული ატეხეს: „მამუკა მოვიდა, ჩვენი მამუკა!“ შევცბი. მინდა ავუხსნა, მამუკა კი არა, ზაზა ვარ, როგორ ვერა მცნობთ-მეთქი. იცინიან, მბუბნიან, მკოცნიან, ჩიორა კი მეუბნება, ნუ გვატყუებ, ზაზა ხომ დიდი ხანია მოჰკალი, დაგავიწყდა კიდეცო... მართლა? როდის მოხდა ეს ამბავი? ერთად მიხსნიან, ერთმანეთს ასწრებენ და ვერაფერს ვიგებ... თავს ძლივს ვაღწევ, შინისაკენ მივეშურები. ფიცრული ოდის აივანზე ცინტუ ბებია მოაკაკუნებს ყავარჯნებს. კიდეც მეშინია და კიდეც მიხარია. კიბეზე ავრბივარ, ცინტუ ბებიას ყავარჯნები უცვივა, ფეხზე ძლივსა დგას, აგერ, აგერ, წაიქცევა. მივვარდი და ხელი შევაშველე. „ნენაია, ნენა, ჩემი ობოლი, ჩემი მამუკა!“ — სიხარულის ცრემლი სდის ცინტუ ბებიას. სინდისი მქენჯნის. ქვეყანას ხომ ვატყუებ, ამ საბრალო დედაბერს რას ვერჩი-მეთქი... თვითონაც ავტირდი ვითომ, ოღონდ არ ვიცი, სიხარულისაა ეს ცრემლი თუ მწუხარებისა...

ვიღაცა უხეშად მანჯღრევს. „გაიღვიძე, ბიჭო, გაიღვიძე!“ — თვალს ძლივძლივს ვახელ. არსად არ წავსულვარ, აგერა ვარ, მოზარდთა კოლონიაში, ვწევარ ჩემს თხელ ლეიბზე, მახურავს თხელი საბანი და ცირამუას ბიჭი მანჯღრევს ღონივრად. „ისე ხმამაღლა ზლუქუნებდი, შემეშინდა!“

კედლისაკენ შევბრუნდი უსიტყვოდ. მერჩივნა სიზმარს დავბრუნებოდა, ჩემი დაღუპული სიყმაწვილე გამომეტირა.

ბნელ კედელს მივაშტერდი. გონება თითქოს გამინათდა. ქვეცნობიერი, ფარული ზრახვები სიტყვიერად ჩამომიყალიბდა და პირველად ახლა, პირისპირ შევხედე საკუთარ თავს, უეშმაკოდ შევეკითხე, მითხარი, რა გინდა, რას ესწრაფვი, რას უმალავ სხვებსაც და შენს უხილავ მსაჯულსაც...

„მე არა ვარ ზაზა ჩიმაკაძე! — ამ სიტყვებით წარვსდექ ჩემი მსაჯულის წინაშე. — მე უკვე არა ვარ ზაზა ჩიმაკაძე!..“ ჩემში, ალბათ, ადრე ცხოვრობდა იგი, მერე მისი მთლიანობა, ერთიანობა დაირღვა, დაიშალა... ნაწილ-ნაწილ შემომეფანტა ის, რასაც და ვისაც ზაზა ჩიმაკაძე ერქვა... ახლა როგორ მოვიქცე?.. ის სხვაა, მე სხვა ვარ. ნუთუ მოვალე უნდა ვიყო, მთელი ცხოვრება ვზიდო ტვირთი სხვისი დანაშაულისა? ნუთუ ვერასოდეს განვთავისუფლდები? არასოდეს დამიბრუნდება ის განცდა, როცა პირისპირ ვდგავართ მე და არსებობა კაცისა, მე და დანარჩენი სამყარო, მე — მთლიანი, ერთი, სამყარო — მრავალფეროვანი და მაინც ერთი.

იქნებ ჯობდა, თავი მომეკლა?.. თავდაპირველად მართლაც ასე მქონდა გადაწყვეტილი. არაერთგზის ავწონე კიდეც, მაგრამ არ ვიცოდი, რითი, რა საშუალებით განმეხორციელებინა... მერე განვსაჯე, „იმას“ რას უშველიდა ჩემი სიკვდილი, „იმისთვის“ რა შეიცვლებოდა? მაშინ ამოტივტივდა უცნაური, გიჟური აზრი,

ჯერ უფორმო, მკრთალი... მერე და მერე, მრავალგზისი წვდომის შედეგად მოიპოვა ამ აზრმა მყარი უფლებები, თანდათან დაიპყრო ჩემი სული და გადაწყვეტილებად იქცა... ჩემში უნდა მომეკლა ზაზა ჩიმაკაძე! უნდა მომესპო თვით მოგონება მასზე, ჩემი სახით კი ფერფლიდან აღმოცენდებოდა სულ სხვა პიროვნება, ბიჭი, რომელიც ერთხელ უკვე მოკლეს, მაგრამ მოკლეს მისი ფიზიკური არსი, რამეთუ ყოველივე დანარჩენი მე უნდა მეტვირთა...

— დიახ, მე ვიქნები მამუკა ლეჟავა! — ხმამაღლა წამომცდა.

მეზობელ საწოლზე ცირამუას ბიჭი შეინძრა და ჩამეკითხა:

— რა თქვი?

— არაფერი!

მთელი ღამე ვიწრიალე. თავი ისე ამტკივდა, თითქოს რკინის სალტეები მომიჭირესო. არაქათი გამომელია. დილით ძლივს ავლასლასდი. პირზე ცივი წყალი შევისხი. საუზმე უგემურად დავღეჭე. მხოლოდ ცირამუას ბიჭს გამოვემშვიდობე, „როცა გამოხვალ, მომნახე!“ „ჰო, მოგნახავ!“ სიცრუე იყო ეს სიტყვები, ჩვენ ერთმანეთს ვერ მოვნახავდით, რადგან მე უკვე სხვა ვიქნებოდი.

დახურული მანქანით წამიყვანეს. გისოსებს მიღმა გუშაგის ბავშვური პირისახე მოჩანდა. თვალი დავხუჭე, დრო ბევრი მქონდა. ამიერიდან იმედით უნდა მეცოცხლა. აშკარად ვგრძნობდი, ჩემს სხეულში სხვა სული ჩასახლდა. ძველი პატრონი, საკუთარი დანაშაულის სიმძიმემ რომ მოტეხა, თანდათან მიიშრიტა და ბოლოს მთლად ფერფლად იქცა... იმ ფერფლზე კი უნდა აღმოცენებულიყო ახალი, ნორჩი, ხალასი, სათუთად ნალოლიავები, გაუმხელელი, ეჭვის დილეგში მრავალგზის დაკითხული და გამონაცადი...

შეიარაღებული ბადრაგი ოთხივე კუთხეში რკინის ალმებს არჭობს. ეს არის ზღვარი. იმის იქით გასვლა აკრძალულია. აი, ამ მიკროსამყაროში უნდა ვიმუშაო. ჩაის ხასხასა რიგებს მივყვები. გვერდზე წნული კალათი მკიდია და დუყებით ვავსებ.

რიგს მეორე მხრიდან ღიპიანი ბიძაკაცი მოჰყვება. პატიმრის

რუხი ხალათი ულაზათოდ აცვია. ვიცი, მეკუჭნავე იყო და იმდენი შემოეჭამა, ათ მისთანას ეყოფოდა... ცხელა. მეკუჭნავეს ვარდისფერი ლოყები აღაჟღაჟებია. ხანდახან ქუდს მოიხდის, მელოტზე ოფლის წინწკლებს მოიწმენდს და ჩაის ბუჩქისაკენ დაიხრება. უჭირს. მუცელი ჩამოჰკიდებია და როცა იხრება, ქვევით ეზიდება... სხვა რიგებს სხვა პატიმრები მიჰყვებიან. უკვე ყველას ვიცნობ. ვიცი, ვის რა ჰქვია, ვის რა მეტსახელი აქვს, ვინ რისთვის ზის. „ინტელიგენტთა“ მარაქაში მოვხვდი, არც „კანონიერი“ ქურდი გვირევია, არც რეციდივისტი. წვრილფეხობაა! პატარ-პატარა ცოდვებს ინანიებენ. დიდი-დიდი ორი-სამი წელი კრიფონ ეს ჩაი. შემდეგ კი შეეცდებიან მალევე დაივიწყონ ცხოვრების განრიგის ეს გაუთვალისწინებელი შესწორება.

ყველას სათითაოდ ვიცნობ. ისინიც მიცნობენ, ჰგონიათ, რომ მიცნობენ. იციან, რომ საბუთებში ჩიმაკაძე მიწერია. ამის დაფარვა შეუძლებელია. დღეში ათჯერ მაინც დაგვაწყობენ რიგში, გადაგვთვლიან, ერთი ბადრაგი მეორეს გადაგვაბარებს... „პატიმარი ჩიმაკაძე!“ — ასე ამოიკითხავენ სიიდან. პროტესტის უფლება არა მაქვს. ან რა მნიშვნელობა აქვს, სიაში რა წერია. ამათ, ჩემს ბედში მყოფთ, კარგად დაიმახსოვრეს, რაც უნდა დამიძახონ. „რა გქვია?“ — პირველ შეხვედრაზე მკითხეს. „მამუკა! — ვუპასუხე და ყოველი შემთხვევისათვის ავუხსენი: — საბუთებში სხვა სახელი მიწერია“. სხვა სახელიც მალევე გაიგეს, მაგრამ არავინ დაიმახსოვრა. „მამუკა, პაპიროსის ნამწვი ხომ არ დაგრჩა?“ „მამუკა, წყალი მომაწოდე, შენს გაზრდას!“ „მამუკა, ნორმას ვერ ვასრულებ, იქნებ ცოტა წამეხმარო!“ რაღაცნაირ, ტკივილიან სიამოვნებას მანიჭებს და ამიტომ თხოვნას უმალ ვუსრულებ. იქნებ საჭიროზე უფრო ჩქარა, ცქვიტად შევეხმიანები ხოლმე. ჩემი სულსწრაფობა თვითონვე მწყინს. ვიცი, ეს ნაკლია. მართლა მამუკა რომ ვიყო, ასე არ ავჩქარდებოდი. რას ვიზამ? ბევრნაირად დასახვეწი ვარ, მაგრამ დროა ჩემი შემწე, იმისი იმედი მაქვს. ჩვილი რომ იბადება, არაფერი იცის, მხოლოდ ინსტინქტებითაა აღჭურვილი. ცხოვრება ყოველ წუთს უტარებს გაკვეთილს, მისი სული თანდათან იწრთობა, თანდათან ყალიბდება... მეც ჩვილივითა ვარ, თითქოს გუშინ დავიბადე და ცხოვ-

რებისეულ ანაბანას ახლაღა ვითვისებ, ჩემი სული ფერფლიდან აღმოცენდა და ახლა შორეული, ეკლიანი გზები უნდა განვვლო, მიზანს რომ მივაღწიო.

კალათას სწრაფად ვავსებ, სხვებზე სწრაფად. სამუშაო მეიოლება. შემიძლია შევყოვნდე, ცოტათი შევისვენო. ჩაის მწვანე ბუჩქებში მზის სხივი იხლართება, ფოთლებში ბრჭყვიალებს. ცა ისე ლურჯი და კამკამაა, ამაზე ლურჯი და კამკამა არც შეიძლება იყოს. ალბათ, არც არასოდეს გაწვიმდება. ოთხივ მხრიდან ქარსაცავის ფიჭვნარი ჩამუქებულა. ჩეროს სიგრილე ხანდახან ჩემამდეც აღწევს. სამხრეთისაკენ გორაკების წყება იტალღება, დაბლა და დაბლა ეშვება, პლანტაციებსა და ქარსაცავებს დაუფარავს. ჩრდილოეთით კი თეთრად წამომართულა კავკასიის მაღალი მთები... ზოგჯერ ავხედავ, იქნებ გრილი ნიავი ჩამოვიდეს იქიდან, ოხშივარი განდევნოს და პირისახეზე მოგველამუნოს, ოფლი შეგვაშროს... მაგრამ ლოდინი ამაოა...

სანამ ვისვენებ, მეკუჭნავე წამომეწევა. ხვნეშის, ოფლი ასკდება. კალათა სანახევროდაც ვერ გაუვსია. ჩემი კალათიდან ვუყრი ბღუჯა-ბღუჯა. სახე პირფერული ღიმილით ებადრება. „საღოლ, მამუკაჯან!“ მისი მადლობა არაფერში მჭირდება. თავს უსიტყვოდ ვუქნევ და კვლავ რიგს მივყვები.

დრო ჩქარა გადის. რაც აქ ჩამომიყვანეს, დროის მდინარეობა აჩქარდა. დღეების ჩამოთვლას ვერ ვასწრებ, უკვე კვირა გასულა. ერთსახოვანია ეს დღეები და იქნებ იმიტომაც ვერ ვამჩნევ დროის სწრაფვას. დღესაც, თითქოს ახლახან ვისაუზმეთ, მზემ კი უკვე გადაიწია, ჩრდილები დაგრძელდა. სადაც მე ვკრეფ, ქარსაცავის ჩრდილი გადმოეფინა და აგრილდა. მეკუჭნავეს სიგრილე ესიამოვნა და აჭიკჭიკდა, ოჯახის ამბებს მიყვება. უკვე ოცდაათჯერ აქვს მოყოლილი, მომბეზრდა, მაგრამ არ ვაწყვეტინებ. რას მიშავებს, მოიოხოს კაცმა გული. მე ჩემი საფიქრალი მყოფნის და თავში იგი მიტრიალებს. „მამუკაჯან, მგონი, არ მისმენ!“ „ჰო!“ — ანგარიშმიუცემლად ვპასუხობ. „რა ჰო, მისმენ თუ არ მისმენ?“

სასტვენის ხმა მშველის. მუშაობა დამთავრდა. ზლაზვნით მოიწევენ პატიმრები, რიგში ვეწყობით. ყველას ერთნაირად

გვაცვია, უსიხარულო, შავი სატინის შარვალ-ხალათი. გვამოწმებენ, გვთვლიან. იქნებ დღეს სია სულაც არ წაიკითხონ, რამდენიმე წუთს მაინც მოვიგებთ. ბადრაგი თავის ადგილს იკავებს. ნელა მივდივართ. ხანდახან ვჩერდებით, სხვა კოლონები უნდა გავატაროთ. სანამ საკანში შევაღწევდეთ, მთელი საათი გაივლის. დროს უქმად არ ვკარგავ. ჩემი ტვინი მუდამ მომართულია, ერთსა და იმავე საგანს დაჟინებით უკირკიტებს. თავის მოწაფეს, ჯერაც ჩვილ სულს, წვრთნის და მოძღვრავს. თითქოს დრო ბევრი მაქვს, ფიქრში ჩაღრმავებას კი ვერ ვასწრებ. ვიღაცა მკლავზე მექაჩება: „მამუკა, ხომ არ ჩაგეძინა?“ სიაში ამომიკითხეს, მე კი პასუხი შევაყოვნე...

საკანი ფართოა, ბევრნი ვეტევით. ოფლის მძიმე სუნი დგას, მაგრამ შევეჩვიე, არაფრად ვაგდებ. ყველა თავის საქმითაა დაკავებული. მეც ჩემი საქმე მაწუხებს. ვზივარ და თვალი კედლისაკენ მიმიპყრია, კვლავ ჩემს ფიქრებს ვუღრმავდები. არ მაცლიან. „მამუკა, არ გესმის, ვახშამია!“ ფიქრი მეფანტება. „ვახშამი, თორემ არ მოგართვან შემწვარ-მოხრაკული!“ — ხითხითით ურთავს მეკუჭნავე.

ვსვამ უგემურ, ნელ-თბილ ჩაის და იმასღა ვფიქრობ, ნეტა როდის მივლაგდებით-მეთქი. ეს წუთიც დგება. ვწვები ჩემს ვიწრო ლოგინში, ერთადერთ ადგილას, სადაც შემიძლია განვმარტოვდე. ძილ-ღვიძილში ვატარებ ღამეს, ხან სიზმარში ჩავეშვები, ხან ცხადში ამოვალ. კარგა ხანს ვწევარ თვალდახუჭული. არ მძინავს, ძალაუნებურად ყურს ვუგდებ ღამეულ ხმებს. დრო გადის, შეგრძნება ჟამის მდინარებისა მეკარგება. უკვე არ ვიცი, მძინავს თუ არა. უცნაურ ზმანებაში ვეფლობი. თითქოს სხვაგან ვწევარ, ალბათ მიწის სიღრმეში. მყუდრო სასახლე მოუჩენიათ ჩემთვის. განძრევა არ შემიძლია. არც მაქვს განძრევის სურვილი. ისიც არ ვიცი, საერთოდ ვარ თუ არა ვარ. სიმსუბუქის ნეტარი გრძნობა მეუფლება. ეს პატარა, ვიწრო საკანი თითქოს მთელი სამყაროა და ამ უკიდეგანო სამყაროში დავფოფინებ. გონებას ძალას ვატან, უნდა გავიაზრო, უნდა მივხვდე რა ხდება. თითქოს მივხვდი კიდეც. მე აქ დამმარხეს, დიდი ჭადრების ჩრდილში, ჭუბურიშის გადასახედზე. შორიახლო,

მიწაში რაღაც დაგრაგნილა. არა, ეს უნასი როდია, ჭადრის მსხვილი ფესვია, ცოტცოტაობით ჩემკენ მოიწევს, ალბათ მალე მოაღწევს და მაშინ მე ჭადარში გადავსახლდები... მინდა ხელი გავაცოცო, ჭრილობა შევიმოწმო. კი არ მტკივა. იმიტომ ვამოწმობ, რომ გავარკვიო, მე ვარ თუ არა. თუმცა ისიც არ ვიცი, ხელი სადა მაქვს... ბნელში რაღაც თეთრად ფუთფუთებს. ეს ჩემი მოძმეა, საფლავის ჭია. მეხმარება, რათა არარაში ჩავიძირო, დავიწყების მრუმე სიღრმეებში... ჩემი სული ისე მჩატეა, ისე მსუბუქი, ყოველ წამს შეუძლია უსასრულობაში განქარდეს... უმტკივნეულოა ეს განსვლა საკუთარი გვამიდან, თითქოს სამუდამოდ ვთავისუფლდები არსებობის ტანჯვისაგან...

ძინ-ძინ-ძინ! — საიდანღაც ჩამესმის მოგუდული ხმა სკოლის ზარისა...

უხეშად იგრიალა უცებ. შიშისაგან შევხტი. ბნელ სარკმელს მიღმა იელვა და გადაიხრიგინა ჭექა-ქუხილმა, შხუილით წამოუშინა კოკისპირულმა. გული ამიჩქარდა. მძიმე და მტკივნეული ყოფილა საკუთარ გვამში დაბრუნება. ხელახლა უნდა მეტვირთა გადაწყვეტილებათა მძიმე ტვირთი. ვიწექი, ვუსმენდი მოულოდნელად მოვარდნილი წვიმის შხრიალს და ვფიქრობდი: „რა იყო ეს? რა მეზმანა?“

გათენდა, მზემ შემოიჭყიტა. ხეთა ტოტებიდან წკაპაწკუპით ცვიოდა ცივი, გამჭვირვალე წვეთები. სველ მიწას ოხშივარი ასდიოდა. ოთხ-ოთხად ჩამწკრივებულნი, ბადრაგის თანხლებით მივდივართ პლანტაციისაკენ. უკვე დავითვალე, შვიდასი დღე დამრჩენია კიდევ. შვიდასჯერ უნდა დავადგე ამ გზას დილაუთენია და შვიდასჯერ უნდა მოვბრუნდე საღამოს. შვიდასჯერ გამიმეორდება ჩემი უცნაური სიზმრები. წინასწარ ვიცი, ყოველდღე თითო ღერი თმა გამითეთრდება, მაგრამ თითო კენჭიც მოემატება შენობას, მე რომ ვაშენებ...

მოსახვევთან მანქანას დაველოდე და მაინცდამაინც ჯოტო გვილავამ გამიჩერა. უმალვე ვიცანი, შევყოყმანდი, მაგრამ უკანდახევა გვიანი იყო და შინაურულად გავუღიმე.

— მთელი საათია, ავტობუსს ველოდები! — შევეცადე ხალისით მეთქვა.

ჯოტო გვილავა წინ იყურებოდა, ალბათ, საუბრის გუნებაზე არ იყო, ზრდილობის გულისათვის შემეხმიანა:

— ერთი დანჯღრეული ნაგვის ყუთი დაგვიდის, ვინ იცის, როდის ჩამოივლის!

მივხვდი, ვეღარა მცნობდა. ამან ცოტათი დამამშვიდა. ყურადღება გზაზე გადავიტანე. მძიმე იყო გადაწყვეტილების მიღება. შინაგანი ხმა მკარნახობდა, აქედან ფეხი ამოიკვეთეო. უმჯობესია, სადმე შორს გადაიკარგო, ხომ ცხოვრობს მილიონობით ადამიანი, ვინაც ჭუბურიშის სახსენებელიც არ იცისო, მაგრამ ვგრძნობდი, სხვა გზები ჩემთვის არ არსებობდა...

— ჩიმაკაძის ბიჭი არა ხარ შენ?

შევეცადე, უნებლიე კრთომა დამემალა, უხმოდ დავუქნიე თავი.

— გაგათავისუფლეს? — ჯოტო გვილავა აქამდე მოწყენით ატრიალებდა საჭეს, ახლა კი გამოცოცხლდა, ალაპარაკდა: — რა ჩქარა გადის, კაცო, დრო, ჰა! ძალიან შეცვლილი კი მეჩვენები, დავაჟკაცებულხარ, დაკაცებულხარ!.. — აქ ხმაში სევდა შეეპარა: — გეცოდინება, ალბათ, თქვენები აქედან აიყარნენ!

თავი ისევ დავუქნიე.

— შენ ნუ გეწყინება და... ძველი სატკივარის გახსენება, რა თქმა უნდა, ძნელია... აბა, რა ექნათ თქვენებს? თანდი მთლად წახდა, შვილი მომიკვდაო, გამოგიგლოვა. მუშაობას თავი მიანება, სმა დაიწყო. დედაშენიც ავადმყოფობდა. ხალხიც, ხომ იცი, ათასნაირი ჯურისაა, როგორღაც თავისთავად მოხდა, თითქოს განზე გაირიყნენო...

— ყველაფერი ვიცი, ჯოტო ბიძია! — ხმა ძლივს ამოვიღე. — ყველაფერი ვიცი, მაგრამ სხვანაირად არ შემეძლო, მე აქ უნდა მოვსულიყავი!

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! — ნაჩქარევად მიპასუხა, მომეჩვენა, არცთუ გულწრფელად. — მერე აქ ვისთან უნდა გაჩერდე? თუ გინდა, ჩემთან წამოდი!

— გმადლობ, ჯოტო ბიძია, მაქვს გასაჩერებელი ადგილი!

— შენი საქმისა შენ იცი!

მეტი არაფერი გვითქვამს. ჩუმად ვისხედით. გავყურებდი ჩემი ბავშვობის ადგილებს, ნანატრ ადგილებს და გული სევდით მევსებოდა. მერე იქიდან, სადაც დაღმართი იწყება, უცბად გადაიშალა ჭუბურიშის სანახები. რამდენი დრო გავიდა და ყველაფერი ისეთივე იყო, როგორც ადრე... თუმცა არა, ფერებს უფრო მკვეთრად აღვიქვამდი და სუნსაც, ნიავს რომ ფანჯარაში შემოჰქონდა...

სასაფლაოსთან გავაჩერებინე. მადლობა მოვახსენე. გაკვირვება არ დაიმჩნია და დინჯად დამარიგა:

— ცუდი არაფერი მოიწიო, ბიძიკო! შენ ახლა სასჯელი მოხდილი გაქვს. უკან არც უნდა მიიხედო, მთელი ცხოვრება წინ გიდევს!

— ის ბიჭი არა ვარ მე, ჯოტო ბიძია, თქვენ რომ მიცნობდით! სულ სხვა კაცი ვარ ახლა მე!

— ღმერთმა ქნას, ღმერთმა ქნას! — ჯოტო გვილავამ მანქანა დაძრა, მე კი ბილიკს დავუყევი.

ხომ არ ვიცოდი ის ადგილი, გუმანით მივაკვლიე.

ვერ ვიტყვი, რამდენ ხანს ვიდექი და თვალს არ ვაშორებდი მარმარილოს მომცრო სვეტს... „მამუკა ლეჟავას, თანაკლასელებისაგან“, ცოტა ქვემოთ კი, უფრო გვიან ამოკვეთილი — „ცინტუ კვირკველია“.

მოგვიანებით, როცა მინდოდა გამეხსენებინა ის პირველი წამები, ვერაფერი მოვიგონე. თავდაპირველად თითქოს არაფერი მიგრძვნია. შემთხვევით შემოხეტებული ადამიანივით ვათვალიერებდი ორ თანაბარ ბორცვს და ამ პატარა მარმარილოს სვეტს. რაღაცნაირად ვერ აღვიქვი, შინაარსი ვერ ჩავდე ჩემ წინ გაშლილ სურათში. ეს გრძნობა უცხოობისა რამდენიმე წამს გაგრძელდა მხოლოდ და უცბად, თითქოს ცა მოირღვა, მთელი თავისი სიმძიმით დამაწვა, მომღუნა, წელში გამწყვიტა. რამდენი დღე და საათი სულ ერთსა და იმავე ფიქრს ვუტრიალებდი — როგორ მოვიდოდი ამ საფლავებთან, მუხლს მოვიყრიდი, და რადგან ეს იყო ჩემი ერთადერთი საყდარი, ერთადერთი სალოცავი ადგილი — გულწრფელი აღსარების შემდეგ შენდობას ვითხოვდი... ალბათ, მოვუყვებოდი ამბავს მკვლელის სასტიკად დასჯისა, მისი არარად, ფერფლად ქცევისა და გამოვითხოვდი ნებართვას მეცხოვრა ახალ ჰიპოსტასში... და აი, მოვედი, ვდგავარ, ვუყურებ და ვგრძნობ, ყოველი ნაფიქრალი წამში დამეფანტა, ყოველი იმედი უსუსური და უსაფუძვლო ყოფილა... აქ მოსვლამდე მე უკვე დავიჯერე, რომ სხვა ვარ!.. სწორედ აქ, საფლავის ამ პატარა სვეტთან უნდა გამერკვია საბოლოოდ ყოველი, უნდა გადამელახა შეუძლებლობის ბარიერი და რაოდენ მტკივნეული, მძიმე აღმოჩნდა იგი.

დიდხანს ვიდექი. წინ ლორთქო სანახებში ჩაფლული ჭუბურიში თვლემდა მომლოდინედ...

მინდოდა მეიძულებინა თავი, ხმამაღლა მეთქვა: „მე ვარ მამუკა ლეჟავა, დიახ, ლეჟავა!“ მაგრამ ვერ ვაიძულე, რადგან სიტყვები თამაშსა ჰგავდა, ისინი გულწრფელ მოწოდებას თითქოს კლავდნენ. ძირს დავემხე და ავტირდი. ცრემლმა სულის ხვატი შემინელა, ტკივილები დამიყუჩა და მე — მამუკა ლეჟავა გავშორდი ჩემს საფლავს, ვიწრო ბილიკით სოფლისაკენ დავეშვი...

მზე უკვე დასავლეთისაკენ გადაქანდა, მცხუნვარება შეუნელდა.

უკანა ეზოებით ვარჩიე სიარული. ხან მეშინოდა, ვინმეს არ გადავყროდი, ხან, პირიქით, მეწადა, სოფელი შემეყარა და მეყვირა: „ხალხო, ვეღარა მცნობთ, მკვდრეთით აღმდგარი მამუკა ვარ!“

ჩიმაკაძეების სახლის სახურავი დავლანდე შორიდან, თუმცა ის უკვე აღარ იყო ჩიმაკაძეებისა. რა მესაქმებოდა ჩიმაკაძეებთან, მაგრამ გულის ჩხვლეტა მაინც ვიგრძენი.

სანწალეს მივაღწიე, სამ მუხასთან გავედი. მუხები მოუჭრიათ თურმე. ნამუხარზე წვრილი ჩოჩქი ამოყრილიყო, ისიც თხას გადაეჭამა და გული დამწყდა. ჩაშრეტილი სანწალე მშვიდად მიჟღურტულებდა ქვებში. ერთგან გუბდებოდა, იქ, სადაც საბანაო გვქონდა. რამოდენა გვეჩვენებოდა მაშინ და რა პატარა ყოფილა. გამახსენდა თინიკო კელაპტრიშვილი, მამიკოს მანქანიდან თოჯინასავით რომ გამოყო თავი. გამახსენდა, როგორ შემრცხვა, შარვლის ტოტში ვერ ვახვედრებდი ფეხს. ციცინო მჟავიამ კი იტირა. ამ გახსენებამ ერთხელ კიდევ მატკინა

გული. გახსენებამ-მეთქი, განა ერთი წუთით დავივიწყე რამე. ისე ნათლად, ისე გამოკვეთილად მახსოვდა ყოველივე, მაგრამ ახლა, სანწალეს გამჭვირვალე წყალში რომ ვიცქირებოდი, ზედმიწევნით ცოცხლად შევიგრძენი ყოველი წამი.

ამოვიოხრე. სად არის ნეტავ ციცინო მჟავია? სად არიან გოგონები და ბიჭები? რას აკეთებენ? როგორ მიმიღებენ? ამას რომ ვფიქრობდი, გული შიშისაგან მეწურებოდა... ხსნას ოცნებაშიღა ვეძებდი, დროს ძალისძალათი ვაჩერებდი. იმ დღეების შემობრუნება მინდოდა, როცა სკოლაში დავდიოდი და თინიკოს მძიმე ჩანთას მივათრევდი...

კელაპტრიშვილების დიდი სახლი რომ დავინახე, მზერა იქითკენ გამექცა და ფიქრში შევუძახე: „ეჰეი, თინიკო კელპტრიშვილო, ჩამოვედი შენი საჭურჭლეთმტვირთველი, შენი სანჩო!..“ მაგრამ ჩემი მტერი — შიში ფეხდაფეხ მომდევდა და გავშორდი იქაურობას.

მზე უკვე ცის კიდეზე ეშვებოდა, როცა ეზოს უკანა მხრიდან მივადექი. წკნელის ღობემ ჩემს სიმძიმეს ვერ გაუძლო. ნაყანევი ბალახს დაეფარა. რაც ცინტუ ბებია მიიცვალა, ბარი და თოხი ამ მიწას არ გაჰკარებია. აქამდე არც დავფიქრებულვარ, თუ როგორ შევიდოდი „ჩემს სახლში“. ვინ იცის, იქნებ ცინტუ ბებიამ სიკვდილის წინ გაყიდა სახლ-კარი, ან ვინმეს უანდერძა, ან უსახლკარო ვინმე შემოასახლა სოფელმა. ფეხი ავითრიე, სითამამე შემინელდა. ასე გადავჭერი ნაყანევი და ნაბოსტნარი. ოდის ლაფაროში დიდხანს ვაბრაგუნე ფეხი, თუმცა ტალახი არ მომცხებია. სახლში სრული მდუმარება სუფევდა, არავინ გამომეხმაურა, ყოველივეს აჩნდა მიტოვებულისა და რღვევის კვალი.

კიბეზე რომ ავდიოდი, წინა აივანზე ცინტუ ბებია დავლანდე. წამოიწია ჩემს შესახვედრად, ყავარჯნებს დაეყრდნო. გული შემიჩქროლდა. მეორე წამს მივხვდი, შუშაზე მზის მეწამულმა ანარეკლმა გაიელვა და იმან შემაცდინა. დამშვიდებით კი აბა რა დამამშვიდებდა. აივნის ფიცრები რომ ავაჭრაჭუნე, კინაღამ მუხლები მომეკვეთა. მოაჯირს ვსტაცე ხელი და მცირე ხანს სულს ვიბრუნებდი.

ადამიანი ყოველივეს ეგუება. მეც უნდა შევგუებოდი ჩემს ახალ ცხოვრებას. მივიხედ-მოვიხედე. აივანზე, ალბათ, ჯერ კიდევ შემოდგომაზე, გამხმარი ფოთლები შემოეხვეტა ქარს. ნიავის შემოქროლვაზე სუსტი შარიშური ისმოდა.

კარი უბრალოდ მიხურული იყო და შევაღე.

ნესტისა და ობის სუნი მეცა. ყველაფერს მტვერი ეფინა. ჭერი ერთიანად მოებლანდა ობობას. ამ ბუხარში წლების მანძილზე ცეცხლი არ ენთო. ცინტუ ბებიას რკინის საწოლი ჟანგს შეეჭამა. სასადილო ოთახში ჯამ-ჭურჭლის ნამსხვრევები ეყარა. ალბათ, რაც კარგი იყო, ვიღაცამ გაზიდა... კუთხის ოთახში ხის ტახტი, დანჯღრეული განჯინა და უპატრონოდ მიყრილ-მოყრილი წიგნები დამხვდა. ხელი ამიკანკალდა... იატაკიდან რვეული ავიღე და გადავშალე. რა აცაბაცა ასოებით ვწერდი!.. ცინტუ ბებია მიწყრებოდა, მიწუნებდა ბატიფეხურს, მელნის ლაქებს, მე კი ყურადღებას არ ვაქცევდი...

განჯინის უჯრა გამოვწიე. ვიცოდი, რაც იქ ინახებოდა — სიძველისა და ნესტისაგან დაშლილი საოჯახო ალბომი. ფოტოები ამოვკრიფე და მაგიდაზე გავშალე.

თავდაპირველად ძველთაძველი სურათები დავათვალიერე. ჩოხაახალუხიანი, წვერულვაშიანი მამაკაცები და ჩიხტიკოპიანი ქალები წინა საუკუნიდან შემომცქეროდნენ თითქოს. ეს ლამაზი გოგონა, ალბათ, ცინტუ ბებია იქნებოდა. გაყვითლებულ ფოტოზე მისი სახე ოდნავ აჩნდა... მერე ახალგაზრდა წყვილის სურათს წავაწყდი. ვაჟს კიტელი ეცვა, ქალს კი აბრეშუმის თხელი კაბა. დიდხანს ვაკვირდებოდი, საკუთარ თავს ვამსგავსებდი. ესენი, ალბათ, დედ-მამა იყვნენ... მერე კვლავ ცინტუ ბებიას სურათი ვიპოვე. თეთრი ბერეტი ეხურა და ნიკაპი კოპწიად ჩამოეყრდნო მჯიღზე.

უცებ ორად დაკეცილი ქაღალდი გადმოვარდა. დაბადების მოწმობა იყო. დიახ, მე — მამუკა ლეჟავა დავიბადე ამა და ამ წლის ამა და ამ თვის ამა და ამ რიცხვში... მოწმობა ჯიბეში ჩავიდე და ახლაღა ვიგრძენი, რა უსაშველოდ დავიღალე.

პიჯაკი დავიფინე და ისევ დავეგდე ტახტზე. თვალი დავხუჭე. როგორმე უნდა დამეძინა. ძილი ნერვებს დამიწყნარებდა,

დამამშვიდებდა. ვერ იქნა, თავი ვერ ვაიძულე. შფოთიანი ფიქრები ამედევნა. საფეთქლები ამტკივდა. ობისა და ნესტის სუნმა სუნთქვა დამიხშო. წამოვიწიე, ფანჯარას ხელი ვკარი... სიბნელიდან გრილი ნიავი შემოიჭრა, გულზე მომეფონა და უმალვე ჩამეძინა...

თითქოს ორიოდ წუთი გავიდა. მე მომეჩვენა ასე. კიბემ დაიჭრაჭუნა. მერე ფეხის ხმამ აივანზე გადაინაცვლა და თვალი დავაჭყიტე.

მზე უკვე მაღლა იდგა.

წამოვხტი. გული სწრაფად მიცემდა, არ ვიცი, შიშისაგან, არ ვიცი, უცბად რომ წამოვხტი, იმიტომ.

ფეხის ხმა მომეჩვენა-მეთქი, გავიფიქრე და მაშინვე გავიგონე, ვიღაცამ სახლს აუჩქარებლად შემოუარა. მივხვდი, მოღიავებულ ფანჯარასთან გაჩერდა. ცოტა ხანს იყუჩა. მერე ჩაახველა გამაფრთხილებლად, აქაოდა ნურაფერი შეგეშლება, აგერა ვარო. მძიმედ ამოაბიჯა კიბეზე, ააჭრაჭუნა აივნის ფიცრები და კარს მოაწვა.

— მობრძანდით! — ხმამაღლა გავძახე. თავს თითქოს ყოჩაღად ვგრძნობდი, ხმა კი მიკანკალებდა და ამან გამაკვირვა.

კარი გაიღო. ჯოტო გვილავა გაეჩხირა გვერდულად. თვალები მოეჭუტა და ვერ მივხვდი, ოთახის ბინდს აჩვევდა, თუ მე მსწავლობდა. მერე უკან დაიხია და ხველებ-ხველებით ჩაიხრიალა:

— გამოდი აივანზე!

გამოვედი. აივნის სვეტს მივეყრდენი და მდუმარედ შევხედე.

— ესაა, ბიჭო, ღამის გასათევი მაქვსო?

მის კითხვაში ყოყმანი ვიგრძენი. არ იცოდა, რანაირად შეეფასებინა ჩემი მოქმედება.

იქნებ ჯობდა დაბადების მოწმობა ამომეღო ჯიბიდან, მეჩვენებინა და ამეხსნა, ჯოტო ბიძია, ჩემში მოკვდა ზაზა ჩიმაკაძე, მე მამუკა ლეჟავა ვარ-მეთქი. მივხვდი, ამის თქმა არ ღირდა, ვერაფერს გავაგებინებდი.

მხრები ავიჩეჩე.

კარგა ხანს მიყურა. ელოდა, თავის მართლებას დაიწყებსო, მერე უკმაყოფილოდ გააქნია თავი, რა თქმა უნდა, ფსიქიატრის პაციენტად ჩამთვალა და გამშორდა.

ვიდექი და ვუყურებდი. ჭიშკართან შეჩერდა, მუშტი მომიღერა და მუქარით დაიხროტინა:

— არ გნახოს ჩემმა თვალებმა!.. უუ, ლაწირაკო!

ამ სიტყვების გარდა ვერაფერი გავიგე, თუმცა კარგა ხანს მესმოდა მისი გაავებული დუდღუნი.

დავრჩი გულნატკენი და დაბნეული, თუმცა რად უნდა მქონოდა სხვა იმედი.

საშინლად მომშივდა. კურტაკი მოვიცვი და ეზოდან გავედი. ორღობეში არავინ შემხვედრია. ორღობე რომ შარაგზას უერთდება, იქ ერთი პატარა „საჩაიეა“. ისე ერქვა „საჩაიე“, თორემ ლუდისა და არაყის გარდა სხვა სასმელი არ იცოდნენ. კერძი კი, რაც დავიბადე, ერთი და იგივე იყო — ჯიგრის ყაურმა.

— კათხა ლუდი და ერთიც ყაურმა!

დახლიდარმა ცნობისმოყვარედ შემათვალიერა. მიცნო? ვერ მიცნო? ჩემთვის რა მნიშვნელობა ჰქონდა, ანგარიში გავუსწორე და კუთხის მაგიდას მივუჯექი. თავდახრილი ვჭამდი და წიწაკის სიცხარეს ცივი ლუდით ვაქრობდი. ვიცოდი, მითვალთვალებდნენ. გასაკვირი რა იყო. ზოგისთვის მთლად უცხო სტუმარი ვიყავი, სოფელია, სტუმარს მოურიდებლად ათვალიერებენ. ზოგმა იქნებ ჩემს გარეგნობაში ჩიმაკაძის ბიჭი ამოიცნო. ეს აზრი დიდად არ მსიამოვნებდა და შევეცადე, იქაურობას მალე გავცლოდი.

სხვაგან სად უნდა წავსულიყავი, დავუყევი გზას და ფეხებმა თავისით მიმიყვანეს სკოლაში. ხომ ორიოდე ნაბიჯია, ისე მოვთავდი, შესასვლელთან რომ ძელსკამია, თავი იქამდე ძლივს მივიტანე. ახლაღა გამახსენდა, არდადეგები იყო და ბავშვების ჟრიამული იმიტომაც არ იკლებდა იქაურობას. არ მახსოვს, რამდენ ხანს ვეფიცხებოდი მზეს, თითქოს გულ-მკერდი გამყინვოდა და მზის ეს მცხუნვარება ცოტათი მაინც მათბობდა.

ფეხის ხმამ გამომაფხიზლა. ქალი მოაკაკუნებდა მაღალ ქუსლებს. ღმერთო ჩემო, ეს ზაირა მჟავია იყო. ხელნაკრავივით წამოვხტი, ჯარისკაცივით ავისვეტე და გავფითრდი, გავ-

ფითრდი, მთლად ქაღალდივით გავიცრიცე, ალბათ, სახეზე სისხლის ნატამალი არ შემრჩა. მე კი მხოლოდ მის სანახავად მოვედი აქ, მისი სიტყვების მოსმენა მეწადა, მისი მსჯავრი უნდა გამეგო. ამას იმ წუთას მივხვდი, როცა ცოცხალ-მკვდარი ველოდებოდი ზაირა მჟავიას მოახლოებას.

თვალი დავხუჭე, დავიბრმავე.

ფეხსაცმელების კაკუნი შენელდა, შენელდა და შეწყდა.

თვალი დავაჭყიტე. ისიც ისე გამტკნარებული იდგა, მომჩერებოდა და ვერაფერი ეთქვა.

ჩემს გულში კი აკივლდა ხმა: „ზაირა მასწ, თქვენ თუ გამიგებთ, ზაირა მასწ!“ მაგრამ ხმის ამოღება ვერ შევძელი, თვალი დავხუჭე და სკამზე დავეშვი. კვლავ აკაკუნდა ფილაქანზე ფეხსაცმელები, სწრაფად გამშორდა, მე კი სახეზე ხელები ავიფარე და გავირინდე.

მერე, არ ვიცი რა დროის შემდეგ, ფიქრი კვლავ ამოძრავდა. რა უნდა მექნა?.. იქნებ შევსულიყავი სკოლაში. წარმოვიდგინე კიდეც, რა ამბავი ატყდებოდა. ზოგიერთი მასწავლებელი ვერც მიცნობდა, ზოგი თვალს განგებ ამარიდებდა, სხვები კი არაფრისმთქმელი ფრაზებით გამომისტუმრებდნენ. დავდგებოდი, ალბათ, და დავიწყებდი აბდაუბდას იმაზე, თუ ვინა ვარ და რა ვარ. ესენიც იფიქრებდნენ, შექანებულაო და ერთი სული ექნებოდათ, როდის გავეცლებოდი. ისიდორე დიდმელია მორთავდა ხვნეშას და ხელების ფშვნეტას, იმდენს იზამდა, სამასწავლებლოდან გაიძურწებოდა. პეტრე კუჭავა თავს სინანულით გააქნევდა, რა მათემატიკოსი დამეღუპაო. მისი ცხოვრების ოცნება ხომ ეგ იყო, ერთი ცნობილი მათემატიკოსი მაინც გამოეზარდა. აბესალომ ფალავანდიშვილი — სკოლის დირექტორი, სხვაზე მეტ პირდაპირობას გამოიჩენდა. შეაპარებდა ხელს პერანგში, მკერდს მოისრესდა და ხვნესა-ხვნეშით ამოთქვამდა: „რა გინდა, ბიძია, მთავრობამ ხომ გაპატია, წადი ახლა, გადაიკარგე და იცხოვრე ჩუმად!“

ისეთი გუნებით ავდექი სკამიდან, თითქოს აბესალომ ფალავანდიშვილი მართლაც მენახოს და მართლაც ეთქვას ეს სიტყვები. უკან დავუყევი ერთადერთ ტროტუარს. გამახსენდა ის

უწყინარი თრთოლვა სულისა, მაშინ რომ მეუფლებოდა, როცა თინიკოს მძიმე ჩანთას მივათრევდი. ამ გახსენებამ ძალა შემმატა. ახლა თინიკო კელაპტრიშვილის სახელი იყო ჩემი გადამრჩენელი. სხვა არსაითკენ მქონდა გზა და მეც სწრაფად მივაღწიე მთავარი აგრონომის სახლამდე.

კელაპტრიშვილების ჭიშკარზე უზარმაზარი ბოქლომი ეკიდა. კარ-ფანჯრები ისე მიეგმანათ, ეტყობოდა, კარგა ხანი იყო, აქ არავინ ცხოვრობდა. ვიწრიალე ერთ ადგილას, მინდოდა გამეკითხა მთავარი აგრონომის ასავალ-დასავალი. ბოლოს პატარა ბიჭუნამ გამოიარა და იმას ვკითხე.

— ესენი?.. ესენი ქალაქში გადავიდნენ, საბჭოს ქუჩაზე! — მითხრა და შიშველი ფეხების ტყაპა-ტყუპით გამშორდა.

ღონემიხდილი მივლასლასებდი და მხოლოდ იმ წუთზე ვოცნებობდი, ეზოში რომ შევაღწევდი, სადმე ჩეროში, პირდაპირ შიშველ მდელოზე დავეგდებოდი და დავიძინებდი... ისე მაგრად დავიძინებდი, მთელი კვირა ვერავინ გამაღვიძებდა...

ტრიფოლიატს რომ მივაღწიე, ხმები შემომესმა. ზევიდან გადავიჭვრიტე. ჩემი ყოფილი თანაკლასელები იყვნენ. ვისაც, ალბათ, ხმა მისწვდა, აქეთ გამოეშურნენ და ეზოში მელოდებოდნენ. უკან მიბრუნებას აზრი არ ჰქონდა. უკანასკნელი ძალა მოვიკრიბე, თავი მაღლა ავწიე და ისე შევაბიჯე... შუაში, სკამზე ზაირა მჟავია იჯდა. ბიჭები, ზოგი ხეს მიყრდნობოდა, ზოგიც პირდაპირ მდელოზე წამოწოლილიყო. გოგონებიც აგერ იყვნენ, ცალკე ჯგუფად ზაირა მასწავლებლის ზურგს უკან იდგნენ.

ყველამ ჩემკენ მოიხედა და მივხვდი, ეს სამსჯავრო იყო. არც გამკვირვებია, არც პროტესტის გრძნობა დამბადებია. ალბათ, ამათ ჰქონდათ მსჯავრის დადების ყველაზე მეტი უფლება.

უხმოდ გავჩერდი, გულზეხელდაჭდობილი, თითქოს ამით ვამბობდი, აბა, შემომხედეთ! შევიცვალე? იგივე დავრჩი? იქნებ უკვე სხვა ვარ?

ბეშქენ დავითულიანმა თვალი ამარიდა, ამოიოხრა. ციცო ფალავანდიშვილი მიუახლოვდა, მკლავზე ჩამოეყრდნო. „დაქორწინებულან!“ — დავასკვენი და, ალბათ, არც შევმცდარ-

ვარ. ციცინო მჟავია გალამაზებულა, გამხდარი, აშოლტილი ქალიშვილია. თვალებში დაღლა ეტყობა, ნამეცადინებია. ალბათ, ჯერჯერობით არ გაუმართლა და ხელახლა ემზადება გამოცდებისათვის. ეკა ცქვიტინიძე ჩამრგვალებულა, თითზე ბეჭედი უკეთია. ნეტავი ვინ გააბედნიერა? ავთანდილ ბებიას კოტიტა ხელებს მაზუთის კვალი ამჩნევია, ალბათ, ტრაქტორისტია ანდა თვითმცლელ მანქანას დააქროლებს. დავით ქანთარია უკვე გაშავებულა მზეზე, ჩაის საკრეფზე მუშაობს. ეგ ამბავი უკვე ვიცი. გოგა ჯიჭონაია მთლად გაცრეცილა, ახლაც თვალებში შიში უკრთის. ალბათ, ესეც ემზადება. იქნებ სტუდენტია და სტუდენტურ სესიებზე ფიქრი ზარავს. ჩიორა ისევ ჩიორად დარჩა, ალბათ, კვლავაც რაღაცას თავკაცობს, ახლა კი, ამწუთას ყოფილ თანაკლასელთა ნაჩქარევ ყრილობას.

— აბა, რითი გაგვანათლებ? — მეკითხება. მის ხმაში არც სითბო ისმის, არც სიცივე, მხოლოდ და მხოლოდ მდუმარების დასარღვევად გაისმა.

და მე ავლაპარაკდი. თავდაპირველად ცოტა არეულად, მერე თანდათან ნერვები მოვითოკე და სიტყვები მწყობრად დალაგდნენ. რაც მეტს ვლაპარაკობდი, ნათქვამი მით უფრო ლოგიკური და დამაჯერებელი მეჩვენებოდა. მათს სახეზე ვკითხულობდი ცნობისმოყვარეობას, განცვიფრებას, მიხვედრის სურვილს. ვყვებოდი დანაშაულზე, ტანჯვის იმ თვეებზე, როცა მინდოდა თავი მომეკლა, სასამართლოზე, განაჩენის სიმსუბუქეზე, რამაც სული უფრო დამიმძიმა, სასჯელზე, საკუთარ თავს რომ მივუსაჯე... უძნელეს მიზანზე, რომლის განხორციელებას ამდენი ღონე შევალიე. შინაგან, დაძაბულ მუშაობაზე დღედაღამ, როცა ნერვები დაწყვეტაზე გაქვს. თანდათან ჩემში ჩავკალი ზაზა ჩიმაკაძე, მოვსპე მისი ხსენება, მეხსიერებიდან ამოიშალა იგი და თუ ადამიანის მეხსიერება გადამწვარ უდაბნოს დაემსგავსა, იგი უკვე აღარ არსებობს. ასე დავსაჯე სიკვდილით ზაზა ჩიმაკაძე და განთავისუფლებულ სხეულში ჩავასახლე მამუკა ლეჟავა... ნაბიჯ-ნაბიჯ გაცოცხლდა იგი... მე ახლა გარეგნულადაც უფრო მამუკა ლეჟავას ვგავარ, მისი ფიქრებით ვფიქრობ, მისი მეხსიერება დამაქვს, მისი ტკივილები მტკივა...

უცბად, მოწყვეტით გავჩუმდი, თითქოს სიტყვები მოჩხრიალე წყალი ყოფილიყოს და ვიღაცამ ონკანი გადამიკეტა. ისინი მდუმარედ შემომცქეროდნენ. არ ვიცი, კიდევ მოელოდნენ რამეს, თუ, რაც ვთქვი, იმას ითვისებდნენ. დუმილი გაჭიანურდა. მე კი ვიდექი და უხერხულობისაგან ხელ-ფეხი მებორკებოდა.

— ლამაზად ლაპარაკობ! — ძაფი გაწყვიტა ჩიორამ. — რკინის ლოგიკა გაქვს, ოღონდ ეს უფრო ზაზა ჩიმაკაძის ლოგიკაა!

თითქოს უბიძგესო, ყველა ერთბაშად ალაპარაკდა. აღარც მახსოვს, ვინ რას ამბობდა, ვინ რას... ან რა მნიშვნელობა ჰქონდა ამას, როცა მივხვდი, რომ ვერ ავუხსენი, ვერ გავაგებინე... მხოლოდ ზაირა მჟავია იჯდა ჩუმად, მკაცრად მოეკუმა ბაგეები, ცივად შემომცქეროდა.

მოულოდნელად წამოდგა. სხვებმა უმალ შეწყვიტეს ლაპარაკი და სამარისებურ სიჩუმეში ზაირა მჟავიამ ხმადაბლა მკითხა:

— შენ რა, ახლა მეორეჯერ უნდა მოკლა?

სადაც ვიდექი, იქ გავთავდი. გული თითქოს გამიჩერდა... კვლავ ალაპარაკდნენ, ზუზუნებდნენ, კამათობდნენ, მე კი დიდი ხანია შევბრუნდი და გავიქეცი... იქნებ აუჩქარებლად მივაბიჯებდი, მაგრამ მე მეგონა, რომ მთელი ძალ-ღონით გავრბოდი... როდის გავედი ეზოდან, როდის ჩავირბინე ორღობის ბოლომდე, ვინ გამიჩერა მანქანა... არაფერი მახსოვს!.. გონს რომ მოვეგე, რაიცენტრში ვიყავი — ბულვარში.

თითქოს დავმშვიდდი, გარეგნულად მაინც. ფიქრი არაფერზე მეწადა, არაფრის გახსენება არ მინდოდა. მომწყინდა აქ ჯდომა, ავდექი და უმიზნოდ წავეხეტე. ბულვარში იშვიათი გამვლელი თუ ჩანდა, მაგრამ უცხო ადამიანთა ნახვა მაღიზიანებდა და პირველსავე ქუჩაში შევუხვიე.

არცთუ ისე გრძელ ქუჩას რაიონის ცენტრის პირობაზე ერთგვარი გამორჩეულობა ეტყობოდა. ასფალტი, ტროტუარები, დაბალი, თანაბრად გადაკრეჭილი გაზონები... ორივე მხრიდან ლამაზი ჭიშკრები და მწვანე ეზოები, ორ-ორსართულიანი სახლები, — მათი პატრონები სიმდიდრეს თვალში არ გჩრიდნენ, მაგრამ არც ფულის უკმარობა ეტყობოდათ. ქუჩის სახელწოდება გვიან წავიკითხე, საბჭოს ქუჩა იყო.

არ ვიცი რას დავაბრალო, შემთხვევითობას, ბედისწერის უკუღმართ თამაშს, ოღონდ გავიხედე და ახლახან აშენებული, სოლიდური სახლის პარმაღზე თინიკო კელაპტრიშვილი დავინახე... როგორ შეცვლილა! არა, სილამაზე არ დაკლებია, მაგრამ სად წავიდა ის მომხიბლავი გოგონა?.. პარმაღზე სულ სხვა ვიღაცა იდგა, — კარგად მოვლილი მანდილოსანი; შინაურული, ჭრელი ხალათი ეცვა, ორივე ხელი აეწია, თმებში ჩაეყო, დაჭორფლილი პირისახე მზისთვის მიეშვირა და თვალდახუჭული ნებივრობდა. მუცელი დასტყობოდა საკმაოდ, იქვე კი ხალათის კალთას ჩასჭიდებოდა ფეხებგაჩაჩხული ორიოდე წლის გოგონა და ჭირვეულად ექაჩებოდა.

მინდოდა შეუმჩნევლად გავპარულიყავი. ბავშვმა ტირილი მორთო, თინიკომ თვალი გაახილა და შემომხედა.

უმალვე მიცნო, თუმცა ხმა არ ამოუღია. სახე გადაუფითრდა, დაიხარა, ბავშვს დაუტატანა, დასტაცა ხელი და მოღიავებული კარისაკენ გააქანა.

გაცლა დავაპირე და ამ დროს შემპარავი, ნაცნობი ხმა მომესმა:

— ჩიმაკაძე!

გამომძიებელი დიმიტრი ფარცვანია ბრძანდებოდა. პიჟამოთი გამოვიდა ეზოდან. ამასაც დასტყობია ასაკი, დამრგვალებულა, თავზე თმა შეთხელებია. უფრო დაბალი მეჩვენა, ვიდრე მაშინ. მისი სახე კმაყოფილებას ასხივებდა, თავდაჯერებული ადამიანის მიხრა-მოხრით მიახლოვდებოდა.

— გამარჯობა შენი, გამოგიშვეს?

ხელი გამომიწოდა. ვითომ ვერ შევამჩნიე. არ ვიცი, რატომ განვეწყე იმთავითვე აგრე ცუდად, რისთვის ავუხირდი. იქნებ იმიტომ, თინიკო კელაპტრიშვილი მისი დიასახლისი რომ აღმოჩნდა. ადრიდანვე მქონდა ანგარიში გასასწორებელი, თუმცა თვითონ, ალბათ, თავს მადლობის ღირსად თვლიდა.

ჩუმად ვიდექი, ის კი მოჭუტული თვალებით შემომციცინებდა და უცებ ჩაიხითხითა:

— ბევრი კი ვიჯახირე შენს საქმეზე მაშინ, იმედია აწი მაინც არ გაუყრი ვინმეს დანას!

რაღაც მომაწვა, თავშეკავებამ მიღალატა, პიჟამოს საყელოში ჩავაფრინდი და დამარცვლით ვუთხარი:

— ქრთამად რა აიღე, ჰა, თინიკო კელაპტრიშვილი?

სახე წამოუჭარხლდა, დაფეთდა, თვალები განზე გაექცა. ღონე ჩემზე მეტი ჰქონდა, მაგრამ გამბედაობა არ ეყო და იოლად მოიმჩვარა.

ჩუმი წამოკივლება მომესმა. თინიკო იდგა ჭიშკართან და თვალებგაფართოებული მიყურებდა. მის მზერაში შიშის გარდა ვერაფერი დავინახე.

მივანებე თავი და წამოვედი.

მატარებელი მხოლოდ საღამოს გადიოდა. დრო კიდევ მქონდა, მაგრამ დალაპარაკება არავისთან არ მინდოდა. ავიღე ბილეთი და ლიანდაგებს მიღმა, თხმელნარში შევიმალე, მოფარებულ ადგილას კუნძი ეგდო და იმაზე ჩამოვჯექი.

დიმიტრი ფარცვანიას რას ვერჩოდი. იმან ის აიღო, რაც ცუდად იდო. ყველაფერი მხოლოდ საკუთარი თავისთვის უნდა დამებრალებინა. ამას რომ ვფიქრობდი, უცაბედად უძირო უფსკრულს წავადექი. მართლა მოკვდა ჩემში ზაზა ჩიმაკაძე? მართლა გადავიქეცი მამუკა ლეჟავად? იქნებ ეს არის მხოლოდ თამაში, ფარსი, სახიობა!.. თავზარი დამეცა... რამდენი ვიტანჯე ამ წლების მანძილზე, რა შრომად დამიჯდა ეს გარდასახვა, შედეგად კი მხოლოდ ნანგრევები დამრჩენოდა... ან იქნებ მხოლოდ ნახევარი გზაა გავლილი, უფრო მძიმე, უფრო მტანჯველი გზა წინ მომელის... ალბათ, მე მოვკალი ზაზა ჩიმაკაძე, მაგრამ ვერ გავაცოცხლე მამუკა ლეჟავა და ახლა, აი, ამ კაცს, თხმელნარში, კუნძზე მზეს რომ მიფიცხებია, საერთოდ არა აქვს თავისი „მე“, ამ კაცმა დაკარგა საკუთარი თავი...

ძლივს წამოვდექი, სადგურის ბაქანზე გავედი. აუჩქარებლად ჩამოვუარე ვაგონების რიგს. გულში ყინული მედო და უკვე არაფერი მაღელვებდა. ან რას უნდა ავეღელვებინე, მე ხომ ადამიანი არ ვიყავი, მე არ გამაჩნდა მეობა, მე ვიყავი მკვლელი, რომელმაც ორი ახალგაზრდა იმსხვერპლა — მამუკა ლეჟავა და ზაზა ჩიმაკაძე. რა აზრი ჰქონდა იმას, რომ აგერ ამ ვაგონში შევიდოდა სხეული არარსებული ადამიანისა, კუპეში დაიკავებდა ადგილს, უინტერესოდ გახედავდა ფანჯარას, მერე დაწვებოდა,

დაიძინებდა, დილით კი ჩავიდოდა რომელიმე ქალაქში, — სულ ერთია რომელში, — და იქ განაგრძობდა ამებასავით არსებობას.

ბილეთი მოვიძიე ჯიბეში, გავუწოდე ვაგონის გამყოლს და მოულოდნელად ჟრუანტელმა დამიარა, მოუსვენრობამ შემიპყრო. ვიგრძენი, ზურგს უკან ვილაც მითვალთვალებდა.

სწრაფად შევტრიალდი.

ზაირა მჟავია იდგა ბაქანზე, ცხვირსახოცი პირზე მიედო და მიყურებდა.

მინდოდა მეყვირა, — „ზაირა მასწ!.. ზაირა მასწ!..“ მაგრამ ვეღარ გავბედე

დაიგუგუნა მატარებელმა, ნელა დაიძრა.

— მივდივართ, მივდივართ! — წამოიძახა ვაგონის გამცილებელმა.

დარეტიანებული შევბრუნდი, ავედევნე ვაგონს, შევახტი.

ზაირა მჟავია ისევ იქ იდგა და მიყურებდა...

1983

ჟურნალი „მნათობი“, 5—6. 1987,
„მკვდარი სახლი“, გამომცემლობა „მერანი“,
1990.

ᲠᲝᲛᲗᲐ ᲖᲐᲠᲝᲡᲘ

სამმოქმედებიანი ფარსი

მოქმედი პირები:

დიადი ბოცო — წკიპურტარიის რესპუბლიკის კონსული
ქალბატონი ემუ — კონსულის მეუღლე
ქალბატონი ლულუ — კონსულის ცოლისდა
მუნჯაძე — სამდივნოს გამგე
მედოლე
ქურდი ჟორა
კიკიტია — თავისუფალი მხატვარი
თამუნა ჭკუასელი — ახალგაზრდა ტელეჟურნალისტი
სიკო პაპა — ოცდაათი წლის ტელეოპერატორი

სამდივნოს წევრები:

ჩალიჩობის მდივანი — განაგებს ფინანსებსა და ეკონომიკას
სიამტკბილობის მდივანი — განაგებს პოლიციასა და უშიშროებას
მიხაკების მდივანი — განაგებს ოპოზიციასთან ურთიერთობას
ამჩემფეხების მდივანი — განაგებს სოციალურ საკითხებს
უჯარო სარდალი — არაფერს არ განაგებს

კონსულის დაცვა:

გიგა
გოგა
გუგუჩი

მდედრიონი:

ივლიტა
ვერიჩკა
ნუნუკა
გოგუცა

ოპოზიცია:
პოსლიკაძე — დეპუტატი ჭოპორტიდან
ქოჩორაშვილი — დეპუტატი წითლიაურიდან
ცხვირაძე — დეპუტატი ცხვირეთიდან

აგრეთვე:
ტელედიქტორი, უფრო სწორად, ხმა ტელეეკრანიდან
ნაცნობი უცნობი — წკიპურტარიაში დაბადებული ტურისტი
მოქმედება ხდება წკიპურტარიის დედაქალაქ ქუნქულაში.

მოქმედება პირველი

წკიპურტარიის რესპუბლიკის კონსულის მისაღები. გვერდით აივანზე გასასვლელია. აივანი მოედანს გადაჰყურებს. იგი აქედან არ ჩანს, მაგრამ მიტინგების დროს ხმაური აღწევს. სცენაზე მაგიდის ოთხი დანაწევრებული ნაწილია. მათი შეერთებით თავისუფლად მივიღებთ მრგვალ მაგიდას. კუთხეში კარვის კალთა მოჩანს. იქვე, კედელთან, მომცრო მაგიდაზე ტელეფონი და ტელევიზორია. ეკრანზე უპირატესად დიადი ბოცოს გამოსახულებაა.

ისმის დოლის რიტმული ხმა. ცერებზე ცეკვით შემოდის მედოლე.

მედოლე — დიმპიტაურ-დამპიტაურ, დიმპიტაურ-დამპიტაურ, ასაა!

ავანსცენაზე შედგება, თან დოლს უკრავს.

კარვის მხრიდან შემოგოგმანდებიან მდედრიონები — გოგუცა, ივლიტა, ვერიჩკა და ნუნუკა.

კაბინეტის მხრიდან ასევე ცერებზე ცეკვით შემოდიან გუგუჩი, გიგა და გოგი.

მედოლე — ფრთხილად, ბიჭებო! ფხიზლად, ქალებო!

გააგრძელებს დაკვრას. ბიჭები ცეკვით განლაგდებიან კონსულის კაბინეტთან, ქალები — კარავთან. დოლის ხმა თანდათან სუსტდება, შიგ ჩაერთვება ტელედიქტორი.

ტელედიქტორი — წკიპურტარიამ საბოლოოდ გამოიღვიძა! წკიპურტარიამ გადაიგდო მონობის უღელი! დიადი ბოცოს ხელმძღვანელობითა და ბრძნული მითითებებით, წინ, ლაჟვარდოვანი ხვალესაკენ, სადაც რძის მდინარეები მიედინება და შაქარყინულის მთებია!.. ჩვენი სატახტო ქალაქ ქუნქულას ერთსულოვნად ბოცოისტი მცხოვრებნი ერთხმად აღავლენენ ხოტბას დიადი ბოცოს მიმართ!..

მედოლე გადის. ტელედიქტორის ხმა გაუგებარ ლუღლუღში გადაიზრდება და ქრება.

გუგუჩი (*ბიჭებს*) — თქვენ აქეთა ფლანგი დაიცავით! მტერი უხილავია, შეიძლება კედელშიც შემოძვრეს. იქითა ფლანგს ჩვენი ქალები მიხედავენ. სადაც ისინი დგანან, იქ ჭიანჭველაც ვერ გაივლის...სირცხვილი თქვენ, დედაკაცებმა როგორ უნდა გაჯობონ?! ისინი რომ არა, გუშინ კონსულთან შევრცხვებოდით! კინაღამ პოსლიკაძემ შეაღწია კაბინეტში...

გიგა (*კევს ღეჭავს*) — კაი რა, უფროსო, მე და გოგა კაიფში ვიყავით!

გუგუჩი — გაგაკაიფებ მე შენ!

გოგა — სამაგიეროდ პოსლიკაძეს პერანგი შემოვახიეთ!

გუგუჩი — მაგრები ხართ! თქვენ კი არა, ქალებმა იყოჩაღეს!.. მიხედეთ საქმეს! (*მდედრიონს*) ქალებო, ხომ მაგრად დგახართ?

გოგუცა — კლდესავით! დიად ბოცოს ბუზს ვერავინ აუფრენს!

ნუნუკა — ვენაცვალე მაგას!

ვერიჩკა — რა გვეშველებოდა, ის რომ არა გვყოლოდა!

ნუნუკა — რომ იცოდეთ, გოგოებო, რა ბედნიერი ვარ! წუხელ დიადი ბოცო დამესიზმრა!

ივლიტა (*ეჭვიანად*) — რას მელაპარაკები!

ნუნუკა — ჰო, გოგო, ცა გაიხსნა, იქიდან კიბე ჩამოსწიეს და იმ კიბით ჩამოვიდა! ტანზე სულ ოქრო-ვერცხლი ეცვა, თავზე გვირგვინი დაჰნათოდა...

ივლიტა — მერე, მერე?

ვერიჩკა — ახლა იტყვის, მოვიდა და ჩამპროშტნაო!

ნუნუკა — რანაირი ხარ, რა!

ივლიტა — მერე, ქალო, მერე?

ნუნუკა (*იბუტება*) — არ ვიტყვი! ამ დედაკაცთან სიზმარსაც ვერ მოყვება ადამიანი!

გუგუჩი — ფრთხილად!

კვლავ ისმის დოლის მსუბუქი ხმა. მედოლე შემოუძღვება თამუნა ჭკუასელს და სიკო პაპას.

მედოლე — აქ მოიცადეთ, გამოვა მუნჯაძე და გაარკვევს!

თამუნა — სიკო პაპა, გაამზადე ტელეკამერა!

სიკო — ნუ მომჭერი, გოგო, თავი, პაპას ნუ მეძახი!

თამუნა — რა ვქნა, რაც წვერი მოუშვი, პაპას დაემსგავსე და... აქ დადექი! თუ კონსული გამოვიდა, აქედან კარგად გამოჩნდება!

სიკო (*ტელეკამერას ამზადებს*) — წვერი იმიტომ მოვუშვი, მიხდება, გოგოებს ვაგიჟებ!

თამუნა — ნეტავი ის გოგო მანახა, შენზე რომ გიჟდება!

სიკო — მე ვისზეც ვგიჟდები, ვეღარ მამჩნევს და სხვებს რას დავეძებ!

თამუნა — შენ მე მითხარი და წუთში ჭკუაზე მოვიყვან, ეგრევე გაგირიგებ!

გუგუჩი — ვინ არიან?

მედოლე — ტელევიზიიდან მოვიდნენ, ინტერვიუ უნდა ავიღოთო! (*დოლს შემოჰკრავს, დაცვის ბიჭებს*) ფრთხილად, ბიჭები! (*მდედრიონს*) ფხიზლად, ქალებო! (*გადის*)

გუგუჩი — ქალიშვილო, შეთანხმებული თუ ხართ მუნჯაძესთან?

თამუნა — ტელეფონით ველაპარაკე!

გუგუჩი — ქალბატონმა ემუმ თუ იცის, ანდა ლულუმ?

თამუნა — ვერაფერს მოგახსენებთ, ალბათ, მუნჯაძე ეტყოდა!

გუგუჩი — მეტად საეჭვოა! (*კაბინეტიდან გამოდის მუნჯაძე*) ბატონო სამდივნოს გამგევ, ეს ახალგაზრდები...

მუნჯაძე — ვიცი, ვიცი, ყველაფერი ვიცი!

თამუნა — მაშ, ბატონი კონსული მიგვიღებს?

მუნჯაძე — ეგ კი არ ვიცი! თუ ქალბატონმა ემუმ გადაიფიქრა ანდა ქალბატონმა ლულუმ დასტური არ მოგვცა...

თამუნა — ემუ და ლულუ რა შუაშია, თქვენთან ხომ შევათანხმე?

მუნჯაძე — ემუ და ლულუ კონსულის სიმშვიდის სადარაჯოზე დგანან! იცოდე, კონსულმა თუ მიგიღო, ალერსით ელაპარაკე, ხმაში აღტაცება და პატივისცემა გამოხატე...

თამუნა — მე, ბატონო მუნჯაძე, დიად ბოცოს ვაღმერთებ!

სიკო (*ოხრავს*) — ვაი, ჩემი ბრალი!

გოგუცა — ასეც უნდა იყოს, გენაცვალე, დიადი ბოცო, ბოლოს და ბოლოს, დიადია!

ნუნუკა — იგი ერთადერთი ინტელიგენტია წკიპურტარიაში და მეტი არცაა საჭირო!

ვერიჩკა — მერე როგორი ჭკვიანი და განათლებულია, იმდენი ენა იცის... იმ დღეს ტელევიზორში ჩუქჩების ენაზე ლაპარაკობდა!

ივლიტა — როიალზე როგორ უკრავს, როიალზე!

თამუნა — მაგრამ ემუს და ლულუს არ ვიცნობ!

მუნჯაძე — ჰო, ვიცი, ვიცი! მოთმინებით აღიჭურვე, ქალიშვილო, ჯერჯერობით კონსული დაკავებულია. მალე სამდივნოს სხდომა დაიწყება. მანამდე შეგიძლიათ, ჩვენს სახელოვან მდივნებს გაესაუბროთ! (*გუგუჩის*) ბიჭებო, მაგიდა გაამზადეთ!

ისმის დოლის ხმა. გუგუჩი, გოგა და გიგა ცეკვის ილეთებით სამკუთხა მაგიდებს ერთმანეთს მიადგამენ და მრგვალი მაგიდა გამოვა. მდედრიონიც ადგილზე ცეკვით ირხევა. მედოლე დოლის ენერგიული დაკვრით შემოუძღვება სამდივნოს წევრებს, ცეკვით შემოუვლიან მაგიდას.

გოგუცა — დიადი ბოცოს თანამებრძოლებს გაუმარ-ჯოს!

მდედრიონი — ჯოს!.. ჯოს!.. ჯოს!..

გოგუცა (*ჟურნალისტებს*) — რა საეჭვოდ გაჩუმებულხართ, შეგვაწიეთ თქვენი ხმაც!

თამუნა (*კენტად*) — ჯოს!

სიკო — ყელი გაციებული მაქვს და ჟღერადობას გაგიფუჭებთ!

თამუნა (*მიკროფონი უჭირავს*) — ბატონო მდივნებო, ჩვენ წარმოვადგენთ წკიპურტარიის ეროვნულ ტელევიზიას! გთხოვთ, დაგვთანხმდეთ ბლიც-ინტერვიუზე!

მუნჯაძე — დიახ, დიახ, ბატონებო! თქვენ კარგად იცნობთ ტელეჟურნალისტ თამუნა ჭკუასელს! მან არაერთხელ აღუვლინა გულწრფელი ხოტბა დიად ბოცოს!.. თანაც, როგორც ხედავთ, მშვენიერი გოგონაა!

სიკო (*თავისთვის*) — ყელზე არ დაგადგეს!

მუნჯაძე — გთხოვთ, დათანხმდეთ ინტერვიუზე!.. ჰმ, როგორ ბრძანეთ? (*თამუნას პასუხს არ აცლის*) ბლიცზე? ეს რაღაა? ჰო,

მე კი ვიცი, მაგრამ იქნებ ბატონმა მდივნებმა არ იციან?

თამუნა — ბატონო ჩალიჩების მდივანო! თქვენზე ამბობენ, ორი მილიარდი დოლარი იჩალიჩა და მალე ჩვენს თავზე დოლარების წვიმა მოვაო!

ჩალიჩობის მდივანი (*ხმას ჩაიწმენდს*) — სამწუხაროდ, ამჯერად საკმარისი ეშმაკობით ვერ ვიჩალიჩეთ. ჩვენი კრეტინი პარტნიორები მიგვიხვდნენ და საჩალიჩოდ გაგზავნილი ორი დოლარის ღირებულების გერბიანი ქაღალდი უკან გამოგვიგზავნეს. ჩვენ ის ქაღალდი დავხიეთ, დავანაკუწეთ, ეშმაკობის კვალი წავშალეთ. ამდენად ჩვენმა სათაყვანებელმა წკიპურტარიამ მხოლოდ ორი დოლარი იზარალა. ამიტომაც დოლარების წვიმა არ გამოგვივიდა, მაგრამ უახლოეს მომავალში, დიადი ბოცოს გამჭრიახობის წყალობით, იმნაირად ვიჩალიჩებთ, მსოფლიოს პირი დავაღებინოთ და მაშინ დოლარების წვიმა კი არა, კოხი მოვა!

თამუნა — მაშ, დოლარები თავზესაყრელი გვექნება?

ჩალიჩობის მდივანი (*კეკლუცად*) — იმდენი, გენაცვალე, შენისთანა გოგოცუნას ძირს რომ დავუფენთ!

სიკო (*გადაღებას წყვეტს*) — ბატონო მდივანო, სხვათა შორის, ეს გოგონა დიადი ბოცოს სტუმარია!

ჩალიჩობის მდივანი — ასეც ვფიქრობდი! ყველაფერი საუკეთესო ჩვენს დიად ბოცოს ეკუთვნის!

თამუნა (*სიკოს*) — გმადლობთ, სიკო პაპა, ოღონდ ჩემს თავს თვითონვე დავიცავ! (*უჯარო სარდალს*) ბატონო სარდალო, მსმენელს აინტერესებს ჩვენი სამხედრო დოქტრინა!

უჯარო სარდალი — ოო! სამხედრო დოქტრინა!.. რთული საქმეა სამხედრო დოქტრინა, განსაკუთრებით როცა ჩალიჩობის სამდივნო ფულს არ იძლევა! რა გამოსავალი დაგვრჩენია? გამოსავალი არა გვაქვს! ჩვენმა დიდშუბლა ანალიტიკოსებმა იფიქრეს, იფიქრეს, შუბლზე ოფლი მოიდინეს... (*თვითონაც ზეწრისტოლა ცხვირსახოცით შუბლს იმშრალებს*) და დაადგინეს: საზღვრების გასწვრივ გავაშენოთ ვარდის პლანტაციები, სურნელებისაგან მტერს თავბრუ დაესხმება, ბულბულის სტვენისაგან თავგზა აებნევა და ჩვენი უშიშროება გარანტირებულია... ოო!

თამუნა — შესანიშნავია! სამხედრო დოქტრინა კი არა, ლექსების კრებულია!

უჯარო სარდალი (*კეკლუცად*) — თუ ნებას მომცემთ, ვარდების ერთ ჭურვს, გოგონა, შენც გესვრი!

სიკო (*ღიზიანდება*) — ბატონო სარდალო, ჟურნალისტი-გოგონა კონსულის სტუმარია!

უჯარო სარდალი — ვიცი, გენაცვალე, მაგრამ რას ვაშავებ! ბულბულივით ვუსტვენ და ეგაა!

თამუნა (*სიცილით*) — სიკო პაპა, ნუ დამიფრთხე ბებერი თაყვანისმცემლები!

სიკო — მაგათ რა ჰგონიათ?

თამუნა — ჰო, კარგი, ნუ ეჭვიანობ! კამერა აქეთ მოაბრუნე! ბატონო მდივანო!..

სიამტკბილობის მდივანი — გისმენ, დაგენაცვლე!

თამუნა — რა სიახლეებია პოლიციის ცხოვრებაში?

სიამტკბილობის მდივანი — მთავარია, დაგენაცვლე, სახელწოდება შევუცვალეთ, იყო მილიცია, გახდა პოლიცია, დაგენაცვლოს ყველა პოლიციელი! ჩალიჩობის მდივანი ფულს არ გვაძლევს, თორემ რეზინის ჯოხებს შევიძენდით, დაგენაცვლე... მაგრამ ჩვენ უქმად არა ვართ, დაგენაცვლე, თხილისა და კაკლის ჯოხებით გავდივართ იოლად! ამიტომაც ერთი პროცენტით იკლო ქურდობამ, დაგენაცვლე, ის არის, რომ ქურდიც და პოლიციაც სიამტკბილობაში ვცხოვრობთ. დავჯდებით, დაგენაცვლე, ჩინის მიხედვით და „სეკასა“ და „დურაჩკას“ ვთამაშობთ შაურიანზე... ასე მიდის, დაგენაცვლე, ჩვენი შინაარსიანი ცხოვრება...

თამუნა — პირადად თქვენ ვისთან თამაშობთ „დურაჩკას“?

სიამტკბილობის მდივანი — რაკი გენერალი ვარ, დაგენაცვლე, ჩვენს ჟორასთან წავუკრავ ხანდახან ხელს! წვრილფეხა შულერებთან ხომ არ დავჯდები, დაგენაცვლე, სათამაშოდ!

თამუნა — გმადლობთ, ბატონო სიამტკბილობის მდივანო! (*ამჩემფეხების მდივანს*) ახალს რას გვეტყვით, ბატონო ამჩემფეხების მდივანო, წკიპურტარიელი მოქალაქეები სიღატაკის ზღვარზე არიან!

ამჩემფეხების მდივანი — ამჩემფეხებს, თუ ზღვარზე არიან! ფული არა მაქვს და საიდან დავარიგო? ჩალიჩობის მდივან-

მა თუ არ იჩალიჩა, მე რა, საკუთარი ჯიბიდან ამოვიღო? რაც ჯიბეში ჩამდის, უკან აღარ ამოდის, გახვრეტილი მაქვს და კუპონი რომ კუპონია, იგიც არ მიჩერდება! ამჩემფეხების სამდივნო ყოველნაირად ცდილობს საკუთარ თანამშრომლებს შეუნარჩუნოს ულუფა. ყველამ თავის თავს მიხედოს, ბოლოს და ბოლოს!

თამუნა — სიკო პაპა, ეგ კაცი რას გვეჩხუბება?

სიკო — ბატონო მდივანო! ჩვენ ჯერ ახალგაზრდები ვართ, არც პენსიას ვითხოვთ და არც დახმარებას!

ამჩემფეხების მდივანი — ამჩემფეხებს თუ ახალგაზრდები ხართ! ბიჭოს! (*შორდება*)

თამუნა — დღეს ცუდ ფეხზეა ამდგარი!

სიკო — გაუძელი, თამუნა, ერთი მდივანიღა დაგვრჩა!

თამუნა (*ნაზად*) — ბატონო მიხაკების მდივანო, იმედია თქვენ არ გაგვიბრაზდებით!

მიხაკების მდივანი (*ასევე ნაზად*) — შენი კითხვების მოსმენა ჩემთვის ლხინია, პატარა გოგო, შენი ნარნარა ხმა ყურს მუსიკასავით მიუნანავებს!

სიკო (*თავისთვის*) — რა ვქნა, ყურები ხომ არ ავაგლიჯო?

თამუნა — ოღონდ დაშუმინდით, ბატონო მდივანო! გამიგონია, მიხაკების სამდივნო ოპოზიციასთან ურთიერთობას განაგებსო!

მიხაკების მდივანი — დიახ, პატარა გოგო! ჩვენ ყველასთან ვპოულობთ საერთო ენას! თავს რომ ღორები და კამეჩები დაგვესხან, იმათთანაც გავმართავთ მოლაპარაკებას! საამისოდ ბლომად მოვიმარაგეთ მიხაკები. ოპოზიცია ქვებს რომ გვესვრის, ჩვენ მიხაკებს ვესვრით! იმათ რომ ტყვია დაგვიშინონ, ჩვენ მიხაკებს დავუშენთ და კუდით ქვას ვასროლინებთ... ჩუ, ეგერ უკვე ხმაურია!

თანდათან უფრო მკაფიოდ მოისმის მომიტინგეთა ხმაური.

მედოლე (*დოლს შემოჰკრავს*) — ფრთხილად, ბიჭებო! ფხიზლად, ქალებო!

ტელედიქტორი — ხალხი ერთსულოვნად აღდგა დიადი ბოცოს დასაცავად! ქარხნებისა და ფაბრიკების კუნთმაგარი მუშები, მეჩაიეები, კანალიზაციისა და კოლექტივიზაციის დამსახურებული მუშაკები, რკინიგზელები და საგიჟეთის გონებაჩლუნგი პერსონალი ერთხმად უჭერენ მხარს დიად ბოცოს!

გუგუჩი — აბა, ბიჭებო! აბა, ქალებო!

გიგა — ფეხის ხმა ისმის!

გოგა — მოდიან, მოდიან!

გოგუცა — მოედანი ხალხით ივსება, მთელი ქუნქულა ფეხზე დადგა, ზოგი ჩვენია, ზოგი იმათი!

შემოდიან ქურდი ჟორა და თავისუფალი მხატვარი კიკიტია.

ჟორა — ჩვენი ბოცოუკა აქანეა?

კიკიტია — ბოცოია აქაა?

მუნჯაძე — დიახ, დღეს სამდივნოს სხდომაა!

ჟორა — ბოცოუკას გადაეცი, ჟორა მოვიდა-თქვა!

კიკიტია — უთხარი, ეგ სალაყბო უჩემოდ კანონიერი არ იქნება-თქო!

მუნჯაძე — ვფიქრობ, თქვენი ადგილი სწორედ სამდივნოშია!

მიხაკების მდივანი (*ხელებს იფშვნეტს*) — ბატონებო! ჟორა ჩემო! ძმაო უსაყვარლესო კიკიტია! მოგესალმებით და გეთაყვანევით!

კიკიტია — გადაშენდი იქით!

ჟორა — ასეთებს ჩვენ პარაშასთან ვაწვენდით!

თამუნა — სიკო პაპა, კამერა აქეთ მოაბრუნე! საინტერესო ტიპებია! ბატონო ჟორა, ერთი წუთით! ბატონო კიკიტია! წკიპურტარიის ტელევიზია გაწუხებთ... ერთი წუთით, თუ შეიძლება! ამ ეტაპზე რას ურჩევდით ბატონ კონსულს?

კიკიტია — რას ვურჩევდი და ნუ გამაბრაზებს! გავებუტები და უყაროს მერე კაკალი!

ჟორა — რას ვურჩევ და ჩემს ბოცოუკას ვურჩევ, ყური გამოიფხიკოს და მეტი დემოკრატია შემოიღოს! ძმაკაცები ციხეში ჩამიჯინა! ციხეს რად უნდა რკინის კარები, მას მოუხდება შუშაბანდები, გალიაში ხომ ბულბულები სხედან, გოგოჯან! ასე თუ წავიდა საქმე, ჩხუბი მოგვივა! ჩვენ თუ წავიჩხუბეთ, მოვა ერთი უცნობი ნაცნობი და ორივეს იქ ჩაგვაყუდებს! ბოცოუკამ იკითხოს, თორემ მე ფანჯარასთან მაქვს ადგილი!

თამუნა — ნაცნობი უცნობი ვინაა?

ჟორა — არის ერთი ჭაღარა ტურისტი! ხომ გაგიგონია, გზა-

ზე მიდის ერთი კაცი... რათა ერთი?.. მაშ, რამდენი?.. ორი!.. რათა ორი?.. მაშ რამდენი?.. სამი!

მუნჯაძე — ამას იწერთ? ესენი ხუმრობენ, თქვენ კი მართალი გგონიათ!

მიხაკების მდივანი — ბატონო ჟორა! ბატონო კიკიტია! მე თქვენ მიხაკებს მოგიძღვნით!

კიკიტია — მომწყდი თავიდან! არ გააჭირა საქმე?

ჟორა — ეგ მიხაკები პარაშაში ჩააგდე!

მომიტინგეთა ხმები ძლიერდება, ერთვება ტელედიქტორი.

ტელედიქტორი — მხოლოდ მცირე ჯგუფი აგენტებისა და მოღალატეებისა ცდილობს დიადი ბოცოს გადაყენებას!.. დიახ, მათ სურთ წკიპურტი ჰკრან ჩვენს სათაყვანებელ კონსულს და ამით დაღუპონ წკიპურტარიის რესპუბლიკა!

გოგუცა — ახლა ნამდვილად მოდიან!

ივლიტა, ვერიჩკა, ნუნუკა — ფეხის ხმა ისმის! გოგოებო, მზად იყავით!

ტელეფონი რეკავს.

გოგუცა — ალო! ქალბატონი ემუ ბრძანდებით? არა? ქალბატონი ლულუ? დიახ, მესმის! უკვე მოვიდნენ, მგონია!.. კი, კი!.. ვიცი, ვიცი! (*ყურმილს დებს*) აბა, გოგოებო! მოემზადეთ და პროვოკაციას არ წამოეგოთ!

ბრბოს მზარდმა ხმაურმა თითქოს სცენაზე შემოყარა პოსლიკაძე, ქოჩორაშვილი და ცხვირაძე.

ცხვირაძე — ჩვენ მოვითხოვთ ჩვენი კანონიერი უფლების აღდგენას! ჩვენც მიგვიძღვის წვლილი წკიპურტარიის რესპუბლიკის ჩამოყალიბებაში! აბა, გაიხსენეთ, ვინ იყო ის პიროვნება, პირველად ცხვირი რომ დააცემინა?

ქოჩორაშვილი — სწორედ ცხვირის ამ დაცემინებას მოჰყვა მსოფლიო სასწაული!

პოსლიკაძე — რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ! ცხვირი ცხვირაძემ დააცემინა და ამით იმპერიას საფუძველი შეურყია! აქედან გამომდინარე, ლოგიკას თუ მივუბრუნდებით, დიადი ბოცო არ არის მთლად დიადი და უნდა გადადგეს!

გუგუჩი — გესმით, ქალებო?!

გოგუცა — გაწყდა ამათი სინსილა, ესენი ნამდვილი მოღალატენი არიან!

ივლიტა, ვერიჩკა, ნუნუკა (*სამეულის ირგვლივ ასკინკილათი დახტიან და გაჰკივიან*) — მოღალატე, მოღალატე, აგენტი! მოღალატე, მოღალატე, აგენტი!

ქოჩორაშვილი, ცხვირაძე, პოსლიკაძე (*ზურგით ერთმანეთს ეყრდნობიან*) — გრცხვენოდეთ, გრცხვენოდეთ!

მიხაკების მდივანი — ცხვირაძე, შე ცუდო! ქოჩორაშვილო, შე ცუდო! პოსლიკაძე, შე ცუდო!

ჟორა — რა ჯობია, ბოცოუკას მივეშველოთ თუ პოსლიკაძეს?

კიკიტია — ნუ ვიჩქარებთ, ვნახოთ, რომელი უფროა დემოკრატი!

ჟორა — ვინც ციხეს რკინის კარებს შეხსნის, დემოკრატიც ის იქნება!

კიკიტია — ვინც ქოთანს ჩემნაირად მოაბამს ყურს, ნამდვილი დემოკრატი ის იქნება!

ქალები იერიშზე გადადიან, ანჩხლობენ, წიწკნიან, წიხლებს ურტყამენ.

ცხვირაძე — ნელა, ქალო, ცხვირპირი არ დამიზიანო!

ქოჩორაშვილი — პროტესტს ვაცხადებ! ამას გაეროს ვაცნობებ!

პოსლიკაძე (*ხელებს შარვლის ხვანჯარზე იფარებს*) — აქ არ მომარტყათ! აქ არ მომარტყათ!

მდივნები (*ერთ მწკრივში დგანან და ქალებს მსუბუქი ტაშით აჯილდოებენ*) — ყოჩაღ! ყოჩაღ!

გუგუჩი — რა ბუნებრივი გულწრფელობაა!

გოგუცა — მასების დემოკრატიული ვნებების გამოვლენაა!

მდივნები — დიახ, დიახ!..

მოედნიდან ხმები ძლიერდება, ისმის ყიჟინა — „ბოცო! ბოცო! ბოცო!“

თამუნა — ქალბატონებო, სირცხვილია უსუსური მამაკაცების დაჩაგვრა!

სიკო — გასაოცარი კადრები გამომივიდა! მსოფლიო სააგენტოები ხელიდან წამგლეჯენ!

გოგუცა — არიქა, თურმე გვიღებენ!

ქალები ქოშინით ჩერდებიან, შემობრუნდებიან და სიკოსკენ აგრესიულად მოიწევენ.

ივლიტა — ვინ მოგცა გადაღების უფლება?!

ვერიჩკა — ოპოზიციამ მოგისყიდა, ხომ?!

ნუნუკა — ამოიღე ფირი და საკუთარი ხელით გადაიფხრიწე თავზე!

თამუნა — ქალბატონებო, დამშვიდდით! ჩვენ კონსულმა მოგვიწვია!

გოგუცა — მერე ქალბატონ ლულუს ჰკითხეთ?! ქალბატონმა ემუმ ნება მოგცათ?!

მოულოდნელად ჩაერთვება ტელედიქტორი.

ტელედიქტორი — დემოკრატიის აყვავების ამ ეპოქაში ზოგიერთი სულგაყიდული პიროვნება ძირს უთხრის წკიპურტარიის კეთილდღეობას...

ხმა უვარდება. კაბინეტიდან გამოდიან ქალბატონები ემუ და ლულუ.

ლულუ — რა ხდება, ჭირიმე, აქ?

ემუ — მოსვენება აღარაა, ყველგან მტერი, ყველგან აგენტი!..

გოგუცა — ქალბატონო ემუ, ქალბატონო ლულუ! ჩვენ უბრალო და უწყინარი წკიპურტარიელი ქალები დემოკრატიული წესით პროტესტს ვუცხადებდით ერის მოღალატე ოპოზიციონერებს. ეს მტრის მოგზავნილი წვეროსანი და ეგ ტინგიცა გოგო ამას ფირზე იღებდნენ, რათა მსოფლიოს წინაშე თავზე ლაფი დაგვასხან!

თამუნა — ჩვენ კონსულმა მოგვიწვია!

პოსლიკაძე — ოპოზიციის სახელით პროტესტს ვაცხადებთ!

ლულუ — აცხადე, ჭირიმე, აცხადე! (*სიკოს*) მიჩვენე, ჭირიმე, ეგ ფირი?

სიკო — რანაირად?

ლულუ — ამოიღე და გაშალე!

სიკო — შუქზე ხომ გაფუჭდება?

ლულუ — იქნებ გირჩევნია, ჭირიმე, შენ გაფუჭდე!

თამუნა — ეს უკანონობაა! არა გაქვთ უფლება!

სიკო — მე ვერ დაგემორჩილებით!

ლულუ — გუგუჩი... სადა ხართ, კაცებო?!

დაცვის სამეული მივარდება სიკოს.

თამუნა — ხელი უშვით! რას სჩადიხართ?! ხალხნო, ვერა ხედავთ?!

სიკო (*კამერას ჩაიხუტებს*) — მომეშვით! კონსულთან გიჩივლებთ!

ლულუ — იჩივლე, ჭირიმე, იჩივლე!

ემუ — ყველგან მტერია! ყოველ ნაბიჯზე მტერია!

სიკოს ქვეშ გაიგდებენ და კამერას გამოგლეჯენ. ჩაერთვება ტელედიქტორი.

ტელედიქტორი — დემოკრატია ჩვენი ცხოვრების წესია!.. მაგრამ დემოკრატიას აქვს თავისი ზღვარი. უსაზღვრო დემოკრატია მავნებელია, უფრო სწორად იგი დამღუპველია. სწორედ ამიტომ, ისტორიის ამ ეტაპზე დემოკრატიას უნდა დავადოთ ხუნდები. ჩვენი კონსული ყველაზე დემოკრატიული კონსულია და უფლება აქვს ზომიერი და მოხდენილი ხუნდები დაადოს მავანთა და მავანთ... მაშ, გაუმარჯოს დიად ბოცოს, წკიპურტარიის დემოკრატიის მზეს!

ხმა თანდათან მიჩუმათდება.

ჟორა — რაღაც არა ჰგავს ეს დემოკრატიას!

კიკიტია — ბოცოია ისეთი სულელია, კისერს მალე წაიტეხს! უმჯობესია, დროზე გავებუტოთ!

ცხვირაძე, ქოჩორაშვილი, პოსლიკაძე — ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ!

თამუნა (*ტირის*) — ფირი გაგვიფუჭეს...

მდივნები კვლავ ფეხზე დგანან და ტაშს უკრავენ. მედოლე დოლს მსუბუქად ურტყამს. ქალაქის მოედნიდან ძლიერდება ხმები — „ბოცო! ბოცო!“ აქა-იქ გაერევა — „კიკიტია!.. ჟორა!“ სტვენა.

მუნჯაძე — ბატონებო! წკიპურტარიის რესპუბლიკის კონსული დიადი ბოცო!

ყველანი გაშეშდებიან. მედოლე დოლს სწრაფად უკრავს. ცეკვით მოუძღვება კაბინეტიდან გამოსულ კონსულს. დიადი ბოცო ნაპოლეონის სტილში გადაჭრის სცენას. გადის აივანზე და მისალმების ნიშნად მუშტს აღმართავს. ისმის ღრიანცელი, სტვენა — „ბოცო! ბოცო! ბოცო!“ კანტიკუნტად — „კიკიტია!“ „ჟორა!“

ბოცო — მეგობრებო!

ხმები სუსტდება. დოლის რიტმს ეფინება მრავალგზისი ექო, რომელიც თანდათან ქრება — „მეგობრებო!.. მეგობრებო!.. მეგობრებო!..“

მოქმედება მეორე
სურათი პირველი

ნივთების გადაადგილებით მისაღები გადაკეთდება კონსულის ბინის ფრაგმენტებად — სასადილო ოთახი და კაბინეტი. ამათ შორის სიმბოლური კარია. სასადილოში ტრიალებს ქალბატონი ემუ.

ემუ — ვერ გამიგია, რა ვაჭამო ჩემს ქმარს. მიჯავრდება ხოლმე, მეხინკლის შვილი ხარ და ვერაფერი გისწავლიაო. ჩემი გაკეთებული არაფერი მოსწონს. რა ვქნა, როგორც შემიძლია, ისე ვაკეთებ. გარეშე მზარეულს კი ნამდვილად ვერ ვენდობი. ხომ შეიძლება მოსყიდული აღმოჩნდეს და ქვაბში სტრიქნინი ჩაგვიყაროს... ესეც ასე, წვნიანი მზად არის! (*სამზარეულოს წიგნში იხედება*) მარილი გემოვნების მიხედვით... მგონი ვუქენი მარილი!.. თუ არ მიქნია?.. სუფრაზე მარილი დევს, თუ უნდა ჩაამატოს!.. ახლა მანანის ფაფა... ნეტავი რძე ხომ არ აჭრილა?.. ახალი რომ მოვატანინო, თავიდან გახდება შესამოწმებელი... ლაბორანტი ვითომ სანდოა?.. იქნებ თვითონ ჩაგვიყაროს სტრიქნინი. ვინ იცის, გენაცვალეთ, გულში რა უდევს! ყველას ჩვენი დაწამლვა და სიკვდილი უნდა, სიკვდილი ჩვენს მტერსა და ოპოზიციას... ესეც მანანის ფაფა...

კაბინეტში ლულუს შემოჰყავს თამუნა და სიკო პაპა.

ლულუ — ვერ დაგიმალავ, ჭირიმე, და არ მოეწონე ჩემს დაიკო ემუა. მეც მიკვირს, ჭირიმე, ასეთ საქმეზე პატარა გოგუშკებს რომ აგზავნიან. საცა ბატონებია, წესით, იქ მატრონები უნდა გააგზავნო. დიადი ბოცო ჯერ ახალგაზრდა კაცია, ჭირიმე, სისხლი ულაყივით უდუღს, მისი ცდუნება იოლია...

თამუნა — როგორ გეკადრებათ, ქალბატონო, არც მიფიქრია...

ლულუ — შენ არ იფიქრებდი, ჭირიმე, მაგრამ ემუ უბრალო ქალი როდია, კონსულის ცოლია და ყველაფერი წინასწარ უნდა განჭვრიტოს. მისი აზრით, ჭირიმე, პატარა გოგუშკები კონსულს ახლოსაც არ უნდა გააკარო და მეც ვეთანხმები...

თამუნა (*წყენით*) — ქალბატონო...

ლულუ — ნუ გაწიწმატდი, ჭირიმე! აი, ესაა დიადი ბოცოს კაბინეტი, აქ დაელოდეთ, მეც სადმე ახლოს ვიქნები, თუ დაგჭირდით, უმალ გავჩნდები, ჭირიმე! (*გადის სასადილოში*) ემუ, ჭირიმე, მზადაა ჩვენი ბიჭი?

ემუ — ჰო, წვერს იპარსავს! მაკარონის წვნიანი და მანანის ფაფა გავუკეთე. ისეთი გემრიელია, ნერწყვი მოგადგება...

ლულუ — მთავარია, შენს ქმარს მოადგეს ნერწყვი, ჭირიმე, მე პირის გემო დაკარგული მაქვს.

კაბინეტში

თამუნა — ძლივს არ დაგვანება თავი! სიკო პაპა, აქედან დავიწყებთ, მერე აი, იქით იმოძრავე! მსხვილი პლანით გადაიღე! კონსული რომ ჩაფიქრდება, თვალები გამოკვეთე!.. მაყურებელს ერთგვარი ინტიმური ფონი შევუქმნათ! იქნებ ბინა წინასწარ გადაგვეღო!.. ინტერიერით დავიწყებდით!

სიკო (*ბუზღუნებს*) — იქნებ ფეხსალაგიც გადამაღებინო!.. იმათი დედა ვატირე, რა ფირი გამიფუჭეს!

თამუნა — რაც გაფუჭდა, ვეღარ აღადგენ! გიჟები არიან...

სიკო — გიჟი მიუშვი ნებასა! არ მომწონს მე აქ ბევრი რამ! ისიც არ მომწონს, რომ შენ რაღაცა მოგწონს!

თამუნა (*სიცილით*) — ჩემო ეჭვიანო და ბრაზიანო სიკო პაპა!

სასადილოში

ლულუ — ხომ იცი, ჭირიმე, დღეს სამდივნოს სხდომაა! შეეცადე, არ გააჯავრო, კაი თვალით მოგვხედავს!

ემუ — რა უფლება აქვს ცუდი თვალით მოგვხედოს! ზედა ვართ გადაყოლილნი!

ლულუ — ნუ გაწიწმატდი, ჭირიმე, ქმარია შენი და საქმე ფერებაში აკეთებინე. ჭკუით უნდა აჯობო, ჭირიმე, ყველას! აი, მუნჯაძეს ვატყობ მერყეობას, ჟორა და კიკიტიაც არ მომწონს რაღაც...

ემუ — ჰო, ჩავაწვეთოთ ლაპარაკში...

კაბინეტში

სიკო (*სავარძელში გაიშოტება*) — კაი ყოფილა კონსულის სავარძელი, უკანალს არ გატკენს!

თამუნა (*კედლის სურათთან მიდის*) — ეს ბოცოს მამაა! იცი,

ვინ იყო? გამორჩეული კაცი წიწმატაურში! ისეთი წიწმატი მოჰყავდა, წელამდე წვდებოდა თურმე!

სიკო — სწორედ წიწმატმა შეუღიტინა, ალბათ, ცხვირაძეს ცხვირში, დააცემინა და იმპერიაც მოარღვია... ჰოპლა, დაგვენგრა თავზე!

თამუნა — მაგ სავარძელში რომ გამოჭიმულხარ, შემოვა ახლა დიადი ბოცო და ყურებით აგაყენებს!

სიკო — დიდი ამბავი! რა მოხდება, ორი წამით მაინც ვიგრძნო კონსულობის სიკეთე! ამ სავარძელში ეკალი რომ ამოდიოდეს, ბევრი კი არ მოინდომებდა შიგ ჩაჯდომას!

სასადილოში შემოდის ბოცო.

ბოცო (*ხელებს იფშვნეტს*) — ქალებო-ლამაზებო, ჩიტებო-ჩიტუნებო, აბა რითი უნდა ასიამოვნოთ თქვენი ბიჭი? (*ქვაბს თავს მოხდის, ჩასუნავს. უკმაყოფილოდ*) ისევ მაკარონის წვნიანია?

ლულუ — მოდი, ჭირიმე, აგერ დაბრძანდი!

ბოცო მაგიდას მიუჯდება. ლულუ მკერდზე ხელსახოცს ააფარებს და იქვე დგას. ემუს წვნიანი მოაქვს.

ემუ — ჩემი ხელით გავაკეთე, ჩემი ბიჭი, ისეთი კაი სუნი აქვს.

ბოცო (*ჭირვეულად*) — კაი სუნი! ყელში ამომივიდა ეს წყალწყალა მაკარონი!

ემუ (*წყენით*) — უკეთ არ მეხერხება! მზარეული მოგეყვანა ცოლად და ის გაგიკეთებდა!

ბოცო — ქალო, მზარეულის ცოლობა რად მინდა, ყველა მზარეული ჩემი არაა!

ემუ — უცხო კაცს ნამდვილად ვერ ვენდობით, ირგვლივ მტერი გვახვევია, შეუძლიათ სტრიქნინი ჩაგვიყარონ!

ბოცო — მირჩევნია, სტრიქნინი ვყლაპო, ვიდრე ეს უმარილო და უწიწაკო ბალანდა! მომაშორე აქედან!

ლულუ — ხომ ხარ კარგი ბიჭი, ჭირიმე! აბა, ერთი კოვზი გადაყლაპე!

ემუ — აბა, კიდევ ერთი კოვზი, ჩემი ბიჭი...

ბოცო — არ მინდა, მომეშვით!.. მეორე კერძს შევჭამ!

ემუ — ჩემი ბიჭი...

ბოცო — არა ვარ მე შენი ბიჭი და საერთოდ არა ვარ კარგი

ბიჭი!.. ეს რაა? ისევ მანანის ფაფა? ღმერთო, ამას რას გადავეყარე! ქალო, ხორცი არ იშოვება წკიპურტარიაში?

ემუ — მეშინია, ჩემი ბიჭი, არ დაგვწამლონ!

ლულუ — დიადი ბოცო გქვია, ჭირიმე, და პატარასავით კი წუწუნებ!

ბოცო — ხილი მაინც მოგეტანათ!

ემუ (*გახარებული*) — მოვიტანე, აგერ გარგარი! ოღონდ რბილი ნაწილი მე შევჭამე, შემეშინდა, მოწამლული არ იყოსთქვა... შენთვის კურკები შემოვინახე! დარწმუნებული ვარ, შიგ სტრიქნინი ვერ შეაღწევდა!

ბოცო — ქალო, კურკა ვყლაპო?

ემუ — არა, გენაცვალოს შენი ემუ, კურკას დავამტვრევ და გული ჭამე!

ბოცო — ოჰ, მამაჩემო, რად გამაჩინე, და თუ გამაჩინე, წიწმატაურში რად არ დამტოვე!

წამოხტება. ხელსახოცს მაგიდაზე დააგდებს. კაბინეტში აჩქარებით შევა. სიკო კედელთან აიძურწება. თამუნა დაბნეული დგას. ბოცო ამათ ვითომ ვერ ამჩნევს. მამის პორტრეტთან მივა და თეატრალურად შუბლზე ხელისგულს შემოირტყამს.

ოჰ, მამაჩემო, ძვირფასო მამიკო! წიწმატაურის მშვენებავ! რატომ გამაჩინე ამ ტანჯვისათვის?!

თამუნა (*ჩუმად*) — სიკო პაპა, ჩართე!

სიკო გადაღებას იწყებს.

ბოცო (*როლში შეიჭრება*) — თუ გამაჩინე, რად ჩამინერგე ჩემი ზურმუხტოვანი სამშობლოს — წკიპურტარიის სიყვარული. რატომ ამკიდე სამშობლოს გადარჩენის მძიმე მისია! ხომ შეგეძლო ჩემთვის უფრო მსუბუქი ტვირთი შეგერჩია. გავხდებოდი, მაგალითად, პოეტი! გავეჯიბრებოდი, მაგალითად, ჩემ შორეულ სულიერ ძმას შოთას! ხელახლა დავწერდი ნესტანისა და ტარიელის სიყვარულის ამბავს... ანდა პოეტურ ტურნირში გამოვიწვევდი უბადლო გალაკტიონს!.. განა მე ვერ დავწერდი, ვარდი სილაშიო! ჭკვიანი მებაღე ვარდს სილაში ჩარგავს? ხომ ჩამოჭკნა და ფოთლები დასცვივდა, სად წავა მაშინ მისი სილაჟვარდე!

თამუნა (*სიკოს*) — გაიგე რამე?

სიკო — ჩავიწერ და მერე დავამონტაჟოთ! ეს მონაკვეთი ამოსაღები გახდება!

ბოცო (*თვალებზე ხელს აიფარებს*) — ანდა აკადემიკოსობა არ ჯობდა? ჩავიკეტებოდი კაბინეტში, დავწერდი გენიალურ თხზულებებს! დავანგრევდი ფარდობითობის თეორიას! ბოლოს და ბოლოს მსოფლიოს მოვფენდი წიწმატის მოყვანის მოწინავე ტექნოლოგიას! შენ კი რა დამმართე, მამაჩემო! ფიცი დამადებინე!.. შვილოო, მითხარი, ჩვენს ბედკრულ წკიპურტარიას შენს გარდა ვერავინ გადაარჩენსო! ო, რა ძნელი საქმე მომისაჯე, მამაჩემო! გულკეთილი ანგელოზი ჩამაგდე მგლების ხახაში... ვაიმე, ვაიმე, მამაჩემო!

სასადილოში

ემუ — გაბრაზებული გავარდა! კაბინეტში ვინმე ელოდება?

ლულუ — ის გათახსირებული, ტინგიცა გოგო ტელევიზიიდან...

ემუ — დიდუ-უ! აქამდე რატომ არ მითხარი! ხომ გთხოვე, მარტო ნუ დატოვებ უცხო ადამიანებთან-მეთქი! ვინ იცის, მტერი საიდან მოგვეპარება!

შედიან კაბინეტში

რა ხდება აქ?

ბოცო (*ვითომ გამოფხიზლდება*) — ჰა, თქვენა ხართ? მეგონა, მარტო ვიყავი!

სიკო (*თამუნას*) — ხომ გინდოდა ინტიმი, ახლა ბლომად მიიღებ!

ლულუ (*ემუს ამშვიდებს*) — ჰო, კარგი, ჭირიმე, ნუ ნერვიულობ, რა გახდა ერთი ჯღანი გოგო!

თამუნა (*შეურაცხყოფილი*) — ბატონო კონსულო!

ბოცო — აჰ, უკაცრავად, ვერ შეგამჩნიეთ! ფიქრები ისე გამიტაცებს ხოლმე, ირგვლივ ვერაფერს ვხედავ! ქვეყნის გასაჭირი მაწვება მხრებზე, იმდენია საფიქრალი...

თამუნა (*თანაგრძნობით*) — დიახ, ბატონო კონსულო!

ბოცო — მაშ თქვენ უნდა ჩამომართვათ ინტერვიუ?

ლულუ (*ჩაეჩრება*) — ცოტა დაფიქრდი, ჭირიმე, როცა უპასუხებ!.. მუნჯაძე ამტკიცებს, ესენი სანდონი არიანო, მაგრამ თვითონ მუნჯაძე ვითომ სანდოა?

ბოცო — ახლა მუნჯაძეთი გამიხვრიტეთ ტვინი!

ემუ — არა, ჩემი ბიჭი, მუნჯაძეზე ცუდს არაფერს გეტყვით, თუმცა დღეს ცოტათი გული მატკინა, მაგრამ რა მოხდა, მე ხომ მხოლოდ კონსულის ცოლი ვარ, მეტი არაფერი, ის კი შენი თვალი და ყურია!

ბოცო — ახალი ამბავი, რითიღა გატკინა გული?

ემუ — თუნდაც ის რად ღირს, ჟურნალისტი გოგუშკა მოჰყავს და მე არ მითანხმებს! მინდოდა შენთან დარბაისელი მატრონა მოსულიყო, დიადი ბოცო ხარ, ვიღაც კიკიტია კი არა!

ბოცო — ახლა კიკიტიასაც მისწვდი! ქალო, ყველა უნდა გადამამტერო? კიკიტია ჩემი მარჯვენა ხელია!

ლულუ — კიკიტია მარჯვენა ხელია, ქურდი ჟორა — მარცხენა! ჩვენ ვინა ვართ — ფეხები?

ბოცო — ვიცი მე, ვინცა ხართ და ახლა მაცალეთ სტუმართან ლაპარაკი! (*თამუნას*) აქეთ მობრძანდი, ქალიშვილო! (*ემუს*) რას უწუნებ, მშვენიერი გოგონა ყოფილა!

ემუ — შენ ოღონდ ყმაწვილი გოგო ნახო და გადაირევი! მე ვინა ვარ? მე — არავინ!

ბოცო — შენ კონსულის ცოლი ხარ და უფლება არა გაქვს ეჭვით ჭიჭინაზე სკდებოდე!

თამუნა (*სიკოს*) — მოემზადე, აი, იმ კუთხიდან გადაგვიღე!

სიკო — აქამდე რაც გადავიღეთ, სულ ამოსაჭრელია, მუნჯაძე არ გაგვაშვებინებს!

თამუნა — ბატონო კონსულო! ჩვენ გვსურს გადავიღოთ ისეთი ფილმი, რომელიც წკიპურტარიის მოსახლეობასა და უცხოელ ტელემაყურებლებსაც დაუხატავს ჩვენი საყვარელი კონსულის პირად ცხოვრებას!

ბოცო — მოდი და დავუხატოთ, საყვარელო!

ემუ დემონსტრაციულად გადის სასადილოში.

ლულუ — მიიყვან, ჭირიმე, იმ ქალს გულის მანკამდე! (*გადის*)

თამუნა (*შემკრთალი*) — მაპატიეთ!

ბოცო — ყურადღებას ნუ მიაქცევ, ხატულა გოგო, ქალის ნერვები... ჰო, მკითხე, რაც გნებავს!

თამუნა — თქვენი მეუღლე მგონი გავაჯავრეთ!

ბოცო — არა უშავს, სტრიქნინს მიიღებს და დამშვიდდება!

ქალი კი არა, ვეფხვია! ხომ გახსოვს, ჩემი უფროსი ძამიკო შოთა ნესტან-დარეჯანს ვეფხვს ადარებდა. (*ოხრავს*) თუმცა ვერ წარმომიდგენია, გაანჩხლებულ ვეფხვს როგორ უნდა მოეფერო!

სასადილოში

ლულუ ფიცხი ხარ, ჭირიმე, და ამიტომაც ბრძოლას აგებ! ხუმრობაში უნდა ჩაგეგდო ქმრის სიტყვები, ხომ ხედავ, უბრალოდ ნერვებზე თამაშობს!

ემუ — მშვიდად ვუყურო, ჩემს თვალწინ როგორ ეკურკურება პირველსავე შემხვედრს?

ლულუ — ენას ძვალი არა აქვს, ჭირიმე! ახლა ჩუ!.. (*ჭუჭრუტანას ყურს მიადებს*)

ემუ — მე მიმიშვი, უკეთესი სმენა მაქვს!

ლულუ — მოითმინე, ჭირიმე, არც მე დავყრუებულვარ ჯერ!

კაბინეტში

თამუნა — სიკო პაპა, ჩართე! (*ბოცოს*) თქვენი უახლოესი გარემოცვა! ვინ არის, მაგალითად, მუნჯაძე?

ბოცო — მუნჯაძე ჩემი თვალი და ყურია! (*სიკოს*) შეწყვიტე გადაღება! ეკრანისათვის, რაცა ვთქვი, იგიც კმარა! ისე, შინაურულად თუ გინდათ გაგათვითცნობიეროთ, მუნჯაძე ერთი გაქსუებული მატყუარაა! ჩვეულებრივ პირაკრული მყავს, ბევრს არ ვალაპარაკებ, თორემ პირი თუ მოაღო, იმდენ სიცრუეს დაფქვავს, ტყუილების მთა დადგება! ხან ხორცი შემოაქვს წკიპურტარიაში, ხან ბრინჯი და კარაქი. გემები ყოველთვის გზაშია, კუჭში კი სიცარიელეა! აი, ეს არის მუნჯაძე!

თამუნა (*სიკოს*) — ჩართე! (*ბოცოს*) რას გვეტყვით ბატონ კიკიტიაზე?

ბოცო — კიკიტია ჩემი უპირველესი თანამებრძოლი და მარჯვენა ხელია! კიკიტიას გარეშე ჩვენი საქმე ნაბიჯითაც ვერ წაიწევს წინ! (*სიკოს*) მეწყვიტე გადაღება! (*თამუნას*) ჩემო ხატულა გოგო, შენ ისე მომეწონე, ვერაფერს დაგიმალავ. კიკიტია ერთი გაბერილი გომბეშოა, რომელსაც ჰგონია, რომ თუ ძალიან გაიბერება, უფრო მნიშვნელოვანი გამოჩნდება. აი, სეირი თუ გინდა! ერთხელაც იქნება, გასკდება და სუნი დადგება!

თამუნა (*სიკოს*) ჩართე! (*ბოცოს*) ბატონ ჟორაზე რა აზრისა ბრძანდებით?

ბოცო — ო, ბატონი ჟორა დიდი ადამიანია! იგი ჩვენი დროის არსენა ოძელაშვილია, მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს, ანდა პირიქით!.. ჰმ! (*სიკოს*) შეწყვიტე გადაღება! ჟორა ერთი გარეწარი ქურდია რა... ახალი ანეკდოტი თუ გინდათ! ჟორა ეუბნება კიკიტიას: კიკიტია, გადადექი თანამდებობიდან! ფული გაქვს, ოქრო გაქვს, ბრილიანტი გაქვს... რად გინდა თანამდებობა? კიკიტია გაკვირვებით ეკითხება: სადა მაქვს, ჟორა, ფული და ოქრო? ქურდი ჟორა ოხრავს: ეჰ, მაგი რო ვიცოდე!

იცინიან

თამუნა — სიკო პაპა, ჩართე!

ბოცო — ახალგაზრდავ, არ ჩათავდა მაგ კასეტა?

სიკო — ჯერ ბევრია!

თამუნა — ყურადღება! სამი, ორი, ერთი... ვიწყებთ! ბატონო კონსულო, თქვენი უპირველესი ადამიანური თვისებები!

ბოცო — საინტერესო კითხვაა, ბევრჯერ მიფიქრია ამაზე! მოგახსენებთ! ჩემი უპირველესი ადამიანური თვისებაა თავმდაბლობა და გულჩვილობა! ერთხელ შემწვარი თიკანი მომართვეს და საჯაროდ ვიტირე, ეს ბეკეკა რატომ დაკალით-მეთქი... დიახ!.. ეს ჩემი ბრალი არ არის, ბუნებით კეთილი დავიბადე! ამას ერთხმად აღნიშნავენ ჩემი ბიოგრაფები „მოგონებების“ სქელტანიან წიგნში, რომელშიც თავმოყრილია ჩემი ახლობლების, მეზობლების, ბაგა-ბაღისა და სკოლის ამხანაგების დაკითხვის ოქმები... იქ მოყვანილი ფაქტებიდან ბევრი რამ უკვე არ მახსოვს, მაგრამ საფუძველი არა მაქვს არ ვენდო იმათ ჩვენებებს, ვისაც ცხოვრების ერთადერთ ნათელ წერტილად ჩემთან ნაცნობობა დარჩათ... თქვენ წარმოიდგინეთ, დაბადებამდეც კეთილი ვყოფილვარ, ვცდილობდი, დედიკო ზედმეტად არ შემეწუხებინა და თურმე წიხლებს არ ვირტყმევინებოდი. დედამ იფიქრა, იქნებ ნაყოფი ცოცხალი აღარც არისო, ხანდახან იტყოდა, ნეტავი იმედი გამმართლებოდაო... დიახ! (*სიკოს*) კიდევ ბევრი ფირი დაგრჩა?

სიკო — ჯერ ბლომადაა!

ბოცო — ასეთი უსაშველო რა ჩადევი მაგ აპარატში?

თამუნა — სიკეთის პირველი გამოვლენა, რაც დაგამახსოვრდათ!

ბოცო — იცით, მე საოცრად თავმდაბალი ვარ და რაც არ მახსოვს, იმას ვერ დავიბრალებ! ჩემი ბიოგრაფები ამჟამად ამზადებენ კოლექტიურ მრავალტომეულს, სადაც აღინუსხება ყველაფერი, რაც გადამხდენია და რაც არ გადამხდენია! დიახ! ალბათ, გახსოვთ ლექსი, მელა რომ დედაჩიტს ემუქრება, ცულს მოვიტან ცუნცულასა, ხელეჩოს და წალდუნასაო, შეშინებულმა დედაჩიტმა ბარტყი გადმოუგდო, იმ უსინდისო მელამ კი, წარმოიდგინეთ, შესანსლა! ეს ლექსი რომ წამიკითხეს... (*ტირილის ხმაზე*) რომ წამიკითხეს, იმდენი ვიტირე, გავსკდი ტირილით... ძლივს მომასულიერეს!

თამუნა — მართლაც კეთილი ყოფილხართ!

ბოცო — კი, ეჭვი გეპარებოდათ?

თამუნა — არა, ეჭვი არა... რამე ცოდვა თუ გადევთ სულზე?

ბოცო — კი, კატა ჩამაკვდა ხელებში.

თამუნა — კატა?

ბოცო — ჰო, კატა! პატარა და უჭკუო ვიყავი. ჩვენს კატას ჭროღა თვალები ჰქონდა და ლურსმნით ამოვუჩიჩქნე...

თამუნა — ვაიმე, მერე?

ბოცო — აჩხავლდა, გადაირია, დამფხაჭნა... შემეცოდა და ყელში წავუჭირე...

თამუნა (*ჩურჩულით*) — მერე?

ბოცო (*მწუხარებით*) — დაიხრჩო!

თამუნა — რანაირი ხუმრობა გცოდნიათ!

ბოცო — არა გჯერათ? მე კი, ეჰ, ნუღარ გამახსენებთ, იმდენი ვიტირე... (*ტირილის ხმაზე*) ჩავბჟირდი...

თამუნა (*ხმაჩავარდნილი*) — სიკო პაპა, იღებ?

სიკო (*უკმაყოფილოდ*) — ესეც ამოსაჭრელი გაგვიხდება, ფირი გავაფუჭეთ!

ბოცო (*ცხვირსახოცით თვალებს იწმენდს*) — წადი, გენაცვალე, ახალი კასეტა ჩადევი!

სიკო — მაპატიეთ, ჯერ კიდევ საკმარისია!

ბოცო — წადი, გენაცვალე, მუნჯაძეს უთხარი, იმდენი კასეტა მოგცეს, რამდენის აწევას შეძლებ!

სიკო (*გახარებული*) — მართლა? ბოდიშს ვიხდი, გავალ, მუნჯაძეს დაველაპარაკები და მოვბრუნდები!

ბოცო — ნუ აჩქარდები, გენაცვალე, კისერი არ მოიტეხო, ნელა გაიარე!

სიკო — მაშ, წავედი, ახლავე დავბრუნდები! (*გადის*)

ბოცო — დიახ, ჩემო ხატულა გოგო...

თამუნა (*უხერხულად*) — ბატონო კონსულო...

სასადილოში

ლულუ — მოქმედების განვითარებამ, ჭირიმე, კულმინაციას მიაღწია!

ემუ — რას ნიშნავს კულმინაცია? მიმიშვი ჭუჭრუტანასთან!

ლულუ — სირცხვილია, ჭირიმე, კონსულის მეუღლემ ჭუჭრუტანასთან ჩაიკუზოს! როცა საჭირო იქნება, მოგიხმობ! (*ცდილობს ჭუჭრუტანაში შეიჭყიტოს).*

კაბინეტში

ბოცო — მე შენთვის, ხატულა გოგო, კონსული კი არა, უბრალოზე უბრალო კაცი ვარ! ისეთი მოსიყვარულე გული მაქვს, პირდაპირ ვდნები! მიყვარს ჩემი ხალხი, წკიპურტარიის მთელი მოსახლეობა, სათითაოდ ყველა, მუნჯაძე და კიკიტიაც კი, მაგრამ გამორჩეულად მიყვარს შენისთანა ყმაწვილი, ხატულა გოგოები! გული ვერ იტევს ამ სიყვარულს, სულ მინდა გეფერო და გეფერო (*ხელს წაატანს*).

თამუნა (*დაუძვრება*) — ბატონო კონსულო!.. უკაცრავად!.. ბატონო კონსულო!..

მაგიდის ირგვლის დარბის. ბოცო მისდევს.

ბოცო (*მკაცრად*) — სდექ!

თამუნა (*მოწყვეტით ჩერდება*) — ბატონო კონსულო!

ბოცო — კონსული თუ ვარ, როგორც უმაღლეს მთავარსარდალს, უფლება მაქვს გიბრძანო — „სდექ!“ და იერიშით დაგატყვევო!

ხელს მოხვევს. თამუნა უნებლიეთ სილას გაულაწუნებს.

თამუნა — ვაიმე, მაპატიეთ, ბატონო კონსულო! (*მაგიდის მეორე მხარეს გადაინაცვლებს*) ღვთის გულისათვის, მაპატიეთ!

სასადილოში

ლულუ — წინ, ჭირიმე, ზუსტად დროულია ჩვენი ჩარევა!

შეცვივდებიან კაბინეტში

ემუ — რა ხდება აქ?

ლულუ — ეტყობა, ჩვენს ბიჭუნას სისხლი აუდუღდა ძარღვებში!

ემუ (*ჭიჭყინით*) — ხომ ვეუბნებოდი მუნჯაძეს, პატარა გოგუშკებს ნუ გამოუშვებენ-მეთქი!

ბრუნდება სიკო

სიკო — ახალი კასეტა ჩავდე! დავიწყოთ?

ბოცო (*ნატკენ ლოყაზე ხელს ისვამს*) — მეგობრებო!.. გრძელდება გადაღება სატელევიზიო ფილმისა — „რესპუბლიკის კონსულის სადაგი დღეები“. უპირველეს ყოვლისა, თქვენი საყვარელი კონსული დიადი ბოცო მოგესალმებათ ყველას სათითაოდ, გკოცნით და გეხვევით! (*დარბაზს კოცნას უგზავნის).*

სურათი მეორე

კონსულის მისაღები. მაგიდა კვლავ ოთხ ნაწილადაა გაყოფილი.
თამუნა ჭკუასელი და სიკო პაპა.

თამუნა — თავგზა ამებნა! რაც გადავიღეთ, სულ გადასაყრელია, არადა, კარგი ჩანაფიქრი გვქონდა!

სიკო — რატომ? შენ ხომ ოჯახურ გარემოში გინდოდა დიადი ბოცო გეხილა. იხილე კიდეც და საინტერესო კადრები გადავიღეთ! მართალია, მუნჯაძე მაგას ეკრანზე არ გაგვაშვებინებს, მაგრამ უცხოური ტელეკომპანიები შეგვეხვეწებიან!

თამუნა — მერედა, მსოფლიოს წინაშე შევარცხვინოთ ჩვენი ქვეყანა?

სიკო — ჭეშმარიტებაზე დიდი ღირებულება არ არსებობს, ჩვენ კი ჭეშმარიტების მსახურნი უნდა ვიყოთ და სიმართლეს თვალი გავუსწოროთ! შენ გინდოდა ისეთი დიადი ბოცო გეხილა, როგორიც აქამდე წარმოგედგინა, იხილე კი ისეთი, როგორიც სინამდვილეშია! ამას ვერსად გაექცევი...

თამუნა — სიკო პაპა, მარტო რატომ დამტოვე? კაცი ხარ მაინც, შენი იმედი მქონდა!

სიკო — მე ხომ კონსულთან დაგტოვე, დიადთან! განა აქამდე მის სახელს არ იფიცებდი?

თამუნა — ნუ დამცინი, სიკო პაპა!

სიკო — მე დაგცინი? ოჰ, თამუნა, რომ იცოდე... (*თავს იკავებს*) ხომ არაფერი გაკადრა?

თამუნა (*მორცხვად*) — არაფერი! კაცია მაინც და შემეშინდა...

სიკო (*ცხარდება*) — კონსული არ ვიცი მე, თუ რამე გაწყენინა, მითხარი და ვუჩვენებ სეირს!

თამუნა (*შეშინებული*) — ჩუმად, გაიგებენ! არავის არაფერი უწყენინებია. დამშვიდდი!.. უკეთესია, ის მითხრა, რას ნიშნავს ეს შენი „ოჰ, თამუნა, რომ იცოდე...“

სიკო (*მუხლებზე დავარდება და ხელებს გაუწვდის*) — ოჰ, თამუნა...

თამუნა — ვაიმე, გაგიჟდი? ახლავე ადექი! შემოვლენ და დაგვინახავენ! ჩქარა, ეგერ მუნჯაძე მოდის!

სიკო წამოხტება, ტანისამოსს ისწორებს. შემოდის მუნჯაძე.

მუნჯაძე — შეგიძლიათ სამდივნოს სხდომა გადაიღოთ. შთამომავლობას უნდა შევუნახოთ ამ მოვლენის ამსახველი კადრები. იცით თქვენ, რომ ცენზურა არა გვაქვს, სიტყვის თავისუფლებაა, მაგრამ გადაღებულ ფირს ამ ოფისიდან ნუ გაიტანთ. უნდა შევამოწმო, რადგან ჩემ გარდა არავინ იცის, რა შეიძლება და რა არა!

ისმის დოლის ხმა. მუნჯაძე საცეკვაოდ შეიმართება. შემოდის მედოლე. მსუბუქად უკრავს.

მედოლე — ყურადღება! იწყება სამდივნოს სხდომა!

ცეკვით შემოდიან დაცვის ბიჭები და მდედრიონი. სამკუთხა მაგიდებს შეაერთებენ და გადიან. ასევე ცეკვით შემოდიან სამდივნოს წევრები, ერთ რიგად მწკრივდებიან და დოლის ტაქტზე ნარნარად ირხევიან. დოლის ხმა უცბად წყდება. ყველანი გახევდებიან.

ყურადღება! ბატონი წკიპურტარიის რესპუბლიკის კონსული დიადი ბოცო!

დოლს უფრო ენერგიულად შემოჰკრავს. ცეკვა-ცეკვით მოდის ამაყად თავაწეული ბოცო. ემუ და ლულუს მკლავებში

ხელები გაუყრიათ და ისინიც ბოცოს ილეთებს იმეორებენ. წყდება დოლის ხმა.

ბოცო — მეგობრებო!.. (*ექო გამოსცემს — „მეგობრებო!.. მეგობრებო!..“ დანარჩენი ტექსტი ამ ექოს ეფინება*) დღეს ჩვენი ქვეყნის ფრთახატულა ისტორიაში ერთი წინგადადგმული ნაბიჯი ჩაიწერება! აქ, ამ მრგვალი მაგიდის ირგვლივ უნდა ჩატარდეს სამდივნოს ისტორიული სხდომა. პირველი საკითხი: როგორ უნდა შემოვუსხდეთ ამ მაგიდას! ვფიქრობ, ვინც ვერ დაეტევა, დიდად არ გაგვინაწყენდება. მთავარია, მრგვლად დავსხდეთ!

მუნჯაძე — გადასაწყვეტია საკითხი იმის თაობაზე, ვინ უნდა მიუჯდეს მაგიდას და ვინ უნდა დაჯდეს მრგვლად!

ლულუ — ამას რად უნდა, ჭირიმე, ლაილაი! კონსული ხომ დაჯდება და დაჯდება! მე რომ ცოლისდა არ ვიყო, ქალი ხომ ვარ და ამოდენა მუტრუკებთან ჭიდაობას ვერ დავიწყებ! ვინც ჩემს სკამზე დაჯდება, ჭირიმე, შუბლში დავახლი და ის იქნება! ჭირიმე, შენი ჭირიმე!

ემუ — მე ჩემი სტატუსით მეკუთვნის ერთი ადგილი, რაკი კონსულის ცოლი ვარ. მართალია, ჩემი ქმრის ხელში მეტი არაფერი ვარ, მაგრამ ლამაზი კალიგრაფია მაქვს. ხელიც, რა თქმა უნდა! (*ხელს ჰაერში ნარნარად შეარხევს*)

ბოცო — მაშასადამე, სამი ადგილი დაკავებულია! დანარჩენი დასწრებაზე იყოს! აბა, გაემზადეთ!.. დადექით!.. ირგვლივისკენ!.. ერთი, ორი და სამი... მიდი!

დოლი აბრაგუნდება და იწყება ჭიდილი. ისმის ხმები: „ეს ჩემი სკამია!“ „შენი კი არა, ჩემია!..“ „გაიწი, ფეხზე ნუ დამაბიჯე!..“ „მუჯლუგუნებს ნუ ირტყმევინები!“ სიკო ამ სცენას იღებს, თამუნას მიკროფონი უჭირავს.

თამუნა — „კონსულის სადაგი დღეები“, ასე ეწოდება ჩვენს ტელეფილმს. ჩვენ ახლა მომსწრენი ვართ ამაღელვებელი სცენისა. იწყება წკიპურტარიის რესპუბლიკის სამდივნოს სხდომა, რომელსაც პირადად უძღვება კონსული დიადი ბოცო!

ამასობაში კიკიტიასა და ქურდი ჟორას გარდა ყველა ჯდება. თამუნა მიკროფონს უწვდის ბოცოს.

ბატონო კონსულო, სხდომის დაწყების წინ რას ეტყოდით წკიპურტარიის მოქალაქეებს?

ბოცო — მეგობრებო! ჩვენი უმთავრესი ამოცანაა, ვიაროთ ქრისტეს გზით და უარვყოთ ბარაბას გზა! რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ ჩავეხუტოთ ერთმანეთს! მე, მაგალითად, ვინმემ სილა რომ გამაწნას, მეორე ლოყას მივუშვერ, მიუხედავად იმისა, რომ კონსულიცა ვარ და თანაც დიადი! ეს ისე ჩავურთე, თავმდაბლობის ნიშნად. მე თქვენ ყველანი მიყვარხართ! აგერ ჩვენი ჩასუქებული კიკიტიაც კი გულის ფიცარზე მახატია! აგერ ჩვენი ჟორა, ჩვენი თანამედროვე არსენა ოძელაშვილი! იქნებ არ დამიჯეროთ, მაგრამ ოპოზიციაც მიყვარს! პოსლიკაძე რომ პოსლიკაძეა, თავზე ღერი თმა არ შერჩენია, ისიც ადამიანად მიმაჩნია! ესენი ხომ გზააბნეული კრავებია, ტყისკენ იყურებიან! ამიტომაც გემუდარებით, ამ კაცებს თუ ჰყავთ ნაცნობ-მეგობრები და ახლობლები, თავი დაანებონ აგენტობას და ღალატს. დიახ! ღალატი არავის შერჩება! მე ვაპატიებ, მაგრამ ჩემი საყვარელი ერი არ აპატიებს! ისევ და ისევ მოგიწოდებთ, უარი თქვათ ბარაბას გზაზე! გკოცნით და გეხვევით, თქვენი კონსული დიადი ბოცო!

კოცნას უგ ზავნის მაყურებლებს. მდივნები მსუბუქი ტაშით აჯილდოებენ.

კიკიტია — ასე ვიდგე მე?

ბოცო — ძალიან საწყენია, რომ ჩემი მარჯვენა ხელი კიკიტია დარჩენილა უსკამოდ!

ლულუ — მერედა, დროზე ვერ გააქნიე, ჭირიმე, უკანალი? სხვებმა ხომ მოასწრეს დაჯდომა! და საერთოდ, როგორ შეიძლება მსუქანი კაცი იყოს სამდივნოს წევრი, ხომ იფიქრებენ გადაჭამა ქვეყანაო!

კიკიტია (*მძიმედ*) — მოკეტე, დედაკაცო!

ლულუ — ხომ ხედავთ, რა შეურაცხყოფა მომაყენა მე, ემუს დას!

ემუ — რა თქმა უნდა, მე მხოლოდ კონსულის ცოლი ვარ, მეტი არაფერი, ყველა ვიგინდარას შეუძლია ფეხი დამადგას!

ჟორა — ბოცოუკა, აღვირი ამოსდე შენს დედაკაცებს, თორემ აქეთ ამოგდებენ აღვირს!

ბოცო — მეგობრებო, ნუ ვიკინკლავებთ! იმედია, ერთი სკამი მაინც მოიძებნება კიკიტიასათვის!

ემუ — ისედაც ძლივს ვეტევით, ლამის არის ერთმანეთს მუხლებზე შევასხდეთ!

კიკიტია — ჩაიწით, თორემ ამ მრგვალ მაგიდას დავაგორებ ასფალტის სატკეპნივით!

მდივნები — არიქა, ჩაიწით!.. ჩავიწიოთ!.. შევმჭიდროვდეთ!..

კიკიტია სკამს ჩააკვეხებს ბოცოს პირისპირ. მობღუნძული ჯდება.

მუნჯაძე — ღიად რჩება ჟორას სკამის საკითხი!

ლულუ — არა, ჭირიმე, მეტი სკამი ამ მაგიდის ირგვლივ ნამდვილად არ ჩაეტევა!

ჟორა — ბოცოია, მიცნობ მე შენ! სკამზე ძალითაც ვერავინ დამაწებებს! ამ მაგიდას რომ მივუჯდე, ისეთი ბორკილი დამედება, ციხეშიც რომ ვერ მოუფიქრებიათ! ეჰ, რას იზამ, ასეთია ქურდი კაცის ბედი! ჩემი ხალხი იქა ზის, მე აქ რანაირად დავჯდე?.. ბოცოია, გამოუშვი ამნისტია, თუ არადა, ერთი ტაბურეტი ჩემთვისაც მოიძებნება ციხის კამერაში!

ბოცო — სამწუხაროა, რომ ჩვენი თანამებრძოლი ჟორა ულტიმატუმის ენით გველაპარაკება! რას იტყვიან ამ საკითხზე სამდივნოს წევრები?

სიამტკბილობის მდივანი — ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო!

ჩალიჩობის მდივანი — ქურდის შემოსავალი გადასახადით არ იბეგრება და ჩვენს ბიუჯეტს აკლდება!

უჯარო სარდალი — ჯარი მე არა მყავს და ჟორას ჰყავდეს?

მიხაკების მდივანი — იქნებ ამნისტია ვქნათ, ჰა?

სიამტკბილობის მდივანი — ამნისტია რომ ვქნათ, უსაქმოდ დავრჩებით! ეს კაცი თვითონ გვეხვეწება, ჩამაჯინეთო, ვცეთ პატივი და ჩავაჯინოთ!

ამჩემფეხების მდივანი — ვფიქრობ, პატიმრის ბალანდა მაინცდამაინც ძვირი არ დაგვიჯდება!

ბოცო — მეგობრებო, დიდი გულისტკივილით უნდა აღვნიშნო, რომ თავის დროზე არსენაც იჯდა ციხეში. ქურდისა და ყაჩაღის ბიოგრაფიას ამშვენებს ციხეში ჯდომა. ჰუმანურობა გვკარნახობს, რომ ჩვენს ჟორას ავუსრულო წადილი!

ზევიდან გისოსები ჩამოეშვება და ჟორა გალიაში აღმოჩნდება.

ჟორა — ეე, რას შვებით, თქვე ჩემისებო, ეე!.. ვაცხადებ შიმშილობას!

სიამტკბილობის მდივანი — ისეთ ბალანდას მოგართმევენ, შიმშილობა გერჩიოს!

ბოცო — ეს უკვე პოლიტიკური პროვოკაციაა! ჩვენ არსენას ვადარებდით, ეს კი თურმე ღალატის გზას დაადგა! ჩვენი გუშინდელი მეგობარი ჟორა რაკი შიმშილობას აცხადებს, ვალდებულნი ვართ ჩვენც გავცეთ პასუხი! მე მოვუწოდებ სამდივნოს მთელ შემადგენლობას, პროტესტის ნიშნად, სამწუთიანი შიმშილობა გამოვაცხადოთ!

ამჩემფეხების მდივანი — ეუჰ, გავუძლებთ მერე?

მუნჯაძე — ჩვენი მხრიდან შიმშილობა მიზანშეუწონლად მიმაჩნია, ამით შეიძლება ჩვენი კიკიტიას ძვირფასი ჯანმრთელობა დაზარალდეს!

კიკიტია — თქვენ თუ გინდათ, იშიმშილეთ, მე კი ნუ გამაბრაზებთ!

ბოცო — ესე იგი, უმრავლესობა თანახმაა, ორია წინააღმდეგი! სამდივნოს სახელით ვაცხადებ სამწუთიან შიმშილობას! აბა, ავიშალენით!.. კედლის გასწვრივ დავწვეთ!.. ზედმეტი არ ვიმოძრაოთ, ენერგია არ დაგვეხარჯოს...

მედოლე მსუბუქად უკრავს დოლს. სამდივნოს წევრები კედლის გასწვრივ წვებიან. შემოგოგმანდება მდედრიონი.

გოგუცა — წყნარად, გოგოებო, მიმდინარეობს შიმშილობის პირველი წუთი! ვინმეს თუ მოსწყურდა, გამოხდილი წყალი მიართვით!

ნუნუკა — ჩვენი ძვირფასი კონსულიც შიმშილობს? წარმოუდგენელია!

ვერიჩკა — სასწრაფოს თუ გამოუძახეს?

ივლიტა — თუ ვინმეს გული შეუღონდება, ჩანთაში ვალიდოლი მაქვს!

სიკო გადაღებას აგრძელებს. თამუნა მიკროფონითაა.

თამუნა — ბატონო ჟორა, რა კომენტარებს გაუკეთებდით სამდივნოს წევრთა შიმშილობას?

ჟორა — მაგათ შიმშილობით რა დააკლდება, ისე არიან მოსუქებულნი, ვით საალდგომო კერატები!

გოგუცა — ნუ ხმაურობთ, მიმდინარეობს შიმშილობის მეორე წუთი!

მუნჯაძე — მოვითხოვ, შეწყდეს შიმშილობა! წინააღმდეგ შემთხვევაში პროტესტის ნიშნად პირს ავიკრავ! კიკიტია, ამიკარი პირი!

კიკიტია მუნჯაძეს ცხვირსახოცით აუკრავს პირს.

კიკიტია — მე კი მომშივდა და... (*კევს ღეჭავს*)

გოგუცა — მიმდინარეობს შიმშილობის მესამე წუთი!

ნუნუკა — ბატონო კონსულო, თქვენ შემოგევლეთ, ოღონდ თავს ნუ დაიღუპავთ! თქვენ მთელ წკიპურტარიას სჭირდებით!

ივლიტა — ბატონო კონსულო, ვალიდოლს ხომ არ ინებებთ?

ვერიჩკა — უმჯობესია პიტნის კამფეტი!

გოგუცა — დამთავრდა სამი წუთი!

ლულუ — გეყოფა, ჭირიმე, მართლაც ხომ არ დავიხოცებით!

ჟორა — ვაცხადებ მშრალ შიმშილობას!

ბოცო — იმედია, საზოგადოება სათანადოდ დააფასებს ჩვენს გმირულ ძალისხმევას! რაც შეეხება მუნჯაძეს, რომელიც განგვიდგა და პირი აღმაშფოთებლად აიკრა, ვფიქრობ, სამდივნომ ეს არ უნდა დატოვოს რეაგირების გარეშე!.. კენჭისყრაზე ვაყენებ საკითხს, ვინ არის მომხრე, რომ საფუძვლიანად ვისადილოთ?

სამდივნოს წევრები ხელს აწევენ. დოლის ხმაზე, ცეკვით, ასევე ხელაწეულნი სადილზე მიიკვანწებიან.

სურათი მესამე

იგივე სცენა. სამდივნოს წევრები კედლის გასწვრივ გამწკრივებულან. ბოცო აივანზე მუშტშემართული დგას. მოედნიდან ბრბოს ყიჟინი მოისმის — „ბოცო!.. ბოცო!..“ მდედრიონელები კარავთან დგანან და ბრბოს ხმას აყოლებენ.

ბოცო — მეგობრებო! (*ექოს გამოსცემს*) თქვენი კონსული თქვენთანაა! დღეს უნდა გაგახაროთ, მეგობრებო! ჩვენ მივიღეთ ცნობა, რომ გვცნო ლიმპოპომ, რომელიც, თუ არ ვცდები, აფრიკაშია! ვაშა, მეგობრებო!

ხმები — ვაშა!.. ბოცო!..

ბოცო — გვცნო, აგრეთვე, პაპუასების რესპუბლიკამ და ახლა ჩვენი საგარეო საქმეთა უწყება არკვევს, თუ სად არის ეს რესპუბლიკა! ვაშა, მეგობრებო!

ხმები — ვაშა!.. ბოცო!..

ბოცო — გვცნო მისმა უდიდებულესობამ მეფე ჯგირკოჩი მეთხუთმეტემ, რომელიც, მართალია, არ ვიცით, ვისი მეფეა, მაგრამ ჩვენი საგარეო საქმეთა უწყება ამასაც გაარკვევს ამ დღეებში! ვაშა, მეგობრებო!

ბრბოს ღრიანცელი — „ბოცო, ბოცო!..“ სტვენა - „ჟორა!“

თამუნა (*სიკოს*) — სიკო პაპა, კადრში ეს ქალებიც მოახვედრე!

გოგუცა — ჰო, გენაცვალე, გადაგვიღე, გადაგვიღე! გოგოებო, მივეშველოთ ჩვენს ჟურნალისტებს!

ივლიტა (*კამერაზე ხელს ააფარებს*) — არაფერი გამოგრჩეს!

სიკო ცდილობს გადაღებისათვის სხვა რაკურსი მოძებნოს.

ვერიჩკა — კარგად გადაგვიღე! წკიპურტარიაში სიტყვისა და პრესის სრული თავისუფლებაა!

კამერაზე მანდილს გადაუფენს. სიკო გაეცლება, ცდილობს გადაღება განაგრძოს.

ნუნუკა — ვოცნებობდი გადაღებაზე! აი, აქედან გადამიღე! (*კაბას წამოიხდის*)

სიკო (*ბრაზდება*) — ფირი კვლავ გამაფუჭებინეს! კადრში მხოლოდ ხელისგულები და რაღაც ნაჭრებია! ახლა კიდევ ამ დედაკაცის ნიფხავი...

თამუნა — იძულებული გავხდები, კონსულს შევჩივლო!

სიკო — მოიკლავს თავს!

ბოცო (*სიტყვას ამთავრებს*) — ახლა, ჩემო მეგობრებო, დაგემშვიდობებით, სამდივნოს სხდომას ჩავატარებ და საღამოს ისევ შევიკრიბოთ საინფორმაციო მიტინგზე. საიდუმლო უნდა გაგანდოთ, მანამდე შეიძლება ტმუტარაკანის რესპუბლიკამაც გვცნოს და მაშინ ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს!

შემობრუნდება და სამდივნოს წევრებს ჩამოუვლის. ბრბოს ხმაური მისუსტდება. ბოცოს წინ თამუნა გადაეღობება.

თამუნა — ბატონო კონსულო! გთხოვთ, მიაქციოთ ყურად-

ღება, რომ ეს მანდილოსნები გადაღების დროს ხელს გვიშლიან და ამით იზღუდება ჩვენი კონსტიტუციური უფლებები!

ბოცო — რა ვქნა, ხატულა გოგო, ამ ცუგრუმელებს ეს ზედმეტი სიყვარულით მოსდით და ამის გამო ხომ ვერ დავაპატიმრებთ? სიყვარულსა მალვა უნდაო, მაგრამ ესენი, ხედავთ, ვერ მალავენ! (*ქალებს*) მეგობრებო, მიეცით ჟურნალისტებს მუშაობის საშუალება! წკიპურტარიასა და მის კონსულს სიმართლისა არ ეშინიათ და თუ ვინმე ტყუილს გაბედავს...

მუქარით თითს უქნევს.

ივლიტა — რა ანგელოზია!

ვერიჩკა — ვენაცვალე!

ნუნუკა — ყველა დემოკრატზე უფრო დემოკრატია!

გოგუცა — გაუმარჯოს ჩვენს კონსულს! გაუ-მარ...

ქალები — ჯოს!.. ჯოს!.. ჯოს!..

ბოცო — ნუ გამაწითლეთ, ჩემო საყვარლებო!

ემუ — ჩემი ბიჭი! ზედმეტად უყადრებ თავს ამ ქალებს!

ლულუ — კონსული გქვია, ჭირიმე, თანაც დიადი! ჩემი დაიკო, ჭირიმე, ლამისაა დაჭკნეს დარდისაგან!

ბოცო — კონსული უნდა იყოს სიტყვის თავისუფლების გარანტი, მით უფრო, როცა ამ სიტყვას აგენტი და მოღალატე კი არა, ასეთი თვალუუჟუნა გოგონა ამბობს. აბა, ჰე, იწყება სამდივნოს მორიგი სხდომა და ტელეგადაღება!

სიკო და თამუნა ემზადებიან გადაღებისათვის.

მედოლე — ყურადღება! სამდივნოს სხდომისათვის მოე-მზა-დეთ!

თამუნა (*მიკროფონში*) — ძვირფასო ტელემაყურებლებო! ახლა თქვენ ხედავთ, თუ როგორ ემზადება წკიპურტარიის რესპუბლიკის უმაღლესი ხელისუფლება მორიგი სხდომისათვის! სხდომას გაუძღვება ბატონი კონსული დიადი ბოცო!

ბოცო — მეგობრებო, მე გაგიძღვებით, თქვენ მომყევით!

კაბინეტის წევრებს თავში ჩაუდგება და ცეკვით შემოუვლიან მრგვალ მაგიდას.

ირგვლივისკენ, ერთი, ორი!.. მიდი-ი!..

სკამებს მიცვივდებიან. კონსულის სკამზე კიკიტია აღმოჩნდება. ბოცო ფეხზე დგას. უხერხული მდუმარება.

კიკიტია — რა მოხდა, რა სიჩუმეა?

ბოცო — (*გაკვირვებული*) ე-ეი!

ლულუ — უკანალი ხომ არ გეწვის, ჭირიმე?

ემუ — სავარძელი მოეწონა და რა ქნას ახლა!

კიკიტია (*ყასიდად კვიროობს*) აჰ, ბოცოს სკამია? აბა, ჩემს სკამზე ვინა ზის?

თავჩაღუნული, თითქოს სარქენადო, მიიწევს თავისი სკამისაკენ, რომელზეც მიხაკების მდივანი დამჯდარა.

მიხაკების მდივანი (შეშინებული) — მეც შემეშალა! (*თავს წამოადგება ამჩემფეხების მდივანს*) თქვენ ჩემს სკამზე ზიხართ!

ამჩემფეხების მდივანი — ამჩემფეხებს თუ ვზივარ! ჩემს სკამზე ეგერ სიამტკბილობის მდივანი ზის!

სიამტკბილობის მდივანი — ჩემსაზე კი ჩალიჩობის მდივანი.

ჩალიჩობის მდივანი — ჩვენ აქ იმდენს ვიზამთ, რომ ჩხუბს გავაჩალიჩებთ! უმჯობესია კომპრომისი — თითო სკამით გადავიწიოთ!

გადაინაცვლებენ. ჩანს ყველას ეშინია, უსკამოდ არ დარჩეს.

ბოცო (*შვებით*) — უჰ, სამთავრობო კრიზისი დაძლეულია! მეგობრებო, ამ მცირე გაუგებრობამ კინაღამ სამდივნო შეინირა! წკიპურტარიის სახელით მადლობას ვუხდი ბატონ კიკიტიას, რომ კინფლიქტი არ გააღრმავა!

კიკიტია — ჩემი სკამი მაგარი მეჩვენება, ჯდომა მიჭირს!

ლულუ — ეგერ ჟორა უფრო მაგარ სკამზე დავსვით, ჭირიმე!

მოედნიდან თანდათან იზრდება ბრბოს ხმაური.

მუნჯაძე — ბატონებო! დღის წესრიგში სკამების საკითხი საერთოდ არ გვიწერია!

ბოცო (*მუნჯაძეს*) — ნუ გვასწავლი ჭკუას! მახსოვს პირაკრული იყავი, ახლა კი ყველაზე ადრე აჭიკჭიკდი!.. ბატონებო! განსახილველია ერთადერთი საკითხი — რა ვუყოთ ოპოზიციას?

მიხაკების მდივანი — ბატონებო! ოპოზიცია საჭიროა! ოპოზიცია რომ არ იყოს, ჩემი სამდივნო გაუქმდებოდა და თანამშრომლები, განსაკუთრებით მდივანი გოგონები, უმუშევრად დაგვრჩებოდნენ! ოპოზიციას უნდა მოვეფეროთ, თავზე ხელი გადავუსვათ, გამორჩეულად პოსლიკაძეს!

სიამტკბილობის მდივანი — უმჯობესია თავზე ჯოხი გადავამტვრიოთ, რა თქმა უნდა, კაკლისა!

ჩალიჩობის მდივანი — მოგვესმინა მაინც, რას ჩალიჩობენ!

იქნებ პენსია ეცოტავებათ, ჰა?

ამჩემფეხების მდივანი — ამჩემფეხებს! იყაყანონ რამდენიც უნდათ, პენსიას კი ვერავის წავუმატებ!

უჯარო სარდალი — სალდათში ვუკრათ თავი და ჯარიც გაგვიჩნდება!

მუნჯაძე — ბატონებო, ოპოზიცია ითხოვს...

ბოცო — მუნჯაძეს ენის ამოღების უფლება არა აქვს! გმირული შიმშილობის დროს განზე განგვიდგა და პირი აიკრა!

მუნჯაძე — მათქმევინეთ...

ლულუ — პოსლიკაძე სუკის აგენტია! ქოჩორაშვილი სუკის აგენტია! ცხვირაძემ რომ ცხვირი დააცემინა, ჭირიმე, თქვენ გგონიათ, მართლა იმპერიის დანგრევა უნდოდა? სურდო ჭირდა და იმიტომ დაამცხიკვა! ჭირიმე, შენი ჭირიმე!

მუნჯაძე — ბატონებო, მათქმევინეთ!..

ბოცო — ვფიქრობ, მუნჯაძე ჭკვიანურს ვერაფერს გვეტყვის. ამაზე მეტყველებს მისი გვარიც. მე მგონია, ის წკიპურტარიელი არც არის, რადგან წკიპურტარიაში შეუძლებელია ოდესმე მუნჯი დაბადებულიყოს! ყველა წკიპურტარიელი ჯანმრთელი, ახოვანი, ლამაზი და თავისი კონსულის ერთგულია. მუნჯაძემ კი პირი აიკრა და იყოს ახლა პირაკრული!

ჩალიჩობის მდივანი — ბრძნული გადაწყვეტილებაა!

დანარჩენი მდივნები უხმო ტაშს უკრავენ.

მუნჯაძე (*სასოწარკვეთით*) — ხალხი არა ხართ, მათქმევინეთ!

ემუ — დედაია, შეურაცხყოფასაც გვაყენებს, ხალხი არა ხართო, არ გაგიჟდება ადამიანი!

კიკიტია — ბოცოია, შენი დედაკაცები ნამეტანს ახურებენ! მაგათი კაპასობისაგან თავი ამტკივდა. ოპოზიციას კი დიდი არაფერი, ერთი-ორი სკამი უნდა მაგიდის ირგვლივ!

ემუ — როგორ იქნება, ჩვენ ძლივს ვეტევით!

კიკიტია — ქალები შინ გაგზავნე! ერთი სამზარეულოში შეუშვი, მეორეს ხელში ცოცხი მიეცი და ესეც შენი ორი ადგილი!

ემუ — დიდუ, რას ამბობს ეს კაცი!

ლულუ — ადრეც ვეჭვობდი, ჭირიმე, რომ კიკიტია სანდო არ არის, გათენდება ერთი დღე და მტრის წისქვილზე მიუშვებს წყალს-მეთქი!

ბოცო — ჩუმად!

ყველანი გაისუსებიან. გარედან ხმაური ხან ტალღასავით მოვარდება, ხან სუსტდება.

ჩემს ლამაზ წკიპურტარიას მძიმე დღეები უდგება! აქამდე ცხვარივით მშვიდი წკიპურტარიელი მოქალაქე გაცხარდა! დიახ, ყური მიუგდეთ, მოთმინების ფიალა აევსო!.. გუშინ თუ ჩუმად მედგნენ გვერდით, ცხვარივით წყნარად ძოვდნენ ბალახს, დღეს ყველამ ერთხმად დაიწყო ზმუილი — თავისი საყვარელი კონსულის სახელს გაიძახიან! მიუგდეთ ყური!

ისმის ხმები — „ბოცო! ბოცო! ბოცო!.. “ ხანდახან გაერევა „ჟო-რა!“

რა ხდება, მეგობრებო? ოპოზიციის კიბო გაუჩნდა წკიპურტარიას და მეტასტაზებმა სამდივნოშიც შემოაღწია... დიახ, მეგობრებო!

მუნჯაძე — მოვითხოვ, სათქმელი მათქმევინოთ!

ლულუ — როგორ კადრულობ, ჭირიმე, კონსულს რომ აწყვეტინებ!

ბოცო — დიახ, ხმა ღვთისა და ხმა ერისაო...

კიკიტია — იქ ჟორასაც იძახიან!

ემუ — ერთ დღეს დაგმარხეთ შენც და შენი ჟორაც!

უჯარო სარდალი — ვფიქრობ, თქვენი მეგობარი ჟორა კამათლის გაგორებაში უფრო ხელსწრაფია, ვიდრე პოლიტიკაში!

ჩალიჩობის მდივანი — მეჩვენება, რომ იგი ბუტუტიას რესპუბლიკის შპიონია!

სიამტკბილობის მდივანი — ხალხი დაიმშა და იმას გაიძახიან, ჟორას ნაქურდალი მაინც გვაჭამეთო!

ამჩემფეხების მდივანი — ამჩემფეხებს თუ დაიმშა!

ხმები გათანაბრდა — „ბოცო!“ „ჟორა!“

მედოლე — გარეთ ზღვა ხალხი იკრიბება!

მდედრიონი — მოდიან, მოდიან!..

შემოდიან გუგუჩი, გოგა და გიგა.

გუგუჩი — ბატონებო! ოპოზიციის მიტინგმა დეპუტაცია გამოგზავნა, ითხოვენ შემოშვებას!

ლულუ (*ბოცოს*) — სულ შენი ბრალია, ჭირიმე, გაათავხედე მტერი!

მუნჯაძე — ვითხოვ სიტყვას!

ბოცო — მეგობრებო, მივიღოთ თუ არ მივიღოთ?

კიკიტია — არ მიიღებ და რქებს დაგამტვრევენ!

ჩალიჩობის მდივანი — მოვუსმინოთ მაინც, რას ჩალიჩობენ!

ბოცო (*გუგუჩის*) — შემოუშვით! კარგად გაჩითეთ, ბომბი არ შემოაპარონ!

გოგუცა (*თამუნას*) — გადაღება შეწყვიტეთ, თორემ თმებს დაგაწიწკნი, შე გაფუჭებულო!

თამუნა — ქალბატონო, ეს არის თქვენი ინტელიგენტობა?

გოგუცა — ყველა ინტელიგენტი მოღალატეა! ჩვენ გვყავს ერთადერთი ნამდვილი ინტელიგენტი — დიადი ბოცო და მეტი საჭირო არც არის!

ივლიტა, ვერიჩკა, ნუნუკა — მოვიდნენ, მოვიდნენ!..

შემოდიან პოსლიკაძე, ქოჩორაშვილი და ცხვირაძე.

გუგუჩი — შეჩერდით! უსაფრთხოების სამსახურია! ხელები ზევით, ფეხები განზე! (*ტანისამოსს უჩითავენ*) შეგიძლიათ, გაიაროთ!

დაცვის ბიჭები კონსულის უკან დგებიან. მდედრიონის სამეული შემოსულებს მისცვივდებიან.

მდედრიონი — მოღალატევ! გამცემო! აგენტო! პოსლიკაძე, შე მართლა პოსლიკა! ქოჩორაშვილო, დაგაწიწკნი მაგ ბუნდღას! ცხვირაძე, შე ლოთო, გრიპიანო და გათახსირებულო!

ოპოზიციონერები ქალებს თავს დააღწევენ, მაგიდასთან მიდიან და კიკიტიას ზურგსუკან დადგებიან.

პოსლიკაძე — დღეს წკიპურტარიის სატახტო ქალაქ ქუნქულაში დიდი ამბები ხდება! ხალხი აღსდგა უზურპატორისა და დიქტატორის ბოცოს წინააღმდეგ! ჩვენი მოთხოვნებია: გაათავისუფლოთ პოლიტპატიმარი ჟორა! გამოგვიყოთ ადგილები, მინიმუმ სამი, მრგვალ მაგიდასთან! კანონი, რომლის თანახმად ბოცოს ეწოდა დიადი, ბატონმა კონსულმა საჯაროდ თავზე გადაიხიოს!

ლულუ — ჭირიმე, შენი ჭირიმე, ასეთი თავხედობა გაგონილა?

ბოცო — ბატონებო! მე თანახმა ვარ დავემორჩილო თქვენს მოთხოვნებს! დღესვე ბერად აღვიკვეცები მონასტერში, წყალსა და ორცხობილას ვიკმარებ! ვილოცებ თქვენი დაბნეული სულებისათვის! მე თქვენ არ მძულხართ, თქვენ მე ტყვიას მესვრით, მე ვარდებს დაგიბრუნებთ! დიახ!.. დიადი ბოცო ამიერიდან გახდება ბოცო თავდადებული!

ემუ (*ტირის*) — ჩემი ბიჭი, გული გაგიხეთქეს ამ სასიკვდილეებმა!

ლულუ — არ გადაირიო, ჭირიმე, არ გასულელდე!

ბოცო — მაგრამ, ძვირფასო მეგობრებო, როგორ მთხოვთ გავათავისუფლო თქვენთვის კარგად ცნობილი ჟორა, რომელმაც წინა კვირას ჯიბიდან კონსულის ჯამაგირი ამწაპნა! ან როგორ შემოუსხდებით მრგვალ მაგიდას, როცა თქვენ ოთხკუთხასა ხართ მიჩვეულნი. კანონი კი შემიძლია თავზე გადავიხიო, მაგრამ დიადი თუ ვარ, წყალშიც რომ გადავვარდე, მაინც დიადი დავრჩები!

პოსლიკაძე — ეს საკითხი რეფერენდუმზე გავიტანოთ!

მუნჯაძე (*ტირილის ხმით*) — მეც მათქმევინეთ!

ბოცო (*ყურადღებას არ აქცევს*) — ვთქვათ, გადავდექი! იცით, მერე რა მოხდება? აირევა მთელი წკიპურტარია! ქალაქი ქალაქს დასცხებს, სოფელი — სოფელს, ნათესავი — ნათესავს, მეგობარი — მეგობარს, ცოლ-ქმარი ერთმანეთს და შვილები — მშობლებს! ქუნქულას ერთი უბანი გადაეკიდება მეორეს და ზეცა თავზე ჩამოგვემხობა, რადგან მე დიადი ვარ და მხოლოდ მე მიჭირავს მხრებით ზეცის თავანი!

ყიჟინი — „ჟო-რა! ჟო-რა!..“

კიკიტია — გამიცვალე. ბოცოია, სკამი და დაინახავთ, თუ რამე ჩამოინგრევა!

ბოცო — ვხედავ, მტრები და მოღალატეები ფეხზე დამდგარან და ჩემს გადაყენებას ცდილობენ, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ეს მაგიდა ჩემი შეჭედილია და ერთ ფიცარსაც ვერავინ ააგლეჯს!

კიკიტია — ამ მაგიდას რომ ვჭედავდით, ბოცოია ჩემო, ლურსმანი და ჩაქუჩი მე მოვიტანე, ფეხები მუნჯაძემ მოარბენინა, ფიცრები კი ჟორამ აწაპნა ავეჯის ფაბრიკაში!

პოსლიკაძე — თუ ნებით არ დაგვთანხმდები, იძულებული გავხდებით, ძალით დავისაკუთროთ, რაც გვეკუთვნის!

კიკიტია — მე მუდამ სუსტის მხარეს ვიდექი!

ბოცო — კონსულს დაიცავს მისი წკიპურტარია! მეგობრებო, ვინც ჩემთანა ხართ, მომიდექით!

ბოცო მაგიდას ჩააფრინდება. ბოცოს წელზე ხელს ჩას-

ჭიდებს ემუ, ემუს ლულუ, ამას ჩალიჩობის, ამჩემფეხების, მიხაკების მდივნები, უჯარო სარდალი, დაცვის სამეული და მდედრიონი.

კიკიტია — ნებას არ მოგცემ, ხალხის დემოკრატიულ მოთხოვნებს წაუყრუო!

მაგიდის მეორე კიდეს ჩააფრინდება, ამას ჩაეჭიდება პოსლიკაძე, ქოჩორაშვილი, ცხვირაძე, მუნჯაძე... მაგიდას აქეთ-იქით ექაჩებიან. ისმის გაბმული „ააა!..“ მედოლე დოლს უკრავს. მოედნიდან აღწევს ხმები — „ბო-ცო!.. ჟო-რა!..“

სიამტკბილობის მდივანი — ბატონებო, პოლიცია ნეიტრალურია! ჩვენი ვალია, დავიცვათ წესრიგი და სიამტკბილობა, თქვენი ვალია, ენერგიულად გაუსწორდეთ ერთმანეთს!

თამუნა — სიკო პაპა, ჩვენ რა ვქნათ?

სიკო — რა დროს გადაღებაა, ლამისაა ბოცომ გაიმარჯვოს!

თამუნა — გული ორად გამეხლიჩა!

სიკო — ეჰ, თამუნა ჭკუასელო, ჭკუას ძალა დაატანე!

კამერას მიუგდებს და ოპოზიციონერებს ეხმარება.

თამუნა — ეჰ, მე მეგონა, ჩვენი ვალია პირუთვნელი ვიყოთ და ჭეშმარიტებას ვემსახუროთ, რადგან არაფერია სიმართლეზე ღირებული! (*თვითონ განაგრძობს გადაღებას*).

ბოცო — მედგრად, მეგობრებო, ცოტაც და მტერს დავამარცხებთ!

კიკიტია — თავს ნუ იზოგავთ, თორემ საცაა წაგვართმევენ!

მუნჯაძე — მეტი ღონე აღარაა!

კიკიტია (*სიკოს*) — ახალგაზრდავ, გავარდი და ჩემს ბიჭებს გადაეცი, ქურდი ჟორა დაიხსენით-თქო! შეამტვრიონ ციხის კარები!

სიკო გარბის. კვლავ ისმის ბრბოს ყიჟინა — „ააა!..“ თამუნა ავანსცენაზე გამოდის.

თამუნა — ხალხნო! რამ დაგაბრმავათ და დაგაყრუათ! გულგრილი მდუმარებით შორიდან უთვალთვალებთ, როგორ იღუპება ახალგაზრდა რესპუბლიკა! დღეს ხომ თქვენი ბედიც წყდება, ხალხო! იქნებ ვინმე თქვენგანმა გაბედოს და ფსიქიატრთა ბრიგადა გამოიძახოს!

ბრუნდება სიკო. უკან მოჰყვება ჟორა.

ჟორა — ბოცოუკა, ყი-ყლი-ყო-ო! გაიხსნა გისოსები და გადმოვფრინდი! მიყურე, რა დილა გაგითენო!

ჩაერთვებიან ოპოზიციონერთა მხარეს.

ბოცო — არიქა, არ გადაგვძალონ!

კიკიტია — მაგრად, ბიჭებო!

ჭახანს გააღენს. მრგვალი მაგიდა ორად გასკდება და აქეთ-იქით გადაყირავდება. მოჩხუბრები ძირს გაგორდებიან.

მედოლე (*დოლს ჩამოჰკრავს*) — დროა გავარდეს პირველი ტყვია!

მოქმედება მესამე

სცენის სიღრმეში ეკლესიაა, რომლის კედლები დაცხრილულია. გუმბათი გადმოღრეცილა და ჯვარი გადმოვარდნა ზეა. მაგიდის ნამტვრევები სცენას ორ ნაწილად ჰყოფს. ერთ მხარეს ბოცოისტებია, მეორე მხარეს — კიკიტისტები.

მედოლე (*დოლს მსუბუქად ურტყამს*) — გზაზე მიდის ერთი კაცი!

თამუნა (*მიკროფონით ხელში*) — რათა ერთი?

მედოლე — მაშ რამდენი?

თამუნა — ორი!

მედოლე — რათა ორი?

თამუნა — მაშ რამდენი?

მედოლე — სამი!

თამუნა — ძვირფასო ტელემაყურებლებო! თავდება კომედია, იწყება დრამა! (*გუგუჩის*) ბატონო გუგუჩი, მე თქვენს ხელში იარაღს ვხედავ!

გუგუჩი — მე ვიცავ წკიპურტარიის კანონიერ ხელისუფლებას!

თამუნა — და თქვენ შეძლებთ ესროლოთ თანამოქალაქეებს?

გუგუჩი — არა, დაიკო, წკიპურტარიელს ტყვიას ვერ ვესვრი! ისე, შესაშინებლად მიჭირავს!

თამუნა — სიკო პაპა!.. უკაცრავად, ბატონო სიკო, თქვენც იარაღი აგიღიათ!

სიკო — იძულებული ვარ, დავიცვა ადამიანთა კანონიერი უფლებები!

თამუნა — და ამისათვის თქვენ მზადა ხართ თანამოძმის სისხლი დაღვაროთ?

სიკო — ნუთუ მკვლელს ვგავარ? ჩემს თანამოძმეს ტყვიას როგორ ვესვრი? იარაღი მხოლოდ მოწინააღმდეგის დასაშინებლად მჭირდება!

თამუნა — გამიგონია, თუ თოფი მომართულია, ტყვიას თავისდაუნებურად ისვრისო!

გუგუჩი, სიკო — ოჰ, არა, არა!

თამუნა — ხედავთ, მაგიდა როგორ დაიმტვრა! უნდა მოვიდეს კარგი ხელოსანი, აკრიფოს ეს ნამტვრევები და შეაწებოს! მაგრამ სად არის ასეთი ხელოსანი? ანდა ვინ აცლის? ხალხმრავალმა მიტინგებმა ორად გახლიჩა წკიპურტარია! აქეთ ოპოზიცია იკრიბება! (*ისმის ხმები — „კიკიტია!“ „ჟორა!“*) იქით დიადი ბოცოს მომხრეები! (*ხმები — „ბოცო! ბოცო!..“*) საშიშროებით იმუხტება ყოველი წუთი... გონიერება თუ გადაარჩენს წკიპურტარიას!

კიკიტისტები

პოსლიკაძე (*მუნჯაძეს*) — თუ ძმა ხარ, გამაგებინე, მათქმევინეთ, მათქმევინეთო, რომ იძახე, ისეთი რა უნდა გეთქვა?

მუნჯაძე — რა უნდა მეთქვა და... მე ვიცი, რაც უნდა მეთქვა! უფრო სწორად, ვიცოდი, რაც უნდა მეთქვა...

პოსლიკაძე — მერე, მერე?

მუნჯაძე — ვიცოდი, მაგრამ დამავიწყდა! ახალი სამდივნოს გამგედ თუ დამნიშნავთ, გამახსენდება!

ქოჩორაშვილი — როგორ ფიქრობთ, ბოცოს მართლაც მოვერევით?

ცხვირაძე — ცოტა ნაადრევად ხომ არ წამოვიწყეთ ეს ბუნტი? რაღაც ცხვირში მიღუტუნებს, ლამის არის დავამცხიკო!

მუნჯაძე — ცხვირის დაცხინკებით დიად ბოცოს ვერ მოვერევით. იცოცხლეთო, შემოგვიძახებს და ამით დამთავრდება ყველაფერი! ბოცო მძიმედაა შეიარაღებული ვარდებითა და მიხაკებით. ჩვენ სასწრაფოდ უნდა ვიშოვოთ ზარბაზანი, თორემ ბოცომ პირველად თუ დაგვიწყო მიხაკების სროლა, იცოდეთ, შუბლს გაგვიხვრიტავს!

ცხვირაძე — ზარბაზნად ჩვენი პოსლიკაძე გამოგვადგება!

მედოლე მარშს ჩამოჰკრავს. კიკიტია ცდილობს მხედრული წესით გაიაროს, მაგრამ ფეხი ერევა. ქურდი ჟორა დარდიმანდულად მოდის.

კიკიტია — რა უფლება აქვს, გვესროლოს! არჩევნებში ხმა მივეცით და ახლა უნდა გვესროლოს? ის ვალდებულია თავის ამომრჩევლებს მოუთმინოს, მე კი ვალდებული ვარ მისგან მისი ამომრჩევლები დავიცვა!.. თუ გვესროლა და არ გავიქეცით, მაშინ ჩვენს მოვალეობას ბოლომდე შევასრულებთ!

ჟორა — ბოცოუკას გავექცე, ბიჭო, მე? მესვრის და მივუშვერ პარაბელუმს! ეგეთები მიქნია?

მუნჯაძე — შევეცადოთ, კონფლიქტი მშვიდობიანად მოვაგვაროთ! ისე უნდა ვესროლოთ, თმის ღერიც არავის დაუვარდეს და ქუნქულაში ფანჯრის შუშაც არ გაიბზაროს!

ჟორა — თუ დედაქალაქი შემოგვენგრა, ახალს ავაშენებთ. მთავარია, ბოცოუკა ლამაზად გავკოჭოთ და პარაშასთან დავსვათ!

პოსლიკაძე — ბატონებო! ყველაფერი წინასწარ უნდა გავითვალოთ! მოვიაზროთ, რა იქნება უკეთესი და რა იქნება უარესი? თუ ბოცოუკა გავაგდეთ და ჩვენ გავბოცოუკდით, მაშინ ხომ გვიგულავია და გვიგულავია, მაგრამ თუ ვერ გავაგდეთ, ომი მოხდება! ომი, ბატონებო, ორნაირად მთავრდება, ან მოვიგებთ, ან არა! თუ მოვიგეთ, ხომ გვიგულავია და გვიგულავია, თუ წავაგეთ, მაშინ ორი გამოსავალი დაგვრჩენია, ან ცოცხლები დავრჩებით და მოვცოცხავთ, ანდა დავიხოცებით... თუ მოვცოცხეთ, ხომ გვიგულავია და გვიგულავია, მაგრამ თუ დავიხოცენით... (*პირჯვარს იწერს*) ან სამოთხეში მოვხვდებით, ან ჯოჯოხეთში... თუ სამოთხეში მოვხვდით, ხომ გვიგულავია და გვიგულავია, მაგრამ თუ ჯოჯოხეთში მოვხვდით, მაშინ ან ეშმაკი შეგვჭამს ან არა... თუ არ შეგვჭამა, ხომ გვიგულავია და გვიგულავია, თუ შეგვჭამა და...

კიკიტია — სდექ!

ჟორა — შენ თუ შეგჭამა, კი ვიცი, მაქედან რაც გამოვა!

კიკიტია — ბიჭოს! არ გამიხეთქა გული? მუხლები ამიკანკალდა და მომშივდა კიდეც! (*კევს ჩაიდებს პირში*)

თამუნა (*მიკროფონით*) — ბატონო კიკიტია! თქვენ ოპოზიციას ჩაუდექით სათავეში, არ გაშინებთ ასეთი პასუხისმგებლობა?

კიკიტია — მაშინებს და მეტი არა! მართლაც რომ ტყვია მომხვდეს, რას შვები მერე! თუ დავიჭერი, ხომ მეტკინება, თუ მომკლეს, მთლად უარესი!

ჟორა — მაგას ნუ იტყვი, კაია კაი ქელეხი!

კიკიტია — მე ვიცი, ვისი ქელეხია კაი! ხომ ვეუბნებოდი, ნუ გამაბრაზებთ-მეთქი, ახლა უყარონ კაკალი!

თამუნა — ვთქვათ, გაიმარჯვეთ და დიადი ბოცო გადააყენეთ...

ჟორა — მერე ტორტის ნაჭერს ვერ მივუჯდებით თუ! ბოცოუკას რომ წავაწვენ პარაშასთან, მიყუროს მერე შორიდან!

თამუნა გამოდის ავანსცენაზე.

თამუნა — ძვირფასო ტელემაყურებლებო! ჩვენი დედაქალაქის ქუნქულას ქუჩებში კვლავ ხალხმრავალი მიტინგებია! ასი ათასი კიკიტისტი შეკრებილა და მოითხოვს დიადი ბოცოს გადაყენებას!

ისმის ყვირილი — „ბოცოუკა, ძირს!..“

ასი ათასი ბოცოისტი კი შეკრებილა სასახლის წინ და ცდილობს დაიცვას თავისი კონსული!

ხმები — „ბოცოს გაუმარჯოს! ჯოს!.. ჯოს!..“

გუგუჩი (*გიგას და გოგას*) — ფრთხილად, ბიჭებო! (*მდედრიონს*) ფხიზლად, ქალებო!

გოგუცა — მტერს მარტონი ვეყოფით, გოგოებო! ვინც ჩვენს დიად ბოცოს თითს დააკარებს...

ივლიტა — გავსრისავთ ჭიასავით!

ვერიჩკა — დავკაწრავთ!

ნუნუკა — ტანზე შემოვახევთ...

ტელეფონი რეკავს.

გოგუცა — ალო! ქალბატონი ემუ ბრძანდებით? აჰ, ქალბატონი ლულუ? ჩვენს მხარეს სიმშვიდეა! მტერი თუ გამოჩნდა, მკერდით შევეგებებით!

შემოდის მიხაკების მდივანი.

მიხაკების მდივანი — ვაი-მე-ე! საით წავიდე-ე! ვინ გაიმარჯვე-ებს?

ბოცო, ემუ, ლულუ, სამდივნო. მდივნები ჩემოდნებით და ზურგჩანთებით არიან.

ბოცო (*მიხაკების მდივანს*) — სადა ხარ ჩემო მრჩეველო და ჭკუისმასწავლებელო?!

მიხაკების მდივანი (*ხელებს იფშვნეტს*) — ახლავე-ე!

ლულუ — ჭირიმე, შენ თუ მაგის ტვინის იმედითა ხარ...

ბოცო — ხომ კარგად გაიგონე, რას ითხოვს ჩემგან ოპოზიცია? თუ იცი გამოსავალი?

მიხაკების მდივანი — ოთხნაირი ვარიანტი დავამუშავე!

ბოცო — აბა, პირველი მომახსენე!

მიხაკების მდივანი (*იწმაწნება*) — თქმა მიჭირს, მაგრამ მტერი უნდა გაჟუჟო!

ბოცო — სამხედრო ძალა თუ არ მეყო?

მიხაკების მდივანი — მაშინ მოვურიგდეთ!

ბოცო — მოვურიგდე? კიკიტიასა და ჟორას? არასოდეს!

მიხაკების მდივანი — გადადგომას, ცხადია, არ ინებებთ!

ბოცო — ისევ გადადგომა? შენც ამას მეუბნები?

მიხაკების მდივანი — პირიქით, გეხვეწებით, რომ არ გადადგეთ!

ბოცო — უშენოდაც ვიცი, გადავდგე თუ არ გადავდგე! შენ მეოთხე გამოსავალი მიკარნახე!

მიხაკების მდივანი — მეოთხეს კარნახს აზრი არა აქვს, ბატონო კონსულო, იგი თავისთავად მოგვადგება კარზე!

ემუ — უყურე ამას, გულს განგებ გვიხეთქავს!

ლულუ (*მიხაკების მდივანს აგრესიულად*) — რას მიედ-მოედები, ჭირიმე! გადადექი და გადმოდექი! უკანალს ნუ ათამაშებ, ჭირიმე, დააყენე შენთვის! ჭირიმე, შენი ჭირიმე!

მიხაკების მდივანი (*თითქოს დაპატარავდაო*) — ქალბატონო ემუ! ქალბატონო ლულუ! (*ჩურჩულით*) დიად ბოცოს გაუმარ-ჯოს!

ბოცო — უნდა გამიმარჯოს, მაშ როგორ! მთელი წკიპურტარია ჩემზე ლოცულობს და რატომ არ გამიმარჯვდება! აგერ ჩემთან არიან ჩემი ერთგული მდივნები! ბატონო სამდივნოს წევრებო, ვინაიდან და რადგანაც მაგიდა დაგვემტვრა, სამდივნოს ფეხზედგომელა სხდომას გახსნილად ვაცხადებ! დრო ბევრი არა გვაქვს, ამიტომ აზრი გამოვთქვათ მოკლედ და ბუნდოვნად! აბა, ვინ დაიწყებს? ბატონო სიამტკბილობის მდივანო!

სიამტკბილობის მდივანი — ჩვენი პოლიცია და უშიშროება პოლიციისა და უშიშროების მხარესაა! როცა ქვეყანას საშიშროება მოელის, ჩვენი ვალია თავი უშიშრად ვიგრძნოთ. ჩვენ პოლიტიკაში ვერ ჩავერევით, ჩვენ საქმე გვაქვს ქურდთან, რო-

მელთანაც იოლია „დურაჩკას“ თამაში. სპორტის ამ სახეობაში ისე გავიწაფე, მიმიწვიეს „დურაჩკას“ მსოფლიო ჩემპიონატში, მონტე-კარლოში. იმედია, იქ მე დიდ სახელს მოვუხვეჭ ჩვენს საყვარელ წკიპურტარიას. თქვენ აქ იბრძოლეთ, მე კი — იქ!

ბოცო — ბატონო ჩალიჩობის მდივანო!

ჩალიჩობის მდივანი — ბატონო კონსულო! მე იმდენი ვიჩალიჩე, მოსავლის ასაღებად ტიმბუქტუში უნდა გავემგზავრო! ვინძლო, გადაგაყენეს, იქ გელით სულით და გულით, გაშლილი ხელით!

ბოცო — ბატონო სარდალო!

უჯარო სარდალი — ბოცო, გეთაყვა, მე ხომ ჯარი არა მყავს, ჩემი ხელფასით ორ კილო შუშა კიტრს თუ ვიყიდი! აგერ, ავეკიდები ჩალიჩობის მდივანს, იქნებ სუფრიდან ფინჩხი მაინც მომიყაროს!

ბოცო — ბატონო ამჩემფეხების მდივანო!

ამჩემფეხების მდივანი — შრომის კანონმდებლობის თანახმად, რასაც თვითონ დიადი ბოცო აწერს ხელს, შვებულებამ მომიწია და მზადა ვარ დაღლილი ნერვები ბაჰამის კუნძულებზე დავასვენო!

წასასვლელად ჩამწკრივდებიან.

როგორც დიადი ბოცო ბრძანებს, ირგვლი-ვის-კენ!

თამუნა (*მიკროფონით*) — ბატონო მდივნებო, საით გაგიწევიათ?

მდივნები (*გარდა მიხაკების მდივნისა, წამღერებით*) — ემიგრა-ცია-ში!

მატარებლობანას თამაშის სტილით გადიან. ისმის ბორბლების ხმაური და მატარებლის შეკივლება.

თამუნა (*ბოცოს*) — გემი როცა იძირება, პირველნი ვირთხები გარბიან!

ბოცო (*თითქოს გამოფხიზლდაო*) — აჰ, შენა ხარ, ხატულა გოგო? შენ ფიქრობ, ჩემი გემი იძირება?

თამუნა — გადადექით, ბატონო კონსულო, ამით ქვეყანას სისხლისღვრას ააცილებთ!

ბოცო — გადავდგე? იქნებ მართლაც გადავდგე, ჰა?

ემუ — იცოდე, თავს მოვიკლავ!

ბოცო — მოიცა, ქალო! წავალ, სადმე მონასტერში განვმარტოვდები! გენიალურ ლექსს დავწერ! ვარდი სილაში — სილაჟვარდე... ანდა ფარდობითობის თეორიას შევიმუშავებ... ან უბრალოდ შექსპირს ვთარგმნი სუახილის ენიდან ინგლისურად, ჰა...

თამუნა (*დაბნეულად*) — დიახ, ბატონო კონსულო!

ემუ — ჭკუა გიღრძო ხომ ამ გოგუშკამ! იქნებ მტრის შემოგზავნილია და იმიტომ გეუბნება ასე. ჩემი კი სიტყვაც არა გჯერა! წავალ ახლავე და სტრიქნინს დავლევ!

ლულუ — ჭირიმე, შენი ჭირიმე! გასულელდები, ჭირიმე, და საგიჟეთში გიკრავენ თავს! აბა, წკიპურტარიაში ვინ სულელი გადამდგარა, ჭირიმე! ვაჟკაცი ხარ და ვაჟკაცურად მოიქეცი. ავიღოთ ფიშტო და ისე გადავუაროთ, ასფალტზე დავტკეპნოთ! შენ ნუ შეშინდები, ჭირიმე, ერთი რომ შევუძახო, მილეთის ბიჭები მოცვივდებიან და ქვას ქვაზე დაადუღებენ!

ბოცო — მართლა? მოვლენ? მააშ!

თამუნა ავანსცენაზე გამოდის.

თამუნა — ძვირფასო ტელემაყურებლებო! წკიპურტარიის რესპუბლიკის სატახტო ქალაქ ქუნქულაში დაძაბულობა კულმინაციას აღწევს! არ ცხრება მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლები!

ხმები — „ძირს ბოცოუკა!“ „გადადექი, გადადექი!“

მაგრამ არ იკლებს მთავრობის დამცველთა რიგებიც!

ხმები — „ბოცოს დიდება!“ „არ გადადგე, არ გადადგე!“

საზოგადოება გაიხლიჩა ბოცოისტებად და კიკიტისტებად!

მოწინააღმდეგე მხარეებს სცენა ორ თანაბარ ნაწილად უპყრიათ.

მუნჯაძე — ჩვენ კვლავ მზადა ვართ მოლაპარაკებისათვის! პირველი და უმთავრესი პირობა ის არის, რომ ჩემი სათქმელი შემახსენონ და მათქმევინონ კიდეც!

მიხაკების მდივანი — მუნჯაძე, შე ცუდო! ლაპარაკის მეტი რა გიკეთებია. წინასწარ ვიცით, რასაც იტყვი!

კიკიტია — მოლაპარაკება კაია, მაგრამ ამისათვის საჭირო თაიგულები უმჯობესია დროულად მოვიმარაგოთ!

ჟორა — ისეთი თაიგული გვინდა, ბოცოუკას რომ ვესვრი, თავი კვახივით გაუსკდეს!

ლულუ — მზად თუ ვართ, ჭირიმე? იარაღი ხომ უნდა მოგვემარაგებინა თავდაცვისათვის!

ბოცო (*მიხაკების მდივანს*) — გვაქვს საკმარისი ამუნიცია?

მიხაკების მდივანი — დაკრეფილი გვაქვს ენ რაოდენობის მიხაკი! მოწინააღმდეგე, ვფიქრობ, ვერ მოგვერევა!

ბოცო — რაკი მტერი სუსტია, ჩვენ კი ძლიერები ვართ, მტერი მაინც მტერია და არ გვემეტება, ამიტომ მზად უნდა ვიყოთ იმისათვის, რომ მოწინააღმდეგეს თავი მოფერებით გავუტეხოთ. საერთოდ მე კეთილი და გულჩვილი ადამიანი ვარ, ვერ ვიტან ძალადობას, რა თქმა უნდა, თუ თავს ძალით არ შემომალახავენ!

კიკიტია — მთელი არსებით ვიღვაწოთ მშვიდობისათვის, ერთი თოფიც არ უნდა გავარდეს, ერთი ბოცოისტიც არ უნდა დაშავდეს! ბოცოიას იმის ტვინი თუ ეყო, რომ სკამი დამითმოს, არაფერიც არ მოხდება!

მიხაკების მდივანი — ბატონო კიკიტისტებო! თქვენ უნდა იყოთ კონსტრუქციულნი. უფლება გაქვთ, გვაკრიტიკოთ, შენიშვნები მოგვცეთ, მერე შინ წახვიდეთ და მშვიდად იძინოთ, სანამ კარზე დაგიკაკუნებდეთ! თუ მართლა აგენტები და მოღალატეები არა ხართ, თქვენივე ფეხით, მშვიდობიანად, მოქალაქეობრივი რწმენით, აღტაცებულ ბოცოისტთა ტაშის გრიალში, შეხვალთ ციხეში და ჩაჯდებით, სანამ დიადი ბოცო ამნისტიის კანონს ან გამოსცემს, ან არა!

ჟორა — ბოცოკუა, სულ რომ ჟღურტულებ, სამშობლო მიყვარსო, გადადექი და წადი მონასტერში!

ბოცო — ბუნებამ თავმდაბალი გამაჩინა. თუ საჭიროა, გადავდგები კიდეც, მაგრამ ჩემი მრავალრიცხოვანი მომხრეები კალთას მახევენ, ნუ გადადგებიო და კალთის შემოხევას, ისევ დიად ბოცოდ დარჩენა მირჩევნია! მე ერის ნებას ვასრულებ, რადგან ვინც ჩემი მომხრეა, ის არის ჭეშმარიტი ერი, ვინც ჩემი მოწინააღმდეგეა — ის მოღალატეა, მოღალატე კი ღირსია იმისა, რომ ქუნქულადან და მთელი წკიპურტარიიდან გავაძევოთ!.. ცოცხით გამოვგვით ჩვენს სამშობლოს და მივიღებთ ნამდვილად დაგვილ-დასუფთავებულ წკიპურტარიას... გაუმარჯოს, მეგობრებო, ისეთ წკიპურტარიას, სადაც არც ერთი მოღალატე არ იქნება!

ბოცოისტები — ვაშაა!

მუნჯაძე — ბატონებო და მატრონებო! პირსისხლიანი დიქტატორი, არცთუ მაინცდამაინც დიადი ბოცო, ანუ როგორც ჩემი მეგობარი კიკიტია იტყვის — ბოცოია, ანდა როგორც ჩემი არანაკლები მეგობარი ჟორა იძახის — ბოცოუკა, ყურს არ უგდებს ჭეშმარიტად თავისუფლებისმოყვარე წკიპურტარიელების ხმას და აჰყოლია ერთი მუჭა ბნელზე ბნელი, მთლად ჩაბნელებულ ბოცოისტთა ნებას, რომლებიც ტაშს უკრავენ და დიმპიტაურის ხმაზე აცეკვებენ!.. ბატონებო და მატრონებო! იმისათვის, რათა ბნელ გონებაში შევიტანოთ სინათლე, საჭიროა ჩვენი დემოკრატიული მიტინგი შევუერთოთ იმათ არადემოკრატიულ მიტინგს. რაკი ბევრნი ვართ, მივაწვეთ ღონივრად და დემოკრატიულად, ისინი, იმედია, დაგვხვდებიან უღონოდ და არადემოკრატიულად... აბა, ჰე!

ერთი მხრივ კიკიტისტები, მეორე მხრივ ბოცოისტები მიიწევენ ბარიკადისაკენ. ისმის დოლის გამამხნევებელი რაკუნი.

ბოცოისტები — დიდება ბოცოს! ძირს მოღალატეები!

კიკიტისტები — ძირს ბოცოუკა! გადადექი, გადადექი!

ამათ შორის, ბარიკადზე თამუნა ჭკუასელი დგას.

თამუნა — შეჩერდით! ახლა აქ სისხლი დაიღვრება!

ლულუ (*მიხაკების მდივანს*) — ესროლე, ჭირიმე, რას ელოდები!

სიკო — ჩამოდი, ჩამოდი, მოგხვდება!

მიხაკების მდივანი მიხაკს ესვრის, კიკიტია — ვარდს. ხმა ტყვიის გასროლასა ჰგავს.

თამუნა (*კვნესით*) — ვაიმე, დედა!

გადმოვარდება, მაგრამ სიკო მიეჭრება და გოგონა მის მკლავებში აღმოჩნდება.

სიკო — ოღონდ არ მოკვდე, გენაცვალე, ოღონდ არ მოკვდე!

წუთიერი მდუმარება. უცებ აყაყანდებიან.

კიკიტია — ჩვენ არ გვისვრია, ეს ბოცოიამ ისროლა!

ბოცო — ჩვენი მხრიდან არავის უსვრია, ეს კიკიტიამ სტყორცნა!

ჟორა — ბოცოუკას სინდისზეა ეს წმინდა მსხვერპლი! თამუნა ჭკუასელი წკიპურტარიელთა ნამუსი იყო... დასცხეთ მკვლელებს!

ბოცო — წკიპურტარიის საქალეთში ყველაზე ხატულა გოგო მოგვიკლეს მოღალატეებმა! კიკიტიას, მუნჯაძეს და ჟორას კისერზე იყოს ეს საუკუნო ცოდვა! მიდით და დასცხეთ!

სიღრმეში ჩაბნელდება. დოლის ხმა. ჟრიამული. ავანსცე-

ნაზე პატარა სანთელი ანთია. სიკოს თამუნა გამოჰყავს.

თამუნა — როგორ მეტკინა! რა მოხდა?

სიკო — ცოცხალი ხარ, ჩემო გოგო? როგორ შემაშინე!

თამუნა — რა ხმაურია?

სიკო — იმ ხმაურს აწი ვერაფერი დააწყნარებს! დედაქალაქი იღუპება!

სცენა განათდება. ნანგრევები.

მედოლე (*დოლზე მსუბუქად უკრავს*) — ჩახრუხაძე, „თამარიანი“, ამონარიდი 56-ე, 57-ე და 58-ე სტროფებიდან:

ჩემსა მოყმესა, ლომთა მოძმესა,
ვის არად უჩნდის სახლი და კარი.
დამეტეს მქნელად: გაიჭრეს ველად,
სადგურად ჰქონდის ლომთა შამბნარი.
არვისა სწორად წავიდის შორად,
ინდოეთს იყვის მისი საზღვარი.
ამოვლნის ინდნი, ხანნი და ჩინნი,
არარად უჩნდის მას მათი ზარი.
ატალას მოჰყვის, ქვეყანა მოსცვის,
არვისი ჰქონდის შესაპოვარი.
ხაზარეთს დაჰყვის, რუსეთსაც გაჰყვის,
ზღვის პირით ქროდის ტაროსთა ქარი.
წავიდის ხმელსა, იონთა ველსა,
მუნ, სადა მეფედ ზის კეისარი.
მოვლნის ქალაქნი, ზღვისა ალაგნი,
სრულად ეგვიპტე, არაბთა მხარი.
ამუნს მოვიდის, თავი იდიდის,
რა ხამდის, მუნცა ქმნის იგ საქნარი...

ბატონებო, დაბრუნდა მარადი ურია, დაუცხრომელი მოხეტიალე... დაბრუნდა ნაცნობი უცნობი!

მედოლე სიღრმეში იხევს. შემოდის ნაცნობი უცნობი. ეს არის ჭალარა კაცი. ტურისტულად აცვია. ზურგჩანთა აჭრელებული აქვს სხვადასხვა ავიაკომპანიების ემბლემებით.

თამუნა — ჰეი, ეს ვინ არის?

სიკო — თითქოს მეცნობა!

ნაცნობი უცნობი — ყმაწვილებო, ვინ დაანგრია ეს მშვენიერი ქალაქი?

სიკო — ჩვენ თვითონ, ბატონო!

ნაცნობი უცნობი — მთავრობა სადაა?

სიკო — გაიქცა, ბატონო!

ნაცნობი უცნობი — ოპოზიცია?

სიკო — რეანიმაციის განყოფილებაში წევს, ბატონო! ისეა ნაგვემი, ქვეყნის მართვა, საეჭვოა, რომ შეძლოს!

ნაცნობი უცნობი — მაშ, სადავეები დარჩენილა უპატრონოდ!.. რა გაეწყობა, წკიპურტარიის გულმხურვალე სიყვარული მაიძულებს ხელისუფლების მძიმე ტვირთი მე ავიკიდო! (*ენერგიულად*) მომყევით, ყმაწვილებო!

ავანსცენაზე გამოდის მედოლე. ნელ საცეკვაოს შემოჰკრავს.

ერთი მხრიდან ნარნარი ცეკვით შემოდიან ბოცოისტები, მეორე მხრიდან — კიკიტისტები.

ბოცოისტები — ბოცო ცოცხალია! დიადი ბოცო ცოცხალია!

კიკიტისტები — ბოცო მოკვდა! ბოცო განქარდა!

ხმები სუსტდება. კარგა ხანს ისმის ექო — „ბოცო ცოცხალია!“ „ბოცო მოკვდა!“ „ბოცო ცოცხალია!“ „ბოცო მოკვდა!“

ფარდა

სარჩევი

ჩრდილი ----------3
სინდისი ----------27
კუნძული ----------35
ელეგია სამი ძმისა და მოხუცი დედისა ----------68
ურიელა ----------79
გოდება უფლისა ანგელოსისა
ქართველთა ზედა ----------90
ბატონი პრეზიდენტი ჩამობრძანდა ----------97
ღორის ტილი ----------109
მოყმე ქალაქში ----------119
პური ჩვენი არსობისა (*რადიოპიესა*) ----------128
მზე გაღმა ჩადის ----------148
სამი მოთხრობა ერთი მკვლელობის შესახებ -- 177
ლომთა ტაროსი (*სამმოქმედებიანი ფარსი*) ----283